საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

# ბიზნეს-ინჟინერინგი
# Business-Engineering

ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი

1
2013

# ბიზნეს – ინჟინერინგი
# Business-Engineering

ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი

**უაკ (UDC) 338.22+62**
**ბ-666**

**№ 1, 2013 წელი**

ა. სიჭინავა (მთავარი რედაქტორი)
შ. ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ა. ქუთათელაძე (ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი)
თ. ლომინაძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორის მოადგილე)

**სარედაქციო კოლეგია:** გ. აბდუშელიშვილი, გ. აბრამიშვილი, რ. არველაძე, ე. ბარათაშვილი, ბ. ბარკალაია, თ. ბაციკაძე, ბ. ბოქოლიშვილი, ზ. გასიტაშვილი, ი. გაბისონია, ჯ. გახოკიძე, ა. გლუშეცკი (რუსეთი), ივ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, უ. დემირაი (თურქეთი), ც. დურული (გორი), ზ. ვაშაკიძე, რ. ვინთერი (შვეიცარია), ო. ზუმბურიძე, დ. თავხელიძე, ლ. იმნაიშვილი, ა. ინგოროყვა, კ. ისაევა (ყაზახეთი), პ. იონი (გერმანია), ირ. ვოუთერ თენ ჰააფი (ნიდერლანდი), ი. კაკუბავა, ი. კვესელავა, ლ. კლიმიაშვილი, პ. კოღუაშვილი, ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშ-ვილი (ქუთაისი), ზ. ლომსაძე, ი. ლომიძე, გ. მალაშხია, მ. მამნიაშვილი, მ. მაცაბერიძე, გ. მჭედლიშვილი, შ. ნაჭყებია, რ. ოთინაშვილი, მ. პისანიუკი (მოლდოვა), ი. ჟორდანია, გ. სალუქვაძე, დ. სეხნიაშვილი, გ. სოსიაშვილი (გორი) კ. სოხაძე, რ. სტურუა, ჟ. სულეიმანოვი (ყაზახეთი), გ. ტყეშელაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ღავთაძე (ქუთაისი), ლ. ღოღელიანი, მ. ჩიქავა, დ. ჩომახიძე, ა. ჩხეიძე, ბ. ცხადაძე, გ. ძიძიგური, გ. ძლიერიშვილი, ჯ. ჯანაშია, დ. ჯაფარიძე, გ. ჯავახაძე, დ. ჯანგულაშვილი, გ. ჯოლია.

**EDITOR :** A. Sichinava
**DEPUTY OF CHIEF EDITOR:** Sh. Veshapidze
**TECHNICAL EDITOR:** A. Kutateladze
**DEPUTY EDITOR:** T. Lominadze

**EDITOR STAFF:** G. Abdushelishvili , G. Abramishvili, R. Arveladze, E. Baratashvili, B. Barkalaia, T. Batsikadze, B. Boqolishvili, M. Chikava, D. Chomakhidze, A. Chkheidze, U. Demirai (Turkey), C. Duruli (Gori), G. Dzidziguri, G. Dzli-eraSvili, A. Frangishvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, Z. Gasitashvili, G. Gavtadze (Kutaisi), A. Glushetsky (Russia), L. Gogeliani, I. Gorgidze, I. Gujabidze, L. Imnaishvili, A. Ingorokva, K. Isaeva (Kazakhistan), J. Janashia, D. Jangulashvili, D. Japaridze, G. Javakhadze, P. John (Germany), G. Jolia, I. Jordania, I. Kakubava, L. Klimiashvili, P. Koguashvili, I. Kveselava, E. Lobanova (Russia), I. Lomidze, Sh. Lominashvili (Kutaisi), Z. Lomsadze, G. Malashkhia, M. Mamniash-vili, M. Matsaberidze, G. Mchedlishvili, O. Mraz (Czech Republic), Sh. Nachkebia, R. Otinashvili, M. Pisaniuk (Mol-dova), L. Qarchava, R. Qutateladze, G. Saluqvadze, D. Sekhniashvili, K. Sokhadze, G. Sosiashvili (Gori), R. Sturua, J. Suleimanov (Kazakhistan), D. Tavkhelidze, B. Tskhadadze, G. Tkeshelashvili, B. Tskhadadze, Z. Vashakidze, R. Winter (Sweden), Ir. Wouter Ten Haap (Netherlands), O. Zumburidze.

**პასუხისმგებელი რედაქტორი:** დალი სეხნიაშვილი

**გარეკანის დიზაინის ავტორი:** დალი სეხნიაშვილი
**ტექნიკური რედაქტორი:** ასმათ ფიფია

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოფ. 613ბ.
ტელ.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 593 30 07 65.
www. business-engineering. bpengi.com
ელ-ფოსტა :info@bpengi.com

ISSN 1512-0538

**Editorial office address:**
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 613 b.
**Tel.:** 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 593 30 07 65.
www. business-engineering. bpengi.com
**E-mail**: info@bpengi.com

ISSN 1512-0538

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

**ევგენი ბარათაშვილი**
ტექნოლოგიური კულტურა და ახალი ტექნოლოგიური რევოლუცია ........ 8
**რუსუდან ქუთათელაძე, ლუარა გვაჯაია**
ბიზნეს-ინჟინერინგი და ბიზნეს-მოდელირება ........ 13
**Tinatin Mshvidobadze**
Business engineering and business process reengineering ........ 18
**Suleimenov Zh. Zh.**
INNOVATIVE DEVELOPMENT OF EDUCATION AND SCIENCE IN KAZAKHSTAN ........ 22
**ალექსანდრე სიჭინავა, დალი სეხნიაშვილი**
ეკონომიკური თეორიის სწავლების პრობლემები საქართველოს უნივერსიტეტებში ........ 25

### ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები

**პაატა კოღუაშვილი**
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიდგომები სოფლის მეურნეობის აღორძინებისადმი ........ 33
**თ. ჩუბინიშვილი, ნელი მახვილაძე**
ქსელური მიდგომა სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციის საინფორმაციო
უზრუნველყოფის, მარკეტინგის, პრომოუშენისა და პარტნიორთა ძიების პროცესებში ........ 41
**ზაზას სუხიშვილი**
კონცესიის ისტორია ........ 47
**ზურაბ ვაშაკიძე, მერაბ მიქელაშვილი**
ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის საკითხებზე ........ 55
**პაატა კოღუაშვილი, ალექსანდრე სიჭინავა**
საქართველომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს მიწათსარგებლობის ახალი კანონი ........ 60
**ნინო ლაზვიაშვილი**
**მმართველობითი გადაწყვეტილების სტილი და მოდელები კორპორაციაში ........ 64**

### სამართალი და პოლიტიკა

**იგორ კვესელავა**
სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვარიაციები
(XX-XXI საუკუნის დასაწყისი) წერილი მეორე ........ 69
**მიხეილ მამნიაშვილი, გურამ სუხაშვილი**
აბორტის კრიმინალიზაცია ........ 76
**ემილია ალავერდოვი**
ისლამური რელიგიური ფანატიზმი ........ 82
**სალომე ფიფია**
აშშ-ის ერაყში ინტერვენციის მიზეზები და შედეგები ........ 86

### მეცნიერული სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგიები

**გურამ ჯოლია**
ცოდნის მართვის „დელფოს“ მეთოდი სახელმწიფო და ბიზნესფორსაით პროექტებში ........ 94

### ტექნოპარკები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები

**რამაზ სიჭინავა**
**ზ**ონალური პოლიტიკისა და სისტემური მართვის ორგანიზაციულ-კორპორაციული
ფორმები, თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში ........ 100

## ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

**გიორგი ხატიძე**
ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები, როგორც უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვისა და ხელშეწყობის სამართლებრივი ინსტრუმენტები ........ 104
**ხათუნა ხარხელაური**
საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია ........ 117
**მალხაზ ცისკარიშვილი, მარიამ ცისკარიშვილი,**
წარმატებული ინვესტირების ზოგიერთი პრინციპი ........ 122

## ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

**ლალი პეტრიაშვილი, მაკა ხართიშვილი, მაია ოხანაშვილი**
საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალურ-სტრუქტურული ანალიზი ........ 128
**ეკა რუსიეშვილი**
ელექტრონული დისკურსის თავისებურებანი ........ 131

## ბიზნეს-ინჟინერინგი კვების მრეწველობასა და ბიოტექნოლოგიებში

**Мухамеджанова А. С.**
АКТУАЛЬНОСТЬ СОЗДАНИЯ ПРОДУКТОВ ПРОФИЛАКТИЧЕСКОГО ДЕЙСТВИЯ В РЕСПУБЛИКЕ КАЗАХСТАН ........ 136
**Каткадамова З.В.**
БИОТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ПОЛУЧЕНИЯ КОМБИНИРОВАННОГО КИСЛОМОЛОЧНОГО НАПИТКА НА ОСНОВЕ КОЗЬЕГО МОЛОКА ........ 138

## ბიზნეს-ინჟინერინგი კავშირგაბმულობაში

**ოთარ ზუმბურიძე, ლია რუხაძე**
სატელეკომუნიკაციო ბაზრის ტენდენციები და პროგნოზები ........ 144

## ტურიზმის ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა

**ნოდარ გრძელიშვილი**
აფხაზეთის ტურიზმის დღევანდელობა და პერსპექტივები ........ 155

## ბიზნეს-ინჟინერინგი ქიმიასა და ფარმაციაში

**ზვიად კოვზირიძე, როდამ მჭედლიშვილი**
ერთსაფეხურიანი ტექნოლოგიით მიღებული ცელზიანის კერამიკა ........ 166
**მედეა ჩიქავა, თამარ ცინცაძე**
ბავშვთა და მოზარდთა რაციონალური ფარმაკოთერაპია, როგორც ქრონიკულ დაავადებათა პრევენციის მნიშვნელოვანი რგოლი ........ 176

## ბანკები და ფინანსები

**თინა ჯოლბორდი, თამარ როსტიაშვილი**
მმართველობითი აღრიცხვის სწავლების ზოგიერთი საკითხი ........ 184
**ნინო ჭელიძე**
ბუღალტრული დამწერლობა და მისი უნიფიკაცია ........ 188

## გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრესი

**ევგენი ბარათაშვილი, რამაზ ოთინაშვილი**
უსაფრთხოება - ბიზნესის მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილი ........ 191
**Тамар Будзишвили**
Тенденции развития современных международных отношений ........ 195

**ლამარა მინდორაშვილი, ნატო ჩიკვილაძე**
გლობალიზაციის საერთაშორისო მნიშვნელობა ........ 199
**ვალერი მოსიაშვილი, შორენა ბერუაშვილი**
საქართველო გლობალიზაციის მიმდინარე ტენდენციებში ........ 201
**გიორგი ხანთაძე**
საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის ზრდის პრობლემები ........ 204
**იაშა კუტუბიძე**
ელიტარული კორუფცია და ეკონომიკური კრიზისის პრობლემები ........ 209
**ნინო მაზიაშვილი**
ეკონომიკური ევროინტეგრაცია -- საქართველოს ახალი არჩევანი ........ 233
**ვლადიმერ სეხნიაიძე, გოგი მაჭარაშვილი, ქეთევან კვესელავა**
მენეჯმენტის პროცესი და სისტემა ........ 238
**გიორგი ნანუაშვილი**
მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზები ........ 241
**შოთა ვეშაპიძე, ნუგზარ ბაბუაძე**
საერთაშორისო ბიზნესის კვლევის აქტუალური საკითხები ........ 244

## ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო კონცეფციები

**იაშა კუტუბიძე**
პიროვნება და ტექნიკური პროგრესი ........ 248
**თამაზ ბაციკაძე**
როგორ გავხდეთ ადამიანი ........ 256
**გიორგი ტალახაძე**
სოციალური განწყობების წარმოშობის საფუძველი ........ 261
**თათია ადამაშვილი**
PR-კომუნიკაციის ფსიქოლოგიური ასპექტები ........ 266
**მაია ნატროშვილი**
ფილოსოფიური შეხედულებანი უილიამ შექსპირის სონეტებში ........ 269
**მაია ოხანაშვილი, ლილი პეტრიაშვილი, მაკა ხართიშვილი**
საწარმოო რესურსების დაგეგმვისა და მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიები ........ 271

## საქართველო: წარსული, დღევანდელობა, მომავალი

**ნანა ხაზარაძე, ნანა ბახსოლიანი**
ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტისათვის ........ 274
**ეკა ცხადაძე, ბადრი ცხადაძე**
ენობრივი დეკულტურიზაციის ტყვეობაში (წერილი მეორე) ერთი ჟარგონული გამონათქვამის შესახებ თანამედროვე ქართულში (მაგარი) ........ 278
**თამარ ხოხობაშვილი**
ქართლის (იბერიის) სამეფო და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი (ძვ.წ. III-ახ.წ.VI სს.) ........ 282

## ახალი წიგნები

**დალი სეხნიაშვილი**
რეცენზია ა. სიჭინავას ლექციების კურსზე, ,,უძრავი ქონების ეკონომიკა'', თბილისი, 2012 ........ 285
**გიორგი მალაშხია**
სიმართლე ეკონომიკურ მეტამორფოზებსა და ქვეყნის მომავალზე
(ნოდარ ჭითანავას წიგნის „საქართველოს ეკონომიკური მეტამორფოზები და პერსპექტივები'' თბ., 2012) ........ 287
**ევგენი ბარათაშვილი, დემნა კვარაცხელია**
რეცენზია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის დემურ ჩომახიძის მონოგრაფიაზე: ,,ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები'' ........ 289

## წლის სენსაცია
## კოსმოსურ ნაგებობათა კომპლექსი სამეგრელოში



ტობა ვარჩხილის მარჯვენა სანაპიროზე გაწოლილი სხეული (ზომით 200X40 მ-ზე)



ოსინდალეს მონასტერი
(ჩხოროწყუ, სოფელი ოსინდალე)



მონასტერში გამოკვეთილი
ობიექტი




მონასტერში გამოკვეთილი ობიექტის გეომეტრიული
გამოსახულება, რომელიც მფრინავი ობიექტის
შთაბეჭდილებას ტოვებს



სავარაუდოა, ეს გამოსახულება
არის პლანეტა, საიდანაც ობიექტი
მოფრინავდა



„ქუა ქანცალია" მეგრულად მოქანავე ქვას ნიშნავს,
საკმარისია ლოდს თითით შეეხო, რომ რყევას იწყებს
და კაკუნის ხმას გამოსცემს (წალენჯიხა, ყვირას მთა)



უცხო სხეული, რომლიდანაც ყოველი ხარების დღეს ისმოდა
კაკუნი, არ ედება მტვერი, თოვლი, მასზე ვერ ხარობს ეკალ-
ბარდები. არ ჩადის მიწაში (სოფელი ჯიხაშკარი)

მეცნიერთა ჯგუფი ავსტრიიდან (ჟენევიდან), გერმანიიდან, ბულგარეთიდან, რუსეთიდან 40 წლის განმავლობაში იკვლევენ აღნიშნულ ობიექტებს. ამჟამადაც რუსეთის კოსმოსური ცენტრის კვლევის მეცნიერები მზად არიან აღნიშნული კვლევა გააგრძელონ. ვფიქრობთ, დიდი საიდუმლოება იმალება, რის შესახებაც ბრწყინვალედ იცოდნენ პომპეუსმა, ანდრია პირველ წოდებულმა და თამარ მეფემ. ერთ-ერთი ვარიანტით თამარ მეფე ოსინდალეს მონასტრის ქვეშ მდებარე 27 კილომეტრიან გამოქვებულში „შურუბუმუ" განისვენებს. სამწუხაროდ, ქართველი მეცნიერები ყოვლივე ამას ინერტულად ეკიდებიან.

## ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

# ტექნოლოგიური კულტურა და ახალი ტექნოლოგიური რევოლუცია*

*ევგენი ბარათაშვილი*
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი*

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის აწმყო და მომავალი დამოკიდებულია თუ როგორ დაინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები ცხოვრების ყველა სფეროში; ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ, როგორია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის არსი, ეტაპები და პერსპექტივები.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია (სტრ) — გახლავთ საწარმოო ძალების ძირეული ხარისხობრივი გარდაქმნა მეცნიერების გადაქცევის საფუძველზე წარმოების წამყვან ფაქტორად.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სტრ-ის ეპოქა დაიწყო გასული საუკუნის 40-50-იანი წლებიდან. სწორედ მაშინ ჩაისახა და განვითარება ჰპოვა მისმა მთავარმა მიმართულებებმა, ესენია: წარმოების ავტომატიზაცია, მათი კონტროლი და მართვა ელექტრონიკის ბაზაზე; ახალი კონსტრუქციული მასალების გამოყენება და ა.შ. ადამიანის მიერ სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის გაჩენასთან ერთად დაიწყო დედამიწის მახლობელი კოსმოსური სივრცის ათვისება.

თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესისთვის დამახასიათებელია მათი რევოლუციური და ევოლუციური ცვლილებების კომპლექსური შეხამება. აღსანიშნავია, რომ ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში სტრ-ის მრავალი საწყისი მიმართულება რადიკალურიდან თანდათანობით გადაიქცა მზა ნაწარმის და წარმოების ფაქტორების სრულყოფის ჩვეულებრივ ევოლუციურ ფორმებად. ახალმა დიდმა სამეცნიერო აღმოჩენებმა და გამოგონებებმა 70-80-იან წლებში წარმოშვა სტრ-ის მეორე, თანამედროვე ეტაპი. მისთვის ტიპურია რამდენიმე მოწინავე მიმართულება: ელექტრონიზაცია, კომპლექსური ავტომატიზაცია, ენერგეტიკის ახალი სახეები, ახალი მასალების დამზადების ტექნოლოგია, ბიოტექნოლოგია. მათი განვითარება განსაზღვრავს წარმოების სახეს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს.

სისტემა „ტექნოლოგია — მასალები — მანქანები" (ტმმ) არსებითად ტექნიკის მუდმივი კვლავწარმოების პროცესის ტექნოლოგიური ასახვაა, მათ შორის მისი მოდერნიზაციისა და ახალი ტექნიკური საშუალებების შექმნისა. ტექნიკის კვლავწარმოების პროცესის საწყისი პროდუქტი ყოველთვის მასალებია, ხოლო საბოლოო პროდუქტი — მზა ნაწარმი, რომელთა რიცხვშია ახალი მასალები და მანქანები. საწყისი პროდუქტის გადაქცევის სქემა განისაზღვრება ტექნოლოგიით, ხოლო ძირითად საშუალებად, რომლის დახმარებითაც ხორციელდება საწყისი პროდუქტის გარდაქმნა საბოლოო პროდუქტად, გვევლინება მანქანა. ამგვარად, ტმმ-ის სისტემა დინამიკურია.

ვინაიდან ტექნიკის კვლავწარმოების პროცესი, მათ შორის ახალი ტექნიკის შექმნა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის (სტპ) გულია, სტპ-ის ტენდენციები და კანონზომიერებები ან ემთხვევა ტმმ-ის სისტემის ფუნქციონირების ტენდენციებსა და კანონზომიერებებს, ან მათთან თანაფარდობაშია პრინციპით „საერთო — კერძო". ქვემოთ განხილულია სტპ-ის თავისებურებები, ტენდენციები და კანონზომიერებები, რომლებიც თანაბრად ახასიათებს ტმმ-ის სისტემას და მის ცალკეულ კომპონენტებს.

მთლიანობაში სტპ-ის მახასიათებელ ციკლთა ზოგადი სქემა შეიძლება წარმოვიდგინოთ ოთხდონიანი სისტემის სახით.

---

*ვეხმაურებით და ვეთანხმებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის, რ. ასათიანის, თვალსაზრისსა და არაერთ მიგნებას (იხ. სტატია „სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი — სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებული ფორმა", ჟ. „ბიზნეს-ინჟინერინგი" № 4, 2012 წ., გვ. 9-12). გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებებს ტექნოლოგიური კულტურისა და ახალი ტექნოლოგიური რევოლუციის თაობაზე. ვფიქრობთ, იგი ზემოაღნიშნული თემატიკის გაგრძელებაა.

1. პირველ – უმაღლეს – დონეს შეადგენს საყოველთაო (გლობალური) ტექნიკური (სამეცნიერო-ტექნიკური) რევოლუციები, რომელთაგან თითოეული ყველანაირად და ძირეულად გარდაქმნის საზოგადოებას: საწარმოო ძალებშიც, პოლიტიკურ ფორმებშიც და იდეოლოგიაშიც. საყოველთაო რევოლუციათაგან თითოეული აჩქარებს სტპ-ის ტემპს. ასეთ რევოლუციებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

ა) ტექნიკური გადატრიალება, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს ერამდე I ათასწლეულში „რკინის საუკუნეზე" გადასვლასთან, რაც გამოიხატებოდა ფოლადის იარაღის გამოყენებაში სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობაში, ასევე ფოლადის იარაღის დამზადებაში;

ბ) XVIII–XIX საუკუნის დამლევის სამრეწველო რევოლუცია დაკავშირებული იყო სხვადასხვა დარგში ორთქლის ძრავის ფართო გამოყენებასთან, სამუშაო მანქანების გავრცელებასთან და მანქანათმშენებლობის ჩამოყალიბებასთან (დაწყებული სუპორტის გამოგონებიდან);

გ) სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდებოდა ინფორმაციის გავრცელების მოწყობილობებს, მართვის სისტემებსა და მის დამუშავებას ეგმ-ების ბაზაზე (კომპიუტერიზაცია), ასევე ელექტრონიკის სხვა საშუალებებს (ელექტრონიზაცია), მათ შორის რობოტოტექნიკური სისტემების მართვის მოწყობილობებს (რობოტიზაცია). ამ სამ რევოლუციას წინ უსწრებდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რევოლუცია, რომელსაც ჰქონდა უნიკალური შედეგი დედამიწაზე მცხოვრებთა ბედისათვის. ის უკავშირდებოდა ქვის იარაღის შექმნასა და ცეცხლის ათვისებას. ამ რევოლუციამ მკაფიო ზღვარი გაავლო კაცობრიობასა და ცხოველურ სამყაროს შორის და მისგან იწყება ადამიანთა საზოგადოების განვითარების ათვლა, ასევე შემდგომი ტექნიკური და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციები.

2. მეორე დონის ციკლები წარმოდგენილია სიახლეთა გრძელი ტალღებით. ყოველი ტალღის აღმავლობის ფაზა უკავშირდება გლობალურთან შედარებით ნაკლები მასშტაბის ტექნიკურ (სამეცნიერო-ტექნიკურ) რევოლუციებს, რომლებმაც განაპირობა სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში, ხარისხობრივი ძვრები კი სამუშაო ძალის კვალი-ფიკაციაში.

ასეთი რევოლუციების ჩამოთვლას, ალბათ, ვერ ამოვუწურავთ, თუმცა შეიძლება მივუთითოთ ნეოლითურ რევოლუციაზე – ესაა ნეოლითიდან გადასვლა „ბრინჯაოს საუკუნეზე", ხელოსნობის განვითარება საამქროს ფორმის ბაზაზე, ასევე წარმოების – მისი ორგანიზაციის მანუფაქტურული ფორმის საფუძველზე, მე-19–20 საუკუნის დამდეგის ტექნიკური რევოლუცია (ელექტროფიკაციის ბაზაზე), 70-იანი წლების მიკროპროცესორული რევოლუცია.

3. ციკლთა მესამე დონეს ქმნის კაპიტალისტური წარმოების კლასიკური ციკლები – საშუალოვადიანი ციკლები (7-11 წელი), რომლებიც ხასიათდება საწარმოო ფონდების მასობრივი განახლებითა და დროითი ფარგლებით, ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია მოწყობილობის ხანგრძლივობის საშუალო ვადასთან. მე-20 საუკუნეში ციკლების ფორმა თანდათანობით იცვლება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის შექმნასთან დაკავშირებით (1929 წლის კრიზისის შემდეგ). ციკლები იძენს ნაკლებად გამოხატულ ხასიათს, ძირითადად სახელმწიფოს მცდელობების შედეგად, სავსებით მოახდინოს დაცემის ფაზის ელიმინირება და აღმავლობის რეგულირება (მოახდინოს მისი სტიმულირება მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე და არ დაუშვას ეკონომიკის „გადახურება"). თუმცა ციკლების ფორმათა ცვლილება არ ცვლის მათი შეცვლის კანონზომიერებებს.

4. სტპ-ის მცირე ციკლები, რომლებიც დაკავშირებულია რყევებთან ინოვაციურ საქმიანობაში. აქ შეიძლება დაგვეხმაროს სტატისტიკათა პუბლიკაცია სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში, რომელიც, მართალია, გამოდგება ირიბ მტკიცებად, სამაგიეროდ იოლად ექვემდებარება ჩამოყალიბებას და დამუშავებას, ვიდრე ინოვაციათა სტატისტიკა. სტატისტიკის პუბლიკაცია გვიჩვენებს მეცნიერების და ტექნიკის სხვადასხვა დარგში არა მარტო მასშტაბითა და ხანგრძლივობით ინტერესის დიდ ტალღებს ამა თუ იმ პრობლემის მიმართ, არამედ მოკლევადიან რყევებსაც იმ ტალღების ფარგლებში, რომლებიც ასახავს ციკლურ რყევებს ინოვაციათა გაჩენაში.

ტერმინ ტექნოლოგიას აქვს არაერთი აზრობრივი დატვირთვა: იგი გამოიყენება მრეწველობაში, მეცნიერებაში, ხელოვნებასა და ადამიანთა საქმიანობის სხვა დარგებში. როგორც ჩანს, ტექნოლოგია ნიშნავს ტექნიკურად ნიშნადი თვისებებისა და უნარის ინტელექტუალურ გადამუშავებას. არსებითად, ესაა კულტურის ცნება, რომელიც დაკავშირებულია აზროვნებასთან და ადამიანის საქმიანობასთან. იგი განსაზღვრავს ადამიანის ადგილს ბუნებაში, მის ბუნებრივ პროცესებში ჩარევის შესაძლო ფარგლებს.

ტექნოლოგიური კულტურა – მეოთხე უნივერსალური კულტურაა. იგი განსაზღვრავს თანამედროვე ადამიანის მსოფლმხედველობას და თვითშეგნებას. ამასთან უნივერსალურ კულტურებში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთი პრინციპების სისტემებს, რომ-

ლებიც დამახასიათებელია გარკვეული ეპოქისა და სამეცნიერო ცოდნის თუ ტექნიკური საშუალებების განვითარების სათანადო დონეებისათვის.

პირველი უნივერსალური კულტურა, რომლის ცალკეული თვისებები აღდგენილია არქეოლოგიური აღმოჩენებისა და წერილობითი მოწმობების შეს-წავლისას, იყო *მითოლოგიური კულტურა*. იგი დამა-ხასიათებელია უძველესი ხანის ყველა ბუნებრივი ცივილიზაციისთვის. ამ კულტურის ადამიანები ბუნე-ბის მოვლენებს ხსნიდნენ უშუალო დაკვირვებების მონაცემებზე დაყრდნობით. თავიანთი ცხოვრების განმავლობაში ისინი სარგებლობდნენ ფუნქციურად შეწყობილი ნატურალური პროდუქტებითა და მასა-ლებით. ასეთი კულტურის ეპისთემა დადიოდა რაღაც ფარული „საიდუმლო" ძალების წარმოდგენამდე — ძალებისა, რომლებიც დამახასიათებელი იყო გა-რემომცველი სამყაროს ყველა ობიექტისათვის და განსაზღვრავდა მათ არსებობას; ეს ძალები, ძველი ხალხის წარმოდგენით, განსაზღვრავდა ყოველივე მომხდარის თანამიმდევრულობას; ისინი ავსებდნენ აზრით ყოველივე არსებულს სამყაროში — კოს-მოსში. თვით არსებობაც ასეთი მიდგომისას არის ბედი. ადამიანები კი, ყველა დანარჩენის მსგავსად, აღმოჩნდებიან მხოლოდ როგორც ყოვლისმომცველი ჰარმონიის მხოლოდ ელემენტებად.

მეორე უნივერსალური კულტურა — კოსმოლო-გიური — აყვავდა საშუალო ბუნებრივი ცივი-ლიზაციის პერიოდში. მისი ეპისთემა დადიოდა იქამდე, რომ ყოველ მოვლენაში ვლინდება ბუნების ძალთა მოქმედება მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების შესაბამისად. ცალკეული ელემენ-ტები — არსების კომპონენტები — ქმნის ბუნებრივ ორგანიზმებს, ბუნებრივ ორგანიზმთა სიმრავლე კი თავის მხრივ — ბუნებრივი წესრიგის წონასწორობას, მითოლოგიური კულტურის იმავე „ჰარმონიას".

ანთროპოლოგიური კულტურის მესამე ეპის-თემა დამახასიათებელია განვითარებული ბუნებრივი ცივილიზაციისთვის. ამ კულტურის თანახმად, გარე-მომცველი სამყაროს ყველა მოვლენა და კანონ-ზომიერება მისაწვდომია ადამიანური გაგებისათვის. გამოცდილება საშუალებას იძლევა გავხსნათ განცალ-კევებული ფაქტებისა და მოვლენების სისტემური არსი. ასეთ სისტემათა ხარისხი შეესაბამება მათი შემადგენელი ელემენტების თვისებებს. ცხოვრების გეგმური ორგანიზაცია სავსებით შესაძლებელი აღმოჩ-ნდება ხოლმე, მისი მიზანი კი იგივე მექანიკური წონასწორობა იქნება, რომელიც სხვა კულტურებში გვევლინებოდა როგორც „ჰარმონია" ან „საგნების წესრიგი".

ადამიანი — მკვლევარი, სისტემატიზატორი და ახლის შემქმნელი — ძალებს მოიპოვებდა ისევ საკუთარი ძალებიდან და რწმენიდან. ადამიანის სამყარო თანდათანობით ხდებოდა მისი ყურადღების ცენტრი, მისი მიღწევების სფერო. გაჩნდა ახალი წარმოდგენები ბუნების მიმართ დამოკიდებულებაზე, შემეცნების ახალი საშუალებები, რომლებიც უკვე აღარ იყო უბრალო შუამავალი აზრსა და ბუნებას შორის. დაიწყო ადამიანის აქტიური ჩარევა ბუნებრივ პროცესებში. ასე ვითარდებოდა მეოთხე უნივერსალური კულტურა.

აქ ღირს ორი მომენტის გათვალისწინება. პირ-ველი — ადამიანის ჩარევა ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობაში იღებს არნახულ ფართო მასშტაბებს, ხდება მუდმივი და თუკი მხედველობაში მივიღებთ შედეგებს, შეუქცევადი. მეორე — კაცობრიობის საცხოვრებელი გარემო — დედამიწა აღარ არის სხვადასხვაგვარი რესურსის ამოუწურავი წყარო, რაღაც ულევი დოვლათი; „მეფე ბუნების" შემეცნებაში განმტკიცებული სამომხმარებლო ურთიერთობა სამ-ყაროსთან სულ უფრო ხშირად ხდება ბუნებრივი წონასწორობის დარღვევის მიზეზი, საბოლოოდ, ამან შეიძლება მიგვიყვანოს მის საბოლოო დარღვევამდე.

თანამედროვე ეტაპზე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია (სტრ) გადაიზარდა ტექნოლოგიურ რე-ვოლუციად. ტრადიციული მანქანური ინდუსტრიის ნაცვლად იქმნება წარმოების ხარისხობრივად ახალი ტექნოლოგიური საშუალება — სასარგებლო ნივ-თების დამზადების მეთოდთა პრინციპულად სხვა ერთობ-ლიობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტრ წარმოშობს „მაღალ ტექნოლოგიებს", რომლებიც უზრუნველყოფს ეფექტიანობის ბევრად გაზრდილ დონეს.

თანამედროვე ტექნოლოგიები და მათი ობიექტები ძალიან რთულია, რაც განსაზღვრავს მათ მაღალ სამეცნიერო და საინფორმაციო ტევადობას, მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების შეუძლებლობას საფუძვლიანი სამეცნიერო ბაზის, ასევე სამეცნიერო-საინფორმაციო ძიების გარეშე.

ეს ტექნოლოგიები ჩვეულებრივ ემყარება ფუნ-დამენტური მეცნიერებების უახლეს მიღწევებს და ურთიერთქმედებს მათთან. ხშირად ისინი მეც-ნიერების წინაშე აყენებენ რთულ ამოცანებს, რომლებიც შეიძლება გადაიჭრას მთელი რიგი საბუნებისმეტყველო, მათემატიკური, ტექნიკური და საზოგადოებრივი მეცნიერებების ინტეგრაციის ბაზაზე. მათი ფორმირებისას მყარდება ახალი კავშირი მეცნიერებასა და ტექნოლოგიას შორის. და თუკი ადრე ურთიერთქმედებდა იერარქიული რიგის მიხედვით მოსაზღვრე მეცნიერებები, ახლა ურთიერთქმედებას

იწყებს ერთმანეთისაგან შორს მდგომი მეცნიერებებიც. არსებითად, პირველად ტექნოლოგიასთან სერიოზულ ურთიერთობაშია ჰუმანიტარული მეცნიერებები (ფსიქოლოგია, სოციოლოგია). ამასთან არ ხდება ცნებათა მექანიკური გადატანა ერთი მეცნიერებიდან მეორეში, უბრალოდ, ძლიერდება სამეცნიერო დისციპლინათა ურთიერთშეღწევა და დისციპლი-ნათაშორისი მეცნიერებების ჩამოყალიბება, მათ შორის ტექნოლოგიური ციკლის, სადაც გამაერ-თიანებელი ფაქტორია როგორც ცალკეული მიდგომა სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად, ისე ერთიანი პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად თავს უყრიან მეცნიერებათა სხვადასხვა მიდგომასა და მეთოდს.

პირველად იქმნება უმანქანო ტექნოლოგია – ნაწარმის დამუშავების და მზა პროდუქტის მიღების პრინციპულად ახალი ხერხები: ელექტრონულ-სხივური, პლაზმური, იმპულსური, რადიაციული, მემ-ბრანული, ქიმიური და სხვ. უმანქანო ტექნოლოგია მრავალჯერად ზრდის შრომის მწარმოებლურობას, ამაღლებს რესურსების გამოყენების ეფექტიანობას, ამცირებს მასალებისა და ენერგიის დანახარჯებს პროდუქციის დამზადებაზე.

ტექნოლოგიის სრულყოფის სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებაა რესურსდაზოგვა. ამ მიზნით გამო-იყენება მეტალოპროდუქციის ეკონომიური სახეები, სინთეტიკური და სხვა პროგრესული მასალები, უმჯობესდება საკონსტრუქციო მასალების ტე-ქნიკურ-ეკონომიკური და იზრდება გამძლეობითი მახასიათებლები. სანედლეულო რესურსებისა და ტექნოლოგიური ნარჩენების უფრო სრული და კომპლექსური გამოყენება საშუალებას იძლევა შეიქ-მნას მცირე ნარჩენებიანი და უნარჩენებო წარმოება.

აი, როგორია რესურსდამზოგავი ტექნოლოგიის ეფექტიანობა: 1 კგ საკონსტრუქციო პლასტმასი ცვლის არანაკლებ 4-5 კგ ლითონნაგლინს; 1 კგ პლასტმასის საწარმოებლად საჭიროა 2–3-ჯერ ნაკლები ენერგე-ტიკული დანახარჯი. ლითონდამუშავებაში ლითონის ფხვნილისაგან დამზადებული დეტალების გამოყენება ყოველ ტონაზე იწვევს 2 ტონა ნაგლინის ეკონომიას, გამოათავისუფლებს 60 ლითონდამამუშავებელ დაზგას.

ელექტრონიკისა და ავტომატიზაციის მიღწევებზე დამყარებული ნაწარმის დამუშავებას შეუძლია საიმედოდ უზრუნველყოს მათი მაღალი ხარისხი.

ტრადიციული ტექნოლოგიისგან განსხვავებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია გარემოს დაბინ-ძურება, „მაღალი ტექნოლოგიები", როგორც წესი, ეკოლოგიურად სუფთაა. ამ შემთხვევაში გამოიყენება წყლის მოხმარების დახურული სისტემები, წარმოების ჩაკეტილი ციკლები, ფართოდ გამოიყენება მეორადი ნედლეული და საწარმოო ნარჩენები, უმჯობესდება ბუნების მოხმარება. ეს უზრუნველყოფს არა მარტო სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ ზრდას, არამედ სოციალურ ეფექტიანობას.

თანამედროვე ტექნოლოგიების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მათში დიდი კუთრი წონა მოდის სამეცნიერო კვლევებზე, მათ შორის ფუნდამენტურზე, ეს კვლევები კი სულ უფრო სწრაფად, მოკლე გზით ერთვება პრაქტიკაში.

მსოფლიო გაერთიანებაში მიმდინარეობს სამეცნი-ერო-ტექნიკური განვითარების სტრატეგიის კარდინა-ლური გადახედვა. მასში გაიმარჯვა ტექნოლოგიის, როგორც თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რე-ვოლუციის, საწყისის მიმართ დამოკიდებულებამ. იგი კიდევ უფრო განმტკიცდა ენერგეტიკული კრიზისის დროს, როცა პირველ რიგში დადგა რესურს-დამზოგავი ტექნოლოგიების შექმნისა და ფართო გამოყენების სტრატეგიული ამოცანა. ტექნოლოგიური მიდგომის უპირატესობა წარმოებისა და სოციალური სფეროს განვითარების სამეცნიერო-ტექნიკური განვი-თარებისთვის, როგორც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა მოწმობს, ხასიათდება კომპლექსურობითა და საბოლოო შედეგზე ორიენტაციით. ასეთი მიდგომა არსებითად ცვლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს ორგანიზაციას.

დასავლური ბაზრის საქონლით გაჯერებულობის პირობებში მაღალგანვითარებული ქვეყნები ცვლის ორიენტირებს მასობრივი პროდუქციის წარმოებიდან საქონლის დიდი ნაკრების წვრილ სერიათა წარ-მოებაზე. რეალური ხდება მოთხოვნის შემცირება პროდუქციის სტანდარტულ სახეებში, იზრდება საქონლის მრავალფეროვნება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ფუნდამენტურ ცვლილებებს როგორც მართვაში, ისე წარმოების სტრუქტურასა და მის ტექნოლოგიებში. იზრდება იმ მცირე საწარმოთა მოთხოვნა, რომლებსაც შეუძლია უკეთ ადაპტირე-ბა მყიდველების მოთხოვნებთან. შედეგად იქმნება მომხმარებლის პრიმატი მწარმოებელზე, იზრდება მოთხოვნები საქონლის, მისი ხარისხის, მიწოდების დროულობის, საქონლის და მომსახურების მრავალ-ფეროვნების მიმართ, რომლებიც მისადაგებულია კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნებზე. ასეთმა მიდგომამ განაპირობა არა მარტო ახალი ტექნოლოგიის ტიპები, არამედ მათი განახლებადობის დაჩქარებაც. აშკარაა, რომ ტექნოლოგიის განვითარების ამ გზებს ვერ ასცდება ჩვენი ქვეყანაც.

სამეცნიერო კვლევები საჭიროებს მაღალ დანა-ხარჯებს და ამ დანახარჯთა ღირებულება შედის საბოლოო პროდუქტის ფასში. საზღვარგარეთ

მრავალი ფუნდამენტური კვლევა სუბსიდირდება კომერციული სტრუქტურების მიერ, რომლებიც დაკავებულია უახლესი ტექნოლოგიებით, და კვლევათა მიმართულებაც, მათი ამოცანებიც განისაზღვრება ტექნოლოგიის მოთხოვნებით. ეს აშინებს არაერთ მეცნიერს, ვინაიდან დადებით ეფექტთან ერთად – მეცნიერებაზე ასიგნებათა გაზრდა – შეიძლება იყოს უარყოფითიც – გამოიწვიოს მეცნიერების განვითარებაში გადახრა, მისი განვითარების შიდა ლოგიკის დარღვევა. სწრაფი ეფექტის დევნამ პერსპექტივაში შეიძლება გამოიწვიოს მეცნიერების სტაგნაცია, ვინაიდან უახლესი ტექნოლოგიის შემუშავება საჭიროებს დიდ ასიგნებას, ისინი ხშირად მიუწვდომელია ისეთი ქვეყნებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ კვლევების დაფინანსება.

**ლიტერატურა:**


1. ასათიანი რ., სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებული ფორმა (ჟურ-ნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, № 4, 2012, გვ. 9-11);
2. Некрасов С.И., Некрасова Н.А. Философия науки и техники. 2010.
3. Ламан Н.К., Корягин Н.И., Васильев И.И. и др. Технология - материалы - машины (история, современность, перспективы). М., 1994.
4. Барцель А., Значение технологической культуры и техноэтики . Ж. «Вестник высшей школы», 1991 г., №12, 54-58 с.



***Evgeni Baratashvili***
Doqtor of economic sciences
Full professor at GTU


**Technological cuiture and the new technological revolution**

**SUMMARY**


Modern technologies and their objects are very complicated, which defines their high scientific and information capacity. Also impossibility of their formation and development without well-grounded scientific basis and scientific-information search.

These technologies are normally based on the latest achievements of fundamental sciences and interactions with them. They frequently raise difficult tasks for science, which can be solved with the intergration of a wide range of natural, mathematical, technical and social sciences. A new connection is formed between science and technology with the help of their formation. And if the interaction was among adjacent sciences in the hierarchiol order in the past, currently interaction is formed among different sciences. A serious interaction was formed between humanitarian sciences (psechology, sociology) and technology. In additior, concepts are not mechanically transferred from one science to another. The interconnection of scientific disciplines and the formation of interdisciplinary sciences are intensified the formation of technological cycle is olso intensified, where unifying factor represents not only separate approaches for solving various problems, but also common problems which will be solved with the using of different approaches and method of sciences.

# ბიზნეს-ინჟინერინგი და ბიზნეს-მოდელირება

*რუსუდან ქუთათელაძე, სტუ-ს სრული პროფესორი*
*ლუარა გვაჯაია*

ნებისმიერი ბიზნესის მიზანია გრძელვადიანი პერიოდით დადებითი კომერციული შედეგების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მიღწევა შიდა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვაწილად დამოკიდებულია გარეშე გარემოს სპეციფიკაზე. ეს აიხსნება იმით, რომ პოსტინდუსტრიულ ეპოქაში, როდესაც უაღრესად მწვავდება კონკურენცია საწარმოებს შორის და ამასთანავე არსებობს ახალი ტექნოლოგიებით მომუშავე წარმოებების შექმნის შეუზღუდავი შესაძლებლობანი, ბიზნესის წარმატება ძირითადად განისაზღვრება სწრაფადცვალებად გარეშე გარემოზე კომპანიების სწრაფი და ზუსტი რეაქციით. ეს თხოულობს მენეჯმენტში ახალი კონცეფციების, ტექნიკის გამოყენებას, ცვალებადი პროცესების მართვის სრულყოფას.

არსებობს ცვლილებების მართვის ორი საბაზო ტექნოლოგია – **ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი და კომპანიის რესტრუქტურიზაცია (ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა)**

**რეინჟინერინგი** – საწარმოს საქმიანობის, მისი ბიზნესის ძირეული გარდაქმნის მეთოდი – შემოღებული იქნა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. მისმა იდეოლოგებმა მ. ხამერმა და ჯ. ჩამპმა რეინჟინირინგი განმარტეს როგორც ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტური, ახლებური გააზრება და რადიკალური გადაპროექტება საწარმოს საქმიანობის ძირითადი აქტუალური მაჩვენებლების ძირეული გაუმჯობესების მისაღწევად. ერთ-ერთი მთავარი ცნება, რაც რეინჟინერინგს საფუძვლად უდევს – ეს არის **ბიზნეს-პროცესები**, სწორედ მათი სრულყოფა წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების უდიდეს რეზერვს. ეს კი თხოულობს მართვის პროცესების რეგულირებას, ამიტომაც რეინჟინერინგი თანდათანობით გადაიქცა მართვის სისტემად, რომელიც ეყრდნობა ტექნოლოგიებს და მეცნიერულ დასაბუთებებს. შემდგომ ეტაპზე მმართველობითი აზროვნება რეინჟინერინგიდან – არსებული ბიზნეს-პროცესების ძირეული გარდაქმნების გზით ბიზნესის რეორგანიზაციის მეთოდიდან გადავიდა ე. წ. **„ბიზნეს-ინჟინერინგის“** გაგებაზე, რაც გულისხმობს ბიზნესის სისტემის შექმნას საინჟინრო მეცნიერებასთან კავშირში ბიზნეს-პროცესების პროექტირებისა და მართვის გზით. ბიზნეს-ინჟინერინგის ცენტრშია პროცესული მიდგომა, სადაც მართვის ობიექტია საწარმოს პროცესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ რეინჟინერინგი, როგორც პროცესების გარდაქმნის ტექნიკა, წარმოადგენს ბიზნეს-ინჟინერინგის შემადგენელ ნაწილს. ბიზნეს-ინჟინერინგზე გადასვლა თხოულობს მართვის ტრადიციულ შეხვედრებზე უარის თქმას, მის სერიოზულ გააზრებას. თუკი საქმიანობის აღწერის ძველი მეთოდები მისაღები იყო **სტატიკურ** გარემოში, როდესაც ყველაფერი მიდიოდა ტრადიციისამებრ და არ იცვლებოდა წლებისა და ათწლეულების განმავლობაში, თანამედროვე ეტაპზე განვითარების დინამიკის, უწყვეტი ცვლილების ფაქტორმა მკვეთრად შეცვალა სიტუაცია და წინა პლანზე წამოსწია მართვის გამჭვირვალეობის მოთხოვნა: **„მართვის ხარისხი ეყრდნობა საქმიანობის აღწერის ხარისხს“**.

**ბიზნეს-ინჟინერინგი – ეს არის მართვის თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის საქმიანობის ფორმალურ, ზუსტ და სრულ აღწერილობაზე მისი საბაზო ინფორმაციული მოდელების გარეშე გარემოს მოდელთან ურთიერთკავშირში აგების გზით.**

ბიზნეს-მოდელის გამოყენება ყველა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის რეგლამენტების ფორმირებისათვის წარმოადგენს მენეჯმენტში ბიზნეს-ინჟინერინგული მიდგომის განმასხვავებელ თავისებურებას.

## ბიზნესმოდელირება.

ბიზნესმოდელირება (საქმიანი მოდელირება) – ეს არის საქმიანობა ორგანიზაციის მოდელების ფორმირებისათვის, რომელიც მოიცავს საქმიანი ობიექტების (ქვედანაყოფების, თანამდებობების, რესურსების, როლების, პროცესების, ოპერაციების, ინფორმაციული სისტემების, ინფორმაციის მატარებლების და ა. შ.) აღწერილობებს და მათ შორის კავშირების ჩვენებით. მოთხოვნები ფორმირებადი მოდელებისადმი და მათი შესაბამისი შინაარსი განისაზღვრება მოდელირების მიზნებით.

ბიზნესპროცესების მოდელირება ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ბიზნესპროცესების მართვაში. ბიზნესპროცესების გრაფიკული აღწერილობა და მათი იმიტაცია წარმოადგენს ბიზნესპროცესების ანალიზის მეთოდებს, ისინი იძლევა ბიზნესპრო-

ცესების უწყვეტად გაუმჯობესების საშუალებას.

ბიზნესპროცესები იცვლება თანამედროვე პირობებისათვის დამახასიათებელი ბიზნესის გარემოს მუდმივი ცვალებადობის შესაბამისად. იგი საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების უდიდესი რეზერვია. ამიტომ ბიზნეს-ინჟინერინგის სათავეშია **პროცესული მიდგომა,** სადაც მართვის ობიექტია საწარმოს პროცესები. ამასთანავე ბიზნეს-ინჟინერინგი უნდა განვიხილოთ არა როგორც ბიზნეს-პროცესების აღწერილობისა და ერთჯერადი გარდაქმნის ტექნოლოგია, არამედ როგორც კომპანიის რეგულარული მართვის ტექნოლოგია მისი ბიზნესმოდელის საფუძველზე. ბიზნეს-მოდელის მეშვეობით შესაძლებელია როგორც ორგანიზაციის, ისე რესურსების მართვა. გარემოზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელებით შესაბამისი ცვლილებები შედის ბიზნესმოდელში, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ორგანიზაციის მენეჯმენტი ცვლილებების მართვის ნაწილში.

დადგენილია, რომ სასურველი შედეგი მიიღწევა უფრო ეფექტიანად, როდესაც რესურსებს და საქმიანობის სახეებს ხელმძღვანელობენ როგორც პროცესს. თვით პროცესზე, როგორც კონკრეტული მართვის ობიექტზე, გადასვლის ფაქტი, უკვე ითვალისწინებს მისი დანიშნულებისა და მოხმარების განსაზღვრის რეზულტატს ორიენტირების თვალსაზრისით. პროცესები ადრეც არსებობდა (და ახლაც მიმდინარეობს საწარმოებში), მაგრამ საქმე ისაა, რომ ისინი არ ითვლებოდა მართვის ობიექტად. პრიორიტეტი ეძლეოდა საწარმოს აღწერილობის ფორმატებს, რომლებიც დაფუძნებულია ფუნქციონალურ სპეციალიზაციაზე, ანალიზის ობიექტები ხდებიან ფუნქციები. სისტემური, პროცესული მიდგომა კი ითვალისწინებს პროცესის სისტემის კომპანიის მიზნებთან და სტრატეგიასთან თანხვედრის მუდმივ ანალიზს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის გარდაქმნის ტექნოლოგიამ ცალკეული პროცესების ცვლილებების შესაბამისად, უნდა მოგვცეს პროცესების მთელი სისტემის დანახვის საშუალება. ეს სისტემა კი დაფიქსირებული უნდა იყოს კომპანიის საქმიანობის ელექტრონულ ბიზნესმოდელში.

ბიზნესმოდელით განისაზღვრება კომპანიის მისია. **მისიის** შემუშავების ეტაპზე განისაზღვრება კომპანიის დანიშნულება ბაზრის დაკმაყოფილების მიმართულებით, რაც კომპანიის ბიზნესპოტენციალის ფორმირების საშუალებას იძლევა. ბიზნესპოტენციალი — არის კომერციულ საქმიანობათა ნაკრები, რომელიც გამიზნულია ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ბიზნესპოტენციალი შერჩეული მიზნებისა და სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრავს კომპანიის **ფუნქციონალს** — ბიზნესფუნქციისა და მენეჯმენტის ფუნქციის ჩამონათვალს, რაც საჭიროა კომერციული საქმიანობის შენარჩუნებისათვის. გარდა ამისა, განისაზღვრება აუცილებელი რესურსები (მატერიალური, ადამიანური, საინფორმაციო) და კომპანიის სტრუქტურა. ამრიგად, ფორმირდება კომპანიის მმართველობითი რეგისტრები (პროდუქტები, ფუნქციები, ორგანიზაციული რგოლები და სხვა) იერარქიული კლასიფიკატორის სახით — შემდგომ, მატრიცული პროექციის მეშვეობით სხვადასხვა კლასიფიკატორის ელემენტების ერთმანეთთან მიმაგრების შედეგად ვიღებთ კომპანიის ინფორმაციული მოდელების ერთობლიობას.

**კომერციული პასუხისმგებლობის მატრიცა** ამაგრებს სტრუქტურული ქვედანაყოფის პასუხისმგებლობას კომერციული საქმიანობის რეალიზაციიდან კომპანიაში შემოსავლების მიღებაზე. მისი შემდგომი დეტალიზაციის საფუძველზე (ფინანსური პასუხისმგებლობის ცენტრების გამოყოფის გზით) მოხდება კომპანიის ფინანსური მოდელის აგება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საბიუჯეტო მართვის სისტემის დანერგვას.

**ფუნქციური პასუხისმგებლობის მატრიცა** აკავშირებს სტრუქტურული რგოლების და ცალკეული სპეციალისტების პასუხისმგებლობას ბიზნეს-ფუნქციების შესრულებისათვის კომერციული საქმიანობის რეალიზაციისას (შესყიდვა, წარმოება, გასაღება და სხვა), ასევე მენეჯმენტის ფუნქციებს, დაკავშირებულს ამ პროცესების მართვასთან (დაგეგმვა, აღრიცხვა, კონტროლი მარკეტინგის, ფინანსების, პერსონალის მართვის დარგში და სხვა). მისი შემდგომი დეტალიზაცია (ცალკეული თანამშრომლების პასუხისმგებლობის დონეზე) გვაძლევს საშუალებას მივიღოთ პერსონალის ფუნქციური მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს ერთობლიობაში უფლებების, მოვალეობების, რწმუნებების აღწერილობითი თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავებას.

ბიზნესპოტენციალის, ფუნქციონალის და პასუხისმგებლობათა შესაბამისი მატრიცების აღწერილობები

წარმოადგენს **სტატიკურ** აღწერილობას. ბიზნესმოდელირების ამ ეტაპზე ფორმირდება ფუძემდებლური შიგა საფირმო რეგლამენტები:

- საბაზო დებულება კომპანიის ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სტრუქტურის შესახებ;
- საქმიანობის ცალკეულ სახეობათა დებულებების პაკეტი (საფინანსო, მარკეტინგული, საწარმოო-ტექნიკური და სხვა).

ყოველივე ამას კომპანიის საქმიანობაში შეაქვს გამჭვირვალობა და მკაფიოდ მიჯნავს მენეჯერთა პასუხისმგებლობის ზონებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით კომპანიათა უმრავლესობაში საწარმოო თათბირებზე 80%-მდე დრო იკარგება იმის დადგენაზე, თუ ვინ არის ბრალეული, ვინ აგებს პასუხს ამა თუ იმ საკითხზე და ა.შ.

ბიზნესმოდელის შემდგომი განვითარება ხდება კომპანიის **დინამიური** აღწერილობის ეტაპზე პროცესული ნაკადური მოდელების დონეზე. ეს მოდელები აღწერენ კომპანიის მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების დროში გარდაქმნის თანამიმდევრულ პროცესს რომელიმე ბიზნესფუნქციის ანუ მენეჯმენტის ფუნქციის რეალიზაციის მიმდინარეობისას. ამასთანავე პირველ დონეზე აღიწერება პროცესების მონაწილეთა ურთიერთქმედების ლოგიკა, შემდეგ კი ცალკეული სპეციალისტების მუშაობის ტექნოლოგია თავიანთ სამუშაო ადგილებზე.

ორგანიზაციის ბიზნესმოდელირება მთავრდება მონაცემთა სტრუქტურის მოდელის შემუშავებით, რომელიც განსაზღვრავს პროცესების დოკუმენტების ჩამონათვალს და ფორმატებს. მოდელირება იწყება კომპანიის გარეშე გარემოსთან ურთიერთმოქმედების მოდელით. კომპანია, ერთი მხრივ, წარმოადგენს ბაზრის განუყოფელ ნაწილს, მეორე მხრივ,კი, კონკურენტულ ბრძოლაში იცავს თავის კომერციულ მიზნებს. ამასთანავე კომპანია მობილიზებას უკეთებს მთელ თავის შესაძლებლობებს, რათა აიძულოს ბაზარი, გაითვალისწინოს კომპანიის, როგორც თანასწორუფლებიანი მონაწილის ინტერესები.

ბაზარზე კომპანიის **მისიის** განსაზღვრისათვის აუცილებელია:

- იდენტიფიცირდეს ბაზარი, რომლის ნაწილს წარმოადგენს კომპანია;
- განისაზღვროს ბაზრის თვისებები (მოთხოვნები);
- განისაზღვროს ბაზრის დანიშნულება (მისია), გამომდინარე ბაზარზე მისი როლიდან (მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით).

ამრიგად, მისია წარმოადგენს ბაზრის სხვა მონაწილეებს შორის კომპანიის პოზიცირების რეზულტატს, ამასთანავე იგი კომპრომისია, ერთი მხრივ, ბაზრის მოთხოვნასა და მეორე მხრივ, ამ ინტერესების დასაკმაყოფილებლად კომპანიის შესაძლებლობებსა და სურვილს შორის.

კომპანიის მისიის შემუშავებისათვის აუცილებელია:

1. აღწერილი იქნას კომპანიის კონკურენტუნარიანობის ბაზისი – კომპანიის განმასხვავებელი მახასიათებლების ნაკრები:
   - ობიექტისათვის – ეს არის ათვისებული ტექნოლოგიების უნიკალობა და კომპანიის კუთვნილებაში არსებული რესურსები (მატერიალური, ფინანსური, საინფორმაციო, ადამიანური)
   - სუბიექტისათვის – ეს არის პერსონალის ცოდნა და უნარი, ასევე მენეჯერების ჩვევები და გამოცდილება.

   ასეთი აღწერილობა იძლევა წარმოდგენას კომპანიის საქმიანობის შესაძლო სფეროზე, რომელშიც მას ექნება ძლიერი კონკურენტული პოზიციის დაკავების იმედი. ეს იქნება ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი ჩამონათვალი, რითაც კომპანია შეეცდება ბაზრის დაკმაყოფილებას.
2. უნდა განისაზღვროს აღნიშნულ სოციალურ მოთხოვნებზე გადახდისუნარიანი მოთხოვნილებების არსებობა, კონკურენტების მიერ მათი დაკმაყოფილების დონე;
3. დადგინდეს პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან კომპანიის საქმიანობაზე მოქმედი დამატებითი და უარყოფითი ფაქტორები;
4. მოხდეს შერჩეული საქმიაობის სფეროში ტექნოლოგიის განვითარების პერსპექტივის შეფასება;
5. გაირკვეს შესაძლო მხარდაჭერა ან წინააღმდეგობები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სოციალური მოძრაობების მხრიდან;
6. შეფასდეს მოსალოდნელი დანახარჯების რიგით და გათვალისწინებული შემოსავლების დონე, შედარდეს ეს ძირითადი ბიზნესმაჩვენებლების მოლოდინს (რენტაბელობის დონე, ბიზნესის სიმყარე, ზრდის შესაძლო დინამიკა, განვითარების პერსპექტივა და ა.შ.);
7. აღნიშნული ოპერაციების სხვადასხვა მიმდევრო-

ბით მრავალგზის გამეორებისა და პრობლემის ყოველმხრივი კუთხით განხილვის შემდეგ პასუხი უნდა გაიცეს მთავარ კითხვას: შეიძლება თუ არა მიღწეული იქნას ყველა მხარისათვის მისაღები კომპრომისი. დადებითი პასუხის შემთხვევაში ფორმირებული იქნება საწარმოს მისია ქვემოთ მოყვანილი სქემით.

მისია ფართო გაგებით წარმოადგენს კომპანიის საქმიან კონცეფციას, რაც განსაზღვრავს კომპანიის სხვა სუბიექტებთან ურთიერთობას. კერძოდ, მასში ნაჩვენები იქნება:

- რას მიიღებს დამკვეთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;
- ვინ, რისთვის და როგორ შეძლებს გამოვიდეს კომპანიის პარტნიორად;
- კონკურენტებთან დამოკიდებულების აწყობა (კერძოდ, როგორია მზადყოფნა დროებით კომპრომისებზე წასვლისა);
- რას მიიღებენ ბიზნესისაგან მესაკუთრე და აქციონერები;
- რას მიიღებენ ბიზნესისაგან კომპანია და მენეჯერები;
- რას მიიღებს პერსონალი კომპანიისაგან;
- რაში გამოიხატება თანამშრომლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
- როგორ აიგება კომპანიის დამოკიდებულება სახელმწიფოსთან.




ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გარდა რეინჟინირინგისა, ცვლილებების მართვის ერთ-ერთ საბაზო ტექნოლოგიას წარმოადგენს **კომპანიის რესტრუქტურიზაცია**. ეს არის ცვლილებების მართვა საბაზრო კონიუნქტურის შეცვლის ზემოქმედებიდან გამომდინარე. მის მიზანს შეადგენს ორგანიზაციულ-ფუნქციონალური მოდელისა და მისი სტრატეგიის (პირველ რიგში პროდუქტიული) ოპტიმალური შესაბამისობის შენარჩუნება.

სწრაფადცვალებად ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მიღების სურვილი კომპანიას აიძულებს მუდმივად გარდაქმნას თავისი საქმიანობა. მიზეზი შეიძლება იყოს ბაზარზე ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების გაყვანა, ამისათვის შეიძლება საჭირო გახდეს ახალი ქვედანაყოფების შექმნა. ასეთივე ამოცანა დგება სხვა რეგიონებში ახალ ბაზრებზე გასვლისას, ახალი გასაღების წერტილების შექმნისას. პროცესების გარდაქმნა შეიძლება ინიცირებული იყოს თვით კლიენტებისაგან, კლიენტების საქმიანობასთან საკუთარი მაჩვენებლების შედარებისას და ხარისხის მენეჯმენტის სფეროში პროცესების ანალიზის გაკეთებისას.

კომპანიას მიმდინარე სტრატეგიის შესაბამისად აქვს თავისი ორგანიზაციულ-ფუნქციონალური მოდელი ანუ ძველი ტერმინით რომ ვთქვათ, ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურა თავისი რგოლებით, ფუნქციებით – გამომდინარე ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქტის წარმოებიდან.

კონიუნქტურის შეცვლა წარმოშობს პერსპექტიულ სტრატეგიას. შესაბამისად წარმოიქმნება ახალი ნაკრები პროდუქტებისა და ფუნქციებისა, რაც ფორმირებას უკეთებს ხვალინდელი დღის ორგანიზაციულ-ფუნქციურ მოდელს. ეს ნიშნავს იმას, რომ რესტრუქტურიზაცია, როგორც კომპანიის განვითარების ფორმა, წარმოადგენს არსებული მოდელიდან პერსპექტიულ ორგანიზაციულ-ფუნქციურ მოდელზე გადასვლის პროგრამას. ასეთი პროგრამა ძირითადად მოიცავს ფუნქციების, რგოლების გაფართოება-შემცირების, შერწყმა-დაყოფის, ასევე პასუხისმგებლობის ზონების განაწილების საკითხებს.

ასე რომ საწარმოში უწყვეტად მიმდინარეობს პროცესების ცვლილებები. ამიტომ „ბიზნეს-ინჟინერინგი" შეიძლება განხილულ იქნეს არა როგორც ტექნოლოგიის აღწერილობა, არამედ როგორც კომპანიის რეგულარული მართვის ტექნოლოგია მისი ბიზნესმოდელის საფუძველზე. ამიტომ ბიზნეს-ინჟინერინგი შეიძლება იქცეს მენეჯმენტის სხვა ქვესისტემების ინტეგრაციის გარემოდ. საწარმოთა მოდელები უნდა იქცეს საწარმოთა ინფორმაციული სისტემის განუყოფელ ნაწილად, რათა მენეჯერებს

შეეძლოთ აწარმოონ დაკვირვება ბიზნესის ორგანიზაციის, ასევე მისი გარდაქმნის სურათზე. ამიტომ მოდელირების ტექნოლოგია, პროგრამული საშუალებების გამოყენება, როგორც მართვის პრაქტიკული ინსტრუმენტისა, გათვლილი უნდა იყოს „საშუალო" მენეჯერებზე და არა მხოლოდ მეცნიერებაზე, რომლებიც დაკავებული არიან სისტემური ინტეგრაციით.

გარდა ამისა, მოდელირების შედეგები და პროცესების რეალიზაციის ახალი წესები ხელშესახები და გასაგები უნდა იყოს პერსონალისათვის. ეს ნიშნავს იმას, რომ თანამშრომლისათვის, რომელიც ასრულებს განსაზღვრულ როლს პროცესში, ცნობილი და გასაგები უნდა იყოს არა მარტო მისი საქმის შინაარსი, არამედ მთელი პროცესის შინაარსი და განხორციელების წესები, ასევე მისი ამოცანის კავშირი ორგანიზაციის ამოცანებთან და მიზნებთან. ამით ნათელი გახდება საწარმოს თითოეული თანამშრომლის როლი კოლექტივის მთელი საქმიანობის სისტემაში.

## ლიტერატურა:


1. С. Горелик - Бизнес-инжиниринг и управление организационным развитием. www.big.spb.ru/publications/busengorg.shtml
2. www.big.spb.ru. Сравнительный анализ инструментальных средств бизнес-инжиниринга
3. www..ru.wikipedia.org./wiki. Бизнес-моделирование
4. В.Г.Медынский. Инновационный менеджмент. Москва.2008
5. რ. ქუთათელაძე, ლ. გვაჯაია. ბიზნეს-ინჟინერინგი – ბიზნეს-პროცესების მართვის საშუალება. ჟ. „ბიზნეს-ინჟინერინგი". 2012 №2(3).


***Rusudan Kutateladze, Luara Gvadjaia***

## SUMMARY


The article deals with the issues of business - management, engineering importance of the introduction of modern technology. From the current stage is shown managerial development of thinking process: from reengineering - radical reorganization of business method to more advanced method - «Business - engineering» transition. It refers connection to the science of engineering with creating business systems - process design and management.

The main place has been attached to the business - processes modeling, business - potential forming and the defining features of the company's commercial and functional responsibilities, financial models, personnel functions, and duties, basic indoor - forming of trade regulations.

The article described developing the necessary requirements of the company mission. With the broad understanding of the company's mission it represents the business conception, which defines the relationship between the various entities. Also, there is a definite change management allocates one - a basic technology - company restructuring, which is due to the need to achieve a competitive advantage in the rapidly changing market for transformation.

# BUSINESS ENGINEERING AND BUSINESS PROCESS REENGINEERING

***Tinatin Mshvidobadze***
***Gori University***

Business Engineering is an interdisciplinary field of engineering that focuses on how complex businesses should be designed and managed.

Business engineering circumscribes the domain of designing new business fields. Unlike business development, business engineering does not only include marketing related tasks, but also most of the other business administration tasks. Financial and operational tasks are of equal importance, for example.

Business engineering includes all activities that are necessary to develop and maintain an independent line of business. It is comparable with starting a business, but includes the novel component. That means that there is no core market yet and market opportunities need to be created. Most likely, the output of business engineering substitutes known forms of supply, in existing markets.

Therefore business engineering aims to establish new, future oriented forms of businesses but with reference to existing or emerging needs. Business engineering is most likely related with the area of future technology. To abstract it, business engineering combines the establishment of a completely new business in a prospect business environment[1].

**Business Process Modeling** (BPM) in systems engineering is the activity of representing processes of an enterprise, so that the current process may be analyzed and improved. BPM is typically performed by business analysts and managers who are seeking to improve process efficiency and quality. The process improvements identified by BPM may or may not require Information Technology involvement, although that is a common driver for the need to model a business process, by creating a process master.

Change management programs are typically involved to put the improved business processes into practice. With advances in technology from large platform vendors, the vision of BPM models becoming fully executable (and capable of simulations and round-trip engineering) is coming closer to reality every day.

**Business model.** A business model is a framework for creating economic, social, and/or other forms of value. The term 'business model' is thus used for a broad range of informal and formal descriptions to represent core aspects of a business, including purpose, offerings, strategies, infrastructure, organizational structures, trading practices, and operational processes and policies.

In the most basic sense, a business model is the method of doing business by which a company can sustain itself. That is, generate revenue. The business model spells-out how a company makes money by specifying where it is positioned in the value chain.

**Business process.** A business process is a collection of related, structured activities or tasks that produce a specific service or product for a particular customer or customers. There are three main types of business processes:

- Management processes, the processes that govern the operation of a system. Typical management processes include «Corporate Governance» and «Strategic Management».
- Operational processes, processes that constitute the core business and create the primary value stream. Typical operational processes are Purchasing, Manufacturing, Marketing, and Sales.
- Supporting processes, which support the core processes. Examples include Accounting, Recruitment, Technical support.

A business process can be decomposed into several sub-processes, which have their own attributes, but also contribute to achieving the goal of the super-process. The analysis of business processes typically includes the mapping of processes and sub-processes down to activity level. A business process model is a model of one or more business processes, and defines the ways in which operations are carried out to accomplish the intended objectives of an organization. Such a model remains an abstraction and depends on the intended use of the model. It can describe the workflow or the integration between business processes. It can be constructed in multiple levels.

A workflow is a depiction of a sequence of operations, declared as work of a person, work of a simple or complex mechanism, work of a group

of persons[2]. work of an organization of staff, or machines. Workflow may be seen as any abstraction of real work, segregated in work share, work split or whatever types of ordering. For control purposes, workflow may be a view on real work under a chosen aspect.

**Business process reengineering.** Business process re-engineering is the analysis and design of workflows and processes within an organization. According to Davenport (1990) a business process is a set of logically related tasks performed to achieve a defined business outcome. Re-engineering is the basis for many recent developments in management. The cross-functional team, for example, has become popular because of the desire to re-engineer separate functional tasks into complete cross-functional processes. Also, many recent management information systems developments aim to integrate a wide number of business functions. Enterprise resource planning, supply chain management, knowledge management systems, groupware and collaborative systems, Human Resource Management Systems and customer relationship management.

Business process re-engineering is also known as business process redesign, business transformation, or business process change management.

Business process re-engineering (BPR) began as a private sector technique to help organizations fundamentally rethink how they do their work in order to dramatically improve customer service, cut operational costs, and become world-class competitors. A key stimulus for re-engineering has been the continuing development and deployment of sophisticated information systems and networks. Leading organizations are becoming bolder in using this technology to support innovative business processes, rather than refining current ways of doing work[3] .

Reengineering guidance and relationship of Mission and Work Processes to Information Technology.

Business Process Re-engineering (BPR) is basically the fundamental re-thinking and radical re-design, made to an organization's existing resources. It is more than just business improvising.

It is an approach for redesigning the way work is done to better support the organization's mission and reduce costs. Reengineering starts with a high-level assessment of the organization's mission, strategic goals, and customer needs.

Re-engineering recognizes that an organization's business processes are usually fragmented into sub processes and tasks that are carried out by several specialized functional areas within the organization. Often, no one is responsible for the overall performance of the entire process. Re-engineering maintains that optimizing the performance of sub processes can result in some benefits, but cannot yield dramatic improvements if the process itself is fundamentally inefficient and outmoded. For that reason, re-engineering focuses on re-designing the process as a whole in order to achieve the greatest possible benefits to the organization and their customers. This drive for realizing dramatic improvements by fundamentally re-thinking how the organization's work should be done distinguishes re-engineering from process improvement efforts that focus on functional or incremental improvement. (Fig.1).




**Fig.1. Business Process Re-engineering Cycle**

In 1990, Michael Hammer, a former professor of computer science at the Massachusetts Institute of Technology (MIT), published an article in the Harvard Business Review, in which he claimed that the major challenge for managers is to obliterate non-value adding work, rather than using technology for automating it[4]. This statement implicitly accused managers of having focused on the wrong issues, namely that technology in general, and more specifically information technology, has been used primarily for automating existing processes rather than using it as an enabler for making non-value adding work obsolete.(Fig.2).




**Fig.2. Reengineering guidance and relationship of Mission and Work Processes to Information Technology**

Hammer's claim was simple: Most of the work being done does not add any value for customers, and this work should be removed, not accelerated through automation. Instead, companies should reconsider their processes in order to maximize customer value, while minimizing the consumption of resources required for delivering their product or service. A similar idea was advocated by Thomas H. Davenport and J. Short in 1990, at that time a member of the Ernst & Young research center, in a paper published in the Sloan Management Review.

This idea, to unbiased review a company's business processes, was rapidly adopted by a huge number of firms, which were striving for renewed competitiveness, which they had lost due to the market entrance of foreign competitors, their inability to satisfy customer needs, and their insufficient cost structure. Even well established management thinkers, such as Peter Drucker and Tom Peters, were accepting and advocating BPR as a new tool for (re-)achieving success in a dynamic world. During the following years, a fast growing number of publications, books as well as journal articles, were dedicated to BPR, and many consulting firms embarked on this trend and developed BPR methods. However, the critics were fast to claim that BPR was a way to dehumanize the work place, increase managerial control, and to justify downsizing, i.e. major reductions of the work force, and a rebirth of Taylorism under a different label.

Despite this critique, reengineering was adopted at an accelerating pace and by 1993, as many as 65% of the Fortune 500 companies claimed to either have initiated reengineering efforts, or to have plans to do so. This trend was fueled by the fast adoption of BPR by the consulting industry, but also by the study Made in America, conducted by MIT, that showed how companies in many US industries had lagged behind their foreign counterparts in terms of competitiveness, time-to-market and productivity.

**The role of information technology.** Information technology (IT) has historically played an important role in the reengineering concept[5]. It is considered by some as a major enabler for new forms of working and collaborating within an organization and across organizational borders.

Early BPR literature identified several so called disruptive technologies that were supposed to challenge traditional wisdom about how work should be performed.

- Shared databases, making information available at many places;
- Expert systems, allowing generalists to perform specialist tasks;
- Telecommunication networks, allowing organizations to be centralized and decentralized at the same time;
- Decision-support tools, allowing decision-making to be a part of everybody's job;
- Wireless data communication and portable computers, allowing field personnel to work office independent;
- Interactive videodisk, to get in immediate contact with potential buyers;
- Automatic identification and tracking, allowing things to tell where they are, instead of requiring to be found;
- High performance computing, allowing on-the-fly planning and revisioning.

In the mid 1990s, especially workflow management systems were considered as a significant contributor to improved process efficiency. Also ERP (Enterprise Resource Planning) vendors, such as SAP, JD Edwards, Oracle, PeopleSoft, positioned their solutions as vehicles for business process redesign and improvement.

**Research and methodology.** Although the labels and steps differ slightly, the early methodologies that were rooted in IT-centric BPR solutions share many of the same basic principles and elements. The following outline is one such model, based on the PRLC (Process Reengineering Life Cycle) approach developed by Guha.

Simplified schematic outline of using a business process approach, exemplified for pharmaceutical R&D:

1. Structural organization with functional units;
2. Introduction of New Product Development as cross-functional process;
3. Re-structuring and streamlining activities, removal of non-value adding tasks.

Benefiting from lessons learned from the early adopters, some BPR practitioners advocated a change in emphasis to a customer-centric, as opposed to an IT-centric, methodology. One such methodology, that also incorporated a Risk and Impact Assessment to account for the impact that BPR can have on jobs and operations, was described by Lon Roberts (1994) [citation needed]. Roberts also stressed the use of change management tools to proactively address resistance to change—a factor linked to the demise of many reengineering initiatives that looked good on the drawing board.

Some items to use on a process analysis checklist are: Reduce handoffs, Centralize data, Reduce delays, Free resources faster, Combine similar activities. Also within the management consulting industry, a significant number of methodological approaches have been developed.

**Simplified schematic outline of using a business process approach.** Reengineering has earned a bad reputation because such projects have often resulted in massive layoffs. This reputation is not altogether unwarranted, since companies have often downsized under the banner of re-engineering. Further, reengineering has not always lived up to its expectations. The main reasons seem to be that:

Reengineering assumes that the factor that limits an organization's performance is the ineffectiveness of its processes (which may or may not be true) and offers no means of validating that assumption. Reengineering assumes the need to start the process of performance improvement with a «clean slate,» i.e. totally disregard the status quo. According to Eliyahu M. Goldratt (and his Theory of Constraints) reengineering does not provide an effective way to focus improvement efforts on the organization's constraint.

## References:


1. Jeroen W. van Meel and Henk G. Sol (1996). «Business Engineering: Dynamic Modeling Instruments for a Dynamic World «. In: Simulation & Gaming, Vol. 27, No. 4, 440-461 (1996).
2. See e.g., ISO 12052:2006.
3. Business Process Reengineering Assessment Guide, United States General Accounting Office, May 1997.
4. Williams, S. (1987) «Business Process Modeling Improves Administrative Control,» In: Automation. December, 1987, pp. 44 - 50.
5. Brian C. Warboys (1994). Software Process Technology: Third European Workshop EWSPT'94, Villard de Lans, France, February 7–9, 1994 : Proceedings. p. 252.


## რაზიუმე:


ნაშრომში მოცემულია დიზაინი ბიზნეს ინჟინერინგის. ბიზნეს ინჟინერინგი არის უნიკალური მართვა ტექნოლოგიით, რომელიც ეფუძნება პრაქტიკულ მეცნიერებას და აწარმოებს გაზომვად შედეგებს მთელი თქვენი ბიზნესის მასშტაბით.

ნაჩვენებია ბიზნეს პროცესების რეინჟინერინგი, რომელიც ცნობილია როგორც ბიზნეს პროცესების რედიზაინი, ბიზნესის ტრანსფორმაცია, ან ბიზნეს პროცესების ცვლილების მართვა.


## SUMMARY


The paper is given design business engineering. Business engineering is a unique management technology or style which is based on practical science and produces measurable results across your entire business.

Is shown business process reengineering, which is known as business process redesign, business transformation, or business process change management.

# INNOVATIVE DEVELOPMENT OF EDUCATION AND SCIENCE IN KAZAKHSTAN

***Suleimenov Zh. Zh., PhD, Professor***
***The Republic of Kazakhstan***
***Kazakh National Agrarian University***

In a message to the President of Kazakhstan on January 27, 2012 noted that «the agrarian sector of Kazakhstan has great export potential and high potential for innovation. Need for food every year in the world will increase. We miss this opportunity can not». At the same time the Head of State Nursultan Nazarbayev has paid particular attention to the need to create an innovative system in the country, based on close cooperation between the state, business and science.

The importance of decision this problem is exacerbated formed gap between the positions of Kazakhstan in groups of indicators of the Global Competitiveness Index of the World Economic Forum (WEF). According to the Global Competitiveness Report 2010-2011 Kazakhstan in the composite ranking of the WEF takes 72 place, while the factor of «Innovation» - 116th place. This is largely due to the performance gap «Cooperation between universities and industry in research activities» - 119 position and level of education- 65.

Needs of the agricultural sector significantly exceed the investment project, designed in accordance with international norms and standards clearly define the risk of investment. Today, banks are willing to invest only in the comprehensive sound projects, and they are almost there, so as not institutionalized interactions in the triad of «science, education and production», based on the standards of project management.

These above-mentioned problems are the consequence of the lack of effective communication between the structures of education, science and industry, on the one hand, and potential investors - on the other. The key to solving them is the organization of interactions with the integration of the university in a business environment based on the standards of project management with the use of modern communications.

Our University has become a center of attraction for the association of interested parties, and has the leading position in the field of agricultural education and science in the country. Innovative achievements of the university scientists have been universally recognized. During the work on the transformation of the university in research, we came to the conclusion that without the integration of the most important aspects of the overall progress is not achieved. Therefore, in the words of the President of Kazakhstan, we saw for ourselves the direct message and initiate the promotion of integration, a clear sense of goals and objectives. Using the new opportunities offered by the state in 2010, our university has begun to transform the National Research University. Today, we already have the status of the university-based innovation.

The scientific activity of the University seeks to develop competitive scientific and technological products in the field of agriculture and crop production, plant protection and quarantine, water, forest, fisheries, animal husbandry, veterinary science, mechanization, processing and storage of agricultural products, agricultural economy, the basis of industrial-innovative development of industries agriculture.

University scientists perform basic and applied research programs of the Ministry of Education and Science, the Ministry of Agriculture of the Republic of Kazakhstan and the World Bank more than 1 billion KZT and applied in production of more than 100 completed projects.

University was able to focus its resources and, in effect, became the core of education, science, innovation, rapid development of the agricultural sector, the real impact on the country's competitiveness in the industry. Applying international standards of project management and process approaches to the organization of the university, we have defined the mission, vision, objectives, aimed at implementing the strategy of the university. Identified five priorities, the main phase of development, introduced the definition – «Steps» and «Marks». All of these instruments are subject to realization of the goal of transformation.

Under the first priority «Intensive development of intangible assets» - a team of management transformation process is formed. Optimize the

organizational structure of the university, to enlarge the faculties and departments, a new department of strategic development of the functions of the office of project management.

Departments that are most ready for change, received the status of pilot ones, others attributed to pre-pilot and to a pre-pilot. The aim pursued by the pilot departments become innovative type that is to conduct fundamental and applied research, create additional sources of funding, to develop academic mobility, etc.

Pilot Department has re-evaluated their capabilities, develop a road map. These departments are using competency-based approach of modular training, diversify curricula and programs in line with the world trend of higher and postgraduate education, and improve Institute of advisors and mentors.

The university implemented rating system, differentiated pay and reserve formation of teaching staff.

Under the second priority Agricultural Research and Production Consortium acts which involved pilot departments in the real business projects.

To date, sought to build a pipeline of innovative projects, signed the agreement on the introduction of the first group of these developments with the SEC and the Office of Agriculture and animal husbandry, veterinary science, horticulture, fodder production to the tune of 135 million KZT. Funding will begin in the second quarter of this year.

We developed a new author's course «Preparation agribusiness environment to accept innovations in project management».

We can assist you in training to meet the current level of industrial-innovative development of the agricultural sector, organized counseling centers for businesses. We can conduct a "Farm Hour" for manufacturers to consider current problems of agricultural development to answer the burning questions and assist farmers in solving the problems in the on-line without discontinuing work.

The third priority is «dynamic entry into the international scientific and educational space». An initiative of the University with the support of partner universities and research centers in 70 countries have successfully developed the International Consortium for Research and Education, in which scientists of the University together with foreign colleagues are conducting research on global issues related to biological resources and environmental management. The International Seminar, which was held in November last year at the university, held a video conference in the mode of on-line «Global class: Communication with partner institutions». Opening of the international centers of excellence of academic mobility «Center of Excellence» took place.

Only in 2011, the University of the National Budget allocated 150 thousand U.S. dollars for the implementation of the academic semester, undergraduates and doctoral students at a foreign partner institution. In the first semester of the current academic year, the university held classes 45 foreign scientists. The second half of another 60 invited scientists.

Regarding the fourth priority «Development of educational and scientific infrastructure» at the university is working related to the development of agricultural service yard thirty-one research laboratory and four innovation centers.

The centers should increase funding of research projects in 2011, compared with the previous year several times.

One of the important results of this activity is the first domestic harvester «Қазақстандық-1M» does not concede a global peer in technical characteristics.

Developed scientific and innovative infrastructure allows the university research globally. Thus, our scientists together with foreign colleagues are being developed by:

- Sensing soil structure using space technologies;
- The creation of new animal breeds and plant varieties to the applications of genetic engineering;
- Problems of reconstruction and rehabilitation of the Aral Sea and the other; Formation of effective market system - the basis of industrial-innovative development of the country agriculture.

Presence of over 150 innovative patents, more than 70 articles in journals with high impact factor included in the database Web of Sciences (Thomson Reuters), Scopus, Springerlink is recognition of the international level of our University researchers. Magazine titles speak for themselves: Molecular and Cell Biology, Journal of Physical Chemistry, Nucleic Acids Research, Journal of American Chemical Sciences and so on.

In turn, our scientists to provide free access to the world's information resources, with over 30-thousand journals recognized by the scientific community.

It should be noted that the creation of the Common Economic Space with Russia, Kazakhstan and Belarus, and the entry of Russia and Kazakhstan

to the WTO will open the domestic market of the Customs Union for the penetration of a wide variety of agricultural and food products, food products from third countries. It is no secret that these products often do not meet established standards. In this regard, especially important to assess the quality of imported agricultural products.

Therefore, the university established the Kazakhstan-Japanese innovation center. Laboratory of the Centre with modern equipment from world producers, quickly and reliably assess the quality of agricultural produce and products.

The scientific community has the opportunity to co-creation with our scientists with opportunities Kazakhstan-Japan and other innovation centers and laboratories.

Under the fifth priority «Formation motivated contingent of students» we provide training, tailored to the needs of agribusiness, food security and development of industrial science of Kazakhstan. University provides targeted training masters and doctoral PhD. For the second year is the best selection of students for admission to graduate school. Active Professional orientation and case competitions in all regions can attract a Minor Academy for university study in the most talented graduates.

This year, the transformation of the University entered its second phase. We identified nine major milestones of this phase, in the further development of strategic priorities.

We have developed and adopted the concept of an e-university, a fully electronic workflow runs. Work is underway to create an information service center enrolled in the «single window». This supports student to solve problems of teaching to the social and living.

Special course is designed to train university staff to transform the department in innovation-driven department.

Implementation of the task allow us to expand the integration of science and industry at the international level, to create conditions for the commercialization of intellectual property and technology, improve the competitiveness of human resources and to conduct fundamental and applied research at a higher level of quality.

Regions of the country have shown a serious interest in innovative developments of scientists of KazNAU:

- Creation of new agricultural technology;
- adaptive technologies of cultivation of promising oil crops in crop rotation crop rotation to ensure the preservation and reproduction of soil fertility, increase productivity and yield of seeds in the south-east of Kazakhstan;
- Technology for integrated growth regulators and fertilizers for accelerated growth for planting berries;
- Biotechnology crustacean Artemia breeding in ponds for Feeders in growing larvae of valuable and threatened species of fish (sturgeon, salmon, carp, etc.) that contribute to increasing the range of food products and the saturation of the market with new products of fishery;
- Growing technology planting material of horticultural crops;
- The creation of new types and factory lines of domestic fat-tailed sheep, which at 4 months of age can have up to 20-22 kg clean mutton;
- Installation and drying technology of fruits, berries, vegetables and herbs from renewable energy sources, which creates an ideal temperature for drying and adequate air circulation due to thermal convection, significantly accelerating the drying time;
- Water saving irrigation technology of rice in rice system Kyzylorda region, providing favorable conditions for the formation of high-yield rice 60 quintals per hectare or more;
- Project Management for the effective use of assets of SEC;
- The formation of cooperation and integration of structures (clusters) in the agricultural sector.

For these and other innovative, environmentally friendly and resource-saving technologies made contracts to implement them into production. In order to create a unified information environment of the University and the consortium is working to develop a portal «AgroDamu» www.agrodamu.kz which will have the ability to search all the information from «A» to «Z» for representatives of agribusiness, science and education. Today is an important time savings and efficiency information, and specifically designed to partner enterprises Internet resources can not only quickly locate the area of scientific and educational services, and promote mutually beneficial projects of enterprises and universities and to keep «abreast» the world's most innovation and technology. In conclusion a mechanism for improving the integration of education, science and industry, can be regarded as one of the priorities, aimed at training highly qualified professionals that meet the needs of the market in the innovation economy.

# ეკონომიკური თეორიის სწავლების პრობლემები საქართველოს უნივერსიტეტებში

*ალექსანდრე სიჭინავა, სტუ-ს სრული პროფესორი*
*დალი სეხნიაშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

ეკონომიკური თეორია უშუალოდ სამეურნეო პოლიტიკაში გამოსაყენებელი მზა რეცეპტების კრებული არ არის. ის ინტელექტუალური ინსტრუმენტი, აზროვნების ტექნიკაა. მისი ფლობა ყველას ეხმარება სწორი დასკვნების გამოტანაში.

**ჯონ მეინარდ კეინზი**

ჰარვარდის უნივერსიტეტი აშშ-ის მმართველობითი, საფინანსო და ეკონომიკური ,,ელიტის" მომზადების ციტადელია. სტუდენტებმა 2011 წლის ნოემბერში დემონსტრატიულად დატოვეს მიკრო და მაკროეკონომიკის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახელმძღვანელოს ავტორის გრიგორი მენქიუს ლექცია და საზოგადოებრიობას მიმართეს განცხადებით, სადაც აღნიშნეს, რომ პროფესორის სალექციო კურსი არ ასახავს თანამედროვე რეალიებს და არ იძლევა საკმარის ბაზას იმისათვის, რომ გაგებულ იქნას საზოგადოების ცხოვრებისა და სოციალური პრობლემების ეკონომიკური საფუძვლები. სტუდენტებმა პროტესტი გამოთქვეს იმის გამოც, რომ ეკონომიკსი იქცა სოციალური უთანასწორობის აპოლოგეტად, რომ ის იცავს არსებულ საფინანსო–საკრედიტო სისტემას, ასაბუთებს უმაღლესი განათლების კომერციალიზაციის აუცილებლობას, ხელს უწყობს ეკონომიკური უთანასწორობის წარმოშობას და აყალბებს 2007 წელს დაწყებული ფინანსური კრიზისების ნამდვილ მიზეზებს [1]. გრეგორი მენქიუს ,,ეკონომიქსი" 2003 წელს იგნობელის[1] (,,შნობელის", ანტინობელის) პრემიაზე იყო წარდგენილი. იგნობელის პრემია ენიჭება ყველაზე დაბალი დონის ნაშრომებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსგავს საპროტესტო ქმედებებს სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ისინი ასეთი მასობრივი არ ყოფილა და, თანაც, უპირატესად, პერიფერიულ უნივერსიტეტებში ხდებოდა. მაგ., 2003 წელს თელავივის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის კურსდამთავრებულმა ჰაგაი კოტმა განაცხადა, რომ ,,ჩვენ გვაწვდიან მეცნიერებას კოვზით და ელოდებიან, რომ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ჩვენ მას განვახორციელებთ. მაგრამ ასეთ სისტემას მძიმე შედეგები მოაქვს. ეცნობა რა ერთადერთ ეკონომიკურ მიდგომას, სტუდენტს შესაძლოა ეგონოს, რომ სხვა სახის მიდგომა საერთოდ არ არსებობს და რომ იგი ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებას სწავლობს. კრიტიკული განსჯისა და დამოუკიდებელი აზროვნების გარეშე სტუდენტს არ შეეძლება მომავალში პრობლემების გადაჭრის ინსტრუმენტების შემუშავება. იმ პრობლემების, რომლებიც არ უსწავლია სკოლაში ან ისეთების, რომლებიც თეორიას ჯერაც არ შეუსწავლია" [2]. ამ გამოსვლამ შოკში ჩააგდო პროფესორები და მასწავლებლები, მასმედიამ კი ეკონომიკური განათლების ნამდვილი სახის წარმოჩინებად მონათლა ეს ფაქტი.

მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში მსოფლიო ფინანსური ოლიგარქია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკურ განათლებას, როგორც საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების წესს. ეკონომიკური განათლება ორ არათანასწორ ნაწილად იქნა გაყოფილი. ერთი ნაწილია ფინანსური ელიტის ,,სათითაოდ" მომზადება, რომლებსაც ასწავლიდნენ ფინანსებისა და ბიზნესის საიდუმლოებებს. ესენი არიან ე.წ. ,,ეკონომიკური მეპატრონეები". მეორე ნაწილი – სხვა დანარჩენების მასობრივი მომზადება, ე.წ. ,,კლერკების ეკონომიკა". ამ უკანასკნელის სასწავლო კურსების 10%-ს შეადგენდა ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი გამოყენებითი დისციპლინები, 90%-ს კი სხვადასხვა სახის ,,იდეოლოგიური მეცნიერებები". მათ შორის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური დისციპლინაა ,,ეკონომიქსი".

აღსანიშნავია, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტების პროტესტი არის ეკონომიკური განათლების სისტემის კრიზისის გამოვლინება. დღეს მეტად რთულია იმის თუ როგორაა მოწყობილი თანამედროვე „ეკონომიკა" და „ბაზარი", რა არის „ფული" და „ბანკები", რა არის ეკონომიკური, საფინანსო და საბანკო კრიზისის მიზეზები. ამისათვის უნდა მოვშორდეთ „ანბანს", რომელსაც წერდნენ „პროფესიონალი ეკონომისტები" საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების კარნახით. რადგანაც აღნიშ-

[1] იგნობელის, ანტინობელის,შნობელის პრემია (ინგლ. Ig Nobel Prise, სიტყვიდან ignoble-,,სამარცხვინო"). პრემია დაწესებულია მარკ აბრახამსონის მიერ 1991 წელს

ნული სახელმძღვანელოების დამკვეთები სწორედ ის მევახშეები არიან, რომლებიც მართავენ ამ სამყაროს. კაპიტალიზმის დამკვიდრებასთან ერთად დაიწყო ეკონომიკის „სახეცვლილების“ ეტაპი. ყველასთვის ცნობილია, რომ სიტყვა „ეკონომიკა“–ს არსია „მეურნეობის მოწყობა“, ანუ ადამიანის საქმიანობა, რომელიც საქონელსა და მომსახურებაზე ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ხორციელდება. რამდენიმე საუკუნის წინ ეკონომიკა შეცვალა „ქრემატისტიკამ“, რაც ბერძნულად „მარაგების დაგროვების ხელოვნება“–ს ნიშნავს. ეს ტერმინი თავდაპირველად არისტოტელემ (ძვ. წ. აღ–ით მე–4 ს.) გამოიყენა. იგი ორი სახის ქრემატისტიკას განასხვავებდა, კერძოდ: 1. მარაგების დაგროვებას, რაც საჭიროა ნორმალური მეურნეობრიობის წარმართვისათვის (ეკონომიკა); 2. მარაგების დაგროვება, რომელიც საჭირო მოთხოვნილებებს სჭარბობს.

ამასთან, არისტოტელე აღნიშნავდა, რომ საჭირო მოთხოვნილებებზე მეტი მატერიალური მარაგების დაგროვებას გარკვეული საზღვრები აქვს. ასეთი მარაგები ფუჭდება, მათ შენახვას ადგილი და ხარჯები სჭირდება, ის შესაძლოა მოიპარონ ან განადგურდეს და ა.შ. ასე რომ ასეთი მარაგების უსაზღვრო დაგროვება მხოლოდ ზარალს და საზრუნავს ჰმატებს ადამიანს.

თუმც, ეს დასკვნა არ ვრცელდება ფულის სახით მარაგების შექმნაზე: ფულის დაგროვებას არა აქვს ისეთი ბუნებრივი საზღვრები, როგორც მატერიალური მარაგების დაგროვებას. აქედან გამომდინარე, არისტოტელემ მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა: „ყველა, ვისაც ფულის მიმოქცევასთან აქვს საქმე, მისი უსაზღვრო ოდენობით ზრდას ცდილობს“ [3]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფული, ეკონომიკის მომსახურის როლიდან, შესაძლოა ადამიანთა მიზნად და თვითმიზნად გადაიქცეს. ქრემატისტიკის „ფულადი“ ვარიანტისადმი არისტოტელეს დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითი იყო და იგი თვლიდა, რომ ფულის უსაზღვროდ დაგროვება ადამიანს „წესიერ ცხოვრებას“ აშორებს.

იმ დროის საბერძნეთში ფულადი სიმდიდრის დაგროვებისაკენ სწრაფვა ჯერ კიდევ ცხოვრების ნორმად არ იყო ქცეული, მაგრამ არისტოტელემ მაინც დაინახა საშიში „ვირუსი“, რომელიც ფულში იმალებოდა (უფრო ზუსტად კი იმ ადამიანების სულში, ვინც პროფესიულად იყო ფულით დაკავებული). მას ესმოდა, რომ განსაზღვრულ პირობებში ეს „ვირუსი“ სწრაფად გავრცელდებოდა.

არისტოტელე მკვეთრად უარყოფითად იყო განწყობილი მევახშეობის წინააღმდეგ და წერდა: "მევახშეობა ფულად ნიშნებს საკუთრების საგნად აქცევს და ფული იმ დანიშნულებას კარგავს, რისთვისაც ის წარმოიშვა ანუ კარგავს ვაჭრობის ხელშეწყობის ფუნქციას, პროცენტების დაწესება კი სწორედ მევახშეობას იწვევს... როგორც ბავშვები ჰგვანან საკუთარ მშობლებს, ისე, პროცენტები არის ფულადი ნიშნებისაგან წარმოშობილი ფულადი ნიშნები. გამდიდრების ეს სახე ბუნების საწინააღმდეგოა“ [4].

მრავალი ავტორი აღნიშნავს, რომ დღეს ეკონომიკა არა იმდენად ჭეშმარიტების შეცნობითაა დაკავებული, რამდენადაც თავისი მთავარი სპონსორის – ფინანსური კაპიტალის ინტერესების დაცვით [5]. მაგალითად, მე–19 საუკუნის დასასრულს და მე–20 საუკუნის დასაწყისში ჩიკაგოს უნივერსიტეტში გამოჩნდა ეკონომისტების ჯგუფი, რომლებსაც აფინანსებდათ როკფელერები, მორგანები და სხვები. ეს იყო ე.წ. „ჩიკაგოს სკოლა“. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, უოლ–სტრიტმა „ჩიკაგოს სკოლის“ დაფინანსებისათვის მილიარდობით დოლარი გაიღო.

ჩიკაგოს სკოლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია მილტონ ფრიდმანი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა „მონეტარიზმს“ – სრულიად ახალ მიმდინარეობას ეკონომიკურ მეცნიერებაში. ბოლო ორი–სამი ათწლეულის განმავლობაში მონეტარიზმის „რეცეპტები“ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას დაედო საფუძვლად და ამ გარემოებამაც მეტად გაამყარა მსოფლიო მევახშეთა ძალაუფლება [6]. ცნობილი მკვლევარი ალექსანდრე ლეჟავა თვლის, რომ „დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ ეკონომისტები ბითუმად და საცალოდ „შეისყიდა“ ბანკებმა. ამ პროცესს საფუძველი ჩაუყარა „Manhattan Bank“–მა, რომელიც ჯერ „Chase Manhattan“–ს, შემდეგ კი J.P.Morgan-Chase“–ს შეერწყა. მან ჰარვარდის უნივერსიტეტში დააფუძნა ეკონომიკის კათედრა ჯონ კენეთ გელბრეითისათვის (John Kenneth Galbraith). იგი იყო ერთ–ერთი იმ მოხერხებული ეკონომისტებიდან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბანკირებისთვის სრული დაფარვის გარეშე ფულის ემისიის უფლების მიცემა მთელი საზოგადოების აყვავების გზად იქცევაო. იმ დროს ჰარვარდში გელბრეითის სამუშაოზე მიღების მაინც და მაინც დიდი სურვილი არ ჰქონდათ, მაგარამ „Manhattan Bank“–ის ძალისხმევით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც დაიყოლიეს. ასევე იოლად იყიდეს მათ ეკონომიკის ფაკულტეტები აშშ. სხვა უნივერსიტეტებშიც“ [7].

ცნობილი შვედი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი აივორ ბენსონი ამ პრობლემებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ამ თაღლითური ფულადი სისტემის შემოსავლები ისეთი მაღალია, რომ მრავალი უდანაშაულო ადამიანი – პოლიტიკოსები, ბანკირები, პრო-

ფესორები, ჟურნალისტები აქტიურად ერთვებიან ტყუილის სისტემაში და გულუხვადაც ჯილდოვდებიან ამისათვის. ადამიანები ისე არიან მოწყობილი, რომ სულ მცირე ნაწილს თუ შეუძლია უარი თქვას პირად სარგებელზე, რომელიც მათ მატერიალური ან კარიერული წინსვლის სახით ეძლევათ. ეს ბოროტება უფრო მეტად ღრმავდება დაგროვების ინსტიქტით და შეძენის მანიით. გამდიდრების ეიფორია სხვა მოსაზრებებთან შედარებით სრულიად უგრძნობლებს ხდის ადამიანს" [8].

საბედნიეროდ დღეს მრავალმა ეკონომისტმა პირდაპირ აღიარა, რომ „მეფე შიშველია". „ეკონომიკური მეცნიერება არა იმდენად სინამდვილის შეცნობითაა დაკავებული, რამდენადაც თავისი მთავარი სპონსორის – ფინანსური კაპიტალის ინტერესების დაცვით" [5]. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რეალობაში ფართოდ დამკვიდრდა ტერმინები „საბაზრო სისტემა", „საბაზრო ეკონომიკა", „საბაზრო მეურნეობა" და სხვ., ბაზრის არანაირი ნიშანი არც „ყველაზე საბაზრო" ეკონომიკის მქონე ქვეყანაში აშშ–ში და არც ჩვენთან არ შეინიშნება. როგორც ეკონომიკის სახელმძღვანელოები გვასწავლიან, ბაზრის უნიშვნელოვანესი ნიშანია კონკურენცია, რომელიც განაპირობებს ფასის „ავტომატურ" („სტიქიურ") ფორმირებას. საბაზრო ურთიერთობებისას მყიდველებსა და გამყიდველებს აქვთ კონტრაგენტის არჩევის თავისუფლება (და შესაძლებლობაც), ერთმანეთთან პირდაპირი ურთიერთობის უფლება და ა.შ. მაგრამ, სად არის ასეთი ბაზარი?

ასეთი ბაზარი დიდი ხანია უკვე მსოფლიოში არსად არ არის. შესაძლოა, ის იყო ადამ სმითის დროს, ან შესაძლოა მანამდეც. მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ეკონომიკაში ბატონობენ მონოპოლიები, რომლებიც თავის პირობებს კარნახობენ ბაზრის სხვა მონაწილეებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის გარდაცვალებაში დიდი წვლილი მიუძღვის იმასაც, რომ ბაზრის მონაწილეებს ერთმანეთთან პირდაპირი კავშირის შესაძლებლობაც ნაკლებად აქვთ, მათ შორისაა შუამავლების დიდი არმია, მაგ., „ფინანსური შუამავლები" ბანკირების სახით. დღეს ისინი მარტო შუამავლები კი არა, მთავარი მონოპოლისტები არიან. იმიტომ რომ ისინი „აწარმოებენ" საბაზრო ეკონომიკაში ყველაზე დეფიციტურ „საქონელს" – ფულს.

ამჟამად მეტად რთულია იმის გაგება თუ როგორაა მოწყობილი თანამედროვე ეკონომიკა და ბაზარი, რა არის ფული და ბანკები, რა არის ეკონომიკური, საფინანსო და საბანკო კრიზისების მიზეზები. ამისათვის საჭიროა თვალი მოვაშოროთ იმ ანბანს, რომელსაც წერდნენ ეკონომისტები მსოფლიო სავალუტო ფონდის ექსპერტების კარნახით და იმათი დაკვეთით, ვინც მართავს ამ „სამეფოს". სამწუხაროდ, სამყაროს დღეს მევახშეები მართავენ. სწორედ ის მევახშეები, რომელთა ხელისუფლებაში მოსვლისაც ასე ეშინოდა არისტოტელეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „სამეცნიერო" ცენტრების შესახებ, რომლებიც ამარაგებენ ბანკებსა და კორპორაციებს ეკონომიკის, ფინანსების, სხვადასხვა დარგების, ბაზრებისა და სხვა სფეროების შესახებ „დამოუკიდებელი" საექსპერტო შეფასებებით და „კვლევებით". ხშირად ასეთი ინსტიტუტების „პროდუქციის" მიზანია შემკვეთების ინტერესების წინ წაწევა. ხოლო საზოგადოებისათვის ეს ნაშრომები წარმოჩინდება როგორც „გამოყენებითი კვლევა" და არა როგორც „იდეოლოგია".

ზემოაღნიშნულის ნათელი მაგალითია ცნობილი ჰარვარდის უნივერსიტეტი, რომელიც მთელს მსოფლიოში ისეთი დაწესებულების ეტალონადაა მიჩნეული, სადაც ბიზნესის სფეროში ყველაზე თანამედროვე და საჭირო საგანმანათლებლო მომსახურება ხორციელდება. აქ ასევე ეწევიან ბანკებისა და კომპანიებისათვის ერთ–ერთ ყველაზე ეფექტურ საკონსალტინგო მომსახურებას. მიმდინარე ათწლეულის დასაწყისში ამერიკული კორპორაცია „ენრონი" გაეხვია სკანდალში, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტსაც შეეხო.

უნივერსიტეტის მმართველობას ახორციელებს „ჰარვარდ კორპორეიშენი", რომლის ხელმძღვანელიც მაშინ ჰერბერტ ვინოკური იყო. მნიშვნელოვანია, რომ იგი იმავდროულად კორპორაცია „ენრონი"–ს მმართველ გუნდშიც შედიოდა და მისი ფინანსური კომიტეტის თავმჯდომარე იყო. გარდა ამისა, ჰარვარდსა და „ენრონს" სხვა სახის კონტაქტებიც ჰქონდათ, კერძოდ კი, ჰარვარდის სხვადასხვა „აკადემიური" კვლევების დახმარებით, აშშ–ს კონგრესისა და მთავრობისაგან კორპორაცია მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებას აღწევდა. მაგალითად, ერთ–ერთი ასეთი კვლევა იყო ენერგეტიკულ დერივატივებთან დაკავშირებული გარიგებების სრული თავისუფლების დასაბუთება, რამაც კორპორაცია „ენრონს" მრავალმილიარდიანი მოგება მოუტანა. გ. ვინოკურმა დააფუძნა 3 ათასი შვილობილი სტრუქტურა იმისათვის, რომ სხვადასხვა ვალდებულებებისაგან განეტვირთა სათავო კომპანია და მინიმუმამდე შეემცირებინა გადასახადები. იგი აქტიურად იყენებდა ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის სახსრებს "ენრონი"–ს აქციებში ინვესტირებისათვის. კორპორაციის კრახის წინ მან „ენრონი"–ს 50 მლნ დოლარის აქციები გაყიდა.

იმავდროულად, „ენრონ"–თან კავშირის წყალობით, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი 2 მლრდ დოლარი გახდა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ცალკეული

ხელმძღვანელი, პირველ რიგში კი „ჰარვარდ კორპორეიშენი" (მესაკუთრე ჰერბერტ ვინოკური) უსაზღვროდ გამდიდრდა. ფირმა „ენრონი"–ს პირდაპირი ან ირიბი რეკლამირებისათვის ჰარვარდის მრავალი პროფესორი საკმაოდ გულუხვად დაჯილდოვდა.

ანალიზებდა რა კავშირებს კორპორაცია „ენრონს", ჰარვარდის უნივერსიტეტს, „ჰარვარდ კორპორეიშენს", ჰარვარდის ფონდს, სამთავრობო წრეებს, საუდიტორო კომპანია „არტურ ანდერსონს" და სხვებს შორის, ავსტრიელი მკვლევარი ჰერხოხ რაიზეგერი წერდა: „განა არაა საინტერესო, როგორ მუშაობს ეს ქსელი, როგორ იყენებს იგი თავის ძალას და გავლენას, და იმავდროულად, მუდმივად აბრიყვებს მსოფლიოს, როგორ წარმოაჩენს თავს „წმინდა კოლეგიად", სინამდვილეში კი მსოფლიო ეკონომიკას კატასტროფისაკენ მიაქანებს?" [9].

ცნობილი მეცნიერი, მოსკოვის საგარეო ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ფინანსების კათედრის გამგე, პროფესორი ვ. კატასონოვი წერს, რომ: „სისტემას სჭირდება ბიორობოტები და არა შემოქმედებითი და მოაზროვნე პიროვნებები, მათი ძირითადი მწარმოებლები არის უნივერსიტეტები, სხვადასხვა სახის ეკონომიკური სკოლები, ხოლო ერთ–ერთი მთავარი იდეოლოგიური დისციპლინა არის ეკონომიქსის კურსი" [10].

ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ ტერმინი „ეკონომიქსი" არის ეკონომიკის თეორიის გადმოცემის ერთ–ერთი წესი. ცნობილი ეკონომიკური სკოლებისა და მიმდინარეობებისაგან (მერკანტილიზმი, ფიზიოკრატიზმი, კლასიკური და მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია) განსხვავებით, ეკონომიქსი დამოუკიდებელი, ერთიანი ეკონომიკური მოძღვრება არ არის. იგი კანონების, ფორმულების, ცნობების ეკლექტიკური ნაკრებია. მრავალი მათგანი გამოყვანილია სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის და მიმდინარეობიდან და ღრმად შესწავლისას შესაძლოა ურთიერთსაწინააღმდეგონიც კი აღმოჩნდნენ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეკონომიქსი სტუდენტებს საბაზო ეკონომიკური ცნებების შესწავლის საშუალებას აძლევს, თუმცა ის წარმოადგენს აბსტრაქტული ფორმულების ნაკრებს, რომლებსაც არა აქვთ რეალობის ადეკვატური ასახვის პრეტენზია (და ამიტომაც ყოველთვის არ შეიძლება მათი კონკრეტული ეკონომიკური პროგნოზებისათვის გამოყენება). ეკონომიქსი სტუდენტებს ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური მამოძრავებელი ძალების შემდგომი შესწავლისკენ კი არ უბიძგებს, არამედ მათი ზედაპირულ–პრაგმატული აღქმისაკენ.

რ. კემპბელი, მაკკონელი და სტენლი ლ. ბრიუ წერენ, რომ ეკონომიქსი იკვლევს შეზღუდული საწარმოო რესურსების ეფექტიანი გამოყენების ან მათი მართვის პრობლემებს ადამიანის მატერიალური მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით [11]. და იქვე 21 გვერდზე წერენ, რომ ეკონომიქსი საზოგადოებრივი მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის იმ ინდივიდებისა და ინსტიტუტების ქცევას, რომლებიც საქონლისა და მომსახურების წარმოებას, გაცვლასა და მოხმარებას ახორციელებენ.

„ეკონომიქსი"–ს დასახელებით გამოცემული სახელმძღვანელოების წინასიტყვაობაში დღეს ავტორთა ყოველი ჯგუფი თავისებურად განსაზღვრავს „ეკონომიკასა" და „ეკონომიქსს" შორის განსხვავებას. მეცნიერული თვალსაზრისით ეკონომიკა შეისწავლის ობიექტს, ეკონომიქსი კი მისი მეცნიერული შეცნობის მხოლოდ ერთ–ერთ ინსტრუმენტს. ამასთან, თეორიული ეკონომიკა ასრულებს ოთხ მნიშვნელოვან ფუნქციას:

მეთოდოლოგიური ფუნქცია – ყველა ეკონომიკური მეცნიერებისათვის საჭირო მეთოდებისა და მეცნიერული ინსტრუმენტარიის საშუალებების შემუშავება.

შემეცნებითი ფუნქცია – ეკონომიკური კანონების შესწავლა, ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სისტემების შესწავლა და აღწერა.

პრაქტიკული ფუნქცია – ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე ეფექტიანი მართვა.

პროგნოზული ფუნქცია – მონაცემების საფუძველზე ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე ეკონომიკური ცხოვრების პროგნოზირება ანუ მეცნიერული წინასწარჭვრეტა.

თუ განვაზოგადებთ მეცნიერ ეკონომისტთა ყველაზე ცნობილ მოსაზრებებს ეკონომიქსის საგნის შესახებ, შესაძლოა შემდეგი ორი შემადგენელი გამოვყოთ.

პირველი აქცენტები უპირველეს ყოვლისა, კეთდება მოქმედებაზე (ადამიანის ქცევაზე), რომელიც თითქოს მიმართულია შეზღუდული (იშვიათი) რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ ფაქტს, რომ ნებისმიერი ეკონომიკური ქმედება (ინდივიდის ქცევა) ხორციელდება შრომის განსაზღვრული კოოპერაციის ფარგლებში, ეს ქმედება უკვე აპრიორი გულისხმობს საზოგადოებრივი წარმოების მონაწილეებს შორის ურთიერთობებს. ამ თვალსაზრისით, ეკონომიქსის საგანი არ მოდის წინააღმდეგობაში თეორიული ეკონომიკის საგანთან. წინააღმდეგობა კი ეკონომიკური ქცევის განივთებაში, გასაგნებაშია, რამდენადაც ის, უწინარეს ყოვლისა, ინდივიდის (ან ადამიანთა რაიმე ასოციაციის მიერ) ეკონომიკური (მატერიალური) რესურსების ეფექტიანი (რაციონალური)

გამოყენებისკენაა მიმართული.

მეორე, ეკონომიქსის საგნის დახასიათებისას მხედველობაშია მიღებული აბსტრაქტული ადამიანი და მისი ეკონომიკური ქმედება. რეალურად კი მატერიალური წარმოების სისტემაში ორი კატეგორიის პირები მონაწილეობენ: პირველი, წარმოების ნივთობრივი პირობების (წარმოების საშუალებების) მესაკუთრეები და მეორე, უშუალოდ მწარმოებლები, რა თქმა უნდა, წარმოების საშუალებების ანუ ფიზიკური კაპიტალის მესაკუთრეები ცდილობენ წარმოების ნივთობრივი ფაქტორების ეფექტიანად გამოყენებას, თუმცა, ამასთანავე, ისინი ისწრაფვიან წარმოების პიროვნული ფაქტორის (მუშაკი) ეფექტიან გამოყენებასაც.

მეორე მხრივ, მატერიალური სიკეთის უშუალო მესაკუთრეები, უწინარეს ყოვლისა, ფიქრობენ შრომის პროდუქტის სიდიდეზე.

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანის ქცევის განივთება მას ყოველგვარ სოციალურობას აცლის. სწორედ ამიტომაც არ არის ეკონომიქსში ეკონომიკური მეცნიერებისათვის ისეთი ფუძემდებლური მოვლენა და კატეგორია, როგორიცაა საკუთრებითი ურთიერთობები, ეკონომიკური კანონები, საზოგადოებრივი კვლავწარმოების პრობლემები და სხვ. ამის გამო ეკონომიქსი უფრო გამოყენებითი მეცნიერების სახეს იძენს.

სხვა საკითხია, რომ თეორიული ეკონომიკის საგანი, ეკონომიკური რეალობის მიუხედავად, ყოველთვის იყო და რჩება ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ადამიანებს შორის ობიექტურად ყალიბდება სხვადასხვა სიკეთეების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში. ეს ობიექტური ეკონომიკური რეალობაა, რომლის შეცვლა არც საზოგადოებას და არც ინდივიდს არ შეუძლია, რადგან ეს არის ორივეს ცხოველქმედების ძირითადი წესი. ამ თვალსაზრისით თეორიული ეკონომიკის საგანი თვით საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ბუნებით განპირობებულია. თუ ეკონომიქსის შესწავლის საგანია ადამიანის განივთებული ეკონომიკური საქმიანობა (ქცევა), თეორიული ეკონომიკის საგანი დაკავშირებულია ამ საქმიანობის სოციალიზაციასთან, რამდენადაც ადამიანთა ნებისმიერი ეკონომიკური ქმედება განსაზღვრული სოციალური ურთიერთობების ფარგლებში ხორციელდება. ამიტომ ეკონომიკური ურთიერთობები სოციალური ურთიერთობების ერთ–ერთი სახეა და შესაბამისად კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი ურთიერთობების სახეა. ამ უკანასკნელის საფუძველი კი წარმოების მატერიალურ პირობებზე საკუთრებითი ურთიერთობებია.

ეკონომიქსის შესწავლის საგნის წინააღმდეგობრიობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მრავალი ეკონომისტი მას საზოგადოებრივ მეცნიერებას მიაკუთვნებს. როგორც ცნობილია, ნებისმიერი საზოგადოებრივი მეცნიერების შესწავლის საგანი არის საზოგადოებრივი (სოციალური) ურთიერთობების გარკვეული სახესხვაობა. რაც შეეხება საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკურ ცხოვრებას, ეს არის ეკონომიკური ურთიერთობები. ამ თვალსაზრისით, საერთოეკონომიკური თეორია სწორედ საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობებს შეისწავლის, ეკონომიქსი კი საერთოეკონომიკური თეორიის ფარგლებში გამოყენებითი მიმართულების მქონე მეცნიერებაა.

აღსანიშნავია, რომ ადამიანები ურთიერთქმედებენ ბუნებასთან და ეს არის ტექნიკური ურთიერთობანი, მაგრამ ისინი სოციალურ ურთიერთობებშიც შედიან. ეს უკანასკნელი არის ადამიანთა ერთობლივი საქმიანობის ან საქმიანობის გაცვლის დროს დამყარებული ურთიერთობები. უფრო ზუსტად კი, ეკონომიკური ურთიერთობების ორი დონე არსებობს: ქონებრივი ურთიერთობები – საკუთრებითი ურთიერთობები და მეორე, ურთიერთობები, რომლებიც უშუალოდ მუშაკებს შორის მყარდება. და დაბეჯითებით უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრებითი ურთიერთობებიც და მუშაკთა უშუალო ურთიერთობებიც სწორედ სოციალური და არა ტექნიკური ურთიერთობების სახეებია.

ჩვენი აზრით, ამიტომაც მრავალ ქვეყანაში უპირატესობას ეკონომიქსის სასწავლო კურსს ანიჭებენ, სადაც საზოგადოებრივი წარმოების სოციალური მიმართულება არის სრულებით იგნორირებული.

უფრო რთულია ერთობლივი საქმიანობის ან საქმიანობის გაცვლის დროს დამყარებული ურთიერთობების განხილვა. ამ ურთიერთობებს ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად ორგანიზაციულ–ეკონომიკურ ურთიერთობებს უწოდებენ. ჩვენი თვალსაზრისით, ეს ურთიერთობები არის შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ურთიერთობები, რამდენად მათი საფუძველია საზოგადოებრივი შრომის დანაწილებისა და შრომის კოოპერაციის ესა თუ ის ფორმა. შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ურთიერთობები საწარმოო ძალების განვითარებისა და მოძრაობის უშუალო–საზოგადოებრივი ფორმაა. შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ურთიერთობების განვითარება, ერთი მხრივ, დამოკიდებულია მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან, რაც აისახება ამა თუ იმ სფეროს მეცნიერულ–ტექნიკურ უზრუნველყოფაში, მეორე მხრივ, ეს ურთიერთობები დამოკიდებულია სამეურნეო პროცესების ორგანიზაციის დონეზე ანუ, უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, საზოგადოებრივი წარმოების მარ-

თვის დონეზე.

ნებისმიერი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია როგორც საკუთრებითი ურთიერთობები, ისე შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ურთიერთობები, თუმცა, საკუთრები ურთიერთობებისაგან განსხვავებით, შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ურთიერთობებს სოციალურ–კლასობრივი დატვირთვა არა აქვს. ისინი სამეურნეო მექანიზმის საფუძველია და არა ეკონომიკური მექანიზმის.

ცნობილია, რომ საკუთრების ფორმა თავისთავად ნეიტრალურია წარმოების ეფექტიანობის პრობლემისადმი. ამ თვალსაზრისით, არ არსებობს საკუთრების კარგი, ან ცუდი ფორმა. როგორც მეურნეობრივობის ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, საკუთრების ერთი და იმავე ფორმის არსებობისას სხვადასხვა ქვეყანაში წარმოების ეფექტიანობა შესაძლოა არსებითად განსხვავებული იყოს. ამჟამად მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის მქონე ორასზე მეტი ქვეყანა არსებობს, სადაც ეკონომიკურ საფუძველს სწორედ კერძო საკუთრება შეადგენს, მაგრამ დაახლოებით 40 მათგანი თუ მიეკუთვნება მაღალგანვითარებულ საბაზრო ქვეყანას. ჩანს, რომ საკუთრების ფორმა თავისთავად პირდაპირ და უშუალოდ არ მოქმედებს საზოგადოებრივი განვითარების ეფექტიანობის დონეზე ანუ საზოგადოების განვითარების ეფექტიანობის დონეზე გავლენას ახდენს მეურნეობრიობის ფორმები, რომლის საფუძველიც შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ურთიერთობებია.

ასე რომ, როდესაც ვსაუბრობთ საერთოეკონომიკურ თეორიულ კურსზე, მისი შესწავლის საგანია ეკონომიკური ურთიერთობები (სტრუქტურულად – საკუთრებითი ურთიერთობები და შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ურთიერთობები). რამდენადაც ეკონომიკური ურთიერთობები ობიექტურად ყალიბდება და არსებობს ნებისმიერი ისტორიული წარმოების წესის დროს, ამდენად ობიექტურად არსებობს სოციალური მეცნიერების – თეორიული ეკონომიკის საგანიც და იგი საზოგადოებამ უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს. რაც შეეხება ეკონომიქსს, იგი თეორიის და შესაბამისი თეორიული კურსის ფუნქციონალური მიმართულებაა.

ეკონომიქსის საგანი შეზღუდულია როგორც სივრცობრივი, ისე შინაარსობრივი ნიშნით. პირველი, ის ერთადერთ ეკონომიკურ სისტემას სწავლობს და მეორე, იგი აანალიზებს მხოლოდ რესურსების გამოყენებას. ყურადღების მიღმაა ტოვებს იმ შინაგან წინააღმდეგობებს, რომლებიც კვლავწარმოების პროცესში წარმოიქმნება.

ეკონომიკური თეორია კი მოიცავს საწარმოო, ორგანიზაციულ–ეკონომიკურ და სოციალურ–ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეკონომიკური ურთიერთობები ვლინდება საზოგადოების ეკონომიკური განვითარების საერთო პრინციპებში, კანონზომიერებებსა და ტენდენციებში. მათი მეშვეობით ვლინდება კვლავწარმოების პროცესში წარმოქმნილი შინაგანი წინააღმდეგობები და გამომუშავდება არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზები, ეკონომიკური ზრდის მეთოდები და მეურნეობრიობის უფრო რაციონალური ორგანიზაციულ–ეკონომიკური ფორმები [12].

ზოგადეკონომიკურ თეორიასა და ეკონომიქსს შორის მსგავსებასთან ერთად არსებით განსხვავებაზე ამახვილებენ ყურადღებას გამოჩენილი ქართველი მეცნიერ–ეკონომისტები, ლ. ჩიქავა, რ. ასათიანი, გ. ადეიშვილი, გ. თოდუა, პ. ლემონჯავა, რ. გოგოხია, მ.სიჭინავა, მ. გველესიანი და სხვები [13, 14, 15]. მათი მოსაზრებით, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აუცილებელია როგორც ზოგადი ეკონომიკური თეორიის, ისე ეკონომიქსის სწავლება და ეს უკანასკნელი ვერ შეცვლის ზოგად ეკონომიკურ თეორიას [16, გვ. 37].

მსგავსი მოსაზრება აქვს ცნობილ მეცნიერს მ. სიჭინავას. იგი აღნიშნავს, რომ „ეკონომიკა, როგორც გარკვეული სხეული, როგორც გარკვეული თვითგანვითარებადი სისტემა, ერთგვარ შენობას წააგავს. ამიტომ, როგორც ყოველგვარ შენობას, მასაც აქვს თავისი საძირკველი და სათავე, საიდანაც იწყება მისი განვითარება, მისი შენება, – და კარკასი, მისი ძირითადი, მზიდი ნაწილი, რაზედაც განსხეულდება ისტორიულად შემდეგში მისი ესა თუ ის სახესხვაობა თავისი შინაგანი იმპულსებისა და მამოძრავებელი ძალების ანუ იმავე მისი იმანენტური ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების შედეგად.

ეკონომიქსის მთლიანი კურსი უნდა დაიყოს მის ზოგად და კონკრეტულ ნაწილად, რომელთაგან საკუთრივ პირველს „ეკონომიქსის ზოგადი კურსი", ანუ სხვაგვარად „ეკონომიქსის პროპედევტიკა" უნდა ეწოდოს, კურსი, რომელიც უნდა სწავლობდეს იმ კანონზომიერებებსა და პრინციპებს, რაც საფუძვლად უდევს სწორედ მის ყველა დანარჩენ დონესა და ასევე ყველა დანარჩენ ეკონომიკურ მეცნიერებას და რომელიც, ამდენად, შეადგენს ერთგვარ მოსამზადებელ სამუშაოსაც, ანუ მართლაცდა ნამდვილ პროპედევტიკას საერთოდ ეკონომიკის – კაცობრიობის ცხოვრების ამ ურთულესი საფუძვლის, ჭეშმარიტ მეცნიერულ გააზრებასა და დაუფლებაში" [17, გვ. 4].

ცნობილი ქართველი მეცნიერ–ეკონომისტი და სტუ–ს სრული პროფესორი ქალბატონი რ. ასათიანი სრულიად სამართლიანად წერს: "ეკონომიქსი, მიუხ-

ედავად იმისა, რომ იმ კანონზომიერებებს ეყრდნობა, რომლებსაც ზოგადი ეკონომიკური თეორია ადგენს, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებულ ხედვას ემყარება და პარადიგმის შეცვლას გულისხმობს. ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზისას მხოლოდ საბაზრო სისტემაში შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების გზების კვლევით იფარგლება. ეკონომიქსის მიზანი არ არის მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებების კვლევა. იგი არ არის ერთიანი სისტემა, არამედ ამ სისტემის ნაწილია, საბაზრო ეკონომიკაში ფუნქციონალური კავშირების შემსწავლელი მეცნიერებაა, ზოგადი ეკონომიკური თეორია კი ეკონომიკის ორგანულ კავშირებს სწავლობს [16, გვ 38].

ზოგადი ეკონომიკური თეორია ხიდია წარსულსა და მომავალს შორის. იგი არკვევს ეკონომიკური მოვლენის წინაპირობას, საიდან და რა მიზეზით წარმოიშვა იგი, გვეხმარება ტენდენციების დადგენაში და გვიჩვენებს საით და როგორ წარიმართება ეკონომიკური განვითარება... ზოგადი ეკონომიკური თეორია აყალიბებს ეკონომიკურ მსოფლმხედველობას. მისი ცოდნის გარეშე შეუძლებელია სხვა ეკონომიკური დისციპლინების შესწავლა, ეკონომისტთა კადრების (და არა მხოლოდ ეკონომისტთა) ხარისხიანი მომზადება. ამიტომ საქართველოს უნივერსიტეტებში აუცილებელია აღდგეს ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლება [16, გვ.41-42).

ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გამოქვეყნებულ ღია საპროტესტო წერილში ვკითხულობთ: "ჩვენ ეს კურსი იმ იმედით ავიჩიეთ, რომ შევისწავლით ეკონომიკური თეორიის საფუძვლებს, რაც დაგვეხმარებოდა ინტელექტუალურ მუშაობაში, სხვადასხვა დისციპლინების (ეკონომიკა, მართვა, გარემო, საჯარო პოლიტიკა) შესწავლაში. ამის სანაცვლოდ ჩვენ გვასწავლით კურსს, რომელიც არის ეკონომიკაზე სპეციფიკური და შეზღუდული შეხედულებების დემონსტრირება და რომელიც ჩვენს საზოგადოებაში არსებულ ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემური და არაეფექტიანი სისტემის არსებობას ამართლებს" [1].

რ. ასათიანი აღნიშნავს, რომ „იმისათვის, რომ შევძლოთ ჩვენი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, აუცილებელია გავერკვეთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების არსში, ავხსნათ მათ შორის არსებული მიზეზ–შედეგობრივი კავშირები, შევიმუშაოთ ახალი კონცეფციები, გავაკეთოთ თეორიული განზოგადებები, რაც უნდა აისახოს კიდეც საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური და მდგრადი განვითარების პოლიტიკაში. თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ გადაწყვეტილებებს ჩვენს მაგივრად უცხოელ ექსპერტთა მცირე ჯგუფი მიიღებს და ქვეყანა კვლავაც უცხოური დოქტრინების მძევალი იქნება.

გვახსოვდეს, რომ თეორიული ცოდნა სიახლეების დანერგვისა და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველია" [18].

ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტების წერილის დასარულს ვკითხულობთ: „ეკონომიკის სწორად სწავლება უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ეკონომიკური მოდელების როგორც უპირატესობის, ისე ნაკლოვანებების შესწავლას. ვინაიდან მეცადინეობები არ მოიცავს პირველად წყაროებს და სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს, ჩვენ ეკონომიკის ალტერნატიული მიდგომებისადმი შეზღუდული ხელმისაწვდომობა გვაქვს... ეკონომიქსს მიკერძოებული ხასიათი აქვს. იგი ხელს უწყობს მზარდ ეკონომიკურ უთანასწორობას ამერიკაში და ის ამ უთანასწორობის სიმბოლოდაც იქცა. ჩვენ პროტესტს გამოვთქვამთ საბაზისო ეკონომიკური თეორიისადმი არასაკმარისი ყურადღების გამო და გთხოვთ, სერიოზულად აღიქვათ ჩვენი შეშფოთება და ლექციებიდან წასვლა" [1].

ვფიქრობთ, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სამსახურების მესვეურებმაც ყურადღებით უნდა წაიკითხონ აღნიშნული წერილი, მოუსმინონ ავტორიტეტულ და ცნობილ მეცნიერ–ეკონომისტებს, დარგის სპეციალისტებს და კარგად გაიაზრონ: ვის ვასწავლით, რას ვასწავლით და რისთვის ვასწავლით. ჩვენ სერიოზულად და ღრმად დაფიქრება გვმართებს იმაზე, თუ რა სახის ცოდნაზეა დღევანდელ საზოგადოებაში მოთხოვნილება, რა პერსპექტივებია მსოფლიო ეკონომიკის წინაშე და რა განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება აქცევს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიან სასწავლებლებად, ქართველ სპეციალისტებს კი მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად მუშაკებად.

## ლიტერატურა:


1. http://forum-msk.org
2. http://www.human-crisis.com
3. «История экономических учений». Под ред. В. Автономова, О.Ананьина, Н.Макашевой, Учебное пособие, М.: ИНФРА-М, 2002, с.16-17
4. Аристотель, Соч. в 4-х тт. Том 4. - М., 1984, с.395
5. А.А.Соломатин, «Уравнение обмана», Профиль, №11, 2008

6. М.Гэффин, Г.Титова, Ф.Харрисон, «За кулисами становления экономических теорий. От теории к коррупции», СПб.: Б.&К., 2000 .
7. А. Лежава, «Крах «денег» или как защитить сбережения в условиях кризиса», М.: Книжный мир, 2010, с.74-75
8. Айвор Бенсон, «Фактор сионизма: влияние евреев на историю XX века», М.: «Русский вестник», 2001, с. .184-186
9. Олег Платонов, Герхох Райзеггер, «Почему погибнет Америка. Взгляд с Востока и Запада», М.: Эксмо-Алгоритм, 2005, с.373.
10. Комментарий В.Ю.Катасонова, http://warrax.net
11. Макконнелл К., Брю С. Экономикс. - М., 1992
12. Экономическая теория (А.И. Попов) http://yourlib.net
13. ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბილისი, „მარჯი", 2005. გვ. 30-31
14. ადეიშვილი გ., ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია, თბილისი, გამ.–ბა „სიახლე", 1998, გვ. 26
15. ლეიაშვილი პ. ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე, თბილისი, „აზრი", 2002
16. ასათიანი რ. ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა, გამ.–ბა „სიახლე", თბ., 2013, გვ.37
17. მ. სიჭინავა, ეკონომიკის პროპედევტიკა ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, მაისი–ივნისი, #3, 2011
18. ასათიანი რ. თეორიული ცოდნა სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი, ჟურნ. „ბიზნეს–ინჟინერინგი", 2012, #3.



*Alexander Sichinava, full Professor*
*Dali Sekhniashvili, associate Professor*


## THE PROBLEMS OF TEACHING ECONOMIC THEORY IN GEORGIAN UNIVERSITIES

### SUMMARY


The article deals with the problems of teaching of the economic theory in higher education institutions in Georgia. The subject of economic theory, despite the economic reality, has always been and will remain the economic relations that are established between people of various objective goods production, distribution, and exchange and consumption process. In this sense, the subject of economic theory is caused by the nature of economical life of society.

It is known that the general economic theory ascertain causes of economic events, lays out economic development, outlining the economic worldview. Therefore, authors believe that without knowledge the general economic theory is not possible to study the other economic disciplines and train qualified personnel.

The absolute majority of high schools read «Economics» course. This does not provide a fundamental driving force of economic development in the study. It develops the surface - pragmatic understanding of events.

The article analyzes what kind of knowledge and a basic competence is requirement in today's society and expresses the opinion that it is better to restore teaching the general economic theory in universities.

# ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიდგომები სოფლის მეურნეობის აღორძინებისადმი

*პაატა კოღუაშვილი, სტუ-ს პროფესორი*

ამ ნაშრომში შევეცადე გადმომეცა ძირითადი პრინციპები საქართველოს სამოციქულო ეკლესიის და პირადად მისი საჭისმპყრობელის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიდგომისა საქართველოს სოფლის მეურნეობის გაცოცხლების ამოცანისადმი.

ქართველი ერის ტრადიციული აგრარული კულტურა, როგორც ცნობილია, წინააზიურ კულტურულ სივრცეში ყალიბდებოდა. იგი სამართლიანად ითვლება უძველესი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კერად. აქ თავდაპირველად შექმნილი მეურნეობისა და მეურნეობრიობის ფორმები, შემდგომში საფუძვლად დაედო ევრაზიის მთელ ტერიტორიაზე (სამხრეთ-აღმოსავლეთის გამოკლებით), მოგვიანებით წარმოშობილ აგრარულ სამეურნეო-კულტურული კომპლექსების სხვადასხვა ტიპებს, რომელიც ძირითადად მარცვლეული მეურნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, სხვადასხვა სახეობის პირუტყვის მოშენებასა და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტების მოხმარებაზე იყო დაფუძნებული.

ქართველი ხალხი ხორბალს იცნობდა ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში და უკვე მოჰყავდათ ხორბლის რამდენიმე სახეობა („იფქლი,“ „ასლი“, „დიკა“, „მახა“, „ზანდური“, „დოლი“, „ხულუგო“). ხორბლის ამგვარი დიფერენცირებული სახეობრივი სახელწოდება არც ერთი ქვეყნის ხალხს არ გააჩნია, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ხორბლის კულტურულ სახეობათა ფორმირებაში ქართველმა ერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. აკადემიკოს ნ. ვავილოვის აზრით, ხორბლის ფორმათა წარმოქმნაში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

სადღეისოდ მსოფლიოში აღწერილი და რეგისტრირებულია ხორბლის ბოტანიკურ გვარში შემავალი 23 კულტურული და 4 ველური სახეობა. ამათგან საქართველოში წარმოდგენილია 14 კულტურული სახეობა. გარდა ამისა, ქართული ხორბლის სახეობებისაგან მიღებულია კიდევ 4 კულტურული სახეობა, რაც, ერთად აღებული, შეადგენს ხორბლის გვარში შემავალ სახეობათა 65%-ს. ქართულ კულტურულ ხორბალთა შორის აღწერილია 150-ზე მეტი სახესხვაობა და ჯიშთა დიდი მრავალფეროვნება (160-მდე). მათ წარმოქმნას და ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო საქართველოს ბიოგეოკლიმატურმა მრავალფეროვნებამ, ქართველი კაცის გარჯამ, შემოქმედებითმა უნარმა და ხალხურმა სელექციამ. ქართველ ერს ხორბლის მოვლა-მოყვანის დიდი ისტორიული გამოცდილება აქვს.

საქართველოში 500-ზე მეტი ვაზის ჯიშია აღრიცხული, კერძოდ, კახური – 80, ქართლური – 72, იმერული – 75, რაჭულ-ლეჩხუმური – 50, მეგრული – 60, გურული – 53, აჭარული – 52, აფხაზური – 58 და სხვ. საქართველოში 2.5-ჯერ მეტი ვაზის ჯიშია, ვიდრე აზერბაიჯანში (200), 5.5-ჯერ მეტი, ვიდრე სომხეთში (90), 2.5-ჯერ მეტი, ვიდრე შუა აზიაში (200), 3.5-ჯერ მეტი, ვიდრე დაღესტანში (150).

მეცნიერები ვაზის წარმოშობის ადგილად მცირე აზიასა და სამხრეთ კავკასიას მიიჩნევენ. შუამდინარეთში ვაზი მეორეული მოვლენაა. იგი აქ გავრცელებული უნდა იყოს სამხრეთ კავკასიიდან და ინდოეთიდან (მეხუთე ათასწლეულში). აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ქართველური, სომხური და სემიტური ენების მონაცემთა შედარების საფუძველზე დაასაბუთა, რომ მთელ მსოფლიოში ქართულიდან გავრცელდა: „მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ღვინო.“

მართალია, ქრისტიანობამ ცეცხლს მისცა ვაზისა და ღვინის წარმართულ ღვთაებათა კულტები, მაგრამ თავად ვაზი ახალი რელიგიის, ქრისტეს სიმბოლოდ აქცია. ქრისტე გვმოძღვრავს: „მე ვარ ვაზი

ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“, „მე ვაზი ვარ, თქვენ კი ლერწები“ (იოან. 15.1.5.6). ვაზი ქართველ კაცს „სიცოცხლის ხედ“ მიაჩნდა. ყურძნის წვენს ქართველები მიიჩნევდნენ წმიდა სასმელად.

ქრისტიანობა ხომ უპირველესად გავრცელდა იმ ქვეყნებში, სადაც მევენახეობა იყო განვითარებული; ამიტომ ქართველობამ უყოყმანოდ მიიღო პურითა და ღვინით ქრისტიანული ზიარების საიდუმლო. ამასთან მეღვინეობასა და ქართულ სუფრას შეუნარჩუნა განსაკუთრებული დატვირთვა. ქრისტიანობას სასიკეთოდ შეერწყა უძველესი ქართული ტრადიციები და წარმართულ ჩვეულებათა ის ღირებულებები, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს გამოხატავდა. ქრისტიანობა იქცა ქართული ზნე-ხასიათის საყრდენ ღერძად, რომლის ირგვლივ ბრუნავს ჩვენი ეროვნული ცნობიერება. ამიტომაც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. ქართველი და ქრისტიანი ერთსა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან... ქრისტიანობა პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა.“

წმინდა ნინოს ვაზის ჯვრით ხელში შემოსვლა საქართველოში დასტური იყო იმისა, რომ მან იცოდა, რაოდენ მაღალგანვითარებულ (იგულისხმება მევენახეობა) ქვეყანაში შედიოდა განმანათლებელი. რაც შეეხება ქართულ საგალობელს „შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული...“(მეფე დემეტრე პირველი), მან საუკუნეებს გაუძლო და ერის მუსიკალური საგანძურის მშვენებას წარმოადგენს.

* * * *

ილია ჭავჭავაძე წერდა, „ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფეხმოკიდებულია და ღრმად ფესვგადგმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით კი არა, არამედ სულითაც და გულითაც, ესე იგი ზნეობითაც შემსჭვალულია. მისი სოფელი სამკვიდროა, თვითონ „მკვიდრია“ თავის სოფლისა და სხვა თავ-მოსაწონებელი სახელი არ იცის“. ილიას თვალსაზრისით ქართველი გლეხის ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სახეს მიწათმოქმედების გაძლოლის ეროვნული ტრადიციები და თავისებურებები აყალიბებდა. სწორედ ამიტომ გაიხადა ილიამ სოფლის მეურნეობა ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამის ეკონომიკურ საძირკვლად.

როგორც ილია მართლისათვის, ასვე საქართველოს კათოლიკოს--პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორისათვის ქვეყნის ეკონომიკური და სულიერი განვითარება ეროვნელი მეობის საერთო ფესვიდან ამოზრდილი ყლორტებია. ამ თვალსაზრისით, მიწის განცდა ქართველი კაცისთვის მისი საერთო მსოფლაღქმის უშუალო გამოვლინებაა და სოფლის მეურნეობის გააზრებისა და მოწყობის ქართული მოდელის საწყისები სწორედ ქართველის ზოგადკულტურულ ვინაობასა და რაობაში უნდა ვეძებოთ.

ადამიანი ქმნილებათა გვირგვინია, სამყაროს მწვერვალია. ამას გვეუბნება ჩვენი სარწმუნოება და ამასვე გვეუბნება მეცნიერება. ადამიანი ვერ განიხილება, როგორც საშუალება რაღაც მიზნისთვის – იგი უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც მიზანი. ეს არის ყოველივე მორალის პირველი საფუძველი (კანტი). გლეხის მოწოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხნას, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუტყვს, მოიყვანოს პური, მწვანილი, ხილი და ყურძენი. მისი პირველი დანიშნულება და მოწოდებაა ის, რომ იყოს – იყოს, როგორც ღირსეული, ჯანსაღი, ყოველმხრივ გამართული ადამიანი, შვილების გამზრდელი და საზოგადოების გამომკვებავი. ქართველი გლეხკაცის მოწოდებაა, იყოს ქართველი ბავშვების გამზრდელი, ქართველი ერის ხერხემალი, საქართველოს დემოგრაფიის დამცველი, მისთვის ოფლისა და სისხლის დამღვრელი (ისევე, როგორც ყველა სხვა მოქალაქე) და საქართველოს მიწის ყოველი ცალკეული გოჯის შემნახავი, მილიონობით პოტენციური „სტუმრის“ პირისპირ. საქართველოს დიდ პატრიოტ პოეტს ჯერ კიდევ სამასი წლის წინ აქვს ნათქვამი საქართველოს თავზე ამოვარდნილი მძიმე ქარტეხილების ეპოქაში: „ოდეს წახდა გლეხკაცი, საქართველო დაძაბუნდა“.

ვისაც დღეს საქართველოს ეკონომკის დაგეგმვა და მართვა ავალია, ამის დავიწყების უფლება არ აქვს. გლეხკაცი არის (და ყოველთვის იქნება, თუ მცდარმა ან დანაშაულებრივმა პოლიტიკამ არ შეუშალა):

– სოფლის, როგორც საზოგადოებისა, ერისა და ეკონომიკური ფუძე-ერთეულის, მოსახლე და შემნახავი;

– (სასაზღვრო ზონებში) ტერიტორიის გულით მონდომებული დამცველი;

– ნატურალური პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობაში გულწრფელად დაინტერესებული მეურნე;

– შთამომავლობის მრავალრიცხოვნებასა და მაღალხარისხოვან აღზრდაში დაინტერესებული მეოჯახე;

– ქვეყნის კეთილდღეობასა და ძლიერებაში ასევე

გულწრფელად დაინტერესებული მოქალაქე.

ამისათვის მას სჭირდება:

– თავისი ოჯახის სავსებით დამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა;

– ურბანულთან მაქსიმალურად მიახლოებული ცივილიზაციური ცომფორტი;

– ურბანულთან მიახლოებული განათლების საშუალება ბავშვებისათვის;

– გონივრული ხარისხი დამოუკიდებლობისა ეკონომიკურ პარტნიორებთან საქმიან ურთიერთობაში;

– თავისი შთამომავლობისათვის ფართო (გეოგრაფიულად და სოციალურად) პერსპექტივის იმედი.

უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორისათვის ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს არა მხოლოდ ქვეყნისა და გლეხკაცის ეკონომიკურად გაძლიერების წყაროს, არამედ ქართველი ერის სამეურნეო ცხოვრების წესისა და კულტურის ორგანულად განუყოფელ ნაწილსაც, ბუნებრივად მისადაგებულს ქვეყნის ისტორიულ მხარეებთან. ამ ფონზე რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს, არც თუ იშვიათად, ლაპარაკი გვიწევს არა თუ ტრადიციული დარგების შემდგომ განვითარებასა და რაციონალურ შეთანაწყობაზე, არამედ რიგი მათგანის (მეაბრეშუმეობა, მეჩაიეობა, ეთერზეთები, მეფუტკრეობა, მეცხვარეობა და სხვ.) შენარჩუნებასა და გადარჩენაზე.

ილია მეორე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გათვალისწინებით სახავს ქვეყნის განვითარების გზებსა და საშუალებებს. „საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ სახელმწიფოს"– მიმართავს მრევლს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

* * * *

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თვალსაზრისით, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი წარმმართველი დარგი – სოფლის მეურნეობა – თავისი პრობლემებით ყოველთვის უკავშირდებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებს. ამიტომ, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ილია მეორე დიდ ფუნქციას აკისრებს სოფლად ყოფა-ცხოვრების განვითარებას, გლეხკაცის ადგილზე დამაგრებას, მისთვის ცხოვრების მისაღები პირობების შექმნას, შემოსავლების ზრდას, მთისა და მთისწინეთიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას. ღრმად სწამს, რომ საქართველოს მთიანეთში მეცხოველეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის – მთისა და მთისწინეთის აღორძინებისა და თავდაცვის უპირველესი პირობა იქნება. მოგვიწოდებს ახალგაზრდობისაგან დაცლილი და მოხუცების ანაბარა მიტოვებული სოფლის მხარდაჭერისა და აღორძინებისაკენ. სწორედ ამის გაცნობიერებამ ათქმევინა უწმიდესსა და უნეტარესს: „მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს ჩვენი წარმოებები, აყვავდეს სოფლის მეურნეობა."

* * * *

უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ქვეყნის სოფლის მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობას სავალალოდ მიიჩნევს, გასაკეთებელს კიდევ ბევრს ხედავს და მოგვიწოდებს: „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია, როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდება და, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს."

სამწუხაროდ, დღესაც, აგრარული ურთიერთობები ვერ უზრუნველყოფენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების – პურისა და ღვინის – შეუფერხებელ წარმოებას, მათი გაძნელებული რეალიზაციის გამო. ვაგლახ! ეს პრობლემა ისევ გადაუჭრელია.

* * * *

ილია მეორე ბრძანებს: „ჩვენ სული უნდა ვყოთ ტაძრად, გული კი, – სანთლად წინაშე ღვთისა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე". ჭეშმარიტების გზა სინერგიაა, ანუ უფლის და ადამიანის ნების გაერთიანება.

ბოროტების საწყისი ადამიანის ცოდვილ ბუნებაშია. იგი წარმოიშვება ადამიანის თავკერძობისა და სიძუნწისაგან. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგად საყოფაცხოვრებო კომფორტის ზრდამ და პიროვნების კულტურულ ამაღლებასთან ერთად მისმა ნიველირებამაც, კულტურის ტექნიზაციამ, საერთო ეკოლოგიურმა კრიზისმა და პიროვნების სტანდარტიზაციამ გამოიწვია ინდივიდუალიზმისა

და ეგოიზმის ზღვარგადასული ზრდა.

მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში გამომჟღავნდა, რომ პროგრესის ევროპული ტრადიციული მოდელი, — წარმოების განუსაზღვრელი ზრდა და ბუნებრივი რესურსების დაუნდობელი ექსპლუატაცია, — სრულებითაც არ ყოფილა სანუკვარი გზა, პირიქით, წარმოიშვა „რისკის საზოგადოება", სადაც ადამიანთა ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და თავისუფლებას ემუქრება სწორედ ის საშუალებები, რომლებიც გამოგონილი იყო მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის. პრობლემის დასაძლევ ჰუმანურ ღონისძიებათა განხორციელებას უპირისპირდება კერძომესაკუთრული ეგოიზმი, იქმნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის საეჭვო ხასიათის ხელოვნური და სინთეზური საკვები პროდუქტები და საკვებ ანალოგებად წოდებული, მეცნიერების უახლესი მიღწევების დონეზე პროგრამირებული საკვები ფალსიფიკატები. ხშირ შემთხვევაში, საკვები სუროგატებისა და ფალსიფიკატების წარმოება შედის სახელმწიფოთა ინტერესების სფეროში და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მოტივებით არის გამართლებული.

ღვინო და პური საკრალური საკვები პროდუქტებია, მათზე აუგი ხელყოფა მკრეხელობაა. ქართველი კაცი ღვინის დაყენებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ყურძნის მტევანს ალალი კაცის მარჯვენა უნდა შეჰხებოდა. მარანი წმინდა ადგილად იყო მიჩნეული, სადაც რელიგიური რიტუალებიც სრულდებოდა. ღვინო მხოლოდ ყურძნის წვენის დადუღებით მიიღებოდა და ამ წესის დაუცველობა წარმოუდგენელი იყო. ქართველი მევენახის სინდისი ზედაშეა, რომლითაც ინათლებოდა მათი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ღვინის დაყენების ქართული წესი: კახური (ჭაჭაზე სრული დადუღებით-ექსტრაქტული ღვინოები), იმერული (ჭაჭაზე დადუღების გარეშე-არაექსტრაქტული ღვინოები), რაჭული (ჭაჭაზე ნახევრად დადუღებით).

„ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა, რაც ბუნებური ღვინისათვის საჭიროა, ჩვენც იმოდენად ვიცით, რამოდენადაც ევროპელთა." — ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე. ქართული ღვინის უმთავრესი ღირსება „ბუნებრიობაა", მხოლოდ „ნატურალობაა".

უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე გვმოძღვრავს: „ერს, ისევე როგორც პიროვნებას, აქვს ღირსების გრძნობა. ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანის მიწიერი კეთილდღეობა ღირსებაზე უარის თქმის შედეგია. მაგრამ ასეთი ქმედება მთელი ცხოვრების განმავლობაში მძიმე ტვირთად აწვება პიროვნებასაც და ერსაც და იწვევს მის სულიერ დეგრადაციას. საზოგადოება, რომელიც ღირსების განცდას მოკლებულია, განწირულია გადაგვარებისათვის."

დასავლეთის დემოკრატიის გამომხატველი ეკონომიკური სისტემა ძალზე მაცდურია და მისი ღირსება სათუოა. დასავლეთის დემოკრატიას უნაკლოდ ვერ მივიჩნევთ, იგი მხოლოდ იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ტოტალიტარული სისტემის ალტერნატივაა. „მესამე სამყაროში" შიმშილისა და სიღარიბის პასუხისმგებლობა ჩრდილოეთს ეკისრება. განვითარების პოლიტიკა იმპორტული ბარიერების ან არაკონტროლირებადი საკრედიტო განაკვეთების ზრდის მეშვეობით სამხრეთის არასაკმარისად ელასტიკური აზროვნების მქონე ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებს გაცილებით უფრო მეტსართმევს, ვიდრე ისინი ღებულობენ დახმარების სახით საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და მსოფლიო ბანკიდან.

თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება გამოძახილია გვიანდელი ფეოდალური ეპოქის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის — მერკანტილიზმისა. მერკანტილიზმის დოქტრინის არსებითი დებულებაა: „ყოველთვის უკეთესია საქონელი მივყიდოთ სხვებს, ვიდრე ვიყიდოთ, ვინაიდან პირველ შემთხვევაში მიღებული იქნება განსაზღვრული სარგებლობა, მეორეს გარდაუვალი ზარალი მოჰყვება".

ამ დოქტრინის მამოძრავებელი ძალა და ზნეობრივი კოდექსი იყო და არის ზღვარგადასული სიხარბე. მომხვეჭელობა-გამდიდრების წყურვილი თავისი ინტერესების სამსახურში აყენებს კაცთა მოდგმის მიერ შემუშავებულ იდეურ და ზნეობრივ ინტერესებს.

ამის შესახებ ილია მეორე წერს: „ისტორიის თანამედროვე ეტაპი მომხმარებლური საზოგადოების ღირებულებათა ზეობის დროცაა. მისთვის მთავარია მიწიერი კეთილდღეობა და არა სულიერი სიმდიდრე. ამიტომაცაა, გამართლება ეძებნება მატერიალური გამდიდრების ყველა საშუალებას. დღეს ბაზარზე საქონლისა და მომსახურების შეუზღუდავი წარმოება კი არა, ფული ბატონობს და თუ ეს მომხმარებლური პროცესი დროზე არ შეჩერდა, საზოგადოება კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება."

„მეტი გაყიდე, ნაკლები იყიდეს" პრინციპი უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის კონკურენტუნარიანობასთან. „მეტი გაყიდე" ნიშნავს ბაზარზე გატანილ საეჭვო სახმარი ღირებულების პროდუქციას, რომელიც არ გულისხმობს სამომხმარებლო თვისებებიდან უმთავრესს — უვნებლობასა და ეკოლოგიურობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხარისხის შეფასებისას ქიმიურ, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ თვისებებთან შედარებით მრავალი ქვეყნის მეწარმე უპირატესობას ანიჭებს ესთეტიკურ-ეკონომიკურ

მოთხოვნებს. სასურსათო საქონლის ღირებულების შემცირება ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ხდება სახმარი ღირებულების ,,კოსმეტიკით'', რაც ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესების ფონზე მიმდინარეობს. ამგვარი მასობრივი მოხმარების პროდუქცია – რიგი საკვები, სამკურნალო პრეპარატები, კოსმეტიკური საშუალებანი და ბავშვთა სათამაშოები – ზოგ შემთხვევაში შეიცავენ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად საშიშ ნივთიერებებს. გავიხსენოთ ახლახან მეტად გახმაურებული ფაქტი – ბავშვთა ჩინური სათამაშოები ან სედატიური მოქმედების ფრანგული წარმოების პრეპარატი ,,თალამიდი''. იგი რეკომენდებული იყო გვერდითი მოვლენების არმქონე პრეპარატად, სინამდვილეში კი წარმოადგენდა ძლიერ მუტაგენს. ადამიანის გენეტიკურ უსაფრთხოებაზე მუქარა კატასტროფულად იზრდება. ეს გარემოება საგანგაშოა.

მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ჰერბიციდების, სხვადასხვა აეროზოლების, მინერალური სასუქების არარაციონალური გამოყენებით ირღვევა ეკოსისტემა, შესაბამისად, ადამიანი იღებს საეჭვო ღირსების საზრდოს. ადამიანის ჯანმრთელობისათვის საეჭვო ხასიათის სინთეზური საკვები პროდუქტები, საკვები ანალოგები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ბოსტნეული და კვების მრეწველობაში არასტანდარტული ტექნოლოგიების დანერგვა საშიშროებას უქმნის ადამიანთა მოდგმას.

მალეფუჭებადი სურსათის შენახვით ან არაეკოლოგიური ტექნოლოგიებით გამოწვეული ზარალის აღმოსაფხვრელად, მსოფლიოს ყველა ქვეყანას შეაქვს საკვებში სხვადასხვა სახეობის ნივთიერება. სადღეისოდ ევროკავშირის სათანადო სამსახურების მიერ ნებადართულია 296 სახეობის შემავსებელი, ყველა მათგანი ჯანმრთელობისათვის პრაქტიკულად უვნებელ ნივთიერებადაა მიჩნეული, მაგრამ არ გამორიცხავენ მომხმარებელთა მხრივ გარკვეულ რისკს. არ არსებობს შეფასების უზრუნველყოფის სრული გარანტია, ამიტომ პროდუქციის მიმზიდველი გარეგნული სახე და საგემოვნო თვისებები არ ნიშნავს მომხმარებლის ჯანმრთელობაზე ზრუნვას. ამ მხრივ ევროსაბჭოს კანონმდებლობა უფრო მეწარმის ინტერესებს იცავს, ვიდრე მომხმარებლისას.

ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წარმოება და მოხმარება მიუთითებს ამა თუ იმ ქვეყნის არა მარტო ეკონომიკის მიღწევებზე, არამედ საზოგადოების კულტურისა და ჰუმანიზაციის მაღალ დონეზეც.

საკვებში ხელოვნური არომატიზატორების და სინთეზური სურნელოვანი ნივთიერებების მასობრივმა გამოყენებამ ადამიანის სენსორიკაზე შეუქცევადი გავლენა უკვე მოახდინა. ქალაქელის სენსორული შეგრძნებები (ყნოსვა, გემო და არა მარტო ესენი) გაცილებით უფრო დაჩლუნგებულია, ვიდრე სოფელში მცხოვრების. ეს უდავოდ გამოწვეულია ხელოვნურად არომატიზებული საკვები პროდუქტების უპირატესი მოხმარებით.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე წერს: ,,მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებული არიან, რომ ხელოვნური მეთოდებით (გენური ინჟინერია, შხამქიმიკატები, მცენარის ზრდის სტიმულატორები და ასე შემდეგ) მიღებული საკუთარი ჭარბი პროდუქციისათვის გასაღების ბაზრები გააფართოვონ და სხვა ქვეყნებში ადგილობრივი ბუნებრივი პროდუქციის წარმოება შეაფერხონ, სურთ, საქართველოც თავიანთი გავლენის სფეროდ და მათი სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად გადააქციონ; მით უმეტეს, რომ აქ ხალხის დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო იაფფასიანი, უხარისხო ნაწარმის გასაღება პრობლემას არ წარმოადგენს. ამ ტენდენციას ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დავუპირისპიროთ ... თვით მოსახლეობასაც შეუძლია ზომების მიღება, – მან უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციაზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოები... მითუმეტეს, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც აქეთ გვიბიძგებს, რადგან მისგან გამოწვეული დეფიციტი, პირველ რიგში, ალბათ, საკვებ პროდუქტებს შეეხება... საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს ქართულ სოფელს. საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და, მით უმეტეს, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, ოღონდ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიების და გრძელვადიანი კრედიტების სახით''

ილია მეორის მოწოდებასთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ, რომ ამჟამად დედამიწაზე არ არსებობს და, ალბათ, არც უახლოეს პერიოდში გამოინახება სასურსათო უზრუნველყოფის გლობალური პრობლემის გადაწყვეტის უნივერსალური მექანიზმი (მოდელი). ჩვენი აზრით, ამ პრობლემის სიმძიმე დღესაც და მომავალშიც, ეროვნულ (ქვეყნის) დონეზე გადასაწყვეტი იქნება.

მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია მეორე

როცა ბრძანებს, რომ მოსახლეობამ უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციაზე, იგულისხმება, რომ უარი უნდა ვთქვათ ამგვარი პროდუქციის როგორც მოხმარებაზე, ასევე მის წარმოებაზე. საქართველოშიც იწარმოება ფალსიფიკატები, მათ შორის ღვინო. ნუ დავხუჭავთ თვალს და ვაღიაროთ, რომ რუსეთში ექსპორტირებული ღვინის გარკვეული ნაწილი ფალსიფიკატი იყო, ხოლო მწვანილი ნიტრატების მაღალი შემცველობით ხასიათდებოდა.

საქართველოს გეოგრაფიული გარემო, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, განაპირობებდა მთისა და ბარის ეკონომიკური ზონების ფორმირებას, სოფლის მეურნეობის გაძღოლის სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც ბუნებათსარგებლობის პრინციპებს, ნიადაგდაცვით მიწათმოქმედებასა და ბუნებრივ-კულტურულ მეცხოველეობას ეფუძნებოდა. ჩვენი საწარმოო მასშტაბების მქონე ქვეყანას ძირითადად ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე, რადგან, მისი მცირემიწიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გააკეთოს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე. ჩვენ უნდა აღვადგინოთ და განვავითაროთ აგროეკოლოგიური წარმოების ის ტრადიციები და უნიკალური წესები, რომლებიც თანხვედრაში მოვლენ თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ეს საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ უხვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. ასეთი მიდგომა გამართლებულია, მით უმეტეს, რომ უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები და გარემო, ხალხის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორების კომპლექსი, — ქმნის ქართული აგრარული მეურნეობის შედარებით უპირატესობას. ეს უპირატესობა, საქართველოს მთიანეთს აქვს.

* * * *

წმიდა ილია მართალი წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება.“

ვაი-ვაგლახით დღემდე მოვიტანეთ სამივე.

როგორ მოვუაროთ მამულს? დღეს, როცა მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციის და გლობალიზაციის პროცესებში მცირე სახელმწიფოებისათვის თავის დაცვის შესაძლებლობები კნინდება, რით დავუპირისპირდეთ ამას?

უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე წერს: „სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო, რაც თავისუფალი ბაზრიდან უფრო რეგულირებად ბაზარზე გადასვლას გულისხმობს და, ბუნებრივია, ცალკეული სახელმწიფო ეფექტური მართვის ძიებას დაიწყებს. ჩვენ უნდა გამოვნახოთ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზები.“

მთავრობის კომპეტენტურობა და აგროსასურსათო პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი, მიმართულება და დონე გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან გადარჩენაში დღეს და სამომავლოდ. საუკეთესო იქნება, საქართველოს მთავრობამ შექმნას აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო, რომელიც შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის სტრატეგიას სოფლის განვითარების პოლიტიკას, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობ პოლიტიკას, განიხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს.

საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი (10-12 მლნ. ადამიანის გამოკვების) და სხვა პირობები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო თვითუზრუნველყოფისათვის. საქართველოს აგრარული პოტენციალის ამოქმედება უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი, რომელიც უზრუნველყოფს აგრომეურნეებს საჭირო შემოსავლებით, ცხოვრების მისაღები დონით და პროდუქციის გაფართოებული აღწარმოებისთვის საჭირო რესურსებით და აგრომომსახურებით. ამასთან, გლეხებს უნდა მოეხსნათ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, ბაზარზე ფასების ტენდეციების განსაზღვრის, კრედიტის ხელმისაწვდომობის, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის, გადასახადებისა და დაზღვევის საკითხებთან.

გლეხკაცს — ქართული მიწის მთავარ მეურვეს — ძალუძს ააყვავოს სოფელი და არა მარტო ქვეყანა გამოკვებოს, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს ძლიერებასაც საძირკველი ჩაუყაროს.

ამისთვის საჭიროა:

— მიწას მივუდგეთ არა მხოლოდ როგორც პროდუქციის წყაროს, არამედ როგორც მოსახლეობის შემნახავსა და გამხარებელს;

— სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელებზე (მოქალაქეობის არ მქონე პირებზე) კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქეობის გაჩენამდე უნდა უგამონაკლისოდ აღიკვეთოს (ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებამდე);

— ყველა საშუალებით (სახელმწიფოს ეს სა-

შუალებები მუდამ აქვს) უნდა შევქმნათ იაფი აგროსაკრედიტო სისტემა, სოფელი უზრუნველვყოთ იაფი სასოფლო-სამეურნეო საწვავით და განვითარებული საჯარო მომსახურებით (იაფი მელიორაციული და აგროტექზოოვეტ- მომსახურება);

– უზრუნველვყოთ გასარწყავებისა (რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია აღმოსავლეთ საქართველოში) და დაშრობის სამუშაოების აქტიური წარმართვა (რათა თავიდან იქნას აცილებული მეორადი დაჭაობების პროცესი კოლხეთში);

– გზა გავუხსნათ იჯარას (გრძელვადიანისა და გასხვისებადის ჩათვლით);

– უზრუნველვყოთ რაციონალურ ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვები;

– უზრუნველვყოთ იმპორტული (როგორც წესი, ეკოლოგიურად უვარგისი) პროდუქტის რეალური კონტროლი უვნებლობაზე;

– აღვკვეთოთ იმპორტზე დასპეციალებული მაფიური მონოპოლიზმი;

– ყველანაირად ხელი უნდა შევუწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და ადგილზე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას;

– სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შევქმნათ კოოპერაციის განვითარების ცენტრი, რომელიც შეიმუშავებს კოოპერაციის განვითარების ერთიან სტრატეგიას;

– უნდა დავადგინოთ და დავიცვათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების პარიტეტი;

– შევქმნათ შეღავათიანი საგადასახადო და სადაზღვევო სისტემები სოფლის მეურნეობაში (რაც სახელმწიფოსთვის აგრეთვე სავსებით მისაწ-ვდომია);

– შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, სალიზინგო საქმიანობის, თემის სამეწარმეო მობილიზაციის, საგირავნო და საგარანტიო ფონდები;

– აღვადგინოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრარულ მეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირი;

– ავაღორძინოთ საქართველოს მთიანეთი, როგორც ჯანსაღი და ქვეყნისთვის მიუცილებელი სამეურნეო ზონა. შევუქმნათ მთისა და მთისწინეთის მოსახლეობას ყოველმხრივი განვითარების პირობები;

– დავიბრუნოთ და ავითვისოთ როგორც ტრადიციული, ისე ახალი ბაზრები;

– უზრუნველვყოთ აგრომეურნეებისთვის მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭება და სათანადო რეგისტრაცია.

ეროვნული ბაზრის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა გამოიყენოს ყველა ის ბერკეტი და მექანიზმი, რომელიც მას როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრ ქვეყანას გააჩნია (უპირველესად ე.წ. დამცავი ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ისეთი სწრაფმზარდი იმპორტის მიმართ, რომელიც ზარალს აყენებს ადგილობრივ მწარმოებელს ან ქმნის ასეთი ზარალის მიყენების საფრთხეს, სეზონური ფასები და სხვა). ასევე, მთელი ყურადღება გადაიტანოს ადგილზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე.

ტყუილია, რომ საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას დღეს მრავალ მილიარდიანი ინვესტიცია სჭირდება, რადგან აგრარული სექტორი, როგორც დარგი, არ არის მზად მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების მოზიდვისა და საჭირო პროექტების განხორციელებისთვის. იგი გადაუდებლად საჭიროებს დაქუცმაცებული სასოფლო სამეურნეო მიწის ფონდის კონსოლიდაციას (რადგან უკიდურესად დანაწევრებულ მიწაზე რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მოსავლიანობის ამაღლება და არსებითი ეკონომიკური შედეგის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია) და სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირებას.

ათმაგად ტყუილია, რომ სოფლად დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ 2-3 პროცენტი მოსახლეობისა. სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენსაც სოფელი სჭირდება თავის სარჩენად და გასახარებლად. დემოკრატიულ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თავს ირჩენენ სოფლის მეურნეობით, როგორც წესი, ორჯერ და მეტად აღემატება იმათსას, ვინც უშუალოდ ხნავს, თესავს, სხლავს, თიბავს და ძროხას წველის. დღეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ნორმატიული სიდიდე 450 ათასი კაცია, მომავალში იგი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ქართული სოფლის სპეციფიკური თავისებურებების გამო, სასოფლო მოსახლეობის 15 – 20% ფარგლებში დარჩება (დაახლოებით 300 ათასი კაცი).

საქართველოს წინაშე დღეს უკვე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ამოცანები, რეალურად მოითხოვს, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა. სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას), ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ დღეს არსებუ-

ლი სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია კონკურენტული უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება, მეტად საჭირო და გარდაუვალი აუცილებლობაა.

* * * *

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს:

1. „საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენს წინაპართა ძალისხმევით არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა“.

2. „საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ სახელმწიფოს.“

3. „ვფიქრობთ, მომავალმა თაობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სამეცნიერო, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროს, რომ ჩვენი ქვეყანა სრულფასოვან სახელმწიფოდ იქცეს.“

4. „ჩვენი დიდი რესურსია ინტელექტუალური პოტენციალიც. ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია.“

5. „თუ ადამიანში ქართული სულია, თუ მასში ქართული სული ჩქეფს და მას ქართველი წინაპრები ჰყავდა. იგი მოვალეა დაიცვას ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელმაც გადაარჩინა საქართველო.“

6. „ჩვენი წინაპრები აგროვებდნენ სულიერ და ეროვნულ ფასეულობებს და ჩვენც უნდა გავაგრძელოთ ეს მამულიშვილური საქმე.“

7. „საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს ქართულ სოფელს“.

8. „აუცილებელია, საშუალო და მცირე საწარმოთა დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება.“

9. „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა.“

10. „მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს ჩვენი წარმოებები, აყვავდეს სოფლის მეურნეობა.“

წინ გვიდევს საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების სათანადო არგუმენტებით დასაბუთებული პროგრამა. უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ დასახული გზა, ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამა ილია ჭავჭავაძისეული „უკეთესი ქვეყნის შენებისა“, მხოლოდ ერის ერთიანობითა და თანხმობითაა შესაძლებელი. როგორც გიორგი მთაწმინდელი ბრძანებდა: „ერთნებაობითა და თანადგომით“ ქვეყნის მართვა. ქართველ ხალხსა და ქართველ მეცნიერებს ძალუძთ ამ პროგრამის ხორცშესხმა. პროგრამის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი ქვეყნის მთავრობამ უნდა შეასრულოს სახელმწიფო მართვის უმაღლესი ბერკეტის – ინსტიტუციონალური რეგულირების პოლიტიკის გამოყენებით.

მხოლოდ ის ქმნის ისტორიას, ვინც მას თავად მოიცავს სულითა და გონებით. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ყველგან და ყოველთვის არის ჩვენი ქვეყნის წარსული რაობის, ამ რაობის გამომხატველი უმთავრესი ღირებულებების მაცოცხლებელი აწმყოში, რათა ქართველმა კაცმა გლობალურად შემჭიდროებული და გართულებული სამყაროს ახალ შესაძლებლობებსა და მომხიბვლელ საშიშროებაში საკუთარი თავი არ დაკარგოს. ეს ბრძენი და ქველი ადამიანი გვასწავლის და მოგვიწოდებს, არ შევუშინდეთ ახალ იდეებს, ვიაზროვნოთ ანალიტიკურად, ნაწილთა შეცნობისას არ დაგვეკარგოს მთელი და, რაც მთავარია - ისე გვწამდეს ის, რაც გვწამს, და გვიყვარდეს ის, ვინც გვიყვარს, რომ ამავე დროს პატივი მივაგოთ სხვა ადამიანთა რწმენასა და სიყვარულს.

როგორც სპეციალისტი, რომელმაც ჩემი მთელი დღევანდელი ცხოვრება საქართველოს სოფლის მეურნეობის განსაცდელზე და მისი გადარჩენის გზებზე ფიქრს მოვანდომე, შეუძლებელია ღვთის მადლიერი არ ვიყო იმასთვისაც, რომ ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი, რომელსაც ჩვენი ერის სულიერი წინამძღვრის ფართო გული იტევს, საქართველოს მთავარი მარჩენლისა და შემნახავის - საქართველოს გლეხკაცისა და საქართველოს მიწის ბედია.

ბედნიერია საქართველო, რომ ამგვარი მოძღვარი ჰყავს და ბედნიერია პატრიარქიც, რომ ამ ქვეყნის შვილია. სიყვარულისა და თავისუფლების მასწავლებლის ღვთაებრივ სიბრძნეს საქართველომ ადამიანური სიბრძნის ეროვნული გამოცდილებაც შესძინა.

ბედნიერია თაობები, რომელთაც ესმით, რომ მეცნიერული ცოდნის შეძენა ერთეულ ადამიანშიც და მთლიანად საზოგადოებაშიც რწმენას აძლიერებს.

ჩვენ შევიცვალეთ.

ჩვენ ვიცხოვრებთ მაღალი ზნეობის, სამართლებრიობის, სამართლიანობის, განვითარების, სოლიდარობის, კეთილდღეობის, ღირსებისა და დემოკრატიის თავისუფალ საქართველოში.

# ქსელური მიდგომა სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის, მარკეტინგის, პრომოუშენისა და პარტნიორთა ძიების პროცესებში

*თ. ჩუბინიშვილი*
*ნელი მახვილაძე*

ამჟამად ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები, მათ შორის, განათლებისა და სამეცნიერო სისტემაში განხორციელებული ცვლილებები განაპირობებს ამ სფეროში მომუშავე სამეცნიერო კვლევითი ჯგუფების საქმიანობაში გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. კერძოდ, საქმიანობას კომერციული შემადგენელის გაძლიერების აუცილებლობას და აქედან გამომდინარე სამეცნიერო და მისი შედეგების კვლევების გამოყენება-გავრცელების საქმეში ახალი, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მიდგომების დანერგვას.

საქმე ისაა, რომ დღეს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო ორგანიზაციების, ძირითადად უნივერსიტეტების სამეცნიერო სექტორის დაფინანსების სახელმწიფო წყარო მათ შორის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები ვერ უზრუნველყოფენ სამეცნიერო საქმიანობის ნორმალურ წარმართვას, ახალგაზრდა ნიჭიერ მკვლევართა მოზიდვას და სხვა.

სამეცნიერო სფეროში კომერციული ელემენტის შემოტანის ერთ-ერთი ძირითად, თუ არა ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს კვლევების შედეგების და კვლევების პროცესში მიღებული ცოდნის, როგორც გარკვეული ღირებულების მქონე პროდუქტის (ან მომსახურების) შეთავაზება სამეწარმეო სფეროსთვის, ანუ სამენციერო-კვლევების შედეგების კომერციალიზაცია.

კომერციალიზაციის პროცესი მეტად რთული, მრავალპროფილიან საქმიანობასთან არის დაკავშირებული, კერძოდ, იგი უკავშირდება ინვესტორების, პროფილური წარმოებისა და დაინტერესებულ მეწარმეთა, სხვადასხვა სახის პარტნიორთა ძიებასა და მათთან ურთიერთობების წარმართვას. აქ პარტნიორების ქვეშ იგულისხმება სატრანსფერო და საფინანსო ორგანიზაციები, საინფორმაციო სამსახურები, სხვადასხვა საწარმოო ინკუბატორები, საცდელი სადგურები და ა.შ.

ფაქტიურად სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პროცესი წარმოქმნის სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ორგანიზაციათა და სამეცნიერო ჯგუფების საქმიან ქსელს.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, სადაც გაზრდილი კონკურენციის პირობებში მოითხოვება მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოება, ფართოდ გამოიყენება საქმიანი ქსელების მცნება და ქსელური მიდგომა. ქსელური მიდგომის (business networking) ყველაზე უნივერსალურად ჰაკანსონის განმარტება მიიჩნევა[1],[2] ამ განმარტების თანახმად ქსელი წარმოადგენს სხვადასხვა ფირმების ერთობლიობას, რომელიც ბაზრის გარკვეულ სეგმენტისათვის მრავალფეროვანი პროდუქტების (საქონლისა და მომსახურების) მიწოდების მიზნით აერთიანებს ქსელის შემადგენელი სუბიექტების სხვადასხვა რესურსებსა და საქმიანობათა სახეებს.

ქსელურმა მიდგომამ ფირმების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებში-მარკეტინგში, მენეჯმენტში, პარტნიორებთან ურთიერთობებში მოიკიდა ფეხი. ამ მიდგომამ ფირმების საქმიანობაში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა წარმოების სფეროში [3],[4].

საქმე ისაა, რომ სამეწარმეო ქსელების ძირითადი დანიშნულებაა გარკვეული კონკრეტული პროდუქციის წარმოება და შესაბამისად ამ პროდუქციის ბაზარზე მუდმივი, მყარი პოზიციის დაკავება და როგორც შედეგი – წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. პროდუქციის სახეობის სტაბილურობა, მასალებისა და მოწყობილობების მომწოდებლებთან სტაბილური და ხანგრძლივი თანამშრომლობა წარმოქმნის სამეწარმეო ქსელის ჩამოყალიბების წინაპირობას. წარმოება-გასაღების პროცესში მენეჯმენტსა და მარკეტინგში ქსელური მიდგომის მთავარ და განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ქსელის სუბიექტებს შორის ურთიერთობის ხასიათი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნიკალურია და ხშრად ფორმალიზაციას არ ექვემდებარება [2], [4], კერძოდ:

- ურთიერთნდობის მაღალი დონე;
- ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა არაფორმალური შეთანხმების საფუძველზე;
- ქსელის სუბიექტების რესურსებით ურთიერთსარგებლობის შესაძლებლობა;
- ქსელის სუბიექტების ურთიერთ ორიენტა-

ცია (ქსელის ერთი სუბიექტი ახალი საქმიანი წინადადებით პირველ რიგში მიმართავს ქსელის რომელიმე სუბიექტს და არა გარეშე ორგანიზაციას);

– ურთიერთვალდებულებების მიმართ მაღალი პასუხიმგებლობა, რომელთა შორის აღსანიშნავია სუბიექტის ვალდებულება საერთო ინტერესების აუცილებელი ხელშეწყობა. საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკური მსხვერპლის გაღება;
– ურთიერთობის სტაბილურობის და ურთიერთობის ხანგძლიობის უზრუნველყოფა;
– ქსელის სუბიექტის ზოგიერთი უფლების სხვა მონაწილეზე დროებით ან მუდმივად დელეგირების განხორციელების შესაძლებლობა.

ყოველივე ამის გამო სამეწარმეო ქსელებში, ფირმების მოქმედების კოორდინაციას არ განსაზღვრავს ტრადიციული ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმები, ცენტრალური დაგეგმარება ან იერარქიული სტრუქტურები, პირიქით ქსელში ჩართული სუბიექტების ურთიერთმოქმედების პროცესი განსაზღვრავს ქსელის სუბიექტების მოქმედების კოორდინაციას [2].

სამეწარმეო ქსელებში როგორც წესი თითქმის ყოველთვის რაიმე ფორმით მონაწილეობს პროფილური სამეცნიერო-კვლევითი ერთეული. მართალია სამეწარმეო ქსელის ასეთი წევრი მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია, მაგრამ იგი არ წარმოადგენს სამეწარმეო ქსელის ფუნქციამატარებელს, რადგან პირდაპირ არ მონაწილეობს პროდუქციის წარმოებისა და გასაღების პროცესებში.

განსაკუთრებულ განხილვას მოითხოვს საქმიანი ქსელი, რომლის ფუნქციას წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაცია. საზოგადოდ, კომერციალიზაციის წინადადებების (პროექტების) რეალიზაციის პროცესში მონაწილეობას იღებს საქმიანობის შემდეგი ჯგუფები:

– სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები და უნივერსიტეტები;
– სამეცნიერო-საწარმოო ინკუბატორები, ტექნოლოგიური პარკები, საცდელი სადგურები;
– ბანკები, ფონდები, საინვესტიციო ფირმები, სხვადასხვა საფინანსო დანიშნულების სამსახურები;
– მოქმედი და მშენებარე საწარმოები, ინდივიდუალური მეწარმეები, ფერმერული მეურნეობები;
– სატრანსფერო ორგანიზაციები, საშუამავლო ფორმები, საინფორმაციო სამსახურები;
– მასალების და დამხმარე მოწყობილობების მიმწოდებლები.

ამ ჯგუფებში შემავალ ორგანიზაციებს შორის საქმიანი კავშირის დამყარება და შემდგომ წარმატებულ თანამშრომლობას განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სამეცნიერო-ჯგუფების კვლევების მიმართულებები და თემატიკა, საწაარმოების დანიშნულება, საქმიანობის პროფილი და პროდუქციის სახეობა, ინვესტორთა და საფინანსო დაწესებულებების ინტერესების სფერო, სავარაუდო პარტნიორთა მოქმედების გეოგრაფიული არეალი, საინოვაციო საქმიანობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და ა.შ. და რაც მთავარია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო კონიუქტურის, ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციების ცოდნას.

სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაცის პროცესის წარმატებულად წარმართვის აუცილებელი პირობაა სამეცნიერო გუნდსა და ზემოთმოყვანილ სხვა საქმიან ჯგუფებში შემავალ ორგანიზაციებს შორის მუდმივი საინფორმაციო კავშირის არსებობა და მის საფუძველზე ერთობლივი პროექტის წარმართვის შესაძლებლობათა გამოვლენა, ჩამოთვლილი ფაქტორების მდგომარეობის გამოკვლევა-აღწერა და შემოთავაზებული საინოვაციო (საკომერციალიზაციო) იდეის შეფასება მისი კომერციული ღირებულების, არსებული საბაზრო კონიუნქტურის, არსებული რესურსების თვალსაზრისით. ფაქტიურად სამეცნიერო გუნდის წინაშე დგება მარკეტინგის ამოცანა, ანუ შესაბამისი საინფორმაციო ამოცანა, რომელიც გამოიხატება ინფორმაციის ძიების, მოპოვების და ანალიზის პროცედურების ჩატარების აუცილებლობით [5].

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ თუ სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფები თავისი სფეროს სამეცნიერო სიახლეებისა და განვითარების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ფლობენ, ამას ვერ ვიტყვით სხვა ინფორმაციის შესახებ, რომელიც აღწერდა (ასახავდა) ზემოთ მოყვანილ წარმატებული ურიერთთანამშრომლობის განმსაზღვრელ ფაქტორებს. ამიტომ ასეთ საინფორმაციო პირობებში, როცა საქმე ეხება სამეცნიერო კვლევის შედეგად წარმოქმნილ საკომერციალიზაციო იდეის რეალიზაციას, ხშირად პარტნიორული ურთიერთკავშირი შემთხვევით ხასიათს ატარებს და შეუძლებელი ხდება სანდო, ინფორმაციულად ღია ურთიერთობის დამყარება, რომელიც ზემოაღწერილი სამეწარმეო ქსელისათვის არის დამახასიათებელი.

განსაკუთრებით რთულდება გამართული საინფორმაციო გარემოს ფორმირება ისეთი დიდი, მრავალპროფილიანი სამეცნიერო ორგანიზაციებისათვის როგორიც უნივერსიტეტებია. ასეთი კვლევითი ორ-

განიზაციებისათვის დამახასიათებელია სამეცნიერო კვლევების სხვადასხვა მიმართულებების არსებობა და ყოველ მიმართულებაში თემატიკის მრავალფეროვნება. ამ პირობებში ყოველი კვლევის შედეგი, რომელიც პოტენციურად კომერციალიზაციის საგანს წარმოადგენს მოითხოვს როგორც მარკეტინგული კვლევების ჩატარებას, ასევე პოტენციური პარტნიორების ძიებას და სხვა სახის საინფორმაციო უზრუნველყოფის ამოცანების გადაჭრას სამეცნიერო კვლევებისა და საკომერციალიზაციო პროექტის ფორმირების ეტაპებიდან დაწყებული მის პრაქტიკულ რეალიზაციამდე. გამოყენებითი სფეროს სამეცნიერო საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის დღეს არსებულ პირობებში მეცნიერთა გუნდი იძულებულია თვითონ უზრუნველყოს კომერციალიზაციის პროცესის საინფომაციო მომსახურება. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციას მოქმედ საწარმოების, მეწარმეთა და წარმოებით დაინტერესებულ ინვესტორთა წინაშე არსებულ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პრობლემების შესახებ. ინფორმაციის ეს სახეობა მიეკუთვნება ძნელად მოსაპოვებელ ინფორმაციის კლასს, მითუმეტეს, როცა საქმე ეხება საწარმოებსა და მეწარმეებს რომლებიც გეოგრაფიულად დაშორებულ რეგიონებს წარმოადგენენ.

ამგვარად, მეცნიერთა გუნდი იძულებულია ინფორმაციული კავშირი თვითონ დაამყაროს თითქმის ყველა იმ საქმიან ჯგუფის წარმომადგენლებთან, რომლებიც კომერციალიზაციის პროცესის შესაძლო (პოტენციური) მონაწილენი არიან. ამ პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფის განხორციელების დღეს არსებული პრაქტიკა სქემატურად გამოსახულია ნახ. 1-ზე. რეალურად აქ ასახული საინფორმაციო და სხვა საქმიანი კავშირები წარმოიქმნება სტიქიურად და ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებენ.




სქემაზე აღნიშნული პოტენციური (შესაძლო) პარტნიორების ქვეშ იგულისხმება თითქმის ყველა სახის ორგანიზაცია, რომელიც მიეკუთვნება კომერციალიზაციის პროცესის მონაწილე ზემოთ მოყვანილ საქმიან ჯგუფებს. ცხადია, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია იმ დიდი საინფორმაციო სამუშაოს შესრულება, რაც კომერციალიზაციის პროცესთან არის დაკავშირებული. ერთადერთი საინფომრაციო სამუშაო, რომელიც მეცნიერებს შუძლიათ შეასრულონ და როგორც წესი ასრულებენ კიდეც, ეს არის, პრომოუშენის ის ნაწილი, რომელიც ეხება სამეცნიერო შედეგების გამოქვეყნებას და მის გავრცელებას აკადემიურ წრეებში სამეცნიერო სტატიების, სემინარების და კონ-

ფერენციების საშუალებით. ყველა სხვა საინფორმაციო სამუშაოები უნდა ჩატარდეს სპეციალური საინფორმაციო სამსახურების მეშვეობით თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და რაც მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერ-ავტორებთან მუდმივი კონტაქტის საფუძველზე.

სპეციალურ საინფორმაციო სამსახურებს შორის უნდა გამოიყოს ის ორგანიზაციები, რომელთა მოქმედების სფეროს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობა, სამეცნიერო და საინოვაციო პროცესები, ეკონომიკა, ხოლო მათი ძირითადი დანიშნულბაა ამ სფეროების ინფორმაციული უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წამყვან ეროვნულ სამსახურებს. ასეთი ტიპის დაწესებულებები ფუნქციონირებენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, აზიის უმეტეს ქვეყნებში, და ა.შ. ამ დაწესებულებათა ორგანიზაციული ფორმა ძირითადად წარმოდგენილია როგორც სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის კვლევითი ინსტიტუტები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფომაციის, სამეცნიერო ინოვაციის ცენტრები და სხვ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ისტორიულად, 1959 წლიდან საქართველოს სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი წარმოადგენდა დიდი სამეცნიერო-ტექნიკური საინფორმაციო ქსელის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ფარავდა მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიებს. აქ მომქმედ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრებს ერთმანეთთან ჰქონდათ მეტად მჭიდრო საქმიანი კავშირი, რომელიც ძირითადად დღესაც შენარჩუნებულია.

ამჟამად დიდ ქვეყნებში როგორიცაა ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა, უზბეკეთი, თურქეთი და ა.შ. გარდა სამეცნიერო-ტექნიკური ინფომაციის ეროვნული ცენტრებისა, თითქმის ყოველ ტერიტორიულ ერთეულს აქვს საინფორმაციო ცენტრი, რომელიც სრულად ფლობს თავის ტერიტორიულ ერთეულში მოქმედ საწარმოების და კვლევითი დაწესებულების შესახებ ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და სამეცნიერო ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას რეგიონში წარმოებული პროდუქციის, ბუნებრივი რესურსების, იმპორტ-ექსპორტის შესახებ და ა.შ.

ტრადიციულად როგორც ეროვნული ასევე ტერიტორიული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციული სამსახურები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამის მაგალითია სამეცნიერო-ტექნიკური ინფომაციის საერთაშორისო ცენტრი (ICSTI – International Centre for Scientific – Technical Information), რომელიც აერთიანებს 22 ქვეყნის წამყვან სამეცნიერო-ტექნიკური ინფომაციის სამსახურებს. საქართველოსთან ერთად ამ ცენტრის წევრები არიან უკრაინის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ესტონეთის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას და სხვათა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წამყვანი სამსახურები. ეს ორგანიზაციები მონაწილეობენ სხვადასხვა ერთობლივ საინფორმაციო პროექტებში, აწარმოებენ ინფორმაციის გაცვლას, ჰქმნიან ერთობლივ საინფორმაციო ფონდებს, სისტემატურად ატარებენ ერთობლივ კონფერენციებს, სემინარებს და ა.შ. ცენტრი გამოსცემს სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს Information and Innovation, რომელშიაც აისახება წევრი ქვეყნების საინფორმაციო სამსახურების გამოცდილება საინოვაციო საქმიანობაში.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, აზიისა და აფრიკის ზოგიერთი ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამსახურებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობის ხასიათს აქვს ის თვისებები, რომელიც კომერციალიზაციის პროცესებშიაც წარმოქმნის ქსელური მიდგომის გამოყენების შესაძლებლობას (მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობა საგრძნობლად განსხვავდება სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციისაგან). კერძოდ, ასეთია ქსელური მიდგომის ორი ძირითადი (განმსაზღვრელი) ფაქტორის არსებობას: პარტნიორული ურთიერთთანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდი და ერთმანეთის საინფორმაციო რესურსების ერთობლივი გამოყენების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარკეტინგული კვლევების და პრომოუშენის განხორციელებისას.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი ტექინფორმი 1993 წლიდან საქართველოს წარმომადგენელია ICSTI-ში, საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ სრულად ისარგებლონ იმ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემის შესაძლებლობებით, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი. კერძოდ, ტექინფორმს როგორც ICSTI-ში ეროვნულ წარმომადგენელს, ტრადიციულად მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს ამ გაერთიანების წევრებთან, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკების საინფორმაციო სამსახურებთან, რომლებიც არ არიან გაერთიანებული ამ ქსელში (მაგ. სომხეთი, ყირგიზეთი, ლიტვა, ტაჯიკეთი). ამრიგად, ტექინფორმს პარტნიორული ურთიერთობა აქვს თითქმის

ყველა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის სტატუსის მქონე ქვეყნებთან, რომელთა წინაშე ისევე როგორც საქართველოს წინაშე მწვავედ დგას სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციისა და ახალი წარმოების ხელშეწყობის ამოცანები.

ცხადია, საინფორმაციო სამსახურებს შორის თანამშრომლობის ასეთი ხასიათი ზრდის როგორც მეცნიერთა მიერ მიღებული შედეგების გავრცელების არეალსა და შესაბამისი საინოვაციო წინადადებების დანერგვის შესაძლებლობას, ასევე ზრდის პოტენციურ ინვესტორთა ინტერესების რეალიზაციის გეოგრაფიას.

ყოველივე ამის საფუძველზე კომერციალიზაციის პროცესის საინფორმაციო მხარდაჭერის დღეს არსებული სტიქიურად ჩამოყალიბებული სქემა (ნახ.1.) აუცილებელია ჩანაცვლდეს ისეთი სქემით, რომელშიც სრულად იქნება გამოყენებული საინფორმაციო სამსახურების კოოპერაციის შესაძლებლობები. საქმე ისაა, რომ სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პროცესის წარმატებულად წარმართვის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა წარმოებასა და სამეცნიერო საზოგადოებას შორის მუდმივი საინფორმაციო კავშირების არსებობა და მის საფუძველზე ერთობლივი პროექტების წარმართვის შესაძლებლობათა გამოვლენა. როგორც ადრე ითქვა, კომერციალიზაციის პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფის არსებული სქემა (ნახ.1) ვერ ასრულებს ამ პირობას. ამ ორ მხარეს შორის მუდმივი საინფორმაციო კავშირის არარსებობის გამო, ერთის მხრივ სამეცნიერო გუნდები, როგორც წესი, არ აწარმოებენ მიზნობრივ კვლევებს წარმოებაში წარმოქმნილ კონკრეტულ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პრობლემების გადაჭრის მიზნით. ხოლო მეორეს მხრივ მეწარმეები (და ხშირად ინვესტორებიც) მოკლებულნი არიან სისტემატურ ინფორმაციას პროფილური სამეცნიერო კვლევების შედეგების შესახებ, თუმცა მათში ძალიან ხშირად ფიგურირებს ზემოხსენებული პრობლემების გადამჭრელი ტექნიკურ-ტექნოლოგიური მიგნებები ან იკვეთება ამ მიმართულებით თანამშრომლობის პერსპექტივები.

ქვემოთ (ნახ. 2) წარმოდგენილია სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციის პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფის ტექნოლოგიური სქემა. მასში მკაცრად არის რეგლამენტირებული კვლევითი გუნდების საინფორმაციო სამსახურებისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ადგილი და როლი კომერციალიზაციის პროცესში.

წარმოდგენილი სქემა იძლევა იმის საშუალებას, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული როგორც სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საინფორმაციო სამსახურების არაფორმალური ქსელის შესაძლებლობები. ამ შემთხვევაში საინფორმაციო კავშირი და ინფორმაციული თანამშრომლობა ერთის მხრივ მკვლევართა და მეორეს მხრივ მეწარმეებსა და ინვესტორებს შორის ხორციელდება შესაბამისი ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ტერიტორიული ორგანიზაციების საშუალებით. როგორც ზევით უკვე იყო ნათქვამი, ეს ორგანიზაციები სრულად ფლობენ შესაბამის რეგიონალურ ინფორმაციას სამეცნიერო შედეგების, მოქმედი საწარმოებისა და მეწარმეობის პერსპექტიული მიმართულებების შესახებ. ამავე დროს ინფორმაციის ხსენებული სამსახურები, განსაკუთრებით თუ ისინი წარმოადგენენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის სტატუსის მქონე ქვეყნებს, როგორც უკვე იყო აღნიშნული, დაინტერესებულნი არიან თავისი ქვეყნის




ნახ. 2

წარმოების განვითარებით, ინოვაციური პროცესების გააქტიურებით. ეს გარემოება შემოთავაზებული სქემის რეალიზაციის დამატებით მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს.

ამრიგად, კომერციალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის წარმოდგენილი სქემა საერთაშორისო დონეზე წარმოებასა და სამეცნიერო გუნდებს შორის

მუდმივი საინფორმაციო კავშირის დამყარების საშუალებას იძლევა, ეს კი, თავის მხრივ, ერთობლივი პროექტების წარმართვის შესაძლებლობათა გამოვლენასა და შემდგომი რეალიზაციის საფუძველს განაპირობებს.

## ლიტერატურა:


1. Hakansson H. International Marketing and Purchsing of Industrial Goods. An Interaction Approach, Wiley Chichester, 1982 г.
2. Кущ. С.П., Рафинеджад Д., Афанасьев А.А. Сетевой подход в маркетинге: Российсский опыт. Вестник Санкт-Петербургского Университета. Серия В.: Менеджмент 2002 №1, стр. 81-107
3. Катенев В.И.Перспективы развития сетевой экономики в условиях формирующегося общества знаний. Проблемы современной экономики, №2 (22), 2007г.
4. Howaldt, Jûrgen: Unternehmensnetzwerke – Organisationsform der Zukunft. Netwerke zur Medienkompetenzentwicklung. Erfolgsfaktoren und Handlungsoptionen. Marl: Kopaed Verlag, 2004, S. 27-34
5. ო.შატბერაშვილი,თ.ჩუბინიშვილი. ინოვაცია და ინფორმაცია. GEN: ინოვაცია.2003. გვ. 65-69


## რეზიუმე


სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პროცესების საინფორმაციო უზრუნველყოფის,პარტნიორების ძიებისა და მათთან საქმიანი ურთიერთობისათვის შემოთავაზებულია ქსელური მიდგომის (business networking) რეალიზაციის შესაძლო სქემა. აქ წარმოდგენილი მიდგომის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური ტერიტორიალური საინფორმაციო სამსახურების კოოპერირებული მუშაობის გამოცდილება და წლების განმავლობაში მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთნდობის პრაქტიკა. წარმოდგენილი ქსელური მიდგომის გამოყენების შესაძლებლობას განაპირობებს აგრეთვე შემდეგი გარემოებები:

– სხვადასხვა ქვეყნებისა და ტერიტორიალური ერთეულების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამსახურებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს და ადვილად ხელმისაწვდომია მათი მოქმედების არეში(ტერიტორიზე) არსებული სამეცნიერო, ტექნოლოგიური, სამეწარმეო და სხვა სახის ეკონომიკური თუ საფინანსო ინფორმაცია;

– ამ ტერიტორიებზე მოქმედი სამეცნიერო ორგანიზაციებისა და მეწარმეთათვის ინოვაციური განვითარების საკითხი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ამიტომ საინოვაციო საქმიანობის გააქტიურება მათი დაინტერესების სფეროს წარმოადგენს.

ამ ფაქტორების გამოყენება განაპირობებს კომერციალიზაციის პროცესის შემოთავაზებული საქმიანი ქსელის სტრუქტურის (სქემის) ეფექტურ ფუნქციონირებას.

# კონცესიის ისტორია

*ზაზას სუხიშვილი, სტუ-ს დოქტორანტი*

კონცესია (concessio) ლათინური სიტყვაა და ნებართვას, დათმობას ნიშნავს. იგი არის სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა, ურთიერთსასარგებლო სახელშეკრულებო საფუძველზე, კერძო სექტორის ჩართვით, სახელმწიფო ქონების ან მომსახურების ეფექტურად მართვისათვის. კონცესია გულისხმობს ბუნებრივი რესურსების, ინფრასტრუქტურის ობიექტების, საწარმოების ან მოწყობილობების ექსპლოატაციის უფლების გადაცემას გარკვეული პირობებითა და ანაზღაურებით.

კონცესიონერად, როგორც წესი, გამოდიან მძლავრი კომპანიები, რომლებიც ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებშისაკონცესიოდ იღებენ სხვადასხვა ობიექტს. ასეთ კომპანიებს ენიჭებათ ფართო უფლებები მეურნეობის სხვადასხვა დარგში, რამაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა უზრუნველყოს.

კონცესიის საფუძველზე განხორციელდა ისეთი ცნობილი პროექტები, როგორიცაა მე-17 საუკუნეში აშენებული საფრანგეთის სამხრეთის არხი, რომელმაც ატლანტიკის სანაპირო ხმელთაშუა ზღვას დაუკავშირა, ჩინეთის აღმოსავლეთის რკინიგზა და რუსეთის ათი ათასობის კილომეტრი რკინიგზა, რომლებიც მე–19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე–20 საუკუნის დასაწყისამდე აშენდა, საუკუნის გრანდიოზული პროექტი - „ევროგვირაბი“ და ა.შ.

კონცესიის ისტორია ანტიკური ხანიდან იწყება. გავრცელებული იყო სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის გარიგების ისეთი ფორმა, რომელიც კონცესიის საინტერესო თავდაპირველ სახეობას წარმოადგენდა. ასეთი გარიგებები ძველ დროში აქტიურად გამოიყენებოდა. ეს იყო სახელმწიფოს მიერ გადასახადების ამოღების უფლების კერძო პირისათვის გადაცემა. ამ ურთიერთობას ინგლისურ ენაზე „tax farming“-ს (farming) უწოდებენ, რუსულ ენაზე – „Откуп налогов“-ს (Откуп), ასეთ კერძო პირებს კი „tax farmer“-სა და „откупщик“–ს. რადგან არ გვაქვს ამ ძველი ურთიერთობის აღმნიშვნელი ქართულენოვანი ტერმინები, სასურველია დამკვიდრდეს იგი და „tax farming“-ს ეწოდოს „გადასახადის იჯარა“, ხოლო „tax farmer“-ს –„გადასახადის მოიჯარე“. მნიშვნელოვანია, რომ ამ ტერმინებში იგულისხმება უფლების და არა ნივთის იჯარა. აღნიშნული ქართულენოვანი ტერმინები გამოყენებული იქნება წინამდებარე ნაშრომშიც.

თავდაპირველად გადასახადის იჯარა გამოიყენებოდა ნატურალური მეურნეობის, სახელმწიფოს ფინანსური სიძნელეების, სუსტი ადმინისტრირებისა და განუვითარებელი კომუნიკაციების პირობებში. გადასახადის მოიჯარეთა ხელში დიდი სიმდიდრე იყრიდა თავს. მათი შემოსავალი 2-3-ჯერ აღემატებოდა სახელმწიფო ხაზინაში შეტანილ სახსრებს.[1]

გადასახადის იჯარამ პირველად გავრცელება პოვა ძველ ირანში (ჩვ. წთ. აღ-მდე VI ს.), ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში (ჩვ. წთ. აღ-მდე IV ს.). შუასაუკუნეებში (XIII ს-დან) გავრცელდა საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ესპანეთსა და ინგლისში. გადასახადის იჯარა გახდა საწყისი კაპიტალის დაგროვების მნიშვნელოვანი წყარო.

გადასახადის იჯარა ფართოდ იყო გავრცელებული ოსმალეთის იმპერიაში XVI ს-ის დასასრულიდან XVII ს-ის დასაწყისამდე (გაუქმდა 1925 წელს), ირანში X–XII საუკუნეებიდან XX ს-ის 20–30-იან წლებამდე, ინდოეთში XIII–XIV საუკუნეებიდან XIX-მდე არსებობდა. გადასახადის იჯარა თავისებური ფორმით შემორჩა XX ს-ის იტალიას, ზოგიერთ გადასახადს კერძო ბანკები კრებდნენ, ხოლო აშშ–ში XIX ს–ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყის წლებში გადასახადის იჯარა გამოიყენებოდა საგადასახადო დავალიანების ამოსაღებად.

ძველი საბერძნეთის ყველა სახელმწიფოში გადასახადების აკრეფა კერძო პირების მიერ ხორციელდებოდა. ათენში ხშირად გადასახადის მოიჯარეები დიდ გაერთიანებებს ქმნიდნენ. ისინი გადასახადებს უშუალოდ ანდა დაქირავებული პირების მეშვეობით კრებდნენ. ეს პირები კონტრაბანდის საკითხებსაც კი განაგენდნენ, რისთვისაც ჩხრეკისა და დევნის უფლებაც კი ჰქონდათ მინიჭებული. ამის გამო ისინი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდნენ. სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გადასახადის მოიჯარეს შეიძლება მოქალაქეობა დაეკარგა, ყოფილიყო დაპატიმრებული ან ქონების კონფისკაციით დასჯილიყო.

რომში გადასახადების ამოღების უფლების გასაცემად ვაჭრობა (თანამედროვე გაგებით აუქციონი) იმართებოდა. გადასახადის მოიჯარე „პუბლიკანად“ იწოდებოდა (ლათ. publicani. Publicum – სახემწიფო ქონება, შემოსავლები). კონკურსის შემდეგ მათ

[1] http://ru.wikipedia.org – Откуп

უფლება ჰქონდათ მიემართათ სენატისათვის ახალი აუქციონის ჩატარების თხოვნით, თუ აღმოჩნდებოდა, რომ სახელმწიფოსათვის გადასახდელი სახელშეკრულებო ფასი შეუსაბამოდ დიდი იყო. გადასახადის იჯარა მნიშვნელოვან დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, რის გამოც ამ საქმის გაძღოლა მხოლოდ მხედართა წარჩინებული საზოგადოების წევრებს ხელეწიფებოდათ. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც სენატორებს საფინანსო საქმეებში მონაწილეობა აეკრძალათ. ამ საქმის გაძღოლისათვის თუ ერთი პირის კაპიტალი არ იყო საკმარისი, ისინი საზოგადოებებს ქმნიდნენ (societates). ისტორიულ წყაროებში პირველად 217 წელს არის მოხსენიებული ასეთი საზოგადოებების შესახებ. საზოგადოების უფლებამოსილ ერთ წევრს შეეძლო ყველას სახელით წარედგინა გადასახადის იჯარის პირობები. ასეთ წევრებს „manceps“-ი ეწოდებოდა. საზოგადოებას ერთი წლის ვადით ხელმძღვანელობდა „magistri“. საზოგადოების ძირითად წევრებს თავისუფლებამოპოვებული პირები და მონები შეადგენდნენ, თუმცა, ამ საქმეს არც რომის მოქალაქეების თაკილობდნენ. გადასახადის მოიჯარეები თანდათან ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ სახელმწიფოში. პროვინციების თავკაცები ხშირად მათი მოვალეები იყვნენ. მიუხედავად ამისა, მათ ჰქონდათ უფლება გარკვეული დარღვევებისათვის გადასახადის მოიჯარისათვის დაედოთ ადმინისტრაციული სახდელი. რომის იმპერიის არსებობის ბოლო პერიოდში გადასახადის მოიჯარეებს მხოლოდ საბაჟო გადასახადების ამოღების უფლება გადაეცემოდათ ხოლმე.

მე-13 საუკუნის საფრანგეთში, თითქმის მთელ სამეფოში, გადასახადების დიდი ნაწილის ამოღების საქმე კერძო პირებზე იქნა გადაცემული. ამ საქმიანობის მომწესრიგებელი საერთო ნორმები ამ დროისათვის არ არსებობდა. ხშირად მეფემაც არ იცოდა, ამა თუ იმ შემთხვევაში, გადასახადის აკრეფის უფლების იჯარით გაცემა მომგებიანი იყო თუ არა.

გადასახადის იჯარის საკითხების მოწესრიგება პირველად ჰენრიხ IV-ის მეფობის დროს მინისტრმა სიულიმ განახორციელა. მან დააჯგუფა მსგავსი საკითხები და ვაჭრობის (აუქციონის) გზით დაიწყო ზოგიერთი გადასახადის იჯარით გაცემა. ამ ღონისძიებამ წარმატებული ფინანსური შედეგები მოიტანა. ამ დროისათვის ოთხი სახის გადასახადის ამოღება გაიცემოდა იჯარით: საბაჟო, სასმელის აქციზი, მარილის გადასახადი ქვეყნის დიდ ნაწილში და მარილის გადასახადი ლანგედოკში (ისტორიული მხარე, პროვინცია საფრანგეთის სამხრეთში). იყო აგრეთვე 18-მდე ადგილობრივი სახის გადასახადი. სიულის რეფორმა 1681 წელს კოლბერმა დაასარულა. მან სხვადასხვა პირზე გაცემული გადასახადის იჯარა 40 ფინანსისტისაგან შემდგარ საზოგადოებას გადასცა, რომელსაც წელიწადში 56 670 000 ლივრი უნდა გადაეხადა სახელმწიფოსათვის. გადასახადების მოიჯარეთა კომპანია საბოლოო სახით მინისტრ ფლერის დროს (1726 წ.) შეიქმნა, რომლის წევრიც მხოლოდ მეფის სიგელით მინიჭებული fermier general-ის წოდების მქონე პირი შეიძლება ყოფილიყო. 1681 წლიდან გადასახადის იჯარის გაცემის შესახებ ვაჭრობა (აუქციონი) ყოველ 6 წელში ერთხელ ხელახლა უნდა გამართულიყო. 1738 წლიდან საიჯარო გადასახადი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, სადამფუძნებლო კრებამ 1789 წელს გააუქმა გადასახადის იჯარა და 6 კომისარი დანიშნა საქმეთა ლიკვიდაციისათვის. გადასახადის მოიჯარეები კი დასაჯეს ერის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის.[1]

საქართველოშიც არ იყო უცხო საკონცესიო ურთიერთობები და შეთანხმებები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ერეკლე II-ის დამსახურებით აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა მრეწველობა. ამ პერიოდში ჩნდება და აღორძინებას განიცდის მთელი რიგი საწარმოებისა. კერძო პირებთან ერთად მათი დამაარსებელი უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფო იყო.[2]

კერძო საწარმოები ფართო მოხმარების პროდუქციას ამზადებდნენ. ასეთთა შორის აღსანიშნავია იოსებ ყორღანაშვილის მიერ გამართული ზეთსახდელი ქარხანა[3], თამბაქოს ქარხანა[4], იოანე პენტელაშვილის თიხის ჭურჭლის ქარხანა[5], გლახა ბაგაშვილის აგურის ქარხანა[6] და სხვა. გარდა ამისა „1770 წელს ერეკლეს ნებართვით მოქალაქე ისაია თაყუაშვილმა თბილისში თოფისწამლის ქარხანა ააშენა. თოფისწამლის დამზადება და მისი გაყიდვა ამიერიდან თაყუაშვილის მონოპოლია გახდა[7].“ შემდეგ ეს საწარმო მეფის საკუთრებაში გადავიდა.

ისტორიულად ცნობილი უმთავრესი სახელმწიფო

[1] http://ru.wikipedia.org – Откуп

[2] „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, თავი XI, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში, XVIII ს. 40-80-იანი წწ. გვ. 546.

[3] სცია, ფ. 1450, დავთ. 23, საბ. 32; შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

[4] სცია, ფ. 1449, დავთ. 1126; შ. მესხია, იქვე.

[5] სცია, ფ. 1451, დავთ. 1-ა, გვ. 25, საბ. 1; შ. მესხია, იქვე.

[6] სცია, ფ. 1450, დავთ. 42, საბ. 198.

[7] სცია, ფ. 1450, დავთ. 18, საბ. 15; ა. კლიმიაშვილი, საარტილერიო მშენებლობა არმოსავლეთ საქართველოში XVIII ს. მეორე ნახევარში, ხელნ. ინსტიტუტის მოამბე, 1962, V, გვ. 272.

(მეფის) საწარმოები იყო სამთამადნო, სამღებრო, თბილისის თოფ-იარაღის დამამზადებელი ქარხანა (აწარმოებდა სამხედრო საჭურვილობასა და ზარბაზნებს), მინის სარეწაო, მარილის დამამზადებელი, თიხის ჭურჭლის გამომშვები და სხვა საწარმოები, აგრეთვე სტამბა და ზარაფხანა. ეს საწარმოები სამართავად ხშირად კერძო სექტორს გადაეცემოდა ხოლმე და სწორედ ამიტომ გვსურს შევჩერდეთ ზოგიერთი მათგანის ისტორიაზე.

სამთამადნო წარმოება მეფე ერეკლე II-ს დროს აღორძინდა. იგი მოიცავდა სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის საბადოების დამუშავებას. ისტორიკოსი ომარ ხერხეულიძე წერს, რომ მრავალრიცხოვან მტერთან საბრძოლველად სახსრების ძიებამ ერეკლე მეფე სამთამადნო სიმდიდრის აღმოჩენა-დამუშავებამდე მიიყვანა: „არა აქვნდა (მეფე ერეკლეს საქართველოს მტრების მიმართ) პირდაპირი ძალა, არც ჯარითა და არც ხაზინითა და თვინიერ სიმჭნისა კიდე არა რაჲ აქვნდა პირისპირი თანასწორება. მაშინ ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსი და ვერცხლისა, რომელმანცა იპოვა... და მოიყვანა ბერძნეთით ბერძენნი მცირედნი, გამომძნობელნი ოქროსა და ვერცხლისა მიწისანი. ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაკობა, ისარგებლა მით ფრიად“.[1]

მეფე ერეკლემ თურქეთიდან მოიწვია ბერძენი „მემადნეების“ ერთი ჯგუფი, რომელმაც ახტალის მონასტრის მიდამოებში ვერცხლის საბადოს დამუშავება დაიწყო. ცდა წარმატებული გამოდგა. იქვე სპილენძის მადანსაც მიაკვლიეს. 1763 წელს ფართოდ გაიშალა სამთამადნო წარმოება და იგი თანდათან ფეხზე დგებოდა. მადნების დასამუშავებლად თურქეთიდან ჩამოიყვანეს უფრო მეტი საქმისმცოდნე ბერძენი - 800 კომლი ანუ 2000 სული.[2] „აშენდა ვერცხლის სადნობი ქარხანა ახტალას და სპილენძის სადნობი – დამბლუდს. 7 წლის შემდეგ კიდევ სპილენძის ორი ქარხანა ჩადგა მწყობრში – ალავერდისა და შამბლუღის. წარმოებას კარგი პირი უჩანდა და წარმოებაც გაფართოების გზას განუხრელად ადგა.“ ახტალის ვერცხლის მადანი ოქროსაც შეიცავდა და წარმოებდა ოქროს გამოცალკევება.[3]

საინტერესოა მეფისა და ჩამოსული ბერძენი ოსტატების საქმიანი გარიგება. წარმოების მეპატრონედ მეფე ითვლებოდა. მეფესა და ბერძენ „მადანჩებს“ შორის შემდეგი პირობების შემცველი ხელშეკრულება დაიდო: ახტალის ქარხნებში მიღებულ ოქროს ბერძნები მთლიანად მეფეს აძლევდნენ, ხოლო ვერცხლიდან 25%-ს. დარჩენილ 75%-ს მეფე მათ უბრუნებდა თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის აბაზების სახით. ალავერდის ქარხნიდან, რადგან ბერძნები საკუთარი ხარჯებით აწარმოებდნენ მადანს, მიღებული სპილენძის მხოლოდ 12% ერგებოდა მეფეს. ბერძენ მადნისმწარმოებლებს სახელმწიფომ პრივილეგიები მიანიჭა. ისინი სპილენძით და ტყვიით ვაჭრობის დროს არ იხდიდნენ საბაჟო გადასახადებს და არ გადიოდნენ ჯარში.[4]

ბერძენი ოსტატები ყველა სამუშაოს ასრულებდნენ გარდა შავი სამუშაოსი, რომელსაც დაქირავებული მუშები ეწეოდნენ.

მეფის შემოსავალი ვერცხლის მადნიდან 48 281 მანეთს უდრიდა[5], ხოლო სპილენცის მადნიდან – დაახლოებით 12-18 ათას მანეთს, რაც ერთად 60 ათას მანეთს აღემატებოდა. ამ თანხას დიდი ადგილი ეკავა სახელმწიფო ბიუჯეტში.[6]

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ახტალა-ალავერდის მაღაროების სამუშაოები ა. მუსინ-პუშკინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. 1805 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ საწარმოები ისევ ბერძნების ხელში აღმოჩნდა, ხოლო XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ფრანგი კონცესიონერების ხელში გადავიდა.[7]

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის მსგავსი ფორმები გვხვდება სამღებრო წარმოებისა და მეფის ზარაფხანის მართვის შემთხვევებშიც.

სამღებრო საწარმოები თავისი მასშტაბებითა და ორგანიზაციით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის ეკონომიკაში. „სამღებროთა მესაკუთრედ ქართლში დედოფალი ითვლებოდა. სამღებროთა ზედამხედველობისათვის დედოფალს საგანგებო მოხელე ჰყავდა, რომელიც მღებართუხუცესად იწოდებოდა. მღებართუხუცესები სადედოფლო სოფლებიდან მოჰყავდათ რიგრიგობით“.[8] იგი იყო ადმინისტრაციული მოხელე და არა ღებვის მცოდნე. სამღებრო იჯარით გაიცემოდა და იჯარადარი სამღებროს მფლობელს წინასწარ უხდიდა შეთანხმებულ

[1] საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 269.
[2] Тифлисские ведомости, 1832, ბერძენი ოსტატის მოგონება.
[3] С. Есадзе, Очерк истории горного дела на Кавказе, Тифлис, 1903, ст. 168.
[4] დ. გოგოლაძე, „სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი“, თბ., მეცნიერება, 1966 .
[5] Материалы к истории горной промышленности Грузии. I, Tb., 1936, gv. 89–90.
[6] ნ. ქოიავა, „ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში“, 1963, გვ 216.
[7] ვლ. ჭანიშვილი, „მ. ჯავახიშვილი და ალავერდის მაღაროები“, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 1997, №1.
[8] დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედ., თავი 34, სამღებროსათვის, გვ., 125.

თანხას, რითაც გარკვეული ვადით საწარმოს ექ-სპლოატაციის უფლებას იღებდა.[1]

მეფის ზარაფხანა ძველი დროიდან არსებობდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაფართოვდა მისი საქმიანობა და იჯარით გაიცემოდა. XVIII საუკუნის შუა წლებში მეფის ზარაფხანის მოიჯარადრედ იყო მსხვილი ვაჭარი ხოჯა ბეჰბუდა[2]. 1792 წლიდან ზარაფხანა იჯარით აღებული ჰქონდა მელიქიანთ შაქარას შვილ გასპარას 500 თუმნად. ამ საქმეში გასპარა მარტო არ იყო, იგი ამხანაგობის მეთაურია. მისი ამხანაგობის ერთ-ერთი წევრია ღანბარაანთ პაპა. ამხანაგობა იყოფს ურთიერთ შორის ამ საქმის „ხეირსა და შარს".[3] იჯარით იღებს ზარაფხანას იმავე გასპარას მეთაურობით სამი კაცისაგან შემ-დგარი ამხანაგობა 1797 წელსაც.[4] ამხანაგობათა შექმნა ზარაფხანის შემოსავლიანობის ზრდითაა გა-მოწვეული. საიჯარო თანხა ამ დროს 425 თუმანს შეადგენდა.[5]

მეფეს ეკუთვნოდა და აგრეთვე იჯარით გაიცემოდა მინის სარეწი, მარილის დამამზადებელი, თიხის ჭურჭლის გამომშვები და სხვა წვრილი საწარმოები.

საკონცესიო ურთიერთობები აქტუალური იყო საბჭოთა საქართველოს პერიოდშიც. საბჭოთა კავ-შირში 1921 წელს დამტკიცდა „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა", რომლის პირობებშიც ხდებოდა კერძო კაპიტალის ხელშეწყობა და სახელმწიფო კონტროლს ქვეშ დაყენება. ეს პოლიტიკა ითვალისწინებდა აგრეთვე უცხოელი კაპიტალისტებისათვის საწარმოთა იჯა-რით გადაცემას, რომლითაც იქმნებოდა მრეწველობის სწრაფი აღდგენის შესაძლებლობა.[6]

როგორც ეკონომიკის სტაბილიზაციის ინსტრუ-მენტმა ახლადშექმნილი საბჭოთა კავშირის ეკო-ნომიკის აღდგენის პერიოდში კონცესიებმა დადე-ბითი როლი ითამაშეს. სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი შემოსავლები გაუჩნდა კონცესიით გაცემული საწარმოების შემოსავლების წილიდან, გადასახადებიდან, საიჯარო ქირიდან, მოსაკრებლე-ბიდან და სხვ. კონცესიების საშუალებებით ხორ-ციელდებოდა საწარმოო მოწყობილობების მოდერ-ნიზება, კვალიფიციური მუშახელის ზრდა და უმუშევრობის შემცირება. ამ პერიოდში საკონცესიო ურთიერთობები გავრცელდა ქალაქის განვითარების საკითხებში. ჩამორჩენილი ეკონომიკისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა საკონცესიო საქმიანობის განვითარება. განსაკუთრებილი აქტივობა 1921-1930 წლებში შეიმჩნეოდა, ცხადია, ჩვენი ინტერესის საგანი ამჯერად მაშინდელი საქართველოა.

ზემოაღნიშნული პოლიტიკის გატარების მიზნით 1923 წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოსთან შექ-მნილი საკონცესიო კომისიები, რომლებიც მხოლოდ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საკონცესიო კომიტეტს ექვემდებარებოდნენ და მის მიერ გამოცემული დირექტივებისა და განკარგულებების საფუძველზე მოქმედებდნენ.[7] ყუ-რადღება არ ექცეოდა მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენულ უფლებებსა და ინტერესებს.

მთავარი საკონცესიო კომიტეტის მიერ 1926 წლის 9 აპრილს დამტკიცებული მოკავშირე რესპუბ-ლიკების საკონცესიო კომისიების დებულების მიხედ-ვით საკონცესიო კომისიების ფუნქციებში შედი-ოდა მოცემული რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ-სებული ობიექტის საკონცესიოდ გადაცემის თაობა-ზე შესული წინადადებების წინასწარი განხილვა და შუამდგომლობის აღძვრა შერეული სააქციო სა-ზოგადოების დაარსების შესახებ, საკონცესიო წი-ნადადების თაობაზე მთავარი საკონცესიო კომიტე-ტისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინება; ცნობების გაცემა და მთავარი საკონცესიო კომიტეტის მიერ დასმულ კითხვებზე დასკვნების მომზადება.

მთავარი საკონცესიო კომიტეტის ნებართვით მო-ლაპარაკებები იმართებოდა კონცესიის მაძიებელთან. ხდებოდა საკონცესიო ხელშეკრულოების წინასწარი პროექტებისა და შერეულ საზოგადოებათა წეს-დებების შემუშავება, რომლებიც შემდეგ მთავარ საკონცესიო კომიტეტში იგზავნებოდა. ადგილობრი-ვი ხელისუფლების ორგანოების მიერ გამართული მოლაპარაკების შედეგები კომუნალური საწარმოების საკონცესიო გადაცემის შესახებ 1923 წლის 12 აპრილის დეკრეტის მიხედვით, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა მთავარი საკონცესიო კომიტეტისათვის. საზღვარგარეთ მოლაპარაკებები ხორციელდებოდა მხოლოდ მთავარი საკონცესიო კომიტეტის ნებართვითა და მისი მეშვეობით.

„უცხოური ფირმები თუ სააქციო საზოგადოებები

[1] „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. IV, თავი XI, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების განვი-თარება აღმოსავლეთ საქართველოში, XVIII ს. 40-80-იანი წწ. გვ. 551.

[2] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной грузии, Тб., 1959, ст. 128.

[3] სცია, ფ. 1450, დავთ. 24, საბ. 75.

[4] სცია, ფ. 1450, დავთ. 24, საბ. 73, 76.

[5] А. Цагарели, Грамоты, I, gv. 187.

[6] „ჭიათურის კონცესია და ჰარიმანის ეკონომიკური დიპლომატიის დამარცხება", ვახტანგ ჟვანია. ჟურნ. „დრო-შა", 1960,№2.

[7] ზ. კობახიძე, „უცხოელთა საკონცესიო წინადადებები საქართველოში (1921-1925 წწ.)", ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა", 1997 წ., №1-3.

დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრისა და ძალზე მომგებიანი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო მასთან საკომუნიკაციო კავშირებისადმი". ეს ინტერესი მათ არა თუ არ გაუნელდათ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, არამედ უფრო გაუძლიერდათ, რადგან ჩამორჩენილი ეკონომიკის მქონე ქვეყნის ხელისუფლება პოზიტიურ დამოკიდებულებას იჩენდა კონცესიონერებისადმი, რამაც საქართველოში კონცესიის მიღებისათვის სასურველი პირობები შექმნა.[1]

1924 წლის 21 იანვარს მთავარმა საკონცესიო კომიტეტმა იტალიურ-ბელგიურ სააქციო სამთო-სამრეწველო საზოგადოებას საკონცესიოდ გადასცა შირაქის ველის ნავთობის საბადო. კონცესიის ძალაში შესვლის ვადა განისაზღვრა 1924 წლის 21 მარტით, მაგრამ 1925 წლის 21 მარტს საკონცესიო ხელშეკრულების შესრულების წლისთავზე გამოირკვა, რომ კონცესიონერი თავის ვალდებულებას არ ასრულებდა. ამიტომ კონცესია მთავარი საკონცესიო კომიტეტის გადაწყვეტილებით გაუქმდა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინადადებით მიმართა საქართველოში მცხოვრებმა საბერძნეთის ქვეშევრდომ მოქალაქეთა ჯგუფმა (სევასტოსი და პანაგოპულო), რათა მათთვის ნება მიეცათ დაემუშავებინათ მდინარე ხრამის ნაპირას თეთრი წყაროდან 200 ვერსზე მათ მიერვე აღმოჩენილი სპილენძის საბადო. წინადადება ცენტრში შესათანხმებლად გაიგზავნა, რადგან უცხოელთათვის კონცესიების გაცემის ნებართვას მხოლოდ მთავარი საკონცესიო კომიტეტი იძლეოდა. მან საქართველოს შესაბამის უწყებას დაავალა მოლაპარაკება გაემართა ზემოხსენებულ ჯგუფთან საკონცესიო ხელშეკრულების დადების თაობაზე. გაურკვეველი მიზეზების გამო საქმეს შემდეგი მსვლელობა არ ჰქონია.

საბერძნეთის მოქალაქეთა მეორე ჯგუფი (ზაროკი და კარვოლიო) ასევე მოლაპარაკებას ეწეოდა დუშეთი რაიონში გოგირდის საბადოების დაზვერვითი სამუშაოების ჩასატარებლად. ცნობილი ყოფილა ამ ტერიტორიაზე (სოფ. აბანოში) გოგირდის საბადოს არსებობა, რომლის დამუშავებაც სტიქიურად ხდებოდა. ხელშეკრულების პროექტი დასკვნისათვის გაეგზავნა მთავარ საკონცესიო კომიტეტს. ამ უკანასკნელმა მოლაპარაკებების დაწყების თანხმობა გასცა, მაგრამ რით დამთავრდა ეს მოლაპარაკება, ცნობილი არ არის.

კონსტანტინეპოლის სავაჭრო წარმომადგენლობიდან სინდიკატმა „ვან კამპენსუტმა", რომელიც ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე კავკასიის მდინარეებში ოქროს მოსაპოვებლად დაწყებულ ძიებას განაგრძობდა, წარადგინა წინადადება ამავე საქმის საკონცესიოდ გადაცემის შესახებ. რეგიონში ოქროს არსებობის შესახებ სსრ კავშირის გეოლოგიურ კომიტეტს თავისი მონაცემები ჰქონდა. ეს მონაცემები ამ მხრივ საინტერესო რაიონების (მდინარე მაშავერას აუზის ნაწილი და ჩათახის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, აგრეთვე საქართველოს გარეთ აქსტაფის, დილიჟანისა და ზანგეზურის სპილენძის საბადოს მისადგომები) შესახებ ემთხვეოდა ერთმანეთს. ამისათვის დიდი საძიებო სამუშაოების ჩატარება იყო საჭირო, მაგრამ ზემოაღნიშნულმა ფირმამ საწადელს ვერ მიაღწია. კონცესია არ შედგა.

გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის ფირმები ცდილობდნენ საკონცესიოდ მიეღოთ ბზიფის, კოდორისა და ენგურის ხეობების ტყის მასივები. ვინმე ვილი-მეონიკე საკონცესიოდ თხოულობდა 171 667 დესეტინა ფართობის ტყეებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე, ანაკლიასა და ფოთს შორის მდებარეობდა. ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ ვილი-მეონიკესთან ურთიერთობა დაწყდა, რადგან მიღებულ იქნა ცნობა, რომ მისი ფირმა იმდროისათვის (1924 წ.) კონცესიისათვის აუცილებელი სახსრები არ ჰქონდა.

ტყის საკონცესიოდ მიღებით დაინტერესებული იყო ცნობილი ტყის მრეწველი ოსკარ-ფონ ვერნერიც. იტალიური ფირმა „ფონ გრაცე მისმალი" დასამუშავებლად ითხოვდა 32 500 დესეტინა ფართობის ტყეებს. გარდა ამისა, იგივე ფირმა ნავთობის ქვანახშირისა და მინერალური საღებავების მოპოვების საკონცესიოდ გადაცემას ითხოვდა.

იტალიურ ფირმა „ფლორიოს" სურდა მიეღო მდინარე მტკვრის თევზის სარეწების კონცესია. მაგრამ მას უარი ეთქვა იმის გამო, რომ თევზჭერის საქმის მოგვარება უკვე ადგილობრივი ძალებით ხდებოდა და სახელმწიფოეს ეს საქმე უკვე რენტაბელურად მიაჩნდა. საკონცესიო კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია თევზის პროდუქციის საზღვარგარეთ რეალიზაციის საქმეში საკონცესიო კაპიტალის მოზიდვა, თუმცა კონცესიას იგი შერეული საზოგადოების დაარსებას ამჯობინებდა შავი ზღვისპირეთის თევზის მეურნეობის ერთიანი საწარმოს შექმნის მიზნით, მაგრამ არც ამ საქმეს ჰქონია წარმატება.

საინტერესო იყო საფრანგეთის მოქალაქის ჟან პერის წინადადება თევზის ქერცლისაგან ხელოვნური მარგალიტის მიღების კონცესიის შექმნის თაობაზე. მიმდინარეობდა საკონცესიო პირობების განხილვა.

ფირმა „აპილ პროდუქს კომპანი» აყენებდა წინადადებას ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების დამამ-

---

[1] ზ.კობახიძე, „უცხოელთა საკონცესიო წინადადებები საქართველოში (1921-1925 წწ.), ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა", 1997 წ., №1-3.

ზადებელი საწარმოს შექმნის კონცესიის შესახებ. ასეთივე წინადადებებს აყენებდნენ გერმანული ფირმებიც. ამ წინადადებებს სახელმწიფო მიიღებდა, თუ კონცესიონერი იკისრებდა პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის საზღვარგარეთ ექსპორტის ვალდებულებას. იმის გათვალისწინებით, რომ მალფუჭებადი პროდუქტების დამუშავებისათვის საქართველოში არ იყო ტექნიკური პირობები, ხოლო ამ დარგის განვითარება საჭირო იყო. საკითხი გადასაწყვეტად გადაეცა მთავარ საკონცესიო კომიტეტს, რომელიც კონცესიონერს გარკვეულ პირობებს უყენებდა.

იყო ცდები საამშენებლო საქმის, კომუნალური მომსახურებისა და ტრანსპორტის დარგში კონცესიების ორგანიზებისათვის. მაგალითად, ინჟინერი ფელდცი ითხოვდა „ბესლან-ქუთაის-კოპიტნარის“ საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის ნებართვას. მიაჩნდათ რა, რომ ამ რკინიგზის მშენებლობა ხელს შეუწყობდა საქართველოს ზოგიერთი რაიონის ეკონომიკურ განვითარებას. მთავარი საკონცესიო კომიტეტის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, მაგრამ დადებითად არც ეს გადაწყდა.

იდგა საკითხი ბათუმისა და ართვინის (თურქეთი) შორის საავტომობილო გზის მშენებლობის თაობაზე, რომელიც დააყენა ართვინის საკონსულომ. ართვინი ისტორიულად საქართველოს ნაწილი იყო და გეოგრაფიულად ეკვროდა ამიერკავკასიას, ამიტომ რეგულარული საავტომობილო კავშირის აუცილებლობა ცხოვრებით იყო ნაკარნახევი. ამ წინადადებით ნედლეულის ექსპორტისა და იმპორტის, რეგულარული საფოსტო მოძრაობის განხორციელების საკითხიც კი დაისვა, მაგრამ შედეგი არც მას მოჰყოლია.

არსებობდა ბერლინის ფირმა „სიმენს ბაუნინის“ წინადადება საამშენებლო კონცესიის თაობაზე. ფირმა ითხოვდა საქართველოს ტერიტორიაზე აეგო ყოველგვარი სახის სამოქალაქო შენობა არსებულ სახელმწიფო, შერეულ და კერძო სამშენებლო საწარმოებთან კონკურენციის პირობებში. ოცწლიანი მშენებლობის გეგმები და პროექტები შეიძლებოდა ფირმისათვის გადაეცათ ან თვით ფირმა შეიმუშავებდა თავის პროექტებს და მშენებლობა უახლესი ტექნიკით განხორციელდებოდა. ქართულმა მხარემ პრინციპული თანხმობა განაცხადა. სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტმა ამიერკავკასიაში კონცესიის შესაძლო ობიექტების გეგმაც კი შეიმუშავა. წინადადება უარყოფილ იქნა.

უარყოფილ იქნა აგრეთვე წინადადებები გორის რაიონში ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების კონცესიის შესახებ, შავ ზღვაზე თევზისა და დელფინის სარეწების კონცესიის შესახებ, მეაბრეშუმეობის დარგის განვითარებისა და აბრეშუმის ქსოვილების საზღვარგარეთ ექსპორტის შესახებ, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ათვისების საკონცესიოდ გადაცემის შესახებ, ელექტროტექნიკური მრეწველობის საკონცესიოდ გადაცემის შესახებ, აზოტოვანი სასუქების, გლაუბერის მარილისა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა საკონცესიოდ გადაცემის შესახებ.

საკონცესიო წინადადებების ნაწილის მიღება ხდებოდა და ხელშეკრულებებით მთავრდებოდა, მაგრამ ნაწილის უარყოფა არამომგებიანობის ან პოლიტიკურად მოტივირებული საკითხების გამო ხდებოდა.

1922–1927 წლებში უცხოეთის სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ წარდგენილი იყო 2193 წინადადება. 1927 წლის სექტემბრისათვის დამუშავებაში იყო 140 წინადადება. აქედან გერმანიას ეკუთვნოდა 65, საფრანგეთს – 10, ინგლისს – 6, აშშ-ს – 16, შვეციას – 7, იტალიას – 5 და სხვ. ამ დროისათვის სულ 110 საკონცესიო საწარმო მოქმედებდა. 1922–დან 1927 წლამდე გაუქმებულ იქნა 46 კონცესია. 1937 წლის დასასრულისათვის კი ყველა საკონცესიო ხელშეკრულება გაუქმდა.[1]

ყველაზე ცნობილი და ფართომასშტაბიანი იყო ჭიათურის შავი ქვის კონცესია, რომლის შესახებ ხელშეკრულება საკავშირო საკონცესიო კომიტეტსა და ცნობილ ამერიკელ მრეწველ უილიამ ავერელ ჰარიმანს შორის 1925 წლის 12 ივნისს 20 წლის ვადით დაიდო. მთელი მოპოვებული მარგანეცი ჰარიმანს საზღვარგარეთ უნდა გაეტანა. იგი კისრულობდა ვალდებულებას აეგო ქვის გასარეცხი ქარხანა, მოეწყო მექანიკური ტრანსპორტი ქვის გადასაზიდად მაღაროებიდან ქარხნამდე და ქარხნიდან რკინიგზის ბაქნამდე; გაეყვანა საჩხერე-ზესტაფონის ფართოლიანდაგიანი რკინიგზა, ნაცვლად ვიწროლიანდაგიანისა, ძლიერი ორთქმავლებისა და 2000 ფუთი ტვირთმზიდველი ვაგონების გადაადგილების საშუალებით და აშენების შემდეგ მთელი ეს რკინიგზა თავისი მოწყობილობებით საექსპლოატაციოდ უსასყიდლოდ გადაეცა მთავრობისათვის; შეეკეთებინა და გაემაგრებინა მაგისტრალური ხაზი ზესტაფონიდან ფოთამდე; ფოთში აეგო ქვის გემზე მექანიკურად დასატვირთი ელევატორი. ყველა ამ ვალდებულების გარდა კონცესიონერს უნდა დაეხარჯა იმდენი, რამდენიც საჭირო იქნებოდა, მაგრამ არანაკლებ 4 000 000 დოლარისა. განისაზღვრა თითოეულ გატანილ მშრალ ტონაზე გადასახდელები და მოგების წილი. კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ კონცესიონერზე გადაცემული ქონება და მის მიერ აგებული მოწყობილობები და გაუმჯობესებები უსას-

[1] ზ. კობახიძე, „უცხოელთა საკონცესიო წინადადებები საქართველოში (1921-1925 წწ.)“, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1997, №1-3.

ყიდლოდ უნდა გადასულიყო „მთავრობის საკუთრებაში და უფლებაში“.[1]

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება წარმატებული არ იყო. ავტორის აზრით, ჰარიმანს თავიდანვე არ ჰქონდა განზრახული შესდგომოდა ჭიათურის მარგანეცის ნორმალურ ექსპლოატაციას. მას წილი ჰქონდა ოქროს ნაპირის მარგანეცში, რომლის დამუშავებაც იმ დროს სწრაფად ვითარდებოდა და მან ჭიათურის კონცესია აიღო იმ მიზნით, რომ მას ვინმე სხვა კონკურენტი არ დაპატრონებოდა და ჰქონოდა ისეთი რეზერვი,რომელიც მსოფლიო ბაზარზე სათანადო მენევრირების საშუალებას მისცემდა ამ პერიოდში აშშ-ში დაწესდა 30% გადასახადი საზღვარგარეთიდან შემოტანილ მარგანეცზე და 1926 წელს ჰარიმანი იძულებული გახდა მიემართა საბჭოთა მთავრობისათვის ხელშეკრულების პირობების გადახედვის თხოვნით. საკონცესიო ხელშეკრულება შეწყდა 1928 წლის 28 აგვისტოს. ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის საქმე სასამართლოში წარიმართა. სასამართლომ ჰარიმანს დავალიანების გადახდა დააკისრა. იგი გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და დავა ნიუ-იორკის საერთაშორისო არბიტრაჟში გაგრძელდა. მან საქმე ვერც იქ მოიგო. ნიუ-იორკში საბჭოთა დელეგაციას ცნობილი ქართველი იურისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მეთაურობდა.[2]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის ქვეყნებში დაიწყო კონცესიისაკენ მკვეთრი შემობრუნება, ხოლო მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან – საკონცესიო ფორმის გამოყენების „რენესანსი“. კონცესიის ბუმი შეინიშნებოდა არამარტო ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც. ეს უკანასკნელნი აქტიურად იყენებდნენ კონცესიას უცხოური კაპიტალისა და ინვესტიციების მოსაზიდად ეროვნულ ეკონომიკაში.

1948 წელს, მარშალის გეგმის ფარგლებში, ევროპის ეკონომიკური რეკონსტრუქციის პროექტების კოორდინაციისათვის შეიქმნა „ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია – ეეთო“ (Organisation for European Economic Co-operation — OEEC). ამჟამად იგი არის განვითარებული ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია, რომელიც ცნობს წარმომადგენლობითი დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და ეწოდება „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – ეთგო“ (Organisation for Economic Co-operation and Development – OECD).

ადვილად ადაპტირებადმა ინსტიტუციურმა გარემომ და ისტორიულმა გამოცდილებამ ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მისცა საშუალება, რომ 17–22 წლის წინ დაეწყოთ საკონცესიო საქმიანობის სფეროში პარტნიორობის ახალი მექანიზმების შემუშავება. ყველაზე ღრმა ინსტიტუციური გარდაქმნები დიდ ბრიტანეთში განხორციელდა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ჯონ მეიჯორის მთავრობამ 1992 წელს გამოაცხადა სახელმწიფო საკუთრების მართვის ახალი კონცეფცია – კერძო საფინანსო ინიციატივა (The private finance initiative – PFI). ამ კონცეფციის არსი ისაა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო ინფრასტრუქტურის პროექტები დაფინანსდება კერძო კაპიტალით, კერძო სექტორს გადაეცემა დაფინანსების ფუნქცია.[3]

დიდ ბრიტანეთში 1992–2001 წლებში ასეთი 400 პროექტზე მეტი განხორციელდა და პირველ რიგში კონცესიები PFI-ს ფარგლებში, რომლებმაც 19 მილიარდი ფუნტი სტერლინგზე მეტი ოდენობის ღირებულება შეადგინა.

სახელმწიფო ქონების პარტნიორული ფორმით მართვაზე მასშტაბურმა გადასვლამ არსებითი ცვლილებები გამოიწვია როგორც სახელმწიფო აპარატის, ისე ბიზნესის ინსტიტუციურ გარემოში. გაჩნდა პირობითი სახელწოდების ეკონომიკის ახალი დარგი „სახელმწიფო სამოქალაქო ხელშეკრულებები და კონცესიები“. ამ პროცესებმა ჩინოვნიკები ახალი წესებისა და ნორმების შექმნის აუცილებლობის წინაშე დააყენა, რათა სახელმწიფო უწყებები მომზადებულნი ყოფილიყვნენ ახალი საბაზრო განვითარების პირობებისათვის.

კერძო საფინანსო ინიციატივის კონცეფციის გამოცხადების შემდეგ დიდ ბრიტანეტში შეიქმნა ჯგუფი მაღალკვაკიფიციური სახელმწიფო მოხელეებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც დახმარებას უწევდნენ სახელმწიფო უწყებებს მათი საქმიანობის კომერციალიზაცისათვის. პარტნიორობის ამ ახალმა სახემ განაპირობა ახალი საკონსულტაციო კომპანიებისა და მაკონტროლებელი ორგანოების შექმნაც.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცის (OECD) მონაცემებით, სახელმწიფო ქონების მართვის სფეროში სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის პარტნიორულმა ფორმებმა დიდ ბრიტანეთს მისცა 15-20% სახელმწიფო

[1] „ჭიათურის შავი ქვის კონცესია. ხელმოწერა საკონცესიო ხელშეკრულებაზე“, გაზ. „კომუნისტი“, 1925 წლის 14 ივნისი.
[2] ვახტანგ ჟვანია, „ჭიათურის კონცესია და ჰარიმანის ეკონომიკური დიპლომატიის დამარცხება“, ჟურნ. „დროშა“, 1960, №2.

[3] Фархутдинов И.З., Трапезников В.А. Инвестиционное право. учеб.-практ. пособие. 2006, გვ. 71

სახსრების ეკონომიის შესაძლებობა. პრივატიზაციის ნაცვლად სრულფასოვანი თანამშრომლობა – ასეთია ახლა სახელმწიფო ქონების მართვის სფეროში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა.

თანამედროვე მსოფლიოში ათასობით საკონცესიო შეთანხმება იდება. საკონცესიო კანონმდებლობა არსებობს სხვადასხვა სახელმწიოფო და საზოგადოებრივი წყობის მსოფლიოს 120-ზე მეტ ქვეყანაში. საკონცესიო ობიექტების სპექტრი საკმაოდ ფართოა. საუკუნის უდიდესი პროექტიდან - „ევროგვირაბი“ (15 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების), რამდენიმე ათასი აშშ დოლარის ღირებულების მუნიციპალურ პროექტებამდე. უმეტეს შემთხვევებში კონცესიები გაიცემა წყალმომარაგების, ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის, საავტომობილო და რკინიგზის, მშენებლობის, სატყეო და ბუნებრივი რესურსების სფეროში.

თანამედროვე პრაქტიკაში კონცესიები ორი პრინციპული ნიშნით განსხვავდება, როგორც მეთოდიკით, ისე სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის სფეროში ინსტიტუციური გარდაქმნის სქემების სიღრმით.[1]

პირველი, წარმოადგენს არსებული ინსტიტუციური გარემოს სტრუქტურულ ადაპტაციას განვითარების ცვალებად კონცეფციციებთან, სახელმწიფოს პრიოპიტეტებთან და პირობებთან. მოქმედ ინსტიტუტებში ახალი პრინციპების, ნორმებისა და წესების შემუშავება და ევოლუციური შერწყმა ხორციელდება ან სახელმწიფო რეგულირების დეკლალირებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში (დიდ ბრიტანეთი, ახალ ზელანდია, არგენტინა, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნები) ან სახელმწიფო რეგულირების არსებულ სისტემებში სახეცვლილებისა და დამატებების შეტანის გზით (აშშ, კანადა, იაპონია, ევროპის კავშირის ქვეყნები).

მეორე სქემა დაკავშირებულია საბაზრო ეკონომიკისა და სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ახალი ადგილის შესატყვისი ინსტიტუტების არსებითად ნულიდან ფორმირებასთან. ეს სქემა ხორციელდება ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში.

ისტორიული გამოცდილების მიუხედავად, თანამედროვე საქართველოში საკონცესიო ურთიერთობები ინსტიტუციური, სამართლებრივი თუ ეკონომიკური თვალსაზრისით დახვეწილი და განვითარებული არ არის. იგი როგორც ეფექტური ინსტრუმენტი საჭიროებს სამართლის მეცნიერების ყურადღებას, საკანონმდებლო სიახლეებსა და ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ინტენსიურ ჩართვას.

[1] Фархутдинов И.З., Трапезников В.А. Инвестиционное право. учеб.-практ. пособие. 2006, გვ. 71.

***Zaza Sukhishvili, Ph.D. Student***

## HISTORY OF CONCESSION

## SUMMARY


There are some legal institutions, among other ones, which have acquired practical application rather than theoretical. They gained an important place in public relations, with some of them have existed over centuries. Concession is one of such legal institutions. Concession is one of the forms of relationship between a state and private sector which is based on a mutually beneficial agreement, by means of enacting a private sector, for the purposes of effective management of state assets and services. Concession means a transfer of the right of maintenance over natural resources, objects of infrastructure, industry and related equipment, under the certain terms and conditions and upon remuneration. There are number of accessible units as well as means of implementation of various projects in Georgia, which could be managed via Concession.

The legal notion of Concession is not entirely clarified under the legal science and legislation of Georgia. Not clear frontiers of the adjoining institutions, as well as of their legal notion are established. Due to the foregoing, Concession is an attractive object of research.

Concession and its history are firmly connected with various aspects of modernity, including foreign investment. There is a boom of investment in many countries of the world. States are trying to create suitable legal and political basis in order to attract and protect foreign investment and cause economic stability. Countries which meet those challenges are benefiting greatly and progressing economically.

Detailed understanding of any event requires a study of its history and development, which in turn enables awareness of every aspect thereof. This is one of the purposes of this study which covers the history of Concession starting from the ancient world, through medieval to modern period. The study describes a history of utilization of Concession as well as forms thereof under the history of Georgia and foreign countries.

The study represents a long history of Concession which itself verifies that this legal institution has proved its practical importance and survived all public and state system from ancient to modern states. Some basic overview of history of Concession would be favoured for an in-depth understanding of this legal institution.

# ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის საკითხებზე

*ზურაბ ვაშაკიძე,*
*ეკონომიკის დოქტორი, სტუ-ს პროფესორი*
*მერაბ მიქელაშვილი, ეკონომიკის დოქტორი*

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესების სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდს წარმოადგენს საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს გადასახადების იმპერატიული ხასიათიდან გამომდინარე, მათი შემოღებისა და მათზე კონტროლის სახელისუფლებლო უფლებამოსილების პრაქტიკაში განხორციელებას. სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური სისტემის უმთავრესი ინსტრუმენტია, რომელიც ახორციელებს საზოგადოების მართვისა და მისი ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების დაცვას.

სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკისა და ბიზნესის საგადასახადო სტრატეგიის ურთიერთდამოკიდებულებაში არის საკითხი, რომელიც აწუხებს ყველა ხელისუფლებას უძველესი დროიდან დღევანდელი დღის ჩათვლით. ტყუილად არ არის ქცეული ფრთიან ფრაზად შ. მონტესკიეს გამონათქვამი: „არაფერი არ მოითხოვს ისეთ ჭკუასა და სიბრძნეს, ვიდრე განსაზღვრა იმ ნაწილისა, რომელსაც ართმევენ ქვეშევრდომს და იმისა, რასაც უტოვებენ მას“.

ვაანალიზებთ რა საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებებს უკანასკნელი წლების განმავლობაში (გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების შემცირება), შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ ეკონომიკური განვითარების საგადასახადო პოლიტიკა დაედო საფუძვლად საქართველოს მესამე საგადასახადო კოდექსს. გონივრული გადასახადების პოლიტიკა, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია შვედეთის ეკონომიკური მოდელისათვის, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღებული იქნა კურსი ე.წ. საერთო კეთილდღეობის სახელმწიფოს მშენებლობისა, რომელსაც საფუძვლად დაედო სოციალური სამართლიანობის მიღწევის საგადასახადო მეთოდები. მაგრამ ასეთი საგადასახადო პოლიტიკა, ყველაფერთან ერთად, უნდა ეყრდნობოდეს გარკვეულ მენტალიტეტს და, პირველ რიგში, უნდა ჰქონდეს მოსახლეობის მხარდაჭერა, რომლის საფუძველიც უნდა იყოს გაზრდილი საგადასახადო განაკვეთების კომპენსაცია სოციალური დაცვის დონის ზრდის ხარჯზე.

ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში გადასახადები წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროს – 70-დან 90%-მდე. საქართველოში საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურაში სხვადასხვა დროს შეადგენდა 80-დან 90%-მდე. ეს განსაზღვრავს სახელმწიფო შემოსავლების სტრუქტურაში გადასახადების უალტერნატივობას და შესაბამისად, მოითხოვს საგადასახადო დაბეგვრის სფეროში ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებას. ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის გატარების ამოცანა რთულდება იმით, რომ, ისახავს რა მიზნად ბიუჯეტში ფინანსური რესურსების მაქსიმალური ოდენობით მობილიზაციას, სახელმწიფო წინააღმდეგობაში მოდის ეროვნული პროდუქციის კვლავწარმოების პრობლემასთან. იღებს რა გადასახადების სახით ეროვნული შემოსავლის ნაწილს, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას გარკვეული ზღვარი, რითაც საშუალებას მისცემს ეკონომიკურ აგენტებს მონაწილეობა მიიღონ კვლავწარმოებით პროცესში. სწორედ გონივრულად ჩამოყალიბებული და რეალიზებული საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში მუდმივ და მზარდ შემოსავლებს.

საგადასახადო დაბეგვრის ეფექტურობა შედგება ორი დაპირისპირებული და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი შემადგენლობისაგან – ეკონომიკური (საბაზრო) ეფექტურობისა და სოციალური ეფექტურობისაგან. მიუხედავად ყველა სიძნელისა და სირთულისა, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ეს ელემენტები საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმიზაციის დროს. ეს სისტემები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, საგადასახადო ტვირთი განვითარებულ ქვეყნებში ორჯერ მაღალია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში (მშპ 38% – 18% წინააღმდეგ) ბოლო პერიოდში აღნიშნული საკითხების განხილვისას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, საგადასახადო დაბეგვრის სოციოლოგიას.

თანამედროვე ეტაპზე გამოყოფენ საგადასახადო დაბეგვრის სისტემების ოთხ ტიპს: ანგლოსაქსურს, ევროკონტინენტურს, ლათინო-ამერიკულსა და შერეულს.

ანგლოსაქსური მოდელის განსაკუთრებულობა მდგომარეობს პირდაპირ გადასახადებისკენ ორიენტაციაში, როცა ძირითადი საგადასახადო ტვირთი მიმართულია ფიზიკური პირებისაკენ. აშშ, გერმანიაში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთში ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი შეადგენს ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების 27-44%-ს. ანალოგიური საგადასახადო მოდელი გამოიყენება ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და კანადაში.

ევროკონტინენტალური მოდელის დამახასიათებელი თვისებაა არაპირდაპირი გადასახადებისა და სოციალური ანარიცხების მაღალი ხვედრითი წილი. გერმანიაში სოციალური დაზღვევის ფონდებში შემოსავლები შეადგენს ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების 45%-ს. ასეთივე სურათია ჰოლანდიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და ავსტრიაში.

ლათინო-ამერიკულ ქვეყნებში აქცენტს აკეთებენ არაპირდაპირ გადასახადებზე, რაც განპირობებულია ინფლაციის მაღალი მაჩვენებლებით. ჩილეს, ბოლივიის, პერუს საბიუჯეტო შემოსავლების 45-49% არაპირდაპირ გადასახადებზე მოდის.

საგადასახადო დაბეგვრის შერეული მოდელი გულისხმობს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაბარწილობას. მაგალითად, იტალიაში პირდაპირი გადასახადები შეადგენს 36%-ს.

ჩვენი აზრით, საქართველო ტიპური წარმომადგენელია ლათინო-ამერიკული და ევროკონტინენტალური მოდელებისა, ე.ი. უპირატესობას ანიჭებს მთლიან შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადების მაღალ ხვედრით წილს. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურად არსებული ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა ანგლოსაქსურ მოდელზე გადასვლის საშუალებას, მაინც შეიძლება იმის თქმა, რომ აუცილებელია ფიქრი და მოქმედება საგადასახადო დაბეგვრის შერეულ მოდელზე გადასვლისთვის, სადაც პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაბარწილობასთან გვექნება საქმე.

გადასახადების და მთლიანობაში საგადასახადო სისტემის როლი შეიძლება ჩაითვალოს შედეგიანად, თუ პრაქტიკაში მაქსიმალურად არის გამოყენებული გადასახადების ყველა პოტენციური შესაძლებლობები. ე.ი. თუ უზრუნველყოფილია მისი ყველა ფუნქციის წონასწორობა. მნიშვნელოვან პირობას საგადასახადო წონასწორობისა წარმოადგენს საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონე და გადასახადების განაკვეთები. მხოლოდ ამის საფუძველზეა შესაძლებელი ბიუჯეტების შესრულება, გადასახადის გადამხდელების ინტერესების დაცვა ბიზნესის განვითარებაში, მოქალაქეების ეკონომიკური და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა.

გადასახადების როლის შეფასება შეიძლება იყოს უარყოფითი, როცა საგადასახადო დაბეგვრის მოქმედი სისტემა არ ითვალისწინებს ეკონომიკის პრიორიტეტულ მოთხოვნებს და მიმართულია მთლიანობაში ფისკალური ამოცანების შესრულებაზე ობიექტური ეკონომიკური და საგადასახადო კანონზომიერებების გათვალისწინების გარეშე. ამის შედეგად არ ხდება არა მარტო გადასახადების ფისკალური, არამედ მარეგულირებელი და საკონტროლო ფუნქციების გამოყენება, რაც იწვევს პრობლემებს როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე გადასახადის გადამხდელ-თათვისაც.

სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა გადასახადების ფისკალური მარეგულირებელი და საკონტროლო ფუნქციის მაქსიმალური რეალიზაცია ღირებული ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მისაღწევად. ამ პოლიტიკის განხორციელებისას ვლინდება წინააღმდეგობა სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელთა ეკონომიკურ ინტერესთა შორის, როდესაც გადასახადის გადამხდელს საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის და ბიზნესის განვითარებისათვის სურვილი აქვს შეინარჩუნოს, რაც შეიძლება მეტი, საფინანსო რესურსი, ხოლო სახელმწიფო ცდილობს თავისი ფუნქციონირებისათვის მდგრად საფინანსო უზრუნველყოფას.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არ მოიპოვება იურიდიული განმარტება ტერმინისა „საგადასახადო პოლიტიკა", ისევე როგორც სხვა ქვეყნების საგადასახადო კოდექსებისაგან განსხვავებით, არ არის მოცემული დეფინიცია საგადასახადო დაბეგვრის პრინციპებისა. ჩვენი აზრით, აუცილებელია საგადასახადო დაბეგვრის თეორიული გააზრებისთვის და კანონმდებლობაში ზუსტი და ცალსახა დაფიქსირებისათვის მათი ეტიმოლოგიური, ფილოსოფიური და ეკონომიკური მნიშვნელობების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინების შეტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, როგორიცაა „საგადასახადო პოლიტიკა", „პოლიტიკა საგადასახადო სფეროში", „საგადასახადო კონცეფცია", „საგადასახადო დოქტრინა", „საგადასახადო მექანიზმი", „საგადასახადო პოტენციალი", „საგადასახადო ტვირთი".

საგადასახადო სისტემა, როგორც სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის კონკრეტული განხორციელების ინსტრუმენტი, ითხოვს აუცილებელი პირობების შესრულებას, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე გადასახადის გადახდის ერთიანი წესის უზრუნველყოფას, სხვადასხვა დონის სახელმწიფო ორგანოებს შორის საგადასახადო უფლებამოსილების გამიჯვნას, საგადასახადო დაბეგვრის ერთიანი საკანონმდებლო

ბაზის შექმნას, გადასახადების ადმინისტრირების ცენტრალური სისტემის შექმნას. საგადასახადო სისტემა წარმოადგენს გარკვეულ პრინციპებზე დაფუძნებულ მისი შემადგენელი ელემენტების მიზნობრივ ერთობას, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულნი არიან. ეს ელემენტებია: საგადასახადო კულტურა, საგადასახადო სფეროს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, გადასახადებისა და მოსაკრებლების ერთობლიობა, საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმები და გადასახადის გადამხდელები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეფექტური საგადასახადო სისტემის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების ანალიზის საფუძველზე.

მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში, როგორც წესი, არსებობენ ცალკეული დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ საგადასახადო პოლიტიკის შეფასებას და ანალიზის საფუძველზე კონკრეტული წინადადებებით მიმართავენ სახელისუფლო ორგანოებს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთი ორგანიზაციის შექმნა აუცილებელია საქართველოშიც, რომელიც იმავე ფუნქციის მატარებელი იქნება, როგორც დიდ ბრიტანეთში – საგადასახადო კვლევების ინსტიტუტი, აშშ-ში – ქალაქგანვითარების ინსტიტუტი, გერმანიაში – ფინანსებისა და საგადასახადო დაბეგვრის საერთაშორისო ინსტიტუტი და ა.შ.

ახალი ქართული რეალობის გათვალისწინებით, მხედველობაშია მისაღები, რომ რაციონალური საგადასახადო პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს:

- სახელმწიფო ხელისუფლების საკმარი, დროული და თანაბარი უზრუნველყოფა საგადასახადო შემოსავლებით;
- ეკონომიკის სტაბილიზაცია და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ხელშეწყობა;
- სახელმწიფო შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა არა საგადასახადო ტვირთის ზრდის, არამედ ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების ხარჯზე;
- კერძო ინიციატივებისა და ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- საქონლისა და კაპიტალის რეალური ექსპორტის სტიმულირება;
- ეროვნული ბაზრისა და მეწარმეების დაცვა გარეგანი ზემოქმედების ფაქტორებისაგან;
- კაპიტალის დაგროვებისა და მისი ეკონომიკის რეალურ სექტორებში გადადინების სტიმულირება;
- საგადასახადო სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთობა;
- მსოფლიო ეკონომიკურ და საგადასახადო სივრცეში ინტეგრაცია.

გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია საგადასახადო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება სახელმწიფოს კომპლექსური ეკონომიკური სტრატეგიის ჭრილში მისი თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების განვითარების საფუძველზე, ამასთან, ამ მიმართულებით აუცილებელია მსოფლიო და ქართული საგადასახადო პრაქტიკის უმთავრესი შემადგენელის შემდგომი სრულყოფა, მისი ეფექტურობისა და არსებული მეთოდების დახვეწის მიმართულებით.

**საკითხები, რომლებიც მოითხოვს, ჩვენი აზრით, საკანონმდებლო უზრუნველყოფას, შემდეგია:**

- სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საგადასახადო კოდექსში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევიდეს მომდევნო წლის 1 იანვრიდან;
- აუცილებელია „საგადასახადო კოდექსი" გახდეს ორგანული კანონი;
- მიზანშეწონილი იქნება საგადასახადო დოქტრინის მიღება, რომელიც შეიძლება იყოს საგადასახადო კოდექსის შემადგენელი ნაწილი და რომელიც უცვლელი იქნება საგადასახადო კანონმდებლობის ყოველი მიმდინარე ცვლილების შემთხვევაში;
- საგადასახადო გარემოს სტაბილურობისთვის კარგი იქნება, თუ საქართველოს პარლამენტი დაამტკიცებს საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების სამწლიან პროგრამას;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის კვლევის ცენტრის შექმნა, რომელიც უნდა გახდეს ერთგვარი ფილტრი ნებისმიერი შინაარსის საგადასახადო ცვლილებების თაობაზე წინადადებების მომზადებისა და განხილვისას;
- იმის გათვალისწინებით, რომ მეწარმეთათვის ძნელად ხელმისაწვდომია სრული ინფორმაცია მოსაკრებლებზე (ამ სფეროს საქართველოში არეგულირებს რვა დამოუკიდებელი კანონი), მათი რაოდენობისა და დიდი მოცულობის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მოსაკრებლების" ან ცალკე თავად შეტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ან „მოსაკრებლების კოდექსის" მიღება;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასწავლო საგნად „გადასახადების" შეტანა. ასეთი პრაქტიკა მსოფლიოს

მრავალი ქვეყნის სასწავლო გეგმებში არსებობს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოქალაქის, როგორც გადასახადის გადამხდელის, ფორმირებას და ხელს უწყობს სახელმწიფოში საგადასახადო კულტურის დონის ამაღლებას;

- აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე საგადასახადო სადავო განხილვების გადატანა საარბიტრაჟო ინსტიტუტებში, რადგან ქვეყნის სასამართლო ინსტიტუტებში იშვიათია მოსამართლე, რომელიც კვალიფიციურია საგადასახადო სამართალში, რაც ზრდის ობიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკს.

***საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფის მიმართულებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:***

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის იურიდიული სტატუსის შეცვლა, რადგან ამ სამსახურის მომსახურება ფასიანია. ჩვენი აზრით, საჯარო სერვისები აუცილებლად უფასო უნდა იყოს;
- დასახვეწია კერძო საგადასახადო ინსპექტორების ინსტიტუტი, რადგან აშკარაა ინტერესთა კონფლიქტი, რაშიც მეწარმე ზარალდება;
- მიმდინარე ეტაპზე ადმინისტრირების ძალადობრივი მეთოდები უნდა შეიცვალოს ინტელექტუალური მეთოდებით, რაც გაზრდის მეწარმეთა ნდობას და გააუმჯობესებს ბიზნესგარემოს.

გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის საქმეში სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლია საგადასახადო კონსულტანტთა ასოციაციას, რომელიც საქართველოში არ არსებობს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენთან საგადასახადო კონსულტანტის იურიდიული სტატუსიც კი არ არის განსაზღვრული. მიგვაჩნია, რომ ამ ინსტიტუტის იურიდიული დაკანონება ხელს შეუწყობს მეწარმეთა უფლებების დაცვას.

საქართველოში ბიზნესსაქმიანობის სუბიექტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება მთლიან რაოდენობაში მცირე და საშუალო ბიზნესის მაღალი ხვედრითი წილი. ამიტომ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ამ სეგმენტის მაქსიმალური ხელშეწყობა. არსებული საგადასახადო კოდექსის მიხედვით მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ფიზიკურ და არა იურიდიულ პირს, რაც არათანაბარ და არაკონკურენტულ პირობებში აყენებს ბიზნესსაქმიანობის სუბიექტებს.

საგადასახადო პოლიტიკაში ფისკალურ მიზნებთან ერთად უნდა აისახოს სოციალური მიზნების მიღწევისთვის გასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კლასიკური რისკების გათვალისწინებით მოქალაქეთა დაცულობას. აღნიშნული საკითხი, ჩვენი აზრით, უნდა აისახოს საგადასახადო ბაზის დიფერენციაციაში ისეთ საკითხებთან მიმართებში, როგორიცაა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეები და მინიმალური სასურსათო კალათა. საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა აუცილებლად უნდა შეივსოს ისეთი მიმართულებით, როგორიცაა გადასახადის სოციალიზაცია.

ჩვენი აზრით, საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით სწორედ პროგრესული დაბეგვრის მეთოდია ამ გადასახადის მთავარი ნიშნის – სოციალური სამართლიანობის საფუძველი. ამასთანავე, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობის შემოღება და ფიზიკური პირების დიფერენცირებული საგადასახადო განაკვეთით დაბეგვრა, რადგან საარსებო მინიმუმი სიღარიბის ზღვარია, ამიტომ მართებული იქნება თუ მინიმალური ხელფასი, საარსებო მინიმუმი და საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმი ტოლი სიდიდის იქნება.

საქართველოში არასრულყოფილად არის გამოყენებული გადასახადის საკონტროლო ფუნქცია იმ ნაწილში, რომელიც ეხება საქართველოს მოქალაქეების, როგორც ფიზიკური პირების საფინანსო ანგარიშგების სისტემას. არსებული კანონმდებლობით ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ საჯარო მოსამსახურეებზე, რომლებიც ვალდებული არიან ჩააბარონ საფინანსო დეკლარაცია გასული წლის შემოსავლების მიხედვით. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ფინანსების გამჭვირვალობასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოგების გადასახადის დიფერენციაცია – ჩვენი აზრით, ამ გადასახადის განაკვეთი უფრო მაღალი შეიძლება იყოს, არამწარმოებლურ და შედარებით დაბალი მატერიალური წარმოების სფეროებში. ამასთანავე, დასახვეწია საავანსო გადახდის სისტემა, რადგან ზოგადად მოგება მიმართული უნდა იყოს კაპიტალის ინვესტიციებში და ამიტომ ასეთი მოგება ან საერთოდ არ უნდა დაიბეგროს, ან უნდა მოექცეს შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმში.

დღგ-ს განაკვეთი განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში მერყეობს 15-20 პროცენტის ფარგლებში და ამასთან ერთად, დიფერენცირებულია. საქართველოში ამ ეტაპზე შეიძლება ფიქრი განაკვეთის შემცირებაზე, ამასთან გადასახადის გადამხდელების სავალდებულო რეგისტრაციისთვის დაწესებული ზღვარის 200 000 ლარამდე გაზრდასა და დღგ-ს განაკვეთის დიფერენციაციაზე.

ეროვნული საგადასახადო სისტემების ავტონო-მია და სუვერენიტეტი საბოლოოდ, იწვევს საგადასახადო

კანონმდებლობის კონკურენციას სახელმწიფოთაშორისო დონეზე, რომლის შინაარსი ეფუძნება საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების შემოსავლების გადასახადებით დაბეგვრის უფლების მოპოვებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ორმაგი დაბეგვრის პრევენცია. ამიტომ გადაუდებელ ამოცანად გვესახება ასეთი შინაარსის ხელშეკრულებების გაფორმება იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური და საფინანსო ურთიერთობები აქვს.

გლობალურ საგადასახადო სფეროში ეკონომიკური კრიზისის ფონზე გამოიკვეთა ტენდენციები, რომელთაგანაც აღსანიშნავია საერთაშორისო საგადასახადო კონკურენციის პროცესი. შეიმჩნევა ეროვნული საგადასახადო სისტემებისა და საგადასახადო პოლიტიკის პრინციპების უნივერსალიზაციის ტენდენცია. იმ ფონზე, როდესაც კვლავ აქტუალური გახდა „მსოფლიო საგადასახადო კოდექსის“ მიღების საკითხი, ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული საქართველოს საგადასახადო სუვერენიტეტის დაცვისაკენ, ამასთანავე, ისეთი საგადასახადო კლიმატის შექმნისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოური რეზიდენტებისა და მათი კაპიტალის მოზიდვას და მათ საკუთარ რეზიდენტებად ქცევას.

მთლიანობაში ჩვენ მიერ საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული პრობლემების გადაწყვეტა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას და საბოლოო ჯამში გავლენას მოახდენს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე, რაც მიმდინარე ეტაპზე წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას.

ჩვენი აზრით, ზემოთმოყვანილი პრინციპები წარმოადგენენ იმ ძირეულ მოთხოვნებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია რაციონალური სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების დროს.

### ლიტერატურა:


1. მეწარმეობა საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2011;
2. გ. ჯანდიერი, ინტერვიუ არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაცია „ახალი ეკონომიკური სკოლის“ ვიცე-პრეზიდენტთან, აღრიცხვა, აუდიტი, ფინანსები, 2011, №10;
3. Экономика налоговой политики / под. ред. М.П. Девере СПб,Питер 2002;
4. Аронов А.В. Кашин В.А. Налоги и Налогооблажения , М; Магистр, 2007;
5. Налоги и налогообложения, под ред. М.В. Романовского,, О.В.Врублевской – С-ПБ; Питер, 2006;
6. Большой Энциклопедический Словарь под ред. А.Н. Азрилияна, - М., Экономисть, 2007;
7. Налоговый словарь, А.В. Началов, - М., Налогинфо, 2004;
8. The Encyclopedia of Taxation And Tax Policy Joseph J. Cordes , 2005;
9. www.mof.ge;
10. .www.rs.ge;
11. http://www.Finteoria.ru/pro3lit.html/;
12. http://www.frbsf.org/economics/conferences/0503/bdw2final.pdf;



*Zurab Vashakidze, full professor*
*Merab miqelashvili*


## SOME IDEAS CONCERNING THE ENHANCEMENT OF THE TAX POLICY OF GEORGIA

### SUMMARY


Budget and tax policy constitutes the most important mechanism of the State influence upon the market economy. The effective functioning and activeness of the entrepreneurial sector is highly dependent on the accuracy of the model selection in terms of conceptuality, the principles of the national taxation system and the degree of the harmonisation with the international tax legislation. The tax policy constitutes the significanteconomic method of the economic governance and determines the basis for the mutual agreement of the State interests and population and commercial interests of the entrepreneurs.

# საქართველომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს მიწათსარგებლობის ახალი კანონი

*პაატა კოღუაშვილი, სტუ-ს სრული პროფესორი*
*ალექსანდრე სიჭინავა, სტუ-ს სრული პროფესორი*

მიწა ქართველთა ცნობიერებაში ,,შეურყვნელი‘‘, ,,შეუბღალავი‘‘, ,,სუფთა‘‘ და ,,წმიდაა‘‘. ,,წმიდა ნაკვეთი‘‘ გაღვთიურებულია წარმართულ საქართველოში. **ქართველთა, ისე როგორც შუმერთა წარმოდგენით, მიწა დედურ საწყისს განასახიერებს. იაფეტური, ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება იყო დედა. იგი განასახიერებდა ბუნების მაცოცხლებელ ძალებს.** ამ კულტისადმი მიძღვნილი რიტუალები დღემდეა შემორჩენილი სვანეთში.

ქართველები სამიწათმოქმედო ცივილიზაციის შექმნის სათავეებში იდგნენ და მიწათმოქმედება მათთვის არა მხოლოდ უბრალო სამეურნეო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთისმსახურება იყო. ჩვენი წარსული და მომავალი განპირობებული და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური და ემოციური საწყისებით. **ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები პრაქტიკულ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობების თავისებურებებიდან გამომდინარეობს.**

მიწა ერისათვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

მცირემიწიან საქართველოში უცხოელების ჩამოსახლების და მათ მიერ მიწის შეძენის პროცესი 2006 წლიდან მიმდინარეობს. უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. **სახეზეა მოსახლეობათა ურთიერთშეუსატყვისობა, ისტორიის, ზნე-ჩვეულებების (ტრადიციის), რელიგიის, ზოგადკულტურული ფონისა და აქსეოლოგიური ფონის მხრივ, მითუმეტეს — ენის მხრივ. იცლება სტატუსდაკარგული ქართული სოფელი, ქართველ ერს ძირი ეთხრება. მიმდინარეობს, ობიექტურად, ქართველი ერის ეკონომიკური გენოციდი. პირველად ქვეყნის ისტორიაში, ქალაქად შობადობამ გადააჭარბა სოფლისას. მოიშალა სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურა. სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას.** ქართული სოფლისთვის დამახასიათებელი გახდა სიღარიბე, რაც ძნელად მოსაშორებელია. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს (ინდოელები, ჩინელები და სხვ.) შორის.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე (მოქალაქეობის არმქონე პირებზე) გასხვისებისა და ქართველი გლეხობის სოფლიდან აყრის პროცესი უნიათოდ ინიღბება ფსევდო-ლიბერალური (რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ ლიბერალიზმთან) იდეოლოგიით და მოსაზრებით, თითქოს შემოსულნი, საქართველოში სოფლის მეურნეობის გაძღოლისა და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე კულტურას შემოიტანენ. სინამდვილეში ეს ღონისძიება ერთ-ერთი ელემენტია ფართო პროგრამისა, რომელიც მდგომარეობს საქართველოს მოსახლეობის შეცვლაში — ქართველების განდევნაში ეკონომიკური გაჭირვების ორგანიზების გზით და ახალი, უცხო მოსახლეობის შემოყვანაში, რომელიც სავსებით გულგრილი იქნება საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ეროვნული ინტერესებისადმი, მაშასადამე, — ადვილად მიმართვადი საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგო მოქმედებისკენ. ხალხის ,,სასიკეთოდ‘‘ მიღებულ ამგვარ გადაწყვეტილებებს ქვეყნისათვის გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია.

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაული ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი ისტორიის მანძილზე მიწათმფლობელობის სფეროში არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის აქტი “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/5/512”, რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელ ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ‘‘ საქართველოს კანონში გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა — ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა აწ და მარადის — გატა-

ნილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით არ ფიგურირებს საქართველოს არცერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე.

საქართველოს მმართველი ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის სტრატეგია 2003-2012 წლებში ემყარებოდა იმის არგათვალისწინებას (არცოდნას ან არცოდნის სიმულაციას), რომ:

– ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება;

– თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, უყოყმანოდ იწირება თეორია. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ. გერმანიისფედერაციულირესპუბლიკისსაკონსტიტუციოსასამართლომმიწისსაკუთრება, განსხვავებით სხვა ქონებისაგან, ერის საყოველთაო ინტერესების სოციალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს დაუქვემდებარა;

**– საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;**

– ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა;

**– სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხი თავის პირად მამა-პაპურსაც, თავის „მამულსაც" იცავდა. სხვასიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის – თავისი სახელმწიფოს – დაცვის სახით იცავდა:**

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის იმისას, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება, თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, რიგი არაბეთის სახელმწიფოები, ისრაელი, ირანი, თურქეთი) გამოირჩევიან დიდი ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალით, უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. საქართველოს მოქალაქეთა პროტესტის შესამსუბუქებლად, არის მცდელობა, ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ, – თანაც, გვმოძღვრავენ და გვამშვიდებენ „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ". არ მოიკიდებენ, მაგრამ ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოვედით გონს! **ეს საშიში პროცესი შედარებით წყნარად და უხმაუროდ მიმდინარეობს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ქვეყნის ვინაობისა და რაობის დაკარგვის ტოლფასია. ქართულ საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად ჰმართებს,** რადგან პროცესები ძალიან მალე მიიღებს კატასტროფულ ხასიათს. შესაძლებელია ამ ისტორიული ეტაპიდან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევის გარდუვალობა ჯერ ბუნდოვნად მოჩანს ზოგიერთისთვის (სახელდობრ, ნაკლებ მცოდნეთათვის), მაგრამ საკმარისია ჩვენში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიისათვის საჭირო ბაზები, რაც სულ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის დამკვიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათს მიიღებს, არამედ ყველასთვის ხილულიც გახდება.

ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე – მისი პოტენციური მყიდველი, მომხმარებელი, მფლობელი და გაჭირვების გამო გამყიდველი – არაკონკურენტუნარიანია უცხოელებთან მიმართებაში. ამ უკანასკნელებს შესაძლებელია მიწის ეს ნაკვეთი სხვა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის უნდოდეთ – აგარაკების აგებით დაწყებული და სხვა, ზრიოკ ქვეყნებში წასაღებად ნაყოფიერი ზედა ფენის მოჭრით დამთავრებული. საკამათო არც ისაა, რომ მოქალაქეობის არმქონე პირებს გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ საქმის წამოწყებისთვის, ვიდრე ადგილობრივებს, რაც კატეგორიულად დაუშვებელია, განსაკუთრებით ისეთ ტრადიციულ და მოწყვლად დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა (მემცენარეობა) არ არის ინვესტიციატევადი დარგი და აქ ინვესტორის წახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს.

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს. მაგალითად, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, პოლონეთში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. მაგალითად, აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენ-

ტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შეღავათები ეკონომიკურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მიწის შეძენას. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მი-ყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე (ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას, ენისა და ისტორიის ცოდნას და სხვა). ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

ამ სასიცოცხლო თემაზე საზოგადოებამ უნდა იცოდეს შემდეგი:

**საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნო-ფსიქოლოგიური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.**

მიწას უნდამივუდგეთ არა მხოლოდ როგორც პროდუქციის წყაროს, არამედ როგორც მოსახლეობის შემნახავსა და გამხარებელს;

მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფო ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი. სუვერენია ხალხი (ერი).

**ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ხალხის (ერის) საკუთრებაა.** ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშეგნება სამართალსუბიექტად მიიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას.

მთავრობა, რომელიც საზოგადოებრივი საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისების საკითხს აყენებს, **უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეკითხოს ერს (ხალხს), სურს მას ამ საკუთრების გასხვისება უცხოელებზე თუ არა.** ამ შემთხვევაში დემოკრატიული ქვეყნების „დემოსი" რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს, მთავრობა კი, რომელსაც ხალხის აზრი ამ საკითხში ნამდვილად აინტერესებს, კი არ ეწინააღმდეგება მას, არამედ ვალდებულია, უზრუნველყოს რეფერენდუმის ჩატარება.

**მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს არა მარტო, მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელი ორგანული ნაწილის მოსპობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფა-ცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლასაც.**

ილია ჭავჭავაძე უცხოელებზე (ხიზნებზე) გრძელვადიანი მემკვიდრეობითი იჯარის გამოყენებას სთავაზობდა ქართულ საზოგადოებას. საქართველოში დღეს უცხოელებთან მიმართებაში დასაშვებად მიგვაჩნია

გრძელვადიანი (45 წლიანი) გასხვისებადი იჯარის (სარგებლობის უფლების გაყიდვა) ფორმის გამოყენება, რომელიც მსოფლიოს უმეტეს დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშია გამოყენებული.

ქართველი ერისათვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო ”ღვთის მიერ კურთხეული ადგილია”, ანუ, თავისი ფართობისადმი პროპორციის მხრივ, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე დედამიწის დანარჩენი ტერიტორია საშუალოდ. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების დონეზე (დაპყრობა, აყრა და ა.შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც, სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობიანი“ დივერსიული ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანოს ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს შორის.

**დასასრულ,** ფართოდ უნდა გაცხადდეს საქართველოს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ უცხოელებისთვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების **მიწის მიყიდვა (ან სასოფლო-სამეურნეო მიწის 99 წლით იჯარით გაცემა) არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის გაყიდვა** და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება. მოსახლეობის ეს ნება და ეს აზრი, გაფრთხილების ფორმით, უნდა მიეწოდოს შემოსახლების მსურველებს, როგორც გაფრთხილება **ნაქურდალის ყიდვის გამო,** აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

**საქართველომ სასწრაფოდ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი და შეაჩეროს (აკრძალოს) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასხვისება (ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებამდე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოშია დაფუძნებული, მაგრამ მათში ნებისმიერი მასშტაბით მონაწილეობენ არარეზიდენტი იურიდიული თუ ფიზიკური პირები**. ამ მოთხოვნის შესრულება ოდნავადაც არ გააუარესებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, პირიქით, უდიდეს საფრთხეებს აარიდებს მას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა მიისწრაფის ევროკავშირისაკენ და იმედია, რომ ახლო მომავალში გახდება ამ ორგანიზაციის წევრი. ცხადია, წევრობა გულისხმობს გარკვეულ ვალდებულებებს, მათ შორის – კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას მიწის საკუთრების საკითხშიც.

**საქართველომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს მიწათსარგებლობის ახალი კანონი (კოდექსი)**.

**ამრიგად,** საქართველოს ბედი დამოკიდებულია მისი სოფლის ბედზე. სოფლის ბედი დამოკიდებულია მთავრობის ინტელექტზე, კეთილ ნებაზე, მუყაითობასა და პატიოსნებაზე. ვფიქრობთ, ამ პირობათა შექმნის პოტენციალი საქართველოს აქვს.

მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობის შექმნა აღიარებულ უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უპირველეს ამოცანად და საერთო ეროვნული ზრუნვის საგნად. მხოლოდ ასე გადარჩება ქართული სოფელი, რომლის გარეშე საქართველოს განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენელია.

ქართული სოფლის აღორძინება უნდა მოხდეს ჩვენივე ძალებით და გადამთიელებზე იმედის დამყარება, მათი მოპატიჟება „გადასარჩენად“ შეურაცხმყოფელი და ამასთანავე ფუჭი მცდელობა იქნება. დინამიკური სოფლის მეურნეობა უცხოელთა ჩამოსახლებით კი არა, მოქნილი სამოქმედო გეგმით (სტრატეგიით) იქნება შესაძლებელი. სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, **გლეხკაცს – ქართული მიწის მთავარ მეურვეს (ადგილის კაცი, მკვიდრი მიწათმოქმედი – ილია ჭავჭავაძე) – შეუძლია არა მარტო ქვეყნის გამოკვება საკუთარი წარმოების პროდუქციით, არამედ სახელმწიფოს ძლიერების საძირკვლის ჩაყრაც.**

# მმართველობითი გადაწყვეტილების სტილი და მოდელები კორპორაციაში

*ნინო ლაზვიაშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

კორპორაციაში ადამიანები პრობლემის გადაწყვეტის მეთოდის არჩევისას ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პიროვნული სტილით. პიროვნულ სტილად ითვლება ადამიანის მიერ პრობლემის აღქმის და მისი გადაწყვეტილების მიღების მიდგომა.[1]

სპეციალისტები გადაწყვეტილების მიღების 4 ძირითად სტილს გამოყოფენ (იხ. ნახ.1):




ნახ. 1. გადაწყვეტილების მიღების სტილები[2]

- დირექტიული სტილი. მას ახასიათებს რაციონალური აზროვნება და გაურკვევლობის მიმართ ტოლერანტობის დაბალი დონე. ასეთი მენეჯერები მუშაობენ ლოგიკურად და ეფექტურად. გადაწყვეტილებებს იღებენ სწრაფად და ორიენტირებული არიან მის სწრაფ შესრულებაზე. ხშირად გადაწყვეტილება მიღებული აქვთ მეტად მცირე ინფორმაციის საფუძველზე, რადგან არ უყვართ დიდი მოცულობის ინფორმაციის ანალიზი და უმრავლეს შემთხვევაში გადაწყვეტილების ვარიანტები აქვთ ერთი-ორი. ასეთი ადამიანები გამოირჩევიან პროდუქტიულობით და რაციონალურობით. თავს არიდებენ გადწყვეტილებების მიღების წესების და პროცედურების შესრულებას.
- **ანალიტიკური სტილი**. მას ახასიათებს გაურკვევლობის მიმართ ტოლერანტობის მაღალი დონე და რაციონალური აზროვნება. ეს ინდივიდები ცდილობენ იქონიონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და განიხილონ გადაწყვეტილების მიღების მეტი ვარიანტები. გადაწყვეტილებების მიღებაში ისინი არიან ფრთხილნი. თვით არაორდინალურ სიტუაციებთანაც კი შეუძლიათ ადაპტირება.
- **კონცეპტუალური სტილის** მქონე ადამიანები ფართო სპექტრის ინფორმაციას და გადაწყვეტილების მრავალ ვარიანტებს იხილავენ. ისინი ორიენტირებული არიან გრძელვადიან პროგრამებზე და პრობლემებს წყვეტენ შემოქმედებითი მიდგომით. კონცეპტუალურ სტილს ახასიათებს გაურკვევლობის მიმართ ტოლერანტობის მაღალი დონე და აზროვნების ინტუიციური სტილი.
- **ქცევითი სტილი**. ძირითადად ახასიათებს ისეთ ადამიანებს, რომელთაც სხვა ადამიანების ქცევაზე აქვთ გამძაფრებული პასუხისმგებლობა. ისინი წარმატებით თანამშრომლობენ სხვებთან. აინტერესებთ დაქვემდებარებულ პირთა აზრები, იდეები და ყურადღებითაც ეკიდებიან მათ. ქცევით სტილს ახასიათებს გაურკვევლობის მიმართ ტოლერანტობის დაბალი დონე და ინტუიციური აზროვნება.

იმის მიუხედავად, რომ ჩვენ გავმიჯნეთ ერთმანეთისაგან გადაწყვეტილების მიღების სტილები, კორპორაციათა რეალურ ცხოვრებაში მენეჯერები ხშირად მათ კომპლექსურად, სიტუაციათა შესატყვისად იყენებენ. ამის მიუხედავად, მათ რომელიმე ერთი სტილი დომინირებული აქვთ.

მენეჯერები ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს მხოლოდ გამონაკლისს შემთხვევებში იღებენ, რადგან კორპორაციაში მუშაობა კოლექტივში (რომელიც შემდეგ გუნდებად და „ჯგუფებად" იყოფა) მიმდინარეობს, ამიტომ მენეჯერისთვის მეტად ფასეულია მასში თანამშრომელთა მონაწილეობა, მათი ახალი, უცხო აზრის მოსმენა და გათვალისწინება. მართალია, აზრთა სხვადასხვაობასაც აქვს თავისი ნაკლი (დიდი დრო იხარჯება ყველას აზრთა მოსმენაზე და გარჩევაზე), მაგრამ როგორც სპეციალისტები წერენ, „გადაწყვეტილების მიღების პროცესში აზრთა სხვადასხვაობის ფასეულობა მნიშვნელოვნად გადასწონის მის უარყოფით მხარეებს".[3]

---

[1] Ричард Л. Дафт. Менеджмент. М., Питер, 2008, с. 336-337.

[2] S. P. Robbins. D. A. Cenzo. Supervizion Today. 2 nd ed (Upper sade River. N): PRetice Hall. 1198. p. 166.

[3] *Стивен П. Роббинз. Мэри Коултер. Менеджмент. М., Санкт-Петербург-Киев. 2007. Вильямс. с. 294.*

დაქვემდებარებულ პირთა მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ მეთოდს (მოდელს) მენეჯერებს ვიქტორ ვრუმი და არტურ ჯაგო სთავაზობენ, მას ვრუმი-ჯაგოს მოდელს უწოდებენ.

ვრუმ-ჯაგოს მატრიცას აქვს ასეთი სახე (ნახ. 2):

| | გადაწყვეტილების მნიშვნელობა | მონაწილეობაზე მოთხოვნა | ხელმძღვანელის გამოცდილება | გადაწყვეტილების მხარდაჭერის ალბათობა | მიზნის შეთანხმებულობა | ჯგუფის გამოცდილება | გუნდური მუშაობის ხარისხი | გადაწყვეტილების სტილები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | – | – | – | დამოუკიდებელი გადაწყვეტილება |
| | | | | დ | მ | მ | მ | დელეგირება |
| | | | | | | დ | დ | ჯგუფური კონსულტაციები |
| | მ | მ | მ | | დ | – | – | |
| პრობლემის გადაწყვეტა | | | | | მ | მ | მ | დახმარება |
| | | | | მ | დ | დ | | ინდივიდუალური კონსულტაციები |
| | | | დ | | დ | – | – | |
| | | | | | მ | მ | მ | დახმარება |
| | | | | დ | დ | დ | დ | ჯგუფური კონსულტაციები |
| | | | | | | დ | – | |
| | | | | | | | – | |
| | | | | – | – | – | – | დამოუკიდებელი გადაწყვეტილება |
| | | | მ | ყ | ყ | ყ | ყ | |
| | | | | | მ | მ | მ | დახმარება |
| | | | | | | დ | – | ინდივიდუალური კონსულტაციები |
| | | | დ | – | | – | – | |
| | | | | | დ | – | – | |
| | | | | მ | – | – | | დამოუკიდებელი გადაწყვეტილება |
| | | | – | დ | – | – | მ | დელეგირება |
| | დ | მ | | | | – | დ | დახმარება |
| | | | – | – | – | – | – | დამოუკიდებელი გადაწყვეტილება |
| | | დ | | | | | | |

ნახ. 2. ვრუმ-ჯაგოს მოდელში გადაწყვეტილების მიღების მატრიცა[1]

მატრიცა მუშაობს ძაბრის პრინციპით. სვეტებში (სქემის ზედა ნაწილი) მოცემულია სიტუაციური ფაქტორები (გადაწყვეტილების მნიშვნელობა, გადაწყვეტილებაში მონაწილეობა და ა. შ.), რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ან არ ჰქონდეს კონკრეტულ სიტუაციაში. სქემის მარჯვენა ნაწილში ჩამოთვლილია ვრუმი და ჯაგოს მიერ მიჩნეული გადაწყვეტილების სტილები – დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, ჯგუფური კონსულტაციები, დახმარება, ინდივიდუალური კონსულტაციები და გადაწყვეტილების დელეგირება (შევნიშნავთ, რომ განსხვავებული სახელების მიუხედავად ისინი მთლიანად ემთხვევიან ს. პ. რობინზის და დ. ა. სენჩოს ჩვენს მიერ დასახელებულ სტილის ფორმებს. ჩვენ პრობლემასთან მიმართებაში მაღალი (მ) და დაბალი (დ) შეფასებით ვაფასებთ სიტუაციურ ფაქტორებს და შემდეგ ვირჩევთ გადაწყვეტილების სტილს – დამოუკიდებელს, გუნდურს, დახმარებას და ა. შ.).

**გადაწყვეტილების მიღების მოდელები**. გადაწყვეტილებების მიღების მიდგომები 3 ძირითად ტიპად იყოფა. ესენია: **კლასიკური, ადმინისტრაციული და პოლიტიკური მიდგომები**. მენეჯერი მათ შორის არჩევანს აკეთებს რისკის ხასიათის, სიტუაციის გაურკვევლობის, პრობლემის სიმარტივის და პირადი მიდრეკილებების მიხედვით. ზემოაღნიშნული მოდელების დახასიათება იხილეთ ცხრილში 1.

[1] *Victor H. Vroom. Leadership and the Decision Making Process. Organizational Dynamics. 28. no 4 (Spring 2000). p. 82-94.*

ცხრილი 1.

**გადაწყვეტილების მიღების კლასიკური, ადმინისტრაციული და პოლიტიკური მოდელების დახასიათება**[1]

| კლასიკური მოდელი | ადმინისტრაციული მოდელი | პოლიტიკური მოდელი |
|---|---|---|
| 1. მიზნების სიცხადე, პრობლემის გაცნობიერება;<br>2. სიტუაციის სრული სურათი;<br>3. გადაწყვეტილებების და მათი შედეგების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია;<br>4. სასარგებლო შედეგის მაქსიმიზაციისათვის რაციონალური არჩევანის გაკეთება. | 1. პრობლემები და მიზნები არ არის ცხადი;<br>2. გაურკვეველია სიტუაცია;<br>3. ვარიანტებზე და მათ შედეგებზე ინფორმაცია შეზღუდულია;<br>4. მისაღები არჩევანი ეფუძნება ინტუიციას და კოალიციას. | 1. პლურალიზმი, მიზნების კონფლიქტი;<br>2. გაურკვეველი სიტუაცია;<br>3. აზრთა სხვადასხვაობა;<br>4. ინფორმაციის გაურკვევლობა;<br>5. კოალიციის შიგნით დისკუსიები და მოლაპარაკებები. |

**კლასიკური მოდელი** ეფუძნება ეკონომიკურ ვარაუდებს. კერძოდ:

- გადაწყვეტილების მიმღები პირი მიისწრაფვის კორპორაციის მიზნების შესრულებისკენ. პრობლემა ზუსტად და ნათლად არის ფორმულირებული;
- გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი პირი ისწრაფვის გარკვეულობისკენ, ცდილობს მოიპოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია, იხილავს ყველა შესაძლო ვარიანტს და მათ მოსალოდნელ შედეგებს;
- ცნობილია ალტერნატივების შეფასების კრიტერიუმები. გადაწყვეტილების მიმღები პირი ირჩევს ეკონომიკური თვალსაზრისით კორპორაციის ყველაზე უფრო ხელსაყრელ ვარიანტს.
- გადაწყვეტილების მიმღები პირი მოქმედებს რაციონალურად, ლოგიკურად აფასებს ვარიანტებს, პრიორიტეტებს და კორპორაციის მიზნების მიღწევისთვის ყველაზე უკეთ გადაწყვეტილების არჩევანს აკეთებს.

რადგან კლასიკური მოდელი გვასწავლის თუ როგორ უნდა იქცეოდეს მენეჯერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მას **ნორმატიულ მოდელსაც** უწოდებენ. ამ მოდელის ღირსება იმაშია, რომ იგი მენეჯერებს რაციონალური გადაწყვეტილებისკენ უბიძგებს. კლასიკური მოდელი გამოიყენება გარკვეულ სიტუაციებში.

**ადმინისტრაციული მოდელი** აღწერს რთულ სიტუაციებში (გაურკვეველი სიტუაციები, არაპროგრამული გადაწყვეტილებები) გადაწყვეტილებების მიღების რეალურ პროცესს.

ადმინისტრაციული მოდელი ეფუძნება ჰერბერტ საიმონის ნაშრომებს. სწორედ მან შემოგვთავაზა გადაწყვეტილების შეზღუდული **რაციონალურობა** და **მიღებადობა**. კორპორაციაში ინდივიდის საქმიანობა დასაშვებ რაციონალურობის საზღვრებში მოქცეული. კორპორაცია არის მეტად რთული სისტემა და მენეჯერებს არა აქვთ არც იმდენი დრო და არც შესაძლებლობა, რომ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად დაამუშაონ მთელი ინფორმაცია. ამიტომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის არა იმდენად რაციონალური, რამდენადაც მისაღები. გადაწყვეტილების მიღებადობა ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი მრავალი ალტერნატივებიდან ირჩევს იმ პირველსავე გადაწყვეტილებას, რომელიც მინიმალურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ამას მენეჯერები აკეთებენ მაშინაც კი, როცა ფიქრობენ, რომ ალბათ არსებობს უკეთესი ვარიანტიც, მაგრამ მისი მოძებნა და „ოპტიმირების წერტილის" პოვნა, მათ მეტად ძვირფას დროს აკარგვინებს.

მაშასადამე, ადმინისტრაციული მოდელით გადაწყვეტილებების მიღების დროს მთავარია პრობლემის დროული, ჩქარი გადაწყვეტა. თუ ეს ასე არ მოხდა, ორგანიზაცია უფრო დიდი პრობლემის წინაშე დგება.

ადმინისტრაციულ მოდელს აქვს რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღების რეალური პროცესის აღწერილობითი ხასიათი. ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები ეფუძნება **ინტუიციას,** რომელიც წარმოადგენს ადამიანის ქვეცნობიერ უნარს ლოგიკური გააზრების გარეშე, წინა წლების გამოცდილებით ადვილად და სწრაფად ჩაწვდეს მიმდინარე სიტუაციის თავისებურებებს და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. რადგან ინტუიციური გადაწყვეტილება ეფუძნება პიროვნების გამოცდილებას, კულტურას, ფასეულობებს და ა. შ., იგი არ არის არც ავტოკრატიული და არც ირაციონალური.

თანამედროვე ბიზნესში, რომელსაც ახასიათებს დიდი გაურკვევლობა და სიტუაციათა ჩქარი ცვლა, ინტუიციას დიდი მნიშვნელობა აქვს. გამოკითხულ ბიზნესმენთა ნახევარი აღიარებს, რომ ისინი მუშა გადაწყვეტილებებს ინტუიციური მიდგომით იღებენ, 30% კი თურმე „ხანდახან კონსულტაციისათვის

[1] *Ричард Л. Дафт. Менеджмент. М., Питер. 2008. с. 329.*

მიმართავს მას“.[1]

**პოლიტიკური მოდელი** გამოიყენება არაპროგრამირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, ინფორმაციის შეზღუდულობის, გაურკვევლობის და ერთიანი მიზნის არქონის პირობებში. ხშირად კორპორაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მრავალი მენეჯერი მონაწილეობს. რადგან თითოეულ მათგანს აქვს თავისი მიზანი, ისინი გადაწყვეტილებას იღებენ მხოლოდ მაშინ, როცა მიდიან კონსესუსამდე. როცა მათ სჭირდებათ მეტად რთული ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღება, მაშინ ქმნიან კოალიციებს, რომელიც წარმოადგენს ზიარი აზრის მქონე მენეჯერების არაფორმალურ ალიანსს, რათა მათ იბრძოლონ „ერთიანი ფრონტით“.

გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკური მოდელი ახლოსაა რეალურ პირობებთან, გადაწყვეტილებები რთულია და მრავალ ადამიანთა მონაწილეობას მოითხოს, ინფორმაცია არ იძლევა ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას და უთანხმოება, ხშირად კონფლიქტიც კი, ჩვეულებრივი მოვლენაა.

გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკური მოდელი ეფუძნება 4 ვარაუდს:[2]

1. კორპორაცია შედგება სხვადასხვა ინტერესების, მიზნების და ფასეულობების მქონე გუნდებისაგან. მენეჯერები სხვადასხვანაირად საზღვრავენ პრიორიტეტებს, ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან კოლეგების ინტერესებს და მიზნებს;
2. ინფორმაცია არის არასრული და გაურკვეველი. პრობლემების სირთულით და, აგრეთვე, პირადი და ორგანიზაციული შეზღუდვების გამო რაციონალური ქცევა ლიმიტირებულია;
3. ყველა საჭირო პრობლემის იდენტიფიკაციის და მთელი მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამუშავებისათვის მენეჯერებს არა აქვთ დრო, რესურსები და მატერიალური შესაძლებლობები. ისინი მიმართავენ ერთმანეთს და აზრს უზიარებენ.
4. მიზნები და ალტერნატივები დებატების პროცესში იკვეთება. კოალიციის წევრებს შორის მოლაპარაკებების და დისკუსიების შედეგად მიიღება გადაწყვეტილება.

**არაობიექტური გადაწყვეტილებები და შეცდომები**. გადაწყვეტილებების მიღებისას, როცა სიტუაცია მეტად რთულია და გაურკვეველი, მენეჯერები პროცესის გამარტივებისათვის ხშირად იყენებენ ემპირიულ წესებს, რომელთაც ევრისტიკა ეწოდებათ. ასეთი წესების რიცხვშია: „მცირედისთვის არ გარისკოს დიდი“, „გახსოვდეს, რომ ერთი გადაწყვეტილების გარდა არსებობს სხვაც“, „არ გარისკო, ვიდრე საბოლოოდ არ დარწმუნდები გადაწყვეტილების სისწორეში“ და ა. შ. მართალია, ემპირიული წესები ხშირად ეხმარება მენეჯერებს აბსურდულ სიტუაციაში გასარკვევად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ყოველთვის საიმედო არიან. ასევე, ხშირად ემპირიული წესები აცდენენ მენეჯერებს გადაწყვეტილების მიღებაში და სიტუაციის შეფასებაში.

[1] *Lisa A. Burke and Monica K. Miller. Taking the Mystery Out Intuitive Decision Making. Academy of Management Executive 13. no 4(1999). p. 91-99.*

[2] *Ричард Л. Дафт. Менеджмент. М., Питер. 2008. с. 329.*

***Nino Lazviashvili***
Associated Professor of GTU

## STYLES AND MODELS OF DECISION-MAKING IN CORPORATIONS

### SUMMARY

People working in corporation choose the method of problem solution on the basis of personal style. Personal style is the method of understanding the problem and decision-making.

Specialists define the four main styles of decision-making: directive, analytical, conceptual and behavioral.

We differentiated the styles of decision-making, but in real world managers often use these styles unitedly according to situation.

Managers make individual decisions only in exceptional cases, because collective works in the corporation. Therefore, it's very important for manager to listen and foresee the new, different ideas of collaborators.

One of the methods (models) of decision-making with participation of subordinated persons is called model of Vroom-Jago.

Matrix of Vroom-Jago works with the principle of funnel. Its columns show the situational factors (necessity of decision, participation in decision-making and etc.). The right side of scheme shows the styles of decision-making, particularly independent decision, group consultations, advices, individual consultations and delegation of decisions (we notice that in spite of different names, these styles coincide with styles of S.P. Robins and D.A. Sencho. We estimate the situation factors with high (H) and low (L) priorities and then choose the style of decision making).

Models of decision-making are divided into three main types: classical, administrational and political. Political manager chooses the concrete style on the basis of risks, uncertainty of situation, complexity of problem and personal opinion.



# დიდი მეგობარი
# პროფესორი იგორ კვესელავა

სევერიანე და ჟუჟა კვესელავების ოჯახში 70 წლის წინ თოფი ისროლეს და ქვეყნიერებას ასე ამცნეს იგორ კვესელავას დაბადება. ეს იყო მასწავლებლების ოჯახისთვის უდიდესი სიხარული. შემდგომში კვესელავებს შეეძინათ ქალიშვილი ლილი, რამაც ასევე დიდი გახარება და ბედნიერება მოუტანა ოჯახსა და სანათესაოს.

იგორ კვესელავამ წარჩინებით დაამთავრა მარტვილის საშუალო სკოლა და იქ მიღებული ცოდნით იმავე წელსვე შეაღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კარი. შემდგომში მან დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი,რამდენიმე დარგობრივი აკადემიის წევრი, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სამეცნიერო ჟურნალის ,,საისტორიო ვერტიკალების" დამაარსებელი და მისი მთავარი რედაქტორი. ბატონ იგორს და მის ჟურნალს უცხოელი სპეციალისტებიც კი კარგად იცნობენ. მის მიერ გაკეთებულმა მოხსენებამ ქ. პრაღაში ფურორი მოახდინა და სპეციალური სერტიფიკატი დაიმსახურა. მას გამოქვეყნებული აქვს ორასზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც ეხება კავკასიათმცოდნეობის, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, ეროვნული მოძრაობის, გლობალიზაციის, კონფლიქტოლოგიის, პოლიტიკის, ქართული ეთნოყოფისა და კულტურის, თანამედროვე კაპიტალიზმის კრიზისულ პროცესებს და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციებს, ხელმძღვანელობს სტუ-ს სოციალურმეცნიერებათა დეპარტამენტს. იგი მუდამ დგას სახელმწიფოებრივი მშენებლობის შუა გულში. არის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მისი დამსახურება ქვეყნისა და მეცნიერების წინაშე აღინიშნა დავით აღმაშენებლის სახელობის პირველი ხარისხის პრემიით.

ბატონი იგორი ნამდვილად დიდებული პიროვნება და მეცნიერია, მაგრამ მას კიდევ უფრო დიდებული ოჯახი ჰყავს. მისი მეუღლე, ჩინებული ქალბატონი თამარი, ღვთისმოშიში და გულისხმიერი მეოჯახეა. მან ქვეყანას ორი უბრწყინვალესი შვილი - ქეთი და უჩა აღუზარდა. ქეთი სტუ-ს ასოცირებული პროფესორია,უჩა კი - შსს-ს თანამშრომელი. ორივემ მშობლებს ხუთი შვილიშვილი აჩუქა.

ბატონი იგორი არა მარტო დიდი მეცნიერი და პედაგოგია, არამედ დიდი მეურნეც და მენეჯერიც. იგი უვლის მეურნეობას მარტვილში, ზვარს - ბოდბეში და ხეხილს — ნაფეტვრებში. აქედან მიღებული მოსავლით და ბოდბეში დაყენებული ღვინით ოჯახსა და მეგობრებსაც ალხენს.

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით, რომ ბატონი იგორი დიდი მეგობარია, გულისხმიერი ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მას შეუძლია ყველას თანადგომა და მეგობრობა — სულიერი და მატერიალური დახმარების აღმოჩენა.

ბატონ იგორს ჟამიერ, ნაყოფიერ და წარმატებულ მომავალს ვუსურვებ თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან, სამეგობროსთან და სტუდენტებთან ერთად.

ღმერთმა გაბედნიეროს, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

მუდამ შენს გვერდში მდგომი **ალექსანდრე სიჭინავა**

# სამართალი და პოლიტიკა

## სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვარიაციები (XX-XXI საუკუნის დასაწყისი)

## წერილი მეორე

**იგორ კვესელავა, სტუ-ს სრული პროფესორი**

1990-1991 წლების საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა და ქართული საბაზრო ეკონომიკა ეფუძნებოდა გარდამავალი პერიოდის პარამეტრებს, რომელიც ითვალისწინებდა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ეკონომიკური წყობილების შერეულ სისტემას. იგი სახელმწიფოს მიერ გეგმიურ-მართვად პოლიტიკას ვარაუდობდა და თანამედროვე სოციალიზმის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოდელში მოიაზრებოდა.

1991-1992 წლების მოვლენების შედეგად მოსული ხელისუფლების წინაშე იდგა დილემა: ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ან საბაზრო ეკონომიკის გზა. ცნობილი იყო, რომ საბაზრო თვითორგანიზაციის მექანიზმის ეფექტიანობა ყველა ქვეყანაში მიზანს აღწევდა მხოლოდ მკაცრი სახელმწიფოებრივი რეგულირებადი კონკურენციის უზრუნველყოფით და მონოპოლიზმის გამორიცხვით, სამეურნეო კანონმდებლობის შესრულებით და ა.შ.

ასეთ ვითარებაში, ქვეყანაში კრიმინალურ-კლანური მმართველობის შედეგად, სახელმწიფო გამოდევნილი აღმოჩნდა ეკონომიკური რეგულირებიდან, რადგანაც შეცდომით იქნა მიჩნეული, რომ საბაზრო თვითორგანიზაციის მექანიზმის საფუძვლად ავტომატურად იქცეოდა ეკონომიკური ზრდის ძალები და ეკონომიკური რეგულირების ნაცვლად კონცენტრირებული იქნებოდა მათი ძალისხმევა, მასობრივი, პრაქტიკულად უფასო, სახელმწიფო საკუთრების დასასაკუთრებლად, პრივატიზაციის გზით და ფულად-საკრედიტო ემისიის შესანარჩუნებლად.

ასეთი სახელისუფლო პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში მოხდა სახელმწიფო აპარატის შრომისუნარიანობის მკვეთრი დაცემა. სახელმწიფო შეკვეთის მნიშვნელოვანი შემცირება, ინფლაცია, შინა და საგარეო ინვესტიციების დაქვეითება, საბაზრო ურთიერთობაში სწრაფი კრიმინალიზაციის წარმოქმნა. არ იმუშავა საბაზრო თვითორგანიზაციამ და საბაზრო კონკურენციის მექანიზმმა, ვერ წარმოიშვა აუცილებელი სახელმწიფო რეგულირებადი ეკონომიკა. სახელმწიფომ დაკარგა საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილი, შემოსავლების წყაროები და ხელისუფლების სადავეები, რათა განეხორციელებინა ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად და ეკონომიკური აღმავლობისა და კეთილდღეობის მიღწევისათვის პირობების შესაქმნელად. შედეგად მივიღეთ ძლიერ დასუსტებული სახელმწიფო, რომელსაც არ შესწევდა უნარი მოეხდინა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა საერთო ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციაზე. სახელმწიფო სექტორმა დაკარგა მასტაბილიზირებელი როლი მიკრო-ეკონომიკურ სიტუაციასთან მიმართებაში და მთლიანობაში ვერ შეძლო წესრიგის დამყარება მმართველობაში.

ქვეყანაში შექმნილმა ურთულესმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა წარმოშვა საზოგადოებრივი უიმედობისა და იმედგაცრუების ატმოსფერო. მოსახლეობას გაუქრა ხელისუფლებისადმი ნდობა და საზოგადოებაში დამკვიდრდა მასობრივი აპათია.

ისმება კითხვა: რა შეიძლება გაკეთებულიყო ქვეყანაში წარმოქმნილი სიტუაციის დასაძლევად, კერძოდ, ეკონომიკის გასაჯანსაღებლად?

1. აუცილებლობა მოითხოვდა აემაღლებინათ სახელმწიფოს როლი, მისი მმართველობითი და მარეგულირებელი შესაძლებლობები. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად შესაძლებელი იყო ქვეყნის

ქაოსში ჩავარდნა.

2. უნდა შემუშავებულიყო სახელმწიფო იდეოლოგია და ეროვნული უშიშროების იდეა-კონცეფცია, რომელშიც რეალურად აისახებოდა ადამიანთა სასიცოცხლო მოთხვნილებები, საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესები, ზნეობრივი და სულიერი ღირებულებები, რომლებიც გასაგები და მხარდაჭერილი იქნებოდა ხალხთა ფართო მასების მიერ; კონკრეტული იდეის, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრედოს გარეშე, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის მიუღწევლად შეუძლებელი იყო ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა.

3. შეუძლებელი იყო ქვეყნის არსებობა მისი მდგრადი განვითარების გარეშე, თუ არ იქნებოდა გათვალისწინებული წარსულის აწმყოსა და გასავლელი გზის მყარი ორიენტირები. მემკვიდრეობითობის დამკვიდრება, თანასწორობის პრინციპების დაცვა, სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარება და ბუნებრივ-სარესურსო პოტენციალის შენარჩუნება.

ცხოვრება ხელისუფლების წინაშე აყენებდა მოთხოვნას — შემუშავებულიყო ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც დაეფუძნებოდა სოციალურ სამართლიანობას, ჰუმანიზმსა და ზნეობრივ პრაგმატიზმს.

როგორც დრომ აჩვენა, წმინდა საბაზრო ურთიერთობებმა, რომლებიც ეფექტიანი და ჰუმანური სახელმწიფოებრივი რეგულირების გარეშე დარჩა, ძალზე საშიში სახე მიიღო, საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოში თითქმის ვერცერთი პრობლემა ვერ გადაწყდა თვითდარეგულირებით, ფულადი, ფასიანი მექანიზმების გამოყენებით. ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების პოტენციალი ძალიან სუსტი იყო. სახელმწიფომ დაკარგა სოციალური ფუნქცია, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია უმართავი პროცესები და ხელისუფლების კრიზისი.

მძიმე იყო საქართველოს ეკონომიკური სურათი. ქვეყნის ვერცერთი პროდუქცია ვერ გადიოდა დსთ-ს ქვეყნების და, მით უმეტეს, მსოფლიო ბაზარზე და ეს არც იყო მოსალოდნელი უახლოეს წლებში, რადგანაც, ფაქტობრივად, პროდუქცია არც არსებობდა. ეს კი ეკონომიკის სტრუქტურულ დეგრადაციაზე მიუთითებდა, მით უმეტეს, არ არსებობდა სახელმწიფო რეგულირება, კონკურენცია და ქვეყანაში გამეფებული იყო კორუფცია.

საქართველოს ეკონომიკის გამოცოცხლების ტენდენციის მისაღწევად საჭირო იქნებოდა სრული პოლიტიკური სტაბილიზაციის პირობებში, გარკვეული სიძლიერით ამუშავებულიყო საწარმოები, მომხდარიყო საშინაო მოთხოვნილების გაფართოება, მრეწველობის სხვადასხვა დარგის სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება, საგარეო და საშინაო ინვესტიციების მოზიდვა; ქვეყნის პროდუქციის ექსპორტის განვითარება; კორუფციის დაძლევა, სამეცნიერო-ტექნიკური და სტრუქტურული პოლიტიკის რეალიზება.

საქართველოში მიმდინარე პროცესები საზოგადოების წინაშე აყენებდა მდგრადი განვითარების პრობლემას. მდგრადი განვითარების კონცეფციას საფუძვლად ედო ეკონომიკის, ბუნებისა და საზოგადოების ბალანსირებული განვითარება. მდგრადი განვითარების მიღწეული დონის შეფასების კრიტერიუმი შეიძლება ასე განსაზღვრულიყო:

ა) ცხოვრების დონე, შემოსავლები სულზე, მოქალაქის საკუთრება, დასაქმების, სამართლებრივი დაცვისა და ცოდნის დონე;

ბ) ეკონომიკური განვითარების დონე;

გ) ეკოლოგიური სურათი.

ცხადია, საქართველო შორს იყო მდგრადი განვითარებისაგან, მაგრამ არსებობდა მისი განხორციელების ეტაპობრივი გზა:

1. მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავება;
2. გამოსვლა კრიზისული მდგომარეობიდან;
3. საზოგადოების ჰარმონიული განვითარება ეკონომიკური და ეკოლოგიური სტაბილურობა.

საქართველოს იმდროინდელ ვითარებაში, ბუნებრივია, ჩნდებოდა კითხვა: რატომ იყო საქართველოს მოსახლეობაში შესამჩნევი გულგრილობა და უხალისო დამოკიდებულება საზოგადოებრივი პროცესებისადმი, მიუხედავად მისი ყოველდღიური გაღატაკებისა?

რატომ არ იყო მასობრივი სოციალური და პოლიტიკური პროტესტი ხელისუფლების წინააღმდეგ? რატომ შემცირდა საგრძნობლად აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა მოსახლეობის დიდ ნაწილში, რომ ქვეყანა როგორმე გამოსულიყო კრიზისიდან და როგორმე შემსუბუქებულიყო ეკონომიკურ სფეროში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა?

რა პასუხი შეიძლება გაცემოდა ამ კითხვებს? საქმე ის არის, რომ 1988-1990 წლებში საზოგადოების დიდი ნაწილი გაიტაცა რევოლუციურმა იდეებმა, რაც დამთავრდა ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლით და დამოუკიდებლობის გამოცხადებით. ამ პროცესებმა გარკვეულწილად განაპირობეს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ჩამოშორება აქტიური შრომისაგან. 1990-1991 წლებში ერის რევოლუციური სულისკვეთება არ შენელებულა, ამასთან გამოიკვეთა სოციალური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლის ტენდენციები.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესებმა ფართო გაქანებას მიაღწია 1992 წლიდან, როდესაც

ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი მმართველობა საბაზრო ეკონომიკის ეიფორიის ტყვეობაში აღმოჩნდა. საბაზრო ეკონომიკური სისტემა მსოფლიოში გაბატონებული მიმართულებაა, იგი სწრაფად გავრცელდა პოსტსაბჭოურ ქვეყნებშიც, მაგრამ საქართველოში ამ სისტემამ ვერ ჰპოვა სათანადო მხარდაჭერა მოსახლეობის უმრავლესობის მხრივ.

„ქვეყანაში განხორციელებულმა კურსმა საზოგადოება დაარწმუნა, რომ ე.წ. ქართულმა საბაზრო ეკონომიკამ ადამიანების დიდი ნაწილი სრულ გაკოტრებამდე მიიყვანა. დამახინჯებულმა საბაზრო ეკონომიკამ წარმოშვა უმუშევრობა, ქონების დაკარგვა, სიცოცხლის ხელყოფა, ცხელი წერტილები აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში და ა.შ.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, ევროპის და სხვა ქვეყნებისათვის საბაზრო ეკონომიკა გახდა არსებობის ბუნებრივი ნაწილი და ცხოვრების წესი, რისთვისაც ბავშვობიდან ემზადებიან სხვადასხვა თაობები, საქართველომ ვერ მიიღო საბაზრო ეკონომიკის ფილოსოფია, იგი თავიდანვე დამახინჯებულად მოევლინა ქართულ ცნობიერებას.

ცხადია, ამაში იყო საბჭოური მემკვიდრეობის წილიც, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით სწრაფი საბაზრო სრბოლა მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს საზოგადოებისათვის, რამაც წარმოშვა ნერვიული სტრესი და დამკვიდრდა ფიზიკური გამოფიტვის, დაუძლურების, დაძაბუნებისა და დაღლილობის სინდრომი.

სამწუხაროდ, ამ სინდრომით შეპყრობილ აღმოჩნდა მოსახლეობის დიდი ნაწილი. არსებული ვითარებისადმი გულგრილობა, ხვალინდელი დღის მუდმივმა შიშმა, რაიმე პერსპექტივის დაუჯერებლობამ საზოგადოებას დაუკარგა მასობრივი პოლიტიკური და სოციალური პროტესტის გამოხატვის უნარი. ამიტომ უახლოეს ხანებში ნაკლებ მოსალოდნელი იყო მკვეთრი სოციალური აფეთქება, რომელსაც მოჰყვებოდა ხელისუფლების შეცვლა. ამასთანავე, ამ სინდრომის ხალხი არ იყო მზად აქტიური ეკონომიკური შემოქმედებითი საქმიანობისათვის და აქედან გამომდინარე, ქვეყნის გამოსაყვანად კრიზისული სიტუაციიდან. ცხადია, არსებობდა საზოგადოების მცირე ჯგუფი, რომლისთვისაც უცხო იყო მუდმივი დაღლილობა, მაგრამ მას ახასიათებდა მეორე არანაკლებ (თუ არაუმეტეს) საშიში მოვლენა – მუდმივი გამდიდრების სინდრომი, იგი თავად მონაწილეობდა საბაზრო ეკონომიკის დამახინჯებაში და მას პირადი გამდიდრების წყაროდ იყენებდა, თუმცა, ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს ჯგუფი საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 0,1-0,5 პროცენტს თუ შეადგენდა.

ბუნებრივია, ასეთი ვითარება არ შეიძლება დიდი ხანი გაგრძელებულიყო. სიცოცხლისა და არსებობისათვის ბრძოლის საჭიროება მოხსნიდა მუდმივი დაღლილობის სინდრომს და საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა შეეცდებოდა ხელისუფლებისათვის მოეთხოვა კარდინალური ცვლილებები; წინააღმდეგ შემთხვევაში, დღის წესრიგში დადგებოდა არსებული რეჟიმის შეცვლის საკითხი.

ასეთ ვითარებაში ქვეყნის ხელისუფლებას უნდა გამოენახა ისეთი რეალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური მექანიზმები, რომელიც მოაბრუნებდა ადამიანებს ნორმალური შემოქმედებითი საქმიანობისაკენ, იმედისა და რწმენისაკენ. იხსნიდა ქვეყანას კრიზისისაგან. თავიდან აიცილებდა მძლავრ სოციალურ აფეთქებას.

ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებას ამის პოლიტიკური ნება, ეკონომიკური შესაძლებლობები, სოციალურ-ეკონომიკური საყრდენები?

ამ კითხვებს უახლესი დრო გასცემდა ამომწურავ პასუხს. სწორედ ეს დრო იყო აუცილებელი იმისათვის, რომ საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა მდგრადი განვითარების პრობლემები, სხვაგვარად იგი ვერ შეინარჩუნებდა თავის კუთვნილ ადგილს მსოფლიოს ცივილურ თანამეგობრობაში.

### საზოგადოების განვითარების უნივერსალურ და ზოგადი კანონზომიერებანი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები

მეცნიერები (აკად. ი. ფრანგიშვილი) გამოყოფენ ძირითად უნივერსალურ და ზოგად სისტემურ კანონზომიერებებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია რთული ტექნიკური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, ეკოლოგიური სისტემების, ეროვნებათშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების მართვისას. მათი იგნორირება იწვევს არამდგრადობას, კატასტროფებს, ნგრევას, ჩავარდნებს.

ზოგად სისტემურ კანონზომიერებათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის დიალექტიკური კანონი, რომელსაც მეცნიერები ფაქტის ასახსნელად ხშირად ძალიან ვიწროდ განიხილავდნენ, როცა წინააღმდეგობა (ანტაგონიზმი) ახალსა და ძველს შორის მთავრდებოდა ახლის მიერ ძველის გამოდევნით.

უკანასკნელ ხანებში ამ კანონს მეტი უნივესალურობა მიენიჭა და მიმდინარე ბევრი სხვა პროცესის ასახსნელად გამოიყენეს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დაშლას თხუთმეტ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და შემდგომ ზერბაიჯანის, საქართველოსა და მოლდავეთის მეორედ „გახლეჩას" აღნიშნული კანონზომიერებით ხსნიან.

საქმე იმაშია, რომ ამ კანონით ხდება დაპირისპირებულთა გაერთიანება ან, დაპირისპირებულთა დაშლა. ამ შემთხვევაში ერთი დაპირისპირებული ემორჩილება მეორეს და პირიქით, რამდენიმე დაპირისპირებული უფრო ძლიერ და მდგრად სისტემად ერთიანდება; მაგალითად, საქართველო თავის დროზე ემორჩილებოდა საკავშირო მმართველობას, მაგრამ გამოყოფის შემდეგ შეეცადა უფრო ძლიერ და მდგრად სისტემაში შესვლას (მიღება გაეროში, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანების მცდელობა და ა.შ.). თუმცა, ამავე კანონზომიერებით, არც ეს ერთიანობა იქნება მუდმივი წარმონაქმნი და მათ შორის ახალი დაპირისპირება იჩენს თავს.

აღნიშნული კანონისა და მართვის თეორიის თანახმად, ი. ფრანგიშვილი ფიქრობს, რომ სსრ კავშირი დაიშალა რამდენიმე ქვესისტემად, ანუ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, რასაც აუცილებლად თან სდევდა მნიშვნელოვანი ოდენობის ენერგიის გამოყოფა; ამან თავის მხრივ გამოიწვია გამოყოფილი ქვესისტემის „მეორადი გახლეჩა". მაგალითად, სსრ კავშირის დაშლის შედეგად გამოყოფილი ენერგიეს სიდიდე იმ ენერგიაზე მეტი აღმოჩნდა, რომელიც აუცილებელი იყო მრავალეროვნული სახელმწიფოს – საქართველოს – სისტემურ მდგრადობისათვის, ამიტომ მოხდა საქართველოს – ამ არასაკმარისად მდგრადი სახელმწიფოს, როგორც მრავალეროვნული გაერთიანების მეორადი „გახლეჩა". არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის დაშლის პროცესში გამოყოფილმა ენერგიამ, არასაკმარისი მდგრადობის გამო, ასევე გამოიწვიოს მისი, როგორც სახელმწიფოს მრავალეროვნული გაერთიანების მეორადი „გახლეჩა-დაშლა". ცხადია, მეორადი დაშლის ამ ნეგატიურ პროცესებს, რომლებიც გამოწვეულია ჭარბი ენერგიით, ემატება სხვა ძალების მოქმედებაც.

ი. ფრანგიშვილი გამოყოფს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ კანონზომიერებას, რომელიც ბევრად განსაზღვრავს ერთაშორის და რელიგიათაშორის ურთიერთობებს, სახელმწიფოების, ეროვნებათა, ენების და სხვათა განვითარებას. ეს არის ნებისმიერი სისტემის ფუნქციონირების ციკლური, რიტმული და რხევითი ხასიათი.

ი. ფრანგიშვილის აზრით, სამყაროს ნებისმიერი საგანი, მატერია, პროცესი, მოვლენა როგორც სისტემა ყოველთვის რხევით (ციკლურ) მდგომარეობაშია, რომელიც გამოიხატება თვალით დასანახავი ან ფარული გადასვლით ერთი უკიდურესი (პირველი) საპირისპირო მდგომარეობიდან პირობითად (ერთიანობა, შერწყმა, თავმოყრა) სხვა, მეორე საპირისპირო მდგომარეობაში (გახლეჩა, გაყოფა, დაშორიშორება, დაშლა, დეცენტრალიზაცია), რომელიც შემდეგ კვლავ ბრუნდება უკან პირველ მდგომარეობაში და ა.შ. ეს პროცესი ხდება განუწყვეტლივ დროის შუალე-დებში და დაპირისპირებულობათა ერთიანობისა და ბრძოლის დიალექტიკური კანონის მოქმედების შედეგია.

ამ კანონზომიერებების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება რთული საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემების განვითარების განჭვრეტა (სახელმწიფოები, ერები და ეროვნებანი, ენები, რელიგიები, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობანი და ა.შ.).

მეცნიერის შენიშვნით, ციკლების ცნება ნიშნავს გარკვეული დამოუკიდებელი განვითარების ეტაპების არსებობის აღიარებას, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს განვითარების დასრულებულ ციკლს და ამავე დროს თითოეული ამ ციკლთაგანი თავის მხრივ შეიძლება განვიხილოთ როგორც განვითარების საკუთარი ეტაპის გაშლის პროცესი (ციკლების ციკლი).

როგორც ჩანს, ამ ციკლური მიდგომის გამო-ყენებით პოლიტიკური პროცესების ანალიზისას იკვეთება ორი ურთიერთსაპირისპირო პოლუსი და ამის შედეგად შესაძლებელი ხდება საუბარი ხელისუფლების ფორმაზე გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში.

პირველი – გაერთიანება ერთიანი მმართველობით (ცენტრალიზაცია).

მეორე – მისწრაფება განცალკევებისაკენ, დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევისაკენ, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისაკენ. ამ ორ საპირისპირო პროცესს შეესაბამება ძალაუფლების ორი ფორმა:

1. მკაცრი ცენტრალიზებული ხელისუფლება;
2. დეცენტრალიზებული ხელისუფლება (დემოკრატიული პროცესების გაძლიერება მმართველობაში).

ადვილი შესამჩნევია, რომ აქ თავს იჩენს ციკლური კანონზომიერება: ცენტრალიზაციიდან დემოკრატიისაკენ და უკან – დემოკრატიიდან ცენტრალიზაციისაკენ. ცხადია, ხელისუფლების ამ პოლარულ ფორმებს აქვთ თავიანთი უკიდურესი გამოხატულებები – ანარქია და დიქტატურა.

ი. ფრანგიშვილი მიიჩნევდა, რომ არ იყო გამორიცხული ხელისუფლების უკიდურესი ფორმები, მაგრამ მათი პრაქტიკული განხორციელება უკავშირდებოდა პოლიტიკური სისტემის ისეთ რყევებს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აისახებოდა. დროის მოკლე პერიოდში უნდა განხორციებულიყო და დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. თუმცა ხელისუფლების ამ ფორმას ეროვნული ცნობიერების გამომხატველი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა სჭირდებოდა.

საყურადღებოა ი. ფრანგიშვილის ის დებულებაც,

რომ საზოგადოებისათვის უფრო რაციონალური იყო პრობლემა, რომელიც არ იწვევდა ძლიერ რყევას, მაგრამ, ზემოაღნიშნული კანონზომიერების მიხედვით, საზოგადოება არ შეიძლება ერთ ადგილზე დარჩენილიყო და მას თავის განვითარებაში უნდა გაეარა ხელისუფლების ოთხივე ფორმა (ზომიერ-ლიბერალური, ანარქია, დიქტატურა, დემოკრატია) სხვადასხვა ხანგრძლივობით, რომლებიც ყოველთვის სპირალურად მეორდებიან.

როდესაც მსჯელობენ საზოგადოების განვითარებაში ხელისუფლების ოთხივე ფორმის გავლის აუცილებლობის კანონზომიერებაზე, ადვილი შესაძლებელია დაისვას კითხვა: რა ფორმისა და შინაარსის ხელისუფლებაა საქართველოში დღეს? აქ მზა პასუხი არ შეიძლება იყოს, მაგრამ თუ გავაანალიზებთ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, გამოიკვეთება შემდეგი ტენდენციები:

საქართველოში სახელისუფლო მმართველობის არც ერთი ზემოაღნიშნული ფორმა გარკვევით არ იყო ჩამოყალიბებული. ამას, ალბათ, ისიც განაპირობებდა, რომ მოსახლეობამ არ იცოდა რა საზოგადოებრივ წყობილებაში ცხოვრობდა, რა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მატარებელი იყო ხელისუფლება, რა რეალურ პრიორიტეტებს ანიჭებდა უპირატესობას, მომავლის რა კონკრეტულ კონტურებს სახავდა. საქმეს არ შველოდა ხელისუფლების მიერ გარდამავალი პერიოდის აღიარება. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ხელისუფლების ოთხივე ფორმა (ზომიერ-ლიბერალური, ანარქია, დიქტატურა, დემოკრატია) მოქმედებდა შერეული სახით. ხელისუფლება ავტორიტარულ-ვოლუნტარისტული მმართველობისაკენ უფრო იხრებოდა და ამას ჰქონდა შენიღბული დემოკრატიისა და დიქტატურის ნიშნები, ფორმით — ლიბერალურ-დემოკრატიული, შინაარსით — ანარქიულ-დიქტატორული. ასეთი იყო საქართველოს ხელისუფლების სახე.

მსოფლიო პროცესებისა და მოვლენების ანალიზს იქამდე მივყავართ, რომ დღითიდღე განუზომლად იზრდება სხვადასხვა საერთაშორისო ტრანსეროვნული მონოპოლიების, კორპორაციებისა და კონცერნების გავლენა მცირე სახელმწიფოზე, ერებსა და ეროვნებებზე, ეროვნებათაშორის და რელიგიათა შორის ურთიერთობებზე. ისინი სწორედ სიმდიდრის დაგროვების მიზნით ცდილობენ ხელი შეუწყონ სახელმწიფო საზღვრების გაუქმებას, ერთიანი საკანონმდებლო სისტემის შექმნას, რაც იმის პირველი ნიშანია, რომ უნდა გაქრნენ მთელი რიგი სახელმწიფოები.

მომავალში სახელმწიფოთა შემცირებას ან გაერთიანებას უნდა მოჰყვეს ეროვნებებისა და ეროვნული ენების შემცირება. ხოლო, საბოლოო ანგარიშით, შორეულ მომავალში შეიძლება იარსებოს მხოლოდ რამდენიმე გაერთიანებულმა სახელმწიფომ, რამდენიმე ერმა და ეროვნებამ ამჟამად არსებულთა ნაცვლად.

მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ერებს შორის წინააღმდეგობათა დაძლევა უნდა მოხდეს მხოლოდ მათი რაოდენობის შემცირებით, რადგან კონფლიქტების დარეგულირების პოლიტიკური ან ძალისმიერი ღონისძიებებით და ლაპარაკით ერებს შორის მეგობრობისა და მშვიდობის შესახებ პრობლემების მოგვარება გამორიცხულია. ცხადია, აქ გულისხმობენ, რომ ყოველი ერი ფარულად თუ აშკარად მიზნად ისახავს ამაღლდეს სხვა ერებზე, რასაც შ დეგად მოსდევს ერების ასიმილაცია, ერებისა და ეროვნებათა შემცირება და, შესაბამისად, ერთაშორისი წინააღმდეგობის შესუსტება. სხვათა შორის, წინა პლანზე იწევს გამორჩეული ერთა საკითხიც. ერების და ეროვნებების გამოხშირვა თავისთავად გამოიწვევს დარჩენილ გამორჩეულ ერებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას და დაახლოებას, საბოლოო ანგარიშში კი მათი თანდათანობით ერთმანეთთან შერწყმის პროცესის განვითარებას.

მოვლენების ასეთი გზით განვითარების შემთხვევაში არ გამოირიცხება, რომ მიწიერი ცივილიზაციის განვითარების წინააღმდეგობების და ომების შემცირების მიზნით აუცილებლად მოხდება ადამიანთა ეროვნული გრძნობების გაღვივების შესუსტება, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მიეცემა ეროვნულ გრძნობებს ანუ ნაციონალიზმს.

თანამედროვე მსოფლიოში უკვე გამოკვეთილად ისმის წინადადებები იმის შესახებაც, რომ ერთაშორის დაპირისპირების დაძლევის უმარტივესი გამოსავალია პლანეტის წამყვანმა სახელმწიფოებმა მსოფლიო სახელმწიფოთა გაერთიანების — **გაეროს** საშუალებით უარი თქვან იმ მცირერიცხოვანი ხალხების თვითგამორკვევის პრინციპებზე, რომლებიც მკვიდრ, ძირითად ხალხთან ერთად შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობას. უფრო მიზანშეწონილად მიჩნეულია, რომ მომავალში უნდა მოხდეს ამ ავტონომიური და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ტიპის ერთეულების ტრანსფორმაცია კულტურულ ავტონომიად.

როგორც ჩანს, მსოფლიო ახალი წესრიგის დამყარების მათივე სახელმწიფოებში ყალიბდება აზრი, რომ ხალხის თვითგამორკვევის პრინციპმა პრაქტიკულად ამოწურა თავისი თავი, ვინაიდან აბრკოლებს ტრანსეროვნულ ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას და წარმოადგენს ხალხთა იმ ფარულ გრძნობებზე ზემოქმედების ინსტრუ-

მენტს, რომელიც იწვევს ეროვნებათა შორის კონფლიქტებს.

სისტემური კანონზომიერების (მატერიის, მოვლენების, პროცესების ციკლურობა და ა.შ.) თეორიის ავტორები უფრო შორსაც მიდიან და თვლიან, რომ შესაძლებელია სხვადასხვა რელიგიური მიმართულების არსებობა-განვითარების მიზეზის გაგებაც. მათივე აზრით, არცერთ რელიგიას არ გააჩნია საფუძველი ზემოდან, ქედმაღლურად დაჰყურებდეს სხვა რელიგიურ მიმართულებებს, მით უმეტეს, კონფლიქტები ჰქონდეთ ერთმანეთთან. დაშლის და შერწყმის ან თავმოყრის ციკლური პროცესი მოასწავებს, რომ შორეულ მომავალში, ალბათ, ისინი ერთ რელიგიად შერწყმებიან.

ნიშანდობლივია მეცნიერთა ვარაუდი, რომ მომავალში ადამიანები, როგორც ჩანს, უნდა მიხვდნენ, რომ ყველას ერთი ღმერთი ჰყავს — იმისდა მიუხედავად, თუ რას უწოდებენ მას. მანამ, სანამ ეს არ სურთ შეისმინონ, იარსებებს ბევრი რელიგია, რომელთაგან თითოეულს ადამიანი მიჰყავს რაღაც უმაღლესი მწვერვალისაკენ.

მეცნიერები (ი. ფრანგიშვილი) ციკლური პროცესის შემდეგ ტიპიურ მაგალითად ასახელებენ საზოგადოებაში მიმდინარე ღირებუელბათა გადაფასების სისტემას. აქედან გამომდინარე, ამიტომაც გამოყოფენ ღირებულებათა სისტემების შესაბამისი ცხოვრების ტიპებს.

პირველი — ეს არის ღირებულებათა **ზეპიროვნული** სისტემა და ცნობიერება.

მეორე — ღირებულებათა **პიროვნული** სისტემა და პიროვნული ცნობიერება.

ზეპიროვნული ცნობიერება, რომელიც აღიარებს ღირებულებათა ზეპიროვნულ სისტემას, დამახასიათებელი იყო სსრ კავშირში მცხოვრები მართლმადიდებლებისა და მუსულმანთა უმრავლესობისათვის. მაგალითად, რუსეთის საზოგადოებრივი ცნობიერება იყო და არის ზეპიროვნული, რადგან იგი თაობების განმავლობაში (300 წელზე მეტი) მნიშვნელოვან პრიორიტეტს ანიჭებდა საზოგადოებრივ (სახელმწიფოებრივ) ინტერესებს პიროვნულ ინტერესებთან შედარებით. რუსის ტრადიციაში იჯდა თავისი პირადი ინტერესების შეწირვა სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის. ეს იჯდა მუსულმანური სამყაროს ტრადიციებშიც.

სიკვდილი სარწმუნოებისათვის და არა პიროვნული კეთილდღეობისათვის — ეს იყო ღირსების საქმე ქართულ ტრადიციასა და ცხოვრების წესშიც, ქართველის ფენომენში ნაკლებად იჯდა პიროვნული მე, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ზეპიროვნული იყო სამშობლოს, სარწმუნოებასა და ოჯახთან მიმართებაში, და ამის არაერთი მაგალითი აქვს საქართველოს ისტორიულ მეხსიერებას: ბაგრატ მესამე თუ დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებული თუ ცოტნე დადიანი, გიორგი ბრწყინვალე თუ ერეკლე მეორე, ქეთევან წამებული თუ მარიამ დედოფალი, სამასი არაგველი თუ ძმები ხერხეულიძეები, მღვდელი თევდორე თუ ამბროსი ხელაია, მერაბ კოსტავა თუ ზვიად გამსახურდია, გია აბესაძე თუ ჟიული შარტავა, ექვთიმე თაყაიშვილი თუ იოსებ ჟორდანია, სხვანი და სხვანი.

ან როგორ შეიძლება ქართული ცნობიერებიდან ამოშალო ქვეყნისთვის შეწირული — დიდი ილიას ზეპიროვნული შეგონება-შეძახილი: ,,მამული, ენა სარწმუნოება!“

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, ერთი მხრივ, ტრადიციულმა ზეპიროვნულმა ცნობიერებამ და ღირებულებათა სისტემამ და, მეორე მხრივ, უკვე შიგნით წარმოშობილმა და გარედან დანერგილმა პიროვნულმა ცნობიერებამ და ღირებულებათა პიროვნულმა სისტემამ ურთეირთდაპირისპირება გამოიწვია დამწვავე კონფლიქტებიც გაჩაღდა.

რადგანაც მეურნეობის გაძღოლის ახალ, კაპიტალისტურ ტიპზე უკონფლიქტოდ გადასვლისათვის საჭიროა შეიქმნას ღირებულებათა პიროვნული სისტემა და ეროვნული ცნობიერება, ცხადია, იმიტომაც ეს ყველაფერი ტრადიციულად არსებული ზეპიროვნული ცნობიერებისა და პიროვნული ცნობიერების ურთიერთშეჯახებით მთავრდება.

მეცნიერებს ზეპიროვნულ და პიროვნულ საზოგადოებრივ ცნობიერებას შორის კონლფიქტის გადაჭრის მაგალითად მოჰყავთ იაპონია. ღირებულებათა და ცნობიერების იაპონურ სისტემაში მთავარ პრიორიტეტებს, ან ღირებულებებს წარმოადგენს ფირმისადმი ერთგულება, საწარმოსათვის თავდადება, თავდადებული დამოკიდებულება შრომისადმი, რაც მიჩნეულია ზეპიროვნული ღირებულებისა და ზეპიროვნული ცნობიერების ტიპიურ წარმონაქმად, რომელიც კარგად უთავსდება ეკონომიკურ ურთიერთობათა კაპიტალისტურ ტიპს და პიროვნულ ღირებულებებს.

უდავოა, კაპიტალი პიროვნულია, მაგრამ იგი ზეპიროვნულადაც უნდა იქცეს, როგორც ხალხის კეთილდღეობის საშუალება. ღირებულებათა ისეთი სისტემის შექმნა, რომელშიც კერძო მეწარმე იქნება მეცენატი, ქველმოქმედი, საზოგადოებრივი მნიშვნელოვანი ამოცანების მატარებელი, არც ისე ადვილი შესასრულებელია, რადგან პიროვნულმა და ზეპიროვნულმა ურთიერთმოქმედებამ ტრადიციული ხასიათი უნდა მიიღოს. მაგრამ ამისათვის არ არის მზად საქართველოს დღევანდელი საზოგადოებრივი

ცნობიერება. საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება და პოლიტიკური სისტემა. ქვეყანაში მოსახლეობის განსაკუთრებულმა უმცირესობამ სახელისუფლებო მანქანის უვარგისობის გამო შეძლო უკანონო გზით ხელთ ეგდო საზოგადოებრივი ქონება და მოკლე ხანში მიეღწია ქვეყანაში ეკონომკურ-ფინანსური ბატონობისათვის, პრივატიზაციის დანაშაულებრივი ფორმითა და მეთოდით გატა-რებამ საზოგადოების უდიდესი ნაწილი უქონელი გახადა. ზეპიროვნული ერთობა დაანგრია ერთი, მცირე ჯგუფის, პიროვნულმა ნებამ. ამდენად, საქართველოში ზეპიროვნულისა და პიროვნულის უკონფლიქტო მშვიდობიან თანაარსებობაზე და რაიმე საზოგადოებრივ ურთიერთობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

რადგანაც საზოგადოებრივი ზეპიროვნული ცნობიერება და ღირებულება დამახასიათებელი სოციალიზმის სისტემისათვის, ხოლო საქართველო – თავისი ინერციული ტრადიციონალიზმით ის ქვეყანაა, რომელიც მომავალში თანამედროვე ეროვნული სოციალიზმის გზით უნდა წავიდეს. ამთავითვე უნდა დაიგმოს ქვეყანაში პიროვნული ცნობიერებისა და ღირებულების დამკვიდრების ხელოვნური და ძალადობრივი გაბატონების მცდელობა.

თანამედროვე საზოგადოების ცნობიერება და ღირებულებანი ძირითადად ადამიანების მატერიალური მდგომარეობის გათანაბრებისკენ უნდა იყოს მიმართული. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ცალკეული ადამიანები თავიანთი ნიჭით, უნარით, საქმიანი თვისებებით – მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის თუ ბიზნესის სფეროში განსაკუთრებულ წარმატებებს მოიპოვებენ და, აქედან გამომდინარე, ქონებრივი იერარქიის სხვადასხვა საფეხურებზე იდგებიან, მაგრამ ეს თავისი არსითა და ბუნებით მხოლოდ იერარქიის სხვადასხვა საფეხური იქნება და არა დაპირისპირებული ბარიკადები; თვით ცხოვრების კანონებია ასეთი და მათ სამაგალითოდ არეგულირებენ უმაღლესი ადამიანური ფასეულეობანი – პატიოსნება, სამართლიანობა და ზეპიროვნული ცნობიერება, – აი, სწორედ ის, რაზეც გვაქვს საუბარი. საბოლოო ჯამში, სახელდობრ ეს განსაზღვრავს ნებისმიერი ერის, ადამიანთა ნებისმიერი ერთობის მერმისს, უწყვეტი განვითარებისათვის აუცილებელ რესურსებს, მისი ზრდის პერსპექტივას.

## ლიტერატურა

1. იგორ კვესელავა, საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1999;

2. ი. ფრანგიშვილი, „რთული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების მართვის ზოგიერთი პრობლემა", ჟურნ. „პრიბორი", და „სისტემა უპრავლენია", მოსკოვი, 1995, №8; მისივე „სხვადასხვაგვარი ბუნების რთული სისტემების ფუნქციონირების საერთო სისტემური კანონზიმიერებანი", კრებულში „ფისოფლოფსკოე ისლედოვანია", მოსკოვი, 1997, №3; მისივე სხვადასხვარი ბუნების რთული სისტემების ფუნქციონირების სისტემური მდგომარობა და სისტემური კანონზომიერებანი, მოსკოვი, 1998.

3. ნ. ჭითანავა, „საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები", თბილისის, 1990; „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები, თბილისი, 1992; „შერეული მრავალწყობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა", თბილისი, 1997; „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები", 1997.

**Igor Kveselava, Full Professor GTU**

**Socio-Economic and Socio-Political Variations (in the early XX-XXI c.)**
**Letter 2**

## SUMMARY

The work showed that after the well-known events of 1991-1992, the Georgian government chose such market economic path that brought the country to the complex political, social and economic crisis. In such a complicated situation, the government failed to develop those real social and economic mechanisms that could manage to bring people back to normal creative activities. As for the country, just to bring it to the hope and faith, and liberate it from the political and social explosion.

In this article are marked out universal common regulations of social development related to modern socio-political processes. As well as are shared the scientific conceptions of academician, Iveri Prangishvili. The given conclusion tells that the government had to pass 4 forms through the Georgian society - moderately liberal, anarchy, dictatorship, democracy – with different duration, which are continuously repeated.

In the end we can claim that in Georgia all four forms of government worked but in a mixed way. It took a course towards the authoritarian-voluntaristic rule with the signs of disguised democracy and dictatorship. As for the forms they were liberal-democratic, and the content was anarchist-dictatorial. This was the face of the Georgian government.

# აბორტის კრიმინალიზაცია

*მიხეილ მამნიაშვილი,*
*სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი.*
*გურამ სუხაშვილი,*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი*

გვინდა შევეხოთ ისეთ პრობლემატურ საკითხს, როგორიც არის აბორტი. აღნიშნული თემა მეტად აქტუალური და პრობლემატურია ჩვენს საზოგადოებაში, მით უმეტეს იმ ქვეყნის საზოგადოებაში, რომელიც დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას. როდესაც ვსაუბრობთ აბორტზე, ლოგიკურია, რომ გავცე პასუხი ისეთ კითხვებს: როდის იწყება სიცოცხლე, რა არგუმენტებია აბორტის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ.

პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, უჯრედის გენეტიკის წამყვანი სპეციალისტი ჟერონ ლუჟენი აღნიშნავს, რომ: „ადამიანი არის ის, ვინც ეკუთვნის ჩვენ მოდგმას, მნიშვნელობა არ აქვს კილოგრამების დიფერენციაციების რაოდენობას, რომ ადამიანის ემბრიონს აქვს ადამიანის პიროვნებისთვის დამახასიათებელი ყველა ღირსება“, მისივე აზრით, „მიზეზი იმისა, რომ გენეტიკისა და ემბრიოლოგიის უკანასკნელი პერიოდის მიღწევები და მეცნიერული დასკვნები ვერ არწმუნებენ ჩვენ თანამედროვეებს იმაში, რომ ადამიანი არის ადამიანი მისი ჩასახვის პირველი წუთებიდან.“

ამ არსებობს სხვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თითქოს ნაყოფი წარმოადგენს დედის სხეულის ნაწილს, თუმცა მინდა ავღნიშნო რომ იგი მცდარია და არ შეესაბამება სინამდვილეს, აღნიშნულთან დაკავშირებით, ბიოლოგიის მეცნ. დოქტ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფ. დ. პოპოვი აღნიშნავს: „მოსაზრება დედისა და ნაყოფის ერთიანობის შესახებ მცდარია მრავალი მიზეზის გამო“ და იგი გამოყოფს ამ მიზეზთაგან მთავარს: „უპირველეს ყოვლისა, ემბრიონი გენეტიკურად განსხვავდება დედისაგან, მეორე: პლაცენტა არ ეზრდება საშვილოსნოს კედელს, არსებობს გარკვეული პლანცენტრალური ბარიერი, რომელიც იცავს ნაყოფს დედის მუცელში არსებული მრავალი დაავადებისგან, ამის წინაპირობას ქმნის სწორედ ის პლაცენტარული ბარიერი, რომელიც დედის სისხლს არ აძლევს ემბრიონთან შეღწევის საშუალებას, დედის ორგანიზმი მხოლოდ გარკვეულად ეხმარება ემბრიონს განვითარებაში, გამოყოფს ნახშირმჟავას, აწვდის ჰაერს და სხვა აუცილებელ კომპონენტებს, რომლებისგანაც ხდება ცილების წარმოქმნა, ხოლო ამ გზით წარმოქმნილი ცილები გადანაწილდება უჯრედებში, ემბრიონი ახდენს სრულ დამოუკიდებელ განვითარებას, განუმეორებელი გენეტიკური პროგრამის შესაბამისად.

პროფ. დ. პოპოვი პირდაპირ აცხადებს, რომ: „ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა სხვა არაფერია თუ არა მკვლელობა“ მისი თქმით: „აბორტი მკვლელობაა, თუმცა ამ სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციის არ მქონეთ შესაძლოა მიაჩნდეთ, რომ ეს პატარა არსება ჯერ კიდევ არ ცოცხლობს, არ ფიქრობს, ჯერ კიდევ მას არ გააჩნია ის თვისებები, რაც გამოუვლინდება მთელი შემდგომი განვითარების მანძილზე, მაგრამ რა შეიძლება შეიცვალოს შემდეგ? მხოლოდ ძალიან ცოტა რამ, მისი სიმაღლე, წონა, კანის ფერი, თმის ფერი და სხვა უმნიშვნელო დეტალები, ხოლო ყველაზე მთავარი, მისი გენეტიკური არსი უცვლელი რჩება.

ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტი ცალსახად მოწმობს, რომ აბორტი არის ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, რადგან ადამიანის სიცოცხლე იწყება მისი ჩასახვის მომენტიდან და მთავრდება მისი გარდაცვალებით, შესაბამისად მთელი ეს პერიოდი ადამიანის არსებობისა სამართლებრივად დაცული უნდა იყოს.

**აბორტის კრიმინალიზაციის სამართლებრივი საფუძვლები**

დღევანდელი მსოფლიო ცდილობს სამართლებრივი კანონმდებლობის ჰუმანიზაციას, თითქმის ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობა მიმართულია მიზნისკენ, მიზნისკენ, რომელიც არის ადამიანი და მისი სიცოცხლე, საერთაშორისო კანონმდებლობა ცდილობს, რაც შეიძლება მეტად დაცული იყოს ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების უფლება.

მთელი რიგი საერთაშორისო ნორმები პირდაპირ იცავენ ადამიანის სიცოცხლის უფლებას, ზემოთ მოყვანილი სამედიცინო დებულებებიდან გამომდინარე, ადამიანი წარმოადგენს სრულფასოვან პიროვნებას მისი ჩასახვის მომენტიდან და შესაბამისად იგი არის სამართლებრივი დაცვის სუბიექტი. ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულის მე-9 აბზაცის მიხედვით: „ბავშვი მისი ფიზიკური და გონებრივი

სიმწიფის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის სამართლებრივ დაცვას, როგორც დაბადებამდე ისე დაბადების შემდეგ“.

ამ კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით: „წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.“ ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთი კომენტატორი შერონ დიტრიქი ამ მუხლის კომენტირებისას აღნიშნავს: „ბავშვი ნიშნავს ადამიანს, ჩასახვის მომენტიდან 18 წლის, აქედან გამომდინარე ყველა იმ სამართლებრივი ნორმის მოქმედება, რომელიც იცავს ადამიანის სიცოცხლეს უნდა გავრცელდეს ბავშვზე მისი ჩასახვის მომენტიდან.

ჩასახვის მომენტიდან ბავშვის სიცოცხლის უფლების დაცვაზე უნდა გავრცელდეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლი: „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მე-6 მუხლი: „სიცოცხლის უფლება ადამიანის განუყოფელი უფლებაა, ამ უფლებას იცავს კანონი, არავის არ შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე“. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მეორე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება: „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული, არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი“.

დღევანდელი ჰუმანიზაციის პირობებში, ვფიქრობთ, მეტად არაჰუმანური და მიუღებელია აბორტის ლეგალიზაცია მის ნებისმიერ ეტაპზე.

საქართველოს კონსტიტუციის 15 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და იცავს კანონი“ კონსტიტუციური უფლება სიცოცხლის დაცვის შესახებ მიეკუთვნება უზენაეს სამართლებრივ ღირებულებას, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, განურჩევლად ადამიანის მდგომარეობისა.

გვინდა ხაზი გავუსვა კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლს, რომელიც იცავს ადამიანის სიცოცხლეს, აქ საუბარია სიცოცხლეზე, რომელსაც ფლობს ადამიანი, განურჩევლად მისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობისა, აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის 15 მუხლის მოქმედება უნდა გავრცელდეს ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვზე, რომელიც ფლობს ყველა იმ სპეციფიკურ ნიშანს, რომელიც აქვს უკვე დაბადებულ ადამიანს.

სიცოცხლის უფლების სუბიექტია ყველა ადამიანი, ამასთან ქალის ორგანიზმში კვერცხუჯრედის განაყოფიერებისთანავე წარმოშობილი ნაყოფი, რომელსაც აქვს არამარტო ღირსება, არამედ სიცოცხლის უფლება, რადგან სწორედ ამ მომენტიდანვე იწყება თანამიმდევრული ბიოლოგიური პროცესი, რომლის განმავლობაში უკვე, საკუთარი კონკრეტული ინდივიდუალობის მქონე სიცოცხლე თანდათანობით იძენს ადამიანის სახეს.

სამედიცინო მეცნიერების გამოძახილი, რომ ნაყოფი 12 კვირამდეც ფლობს ყველა იმ ნიშანს, რაც დამახასიათებელია უკვე ჩამოყალიბებული ადამიანისთვის, ამის გვერდით სრულიად გაუგებარია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 140 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება „12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში, აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით“. ამ მუხლში მოცემული ცნებები „სამედიცინო“ და „სოციალური“ ჩვენებები გულისხმობს ისეთ ფაქტორებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში კანონმდებლობით დაშვებულია ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა.

სამედიცინო ჩვენების დროს, როდესაც მოსალოდნელია დედის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს შეექმნას საფრთხე, შეიძლება გამართლება მივცეთ გარკვეულწილად. მაგ: თუ არსებობს საფრთხე, რომ აბორტის არგაკეთების შემთხვევაში შეიძლება დედის სიცოცხლეს ან ჯანმთელობას საფრთხე შეექმნას, რომელიც შემდეგში გამოუსწორებელ კვალს დატოვებს მის ფიზიკურ და ფსიქიკურ მონაცემებზე. მაგრამ ჩვენ დროში მრავალია ისეთი გმირი დედა, რომელიც, მიუხედავად ასეთი საფრთხეებისა, უარს ამბობს აბორტზე და საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის ფასად შვილს სიცოცხლეს აძლევს.

რაც შეეხება მეორე ფაქტორს, სოციალური ჩვენებას, სოციალური პირობების არქონა, ვერ გაამართლებს ადამიანის მკვლელობას, ორსულობის ხელოვნურად ნაადრევი შეწყვეტა, სოციალური ჩვენების მიზეზით სრულიად წარმოუდგენელია, ეს იგივეა, მოვკლათ ყველა ჩვენთვის არასასურველი ადამიანი რათა დაიზოგოს საარსებო საშუალებები.

არსებობს სხვა მრავალი სოციალური მაჩვენებელი, რომლებსაც არანაირი გამართლება არ შეიძლება მივცეთ, მათი ჩამოთვლა და განხილვა შორს წაგვიყვანდა, დავუბრუნდები ისევ აბორტის სამართლებრივ შეფასებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლი ეხება ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობას, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „ფიზიკური

პირის უფლებაუნარიანობა - უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან“. ამავვე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია: „ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით“, გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციის შეწყვეტა.

სსკ-ს მე-11 მუხლის პირველ ნაწილში მოცემული დებულება, რომ უფლებაუნარიანობა ეს არის უნარი პირს ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები, უპირველესად გულისხმობს სიცოცხლის, პირადი ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლებების ქონას, რომელიც აუცილებელია სხვა უფლებების, ასევე სულიერი, იდეური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების რეალიზებისათვის, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილში მოცემულია დებულება, რომ პირის უფლებაუნარიანობა წდება მისი გარდაცვალებისას.

აღნიშნული მუხლი, ვფიქრობთ მეტად არასრულფასოვანია, მე-11 მუხლის გამოძახილი, რომ უფლებაუნარიანობა წყდება პირის გარდაცვალებით და პირი გარდაცვლილად ცხადდება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტისთანავე, აღნიშნული ეფუძნება სამედიცინო მეცნიერების მიღწევას, როდესაც მან დაამტკიცა, რომ პირი გარდაცვალებულია არა გულის მუშაობის შეჩერებისას, არამედ თავის ტვინის ფუნქციის შეწყვეტისას, ლოგიკურია თუ უფლებაუნარიანობა წყდება პირის გარდაცვალებით, და გარდაცვალების განსაზღვრება ხდება სამედიცინო მეცნიერების საფუძველზე, შესაბამისად პირის უფლებაუნარიანობა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც სამედიცინო გამოკვლევები დაადასტურებს დედის სხეულში მყოფი ნაყოფის თავის ტვინის ფუნქციის ამოქმედებას და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და რომელსაც სამედიცინო სამეცნიერო მიღწევები ცხადყოფს, ნაყოფის თავის ტვინის ფუნქციონირება უკვე იწყება ორსულობის პირველი კვირეებიდან, რაც მოწმობს ნაყოფი სრულიად სიცოცხლის უნარიანობას და მისი სიცოცხლე უნდა იყოს სისხლის სამართლის კანონით დაცული სიკეთე ჩასახვის მომენტიდან.

აბორტის ლეგალიზების მომხრეები იშველიებენ იმ აზრს, რომ ნაყოფს არ შეუძლია ფლობდეს და ახორციელებდეს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს, აქედან გამომდინარე, იგი არ არის სამართლის სუბიექტი, თუ ამ ლოგიკას მივყვებით, მაშინ სრულებით არ უნდა იყოს სისხლის სამართლებრივი დანაშაული ბავშვების, ასევე ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების მკვლელობა, რომლებსაც არ აქვთ უნარი ფლობდნენ აქტიურად სამოქალაქო სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს.

ასევე სრულიად გაუგებარია სამოქალაქო კოდექსის 1307 მუხლის ბ ქვეპუნქტი, რომელიც აცხადებს, რომ პირის მემკვიდრედ შეიძლება გამოცხადდეს პირის სიცოცხლეში ჩასახული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი, ეს ნიშნავს, რომ მართალია, არასრულად, მაგრამ მაინც აქვს უფლება მემკვიდრედ ყოფნის, იგი ამით გვევლინება სამართლის სუბიექტად, აქედან გამომდინარე, ვსვამთ ლოგიკურ კითხვას: რამდენად დაშვებულია სამართლის სუბიექტის მკვლელობა? თუ არ არის დაშვებული, მაშინ რატომ არ ისჯება მისი მკვლელობა? ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო სამართალში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა ხნის უნდა იყოს ჩასახული ბავშვი, ეს უფლება რომ მოიპოვოს, ამიტომ ნაყოფი უფლებას შეიძენს იმ მომენტიდან, როდესაც სამედიცინო გამოკვლევებით დადასტურდება ქალის ორსულობა, ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, ორსულობის ადრეულ ეტაპზევე ხდება.

სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, მუცლად მყოფი ნაყოფის სიცოცხლე არ არის დაცული სისხლის სამართლის კანონით, სისხლის სამართლის სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ამ დროს ნაყოფი დედის სხეულის ნაწილია, აქედან გამომდინარე, რომ იგი არ არის ცალკე სუბიექტი, მასზე არ ვრცელდება სისხლის სამართლის კანონი, თუ სამედიცინო დასკვნას დავეყრდნობით, რაზეც ზემოთ მქონდა ლაპარაკი, არსებული მოსაზრება სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ნაყოფი სრულიად წარმოადგენს დამოუკიდებელ პიროვნებას, ადამიანისთვის დამახასიათებელი, მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნებით.

ასევე მიუთითებენ, რომ ქალს უფლება აქვს განსაზღვროს შვილების რაოდენობა, სურს თუ არა მომდევვნო შვილი, ამას ვერ შევეწინააღმდეგებით, მაგრამ ბავშვსაც ხომ აქვს სიცოცხლის უფლება?! დედის უფლება, ჰქონდეს შვილების რაოდენობის განსაზღვრის უფლება, ვფიქრობთ, უნდა გაჩნდეს მხოლოდ ნაყოფის ჩასახვამდე და არა ჩასახვის შემდეგ, რადგან დაუშვებელია ერთი პირის უფლების განხორციელება, მეორე პირის უფლების ხელყოფის ხარჯზე, ასეთ სიტუაციაში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ უფრო დიდი სამართლებრივ სიკეთეს - სიცოცხლეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი ეხება უკანონო აბორტს, ამ მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით დასჯადია ისეთი აბორტი, რამაც გამოიწვია ჯანმთელობის დაზიანება, ხოლო ამ

მუხლის მესამე ნაწილით, დასჯადია ისეთი აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, როგორც ვხედავთ, აქ აქცენტი გადატანილია ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და უგულებელყოფილია ნაყოფის სიცოცხლე.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლით მკვლელობა გამოცხადებულია დანაშაულად, ნორმის დისპოზიციაში არ არის განმარტებული თუ რა არის მკვლელობა, როდის იწყება ან მთავრდება ადამიანის სიცოცხლე, თუმცა როგორც სისხლის სამართლის კომენტატორები აღნიშნავენ, ადამიანის სიცოცხლე იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ბავშვი გამოყოფას იწყებს დედის სხეულისიგან (ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე - დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ), მიუხედავად მათი ავტორიტეტისა, გაუგებარია, თუ რის საფუძველზე დაასკვნეს, რომ ადამიანის სიცოცხლე იწყება დაბადების მონენტიდან?!

გვინდა ავღნიშნოთ, რომ აბორტი ობიექტური შემადგენლობის მხრივ დამთავრებული დანაშაულია, პროცესის დაწყებისთანავე, რადგან მას გარდაუვლად მოსდევს ნაყოფის სიცოცხლის მოსპობა.

აბორტი ხორციელდება, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, აქ გვაქვს თანამონაწილეობის ყველა სახე: ორგანიზატორი, ამსრულებელი, წამქეზებელი და დამხმარე. ვფიქრობთ, თითოეული მათგანი უნდა მოექცეს სისხლის სამართლებრივი დევნის ქვეშ, თითეული მათგანის ქმედებაში განხორციელებულია მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა, ხოლო სუბიექტურ მხარეს რაც შეეხება, აბორტი მიეკუთვნება პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ და როგორც ამას ადასტურებს მედიცინის მეცნიერების მიღწევები, აბორტი წარმოადგენს სიცოცხლის მოსპობას. სწორედ განაყოფიერების შედეგად წარმოშობილი ემბრიონი წარმოშობისთანავე უნდა დაიწყოს სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას პიროვნების სიცოცხლე, ამის საფუძველია ის, რომ წარმოშობილ ნაყოფს აქვს სიცოცხლის უფლება, იგი უკვე ყველასაგან განსხვავებული და თავისებურია, რაც კიდევ ერთხელ გვაძლევს საფუძველს ვაღიაროთ, რომ იგი ჩასახვის მომენტიდან სიცოცხლის უფლების მატარებელია.

**თეოლოგიური შეფასება**

როდესაც ვსვაუბრობთ ისეთ გლობალურ პრობლემაზე როგორიც აბორტია, ვფიქრობთ, ამ პრობლემის გადაჭრის მცდელობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომელიც აბორტს კაცის კვლად მიიჩნევს, ქრისტიანული შეხედულებით ჯერ კიდევ არშობილი ბავშვი დასრულებული პიროვნებაა, ხოლო აბორტი უკვე დაბადებული შვილის მკვლელობის ტოლფასია, ბიბლიაში ჩვენ სიტყვა აბორტს ან მის სინომიმს ვერ ვხვდებით, მაგრამ შეგვიძლია ნათელი დასკვნები გამოვიტანოთ.

აბორტი ძველ სამყაროში ცნობილი იყო. მას ახსენებს არისტოტელე, ჰიპოკრატე, ოვიდიუსი. შეუძლებელია ძველ ისრაელელებს არ სცოდნოდათ მის შესახებ და, როგორც ჩანს, მუცლის ხელოვნური მოშლა გავრცელებული იყო არა მარტო ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამის მიუხედავად, მუცლის ხელოვნური მოშლა არსადაა ნახსენები, არც მოსეს სჯულში, არც წინასწარმეტყველებებში. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ძველ იუდეველს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა მოესპო საკუთარი შთამომავლობა, მიუხედავად იმისა, რომ იუდეველები ხშირად ივიწყებდნენ ჭეშმარიტ ღმერთს და მსახურებდნენ კერპებს.

ბიბლიაში სრულიად ცხადად და არაორაზროვნად განცხადებულია, რომ ადამიანის სიცოცხლე იწყება არა დაბადების წამიდან, არამედ მისი ჩასახვიდან ამის საილუსტრაციოდ საინტერესო იქნება მოვიყვანოთ შესაბამისი ადგილები წმიდა წერილიდან:

„უფალმა მუცლიდან მომიწოდა, დედის წიაღიდან ახსენა ჩემი სახელი... ახლა ამბობს უფალი, მუცლიდან ჩემი გამომსახველი თავის მორჩილად" (ეს. 49.1.5)

„ვიდრე მუცელში გამოგსახავდი, გამოგარჩიე, ვიდრე საშოდან გამოხვიდოდი წმიდა გყავი ხალხების ქადაგად დაგადგინე" (იერ. 1. 5)

„რატომ არ მოვკვდი დედის მუცელშივე? რატომ არ გავთავდი გამოსვლისთანავე? რატომ არ ვარ მკვდარნაშობივით გადამალული, ჩვილივით, რომელსაც სინათლე არ უნახავს" (იობ.3.11.)

დავით წინასწარმეტყველი უფალს მიმართავს: „შემიწყნარე მე დედის მუცლით ჩემითგან" (ფს. 138, 13)

„რამეთუ შენ დაჰბადენ თირკუმელნი ჩემნი და შემიწყნარე მე დედის მუცლით ჩემითგან. აღგიარო შენ, რამეთუ საშინელად საკვირველ იქმენ; საკვირველ არიან საქმენი შენნი, და სულმანცა ჩემმან უწყის ფრიად" (ფსალმ. 138, 13-14).

იობი, რომელიც საკუთარი ცხოვრების შესახებ ლაპარაკობს, თხრობას იმ ღამიდან იწყებს, როდესაც „ითქვა, კაცი ჩაისახაო" (იობ. 3, 3).

„როგორც კი გაიგონა ელისაბედმა, ყრმა შეიძრა მის მუცელში და აღივსო სულით წმიდით ელისაბედი"(ლუკ 1.41). აქ ლუკა მახარებელი "ყრმას" უწოდებს მუცლადმყოფ იოანეს, იმავე სიტყვებით იხსენიებს იგი უკვე შობილ იესოს „და აი, თქვენი

ნიშანი: იპოვით ყრმას შეხვეულს და მწოლი-არეს ბაგაში (ლუკ. 2.12.) სიტყვათა ანალოგიური თანხვედრაა ბერძნულ და ინგლისურ ვერსიებშიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პირობითია ზღვარი შობილ და ჯერ კიდევ არ დაბადებულ არსებას შორის.

შემონახულია ადრე ქრისტიანული აპოკრიფი „ბარნაბას ეპისტოლე", სადაც ღიად არის დაგმობილი აბორტი "არ მოჰკლა ბავშვი მუცლის მოშლით არ ჩაიდინო შვილის მკვლელობა". იმავე შინაარსის მატარებელია პირველი საუკუნის მოკლე კატეხიზმო „დიდაქე".

აბორტს მკაცრად გმობს მეორე საუკუნეში (დაახლოებით 125-150 წლებში) შექმნილი აპოკრიფი „პეტრეს აპოკალიფსი", „მახლობლად სწორი ადგილი დავინახე, სადაც დასჯილთა სისხლი და ხორცის ნაფლეთები ტბად დაგროვილიყო, ტბაში კისრამდე დაფლულნი სისხლში, ისხდნენ ქალები და ისხდნენ ბავშვები, ვადამდე დაბადებულნი მრავალნი და მოტირალნი და მათგან ცვიოდა ცეცხლის ნაპერწკლები და შთანთქავდა ქალებს, რომლებიც ჩასახული ნაყოფის მოცილებისთვის იყვნენ შერისხულნი."

II-III საუკუნეების საეკლესიო მოღვაწე ტერტულიანე ერთმანეთისაგან არ განასხვავებს დაბადებულის სიცოცხლის მოსპობასა და დაბადებისათვის ხელის შეშლას შორის, როგორც მას მიაჩნია დაბადების აკრძალვა სწრაფი მკვლელობაა, კლიმენტი ალექსანდრიელი აბორტს „შემოქმედის მიერ ჩაფიქრებული გეგმის ხელყოფას უწოდებს" ანტიოქიაში ქადაგებისას წმიდა იოანე ოქროპირი გმობდა აბორტის მზრახველი ქალის ქმედებას და მას მკვლელად მიიჩნევს.

ქრისტეს ეკლესიის დაარსებიდან პირველ რვა საუკუნეში ჩამოყალიბდა წმიდა ეკლესიის საკანონმდებლო წიგნი „დიდი სჯულის კანონი", რომელიც შედგება მსოფლიო წმიდა კრებების მიერ მიღებული კანონებისაგან, ამ კრებებში და შესაბამისად კანონებში შესულია აბორტის თემაც, ეს მიუთითებს, რომ აღნიშნული საკითხი იმ პერიოდისთვისაც მეტად მტკივნეული და აქტუალური იყო.

ანკვირიის კრების XXI კანონის თანახმად: „მეძავი დედები, რომლებიც საწამლავს ამზადებენ და თავის ნაყოფს სპობენ, ადრინდელი კანონის მიხედვით სიკვდილამდე არ დაიშვებოდნენ (წმიდა საიდუმლოთა) ზიარებაზე. ხოლო ჩვენ ვცდილობთ, უფრო მეტი კაცთმოყვარება გამოვიჩინოთ და განვსაზღვრავთ, რომ მათ 10 წელი უნდა შეასრულონ (ეპიტიმიის) დაწესებულ ხარისხთა მიხედვით".

VI მსოფლიო კრების 91-ე კანონი: „ქალებს, რომლებიც ჩვილებს სასიკვდილო წამალს მისცემენ და რომლებიც თვითონ მიიღებენ მათ მოსაშორებელ საწამლავს, კაცისმკვლელთა კანონით განვკანონებთ".

წმიდა ბასილი დიდის II კანონი: „წინასწარი განზრახვით მუცელში ჩვილის მომკვლელს კაცისკვლის სასჯელი ედება. ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ ჩასახულია და ბოლომდე არის თუ არა ჩამოყალიბებული მოწყვეტილი ჩვილი. აქ გამოიძიება და დასასჯელი იქნება არა მხოლოდ დამნაშავე დასაბადებლის მოსპობისათვის, არამედ მისი მშობელიც, რომელმაც თავის თავზე აღმართა ხელი, რადგან ამ მიზეზით მრავალი ქალი კვდება. ამას უერთდება გახრწნა ნაყოფისა, როგორც სხვა სახე კაცის კვლისა. ვინც ამას წინასწარი განზრახვით ჩადენას გაბედავს, მკვლელია, მაგრამ მისი სინანული არ უნდა გაგრძელდეს სიკვდილამდე, არამედ მისი შეწყნარება შეიძლება 10 წლის შემდეგ. მათი სრულად განკურნება ბრალისაგან შეუძლია არა დროს, არამედ სინანულის სახეს".

წმიდა ბასილი დიდის VIII კანონი: „...ისინი, ვინც ფეხმძიმეებს მუცლის მოსაწყვეტ წამალს მისცემენ, კაცის მკვლელნი არიან და მათთან ერთად იგივე ბრალი ედება მიმღებსა და მომხმარებელს მათგან მომზადებული საწამლავისა..."

როგორც ზემოთ მოცემული მუხლებიდან ჩანს, ეკლესია ჩვეულებრივ მკვლელობად მიიჩნევს აბორტს, ხოლო მისი გამკეთებელი გაჰყავს მკვლელის რანგში, ვფიქრობთ, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა ასახავდეს თავისი ხალხის წარმოდგენებს და შეხედულებებს, რომელიც ჩამოყალიბდა რელიგიის გავლენით ზნეობრივ - ეთიკურ სფეროებში, სამართლის დანიშნულებაც ისაა, რომ დაიცვას ზნეობის მინიმუმი მაინც, თუ ამოვალთ იმ რეალური მოსაზრებიდან, რომ საერო პოზიტიურმა სამართლმა ზოგადად ქრისტიანული სარწმუნოებიდან აიღო და თავის მიმართულებით განავითარა ადამიანის როგორც სამყაროში უმაღლესი ღირებულების ცნება, მაშინ უდავოა, რომ მან უნდა დაიცვას ადამიანი ჩასახვის მომენტიდან.

დასკვნის სახით, ვფიქრობთ, აუცილებელია ისეთი სახელმწიფოსთვის, რომელიც დემოგრაფიული კატასტროფის წინ დგას, სახელმწიფომ და მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს აღნიშნულ პრობლემას.

აბორტის პრობლემის მოგვარებისთვის აუცილებელია, პირველ რიგში მოგვარდეს ეკონომიკური პრობლემები, ამასთანავე აუცილებელია სახელმწიფომ გაატაროს პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების, კულტურულ, ზნეობრივ და ჰუმა-

ნურ დამოკიდებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია აბორტის მსურველმა თუ მომხრემ გაიაზროს, რომ ამით ხელს უშლის სახელმწიფოს მომავალ განვითარებას, ამით ნადგურდება ის მომავალი საზოგადოება, რომელთა ინტელექტუალურ თუ სხვა რესურსებზე უნდა დადგეს სახელმწიფოს ძლიერება, აუცილებელია საზოგადოებაში დაიწყოს მასობრივი პროპაგანდა აბორტის წინააღმდეგ და ამ საქმეში სახელმწიფოსთან ერთად ეკლესიის როლიც განუსაზღვრელია, რომელიც აბორტს კაცის კვლად მიიჩნევს. თითოეულ აბორტის მსურველ ქალს უნდა განემარტოს თუ რა ფსიქიკური და ფიზიკური საფრთხის წინ დგას აბორტის შემთხვევაში.

ბოლოს გვინდა ჩვენი სტატია დავასრულოთ, აბორტის დიდი მოწინააღმდეგის, ამერიკის პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის სიტყვებით: „აბორტს უკვე დაბადებული ადამიანები აკეთებენ.“

## ლიტერატურა:


1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის რედაქცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1997 25 ივნისი, 2012 18 ივნისის მდგომარეობით;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2000 1 ივნისი, 2012 წლის 18 ივნისის მდგომარეობით;
4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
6. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი 6;
7. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი 13;
8. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატური ოქმი სიკვდილით დასჯის შესახებ;
9. გ. ვეკუა - აბორტი კანონზომიერი ქმედება თუ დანაშაული კაცობრიობის წინაშე;
10. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
11. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები - ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2005;
12. დიდი სჯულის კანონი თბ., 2004;
13. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 1989.

# ისლამური რელიგიური ფანატიზმი

*ემილია ალავერდოვი, სტუ-ს დოქტორანტი*

ბოლო წლებში სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ისლამის როლის გაფართოება და, აგრეთვე, მისი აქტიური შეჭრა საერთაშორისო ურთიერთობებში ფართო მსჯელობის საგნად იქცა. ბევრი ავტორი გაგებას ,,ისლამის აფეთქება'', ,,ისლამის ფენომენი'' ხშირად საპირისპირო და ,,ისლამური ფანატიზმის'' გაგებასთან, როგორც რევოლუციურ ძალასთან აიგივებს. მათ ავიწყდებათ ის ფაქტი, რომ მოვლენებს, რომლებიც ხდება ისლამურ სამყაროში საფუძველში რელიგიური კი არა, არამედ ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები უდევთ. ავტორები ცდილობენ ამ მოვლენებში მხოლოდ მაჰმადიანური რელიგიის თვისებები დაინახონ, კერძოდ კი ,,ისლამური ფანატიზმი''.

ამ თვალსაზრისით უფრო დამახასიათებელია ჰასან იბრაგიმის გამოთქმა ჟურნალ „აფრიკაზი-ში“. ის მსგავს მოვლენებს ასახელებს როგორც უწიგნურობაზე და ფანატიზმზე დაფუძნულ ინტეგრირებულ ქმედებებს. ივკური კი ირანისა და სხვა მაჰმადიანური ქვეყნების რთული ურთიერთობების ანალიზის დროს ძალიან მარტივ ფორმულირებას (მაჰმადიანთა ომი გაჩაღდა) ანიჭებს უპირატესობას.

სიტყვები ,,ფანატი'' და ,,ფანატიზმი'' გვხვდება ირანის რევოლუციის ისეთ სხვადასხვა ასპექტში, როგორიც არის ამერიკელების მძევლად აყვანას. ისლამური რევოლუციური ტრიბუნალების საქმიანობას და აგრეთვე კონტრრევოლუციური ჯგუფების დანაშაულების ფაქტები ავღანეთში. ძალიან ხშირად მსგავს გამოთქმებსა და დეფენიციას იყენებენ, როდესაც ყურადღებას ამახვილებენ სხვადასხვა ტერორისტულ ჯგუფზე. ზემოთ აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, სიტყვა ,,ფანატიზმს'' აქვს მრავალი და ზოგჯერ სრულიად საპირისპირო სოციალურ-პოლიტიკური დანიშნულება.

ზოგიერთ დასავლურ იდეოლოგების მცდელობა, რომ წარმოადგინოს მუსლიმური ქვეყნების ანტიკოლონიარული და ანტიიმპერიალური ბრძოლა, როგორც ისლამური ფანატების ქმედებები, რომლებსაც სათავეში უდგათ მოლები. რა თქმა უნდა, ამ იდეოლოგების მიზანია მსოფლიო საზოგადოების აზრის დიზორიენტაცია.

რა თქმა უნდა, რელიგიური ფანატიზმიც არსებობს. ეს არის გარკეული და ღრმად მორწმუნე ადამიანების ფსიქოლოგიური თვისებები, რომლებიც გადადის ეგზალტაციასა და კონფორმიზმში. ეს ფორმირება გახლავთ სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენების მთელი რიგი ურთიერთგავლენის შედეგი, როგორიც არის რელიგიური წარმოდგენა და რელიგიური გრძნობა, რომელიც ეყრდნობა გარკვეული რელიგიური კულტურის ფსიქოლოგიურ ასპექტებს. რელიგიური გრძნობის წყარო შესაძლოა იყოს მრავალფეროვანი გამომჟღავნება მისი ინტენსიურობიდან გამომდინარე. ამგვარად, ინტენსიურობის უმაღლესი საფეხური გახლავთ ფანატიზმი. იგი მიღწეულია რელიგიური კულტის ფსიქოლოგიური ზეგავლენის შედეგად და მიზანმიმართულია ამ გრძნობების გაძლიერებასა და განახლებაზე.

რელიგიური იდეოლოგიის არაგათვითცნობიერებული ათვისება და რელიგიური ურთიერთობა მორწმუნეების რიტუალში მონაწილეობის მიღება ადამიანებს ავიწყებს სხვა გრძნობებს. ეს არა რის შემთხვევითი, რომ კულტის ქმედებების ძირითადი თვისებები არის რეგულარულობა რომელსაც აქვს მასობრივი ხასიათი, რადგან რელიგიური გრძნობის გაძლიერება ხდება მხოლოდ მასობრივი ქმედებების დროს.

ისლამში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა რელიგიურ კულტის მრავალრიცხოვან შესრულებას. ისლამი რეგლამენტირებას აკეთებს რიტუალების შესრულებაზე არა მხოლოდ სალოცავში, არამედ მორწმუნეს მთელ ცხოვრებაში, ანუ მორწმუნე ვალდებულია ჩაატაროს სათანადო რიტუალი მთელ თავის ცხოვრების მანძილზე. ნებისმიერ ქმედებებს მუსლიმი იწყებს სიტყვებით ,,ბისმილა'' (ღმერთის სახელით) და როდესაც იგი აღწევს სასურველ შედეგს, წამოიძახებს სიტყვებს ,,ალ-ხამდულალლა''. აგრეთვე ისლამი არ არის ჩვეულებრივი საპარასკევო წირვა მეჩეთში და არც რელიგიური რიტუალების შესრულებაა, იგი გახლავთ შარიათის კანონების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს მუსლიმის ყოველდღიურ ქმედებას და ცხოვრების სტილს.

ამ მეთოდით მისი ზეგავლენა მორწმუნის თვითცნობიერებაში არაპერიოდულია, როგორც, მაგალითად, ეს გვაქვს მართლმადიდებულ რელიგიაში, ისლამში ის ხდება მუდმივად.

საბოლოოდ ისლამური ფანატიზმი შეიძლება განისაზღვროს რელიგიური ფანატიზმის ერთ-ერთ მრავალ სახეობად, რომელიც გაიგივებულია ამ რელიგიის ძირითად დოგმებთან.

ამ განსაზღვრებში გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ფანატიზმამდე მისული ადამიანი მოუთმენელია ადამიანის აზრის მიმართ, რაც ხელს უშლის არამორწუნე ან და სხვა მორწმუნე ადამიანებთან ურთიერთობას. ფანატიზმის საფუძველში დევს თვითიზოლაცია, რაც ხელს უწყობს რწმენის უფრო გაძლიერებას.

ფანატიზმი მხოლოდ ისლამშიც კი არ ახასიათებს, იგი არსებობს სხვა რელიგიებშიც. ამის მაგალითია XIII-XV სს-ის ევროპა ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ისლამურ ფანატიზმს განაპირობებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

მუსულმანური ქვეყნების ფანატიზმამდე დასვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია უწიგნურობა, ქვეყნებში განათლების დაბალი მაჩვენებელი და მოსახლეობის დაბალი სოციალური აქტიურობა, კერძოდ კი გლეხებისაგან შემდგარი მცირე ბურჟუაზიული კლასი.

ისლამური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვისებებზე წერს და მსჯელობს არაერთი მეცნიერი ვფიქრობთ, არ არის საჭირო მათ ანალიზსა და პოსტულატებზე შეჩერება, ყურადღების გამახვილება. ჯობია, დაწვრილებით იყოს შესწავლილი თუ როგორ და რა ფორმით გამოყენება ფანატიზმი პოლიტიკაში.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური მოღვაწეები და რელიგიური ლიდერები რომლებიც სარგებლობენ ფანატიზმით, სულაც არ არიან ,,გაუნათლებელი მუსულმანური ფანატები''. ესენი არიან ძალიან განათლებული ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან მასების ფსიქოლოგია არ სჯერათ ალაჰის, როგორც ისინი ამტკიცებენ, პირიქით - მათ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობებისა, რასაც წარმატებით იყენებენ რელიგიური ეგზალტაციისას, რომლებიც გამიზნულია საკუთარი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

ვინაიდან რელიგია, ასე თუ ისე, მყარი და წარმოდგენების სისტემაა, ფანატიკოსების გრძნობების გაძლიერებით შესაძლებელია აქტიური ღონისძიებების მეშვეობით დაიცვან საკუთარი რელიგია. აქ ფანატიკოსი თავგანწირულად მოქმედებს, რაც ზრდის მის ავტორიტეტს თანამორწუნეების თვალში, თუმცა, ასეთი ქმედებები არ არის აუცილილებელი, თუ მათ რელიგიურ ღირებულებებსა და დოგმებს. მათი აზრით, საფრთხე არ ემუქრება. ზუსტად ამით სარგებლობს პოლიტიკური ძალა და მოღვაწეები, რომლის მიზანს წარმოადგენს პირველ ეტაპზე გამოიწვიოს მასების რელიგიური ფანატიზმი და შემდგომ მიმართოს ის თავისი მტრების წინააღმდეგ, რასაც ის მორწმუნეებს რელიგიის მტრად წარმოუდგენს.

ზემოთ აღნიშნული პირველი ეტაპი რიგით მუსლიმებში ფანატიზმის გამოწვევაა და წარმატებით ხორციელდება. ეს ადვილად ხერხდება და შეიძლება შევაფასოთ გაუნათლებლებსა და უწიგნურებს შორის. ამ დროს შესაძლოა მასური სოციალურ-ეკონომიკური უკმაყოფილების გამოყენებაც, რომელიც სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების მეშვეობით რელიგიურ სფეროში გადააქვთ. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიურ გავლენასა და პროპაგანდას უზარმაზარი ძალა აქვს. ამის პირდაპირი და ნათელი მაგალითია ირანის მოვლენები, კერძოდ, ირანის 1979 წლის რევოლუცია. აქ მასების გაერთიანების რელიგიური ლოზუნგების ქვეშ მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ანტიიმპერიალის-ტურ ძალაში ჩაერთო ბევრი სხვადასხვანაირი სოციალური ძალა და იმავდროულად თითოეულ მათგანს ჰქონდა საკუთარი მოთხოვნები. შიიტური სასულიერო პირები, რევოლუციის პირობების გამოყენებით და ისლამის დოგმების მეშვეობით შაჰის რეჟიმის უკმაყოფილობის პროპაგანდას ეწეოდა. ამ კანპანიაში გაერთიანებული იყვნენ რიგითი მოლები და მთელი შიიტური ხელისუფლება, მათ შორის, აიათოლა ჰომეინი, რომლის გამოსვლები ვრცელდებოდა ვიდეოკასეტების მეშვეობით. რა თქმა უნდა, ასეთი პროპაგანდა კასეტებისა და ზეპირი გამოსვლების ფონზე უფრო ემოციურია და გათვლილია უწიგნურ საზოგადოებაზე, სადაც რელიგიური ფანატიზმი უფრო მყარ ნიადაგს პოულობს.

შაჰის რეჟიმის რეპრესიები წარმოდგენილი იყო აშშ-სთან თანამშრომლობისათვის და მას უწოდებდნენ ,,თანამშრომბლობას ულმერთო დასავლეთთან'' ისლამის წინააღმდეგ. ამ პროპაგანდის შედეგად ირანის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში სოციალურმა პროტესტმა ფანატიზმის სახე მიიღო.

ისლამის შიიტურ მიმართულებას უფრო მეტი საშუალება აქვს ფანატიზმის ჩასახვასა და ამოქმედებაში, ვიდრე სუნიტურ ისლამს. შიიტებთან უფროა განვითარებული წამებულთა პატივისცემა, რაც უკვე კულტადაა ქცეული, ამის ნათელი მაგალითია ,,თააზიე'' ანუ შაჰსეი-ვაჰსეი, სადაც ისინი იხსენებენ იმამ ალის და მისი ვაჟის მკვლელობას და გარკვეულ მსხვერპლსაც იღებენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჭიროების შემთხვევაში შიიტური სასულიერო პირი ძალიან მარტივად შეძლებს ისარგებლოს უკვე არსებული კულტით.

მიზნობრივი და გააზრებული ფანატიზმის ამოქმედება და მისი გაღვივება შეიმჩნეოდა სადათის დროინდელ ეგვიპტეში, როდესაც რელიგიური დაჯგუფებები ხალხის სოციალურ უკმაყოფილობას იყენებდნენ ამ სადათის მმართველობას ადანაშაულებდნენ ისლამის კანონებისა და არსებული ნორმების დარ-

ღვევაში, ანუ მისი საქმიანობა, მათივე აზრით, ეწინააღმდეგებოდა ისლამის ნორმებს. ,,მუსლიმანთა საძმო'' მუსლიმანთა პრინციპების საფუძველზე დაყრდნობით, ფართო პროპაგანდას ეწეოდა, რასაც ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა ინტელეგენციასა და, ძირითადად, სტუდენტებზე და ამის მიზეზი მეტ-ნაკლებად გამოწვეული იყო ნაციონალურ გრძნობებსა და ოპოზიციურ პროპაგანდაზე.

ამ პროცესის ნათელი მაგალითია შეიხ აბდელ ჰამიდ კაშკის, უსინათლო მუსლიმი მოძღვრის პოპულარობა, ვისი წირვების დროს ქაიროში პარასკევობით ათასობით მუსლიმი იკრიბებოდა. ზოგიერთი დასავლელი ჟურნალისტი მას მაჰმადიანთა საძმოს საშტატო პირს უწოდებდა, რადგან თავისი ქადაგების დროს ის იმ არგუმენტებს იშველიებდა, რომლებიც ზემოაღნიშნული ორგანიზაციის არგუმენტებიც იყო. ერთი მხრივ, კაშკი არ ეთანხმებოდა იმ ფაქტს, რომ მდიდრები და ღარიბები არ იყვნენ თანაბარ პირობებში, მეორე მხრივ, ის ლანძღავდა დასავლური ცხოვრების სტილს და ,,საერთაშორისო სიონიზმს''. თუმცა, მისი გამოსვლები, სხვა ორატორების მსგავსად არ მოუწოდებდა რევოლუციისაკენ, მისი აზრით, რევოლუცია ყორანში არა არის ნაგულვები და კაშკის ეს პოზიციაც ემთხვევა ,,მუსლიმანთა საძმოს'' პოზიციას. აღსანიშნავია ეს ფაქტი, რომ ორგანიზაციას, მუსლმინათა საძმოს'' აქვს მრავალი განშტოება და, აგრეთვე, არსებობს რამდენიმე დამოუკიდებელი სექტა და ტერორისტული დაჯგუფება იმავე სახელწოდებით, რომლებიც საქმიანობენ როგორც ეგვიპტეში, ასევე სირიაში, ერაყსა და პაკისტანში.

არაბულ ქვეყნებში ტერორისტთა ჯგუფების გავრცელება, ერთი მხრივ, კავშირშია ერთგვარი ისლამური ფანატიზმის ზრდასთან, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ პროტესტთან და, აგრეთვე, ნაციონალურ, ანტიისრაელურ და ანტიდასავლურ პოზიციებთან. მეორე მხრივ კი, ის ემსახურება მსგავსი ფანატიზმური ძალის ერთ-ერთ მეთოდს.

იგივე სოციალურ-პოლიტიკური მექანიზმი, ოღონდ სრულიად სხვა პოლიტიკური მიზეზებით, ფანატიზმის გაჩაღებით გამოიყენებოდა ავღანეთში. მმართველობის რევოლუციურ-დემოკრატიული მხრიდან ისინი ეყრდნობოდნენ მომდინარე ისლამის ცრუ საფრთხეს, ზოგჯერ კი ამ ხელისუფლების შეცდომებს თავის სასარგებლოდ იყენებდნენ.

ავღანეთის მოვლენები არ არის ერთადერთი მოვლენა მსოფლიოში. მსგავსი რამ მოხდა საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ შუა აზიის რესპუბლიკებში.

ისლამურ ფანატიზმს აგრეთვე ახასიათებს ილუსტრაციული მიმართულება და განწყობა ადამიანის მიმართ. ამის მაგალითია ის, რომ აიათოლას მიერ შაჰის გადაყენებამდე გავრცელდა ჭორი - რამადანის დღესასწაულის დროს ხალხმა ღამე გამოსახულ მთვარეზე აიათოლას სურათი დაინახეს. ათასობით გამოსული ირანელი უყურებდა მთვარეს და სჯეროდა, რომ აიათოლას სურათს ხედავდა. ის კი, ვინც გაბედავდა ეთქვა, რომ ვერ ხედავდა, სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა.

ჰომეინის, როგორც ქარიზმატული ლიდერის აღქმის საფუძველი იმაში მდგომარეობდა, რომ ისლამის შიიტური განშტოებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია 12 გაუჩინარებული იმამის მწამსი, რომელიც მორწმუნეთა აზრით, მომავალში დაბრუნდება. ამ მიზეზით ათასობით ირანელი გამოვიდა ქუჩებში მის მხარდაჭერად. ამ ეტაპზე ფორმირებულ ფანატიზმს შემდგომ ძალიან ადვილად შეუძლიაააჯანყოს ხალხი ,,ისლამის მტრების'' წინააღმდეგ.

თუ ზემოთ აღნიშნულ ფაქტებსა და აიათოლას და სხვა შიიტური მმართველის გამოსვლის ტექსტებს დავეყრდნობით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ირანის რევოლუცია მოხდა რელიგიური ფანატების მიერ.

ამრიგად, ირანის ისლამური რევოლუცია რელიგიური ფანატიზმის მეშვეობით წარიმართა. ისინი გამოდიოდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ლოზუნგით ,,ისლამის სათავეში დაბრუნება'', რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის ბევრ ელემენტსა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევას უარყოფს. ამერიკის იმპერიალისტური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლა გადაიზარდა და ტრანსფორმირებული იქნა ,,დასავლეთის ცხოვრების სტილის'' მიმართ, რაც გულისხმობს ბანკების, კინოთეატრების, რესტორნებისა და რადიო-სატელევიზიო ცენტრების ნგრევას. ხალხში გაღვიძებული ,,ისლამის მტრებთან ბრძოლა'' გრძელდებოდა შაჰის გადადგომის შემდეგაც. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ირანელებს გაუჩნდათ პალესტინაში წასვლისა და იქ ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი.

ფანატიკოსი ადვილად ხდება მანიპულირებადი. გარკვეული მომზადებული ღონისძიებების შემდეგ საკმარისია ნებისმიერ ადამიანზე ითქვას, რომ ის ,,ისლამის მტერია'', ფანატი მას მაშინვე თავის მტრად აღიქვამს. ზუსტად ამ მიზეზით ავღანეთის მთვარობას ებრძოდნენ ფანატიკოსები და ამ ბრძოლას ,,წმინდა ომი" უწოდეს, რომელსაც მხარს უჭერდა რამდენიმე მაჰმადიანური ორგანიზაცია. ავღანეთის მოვლენებში რელიგიური ფანატიზმი იმაშიც გამოიხატება, რომ მოქსენ რეზაი, ირანის მოქალაქე, რომელიც იყო კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, რომელსაც ჰქონდა მიზანი და, ამბიცია დაეცვა ავღანეთი ამერი-

კული იმპერიალიზმისაგან, დაკავებულ იქნა ავღანეთის უშიშროების ორგანოების მიერ მისი დაცვითი მხარე ზუსტად ,,წმინდა ომით“ მანიპულირებდა. რეზაისა და დაჯგუფების სხვა წევრების მიზანი იყო დივერსიული და ტერორისტული აქტების მოწყობა ქვეყანაში.

რელიგიური ფანატიზმის პოლიტიკაში გამოყენების ანალიზის დროს ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია ავხსნათ ,,წმინდა'' ფანატიზმის გამოჩენა, თუმცა, იგი კაცობრიობის ისტორიაში არაერთი რელიგიური ომი მიზეზი გახდა. ამ ომების რეალური მიზეზი კი რელიგიური უთანხმოება კი არა სინამდვილეში, არც რელიგიური ფანატიზმი გახლავთ. ღრმად თუ ჩავიხედებით, აქ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს დავინახავ.

მსგავსი მოვლენის ანუ რელიგიური ფანატიზმის საფუძველში დევს როგორც ობიექტური სოციალური მიზეზები, ასევე სუბიექტური – ცალკეული მმართველის პოლიტიკური ინტერესები, რომლებიც აღვიძებენ მასებში რელიგიურ ფანატიზმს.

## ლიტერატურა:

1. http://www.islamdag.ru/analitika/8152
2. http://www.islam.ru/content/nauka/fanatizm_razbor_ponaytiya_kriterii_ocenki
3. http://islam-dag.ru/publ/vakhkhabizm/mazkhab_fanatizm_ili_neukosnitelnoe_sledovanie_koranu_i_sunne/7-1-0-129
4. http://www.achakan.ru/islam_i_antiislam.htm
5. Т. В. Евгеньева, ,,Исламский религиозний фанатизм; социально-психологичекая природа и его политическое использование Илам и Политика., Сборник информационных материалов., Выруск 2., Москва 1981г.
6. http://www.timeslive.co.za/opinion/columnists/2012/09/17/islamic-fanatics-dont-understand-freedom
7. http://www.suntimes.com/news/huntley/15124544-452/must-wage-war-on-islamic-fanatics.html
8. http://global-security-news.com/tag/sunni-islamic-fanatics/
9. http://ngm.nationalgeographic.com/2009/10/indonesia/finkel-text/1

***Emilia Alaverdov,***
PhD Candidate, GTU

## ISLAMIC RELIGIOUS FANATICISM AND POLITICAL USE

### SUMMARY

Nowadays the topic of religious fanaticism, especially Islamic one is actively being discussed and written about. It is the topic for discussion in both the upper and socially lower illiterate parts of society. While the upper class only talks about it second one losses its young generations, as for them it is not only the subject of discussion, it draws their attentions and tempts a large number of young people. The revival of Islam or «Islamic Renaissance» as it is called in modern days and its invasion of the socio-political and economic life of society, and as well as in the international relations, has become a very popular subject to argue. This is inspired by the political and socio-economic conditions and the wrong interpretation of both: the tern and the meaning of the phenomenon itself.

# აშშ-ის ერაყში ინტერვენციის მიზეზები და შედეგები

*სალომე ფიფია, თსუ-ს დოქტორანტი*

ერაყი და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდნენ, როგორც დიდი ბრიტანეთის პროტექტორატები. ეს ქვეყნები ჩამოეჭრა მესოპოტამიას, რომელიც ადრე ოტომანთა იმპერიის ნაწილი იყო. თავის მხრივ, ერაყი მოიცავს სამ ძირითად ჯგუფს, ესენია: სუნიტი მუსლიმი არაბები, მცხოვრები ერაყის დედაქალაქ ბაღდადის ცენტრში და მის შემოგარენში; ქურთები – ჩრდილოეთით და შიიტი მუსლიმები – სამხრეთით. მოსახლეობის დაახლოებით 15% არის ქურთი, 80% – არაბი, ხოლო დანარჩენი 60% – შიიტი არაბი მუსლიმები, მათი მეზობელი ირანის მსგავსად, მაგრამ ისინი არიან არაბები და არა სპარსელები. ჩრდილოეთში ცხოვრობენ ასევე მნიშვნელოვანი ასირიელი და თურქი უმცირესობები. არც ერთ ამ ჯგუფს არ ჰქონია ნაციონალური უფლებები. ამ ტერიტორიაზე ეროვნული და ტომობრივი დავის, ისევე როგორც დასავლურ ძალებთან დაპირისპირებების, მთავარი მიზეზი იყო ის თუ ვინ გააკონტროლებდა ერაყის ნავთობს.[1]

ბრიტანეთისა და აშშ-ის ინტერესები ამ რეგიონის მიმართ მაშინვე გამოიკვეთა, როგორც კი იქ ნავთობი აღმოაჩინეს. აშშ-მა წარმატებით დაითანხმა დიდი ბრიტანეთი, გაენაწილებინათ ერაყის ნავთობი. 1931 წელს ერაყი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო და მის სათავეში მოვიდა პრობრიტანული რეჟიმი. 1941 წელს კი, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აღიკვეთა ერაყში ბრიტანეთის ინტერვენციით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ შიშობდა, რომ ერაყზე არ გავრცელებულიყო საბჭოთა კავშირის გავლენა, ამიტომ შეეცადა მის შენარჩუნებას ნატოს მსგავსი პრო-დასავლური ალიანსის შექმნით, რომელსაც ბაღდადის პაქტი დაერქვა. თუმცა, მიუხედავად ამისა, 1958 წელს პრო-დასავლური მთავრობა ერაყში დაემხო. ქვეყნის სათავეში მოვიდა აბდ ალ-კარიმ კასიმი.

1961 წლიდან დაიწყო ქუვეითისა და სხვა მეზობელი პროტექტორატების გათავისუფლება ბრიტანეთისაგან. ერაყმა მისცა მათ მაგალითი, რომ თავად უნდა ემართათ ნავთობრესურსები და ზღვაზე გასასვლელები.

მომდევნო წლებში ერაყში კიდევ ორი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ხოლო 1979 წელს ერაყის პრემიერ მინისტრი გახდა სადამ ჰუსეინი, რომელმაც მაშინვე დაიწყო დიქტატორული რეჟიმის დამყარება. მან ქვეყნისათვის ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე დანიშნა თავისი ოჯახის წევრები და ნათესავები მისი მშობლიური ქალაქიდან.[2]

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამყარებამდე, ცოტა ხნით ადრე, ერაყმა და ირანმა ერთმანეთში წამოიწყეს სასაზღვრო დავა, რაც უკავშირდებოდა საზღვრის ხაზის გატარებას, უფლებებს წყალზე შატ-ელ-არაბის ფარვატერის გასწვრივ და სანავიგაციო უფლებებს. სიტუაცია დაიძაბა მას შემდეგ, რაც ირანმა მოთხოვნები წამოაყენა სასაზღვრო ტერიტორიებზე და ძალით მიიტაცა ის, ასევე მხარი დაუჭირა ქურთების აჯანყებას.

**1975 წელს** ალჟირის შეთანხმების საფუძველზე დავა ნაწილობრივ მოგვარდა. ირანმა შეუწყვიტა დახმარება ქურთ აჯანყებულებს და აჯანყება ჩაიშალა, თუმცა მას არ შეუსრულებია შეთანხმების პირობები – ბოლომდე და სრულად არ დაუბრუნებია მიტაცებული ტერიტორია, რომელიც ერაყს ეკუთვნოდა.

სადამ ჰუსეინმა კი გადაწყვიტა ესარგებლა იმ პერიოდში ირანში რევოლუციური მდგომარეობით და დასავლეთის მზარდი ანტიპათიით ამ ქვეყნის მიმართ და წამოიწყო ომი სადავო ტერიტორიების და სანავიგაციო უფლებების მოსაპოვებლად.

**1980 წელს** იგი შეიჭრა ირანში, რაც გახდა დასაწყისი ირან-ერაყის რვაწლიანი ომისა, რომელსაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა. ომის პერიოდში ჰუსეინი იყენებდა ქიმიურ იარაღს, როგორც ირანის წინააღმდეგ, ისე შიდა აჯანყებებში ქურთების წინააღმდეგ.

**1987 წლიდან** სადამ ჰუსეინმა განახორციელა ქურთების მასიური ჟლეტა, რომლის დროსაც დაიხოცა 182 000 ადამიანი, განადგურდა ათასობით სოფელი და გაჩნდა 400 000-მდე ლტოლვილი.[3]

**1990 წელს** სადამ ჰუსეინი შეიჭრა ქუვეითში იმ მოტივით, რომ ქუვეითი არალეგალურად ითვისებდა ერაყის კუთვნილ ნავთობს. მან, აშშ-ისა და ეგვიპტის გაფრთხილების მიუხედავად, მოახდინა ქუვეითის ანექსია. ერაყმა ასევე არ გაითვალისწინა, შეჭრის შემდეგ აშშ-ის, არაბული ქვეყნებისა და გაეროს მოთხოვნა, რომ დაეტოვებინა ქუვეითის

[1] http://www.mideastweb.org/iraq.htm

[2] http://usiraq.procon.org/view.resource.php?resourceID=000670#kuwait

[3] http://www.mideastweb.org/iraq.htm

ტერიტორია.[1]

1991 წლის თებერვალში გაეროს წევრმა ქვეყნებმა აშშ-ის ხელმძღვანელობით განახორციელეს ოპერაცია "უდაბნოს ქარიშხალი" და წარმატებით აღკვეთეს ერაყის ინტერვენცია ქუვეითში. თუმცა აშშ-ის არ უცდია სადამ ჰუსეინის ჩამოგდება და ნება დართო მას ჩაეხშო ქურთებისა და შიიტების აჯანყებები. გაეროს რეზოლუციების მიხედვით ერაყს უნდა გაენადგურებინა არაკონვენციური იარაღის მთელი მარაგი და მისი განვითარების საშუალებები.[2] გაერომ შექმნა სპეციალური ინსპექცია, რომელიც გააკონტროლებდა ამ იარაღის განადგურებას ერაყში და ასევე აამოქმედა ეკონომიკური სანქციებიც, რათა ამ გზით ზეწოლა მოეხდინა სადამ ჰუსეინზე, რომ განიარაღების პროცესი წარმატებით განხორციელებულიყო. გაეროს მომდევნო რეზოლუციების გრძელი სერია ეხებოდა ერაყში ძალადობას.

1998 წელს, მას შემდეგ, რაც დასავლეთმა "აღმოაჩინა", რომ ერაყი კვლავ ახორციელებდა შეიარაღებას, სადამ ჰუსეინმა შეწყვიტა ინსპექციასთან თანამშრომლობა და აღარ დააბრუნა ისინი ქვეყნის ტერიტორიაზე, მიუხედავად მრავალი მცდელობისა.[3]

კრიტიკოსების თანახმად, გაეროს მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა ერაყში გამოიწვია უკიდურესი გაჭირვება და სიღატაკე. თვალსაჩინოებისათვის, გთავაზობთ ცხრილს, სადაც გამოსახულია საკვებზე ფასების ზრდა, მას შემდეგ რაც სანქციები დაიწყო:[4]

| საკვების დასახელება | საცალო ფასი ერაყულ ვალუტაში 1990წლის აგვისტო | საცალო ფასი ერაყულ ვალუტაში 1991 წლის აგვისტო |
|---|---|---|
| ხორბალი | 0.05 | 2.42 |
| რძე | 0.75 | 27.33 |
| პური | 0.01 | 0.33 |
| შაქარი | 0.20 | 4.42 |

1995 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს 986 რეზოლუციის მიხედვით, შეიქმნა პროგრამა "ნავთობი საკვებისათვის",[5] რომელიც ერაყს საშუალებას აძლევდა მოეხდინა მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობის ნავთობექსპორტი, რაც ერაყელებს ყოფნიდათ მხოლოდ იმისათვის, რომ ეყიდათ საჭმელი და წამლები. თუმცა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, გარდა იმისა, რომ ერაყი ამ პროგრამის ფარგლებში ყიდდა ნავთობს, იგი ასევე ახდენდა საკვების ექსპორტირებასაც და იღებდა დამატებით შემოსავალს, რაც გაცილებით მეტი იყო იმაზე, ვიდრე ერაყის მოსახლეობის საკვებით, წამლებითა და ტანსაცმლით მომარაგება.[6]

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ტერორიზმთან ბრძოლა ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა, რამაც გამოიწვია ამერიკის პოლიტიკის შეცვლა ახლო აღმოსავლეთის მიმართ. ყველაზე მძიმედ კი ეს ცვლილება ერაყს შეეხო (რომელიც ნავთობრესურსებით რეგიონში მეორე ადგილზეა და მისი წლიური საექსპორტო შემოსავალი ყოველთვის ანგარიშგასაწევი იყო). თუ 1991 წელს. სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, ამერიკის მაშინდელმა ადმინისტრაციამ სადამ ჰუსეინის ერაყის სათავეში დატოვება გადაწყვიტა. 2003 წელს, ბუშის ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ სადამ ჰუსეინი ფლობდა ატომურ იარაღს და უშუალო კავშირი ჰქონდა ტერორისტულ ქსელთან ალ-ქაედასთან, ამიტომ საჭირო იყო ერაყი სასწრაფოდ "გაეთავისუფლებინა" დიქტატურისაგან და გაენეიტრალებინა მისგან მომავალი საფრთხე. რასაც მოჰყვა კიდეც ქვეყნის ოკუპაცია აშშ-ის მიერ, რასაც საფუძვლად ზემოთ ნახსენები ჰუმანიტარული მიზნები დაედო. ერაყის კამპანია ცხარე სადებატო საკითხად იქცა როგორც დასავლეთის ქვეყნებს შორის, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გაჩნდა შეკითხვა: ეს იყო ჰუმანიტარული ინტერვენცია თუ ერთი ქვეყნის მიერ მეორის ოკუპაცია. ბევრი ევროპული ქვეყანა არ იზიარებდა აშშ-ის პოზიციას ერაყში შეჭრასთან დაკავშირებით და თვლიდა, რომ სადამ ჰუსეინი ახლო მომავალში არ წარმოადგენდა საფრთხეს, ხოლო რეჟიმის შეცვლა იმ ეტაპზე არ იყო აუცილებელი.[7] მრავალი ექსპერტი ამ კამპანიას ამერიკის საგარეო პოლიტიკის უდიდეს მარცხად მიიჩნევს, თუმცა სანამ ამერიკის ჯარები ერაყში შევიდოდნენ, ამ ომის გასამართლებელი ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ომის შემდგომი ერაყი გახდებოდა დემოკრატიული სახელმწიფო და ამ ქვეყნის საშუალებით დემოკრატია ნელ-ნელა გავრცელდებოდა მთელ შუა აღმოსავლეთში, "დომინოს თეორიის" პრინციპით. მოგვიანებით, 2005 წლის 30 ნოემბრის "გამარჯვების სტრატეგიაში" ბუშის ადმინისტრაცია აღნიშნავდა, რომ ამერიკის

[1] http://www.indepthinfo.com/iraq/kuwait.shtml

[2] UN Security Councils's Resolution 712 (1991) available from http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/596/48/IMG/NR059648.pdf?OpenElement

[3] http://www.mideastweb.org/iraq.htm

[4] Jean Dreze, Haris Gazdar "Hunger and Poverty in Iraq" World Development Vol.20, No 7, 1992,p 927

[5] Security Council Resolution 986(1995) available from http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/109/88/PDF/N9510988.pdf?OpenElement

[6] http://www.mideastweb.org/iraq.htm

[7] ნიკა ჩიტაძე "ნატო—ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი", თბ., 2008; გვ.129

ძალები იქამდე დარჩებოდნენ ერაყში, სანამ ქვეყანა არ შეძლებდა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას და რადიკალი ისლამისტი ტერორისტებისგან თავის დაცვას, ხოლო "სტაბილურ დემოკრატიაზე" თავდაპირველმა საუბარმა გრძელვადიან პერსპექტივაში გადაინაცვლა.[1]

ერაყის კეისი ყველაზე ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ჰუმანიტარული ინტერვენციის უკან ზოგჯერ რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები დგას. სწორედ ამიტომ ქვემოთ განვიხილავთ ერაყის ჰუმანიტარულ ინტერვენციას პოლიტიკურ ასპექტში.

ტონი ბლერმა, თავის ცნობილ ჩიკაგოს სიტყვაში, რომელიც მან საერთაშორისო საზოგადოების მისამართით კოსოვოს ომის კულმინაციის პერიოდში წარმოთქვა, ჩამოაყალიბა ხუთი მთავარი პრობლემა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს:[2]

1. ვართ თუ არა ჩვენს საქმეში დარწმუნებულები? ომი არის არასრულყოფილი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ გაამართლო ჰუმანიტარული ტანჯვა. მაგრამ ზოგჯერ შეიარაღებული ძალები ერთადერთი გზაა იმისათვის, რომ გაუსწორდე დიქტატორებს.
2. გამოვიყენეთ და ამოვწურეთ თუ არა ყველა დიპლომატიური რესურსი?
3. სიტუაციის პრაქტიკული შეფასების საფუძველზე დაგეგმილია თუ არა სათანადო სამხედრო ოპერაციები, რომელთაც გონივრულად და ფრთხილად განვახორციელებთ?
4. გვაქვს თუ არა გრძელვადიანი მზადყოფნა? წარსულში ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით უკან დახევის სტრატეგიებზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოვიხდით ვალს (განვახორციელებთ ინტერვენციას), არ შეგვიძლია უბრალოდ წამოვიდეთ ბრძოლის ველიდან. უმჯობესია, დავრჩეთ საჭირო რაოდენობის ჯარით, ვიდრე დაგვჭირდეს მობრუნება გაცილებით დიდი რაოდენობის შეიარაღებული ძალებით.
5. ხომ არ არის ჩარეული ეროვნული ინტერესები?

ტონი ბლერის მიერ ჩამოთვლილ ამ პირობებს თუ მივუსადაგებთ ერაყის მაგალითს, ვფიქრობთ, უკეთ დავინახავთ თუ რა მოხდა ერაყში 2003 წელს, რა მიზნები და შედეგები ჰქონდა ამ ჰუმანიტარულ ინტერვენციას და, რაც მთავარია, რამდენად იყო გამოკვეთილი პოლიტიკური და ეროვნული ინტერესები.

პირველ რიგში, სანამ უშუალოდ დავიწყებდეთ მსჯელობას 2003 წლის ერაყის კამპანიის შესახებ, საინტერესო იქნება პასუხი გავცეთ ერთ მნიშვნელოვან შეკითხვას: რატომ დატოვა აშშ-ის ადმინისტრაციამ 1991 წელს სადამ ჰუსეინი ერაყის სათავეში ქუვეითთან ომის შემდეგ? მაშინ, როცა აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამერიკის ჯარების ერაყში შესვლასთან დაკავშირებით განაცხადა: "გავიხსენოთ სიტყვები ჰოლივუდ ჰადლესტონის, საზღვაო კაპრალისა, რომელიც მოკლეს. ის ამბობს: მოდი გავანთავისუფლოთ ეს ხალხი და როცა სახლში წავალთ კვლავ ვიგრძნობთ თავისუფლებას. ის მართალია. ის საშინელი დანაშაულებები და წამება, რაც სადამის მიმდევრებმა ჩაიდინეს ქუვეითის უდანაშაულო ხალხის წინააღმდეგ, არის კაცობრიობის შეურაცხყოფა და გამოწვევა ყველას თავისუფლების წინაშე"[3] ამგვარი სიტყვების შემდეგ, ძნელი გასაგებია რით განსხვავდებოდა ქუვეითელი ხალხი ერაყელი ხალხისგან, თუკი ამ უკანასკნელებს იგივე დიქტატორი ტანჯავდა, რატომ არ გაათავისუფლა ერაყი აშშ-მა სადამ ჰუსეინისაგან? ამ საკითხზე ანალიტიკოსებს სხვადასხვაგვარი მოსაზრებები აქვთ. ზოგიერთის აზრით, აშშ ფიქრობდა, რომ ერაყელი ხალხი თავად აღსდგებოდა სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ და ჩამოაგდებდა პოსტიდან, რადგან წესით, არც ერთი მმართველი არ უნდა რჩებოდეს ქვეყნის სათავეში, მას შემდეგ, რაც ამდენ ტანჯვას მიაყენებს საკუთარ ხალხს, თუმცა აშშ-მა არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ საქმე ეხებოდა საზოგადოებას, რომლის ეგოც, პიროვნული პატივისცემა, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება ჩახშული იყო დიდი ხნის მანძილზე და ასეთ ხალხს ძნელად თუ მოაფიქრდებოდა დაპირისპირებოდა დიქტატორულ მმართველობას.[4] მეორე მოსაზრებით კი, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას ერაყში შესაძლოა მოჰყოლოდა ქაოსი და ამის ფონზე ირანის გაძლიერება. ეს კი ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის მთავარ სტრატეგიას: "რეგიონში არ უნდა გაძლიერდეს არც ერთი სახელმწიფო ისე, რომ აშშ-ის გავლენა

---

[1] Kenneth Katzman "Iraq: U.S Regime Change Efforts and Post-Saddam Governance",CRS Report for Congress;(The Library of Congress);2006; p17

[2] Michael Elliot "Whom to Protect and Whom to Abandon?" Time Magazine, April 10,2011; available from http://www.time.com/time/magazine/article/0,9171,2063770,00.html

[3] The Speech of President George Bush, January 16,1991 available from http://www.historyplace.com/speeches/bush-war.htm

[4] "Why was Saddam Hussein spared by the US after Second Gulf War in 1991?" Light of Peace; available from http://www.spotlightofpeace.com/global-conflicts/why-was-saddam-hussain-spared-by-the-us-after-second-gulf-war-in-1991/

აღარ იყოს."[1] ორივე შემთხვევაში, გამოდის, რომ აშშ არ დაინტერესდა ერაყელი ხალხის ბედით და ისინი საკუთარი თავის იმედად დატოვა, რადგან იმ პერიოდში ერაყისათვის "ჰუმანიტარული" დახმარების გაწევა მის ინტერესებში არ შედიოდა.

დავუბრუნდეთ ტონი ბლერის მიერ წარმოდგენილ ჰუმანიტარული ინტერვენციის რამდენიმე პირობას. პირველი მათ შორის ეხებოდა იმას თუ რამდენად არის ჩამრევი ქვეყანა დარწმუნებული თავის საქმეში, ვინაიდან ომი არ არის ჰუმანიტარული დახმარების საუკეთესო გამართლება. ერაყის მაგალითზე ვიმსჯელოთ თუ რამდენად იყო საჭირო 2003 წელს აშშ-ის ინტერვენცია და ჰქონდა თუ არა აშშ-ის საკმარისი სამხილები მოსალოდნელი ჰუმანიტარული კატასტროფის შესახებ, რადგან ჰუმანიტარული ჩარევის წინაპირობად აუცილებელია, რომ არსებობდეს ადამიანის უფლებების უკიდურესი და მასშტაბური დარღვევის საფრთხე და ამ საფრთხის ან შემთხვევის დამადასტურებელი ნათელი და ობიექტური ფაქტები.[2]

მართალია სადამ ჰუსეინს ძალიან ბევრი ადამიანის მკვლელობაში მიუძღვის ბრალი, მაგრამ ამ მკვლელობების რიცხვმა თავის პიკს 1991 წელს მიაღწია, ხოლო აშშ-ის ერაყში ინტერვენციის წინა პერიოდში, ვერავინ დაადანაშაულებს დიქტატორულ რეჟიმს, როცა ახორციელებდა მასშტაბურ სისხლისღვრას. გამოთქმა "სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს", არ გამოდგება ჰუმანიტარული ინტერვენციის გასამართლებლად, რომელიც უნდა ტარდებოდეს მხოლოდ მასობრივი ჟლეტის შესაჩერებლად და არა ამ ჟლეტიდან რამდენიმე წლის შემდეგ[3], თუმცა აშშ სხვაგვარად ფიქრობდა. როდესაც ჯორჯ ბუში ხელისუფლებაში მოვიდა, მისი საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტები იყო: ეროვნული სარაკეტო თავდაცვა და ჩინეთი, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, 11 სექტემბრის ტერაქტმა, რომელსაც ბუშმა "21-ე საუკუნის პერლ-ჰარბორი უწოდა", ეს პრიორიტეტები შეცვალა. ბუშის ერთ-ერთმა მრჩეველმა განაცხადა: "ჩვენ ვართ ის ადამიანები, ვინც ვიღებთ გადაწყვეტილებებს საკუთარი გონივრული ცოდნის მიხედვით და ნამდვილ რეალობასთან შესაბამისობაში. განათლების პრინციპები და ემპირიულობა აღარაა ის გზა, რომლითაც ხელმძღვანელობს დღეს ვინმე. დღეს ჩვენ ვართ იმპერია და ახლა ჩვენ ვმოქმედებთ, ჩვენ ვქმნით საკუთარ ახალ რეალობას და მაშინ, როცა თქვენ სწავლობთ ამ რეალობას გონებით, ჩვენ ამასობაში კვლავ ვიმოქმედებთ და შევქმნით ახალ რეალობას, რომელსაც მოგვიანებით თქვენ ასევე შეისწავლით. ჩვენ ვართ ისტორიის აქტორები. თქვენ კი, ისღა დაგრჩენიათ შეისწავლოთ ჩვენი მოქმედებები."[4]

ამრიგად, ბუშის ადმინისტრაციამ შექმნა საკუთარი "რეალობები", იმის შესახებ, რომ საჭირო იყო ერაყში ჩარევა. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ 11 სექტემბრის ტერაქტში დამნაშავეები და ერაყი ერთმანეთს უშუალოდ დაუკავშირა. როგორც ლარი დაიმონდთი წერს: "ბუშმა აიძულა ტერორიზმის ანალიტიკოსები ამ ტერაქტთან, სადამ ჰუსეინის კავშირი მოეგონებინათ"[5]

გარდა ამისა, ინტერვენციის წინა პერიოდში აშშ-ის მიერ გაკეთდა არაერთი განცხადება იმის თაობაზე, რომ სადამ ჰუსეინი გეგმავდა მასიურ სისხლისღვრას და ასევე ცდილობდა შეექმნა მასობრივი განადგურების იარაღი ტერორისტულ ქსელებთან თანამშრომლობის გზით, თუმცა ყველა ეს ბრალდება სპეკულაცია იყო, რადგან ამ ყოველივეს დამადასტურებელი არსებითი სამხილები დღემდე არ არის აღმოჩენილი.[6] ამგვარად, აშშ-ის ადმინისტრაცია ვერ იქნებოდა თავისი ქმედების სისწორეში დარწმუნებული იმ უბრალო მიზეზით, რომ მას არ გააჩნდა საკმარისი სამხილები, იმისთვის რომ რისკი გაეწია და ინტერვენციის შედეგად საფრთხის ქვეშ დაეყენებინა თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლე.

ტონი ბლერის მიერ შემოთავაზებული მეორე და მესამე კრიტერიუმები შეეხება იმას თუ რადენად არის ამოწურული დიპლომატიური რესურსი და რამდენად გონივრულად არის დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია. ჯერ კიდევ 1998 წელს New American Century-ს პროქტმა პრეზიდენტ კლინტონს გაუგზავნა წერილი, რომელსაც ხელს აწერდა 18 ყოფილი პოლიტიკოსი და რომელშიც ეწერა, რომ სადამ ჰუსეინთან მიმართებით დიპლომატია უკვე უძლური იყო და შეცდომა იყო მისი მმართველობაში დატოვება.[7] იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც უკვე ვახსენეთ, 2003 წელს ერაყში არ მიმდინარეობდა

1 The National Security Strategy of the United States of America,The White Hause, Washington. 2002

2 Guy Wilson-Roberts "Humanitarian Intervention: Definitions and Criteria" Centre for Strategic Stydies Strategic Briefing Papers. Volume 3:Part 1:June 2000,p2

3 Ken Roth "War in Iraq: Not a Humanitarian Intervention" New York: Human Rights Watch, 2004; available from http://www.unhcr.org/refworld/pdfid/402ba99f4.pdf

4 Larry Diamond "What Went Wrong in Iraq?" Foreign Affairs; September/October 2004

5 Ibid…

6 Ken Roth "War in Iraq: Not a Humanitarian Intervention" New York: Human Rights Watch, 2004; available from http://www.unhcr.org/refworld/pdfid/402ba99f4.pdf

7 Larry Diamond "What Went Wrong in Iraq?" Foreign Affairs; September/October 2004

მასობრივი ხოცვა, ლოგიკურად არ იდგა სამხედრო ინტერვენციის განხორციელების საჭიროება, თუმცა, მიუხედავად ამისა,მაინც საინტერესოა გამოვიკვლიოთ, იყო თუ არა შეიარაღებული ოპერაცია უკანასკნელი გადაწყვეტილება, რისი მიღებაც კი შეიძლებოდა. თუ ჩვენ დიპლომატიური რესურსების ამოწურვაზე ვლაპარაკობთ, სულ მცირე, სამხედრო ჩარევამდე უნდა გადადგმულიყო ნაბიჯი და კრიმინალის წინააღმდეგ გამოცხადებულიყო სამართლებრივი დევნა. ეს, შესაძლოა, არ ყოფილიყო მაინცდამაინც ეფექტური საშუალება, მაგრამ იქნებოდა ალტერნატიული მცდელობა პრობლემის მოგვარებისა.[1]

რაც შეეხება სამხედრო ოპერაციის რაციონალურად დაგეგმვას. ამასთან დაკავშირებით მოვიშველიოთ CIA-ს დირექტორის,ტენეტის სიტყვები:,,ჩვენ ავაგეთ პოლიტიკა იმედზე და არა ფაქტზე''. მართლაც,ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა დამყარებული იყო რწმენაზე და არა რეალობაზე. 11 სექტემბრის შემდეგ აშშ მიხვდა, რომ მულტილატერალური თანამშრომლობა აუცილებელი იყო ტერორიზმის პრობლემის ეფექტურად გადაჭრისთვის. თუმცა, რამდენადაც უახლოვდებოდა ამერიკა ერაყის ომს, იმდენად შორდებოდა 9/11-ის შემდგომ აღიარებულ მულტილატერალისტურ ორიენტაციას. აშშ-ის გადაწყვეტილებამ, თავს დასხმოდა ერაყს, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მის ურთიერთობებზე გრძელვადიან მოკავშირეებთან. მაგალითად, საუდის არაბეთმა ერაყის კამპანიას არალეგალური უწოდა და გააფრთხილა არაბი ლიდერები შუა აღმოსავლეთში აშშ-ის მზარდი გავლენის შესახებ. სპარსეთის ყურის ომისგან განსხვავებით, ერაყის მეორე ომში აშშ-ის გაცილებით ნაკლები მხარდამჭერი ქვეყანა ყავდა. 1991 წელს ბრიტანეთთან ერთად გერმანიამ, საფრანგეთმა და იაპონიამაც გაგზავნეს ჯარები აშშ-ის დასახმარებლად. ხოლო 2003 წელს ე.წ "ბებერი ევროპა" ჩაანაცვლა "ახალმა ევროპამ", რომელშიც იგულისხმებოდა აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები.[2]

იმისათვის, რომ უკეთ ავხსნათ თუ რატომ არ იყო ერაყის ოპერაცია გონივრულად და სიტუაციის პრაქტიკული შეფასების საფუძველზე დაგეგმილი,მოვიშველიებთ ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელს, რომელიც აქცენტს აკეთებს, მთავრობის შიდა პოლიტიკაზე. ამ მოდელის მიხედვით, საერთაშორისო საკითხებში მომხდარი ქმედებები, ახსნილია არა როგორც არჩევანი ან მისი რეზულტატი, არამედ როგორც შედეგი მრავალი ურთიერთგადამფარავი სავაჭრო თამაშისა ეროვნულ მთავრობაში იერარქიულად განთავსებულ მოთამაშეებს შორის. ამ მოდელის მიხედვით, ლიდერები, რომლებიც ორგანიზაციების სათავეში არიან, არ წარმოადგენენ მონოლითურ ჯგუფებს. უფრო მეტად, თითოეული არის ცენტრალური, კონკურენტული თამაშის მონაწილე, და ამ თამაშს ჰქვია: ბიუროკრატიული პოლიტიკა. მარეგულირებელი არხების გარშემო ვაჭრობა, მოთამაშეებს შორის, მთავრობაში იერარქიულად ხდება. გადაწყვეტილებები და ქმედებები, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს არის ინტერნაციონალური პოლიტიკის შედეგი. შედეგია ის რომ, რაც ხდება არის არა პრობლემის გადასაჭრელად მიღებული არჩევანი, არამედ მთავრობის პირებს შორის კომპრომისის, კავშირის, კონკურენციისა და უთანხმოების შედეგი.[3] ეს მოდელი ეხმიანება, როგორც უშუალოდ ერაყში "ჰუმანიტარულ" ინტერვენციას, ისე ამ ინტერვენციის შემდგომ პერიოდში აშშ-ის მიერ ერაყში განხორციელებულ პოლიტიკას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომლის მიხედვითაც უნდა განვიხილოთ ერაყის კეისი, უკავშირდება ჩამრევი მხარის გრძელვადიან მზად-ყოფნას. ზოგიერთ პოლიტიკოსს, მაგალითად, დონალდ რამსფელდს, სწამდა, რომ ერაყის კამპანიაც ავღანეთის მსგავსად იქნებოდა სწრაფი და მოიტანდა სწრაფ გამარჯვებას,[4] თუმცა ასე არ მომხდარა. 2005 წლის 30 ნოემბრის "National Strategy for Victory"-ს მიხედვით, ბუშის ადმინისტრაცია აღნიშნავდა, რომ აშშ-ის ძალები დარჩებოდნენ ერაყში მანამდე, სანამ ქვეყანა არ შეძლებდა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას და არ დაიცავდა თავს რადიკალი ისლამისტი ტერორისტებისგან. "ადმინისტრაციას სჯერა, რომ ერაყი გახდება რეფორმული მოდელი შუა აღმოსავლეთში და დასავლეთის პარტნიორი ანტიტერორისტულ გლობალურ ომში".[5] ერაყის კამპანიის მეოთხე ფაზა სწორედ ამ ქვეყნის ომის შემდგომ რეკონსტრუქციას მოიცავდა, თუმცა ეს საკითხი ფართო მსჯელობისა და დავის საგნად

---

1 Ken Roth "War in Iraq: Not a Humanitarian Intervention" New York: Human Rights Watch, 2004; available from http://www.unhcr.org/refworld/pdfid/402ba99f4.pdf

2 Larry Diamond "What Went Wrong in Iraq?" Foreign Affairs; September/October 2004

3 Graham T. Allison "Conceptual Models and the Cuban Missile Crisis" The American Political Sciense Review September. 1969; vol 63; p 690

4 Larry Diamond "What Went Wrong in Iraq?" Foreign Affairs; September/October 2004

5 "National Strategy For Victory in Iraq" National Security Council. November 2005; available from http://www.washingtonpost.com/wp-srv/nation/documents/Iraqnationalstrategy11-30-05.pdf

იქცა ვაშინგტონის ბიუროკრატიულ წრეებში და რეკონსტრუქციის არაერთი ვერსია იქნა წარმოდგენილი. საბოლოოდ კი ბუშმა ერაყის რეკონსტრუქციის დაგეგმვა თავდაცვის დეპარტამენტს მიანდო, რის შემდეგაც 2003 წლის 20 იანვარს შეიქმნა "რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისი" (office of reconstruction and humanitarian assistance) ჯეი გარნერის ხელმძღვანელობით, მოგვიანებით კი "დროებითი კოალიციური ხელისუფლება", რომელსაც სათავეში ჩაუდგა პოლ ბრემერი. თუმცა მოგვიანებით, გაეროს უშიშროების საბჭოს 1483-ე რეზოლუციის მიხედვით ერაყის დროებითი კოალიციური ხელისუფლება (CPA) აღიარეს ოკუპანტ ხელისუფლებად.[1]

დენ კალდუელი თავის ნაშრომში ერთ-ერთ მთავარ აქცენტს სწორედ ერაყში აშშ-ის პოსტ-კონფლიქტურ შეცდომებზე აკეთებს. იგი ასახელებს რამდენიმე მიზეზს, თუ რატომ განხორციელდა ერაყის პოსტკონფლიქტური რეკონსტრუქცია ნელი ტემპებით და წარუმატებლად.

1. პირველ მიზეზად განიხილავს აშშ-ის მცდარ წამოდგენას იმის შესახებ, რომ ერაყის რეაბილიტაცია მოხდებოდა "თვითდაფინანსების გზით", თუმცა ეს რეკონსტრუქცია აშშ-ის იმაზე გაცილებით ძვირი დაუჯდა, ვიდრე მარშალის გეგმა, შედეგი კი არც თუ ისე სასურველი მიიღო;
2. მეორე მიზეზად ავტორი მიიჩნევს აშშ-ისთვის სხვა სახელმწიფოების, გაეროს და ნატოს მხრიდან მხარდაჭერაზე უარის თქმას, რის გამოც ამერიკას ფაქტიურად მარტოს მოუხდა ერაყში პრობლემურ საკითხებთან გამკლავება;
3. მესამე მიზეზი იყო რეკონსტრუქციის ზუსტი და შეთანხმებული გეგმის არარსებობა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინეს: სახელმწიფო დეპარტამენტმა, საგარეო ურთიერთობათა საბჭომ, აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტმა, ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტმა და ა.შ.;
4. მეოთხე მიზეზი იყო სამხედრო ძალის უკმარისობა ერაყში;
5. ბევრმა ერაყელმა უარი თქვა, მონაწილეობა მიეღო ერაყში აშშ-ის სურვილების განხორციელებაზე;
6. მიენდო დევნილ მარგინალებსა და ახალგაზრდა გამოუცდელ კადრებს.[2]

ლარი დიამონდი აღნიშნავს, რომ დროებითი კოალიციის წინაშე დადგა რამდენიმე გამოწვევა ერაყში ინტერვენციის შემდეგ: ძალადობა, განადგურებული ქვეყანა, უფუნქციო ეკონომიკა და გაყლეტილი მოსახლეობა, თუმცა ამ ოთხი ფაქტორიდან ავტორი ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც უსაფრთხოების დაცვას მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ აშშ-ის არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობისა და საკმარისად გაწვრთნილი არმია, იმისათვის, რომ აღეკვეთა ქვეყანაში მზარდი უკანონობა: „ათიათასობით გამოცდილი ჯარისკაცი სათვალთვალო აღჭურვილობით უნდა განლაგებულიყო სირიისა და ირანის საზღვრების გასწვრივ, რათა შეჩერებულიყო უცხოელი ტერორისტების, ირანელი ჯაშუშების, ფულის და იარაღის შემოსვლა".[3] ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებით თუ ვიმსჯელებთ, აშშ-ის არ აღმოაჩნდა გრძელვადიანი მზადყოფნა და მას შემდეგ რაც განახორციელა ინტერვენცია ერაყში, ვეღარ შეძლო გაეკონტროლებინა იქ მიმდინარე პროცესები.

და ბოლოს, ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი არის იმის გაანალიზება, რამდენად იყო ჩართული ეროვნული ინტერესები ერაყის ჰუმანტარულ ინტერვენციაში. როგორც აშშ აცხადებდა, იგი ერაყში ჰუმანიტარული მისიით შევიდა, მაშინ გაუგებარია ის ფაქტი, რომ 2004 წლის ივნისში ერაყში უმუშევრობამ 40-50%-ს მიაღწია, მოსახლეობის 55% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდა, ხოლო ოჯახების 60% თითქმის მთლიანად მთავრობის რაციონზე იყო დამოკიდებული.[4] ეს რაც შეეხება ეკონომიკურ მდგომარეობას. არანაკლებ რთულად იყო საქმე უსაფრთხოების მხრივ. იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს თუ რა მდგომარეობა იყო ერაყში არმიის გაუქმებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, უსაფრთხოების კუთხით, საინტერესო იქნება "ერაყში მიმდინარე სიტუაციასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ანგარიშიდან"[5] ერთი კონკრეტული კვირის შეჯასება:

- **შაბათს (20 აპრილს)** იერიში იქნა მიტანილი

[1] UN Security Council Resolution 1483, available from http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/368/53/PDF/N0336853.pdf?OpenElement

[2] Dan Caldwell "Iraq: The Wrong War at the Wrong Time with a Wrong Strategy"; july 2007; available from CIAO http://www.ciaonet.org/main/casestudy.html

[3] Larry Diamond "What Went Wrong in Iraq?" Foreign Affairs; September/October 2004

[4] Andrew Carr "Freedom's Untidy" – Concepts of Freedom and the Iraq War" University of Canberra; September 2007; available from arts.monash http://arts.monash.edu.au/psi/news-and-events/apsa/refereed-papers/international-relations/carr.pdf

[5] UNAMI Situation Report 19-25 april, 2004; p5

ბაღდადის ყველაზე დიდ ციხეზე. დაიხოცა 22 პატიმარი და დაიჭრა 92.

- **ოთხშაბათს (21 აპრილს)** 74 ერაყელი, მათ შორის 16 ბავშვი, დაიღუპა კამიკაძის მიერ მოწყობილ აფეთქებაში ქალაქ ბასრას 4 პოლიციის შენობაზე და ქალაქ ზუბაირის მახლობლად განხორციელდა სისხლიანი თავდასხმა ამჟამად ბრიტანელების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.
- **ხუთშაბათს (22 აპრილს)** სროლის შედეგად დაიჭრა იტალიელი ჯარისკაცი, რომელიც დარაჯობდა საარჩევნო ყუთს ქალაქ ალ-აჰარააფში ნასარიას მახლობლად, სადაც ტარდებოდა მუნიციპალური არჩევნები.
- **შაბათს (24 აპრილს)** 50 ერაყელი და სულ მცირე ცხრა კოალიციის ძალების ჯარისკაცი, ასევე ერთი იტალიელი მოქალაქე, დაიხოცა რამდენიმე ინციდენტისას ქვეყნის მასშტაბით. მათ შორის იყო აფეთქებები ერაყის ყურეში ორ ნავთობტერმინალზე."

ომის შემდეგ მთელმა მსოფლიომ ნათლად დაინახა, რომ ერაყში კანონიერების დაცვა ვერ ხერხდებოდა, როცა ერაყელების მიერ გაიძარცვა უამრავი შენობა, მათ შორის სამინისტროები, ერაყის ეროვნული მუზეუმი და ჰუსეინის სასახლეც. ერთადერთი, რასაც ამერიკელები მკაცრად იცავდნენ, ნავთობის სამინისტრო იყო, რამაც ბევრ ერაყელს აფიქრებინა, რომ აშშ-ის მთავარი მიზანი ერაყის დაპყრობისას სწორედ ნავთობი იყო.[1] კითხვაზე, ამოძრავებდა თუ არა აშშ-ის ერაყში ინტერვენციისას ეროვნული ინტერესები, პასუხი შემდეგია: აშშ-ის იმპორტის დამოკიდებულება ნავთობბაზარზე სულ უფრო იზრდებოდა, ხოლო თავის მხრივ ნავთობბაზარიც სულ უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ხდებოდა გლობალურ წარმოებასთან, რომელიც თავის პიკს აღწევდა. აქედან გამომდინარე კი, ძალთა ბალანსი ნავთობმწარმოებლების მხარეს იხრებოდა.[2] ამგვარ მდგომარეობას შესაძლოა აშშ და მთლიანად კაპიტალისტური ეკონომიკა მოწყვლადი გაეხადა ნავთობის მიმართ. ერაყი კი წარმოადგენდა გამოსავალს ამ პოტენციური საფრთხისაგან, რადგან იგი მეორე ადგილზე იდგა ნავთობრესურსების მხრივ და ჰქონდა ძალიან დაბალი საწარმოო ფასები, თუმცა მანამადე, სანამ ძალაუფლება სადამ ჰუსეინის ხელში იყო, ამერიკა ვერ გამოიყენებდა ერაყის ნავთობს თავის სასარგებლოდ.[3]

მას შემდეგ, რაც ერაყის მაგალითი განვიხილეთ, ტონი ბლერის მიერ წარმოდგენილი ჰუმანიტარული ინტერვენციის თითოეული კომპონენტის მიხედვით და აღმოჩნდა, რომ ეს კეისი არც ერთ კომპონენტს არ აკმაყოფილებდა, შეიძლება დავასკვნათ რომ 2003 წელს აშშ-ის მიერ განხორციელებულ ინტერვენციას ერაყში, საფუძვლად ედო პოლიტიკური ინტერესები და უბრალოდ გამართლებული იყო "ჰუმანიტარული" მოტივებით.

## ლიტერატურა:


1. http://www.mideastweb.org/iraq.htm
2. http://usiraq.procon.org/view.resource.php?resourceID=000670#kuwait
3. Security Council Resolution 712 (1991); available from
4. http://www.un.org/Docs/scres/1991/scres91.htm
5. http://www.indepthinfo.com/iraq/kuwait.shtml
6. Jean Dreze, Haris Gazdar "Hunger and Poverty in Iraq" World Development Vol.20, No 7, 1992;
7. ნ. ჩიტაძე,ნატო-ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბ., 2008;
8. Kenneth Katzman "Iraq: U.S Regime Change Efforts and Post-Saddam Governance",CRS Report for Congress;(The Library of Congress); 2006;
9. Michael Elliot "Whom to Protect and Whom to Abandon?" Time Magazine, April 10,2011 ;
10. The Speech of President George Bush, January 16,1991 available from http://www.historyplace.com/speeches/bush-war.htm
11. "Why was Saddam Hussein Sparred by the US after second Gulf War in 1991?" Light of Peace; available from http://www.spotlightofpeace.com/global-conflicts/why-was-saddam-hussain-spared-by-the-us-after-second-gulf-war-in-1991/
12. The National Security Strategy of the United States of America,The White Hause, Washington. 2002
13. Guy Wilson-Roberts "Humanitarian Intervention: Definitions and Criteria" Centre for Strategic Stydies Strategic Briefing Papers. Volume 3:Part 1:June 2000;
14. Ken Roth "War in Iraq: Not a Humanitarian


[1] Dan Caldwell Iraq:"The wrong War at the wrong Time with a wrong Strategy" Dan Caldwell july 2007; available from CIAO http://www.ciaonet.org/main/casestudy.html

[2] "Strategic Energy Policy Challenges for the 21st Century," *Report of an Independent Task Force Sponsored by the James A. Baker III Institute for Public Policy of Rice University and the Council on Foreign Relations*, 2001,p.4.

[3] John S. Duffield, "Oil And The Iraq War: How The United States Could Have Expected To Benefit, And Might Still," *MERIA Journal* ,Vol. 9, No. 2, June, 2005

Intervention" New York: Human Rights Watch, 2004; available from http://www.unhcr.org/refworld/pdfid/402ba99f4.pdf
15. Larry Diamond "What Went Wrong in Iraq?" Foreign Affairs; September/October 2004
16. Graham T. Allison "Conceptual Models and the Cuban Missile Crisis" The American Political Sciense Review September. 1969
17. "National Strategy For Victory in Iraq" National Security Council. November 2005; available from
18. http://www.washingtonpost.com/wp-srv/nation/documents/Iraqnationalstrategy11-30-05.pdf
19. UN Security Council Resolution 1483, available from http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/368/53/PDF/N0336853.pdf?OpenElement
20. Dan Caldwell "Iraq: The Wrong War at the Wrong Time with a Wrong Strategy"; july 2007; available from CIAO http://www.ciaonet.org/main/casestudy.html
21. Andrew Carr "Freedom's Untidy" – Concepts of Freedom and the Iraq War" University of Canberra; September 2007; available from arts.monash http://arts.monash.edu.au/psi/news-and-events/apsa/refereed-papers/international-relations/carr.pdf
22. UNAMI Situation Report 3-9 Mai, 2004;
23. "Strategic Energy Policy Challenges for the 21st Century," Report of an Independent Task Force Sponsored by the James A. Baker III Institute for Public Policy of Rice University and the Council on Foreign Relations, 2001;
24. John S. Duffield, "Oil And The Iraq War: How The United States Could Have Expected To Benefit, And Might Still," *MERIA Journal* ,Vol. 9, No. 2, June 2005.

**Salome Pipia, PhD Student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

## US INTERVENTION IN IRAQ: REASONS AND RESULTS

### SUMMARY

The research topic of this article is intervention in Iraq conducted by USA in 2003. Namely, the nature of this intervention and analysis of its causing reasons and results. First part of the Article covers the history of Iraq in order better to represent political and strategic importance of this region, because Iraq as oil-reach country has been the object of interest for western states throughout years. In the second part Author directly touches motives of Iraq Campaign and observes whether solid political and legal ground really existed for US intervention in Iraq. Or this intervention served to satisfy US national interests. The third part of the Article relates to the political analysis of this Humanitarian Intervention which was carried out to set free Iraqi population from dictatorship; pursuant to the research Author discusses what kind of mistakes President Bush Administration made while planning and implementing of this intervention. To sum up, Author reviews in details results of Iraq Campaign for Iraq itself as well as for US and how this case affected whole international system.

# მეცნიერული სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგიები

## ცოდნის მართვის დელფოს მეთოდი სახელმწიფო და ბიზნესფორსაით პროექტებში

*გურამ ჯოლია, სტუ-ს სრული პროფესორი*

უკანასკნელი ორი ათეული წელია მსოფლიოში ფორსაით[1] - პროექტების გააქტიურება შეიმჩნევა. მათი მიზანი ერთია - გლობალური სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითა-რების მოსალოდნელი მომა-ვლის განსაზღვრა, სასურველი მიმართულებით მისი კორექტირება და გრძელვადიან პერსპექტივაში შესა-ბამისი სტრატეგიის შემუშავება.



დღეს ფორსაით-კვლევები არა მარტო სახელმ-წიფო, არამედ კორპორატიული ინოვაციური პოლი-ტიკის განსაზღვრის განუყოფელი ნაწილი გახდა. მათი შედეგების გამოყენება საშუალებას იძლევა არსებული ინტელექტუალურ-ტექნიკური, ფინანსური და სხვა რესურსები სამომავლოდ იმ მიმართულებით წარი-მართოს, რომლებიც პერსექტივაში სახელმწიფოს, საზოგადოების ან კომპანიის მაღალკონკურენტულ სტრატეგიულ განვითარებას უზრუნველყოფს.

ფორსაით-პროექტები, როგორც გრძელვადიანი პროგნოზირების თანამედროვე საერთაშორისო ტექნო-ლოგია, მრავალ ქვეყანაში განსხვავებული მეთოდ-ოლოგიით ტარდება. თუმცა, არსებობს ზოგადი მიდგ-ომებიც - საზოგადოებრივი ძალების ჩართულობა გრ-ძელვადიანი პროგნოზების შედარებასა და განხილვაში, განვითარების სტრატეგიაში, მომავლის კომპლექსურ ხედვაში და მისი მიღწევის გზების შეთანხმებაში.

ფორსაით-პროექტებს წარმატებით ამუშავებენ არა მარტო განვითარებული, არამედ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებშიც. მაგ., ამ სფეროში მდიდარი გამოცდილება დააგროვეს იაპონელებმა, ბრიტა-ნელებმა, გერმანელებმა. კერძოდ, იაპონიაში (სადაც ფორსაით-პროექტები ყოველ ხუთ წელიწადში ტარ-დება) ამჟამად მეათე კვლევისთვის ემზადებიან. დიდ ბრიტანეთში (რომელიც ფორსაითის სფეროში ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერია) უკვე სამი ციკლი ჩატარდა, აქედან, პირველმა ყურადღება გაამახვილა მეცნიერე-ბისა და ტექნოლოგიების სფეროს პერსპექტიული განვითარების შეფასებაზე, მეორემ - დანაშაულის პროფილაქტიკაზე, მოსახლეობის დაბერებაზე, ხოლო მესამემ - კიბერდანაშაულზე და ინფექციურ დაავადე-ბებზე. ამ ქვეყანაში საკმაოდ მაღალგანვითარებულია საგანმანათლებლო ფორსაითიც.

ფორსაით-კვლევები რეგულარულად ტარდება ჩი-ნეთში, კორეაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მსოფლიოში ფორ-საით-პროექტების რაოდენობა ათასობით აღირიცხ-ება. ფორსაით-პროექტების მონიტორინგის ევროპული პროგრამა (European Foresight Monitoring Net-work, EFMN) 2000-მდე კვლევას მოიცავს, რომელიც როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის, რეგიონის, დარ-გის ან კორპორაციის დონეზე ტარდება.

ცნობილია წარმატებული საერთაშორისო ფორ-საით-პროექტებიც. მაგ., მდინარე დუნაის ფორსაით-პროექტი. იმ ქვეყნების მკვლევრებმა, რომელთა ტერი-ტორიებზეც იგი მიედინება, ეკოლოგიური პრობლემე-ბის სამომავლოდ გადაწყვეტის გზები ერთობლივად შეიმუშავეს.

ლათინურ ამერიკაში ჩატარდა მეთევზეობისა და თე-ვზის მრეწველობის პროექტი იმ ქვეყნებისთვის, რომ-ლებიც წყნარი ოკეანის სანაპიროზე გადიან. ექსპერტე-ბის მიერ დამუშავებული წინადადებები განიხილეს

[1] ინგლ. Foresight - მომავლის ხედვა, წინასწარხედვა. არსე-ბობს საპირისპირო, უკუ ფორსაითი ანუ ჰინდსაითი (ინგლ. Hindsight) - წარსულის ხედვა, რეტროსპექტრული ხედვა.

სახელმწიფო დონეზე, რომელთა შორის მრავალი დაინერგა.

წარმატებული აღმოჩნდა კვიპროსის, მალტასა და ესტონეთის, როგორც ევროკავშირში შესული მცირე ქვეყნების ერთობლივი ფორსაით-პროექტი. ამ ქვეყნებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, მათ გააჩნიათ მსგავსი პრობლემებიც, რომელთა გადასაწყვეტად ერთობლივი მიდგომები შეიმუშავეს და სხვა მრავალი.

ფორსაით-პროექტები აქტიურად გამოიყენება არა მარტო სახელმწიფოს დონეზე, არამედ ბიზნესის სფეროშიც. მაგ., საავტომობილო კომპანია Daimler-ში ექსპერტები მომავლის პროგნოზზე მუშაობენ. ახალი ავტომობილის პროექტის შესადგენად ითვალისწინებენ არა მარტო საქონლის ტექნიკური გადაწყვეტის ან დიზაინის საკითხებს, არამედ მომავალში ადამიანის ცხოვრების სტილსა და თავისებურებებს. ექსპერტები ცდილობენ განსაზღვრონ თუ როგორი იქნება ადამიანის ცხოვრების სტილი 10-15 წლის შემდეგ და რომელი მიმართულებით განვითარდება მათი მოთხოვნები. ამით ისინი მომავალი მომხმარებლის ერთგვარ პორტრეტს ქმნიან. ასეთი კვლევა საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად განისაზღვროს თუ როგორი სტილის, დიზაინისა და ტექნიკური პარამეტრების ავტომობილს მიენიჭება უპირატესობა მომავალში და რა ძირითადი ფუნქციების მატარებელი იქნება იგი.

ფართო აღიარება მოიპოვა კომპანია Shell-ის ფორსაით-პროექტებმა. ამ კომპანიის ექსპერტებმა ენერგეტიკის ბაზრის პერსპექტიული განვითარების 15-20 წლიანი პროგნოზი გააკეთეს. ამავე სფეროს მიეკუთვნება საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზებიც.

ფორსაით-პროექტებს ნაყოფიერად იყენებენ სოციალურ სფეროშიც. მაგ., გერმანული ფორსაით-პროექტი „Futur“, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სოციალურ ხასიათის საკითხებსაც (დასაქმება, კეთილდღეობა და სხვ.) ითვალისწინებს.

უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ცალკეული ქვეყნებისა და მსხვილი კომპანიების მიერ ათასამდე ფორსაით-პროექტი დამუშავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ფორსაითსა და პროგნოზირების სხვა მეთოდებს შორის გარკვეული მსგავსება შეიმჩნევა, მათ შორის კონცეპტუალური განსხვავება არსებობს. პროგნოზი რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარი განჭვრეტის ვარიანტია, რომელიც მეცნიერული კვლევის შედეგად არსებული ტენდენციების გათვალისწინებით მიიღება. **ფორსაითი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არაა გამიზნული სავარაუდო მომავლის შეცნობისაკენ, იგი სასურველი მომავალის ფორმირების მიზნით კეთდება. თუ პროგნოზი პასუხობს კითხვაზე „როგორი იქნება მომავალი?“, მეორესთვის არსებითია, თუ „როგორი გვინდა იყოს მომავალი“** (იხ. ცხრილი 1).

| ორიენტირი, პრინციპი | ფორსაითი | პროგნოზირება |
|---|---|---|
| მიზანი | სასურველი მომავლის მიღწევა | მომავლის განჭვრეტა |
| ჩართულობა | ფართო საზოგადოება | მეცნიერ-ექსპერტები |
| კომუნიკაცია | აუცილებელია კონსენსუსის მისაღწევად | არაა პრინციპული ფაქტორი |
| კვლევის ჰორიზონტი | ჩვეულებრივ, 15-20 წელი, ზოგჯერ გაცილებით მეტი | დამოკიდებულია მონაცემების დინამიურ მწკრივზე. საშუალოდ უფრო მცირე, ვიდრე ფორსაითის შემთხვევაში |
| კოორდინაცია | განვითარება ფასდება სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან უწყვეტ კავშირში | ძირითადად, ფოკუსი კეთდება საგნობრივ სფეროზე |
| კონსენსუსი | აუცილებელია | არაა აუცილებელი |
| ექსპერტიზა | სჭარბობს ექსპერტული მეთოდები | სჭარბობს რაოდენობრივი მეთოდები |
| ალტერნატიულობა | განიხილება ალტერნატიული ვარიანტები | განიხილება საბაზო ვარიანტი |
| სისტემურობა | პროგნოზი მოიცავს არა მარტო საგნობრივ სფეროს, არამედ გარე ფაქტორებსაც | პროგნოზი კეთდება კონკრეტულ სფეროში |

ცხრილი 1. **ფორსაითისა და პროგნოზირების შედარებითი ანალიზი**

თუ პროგნოზი მოლოდინის პასიურ რეჟიმში გვამყოფებს, ფორსაით-პროექტი მის შესრულებაზე აქტიური მონიტორინგის დაწესებას გვაიძულებს, რომ ხელმისაწვდომი ინოვაციური რესურსები ჩვენთვის სასურველი და დასახული სამეცნიერო-ტექნიკური (ტექნოლოგიური) ამოცანების შესასრულებლად წარვმართოთ.

გარდა ამისა, ფორსაით-პროექტები სხვადასხვა დონეზე (რეგიონი, სახელმწიფო. ეკონომიკის კონკრეტული დარგი/სეტორი, საწარმო) ხორციელდება, რითაც ხელს უწყობს ინოვაციური სტრატეგიების შემუშავებას და ეროვნული კონკურეტუნარიანობის გაძლიერება-განმტკიცებას.



**დელფოს ტაძრის ნანგრევები**

ფორსაით-პროექტებში გამოიყენება ცოდნის მართვის „დელფოს"[1] მეთოდი. იგი „ექსპერტული შეფასების" მეთოდების ერთ-ერთი გავრცელებული და შედარებით პოპულარული ვარიანტია[2].

---

1 იგივე „დელფოს ორაკულის მეთოდი". „დელფო" - ძველი ბერძნული დასახლება პარნასის მთის ძირას (ძვ.წ. VIII ს.), მსხვილი რელიგიური ცენტრი, სინათლის, მეცნიერების, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთის, აპოლონის სახელგანთქმული ტაძრითა და სამისნოთი. დელფოს ორაკულის (წინასწარმეტყველების) ქურუმი (კულტის მსახური, ღმერთებსა და ადამიანებს შორის შუამავალი), მისანი ქალი პითია (სივილა), რიგით მაცხოვრებლებსა და მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს, მათ თხოვნაზე ღვთაება აპოლონის ნება-სურვილს ამცნობდა ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის შესახებ; გადატანითი მნიშვნელობით ორაკულს უწოდებენ ისეთ ადამიანს, რომლის მსჯელობაც გარდუვალ, უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებლად მიიღება.

2 ხშირად, დელფოს მეთოდს „გონებრივი შეტევის" ერთ-ერთ მეთოდად თვლიან. თუმცა, „გონებრივი შეტევის" მეთოდებისთვის დამახასიათებელია იდეების კოლექტიური გენერაცია, ანუ გარკვეული წესების დაცვითა და თანამიმდევრობით, სპეციალისტების მიერ რაიმე გადაწყვეტილების (ან პრობლემის შეფასების) კოლექტიურად მიღება. დელფოს მეთოდის შემთხვევაში კი, ექსპერტები თავიანთ შეფასებებს დამოუკიდებლად იღებენ, რომელთა განზოგადება ანალიტიკური ჯგუფის მიერ ხდება.

დელფოს მეთოდი რაიმე პრობლემური საკითხის შესახებ სპეციალისტების ფართო წრის მიერ ექსპერტული შეფასებების საფუძველზე ტარდება და მმართველობითი გადაწყვეტილების საუკეთესო ვარიანტის ასარჩევად გამოიყენება. დელფოს მეთოდი ითვალისწინებს ექსპერტული შეფასებების ორგანიზაციასა და შედეგების მათემატიკურ დამუშავებათ.

დელფოს მეთოდი 1950-ან წლებში აშშ-ის კორპორაცია RAND-ში სამხედრო სტრატეგიული და ტექნიკური პრობლემების კვლევისთვის დაამუშავეს (ავტორები: ო. ჰოლმერი, თ. გორდონი და სხვები). თავდაპირველად, ამ მეთოდის მიზანი იყო ომის წარმართვის მეთოდზე სამომავლო სამეცნიერო დამუშავებათა გავლენის პროგნოზირება. დღეს იგი მრავალ სფეროში, მათ შორის, ბიზნესის მართვაში გამოიყენება.

ცოდნის მართვის დელფოს მეთოდის მიზანია, საკვლევ პროფილში აღიარებული მეცნიერ-სპეციალისტებისა და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლების (ზოგადად, ექსპერტების) მიუკერძოებელი შეხედულებების მრავალჯერადი ურთიერთგაცვლისა და შეფასებების მაქსიმალური კონსენსუსის მიღწევით, პერსპექტიული განვითარების უზრუნველსაყოფად, მმართველობითი გადაწყვეტილების საუკეთესო ვარიანტის მიგნება.




**მიქელანჯელო. დელფოს მისანი სივილა. ვატიკანი. რომი.**

ცოდნის მართვის დელფოს მეთოდის საბაზო მიდგომად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ დამოუკიდებელი სპეციალისტები და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლები (ხშირად, ერთმანეთისთვის

სრულიად უცნობები) უფრო უკეთესად აფასებენ არსებული სიტუაციის სირთულეს და ობიექტურად ვარაუდობენ მოსალოდნელ შედეგებს (აკეთებენ გრძელვადიან პროგნოზებს), ვიდრე პიროვნებების სტრუქტურიზებული ჯგუფები (კოლექტივი). ამით თავიდან იცილებენ განსხვავებული პოზიციების მქონეთა დაპირისპირებას, გამოკითხულთა ერთმანეთთან უშუალო კონტაქტს, მათ ჯგუფურ გავლენას, ავტორიტეტის ან უმრავლესობის დიქტატს.

**დელფოს მეთოდის თავისებურებებია:** ამ პროცესის მრავალსაფეხურიანობა, ექსპერტების ანონიმურობა და საკვლევი საკითხის დაუსწრებლად შეფასება.

**დელფოს მეთოდის მონაწილე სუბიექტებია:**

ა) ექსპერტები და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლები, რომლებიც დასმულ კითხვებს წერილობითი ფორმით ინდივიდუალურად პასუხობენ;

ბ) სპეციალური საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც ადგენს გამოკითხვის ანკეტას, უზრუნველყოფს გამომკითხველებს აუცილებელი ინფორმაციით, ამუშავებს და აჯამებს მათგან მიღებულ მასალებს და აყალიბებს მმართველობითი გადაწყვეტილების პროექტებს.

**დელფოს მეთოდი 5 ეტაპად ტარდება:**

**1-ლი ეტაპი — სპეციალური საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფის ფორმირება** (კომპანიისთვის ოპტიმალურია 5-7 კაცი). ჯგუფის ამოცანაა ექსპერტული გამოკითხვის ორგანიზაცია;

**მე-2 ეტაპი — ექსპერტებისა და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლების შერჩევა;**

**მე-3 ეტაპი — შეკითხვების კვალიფიციურად ფორმულირება:**

- არსებული პრობლემის განსაზღვრა-დასაბუთება და მასზე მოქმედი ფაქტორების დადგენა;
- გამოკითხვის ანკეტის პირველი ვარიანტის მომზადება.

**მე-4 ეტაპი - ექსპერტიზის მომზადება:**

- ექსპერტიზის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების შერჩევა;
- ექსპერტებისთვის კითხვარის გაგზავნა და მისი სრულყოფის (დამატება, გამოკლება, დაზვეწა) შეთავაზება. მათგან მიღებული პასუხების საფუძველზე საერთო კითხვარის შედგენა და ექსპერტებისთვის გამეორებით გაგზავნა;
- ექსპერტების მიერ საერთო კითხვარის შეფასება და თავიანთი მოსაზრებების კვლავ საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფისთვის დაბრუნება;
- საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფის მიერ ექსპერტებიდან მიღებული ვარიანტების ერთმანეთთან შეჯერება, კითხვარის საბოლოო ვარიანტის შემუშავება (შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ეს პროცედურა კონსენსუსის მიღწევამდე მეორდება) და ექსპერტებისთვის კვლავ გაგზავნა;
- ექსპერტების მიერ კითხვარის საბოლოო ვარიანტის დადასტურება.

**მე-5 ეტაპი - გამოკითხვის ტურების ჩატარება და შედეგების შეჯამება:**

- გამოკითხვის 1-ლი ტურის ჩატარება. ექსპერტების მიერ მიცემულ კითხვებზე დასაბუთებული პასუხების გაცემა, მოცემული პრობლემის გადაწყვეტის ეფექტურობისა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის ასპექტების გათვალისწინებით. ანალიტიკური ჯგუფის მიერ მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და ექსპერტებისთვის გამოკითხვის საერთო შედეგების გაცნობა;
- ექსპერტების მიერ თავიანთი თავდაპირველი მოსაზრებების კრიტიკულად გააზრება, არგუმენტირებულად კორექტირება ან ადრინდელ შეხედულებაზე დარჩენა (ამ შეთხვევაში საჭიროა კონტრარგუმენტების მოხმობა). ამასთან, აუცილებელია ექსპერტების ანონიმურობის მკაცრად დაცვა და გამოკითხვის მე-2 ტურის ჩატარება (თუ საჭიროა მე-3 ტურისაც);
- ანალიტიკური ჯგუფის მიერ ექსპერტებიდან მიღებული შეფასებების მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით დამუშავება, დასკვნების განზოგადება და რეკომენდაციების შედგენა.

**დელფოს მეთოდის გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას:**

1. ექსპერტების ჯგუფი - სტაბილური და მათი შემადგენლობა გონივრული (თუმცა, რაც მეტი, მით უკეთესი. შესასწავლი საკითხის სირთულისა და რეზონანსულობის გათვალისწინებით, მათი რაოდენობა შეიძლება ასობით იყოს. კერძო ბიზნეს კომპანიისთვის ოპტიმალურია 15-18 ექსპერტი.);
2. გამოკითხვის ტურებს შორის ინტერვალი - არა უმცირეს ერთ თვე;
3. ანკეტის კითხვები - საკვანძო საკითხების შესახებ კარგად მოფიქრებული, ლაკონურად და მკაფიოდ ფორმულირებული;
4. გამოკითხვის ტურები - საკმარისი (მინიმუმ 2 მაინც), რომ ექსპერტებმა პრობლემის მიზეზების გაცნობა და მათი კრიტიკული შეფასება უზრუნველყონ.

**დელფოს მეთოდს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.**

ცნობილია, რომ კოლექტიური ცოდნა საუკეთესო გადაწყვეტილების მისაგნებად უფრო ეფექტურია, მაგრამ, ხშირად, შემფასებელთა აზრების გაცვლის დროს, კოლეგის ავტორიტეტის გავლენა საკმაოდ ძლიერია და პასუხებიც უფრო მეტად ტრივიალური (სიახლეს, ორიგინალურობას მოკლებული).

ცოდნის მართვის დელფოს მეთოდი ამ დიალექტიკურ წინააღმდეგობას აგვარებს, რადგან ექსპერტების ერთობლივი ზეპირი დისკუსიები იცვლება ინდივიდუალური, ანონიმური და წერილობითი გამოკითხვებით, ხოლო მიღებული შედეგები მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით მუშავდება. განზოგადებული პასუხები ყოველ ექსპერტს ჩვეულებრივი ან ელექტრონული ფოსტით გადაეცემა. აუცილებლობის შემთხვევაში, ექსპერტს თავისი წინანდელი აზრის დაზუსტებაც შეუძლია.

**უარყოფითი მხარეებიდან მნიშვნელოვანია:**

- გამოკითხვის ჩასატარებლად დიდი დრო და შრომატევადი ორგანიზაციული მომზადება;
- საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფის დიდი უფლებები და მის წინაშე ექსპერტების დაუცველობა;
- პრობლემის ოპერატიულად გადაწყვეტის შეუძლებლობა. (მოცემული მეთოდი ეფექტურია მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, სტრატეგიული დაგეგმვის დროს);
- პრობლემური საკითხის პროფილით დამოუკიდებელი ექსპერტების შერჩევის სირთულე და ამგვარი კვლევების ჩატარების იშვიათობა;
- ექსპერტების სწრაფვა კომფორმიზმისაკენ (სხვისი შეხედულებების გათვალისწინებით გადაწყვეტილების შეცვლა), მათი მცდელობა მოხვდნენ უმრავლესობაში;
- ექსპერტების მიერ თავიანთი მოსაზრებების (არგუმენტების) წერილობითი ფორმით ნათლად, ლაკონურად და სრულყოფილად გადმოცემის სირთულე;
- ექსპერტების სუბიექტური შეფასებების მაღალი, ხოლო მოტივაციის დაბალი ხარისხი;
- ექსპერტების შეფასებების სპორადული (არამუდმივი, არასაყოველთაო) ხასიათი და სხვ.

ექსპერტების შეხედულებებიდან ნაერთი დასკვნების მისაღებად, აუცილებელია მათი შეფასებები რიცხვების სახით (ქულები, ბალები, პროცენტები), ანუ რაოდენობრივ პარამეტრებში იყოს წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ცოდნის მართვის დელფოს მეთოდს აქვს მრავალი უპირატესობა ექსპერტული შეფასების იმ მეთოდებთან შედარებით, რომლებიც ინდივიდუალური გამოკითხვების შედეგების ჩვეულებრივი სტატისტიკური მეთოდებით მუშავდება. გარდა ამისა, დელფოს მეთოდი საშუალებას იძლევა მშვიდ გარემოში ანონიმურად მივიღოთ კვალიფიციური სპეციალისტების დამოუკიდებელი შეფასებები, რითაც თავიდან ავიცილებთ პიროვნულ დაპირისპირებებსა და მასთან დაკავშირებულ მრავალ უსიამოვნებას.

რა უშლის ხელს ფორსაით-პროექტების განხორციელებას ჩვენ ქვეყანაში? უპირველესად, ხანგრძლივ, სტრატეგიულ პერსპექტივაში განვითარების შესაძლო მიმართულებების განსაზღვრის არასაკმარისი კულტურა. ჩვენი შეხედულებით, ქართულ საწარმოთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია განვითარების არა გრძელვადიანი, არამედ მოკლევადიანი (1-2 წელი) ხედვა. მნიშვნელოვანია კვალიფიციური სპეციალისტებისა და მიუკერძოებელი პირების უკმარისობა. გარდა ამისა, ფორსაით-პროექტები საკმაოდ ძვირადღირებულია. ღარიბია ექსპერტული საზოგადოების ფორმირების ტრადიციებიც.

აღნიშნულის მიუხედავად, დროა ჩვენთანაც შეიქმნას ფორსაით-პროექტების შემუშავების პრაქტიკა, რადგან საკვლევი და სამომავლოდ გასარკვევი საკვანძო პრობლემები ძალზე ბევრია.

## ლიტერატურა:


1. van Steenbergen, Bart: Scenarios As a Powerful Tool for Public Policy. As presented at the Prague Workshop on Futures Studies Methodology, October, 2005, http://ceses.cuni.cz/english/051019.php. To be published in the proceedings.
2. Ratcliffe, John: Challenges for Corporate Foresight: Towards Strategic Prospective Through Scenario Thinking (presented at the conference "Foresight Management in Corporations and Public Organizations", http://www.tukkk.fi/tutu/conference2005, Helsinki, 2005.
3. C. Daheim and G. Uerz, "Corporate foresight in Europ e: from trend based logics to open foresight," Technology Analysis & Strategic Management, vol. 20, pp. 321-336, 2008).
4. Schwarz, J.-O. (2008) Assessing the future of futures studies in management, Futures, Vol. 40,

Iss. 3, 237-246.
5. Rohrbeck, Rene (2010) Corporate Foresight: Towards a Maturity Model for the Future Orientation of a Firm, Springer Series: Contributions to Management Science, Heidelberg and New York, ISBN 978-3-7908-2625-8.
6. Rohrbeck, R., S. Mahdjour, S. Knab, T. Frese (2009) Benchmarking Report - Strategic Foresight in Multinational Companies Report of the European Corporate Foresight Group: Berlin, Germany.
7. Rohrbeck, R. H.G. Gemuenden (2011) Corporate Foresight: Its Three Roles in Enhancing the Innovation Capacity of a Firm" Technological Forecasting and Social Change, 78(2), 231–243.

***Guram Jolia***
Full professor at GTU

**The "Delphi" method of knowledge management in state and business foresight projects**

**SUMMARY**

In the last thirty years the world society works on foresight projects on the problems of strategic significance and directs its innovative potential to its fulfillment.

The foresight projects conceptually differ from the long term prognosing. Namely, the prognosis is a statement that some outcome is expected based on certain development of facts, which is identified by the current tendencies. The foresight is not entitled to the understanding of possible future, created for the formation of desirable future. The prognosis answers the question "How the future will be", in the second case – foresight – it is essential "How we want the future to be".

The prognosis leaves us in the passive regime of expectation, while the foresight-project makes us to think about its fulfillment – to set active monitoring and lead available innovative resources towards performing desirable and identified scientific-technical tasks. The foresight-projects promote the development of innovative strategies and advancing the national competitiveness.

The Delphi method of knowledge management used in the foresight-projects is widely used for the identification of the best option for management decision and for providing the prospective development, with its achievement of consensus by changing views and evaluating the ideas.

# ტექნოპარკები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები

## ზონალური პოლიტიკისა და სისტემური მართვის ორგანიზაციულ - კორპორაციული ფორმები. თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში

*რამაზ სიჭინავა სტუ-ს დოქტორანტი*

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა დაკავშირებულია სამეურნეო საქმიანობის მართვის ლოკალური სისტემების ფორმირებასთან. სპეციალისტთა აზრით, არსებობს ორი აუცილებელი პირობა თვისუფალ-ეკონომიკურიზონის მართვის ნორმალური პროცესის ორგანიზაციისათვის:

1. ზონალური პოლიტიკის ეროვნული ორგანოები უნდა ფლობდნენ შესაბამისი პოლიტიკური ძალაუფლებით შექმნილი ზონების ინტერესების დაცვას. სასურველია, რომ ეს ორგანოები შედიოდნენ სახელმწიფო აღმასრულებელი ძალაუფლების ადმინისტრაციულ სტრუქტურებში და არ იყვნენ რომელიმე სპეციალიზებული უწყების დაქვემდებარებაში.

2. ყველა ზონას უნდა ჰქონდეს მკვეთრად განსაზღვრული და ძლიერი მართვის სისტემა, სპეციალური ორგანოს ხელმძღვანელობით.

ზონის მართვის მოდელის შერჩევა დამოკიდებულია მრავალ პარამეტრზე: მის ტიპზე, ტერიტორიის სიდიდეზე, მიმღები ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის თავისებურებებზე, კერძო სექტორის განვითარებასა და ქვეყანაში კაპიტალის ბაზარზე.

ზონის მართვა ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებით ან ამ მიზნისთვის შექმნილი სპეციალური ზონალური ადმინისტრაციის მიერ. რიგ შემთხვევაში მართვას ასრულებს სპეციალური უფლებამოსილი ფიზიკური პირი – დირექტორი, კომისარი, ინსპექტორი, ოპერატორი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი. ზონის ადმინისტრაციული ხელისუფლება, თავის მხრივ გადასცემს მის სამეურნეო საქმიანობის მართვას განსაზღვრულ ფირმას, რომელიც იძენს ზონალური განვითარების კომპანიის სტატუსს.

ჩვეულებრივი ზონის განვითრების კომპანიას აქვს სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და შეიძლება იყოს ზონალური ადმინისტრაციის მთლიან საკუთრებაში ან კონტროლდებოდეს მის მიერ. ზონალური ხელისუფლება სააქციო საზოგადოების ფორმით ინარჩუნებს საკონტროლო პაკეტს 51%-ის ოდენობით.

ზონის განვითარების კომპანიას მართავს დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგება მთავრობის, ადგილობრივი ორგანოებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ ზონის განვითარების სტრატეგიას. არსებობს აგრეთვე მმართველი საბჭო, რომელიც პასუხს აგებს ზონის ოპერატიულ მართვაზე. თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარების კომპანიის ფუნქციებში შედის: 1. თავისუფალი ეკონომიკური ზონის ტერიტორიის მშენებლობა და ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობა; 2. საკუთრების და იჯარით გასაცემი უძრავი ქონების ფლობა, იჯარით გაცემა და სხვა ოპერაციები ზონის ტერიტორიაზე; 3. ზონის განვითარებისათვის საფინანსო რესურსების მობილიზაცია; ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების ჩატარება; 4.ზონაში უცხოელი ინვესტორების მოზიდვა და მათთან მოლაპრაკების ორგანიზაცია; 5. საშუამავლო საქმიანობა. ინვესტორების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ეკონომიკურიკავშირების უზრუნველყოფა, მათი გადამზადება და სწავლება. მ ს ო ფ ლ ი ო შ ი თავისუფალი ეკონომიკური ზონის მართვის სისტემური ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეიძლება გამოიყოს მართვის რამდენიმე ვარიანტი:

1.ზონა, რომელიც იმართება სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ;

2.ზონა, რომელიც იმართება ადგილობრივ-მუნიციპალური ორგანოების მიერ.

ზონებს, რომლებიც იმართება სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, შეიძლება ჰქონდეთ ერთი ან მრავალ რგოლიანი მართვის სისტემა. პირველ შემთხვევაში ზონა ადმინისტრაციულად

კონტროლდება უშუალოდ ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ. მეორე შემთხვევაში - ადგილობრივი ორგანოების მიერ, მაგრამ დამატებითი კონტროლით ცენტრალური ორგანოების მხრიდან. რაც მაღალია ზონის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტატუსი, მით ფართოა შეღავათების სისტემა, რამდენადაც მრავალ მათგანს თვით ზონის დამფუძნებელი აწესებს. ზონები, რომელთაც მართავენ კერძო ფირმები, იშვიათია. დღესდღეობით ასეთი ზონები არსებობენ მხოლოდ მექსიკაში, პოლონეთში, დომინიკის რესპუბლიკაში. ფორმალურად ასეთ ზონებში ადმინისტრაციული ძალაუფლება ეკუთვნის შესაბამის ტერიტორიულ-სახელმწიფო ორგანოს, რომელიც გადასცემს თავის უფლება-მოსილებას კერძო ფირმას კანონის საფუძველზე.

პირობითად შეიძლება დაიყოს თვისუფალი ეკონომიკური ზონების მართვის ტიპები სამ ჯგუფად: სახელმწიფო ადმინისტრაციული მართვა, კორპორაციული მართვა, შერეულიადმინისტრაციულ-კორპორაციული მართვა.

სახელმწიფო ადმინისტრაციული მართვა ეფუძნება ზონაში სპეციალურ სახელმწიფო ადმინისტრაციის შექმნას, რომელსაც ენიჭება ზონის შექმნისა და ფუნქციონირების პროცესების ხელმძღვანელობის ფუნქცია. ეს ფორმა ფართოდ გამოიყენება მრავალ ქვეყანაში საექსპორტო წარმოების ზონების მართვისას. მართვის აღნიშნული ფორმის გამოყენებისას ხორციელდება ზონის ინფრასტრუქტურული მოწყობის დაფინანსება, ძირითადად სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე, ხოლო ზონალური ადმინისტრაცია ორგანიზებას უკეთებს მათ გადანაწილებას სხვადასხვა საპროექტო, სამშენებლო და სხვა ფირმებზე. ადმინისტრაციას შეუძლია დაუშვას კანონით სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების კოორდინაცია, რომლებიც ეწევიან ზონალური ინვესტორების ამა თუ იმ მომსახურეობას.

ადმინისტრაციული მართვის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს თავისუფალი საექსპორტო ზონა „მასანი", სამხრეთ კორეაში, რომელიც ხასიათდება მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებით. ზონა ,,მასანის" ადმინისტრაციას ენიჭება შემდეგი ძირითადი ფუნქცია:

1. სხვადასხვა სახის სერვისული მომსახურების ორგანიზაცია;

2. რეკომენდაციების მიცემა ზონაში განლაგებული საწარმოებისათვის და ნებართვის გაცემა მომსახურე მშენებლობაზე;

3. საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების გაცემა;

ზონა „მასანის" ადმინისტრაციის დირექტორი ინიშნება ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მიერ და ექვემდებარება მას. ფინანსთა სამინისტროს ფუნქციაა უცხოური ინვესტიციების განხორციელებაზე ნებართვის მიცემა და გაუქმება. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ფუნქციაა ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე კონტროლი, ნედლეულისა და მასალის მიწოდებაზე შესაბამისი ლიცენზიების გაცემა. მუნიციპალური ხელისუფლების ფუნქციაა სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე კონტროლი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციაა უცხოელ მოქალაქეთა და ფირმების მიერ საკუთრების შეძენაზე კონტროლი. ზონაში საწარმოო საქმიანობის მომსახურეობის მრავალ ფუნქციას საბანკო და სადაზღვევო ოპერაციებზე, ტრანსპორტირებაზე, საწყობებში საქონლის მოთავსებაზე, საქონლის დატვირთვასა და შეფუთვაზე და ა.შ. უზრუნველყოფენ დამოუკიდებელი ფირმები. ზონის ადმინისტრაცია ნებას რთავს ზონის ტერიტორიაზე ამ ფირმების მუშაობას და უზრუნველყოფს მათთვის აუცილებელ პირობებს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების მართვის კორპორაციულიფორმის გამოყენებისას ზონის შექმნისა და ფუნქციონირების პროცესის ხელმძღვანელობის ფუნქცია ეკისრება სპეციალურად შექმნილ კორპორაციას, სახელმწიფო ან კერძო აქციონერულ ფირმებს. მართვის მოცემული ფორმა, როგორც სახელმწიფო-ადმინისტრაციული ტიპის ფორმა, საკმაოდ ფართოდ გამოიყენება საექსპორტო წარმოების და მის მსგავს ზონებში.

თავისუფლი ზონის განვითარების კორპორაციის ფუნქცია, ეს არის თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარების დაგეგმვა, ზონის სამეურნეო ინტერესების წარდგენა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ - რეკლამის, ინვესტიციების მოზიდვის ღონისძიებების ჩათვლით და ა.შ. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაცია, საწარმოო დაწესებულებისა და ნაკვეთების მოწყობა, იჯარით გადაცემა, შრომითი რესურსების პროფესიონალური მომზადება და მოზიდვა.

მართვის კორპორაციული ფორმის მთავარი თავისებურებაა, ამა თუ იმ ზომით, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისა და განვითარების თვითდაფინანსების პროცესის უზრუნველყოფა, რაც მეტად მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის. სახელმწიფო კორპორაციები თავიანთ საქმიანობას იწყებენ თავისუფალი ზონის მოწყობისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სუბსიდიების ხარჯზე, მაგრამ თანდათანობით იგი გადაჰყავთ თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპზე, მიწის ნაკვეთებისა და საწარმოო მოედნების იჯარიდან მიღებული შემოსავლებით, ზონის ინვესტორებზე სხვადასხვა

სახის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით. ზონის განვითარების კორპორაცია შეიძლება ფლობდეს ზონაში განლაგებული საწარმოების აქციების განსაზღვრულ პროცენტს.

**შენონის თავისუფალი ეკონომიკური ზონა** - სახელმწიფო კორპორაციული მართვის სისტემის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს თვისუფალი საწარმოო ზონა „შენონის" (ირლანდია) მართვის მაგალითი. ზონას ხელმძღვანელობს სახელმწიფო აეროპორტ „შენონის" თავისუფალი ზონის განვითრების კომპანია. მთავრობამ შეძლო მოეზიდა ზონაში 100-ზე მეტი ფირმა და კომპანია, რომლებშიც დასაქმებულია 50 თასი კაცი. ამასთან ერთად რიგ ქვეყნებში არსებობს თვისუფალი ზონების მართვის საკმაოდ მაღალმომგებიანი კერძო კომპანიების მაგალითები.

ეს ფორმა გამოიყენება ლათინური ამერიკის ქვეყნებში, კერძოდ, მექსიკაში. თავისუფალი ზონის მართვის ადმინისტრაციული ორგანოებისაგან განსხვავებით, კორპორაციული ტიპის ორგანოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ თავიანთ შიგა სტრუქტურას და პერსონალის ანაზღაურებას.

ზონა „შენონის" განვითარების პირველ ეტაპზე არ შეიმჩნეოდა უცხოელი ინვესტორების მნიშვნელოვანი აქტიურობა. მისი ფუნქციონირების პირველ წლებში წარმოების საშუალებები აქ განალაგა მხოლოდ ორმა უცხოურმა ფირმამ. ამან აიძულა კორპორაცია შეემუშავებინა უცხოელი ინვესტორების მოძებნისა და მოზიდვის კომპლექსური პროგრამა. მომზადდა და გავრცელდა ზონის შესაძლებლობებზე სარეკლამო ბროშურები და საინფორმაციო მასალები, პრესაში სარეკლამო პუბლიკაციები, გარდა ამისა, რვა ქვეყანაში დაწესდა კორპორაციის მუდმივი წარმომადგენლობა.

ამ ღონისძიებებმა მოიტანა მნიშვნელოვანი შედეგები — ზონაში ინვესტიციების ნაკადი შესამჩნევად გაიზარდა. თავისუფალი ზონა „შენონის" განვითარების კორპორაციაში საორგანიზაციო გეგმით შეიქმნა სტრატეგიული და ოპერატიული დონის ხელმძღვანელობის განყოფილება. მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დირექტორთა საბჭო. მისი წევრები ინიშნებიან ირლანდიის სამთავრობო ორგანოების მიერ ტრანსპორტისა დ ენერგეტიკის სამინისტროების მიერ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ამიტომ მათი ნაწილი სახელმწიფო ჩინოვნიკები არიან, ხოლო სხვებიკერძო ბიზნესის წარმომადგენლები. დირექტორთა საბჭოს წევრები დამოუკიდებლად ირჩევენ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს. დირექტორთა საბჭო დაკავებულია მხოლოდ მეტად მნიშვნელოვანი, კორპორაციის საქმიანობის „პოლიტიკური" საკითხებით. მიმდინარე, ოპერატიულ საქმეებზე ხელმძღვანელობა ეკისრება კონტრაქტით დაქირავებულ ხელმძღვანელ-გენერალურ მენეჯერს და მის სამ მოადგილეს.

ადმინისტრაციულ-კორპორაციული მართვა წარმოადგენს თავისუფალი ზონის მართვის ორი ფორმის კომბინაციას. ამისათვის ეწყობა ზონის მართვის გამიჯვნა.

ადმინისტრაციულ-კორპორაციული მართვის პირობებში ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ფინანსდება ცენტრალური და რეგიონული მთავრობის დონეზე, ევალება ზონის განვითრების საერთო სტრატეგიისა და გენერალური გეგმების დამუშავება, ხოლო სამეურნეო ფუნქციის მქონე ორგანოს ზონის განვითარების კორპორაციას ევალება დამუშავებული სტრატეგიისა და გეგმების რეალიზაციის ორგანიზაცია. საერთო კონტროლი განვითარების კორპორაციის საქმიანობაზე აკისრიათ ადმინისტრაციულ ორგანოებს.

ადმინისტრაციულ-კორპორაციული მართვა, როგორც წესი, გამოიყენება შედარებით მსხვილი თავისუფალი ზონების ხელმძღვანელობისათვის. თავისუფალი ზონების მართვის ეს ფორმა უფრო ხშირად გამოიყენება ჩინეთში, სადაც თავისუფალი ეკონომიკური ზონის მართვის უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს კანცელარია თავისუფალი ზონების საკითხებზე.

აღნიშნული ორგანო ამუშავებს ზონების განვითარების ძირითად პოლიტიკურ დებულებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას. მას ევალება სხვა უწყებების საერთო ხელმძღვანელობა. თავისუფალი ეკონომიკური ზონების ადმინისტრაციულ-კორპორაციული მართვის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს „შენჟენის" მართვის სისტემა. გუანდუნის პროვინციაში, სადაც მდებარეობს ზონა, აქვე შექმნილია თავისუფალი ზონის მართვის კომიტეტი, რომელიც ამუშავებს განვითარების გეგმებს, იხილავს, ამტკიცებს და არეგისტრირებს საინვესტიციო პროექტებს, არეგულირებს შრომისა და ხელფასის საკითხებს. თავისუფალი ზონა „შენჟენი" იმყოფება კომიტეტის უშუალო დაქვემდებარებაში. ზონის სამეურნეო საქმიანობის საორგანიზაციო ცენტრს წარმოადგენს განვითარების კომპანია, რომელსაც ევალება კაპიტალური მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობა, ჩინეთისა და საზღვარგარეთის პარტნიორებს შორის მოლაპარაკების კოორდინაცია. კომპანია მჭიდრო კონტაქტშია, პროვინციებისა და ქალაქის ხელისუფლებასთან, გარდა ამისა, ჰყავს წარმომადგენლობები საზღვარგარეთ, რომლებიც ძირითადად მუშაობას წარმართავენ უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად.

## ლიტერატურა


1. გ. გამსახურდია. ჟურნალი „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“. 1998წ №7.
2. „საინვესტიციო გარემო და ინვესტირების თავისებურებები თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში”. ჟურნალი „ეკონომიკა“ (მეცნიერება პარქტიკა გამოცდილება ) _ თბილისი, 2012, №1-2, გვ. 21-25.
3. „თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარების ხელმშეწყობი მაკროეკონომიკური ფაქტორები“. _ ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები). - თბილისი 2011, №5(17), გვ.36-39.
4. ანზორ აბრალავა „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია“ თბილისი„ინოვაცია“ 2005 წელი.


## SUMMARY


The paper described the different countries, the establishment of free economic zones in zonal policy management system and corporate governance organizational forms. This is analyzed in terms of the particular organization, Achievement, management-initiated inter-entity concept formation and development of management strategies for generating conditions, incentives and benefits system. World experience shows that the success of the functioning of free economic zones, based on well control systems and strategy development.

# ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

## ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები, როგორც უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვისა და ხელშეწყობის სამართლებრივი ინსტრუმენტები

*გიორგი ხატიძე*
*კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი*

### შესავალი

ნებისმიერ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების განხორციელება ხელს უწყობს ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას.[1] შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა პრიორიტეტულია მრავალი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისთვის,[2] თუმცა, ხშირ შემთხვევაში უცხოური ინვესტიციების განხორციელებას თან ახლავს გარკვეული რისკები უცხოელ ინვესტორთათვის. შესაძლებელია გამოვყოთ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ტიპის რისკი. ესენია: კომერციული რისკი და პოლიტიკური რისკი.[3] ზემოაღნიშნულთაგან პირველი ტიპის რისკი მეტნაკლებად რეგულირებადია, რადგან მისი გათვლა დამოკიდებულია ინვესტორის მიერ ბიზნესსაქმიანობის წარმართვის ნიჭსა და გამოცდილებაზე, ხოლო მეორე გაცილებით პრობლემატურია და ნაკლებად განჭვრეტადი.[4]

პოლიტიკური რისკი ხასიათდება ისეთი გარემოებებით, რომელთა გაკონტროლებაც თითქმის შეუძლებელია უცხოელი ინვესტორის მიერ, მომდინარეობს იმ სახელმწიფოს მხრიდან, სადაც ხდება ინვესტიციის შესვლა და ხასიათდება ისეთი გარემოებებით, რომლებიც ზიანს აყენებს უცხოელ ინვესტორს, ნეგატიურად მოქმედებს მის მიერ ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებზე და არღვევს უცხოელი ინვესტორის უფლებებს.[5]

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეგულირება, პოლიტიკური რისკებისგან უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაზღვევა და ასეთი ინვესტიციების დაცვა და ხელშეწყობა, რაც ზემოაღნიშნულ ვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია უცხოელი ინვესტორისთვის, საკმაოდ კომპლექსურ ღონისძიებას წარმოადგენს, რამდენადაც მოითხოვს როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტების, ისე არასამართლებრივი მექანიზმების ჩართულობას.[6] ამ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება როგორც სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციათა საქმიანობას,[7] ისე ისეთ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, როგორიც გახლავთ ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები.[8]

ჩვენი განხილვის საგანს სწორედ ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები წარმოადგენს, რომელთა მიზანიც ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვა და ხელშეწყობა გახლავთ.[9] ზემოაღნიშნულ

---

[1] Eric Neumayer, Laura Spess, "Do Bilateral Investment Treaties Increase Foreign Direct Investment to Developing Countries?", (2005) 33 (10) World Development.

[2] Eric Neumayer, Laura Spess, 1.

[3] Alan D. Berlin, "Managing Political Risk", (2002) 12 (5) the CEPMLP Internet Journal, xelmisawvdomia: http://www.dundee.ac.uk/cepmlp/journal/html/vol12/article12-5.html

[4] Abba Kolo, "Managing Political Risk In Transnational Investment Contracts", 1 (4) the CEPMLP Internet Journal, ხელმისაწვდომია: http://www.dundee.ac.uk/cepmlp/journal/html/Vol1/article1-4.html

[5] Alan D. Berlin, 3.

[6] A. R. Ziegler, "Investment Guarantee: From a National to an International Perspective", (2005) 2 (5) Transnational Dispute Management.

[7] მაგალითად: მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო "Multilateral Investment Guarantee Agency – MIGA", http://www.miga.org/

[8] Paul E. Comeaux, N. Stephan Kinsella, "Reducing Political Risk in Developing Countries: Bilateral Investment Treaties, Stabilization Clauses, and MIGA & OPIC Investment Insurance", (1994) 15 (1) **New York Law School Journal of International and Comparative Law.**

[9] UNCTAD, "Investment Instruments Online, What are

მიზანს ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები ახორციელებენ იმ დებულებებითა და სტანდარტებით, რომელთაც ითვალისწინებს თავად ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება და რომელთაც აქ შევეხებით.

ჩვენ მიერ განიხილება ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში არსებული ეროვნული ხელშეწყობისა და უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტები, დებულებები, რომელთა მიზანს წარმოადგენს ექსპროპრიაციისგან უცხოური ინვესტიციების დაცვა. აღნიშნული საკითხების განხილვამდე საუბარი წარიმართება ინვესტიციის განმარტების საკითხზე და თავად ამ საკითხის მნიშვნელობაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვის კუთხით. ზემოაღნიშნული სტანდარტები და დებულებები გაშუქდება როგორც საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში მათი ტექსტობრივი ფორმულირების ისე საარბიტრაჟო პრაქტიკის კუთხით. ასევე, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვის თვალსაზრისით, ხაზს გავუსვამთ უცხოელ ინვესტორსა და ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოს შორის დავათა განხილვის მნიშვნელობას. ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა არსის უკეთ გაცნობისთვის განხილვას დავიწყებთ აღნიშნულ ხელშეკრულებათა წარმოშობის მიმოხილვით.

## 1. ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების წარმოშობა

ორმხრივმა საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებმა, დღევანდელ პერიოდამდე ჩამოყალიბებისა და განვითარების შესაბამისი ეტაპები გაიარა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის ხელშეკრულებათა წარმოშობა განაპირობა გარკვეულმა გარემოებებმა, რომელთაც აქვე განვიხილავთ.

ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა ჩამოყალიბების დასაწყისად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირველ მსოფლიო ომამდელ პერიოდში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვადასხვა უცხო ქვეყანას შორის არსებულ სავაჭრო და საზღვაო ურთიერთობისას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და უცხო ქვეყნებს შორის დადებული საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებები.[1] აღნიშნულ ხელშეკრულებებს პირობითად ასევე უწოდებენ ,,მეგობრობის, კომერციისა და ნავიგაციის" ხელშეკრულებებს.[2]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებათა საგანი გახლდათ მხარეთა შორის ძირითადად სავაჭრო და საზღვაო ურთიერთობები, ისინი გარკვეულწილად მოიცავდნენ დებულებებს, რითაც რეგულირდებოდა ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყნის მოქალაქეებისა და კომპანიების მიერ ერთმანეთის ტერიტორიაზე კომერციული საქმიანობის წარმართვისა და უძრავი ქონების ფლობასთან დაკავშირებული საკითხები.[3] ხოლო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკული ,,მეგობრობის, კომერციისა და ნავიგაციის'' ხელშეკრულებები უკვე ფართოდ ითვალისწინებდნენ აღნიშნულ ხელშეკრულებათა მონაწილე ქვეყნებს შორის საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ დებულებებს და აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიც გახლდათ უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე ამერიკის მოქალაქეების და ამერიკული კომპანიების კუთვნილი ქონების დაცვა უკანონო ხელყოფისგან.[4]

ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების აქტიური ეტაპის დასაწყისი უკავშირდება მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს, როდესაც რამდენიმე ევროპული ქვეყნის მიერ დაიწყო მოლაპარაკებები ქვეყნებს შორის ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა დადების შესახებ.[5] აღსანიშნავია, რომ პირველი ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება გაფორმდა 1959 წელს გერმანიასა და პაკისტანს შორის.[6] გერმანიამ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში მარცხის შედეგად დაკარგა თავისი უცხოური ინვესტიცია, იყო ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა გაფორმების შესახებ მოლაპარაკებათა ინიციატორი ევროპულ ქვეყნებს შორის.[7]

გერმანიის შემდეგ რიგმა ევროპულმა ქვეყანამ, მათ შორის შვეიცარიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, დიდმა ბრიტანეთმა, ნიდერლანდების სამეფომ და

BITs?", ხელმისაწვდომია: http://www.unctadxi.org/templates/Page____1006.aspx

[1] "Treaties of Friendship, Commerce and Navigation". იხილეთ: Herman Walker, "Modern Treaties of Friendship, Commerce and Navigation", (1958) 42 Minnesota Law Review, 805; Kenneth J. Vandevelde, "The Bilateral Investment Treaty Program of the United States", (1988) 21 **Cornell Int'l L. J.** 201.

[2] Herman Walker, 10; Kenneth J. Vandevelde, 10.

[3] Jeswald W. Salacuse, "BIT by BIT: The Growth of Bilateral Investment Treaties and Their Impact on Foreign Investment in Developing Countries", (1990) 24 (3)The International Lawyer 655, გვ. 656-657.

[4] Jeswald W. Salacuse, 12, ასევე, იხილეთ: Robert R. Wilson, (1960) "United States Commercial Treaties and International Law", (1961) 23 (03) The Journal of Politics, 602.

[5] Jeswald W. Salacuse, 12, გვ. 656–658.

[6] Treaty between the Federal Republic of Germany and Pakistan for the Promotion and Protection of Investments, signed at Bonn, on 25 November 1959, N. 6575, ხელმისაწვდომია: http://www.iisd.org/pdf/2006/investment_pakistan_germany.pdf

[7] Jeswald W. Salacuse, 12, gv. 657.

ბელგიამ წამოიწყეს მოლაპარაკებები ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა გაფორმებაზე, რის შედეგადაც მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის დაახლოებით 150 ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება გაფორმდა ზოგ ევროპულ ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის.[1] ზემოაღნიშნული საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების საგანი გახლავთ ასეთი ხელშეკრულების ხელმომწერ ორ ქვეყანას შორის ერთმანეთის ტერიტორიაზე კერძო ინვესტიციების განხორციელებასთან, დაცვასა და მათ ხელშეწყობასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულირება.[2]

დღეისათვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვის საკითხში ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა სამართლებრივი და პრაქტიკული მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით, შესაძლებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ის გარემოებები, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებათა წარმოშობა. უცხოური ინვესტიციების რეგულირება, განსაკუთრებით კი ასეთი ინვესტიციების დაცვა და ხელშეწყობა, მხოლოდ ინვესტიციების მიმღები ქვეყნების ადგილობრივი საკანონმდებლო სისტემით საკმაოდ მაღალი რისკის მატარებელია უცხოური ინვესტიციებისთვის. ამის მიზეზია ის, რომ ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, ერთპიროვნულად გააუქმოს, მიიღოს ახალი ან შეიტანოს ცვლილებები რიგ კანონში, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გარკვეულ გავლენას ახდენს უცხოელი ინვესტორის მიერ შესაბამისი საინვესტიციო საქმიანობის წარმართვაზე.[3] საერთაშორისო სამართლის კუთხით კი ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა წარმოშობამდე ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი ხასიათდებოდა ინვესტიციების დაცვის მკვეთრად ჩამოყალიბებული პრინციპების ნაკლებობით.[4] დღეისათვის აღნიშნული ტიპის ხელშეკრულება გვევლინება საერთაშორისო დონეზე განთავსებულ სამართლებრივ ინსტრუმენტად, რომლის მიზანსა და ფუნქციას, შესაბამისი დებულებებითა და სტანდარტებით, წარმოადგენს სწორედ უცხოური ინვესტიციების დაცვა და ხელშეწყობა. აღნიშნულ მიზანთან მიმართებით განვიხილოთ ინვესტიციის განმარტების საკითხი.

## 2. ინვესტიციის განმარტება

უცხოელი ინვესტორის და შესაბამისი ინვესტიციის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს *ინვესტიციის* განმარტების საკითხს.[5] აღნიშნული საკითხის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელოვნება შესაძლებელია დასაბუთდეს შემდეგი ორი გარემოებით: (ა) ინვესტორის მიერ განხორციელებული მხოლოდ ისეთი საქმიანობა, რომელიც დაკვალიფიცირდება ინვესტიციად, შეიძლება მოექცეს როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დებულებების დაცვის ქვეშ. შესაბამისად, სწორედ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში სარგებლობს უცხოელი ინვესტორი და მის მიერ განხორციელებული ინვესტიცია იმ დაცვითი მექანიზმებით, რომლებიც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში, (ბ) უცხოელ ინვესტორსა და ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავისას, იმისათვის, რომ რიგ შემთხვევაში აღნიშნული დავა განხილული იქნეს შესაბამის საინვესტიციო დავათა განხილვის და მოგვარების საერთაშორისო ცენტრებში, თვად დავა უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთ დავად, რომელიც წარმოშობილია ინვესტიციებთან დაკავშირებით.[6] აღნიშნული საკითხის ნათელსაყოფად შესაძლებელია მოვიშველიოთ ვაშინგტონის კონვენციის 25-ე მუხლი, რომლის თანახმადაც საინვესტიციო დავის განხილვის საერთაშორისო ცენტრი განიხილავს ისეთ სადავო საკითხებს, რომლებიც პირდაპირ წარმოშობილია ინვესტიციასთან დაკავშირებით.[7]

---

[1] დღეისათვის აღნიშნულ ხელშეკრულებათა რიცხვი მთლიანობაში 2000 ერთეულს აჭარბებს.

[2] Jeswald W. Salacuse, Nicholas P. Sullivan, "Do BITs Really Work?: An Evolution of Bilateral Investment Treaties and Their Grand Bargain", (2005) 46 (1) Harvard International Law Journal 67, გვ. 73–75.

[3] Jeswald W. Salacuse, Nicholas P. Sullivan, 18, გვ. 75–76.

[4] Jeswald W. Salacuse, Nicholas P. Sullivan, 18, გვ. 68–75.

[5] საკითხი დგას შემდეგი მიმართულებით - თუ რა არის ინვესტიცია? ჩვენს შემთხვევაში უცხოელი ინვესტორის მიერ განხორციელებული რა სახის მოქმედებები ჩაითვლება ინვესტიციად?

[6] Malaysian Historical Salvors Sdn Bhd v. Malaysia, Award on Jurisdiction, ICSID Case No ARB/05/10, IIC 289 (2007), 10 May 2007; Malaysian Historical Salvors Sdn Bhd v. Malaysia, Decision on the Application for Annulment, ICSID Case No ARB/05/10, IIC 372 (2009).

[7] Articles 25 (1) of the Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States: "The jurisdiction of the Centre shall extend to any legal dispute arising directly out of an investment, between a Contracting State (or any constituent subdivision or agency of a Contracting State designated to the Centre by that State) and a national of another Contracting State, which the parties to the dispute consent in writing to submit to the Centre. When the parties have given their consent, no party may withdraw its consent unilaterally.", ხელმისაწვდომია: http://icsid.worldbank.org/ICSID/StaticFiles/basicdoc_en-archive/ICSID_English.pdf

აღსანიშნავია ისიც, რომ თავად კონვენცია და მისი ტექსტი არ იძლევა ინვესტიციის დეფინიციას, არ განმარტავს იმას თუ რა არის ინვესტიცია, რაც საშუალებას აძლევს დავათა განხილვის ტრიბუნალს, თავად მოახდინოს ინვესტიციების განმარტება კონკრეტული საქმის განხილვისას, დაადგინოს თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ინვესტიციად და ჰქონდა თუ არა ადგილი ინვესტიციებს გარკვეული სახის საქმიანობისას.[1] შესაბამისად, საინვესტიციო დავათა განხილვის საერთაშორისო ცენტრს საკამოდ ფართოდ განუმარტავს ინვესტიცია, რა დროსაც ინვესტიციად მიჩნეული იქნა მრავალი სხვადასხვა სახის აქტივი, პროექტი, გარიგება, მათ შორის კაპიტალდაბანდებები, ინფრასტრუქტურული პროექტები, ტექნოლოგიების გადაცემა[2] და სამშენებლო სამუშაოები.[3]

იმის დასადგენად თუ რა არის ინვესტიცია, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მისი დეფინიციები, რომლებიც მოცემულია როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელ-შეკრულებებში და, მეორე მხრივ, ინვესტიციის განმარტება, რომელსაც გვთავაზობს საინვესტიციო დავათა განმხილველი არბიტრაჟი.

დღეისათვის არსებული საკმაოდ მრავალი ორმხრ-ივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება იზიარებს ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების გერმანულ მოდელში მოცემული ინვესტიციის დეფინიციას, რომელიც ეფუძნება ინვესტიციის არა ამომწურავ და ე.წ. აქტივზე დაფუძნებულ განმარტებას, სადაც ინვესტიციის განმარტება იწყება იმით, რომ „ინვესტიცია მოიცავს ყველა სახის აქტივს (ან ნებისმიერი სახის აქტივს)", რის შემდეგაც ტექსტობრივი ფორმულირება გრძელ-დება გარკვეული ჩამონათვალით იმის შესახებ თუ კონკრეტულად რა მიიჩნევა ინვესტიციად.[4] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზიარებაში არ იგულისხმება აბსოლუტურად ანალოგიური ტექსტობრივი ჩანა-წერისა და ფორმულირების არსებობა. მარტივი შეხედვით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ფორმულირება - „ყველა სახის აქტივი" ან „ნებისმირი სახის აქტივი" საშუალებას გვაძლევს, ინვესტიციად მივიჩნიოთ მართლაც განუსაზღვრელი სახისა და ოდენობის აქტივი და საქმიანობა, მათ შორის ისიც, რაც არ არის კონკრეტულად მითითებული ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებაში. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ინვესტიციის აღნიშნული, ე.წ. ფართო დეფინიცია, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ შემთხვევებში არასასურველია, რასაც მოწმობს საინვესტიციო დავათა განხილვის პრაქტიკაც.[5]

შედარების თვალსაზრისით განსახილველად სა-ინტერესოა ინვესტიციის დეფინიცია, რომელიც მო-ცემულია „ინვესტიციების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ შეთანხმების" კანადურ მოდელში.[6] აღნიშნულ შეთანხმებაში გვხვდება საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კონკრეტული ჩამონათვალი იმ აქტივებისა და საქმიანობისა, რომელიც სწორედ რომ კვალიფიცირდება ინვესტიციად.[7] შესაბამისად, შეიძლება აღინიშნოს, რომ მოცემული შეთანხმება მეტად არის ორიენტირებული ინვესტიციის მკაფიოდ განმარტებაზე, ვინაიდან პირდაპირ არის მოცემული და დაკონკრეტებული თუ რა მიიჩნევა ინვესტიციად.[8]

საინტერესოდ გამოიყურება საინვესტიციო დავათა განხილვისას საინვესტიციო არბიტრაჟის მიერ ინ-ვესტიციის განმარტების საკითხი. საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში მოცემული ინვესტიციის ე.წ. ტიპური ფორმულირება, რო-

[1] W. Michael Tupman, "Case Studies in the Jurisdiction of the International Centre for Settlement of Investment Disputes", (1986) 35 International and Comparative Law Quarterly 813.

[2] Margaret L. Moses, The Principles and Practice of International Commercial Arbitration, 1st edition., Cambridge University Press, 2008, gv. 225.

[3] Salini Costruttori S.p.A. and Italstrade S.p.A v. Kingdom of Morocco, ICSID Case No. ARB/00/4, Decision of Jurisdiction, July 23, 2001, xelmisawvdomia: http://italaw.com/documents/Salini-English.pdf

[4] ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების გერ-მანული მოდელი განმარტავს ინვესტიციას შემდეგნაირად:
"Investment shall comprise every kind of asset, in particular I. Movable and immovable property as well as any other rights in rem, such as mortgages, liens and pledges; II. Shares of companies and other kinds of interest in companies;III. Claims to money which has been used to create an economic value or claims to any performance having an economic value; IV. Intellectual property rights, in particular copyrights, patents, utility-model patents, industrial designs, trade-marks, trade-names, trade and business secrets, technical processes, know-how, and good will; V. Business concessions under public law, including concessions to search for, extract and exploit natural resources." იხილეთ: Mahnaz Malik, "Definition of Investment in International Investment Agreements", Foreign Investment for Sustainable Development, Best Practices Bulletin #1, International Institute for Sustainable Development, August 2009.

[5] Mahnaz Malik, 27.

[6] ხელმისაწვდომია: http://www.international.gc.ca/trade-agreements-accords-commerciaux/assets/pdfs/2004-FIPA-model-en.pdf

[7] "investment means: (I) an enterprise; (II) an equity security of an enterprise; (III) a debt security of an enterprise (i) where the enterprise is an affiliate of the investor, or (ii) where the original maturity of the debt security is at least three years, but does not include a debt security. regardless of original maturity, of a state enterprise; (IV) a loan to an enterprise (i) where the enterprise is an affiliate of the investor, or (ii) where the original maturity of the loan is at least three years, but does not include a loan, regardless of original maturity, to a state enterprise;"

[8] Mahnaz Malik, 27.

მელიც გულისხმობს „ყველა სახის აქტივის“ ან „ნებისმიერი სახის აქტივის“ საფუძველზე ინვესტიციის განმარტებას, ხშირ შემთხვევაში მართლაც ფართოდ იქნა განმარტებული და ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დებულებების დაცვის ქვეშ მოქცეულ იქნა უცხოელი ინვესტორის საკამოდ მრავალი სახის საქმიანობა.[1] თუმცა, გასათვალისწინებელია განსხვავებული მიდგომაც, რა დროსაც ინვესტიციის განმარტებისას, არბიტრაჟის ამოსავალი წერტილი არის არა ე.წ. „ყველა სახის აქტივის“ ან „ნებისმიერი სახის აქტივის“ ფორმულირება, რომელმაც პოტენციურად ერთი შეხედვით მართლაც უამრავი სახის საქმიანობა შეიძლება დააკვალიფიციროს ინვესტიციად, არამედ ხდება შესაბამისი ინვესტორის კონკრეტული საქმიანობის, ასეთი საქმიანობის შინაარსის, ასევე ინვესტორის განზრახვისა და მიზნის შედარება ინვესტიციის დეფინიციის იმ კონკრეტულ ფორმულირებასთან, რომელიც მოცემულია საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებაში და შესაბამისად, აღნიშნული ორივე ფაქტორის გათვალისწინებით, ხდება იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ადგილი საინვესტიციო საქმიანობას და ჩაითვლება თუ არა კონკრეტული აქტივი ან მოქმედება ინვესტიციად.[2]

შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ინვესტიციის დეფინიციის საკითხს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვისას. გასათვალისწინებელია როგორც საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში ინვესტიციის ტექსტობრივი ფორმულირება, ისე ის განმარტება, რომელსაც გვთავაზობს საინვესტიციო დავათა განმხილველი არბიტრაჟი. ინვესტორი, რომლის საქმიანობაც დაკვალიფიცირდება ინვესტიციად, სარგებლობს ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში არსებული იმ დაცვითი მექანიზმებით, შესაბამისი დებულებებითა და სტანდარტებით, რომლებსაც აქვე განვიხილავთ.

### 3. ხელშეწყობის ეროვნული სტანდარტი[3]

ხელშეწყობის ეროვნული სტანდარტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტანდარტია ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში.[4] ზემოაღნიშნული სტანდარტი გულისხმობს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოში უცხოელი ინვესტორის და მისი ინვესტიციის მიმართ აღნიშნული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ხელშეწყობა და დამოკიდებულება უნდა იყოს არანაკლებ ხელსაყრელი იმ ხელშეწყობისა და იმ დამოკიდებულებისა, რა ხელშეწყობასაც ახორციელებს უცხოური ინვესტიციების მიმღები სახელმწიფო ადგილობრივი ინვესტორის მიმართ.[5]

აღნიშნული სტანდარტის გამოყენებისა და მისი დარღვეულად მიჩნევის საკითხი დამოკიდებულია რამდენიმე გარემოებაზე. პირველი, უნდა დადგინდეს, იმყოფება თუ არა უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორი „მსგავს გარემოებაში“, რაც გულისხმობს უცხოელი ინვესტორის შედარებას ადგილობრივ ინვესტორთან.[6] თუ რა მიიჩნევა „მსგავს გარემოებად“ ან „მსგავს სიტუაციად“, იგულისხმება აღნიშნულში „ზუსტად იგივე ბიზნესსაქმიანობა“ თუ მხოლოდ „იგივე ეკონომიკური სექტორი“, სადაც საქმიანობს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორი, საკმაოდ სადავოა. საქმეზე Feldman v. Mexico[7] „მსგავსი გარემოება“ განმარტებულ იქნა, როგორც „იგივებიზნესი“, „იგივე ბიზნეს საქმიანობა“, როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ ინვესტორთან მიმართებით, რაც მოცემულ შემთხვევაში უკავშირდებოდა თამბაქოს

---

[1] Mahnaz Malik, 27, ასევე იხილეთ: Vienna Convention on the Law of the Treaties, Vienna, 1969: "Article 31, General Rule of Interpretation 1. A treaty shall be interpreted in good faith in accordance with the ordinary meaning to be given to the terms of the treaty in their context and in the light of its objective and purpose.", ხელმისაწვდომია: http://www.ilsa.org/jessup/jessup11/basicmats/VCLT.pdf

[2] Petrobart Ltd. (Gibraltar) v Kyrgyzstan, Arbitration Institute of the Stockholm Chamber of Commerce, No. 126/2003, ხელმისაწვდომია: http://www.encharter.org/index.php?id=213&L=0#Petrobart; ასევე, იხილეთ Mahnaz Malik, 27.

[3] "National Treatment".

[4] აღნიშნული სტანდარტი წარმოდგენილია არა მხოლოდ ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში, არამედ იგი გვხვდება სხვა რეგიონალურ და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებში. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაში (North American Free Trade Agreement) ხელშეწყობის ეროვნული სტანდარტი მოცემულია შემდეგი ტექსტობრივი ფორმულირებით: "Article 1102: National Treatment 1. Each Party shall accord to investors of another Party treatment no less favourable than that it accords, in like circumstance, to its own investors with respect to the establishment, acquisition, expansion, management, conduct, operation, and sale or other disposition of investment." აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული სტანდარტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, ხელშეწყობის ეროვნული პრინციპი ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სისტემაშიც. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით იხ.: Mitsuo Matsushita, Thomas J. Schoenbaum & Petros C. Mavroidis, The World Trade Organization: Law, Practice and Policy, 2nd edition., Oxford University Press, 2006, გვ. 233-256.

[5] იხ.: Jeswald W. Salacuse, Nicholas P. Sullivan, 18, გვ. 84-85.

[6] Rudolf Dolzer, Christoph Schreuer, **Principles of International Investment Law, Oxfor**d University Press, 2008, გვ. 178–184.

[7] Marvin Feldman v Mexico, ICSID, Case No. ARB (AF)/99/1, ხელმისაწვდომია: http://italaw.com/documents/feldman_mexico-award-english.pdf

ექსპორტს. ხოლო საქმეზე Occidental v. Ecuador[1] „მსგავსი გარემოების“ განმარტებისას მითითებულ იქნა ადგილობრივ მწარმოებლებზე ზოგადად და აღინიშნა, რომ „მსგავსი გარემოება“ არ უნდა იქნეს განმარტებული ვიწროდ, რადგან ხელშეწყობის ეროვნული სტანდარტის ფუნქცია, რაც წარმოადგენს ადგილობრივ მწარმოებლებთან შედარებაში მყოფი ინვესტორების დაცვა, ვერ განხორციელდება თუ მხედველობაში იქნება მიღებული მხოლოდ „სექტორი“, სადაც კონკრეტული საქმიანობა მიმდინარეობს. მეორე, უცხოელი ინვესტორის მიმართ განხორციელებული ხელშეწყობა უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი იმ ხელშეწყობისა და იმ დამოკიდებულებისა, რა ხელშეწყობაც ხორციელდება ადგილობრივი ინვესტორის მიმართ.[2] მესამე, იმ მოქმედებას, იმ ღონისძიებას, რომელმაც განაპირობა და გამოიწვია უცხოური ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს მიერ უცხოელი ინვესტორის მიმართ განსხვავებული ხელშეწყობა, განსხვავებული დამოკიდებულება, უნდა ჰქონდესდისკრიმინაციულიეფექტი,დისკრიმინაციული შედეგი.[3] სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლიობა განაპირობებს ხელშეწყობის ეროვნული სტანდარტის დარღვევას.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია უცხოელი ინვესტორის მიმართ ადგილობრივი ინვესტორისაგან განსხვავებული ხელშეწყობისა და დამოკიდებულების დაწესება. ასეთი განსხვავებული ხელშეწყობა, განსხვავებული დამოკიდებულების დაწესება გამართლებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება საჯარო ინტერესის დაცვა.[4]

გარდა ზემოაღნიშნული სტანდარტისა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციის დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტს.

## 4. უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტი[5]

როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტი გულისხმობს, რომ უცხოური ინვესტიციების მიმღები ნებისმიერი ქვეყანა, მეორე ქვეყნის ტერიტორიიდან განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მიმართ უზრუნველყოფს ისეთ ხელშეწყობას, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ ხელსაყრელი იმ ხელშეწყობისა, როგორი ხელშეწყობაც ხორციელდება უცხოური ინვესტიციების მიმღები ზემოაღნიშნული ქვეყნის ტერიტორიაზე მესამე უცხო ქვეყნიდან განხორციელებული ინვესტიციის მიმართ.[6] აღნიშნული სტანდარტი ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში გვხვდება სხვადასხვა ტექსტობრივი ფორმულირებით. მისი საკმაოდ გავრცელებული ფორმულირება მოცემულია ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა გერმანულ მოდელში, სადაც უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტი გვხვდება ხელშეწყობის ეროვნულ სტანდარტთან ერთად.[7]

ზოგიერთ ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება ითვალისწინებს აღნიშნული სტანდარტის საკმაოდ ფართო ფორმულირებას. მაგალითად, ესპანეთსა და არგენტინას შორის დადებულ ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებაში მოცემული უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტი ითვალისწინებს მის გამოყენებას, ანუ არანაკლებ ხელსაყრელი ხელშეწყობის დაწესებას *ნებისმიერ საკითხთან* მიმართებით.[8] თუმცა, აღნიშნული სტანდარტის გაცილებით ვიწრო ფორმულირებას მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტი მიუთითებს „მსგავს გარემოებებში“ მის გამოყენებაზე.[9]

---

[1] Occidental Exploration and Production Company v The Republic of Ecuador, Final Award in the Matter of an UNCITRAL Arbitration (London Court of International Arbitration Administered Case No. UN 3467), ხელმისაწვდომია: http://italaw.com/documents/Oxy-EcuadorFinalAward_001.pdf

[2] Peter T. Muchlinski, Multinational Enterprises and the Law, 2nd edition., Oxford University Press, 2007, გვ. 621-628.

[3] Peter T. Muchlinski, 40.

[4] S.D. Myers, Inc v Government of Canada, NAFTA Arbitration under the UNCITRAL Arbitration Rules, ხელმისაწვდომია: http://italaw.com/documents/SDMeyers-1stPartialAward.pdf

[5] "Most-Favoured-Nation Treatment".

[6] N. Gallus, "Plama v Bulgaria and the scope of investment treaty MFN clauses", (2005) 3 (2) Oil, Gas & Energy Law Intelligence, ხელმისაწვდომია: www.gasandoil.com/ogel/.

[7] Article 3 of the German model treaty: "(1) Neither Contracting State shall subject investments in its territory owned or controlled by investors of the other Contracting State to treatment less favourable than it accords to investments of its own investors or to investments of investors of any third State. (2) Neither Contracting State shall subject investors of the other Contracting State, as regards their activity in connection with investments in its territory, to treatment less favourable than it accords to its own investors or to investors of any third State"

[8] Article 4(2) of the Spain-Argentina BIT: "In all matters subject to this Agreement, this treatment shall not be less favourable than that extended by each Party to the investments made in its territory by investors of a third country".

[9] Article 1103 of North American Free Trade Agreement: "1. Each Party shall accord to investors of another Party treatment no less favorable than that it accords, in like circumstances, to investors of any other Party or of a non-Party with respect to the establishment, acquisition, expansion, management, conduct, operation, and sale or other disposition of investments. 2. Each Party shall accord to investments of investors of another Party

მიუხედავად იმისა, რომ უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტი ფართოდ არის გავრცელებული არა მხოლოდ ორმხრივ, არამედ მრავალმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში,[1] მისი ზუსტი ინტერპრეტაციის საკითხი, ასევე თავად სტანდარტის გამოყენების ფარგლები გარკვეულ საკითხთან მიმართებით საკმაოდ სადავოა.[2] საკამათო გახლავთ საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა, რომ ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში არსებული უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტი გამოყენებულ იქნეს უცხოელ ინვესტორსა და ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოს შორის დავების წარმართვის მიზნით. რამდენადაც საინვესტიციო დავისას აღნიშნული საკითხი საკმაოდ ხშირად გამხდარა აქტიური განხილვის საგანი,[3] უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტის არსის უკეთ გაცნობის მიზნით, შესაძლებლად მიგვაჩნია განვიხილოთ აღნიშნული პრაქტიკა.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თუ რა იგულისხმება ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტის დავათა წარმართვის მიზნით გამოყენებაში, სასურველია მივუთითოთ საქმეზე Maffezini v. Spain[4]. აღნიშნულ საქმესთან მიმართებით, მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ არგენტინასა და ესპანეთს შორის დადებული ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებით საინვესტიციო დავების წარმართვასთან მიმართებაში დადგენილი იყო თვრამეტთვიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დავა უნდა განხილულიყო ადგილობრივ საერთო სასამართლოში. აღნიშნული თვრამეტი თვის გასვლის შემდეგ მომჩივან ინვესტორს შეეძლო მიემართა საერთაშორისო არბიტრაჟისთვის შესაბამისი საარბიტრაჟო დავის წარმართვის მიზნით. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ მას შეეძლო აღნიშნული თვრამეტთვიანი დაყოვნების გვერდის ავლით პირდაპირ მიემართა არბიტრაჟისთვის საარბიტრაჟო დავის წარმართვის მიზნით. იგი მიიჩნევდა, რომ რადგანაც არგენტინასა და ესპანეთს შორის არსებული ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების მე-4 (2) მუხლი ითვალისწინებდა აღნიშნული ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების მიზნებისთვის უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტის გამოყენებას ყველა საკითხთან მიმართებით, აღნიშნული მუხლი უფლებას აძლევდა მას, რომ დაყრდნობოდა იმ მეტად ხელსაყრელ პირობებს, რომლებიც ჰქონდათ ჩილელ ინვესტორებს ესპანეთში ინვესტიციების განხორციელებისას ჩილესა და ესპანეთს შორის გაფორმებული ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების თანახმად. მეტად ხელსაყრელი პირობები გამოიხატებოდა იმ გარემოებაში, რომ არგენტინასა და ესპანეთს შორის არსებული ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებისგან განსხვავებით,[5] ესპანეთსა და ჩილეს შორის გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა საარბიტრაჟო დავათა წარმართვამდე დაყოვნების ზემოაღნიშნულ თვრამეტთვიან პერიოდს.[6] შესაბამისად, მომჩივანის არგუმენტის თანახმად, მას შეეძლო პირდაპირ მიემართა არბიტრაჟისთვის თვრამეტთვიანი დაყოვნების გარეშე და წამოეწყო დავა ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს წინააღმდეგ.

საქმეზე Maffezini v. Spain, არბიტრაჟმა განმარტა, რომ უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტის გამოყენების ფარგლები ვრცელდება დავათა განხილვებზე.[7] ასეთ შემთხვევაში, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წარმოშობის ქვეყანასა და ასეთი ინვესტიციების მიმღებ ქვეყანას შორის დადებულ ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებაში არსებული უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტის გამოყენებით, უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ ისარგებლონ მათ მიერ

treatment no less favorable than that it accords, in like circumstances, to investments of investors of any other Party or of a non-Party with respect to the establishment, acquisition, expansion, management, conduct, operation, and sale or other disposition of investments."

1 Article 10 (7) of the Energy Charter Treaty: "Each Contracting Party shall accord to Investments in its Area of Investors of other Contracting Parties, and their related activities including management, maintenance, use, enjoyment or disposal, treatment no less favourable than that which it accords to Investments of its own Investors or of the Investors of any other Contracting Party or any third state and their related activities including management, maintenance, use, enjoyment or disposal, whichever is the most favourable."

2 N. Gallus, 44.

3 N. Gallus, 44., ასევე იხილეთ: Maffezini v Spain, ICSID Case No. ARB/97/7, ხელმისაწვდომია: http://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet? requestType=CasesRH&actionVal=showDoc&docId=DC565_En&caseId=C163http://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=showDoc&docId=DC566_En&caseId=C163; ასევე: Siemens A.G. and The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/02/8, Decision on Jurisdiction, August 3, 2004, ხელმისაწვდომია: http://arbitrationlaw.com/files/free_pdfs/Siemens%20v%20Argentina%20-%20Jurisdiction.pdf

4 Maffezini v Spain, Case No. ARB/97/7.

5 მომჩივანი უცხოელი ინვესტორის პოზიციის თანახმად, არგენტინასა და ესპანეთს შორის არსებული ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებით მის მიმართ განხორციელებული ხელშეწყობა იყო ნაკლებად ხელსაყრელი.

6 Maffezini v Spain, Case No. ARB/97/7.

7 N. Gallus, 44., ასევე იხილეთ: Maffezini v Spain, Case No. ARB/97/7.

განხორციელებული ინვესტიციების მიმღებ ქვეყანასა და მესამე ქვეყანას შორის დადებულ ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებაში დავათა განხილვასთან მიმართებით არსებული მეტად ხელსაყრელი პირობებითა და დებულებებით[1] და წამოიწყონ საინვესტიციო დავა ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს წინააღმდეგ.[2]

საწინააღმდეგო პოზიცია გამოხატა არბიტრაჟმა საქმეზე Salini v. Jordan, [3] სადაც განმარტებულ იქნა, რომ აღნიშნული სტანდარტის ქვეშ ნაგულისხმები უპირატესი ხელშეწყობა ვრცელდება უცხოური ინვესტიციების დაცვის მხოლოდ მატერიალურ დებულებებზე.[4] საქმეზე Plama v. Bulgaria[5] არბიტრაჟმა განმარტა, რომ უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტის გამოყენება შეზღუდულია საპროცესო და დავათა განხილვის მექანიზმებზე და შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტი უცხოელ ინვესტორებს არ აძლევს იმის საშუალებს, რომ ისარგებლონ მათი ინვესტიციების მიმღებ ქვეყანასა და მესამე ქვეყანას შორის დადებულ ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებაში დავათა განხილვასთან მიმართებით არსებული მეტად ხელსაყრელი პირობებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარად დასტურდება, რომ ხელშეკრულების მხარეებს ჰქონდათ აღნიშნული სტანდარტის საპროცესო მექანიზმებზე გავრცელების განზრახვა.[6] მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო საარბიტრაჟო პრაქტიკაში არსებობს სხვა მაგალითებიც, როდესაც ინვესტორი შესაძლებლად მიიჩნევს უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტის გავრცელებას და მის გამოყენებას დავათა წარმართვის მიზნით და აღნიშნული საკითხი ხშირად გამხდარა საინვესტიციო დავათა განმხილველი არბიტრაჟის მსჯელობის საგანი,[7] შესაძლებელია აღინიშნოს, რომ დღემდე სადავოდ რჩება თუ მკაფიოდ ჩამოყალიბებული რა პრინციპების ერთობლიობა, განაპირობებს აღნიშნული სტანდარტის გავრცელებას დავათა წარმართვაზე და შესაძლებელია თუ არა უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტის ერთმნიშვნელოვნად გამოყენება აღნიშნული მიზნებისათვის,[8] თუმცა, აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს თავად სტანდარტის ტექსტობრივ ფორმულირებას ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში.

რამდენადაც ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა ფარგლებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვისა და ხელშეწყობის მექანიზმები, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, განვიხილოთ ის დებულებები, რომელთა მიზანს წარმოადგენს ექსპროპრიაციისგან უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვა.

## 5. უცხოური ინვესტიციების დაცვა ექსპროპრიაციისგან

ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოში უცხოელი ინვესტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციის და უცხოელი ინვესტორის ქონებისა და საკუთრების ექსპროპრიაცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს პოლიტიკური რისკის ყველაზე ნეგატიურ გამოვლინებად.

საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ან უცხოელი ინვესტორის საკუთრებაში არსებული ქონებისა და საკუთრების ექსპროპრიაცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შემდეგი პრინციპების ერთობლივად დაცვით - (ა) როდესაც ექსპროპრიაცია ხორციელდება საზოგადოებრივი საჭიროებისთვის, (ბ) შესაბამისი კანონის მოთხოვნათა დაცვით, (გ) არადისკრიმინაციული ფორმით და (დ) აუცილებლად კომპენსაციის გადახდით.[9] აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპროპრიაციას აქვს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ფორმები. პირდაპირი ექსპროპრიაციის შემთხვევაში უცხოელი ინვესტორი იურიდიულად კარგავს საკუთრების უფლებას თავის ქონებაზე, ხოლო არაპირდაპირი ექსპროპრიაციისას, რომელსაც

1 რომელიც მეტად ხელსაყრელია განსხვავებით იმ პირობებისა და დებულებებისგან, რომელიც არსებობს იმავე საკითხთან (დავათა განხილვა) მიმართებით უცხოური ინვესტიციების წარმოშობის ქვეყანასა და ინვესტიციების მიმღებ ქვეყანას შორის დადებულ ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებაში.

2 N. Gallus, 44., ასევე იხილეთ: Maffezini v Spain, Case No. ARB/97/7.

3 Salini Costruttori S.p.A. and Italstrade S.p.A. and The Hashemite Kingdom of Jordan, ICSID Case No. ARB/02/13, Decision on Jurisdiction, November 15, 2004.

4 N. Gallus, 44., ასევე იხილეთ: Salini v. Jordan, Case No. ARB/02/13.

5 Plama Consortium Limited v Republic of Bulgaria, ICSID Case No. ARB/03/24, Decision on Jurisdiction, 8; February 2005, ხელმისაწვდომია: http://arbitrationlaw.com/files/free_pdfs/Plama%20v%20Bulgaria%20-%20Jurisdiction.pdf

6 N. Gallus, 44., ასევე იხილეთ: Plama v Bulgaria, Case No. ARB/03/24.

7 Siemens v Argentina, ICSID Case No. ARB/02/8, ხელმისაწვდომია: http://italaw.com/documents/Siemens-Argentina-Award.pdf; Pope & Talbot Inc v The Government of Canada, under the NAFTA under the UNCITRAL Arbitration Rules, ხელმისაწვდომია: http://www.naftaclaims.com/disputes_canada_pope.htm

8 აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში საკმაოდ საინტერესო განხილვებისთვის, იხილეთ: N. Gallus, 44.

9 ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ დეტალური განხილვისთვის იხილეთ: OECD Working Papers on International Investment, "Indirect Expropriation" and the "Right to Regulate" in International Investment Law", 2004/4, ხელმისაწვდომია: http://www.oecd-ilibrary.org/docserver/download/fulltext/5lgsjhvj768r.pdf?expires=1279814183&id=0000&accname=guest&checksum=D474C936460F0EF863402164DA1C6427

ასევე უწოდებენ ეტაპობრივ ექსპროპრიაციას,[1] შესაძლებელია უცხოელი ინვესტორი დარჩეს მის საკუთრებაში არსებული ქონების მესაკუთრედ, მაგრამ ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს მხრიდან საინვესტიციო საქმიანობაში ნეგატიური ჩარევის შედეგად და საფუძველზე, მიუხედავად ასეთი ჩარევის ფორმისა, უცხოელ ინვესტორს ეკრძალება მის საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენება ან ფაქტობრივ ვერ ახდენს დანიშნულებისამებრ მის გამოყენებას. ასევე ვერ ხერხდება თავისი ქონების გამოყენების შედეგად, მის მიერ სარგებლის მიღება ან ქონება კარგავს ყოველგვარ ეკონომიკურ და ბიზნეს დანიშნულებას და ღირებულებას.[2]

დღეისათვის პირდაპირი ექსპროპრიაციის შემთხვევები გაცილებით იშვიათია. თუმცა, საინვესტიციო დავებმა დაგვანახა, რომ საკმაოდ ხშირია არაპირდაპირი ექსპროპრიაციის შემთხვევები. მარტივი წარმოსადგენია არაპირდაპირი ექსპროპრიაციის ნეგატიური შედეგები, როდესაც უცხოელმა ინვესტორმა ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში განახორციელა გარკვეული რაოდენობის კაპიტალ-დაბანდება, შექმნა შესაბამისი წარმოება და საჭირო ინფრასტრუქტურა, დაამზადა პროდუქცია. სახელმწიფოს მხრიდან აშკარად უკანონო და მის საინვესტიციო საქმიანობაში ნეგატიური ჩარევის შედეგად გაუფასურდა ინვესტიცია, რის შედეგადაც მან ფაქტობრივად ვეღარ შეძლო თავის საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენებით კომერციული საქმიანობის გაგრძელება და განხორციელება და შესაბამისი მოგების მიღება.

არაპირდაპირი ექსპროპრიაციის შემთხვევა გამოკვეთილ იქნა საქმეზე CME v. Czech Republic.[3] აღნიშნულ საქმეზე არბიტრაჟმა იმსჯელა ჩეხეთის მედიასაბჭოს მიერ მომჩივანი ინვესტორის შვილობილი კომპანიის სახელშეკრულებო ურთიერთობებში ჩარევის შესახებ.[4] კერძოდ, არბიტრაჟის პოზიციის თანახმად, ჩეხეთის მედიასაბჭომ, რომელიც წარმოადგენდა მარეგულირებელ ორგანოს, ინვესტორის მიერ განხორციელებულ ინვესტიციაში უხეში ჩარევით გამოიწვია იმ ხელშეკრულების შეწყვეტა, რომელზეც დამოკიდებული იყო უცხოური ინვესტიცია.[5] არბიტრაჟმა არ გაიზიარა ჩეხეთის, როგორც მოპასუხე მხარის, არგუმენტი იმის შესახებ, რომ მედიასაბჭოს მოქმედებას არ გამოუწვევია მომჩივანი ინვესტორის ბიზნესის ღირებულების დაკარგვა, ვინაიდან სახეზე არ ყოფილა ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორის კუთვნილი ქონების ფიზიკური ხელყოფა.[6] არბიტრაჟმა განმარტა, რომ მედიასაბჭოს ზემოაღნიშნულმა ქმედებებმა გამოიწვია საინვესტიციო კომპანიის ხელყოფა, რის შედეგადაც კომპანია დარჩა ქონების მესაკუთრედ, მაგრამ შესაბამისი ბიზნეს და ეკონომიკური აქტივობისა და ღირებულების გარეშე.[7] არბიტრაჟის პოზიციის თანახმად, გაუფასურებულ იქნა მომჩივანი ინვესტორის ინვესტიცია, რომელიც დაცულია შესაბამისი საინვესტიციო ხელშეკრულებით.[8] მედიასაბჭოს ძალმომრეობითი მოქმედებისა და ინვესტორის საინვესტიციო საქმიანობაში ნეგატიური ჩარევის შედეგად დაკარგულ იქნა ინვესტიციის კომერციული ღირებულება,[9] შესაბამისად ადგილი ჰქონდა არაპირდაპირ ექსპროპრიაციას.[10]

როგორც პირდაპირი ექსპროპრიაციისას, ისე არაპირდაპირი ექსპროპრიაციის დადგენის შემთხვევაში, ინვესტიციების მიმღები სახელმწიფო ვალდებულია გადაუხადოს უცხოელ ინვესტორს კომპენსაცია.

საინვესტიციო დავათა განხილვისას, მომჩივანი უცხოელი ინვესტორი საკმაოდ ხშირად მიიჩნევს და შესაბამისად ცდილობს დაასაბუთოს, რომ ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს მიერ ადგილი ჰქონდა მის საკუთრებაში არსებული ქონების არაპირდაპირი ფორმით ექსპროპრიაციას. თუმცა, საინვესტიციო დავათა განხილვისას გამოიკვეთა ისეთი პრაქტიკაც, როდესაც გარკვეული გარემოებების არსებობისა და მათი მხედველობაში მიღების შედეგად, საქმე გვაქვს არა არაპირდაპირ ექსპროპრიაციასთან, რომლის დადგენის შემთხვევაში, უცხოური ინვესტიციების მიმღები სახელმწიფო ვალდებულია გადაუხადოს უცხოელ ინვესტორს კომპენსაცია, არამედ სხვა ისეთ ქმედებებთან, რომლებიც არ

---

1 "Creeping Expropriation".

2 OECD Working Papers on International Investment, "Indirect Expropriation" and the "Right to Regulate" in International Investment Law", 2004/4, 63.

3 CME v. The Czech Republic, Partial Award, 13 September 2001, 9 ICSID Reports 121, ასევე იხილეთ: Rudolf Dolzer, Christoph Schreuer, Principles of International Investment Law, Oxford University Press, 2008, გვ. 100.

4 CME v. The Czech Republic, 66.

5 CME v. The Czech Republic, 66.

6 CME v. The Czech Republic, 66.

7 CME v. The Czech Republic, 66.

8 CME v. The Czech Republic, 66.

9 CME v. The Czech Republic, 66.

10 "The expropriation claim is sustained despite the fact that the Media Council did not expropriate CME by express measures of expropriation. De facto expropriations or indirect expropriations, i.e. measures that do not involve an overt taking but that affectively neutralize the benefit of the property of the foreign owner, are subject to expropriation claims. This is undisputed under international law", Rudolf Dolzer, Christoph Schreuer, Principles of International Investment Law, Oxford University Press, 2008, გვ. 100.

კვალიფიცირდება არაპირდაპირ ექსპროპრიაციად და შესაბამისად არ ითვალისწინებს ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს მიერ უცხოელი ინვესტორისთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას.[1]

იმის დადგენაში, თუ რა მიიჩნევა ასეთ სხვა ქმედებებად, რომელიც არ ითვალისწინებს კომპენსაციის გადახდას და რა კრიტერიუმებით ხდება მისი გამიჯვნა არაპირდაპირი ექსპროპრიაციისგან, საკმაოდ დიდია საინვესტიციო დავათა განმხილველი არბიტრაჟის წვლილი.

აღნიშნული კრიტერიუმებიდან შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე, მათ შორის, ჰქონდა თუ არა ადგილი ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს მიერ უცხოელი ინვესტორის საკუთრების უფლების არსებით ხელყოფას და ისეთი ფუნდამენტური უფლებების დარღვევას, რამაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა ინვესტორის მიერ ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოში საინვესტიციო და მისი ბიზნეს საქმიანობის განხორციელებაზე.[2] ასევე, რა ხანგრძლივობა ჰქონდა ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს მიერ მიღებულ აკრძალვას, რომლითაც უცხოელ ინვესტორს შეეზღუდა კონკრეტული საინვესტიციო და ბიზნესსაქმიანობის წარმართვის საშუალება ანუ მხედველობაში მიიღება სახელმწიფოს მიერ დადგენილი ამკრძალავი რეგულაციის მოქმედების ხანგრძლივობა და ის გარემოება, რა გარემოებაშიც მოხდა აღნიშნული რეგულაციის დაწესება.[3] საქმეზე Pope & Talbot,[4] არბიტრაჟის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტზე დაწესდა გარკვეული კვოტა, რომელმაც გამოიწვია "Pope & Talbot" კომპანიისთვის მოგების შემცირება, კომპანიის გაყიდვები უცხოეთში მთლიანად არ შეიზღუდა და ინვესტორს კვლავ შეეძლო შესაბამისი მოგების მიღება. არბიტრაჟმა განმარტა, რომ მცირეოდენი ჩარევა არ წარმოადგენს ექსპროპრიაციას. იმისათვის, რომ გამოიკვეთოს ექსპროპრიაცია, სახეზე უნდა გვქონდეს საკუთრების ფუნდამენტური უფლების მნიშვნელოვანი ხელყოფა, რაც არსებითად ნეგატიურ გავლენას ახდენს ინვესტორის ბიზნესაქტივობის განხორციელებაზე.[5]

როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ექსპროპრიაციის დადგენის შემთხვევაში ინვესტიციების მიმღები სახელმწიფო ვალდებულია გადაუხადოს უცხოელ ინვესტორს კომპენსაცია. ის საკითხი, თუ როგორ გაიმიჯნება კომპენსაციის გადახდას დაქვემდებარებული არაპირდაპირი ექსპროპრიაცია იმ სხვა ქმედებებისგან, რომლებიც არ კვალიფიცირდება არაპირდაპირ ექსპროპრიაციად და შესაბამისად არ ითვალისწინებს ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს მიერ უცხოელი ინვესტორისთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას, მოითხოვს არბიტრაჟის მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივ და სიღრმისეულ ანალიზს.

ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში არსებული ზემოაღნიშული დებულებებისა და სტანდარტების როგორც განმარტების, ისე მათი სიღრმისეული ანალიზის, ასევე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში უცხოელ ინვესტორსა და ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოს შორის დავათა განხილვის პრაქტიკას.

## 6. უცხოელ ინვესტორსა და ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოს შორის დავათა განხილვა და მისი მნიშვნელობა

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებით უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს, ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორის უფლებების დარღვევის, მათ შორის ხელშეწყობის ეროვნული სტანდარტის და უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტის დარღვევის, ასევე უცხოელი ინვეს-ტორის ქონების ექსპროპრიაციის შემთხვევაში, ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმართოს დავა საინვესტიციო დავათა განმხილველ საარბიტრაჟო ტრიბუნალებში. უცხოელი ინვესტორის ასეთი სახის უფლება მისი დაცვის საკმაოდ დიდი გარანტიაა იმდენად, რამდენადაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, როდესაც ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ადგილობრივ საერთო სასამართლოებში უცხოელ კერძო ინვესტორსა და ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოს შორის წარმოებული სასამართლო დავისას სახელმწიფო ახდენს ან ცდილობს მოახდინოს გარკვეული ზემოქმედება ადგილობრივ სასამართლოზე, რაც შესაბამისად წარმოშობს სასამართლოს მხრიდან სახელმწიფოსადმი მიკერძოებულობის რისკებს.

საკმაოდ ხშირ შემთხვევაში ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები ითვალისწი-

[1] OECD Working Papers on International Investment, "Indirect Expropriation" and the "Right to Regulate" in International Investment Law", 2004/4, 63.

[2] Pope & Talbot Inc. v. Canada, ხელმისაწვდომია: http://www.naftaclaims.com/disputes_canada_pope.htm

[3] OECD Working Papers on International Investment, "Indirect Expropriation" and the "Right to Regulate" in International Investment Law", 2004/4, 63.

[4] Pope & Talbot Inc v The Government of Canada, ხელმისაწვდომია: http://www.naftaclaims.com/disputes_canada_pope.htm

[5] Pope & Talbot Inc. v. Canada, "…mere interference is not expropriation; rather, a significant degree of deprivation of fundamental rights of ownership is required".

ნებს უცხოელ ინვესტორსა და ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოს შორის დავათა განხილვას საინვესტიციო დავათა განხილვის საერთაშორისო ცენტრში,[1] შესაბამისად საკმაოდ დიდი რაოდენობის საინვესტიციო დავების განხილვა ხდება სწორედ აღნიშნულ ცენტრში,[2] რომელიც ეფუძნება 1965 წლის ვაშინგტონის კონვენციას.[3]

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, უცხოური ინვესტიციების დაცვის თვალსაზრისით, წამყვანი როლი აკისრია არა მხოლოდ იმ მატერიალურ დებულებებს, რომლებიც მოცემულია ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში, არამედ იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ინვესტორს შესაძლებლობა ეძლევა, წარმართოს საარბიტრაჟო დავა ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს წინააღმდეგ.[4]

**დასკვნა**

ამჟამად არსებული საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის სისტემა, რომელიც გამოირჩევა ფრაგმენტირებული მახასიათებლებით, შედგება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან განვითარებული უამრავი ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების, რეგიონული და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების, რომლებიც მოიცავენ ინვესტიციებთან დაკავშირებულ დებულებებს და ფართო საარბიტრაჟო პრაქტიკისგან, რომელიც განვითარდა საინვესტიციო არბიტრაჟის მიერ.

თავად საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის განვითარების კუთხით საკმაოდ დიდია ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა წვლილი. აღნიშნულ ხელშეკრულებათა განვითარების შემდეგ წარმოშობილი რიგი რეგიონული და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებათა, მათ შორის ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისა და ენერგოქარტიის საერთაშორისო ხელშეკრულების[5] ის დებულებები, რომელთა მიზანს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების დაცვა და ხელშეწყობა აგებულია ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა შესაბამის დებულებათა, პრინციპებისა და სტანდარტების გამოყენებით.

უცხოელი ინვესტორის და შესაბამისი ინვესტიციის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს *ინვესტიციის* განმარტების საკითხს. გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, ინვესტიციის ის დეფინიციები, რომლებიც მოცემულია როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში და, მეორე მხრივ, ინვესტიციის განმარტება, რომელსაც გვთავაზობს საინვესტიციო დავათა განმხილველი არბიტრაჟი. ინვესტორი, რომლის საქმიანობაც დაკვალიფიცირდება ინვესტიციად, სარგებლობს ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში არსებული დაცვითი მექანიზმებით.

უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტი ფართოდ არის გავრცელებული არა მხოლოდ ორმხრივ, არამედ მრავალმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში, თუმცა, მისი ზუსტი ინტერპრეტაციის საკითხი, ასევე თავად სტანდარტის გამოყენების ფარგლები ბუნდოვანია.

საკმაოდ დიდია საინვესტიციო დავათა განმხილველი არბიტრაჟის წვლილი ექსპროპრიაციის დადგენისას, ასევე იმის განსაზღვრისთვის თუ რა მიიჩნევა ისეთ სხვა ქმედებად, რომელიც არ ითვალისწინებს კომპენსაციის გადახდას და რა კრიტერიუმებით ხდება მისი გამიჯვნა არაპირდაპირი ექსპროპრიაციისაგან.

თუმცა, როგორც დავინახეთ, ხშირ შემთხვევებში ტექსტობრივი ფორმულირება, თუნდაც ერთსა და იმავე სტანდარტთან და შესაბამის დებულებებთან მიმართებით, საკმაოდ განსხვავებულია, როგორც ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში, ისე რეგიონული და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებათა უცხოური ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებულ დებულებებში. აღნიშნული განსხვავება შესაძლებელია აიხსნას იმ კუთხით, რომ თავად ინვესტიცია და საინვესტიციო საქმიანობა საკმაოდ კომპლექსური მოვლენაა, რომელიც გაჯერებულია ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური ფაქტორებით.

რაც შეეხება უცხოელი ინვესტორის შესაძლებლობას, პირდაპირ წარმართოს დავა ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს წინააღმდეგ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული უცხოური ინვესტიციებისა და შესაბამისი ინვესტორის დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. სავარაუდოდ, სწორედ აღნიშნული დაცვითი

[1] International Centre for Settlement of Investment Disputes (ICSID).

[2] Andrew Kerner, "Why Should I Believe You? The Costs and Consequences of Bilateral Investment Treaties", (2009) International Studies Quarterly 53, 73-102.

[3] Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States, ხელმისაწვდომია: http://icsid.worldbank.org/ICSID/StaticFiles/basicdoc_en-archive/ICSID_English.pdf

[4] Francisco Orrego Vicuna, "Bilateral Investment Treaties and the Most-Favoured-Nation-Clause: Implications for Arbitration in the Light of a Recent ICSID Case", Paper delivered at the Swiss Arbitration Association Conference on Investment Treaties and Arbitration, Zurich, January 25, 2002, ციტირებულია: Gallus, 44.

[5] Energy Charter Treaty, ტექსტი ხელმისაწვდომია: http://www.encharter.org/fileadmin/user_upload/document/EN.pdf

მექანიზმის მნიშვნელობამ განაპირობა ის გარემოება, რომ განსხვავებით უამრავი ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებისა, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში წარმოშობილი ე.წ. სექტორული, ენერგოქარტიის საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს და სთავაზობს უცხოელ ინვესტორს ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს წინააღმდეგ დავების წარმართვის საკმაოდ ფართო მექანიზმს.[1]

არაეფექტური საინვესტიციო გარემოს პირობებში ექსპროპრიაციის, დაცვისა და ხელშეწყობის პრინციპებისა და სტანდარტების დარღვევის და სხვა ნეგატიური ქმედებების ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენის შემთხვევაში, უცხოელი ინვესტორის საბოლოო დასაყრდენი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში არსებული დავათა წარმართვის დებულებებია.

## ლიტერატურა


1. Margaret L. Moses, The Principles and Practice of International Commercial Arbitration, 1st edition., Cambridge University Press, 2008.
2. Mitsuo Matsushita, Thomas J. Schoenbaum & Petros C. Mavroidis, The World Trade Organization: Law, Practice and Policy, 2nd edition., Oxford University Press, 2006.
3. Peter T. Muchlinski, Multinational Enterprises and the Law, 2nd edition., Oxford University Press, 2007.
4. Rudolf Dolzer, Christoph Schreuer, Principles of International Investment Law, Oxford University Press, 2008.
5. Abba Kolo, "Managing Political Risk In Transnational Investment Contracts", 1 (4) the CEPMLP Internet Journal.
6. Alan D. Berlin, "Managing Political Risk", (2002) 12 (5) the CEPMLP Internet Journal.
7. Andrew Kerner, "Why Should I Believe You? The Costs and Consequences of Bilateral Investment Treaties", (2009) International Studies Quarterly 53, 73-102.
8. A. R. Ziegler, "Investment Guarantee: From a National to an International Perspective", (2005) 2 (5) Transnational Dispute Management.
9. Eric Neumayer, Laura Spess, "Do Bilateral Investment Treaties Increase Foreign Direct Investment to Developing Countries?", (2005) 33 (10) World Development.
10. Herman Walker, "Modern Treaties of Friendship, Commerce and Navigation", (1958) 42 Minnesota Law Review, 805.
11. Jeswald W. Salacuse, "BIT by BIT: The Growth of Bilateral Investment Treaties and Their Impact on Foreign Investment in Developing Countries", (1990) 24 (3)The International Lawyer 655.
12. Jeswald W. Salacuse, Nicholas P. Sullivan, "Do BITs Really Work?: An Evolution of Bilateral Investment Treaties and Their Grand Bargain", (2005) 46 (1) Harvard International Law Journal 67.
13. Kenneth J. Vandevelde, "The Bilateral Investment Treaty Program of the United States", (1988) 21 Cornell Int'l L. J. 201.
14. Mahnaz Malik, "Definition of Investment in International Investment Agreements", Foreign Investment for Sustainable Development, Best Practices Bulletin #1, International Institute for Sustainable Development, August 2009.
15. N. Gallus, "Plama v Bulgaria and the scope of investment treaty MFN clauses", (2005) 3 (2) Oil, Gas & Energy Law Intelligence.
16. Paul E. Comeaux, N. Stephan Kinsella, "Reducing Political Risk in Developing Countries: Bilateral Investment Treaties, Stabilization Clauses, and MIGA & OPIC Investment Insurance", (1994) 15 (1) New York Law School Journal of International and Comparative Law.
17. Robert R. Wilson, (1960) "United States Commercial Treaties and International Law", (1961) 23 (03) The Journal of Politics, 602.
18. W. Michael Tupman, "Case Studies in the Jurisdiction of the International Centre for Settlement of Investment Disputes", (1986) 35 International and Comparative Law Quarterly 813.
19. CME v. The Czech Republic, Partial Award, 13 September 2001, 9 ICSID Reports 121.
20. Maffezini v Spain, ICSID Case No. ARB/97/7.
21. Malaysian Historical Salvors Sdn Bhd v. Malaysia, Award on Jurisdiction, ICSID Case No ARB/05/10, IIC 289 (2007), 10 May 2007.
22. Malaysian Historical Salvors Sdn Bhd v. Malaysia, Decision on the Application for Annulment, ICSID Case No ARB/05/10, IIC 372 (2009).
23. Marvin Feldman v Mexico, ICSID, Case No.


[1] იხილეთ: ენერგო ქარტიის საერთაშორისო ხელშეკრულების 26-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: http://www.encharter.org/fileadmin/user_upload/document/EN.pdf

ARB (AF)/99/1.
24. Occidental Exploration and Production Company v The Republic of Ecuador, Final Award in the Matter of an UNCITRAL Arbitration (London Court of International Arbitration Administered Case No. UN 3467).
25. Petrobart Ltd. (Gibraltar) v Kyrgyzstan, Arbitration Institute of the Stockholm Chamber of Commerce, No. 126/2003.
26. Plama Consortium Limited v Republic of Bulgaria, ICSID Case No. ARB/03/24.
27. Pope & Talbot Inc v The Government of Canada, under the NAFTA under the UNCITRAL Arbitration Rules.
28. Salini Costruttori S.p.A. and Italstrade S.p.A v. Kingdom of Morocco, ICSID Case No. ARB/00/4, Decision of Jurisdiction, July 23, 2001.
29. Salini Costruttori S.p.A. and Italstrade S.p.A. and The Hashemite Kingdom of Jordan, ICSID Case No. ARB/02/13, Decision on Jurisdiction, November 15, 2004.
30. Siemens A.G. and The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/02/8, Decision on Jurisdiction, August 3, 2004.
31. S.D. Myers, Inc v Government of Canada, NAFTA Arbitration under the UNCITRAL Arbitration Rules.
32. Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States, Washington 1965, International Centre for Settlement of Investment Disputes (ICSID).
33. Energy Charter Treaty, Lisbon 1994.
34. Treaty between the Federal Republic of Germany and Pakistan for the Promotion and Protection of Investments, signed at Bonn, on 25 November 1959, N. 6575.
35. Vienna Convention on the Law of the Treaties, Vienna 1969, United Nations, Treaty Series, vol 1155, 331.
36. OECD Working Papers on International Investment, "Indirect Expropriation" and the "Right to Regulate" in International Investment Law", 2004/4.
37. UNCTAD, "Investment Instruments Online, What are BITs?".

***George Khatidze***
Ph.D. Candidate and Assistant Professor at Caucasus University School of Law

## Bilateral Investment Treaties as the Legal Instruments for Protection and Promotion of Foreign Direct Investment

In many countries, various business and economic activities is associated with foreign investment. Foreign investment, which is concerned with implementation of new technologies, development of infrastructure and other positive aspects, accelerates economic growth in a host state. However, despite many positive effects foreign investment may provide, making an investment is often associated with various risks derived from a host state.

From a legal perspective, Bilateral Investment Treaties within the main provisions contained therein represent an effective mechanism for the protection of foreign investment. Based upon substantive and procedural (investment arbitration) aspects of investment law, this study examines the main standards of protection and promotion of foreign direct investment, in particular the work is concerned with the scrutiny of National Treatment and the Most-Favoured-Nation Treatment standard as well as protection of foreign direct investment against expropriation. This work also examines the issue of definition of investment and its importance for the purposes of protection of foreign direct investment.

The wording of each of the foregoing mechanisms of protection of foreign direct investment has often been varied in Bilateral Investment Treaties and other Regional and Free Trade Agreements containing investment protection provisions. Such differences could be based on the fact that investment activities and investment per se is quite complex issue.

The study also examines an issue of arbitration against a host state by foreign investors, which could be regarded as one of the most important aspects of protection of foreign investment.

# საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია

*ხათუნა ხარხელაური, სტუ-ს დოქტორანტი*

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის გარდაუვალია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ქვეყანა პასიურად არ უნდა ელოდოს მათი საკმარისი ოდენებით შემოდინებას. გულუბრყვილოა იმაზე ფიქრი, რომ საერთო მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები, ავტომატურად იმოქმედებს ინვესტიციების მოზიდვაზე და ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული დარგების განვითარებისათვის მათ გამოყენებაზე. ამ აზრის ცხოვრებაში დამკვიდრება კი გამოიწვევს ისედაც დროში გაწელილი რეფორმებისა და ტრანსფორმაციის პერიოდის კიდევ უფრო გახაანგრძლივებას. ცხადია, რომ, დღემდე მოზიდული კაპიტალი და არსებული შიდა პოტენციალი ვერ გამოვიყენეთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა წამყვანი დარგების ჯეროვანი განვითარებისათვის. მრავალი ქვეყნის (მექსიკა, ბრაზილია, ჩინეთი, რუსეთი და ა.შ) გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ის განვითარება, რომელსაც საფუძვლად უდევს ეფექტური გრძელვადიანი სტრატეგია, მათ შორის პუი-ს მოზიდვის სფეროშიც, ამაღლებს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტურობას. ამ დროს ქვეყანას შესაძლებლობა აქვს მოიძიოს პოტენციური დონორები, მათი კაპი-ტალი და საჭირო ტექნოლოგიები მიმართოს ეკონომიკური ზრდის იმ სფეროში, რომელიც ხელსაყრელია სწორედ ქვეყნისთვის და არა მხოლოდ ინვესტორისათვის.

სასურველი მიზნის მისაღწევად, პუი-ს მოზიდვა და ჩართვა ეკონომიკაში, უნდა განხორციელდეს სპეციალური სტრატეგიის საფუძველზე. არ შეიძლება მისი შემუშავების იგნორირება ან გადადება. საქართველომ ისედაც ბევრი დრო დაკარგა თუ გავითვალიწინებთ იმას, რომ ჩვენმა კონკურენტმა რეციფიენტმა ქვეყნებმა უკვე მოახერხეს და შეიმუშავეს პუი-ს პოლიტიკა, რომელიც მხარდაჭერილია მათი ქვეყნების უმაღლესი სახელისუფლო ორგანოების მხრიდან და მას აქტიურად იყენებენ უცხოურ კაპიტალზე ზემოქმედებისათვის.

ძირითადი კონკურენტები საქართველოსთვის, რომლებიც იბრძვიან პუი-ს მოსაზიდად, არიან ჩვენი მეზობელი, პოსტსაბჭოთა სივრცისა და აღმოსავლეთ ევროპის ის ქვეყნები, რომლებმაც მოახერხეს და გახდნენ ევროკავშირის წევრები. თურქეთი, რუსეთი, ბრაზილია, მექსიკა, ჩინეთი, ინდოეთი სწრაფად პროგრესირდებიან არა მარტო თავიაანთი ბუნებრივი კონკურენტული უპირატესობის, ე.წ. ,,მსხვილი მზარდი ბაზების" ქონის, არამედ პუი-ს პოლიტიკის სრულყოფის საფუძველზე. მათ მოახერხეს ბოლო წლების განმავლობაში მნიშველოვნად გაეზარდათ ინვესტიციების ნაკადები ეროვნული ეკონომიკების პრიორიტეტულ დარგებში, რაზეც იმოქმედა მაკროეკონომიკური პოლიტიკის, სპეციფიკური პუი-ს კანონმდებლობის, ინტეგრირებული პოლიტიკური ინსრუმენტების კომბინირებამ.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, კერძოდ ჩეხეთმა, პოლონეთმა, უნგრეთმა, ესტონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ გააქტიურა ძალისხმევა გონივრული საინვესტიციო კანონმდებლობისა და პოლიტიკის მისაღებად. მათი მიღწევები ევროკავშირიდან პუის მოზიდვაში, წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას მათი ევროპაში ინტეგრაციისათვის. აზიის, ლათინური ამერიკის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებმა, გადაწყვიტეს არ ელოდონ შემთხვევის ნებას და დაიწყეს თავიანთი ბაზრების ფართოდ რეკლამირება მსოფლიო არენაზე.

საკუთარი ეროვნული სტრატეგიის შემუშავების დროს, რა თქმა უნდა, საფუძვლად უნდა ავიღოთ ის ცოდნა და გამოცდილება, რაც დაგროვილია მსოფლიოში ეკონომიკური პოლიტიკის პუი-ს მოზიდვის სფეროში. დღეისათვის ბევრი ქვეყანა ცდილობს აანაზღაუროს პუი-ს მოზიდვის სფეროში დაკარგული დრო.

საქართველო ისწრაფვის რა, მიიღოს აუცილებელი პუი-ს ნაკადები, ვალდებულია მიიტანოს პუი-ს დონორებამდე ქვეყნის ეკონომიკის ღირსებები, რომლებსაც შეუძლიათ მათი:

- ხარჯების შემცირების უზრუნველყოფა კვალიფიციური სპეციალისტებისა და იაფი მუშახელის გამოყენებით;
- ბუნებრივი რესურსებით მომარაგება;
- შესთავაზოს სამომხმარებლო ბაზარი და შექმნას ბაზა მეზობელი ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრის ათვისებისათვის.

მსგავსი უპირატესობები ძლიერდება:

- განვითარებული ინფრასტრუქტურის არსებობით;
- მაღალკვალიფიციური კადრების ოდენობითა და კარგი საგანმანათლებლო სისტემით;
- ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით და ბუნებრივი პირობებით;
- კულტურული სიახლოვით როგორც აზიურ, ისე ევოპულ ქვეყნებთან;
- ხელსაყრელი კლიმატური პირობებითა.

ეს პოტენციალი წარმოადგენს ეროვნული სიმდიდრის იმ მხარეებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პუი-ს მოსაზიდად. მაგრამ იგი შესაძლოა დარჩეს, როგორც აუთვისებელი პოტენციური სიმდიდრე, რომელიც ვერ იქცა ქვეყნის რეალურ სიმდიდრედ. იმისათვის, რომ ამოქმედდეს ეს პოტენციალი, უნდა გამოვიყენოთ მთელი რიგი სამეურნეო და ორგანიზაციული ზომების სისტემა, რომელსაც წარმოადგენს პუი-ს პოლიტიკა. მან უნდა შეძლოს შეამციროს სხვაობა უცხოელი ინვესტორებისა და ეროვნულ ეკონომიკის ინტერესებს შორის და მოახდინოს მათი თანხვედრა.

იმისათვის რომ, წამყვანი კომპანიების მოზიდვის შიდა პოტენციალი გარდავქმნათ პუი-ს მოსაზიდ უპირატესობად, ქვეყნის ხელისუფლებამ უდა შეიმუშაოს გონივრული პუი-ს სტრატეგია და დაუყონებლივ დაიწყოს მისი განხორციელება, რაც საშუალებას მოგვცემს:

- ქაოტური პუი-ს ნაკადები მიმართულ იქნას საერთო ეროვნული ამოცანების გადასაჭრელად;
- შეჩერდეს სამრეწველო ვარდნა და ტვინების გადინება;
- შევინარჩუნოთ და გავზარდოთ დასაქმება;
- გავზარდოთ გადასახადების გადამხდელთა ბაზა;
- ვუზრუნველყოთ გარემოს დაცვა.

ამრიგად, პუი-ს სტრატეგია საშუალებას მოგვცემს ქვეყანა დავაყენოთ ეკონომიკური განვითარების გზაზე. სულ მცირე, მას შეუძლია ეს ზრდა გადაიყვანოს ახალ, ეფექტურობის უფრო მაღალ საფეხურზე და მისცეს მას დაბალანსებული ხასიათი, ქვეყნის სამეურნეო სტრუქტურის გაუმჯობესების გზით. ამ პროცესში წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიზნეს-ინჟინერინგი, როგორც ერთერთი თანამედროვე მართვის განსაზღვრული ტექნოლოგიები და წესები, რომლის საფუძველია პროცესული ან პროექტული მართვა. "მისი ძირითადი მდგენელები ფუნქციონალური, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სხვა საშუალებების ურთიერთთდაკავშირებული ერთობლიობაა. როგორც ინტეგრირებული სისტემა, იგი განსაზღვრავს: ა) ბიზნესის განვითარების მიზნებსა და მიმართულებებს; ბ) ბიზნეს-პროცესებსა და ტექნოლოგიებს; გ) ბიზნესის სტრუქტურას; დ) ბიზნესისათვის საჭირო ინფორმაციებსა და რესურსებს."[1]

ყოველივე ეს საფუძველს მისცემს სამამულო წარმოების ოპტიმიზაციას, რაც შეიძლება გამოიხატოს: ა) სამრეწველო საქმიანობა იმპულსს მისცემს ვაჭრობას, საფინანსო და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას აიმაღლოს თავისი სტატუსი; ბ) მსგავსი სტრატეგია საშუალებას იძლევა გაიზარდოს „პროდუქტიული" და შემცირდეს "სპეკულაციური" ინვესტირება; გ) ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე და ეკოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვა, დაეხმარება ქვეყანას გადაჭრას გარემოს დაბინძურების პრობლემა; დ) პუი-ს საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელებისა.

რასაკვირველია პუი-ს სტრატეგია უნდა დაეფუძნოს დასახული მიზნისაკენ მიმავალ კონცეფციას და ორგანიზაციული ღონისძიებების სისტემას, რომლებიც ამ პროცესს უზრუნველყოფს.

მოვიყვანთ წარმატების რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომლებიც პუი-სტრატეგიის განხორციელებისათვის აუცილებელ განმსაზღვრელ პირობებს წარმოადგენს:

1) პირველ რიგში უნდა გაუმჯობესდეს შიდა ეკონომიკური კლიმატი. განსაკუთრებით გადასახადებით დაბეგვრისა და კანონმდებლობის ხშირ ცვლილებებთან დაკავშირებული არასტაბილურობა. ცხადი პოლიტიკა და მკაფიო შრომის კოდექსი, კანონმდებლობა საგარეო ვაჭრობის, საკუთრების და გარემოს დაცვის შესახებ, ასევე გონივრული და მასტიმულირებელი საგადასახადო სისტემა საშუალებას მისცემს უცხოელ ინვესტორებს იგრძნონ თავი ,,უკეთ, ვიდრე შინ".

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში არსებობს იურიდიული ნორმები (მიწის, საკუთრების, დასაქმების შესახებ) და სტაბილური კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საგარეო ვაჭრობას, საბანკო საქმიანობას, შრომით ურთიერთობებს და გადასახადებით დაბეგვრას. ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნით, როგორც ადგილობრივ ისე უცხოელი ინვესტორებისათვის, ქვეყანა შიქმნის ინვესტირებისათვის საიმედო ადრესატის იმიჯს. ამ ქვეყნების მსგავსად, საქართველომ უნდა შექმნას ხელსაყრელი გარემო პირობები ეკონომიკური პოლიტიკის ადაპტირებისა და სრულყოფის გზით.

2) პუი-ს სტიმულირებასა და მოზიდვაზე მიმართული ღონისძიებები აჩდენს ხელისუფლების მტკიცე სურვილის დემონსტრირებას, გააუმჯობესოს არსებული მდგომარეობა, რაც თავის მხრივ ზრდის ქვეყნის მიმართ საერთაშორისო ნდობას. რამდენადაც პოტენციურ ინვესტორებს სჭირდებათ წინასწარი მონაცემები ქვეყნისა და ადგილობრივი მწარმოებლების ეკონომიკური მდგომარეობისა და მათი პერსპექტივების შესახებ, აუცილებელია სტატისტიკური მონაცემებისა და მათი დამუშავების მეთოდების, ასევე პრომოუშენის შემდგომი სრულყოფისათვის საჭირო ეფექტური ისტრუმენტების მიღება და მათი ჩართვა აღნიშნულ სტრატეგიაში.

3) აუცილებელია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შეთანხმებული მოქმედება, იმისათ-

[1] სიჭინავა ა., ჩხაიძე ზ., ვეშაპიძე შ., სეხნიაშვილი დ., ჩიკვილაძე ნ. „ბიზნეს-ინჟინერინგის თანამედროვე კონცეფცია. ჟურნ. „ბიზნეს- ინჟინერინგი", N1 2012. გვ 7.

ვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კოორდინაცია და თავიდან აცილებულ იქნას უსარგებლო დუბლირებული მოქმედება.

4) მკაფიოდ უნდა ცხადვყოთ, რომ უმაღლეს დონეზე მხარდაჭერის გარეშე პუი ქვეანაში არ შემოვა, რომელიც გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით საჭიროა. ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი პრობლემები თავისი სირთულით, შეიძლება შევადაროთ განვითარებული ქვეყნების პრობლემებს, რომლებსაც ისინი წარსულში აწყდებოდნენ. მაგალითად, იაპონია ეკონომიკური რეკონსტრუქციის დროს 1960-70წწ-ში, იძულებული იყო მიეღო სამრეწველო კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფართომასშტაბიანი პროგრამები. ნოუჰაუს მოსაზიდად იაპონელებმა ტნკ-ს ფილიალებთან შედარებით, უპირატესობა მიანიჭეს ერთობლივ საწარმოების შექმნას, შემოიღეს რა სპეციალური საკანონმდებლო აქტები და წამახალისებელი მექანიზმები (მაგ., საგადასახდო განაკვეთები). სელექციურ მოზიდვაზე უარი მხოლოდ 80-იან წლებში ითქვა, როდესაც თვითონ იაპონური კომპანიები გახდნენ მსოფლიო ლიდერები ეკონომიკის უმეტეს მოწინავე დარგებში.

ომის შემდგომმა გერმანიამ, იტალიამ და სამხრეთ კორეამ ასევე სტრატეგიულად დააჩქარა სამრეწველო რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია. სიცოცხლისუნარიანმა პუი-ს პოლიტიკამ უნდა მოიპოვოს ადმინისტრაციული და ინტელექტუალური მხარდაჭერა უმაღლესი აღმასრულებელი და საკანონმდებლო სახელისუფლო ორგანოების მხრიდან. სისტემური მიდგომა გულისხმობს ყველა პოლიტიკური ძალის ჩაბმასა და ამავე დროს ყველა სტრუქტურის სინერგიის გამოყენებისა და ფუჭი ხარჯების, დუბლირების, გაუგებრობების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ შემოსული პუი-ს სწორი ადრესირების შემთხვევაში იგი სასიკეთოდ იმოქმედებს სამრეწველო მოდერნიზაციასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, უნდა შეაღწიოს ქვეყნის ყველა უწყებაში, რომელთა მხადაჭერაც შეუცვლელია.

5) იმისათვის, რომ ქვეყნის პოტენციალი იყოს შეფასებული და რაც შეიძლება მეტად მოთხოვნადი საერთაშორისო არენაზე, პუი-ს სტრატეგიას თავის არსენალში უნდა ჰქონდეს მრავალი საინფორმაციო და პრომოუტერული პროგრამები, რათა საქართველო წარმოჩინდეს როგორც პუი-ს განხორციელებისათვის კეთილსაიმედო ქვეყნად, უნდა ვაწარმოოთ აქტიური PR- და ლობისტური კამპანია ყველა ძირითად პუი-ს დინორ ქვეყნებთან (დასავლეთ ევროპა, აშშ, იაპონია და აზიის ზოგიერთ ქვეყნები). მსგავსი ღონისძიებები დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, ამიტომ საჭიროა მათი ზუსტი დაგეგმვა შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან.

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, უფრო მეტი ეფექტურობისათვის პუი-ს სფეროში მომუშავე სპეციალისტები სასურველია მუშაობდნენ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისაგან ავტონომიურად. უმეტეს რეციფიენტ ქვეყნებში ასეთი დამოუკიდებელი სუბიექტები არიან პასუხისმგებელი ქვეყანაში შემავალი ინვესტიციების ნაკადის ზრდასა და მათი ქვეყნისათვის პრიორიტეტული დარგებისაკენ წარმართვაში. უცხოელი ინვესტორები უპირატესობას ანიჭებენ ნეიტრალურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას. მოწინავე ქვეყნებში პუი-ს სტრატეგიის ფორმულირება და რეალიზაცია დაკისრებული აქვთ დამოუკიდებელ პუი-ს სააგენტოებს. ეს სააგენტოები, როგორც წესი დაფუძნებული არიან, როგორც ნახევრად სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებსაც მართავენ პროფესიონალები და მუშაობენ კერძო სექტორთან მჭიდრო კავშირში. საზღვარგარეთ ისინი ფუნქციონირებენ საკუთარი პრომოუთერული კომპანიების მეშვეობით (განსაკუთრებით ძირითად დონორ ქვეყნებში), ასევე ჰყავთ დანიშნული პუი-ს ექსპერტები თავიანთ საელჩოებში. მაგრამ ამავდროულად ასეთი სააგენტოები ვალდებული არიან მთავრობას მიაწოდონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სწორი პუი-ს პოლიტიკის გატარებისათვის.

ქვეყანამ, რომელიც მიზნად ისახავს პუი-ს მოზიდვის გაზრდის სტრატეგიას, სწორად უნდა შეაფასოს თავისი საწყისი პოზიციები ამ სფეროში. ეს გულისხმობს ყველა შესაძლო რისკის განსაზღვრასა და საკუთარი შესაძლებლობების შეფასებას დასახული მიზნის მისაღწევად. სტრატეგიის შემუშავება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საკუთარი ინტერესების გააზრებით და დასახული მიზნის ფორმულირებით.

საჭიროა პუი-ს სტრატეგიის მომცველი ყველა სამეურნეო სუბიექტის ზუსტი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების განსაზღვრა. მათი საფრთხეების, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა საშუალებას იძლევა უფრო რეალური და ეფექტური სამოქმედო პროგრამის შედგენისა.

პუი-ს მოზიდვის სტრატეგიული კონცეფციის არსს წარმოადგენს ეროვნულ ეკონომიკაში მაქსიმალური ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, კონკურენტი ქვეყნების გვერდის ავლით.

ასეთი რთული ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია ბიზნესიის სფეროში უკვე ფართოდ გამოყენებული სტრატეგიის თეორიის – „კორპორაციული მენეჯმენტის" საბაზო კონცეფციის გამოყენებით. ასეთი სტრატეგიის თავისებურებას წარმოადგენს უცხოელი ინვესტორების ინტერესების გამოყენება, ეროვნული პრობლემების გადაწყვეტისთვის. თვით ამოცანის ფორმულირება გულისხმიბს პუი-ს სტრატეგიის განხორციელებას საჯარო და კერძო სექტორების მჭიდრო თანამშრომლობაზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში სტრატეგიული ხედვა მოითხოვს ქვეყნის მკაფიო

ორიენტირებს ეკონომიკის განვითარებაში და იმას, თუ რა როლი უნდა შეასრულოს მასში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა.

პუი-ს პოლიტიკამ, რომელმაც უნდა მოახდინოს პუი-სტრატეგიის რეალიზება უნდა გამოიყენოს ფართოდ მიღებული სტრატეგიული განვითარების პრინციპები. ისინი ხასიათდება:

- შიდა პოტენციალისა და გარემოს მდგომარეობის მუდმივ მონიტორინგით;
- მკაფიო და მიღწევადი მიზანით;
- განჭვრეტადი შედეგით;
- რეალური ვადებით;
- მრავალსაფეხურიანი გეგმებით.

პუი-სთან დაკავშირებული სტრატეგიული მიდგომის თავისებურებები უკავშირდება ამ სტრატეგიის მოქმედების არეალის განსაზღვრას. ეკონომიკის რომელ სფეროში უნდა მოხდეს პუი-ს განხორციელება და ასევე ამ პროცესების მართვა. პუი-სრატეგიის არეალი შედგება ორი დონისაგან. პუი-ს იმპულსირება ხდება პუი-ს დონორი ქვეყნების მიკროეკონომიკიდან, ხოლო თვით დონორი კერძო ბიზნესის წარმომადგენელია. მათი განხორციელება ასევე მიკროეკონომიკაში ხდება, ოღონდ სულ სხვა მიმღები ქვეყნის მიკროეკონომიკაში. ეს კი გულისხმობს პროცესების მართვას არა მარტო ბაზრის უხილავი ხელით არამედ სახელმწიფოს ჩარევასაც.

პუი-ს სტრატეგიული კონცეფციის ფორმულირება შეუძლებელია თუ ის მოიცავს მხოლოდ ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში მიმდინარე პროცესებს. იგი უნდა რეაგირებდეს პუი-ს მსოფლიო ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე და მიმდინარე მოვლენებზე. როგორც წესი, სწორედ აქ გამოჩნდებიან როგორც პუი-ს პოტენციური დონორები, ასევე კონკურენტებიც, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ იმისათვის რომ, პუი მიიზიდონ თავიაანთ ქვეყნებში. ამის გათვალისწინებით პუი-სტრატეგია აგებულ უნდა იქნას პუი-ნაკადების მუდმივი თვალყურის დევნებაზე, და შემდგომში კონკურენტების გვერდის ავლით ისინი მოზიდულ იქნას ეროვნულ ეკონომიკაში.

განვსაზღვრავთ რა პუი-ს სტრატეგიის მოქმედების არეალს, რომელიც შედგება როგორც შიდა ასე მსოფლიო ბაზრებისაგან, გადავდივართ მისი სტრუქტურების განხილვაზე, რომლებიც ცალკეული ფუნქციონალური ბლოკებისაგან შედგება. პუი-ს დახმარებით სტრატეგიული განვითარების ფორმირება პირველსავე ეტაპზე გულისხმობს სამი ბლოკის გამოყენებას:

1. მიზანმიმართული პუი-ს დონორების მოძიება;
2. პუი-ს მოზიდვაში კონკურენტებისათვის გვერდის ავლა;
3. ეროვნულ ბაზარზე პუი-ს განხორციელებისათვის საჭირო რეჟიმის ოპტიმიზაცია.

სტრატეგიული დაგეგმარების პირველი ბლოკის მიზანს წარმოადგენს გლობალური პუი-შესაძლებლობების გამოვლენა და გამოყენება. ის ეფუძნება უცხოური კაპიტალის მიწოდების პროგნოზირებას და კონკრეტული დონერების მოძიებას.

მეორე ბლოკი ემსახურება იმ ამოცანის შესრულებას, რომელიც გულისხმობს იმ საფრთხებისა და რისკების შემცირებას, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს მნიშვნელოვანი სამრეწველო და სხვა პროექტების დაკარგვას კონკურენტი ეკონომიკების სასარგებლოდ.

მესამე ბლოკის ამოცანაა წარმოაჩინოს ქვეყნის, როგორც პუი-ს მიმღები ქვეყნის კონკურენტული უპირატესობები, და განსაზღვროს პუი-ს ეფექტური მიმართულებები. ამისათვის საჭიროა გაირკვეს:

ა) ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეები;

ბ) მოხდეს გამოვლენილი სუსტი მხარეების სისტემატიური აღმოფხვრა და მოსალოდნელი საფრთხეების განეიტრალება.

პუი-ს სტრატეგიის მესამე ფუნქციონალურ ბლოკში მუშაობა გულისხმობს ისეთი ინსტრუმენტის გამოყენებას, როგორიც არის SWOT-ანალიზი. მასში ფიქსირდება ის ძლიერი აქტივები (წარმატების ფაქტორები), რომლებიც უკვე მოქმედებენ და ის შესაძლებლობები, რომლებიც ქვეყანას აქვს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ან არ იყენებს. მათი რეალიზება აუცილებელია, მაგრამ ამისათვის გარკვეული ძალისხმევა არის საჭირო. SWOT-ანალიზი მოიცავს კიდევ ორ ბლოკს, სადაც დაფიქსირებულია ქვეყნის სუსტი მხარეები და ყველა ის მოსალოდნელი საფრთხე, რომლებიც შესაძლოა თან ახლდეს სტრატეგიული მიზნის რეალიზებას.

პუი-ს მოზიდვის სტრატეგია, როგორც ყველა სხვა დანარჩენი სტრატეგია, უნდა ეფუძნებოდეს საკუთარი შესაძლებლობების გამოყენებასა და არსებული შიდა პოტენციალის ამოქმედებას, რათა მოხდეს სისუსტების აღმოფხვრა და დასახული მიზნის მიღწევის საფრთხეების განეიტრალება. პუი-სთან მიმართებაში მსგავსი ქმედებები გულისხმობს, საქართველოს, როგორც რეციფიენტი ქვეყნის წარმატების ძირითადი ფაქტორების - ეროვნული უპირატესობების - მუდმივად განმტკიცებას. ასევე მუდმივად უნდა ხდებოდეს იმ სისუსტეების მინიმუმამდე დაყვანა, რომლებიც ხელს უშლიან პუი-ს მოზიდვას. ამავდროულად ქვეყანამ უნდა ისარგებლოსიმშესაძლებლობებით,რომლებიცმოცემულ მომენტში ყალიბდება საეთაშორისო ბიზნესკავშირებით და ხდებოდეს პუი-ს ნაკადებისათვის მოსალოდნელი საფრთხის გამოვლენა. ზემოთ აღნიშნული საკითხების წარმოჩენა (წარმატების ძირითადი ფაქტორი, სისუსტე, შესაძლებლობა, საფრთხე) წარმოადგენს მნიშვნელოვან ანალიტიკურ მასალას, რომელიც პუი- პოლიტიკის განსასაზღვრად არის საჭირო.

გთავაზობთ საქართველოსათვის პუი-ს SWOT-ანალიზს, რომელიც ასე გამოიყურება

| **ძლიერი მხარეები:** | **სისუსტეები:** |
|---|---|
| 1. ადამიანური რესურსები და მათი კვალიფიკაცია;<br>2. ნედლეულის ბაზა;<br>3. დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა;<br>4. განვითარებული ინფრასტრუქტურა;<br>5. ქვეყანა წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს აღმოსავლეთ და დასავლეთ ბაზრებს შორის. | 1. სამამულო წარმოების დაბალი დონე;<br>2. ადგილობრივ პროდუქციის მაღალ ხარისხზე ორიენ-ტაციის უქონლობა;<br>3. არათანაბარი კონკურენცია;<br>4. საქმიანი ეთიკისა და კორპორაციული მმართველობის დაბალი დონე;<br>5. ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობის ხშირი ცვლილება;<br>6. გარემოს დაცვის პრობლემები |
| **შესაძლებლობები:** | **საფრთხეები:** |
| 1. მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაცია;<br>2. გაჯერებული ბაზრები და მძაფრი კონკურენცია. აუთვისებელი ეროვნული და მეზობელი ეკონომი-კების ბაზრები;<br>3. საგარეო ვაჭრობის პუი-ით ჩანაცვლების ტენდენცია. | 1. რეფორმების ჩავარდნა;<br>2. ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება;<br>3. პოლიტიკური დესტაბილიზაცია;<br>4. კონკურენცია სხვა აუთვისებელი ბაზრების მხრიდან<br>5. “ძალის პოზიცია“ უცხოური ტნკ-ების მხრიდან.<br>6. ცვლილებების მიმართ შიდა წინააღმდეგობა. |

უცხოური კაპიტალის მოსაზიდად წარმატების ძირითადი ფაქტორების რეალიზაციისაკენ, სისუსტეების აღმოფხვრისაკენ და საფრთხეების ნეიტრალიზებიკენ მართული ქმედებები წარმატებული იქნება თუ ის დაფუძნება ეტაპობრივად შესასრულებელ, გონივრულ ვადებში გაწერილ გეგმას. ასევე უზრუნველყოფილი შესაბამისი ფინანსური, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსებით. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ყველაზე საუკეთესო გეგმაც კი ვერ იძლევა სასურველ ეფექტს თუ თუ მისი რეალიზება არ ხდება დროულად და მასში გაწერილი ღონისძიებები არ ხორციელდება მაშინ როდესაც საჭიროა.

## ლიტერატურა:


1. სიჭინავა ა., ხარხელაური ხ., „საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “ეკონიმიკური პოლიტიკა და ბიზნეს პროცესების მართვა“ კრებული.თბ. სტუ. 2011წ. გვ. 352-356;
2. სიჭინავა ა., ჩხაიძე ზ., ვეშაპიძე შ., სეხნიაშვილი დ., ჩიკვილაძე ნ. „ბიზნეს -ინჟინერინგის თანამედროვე კონცეფცია. ჟურნ. „ბიზნეს- ინჟინერინგი“, №N1 2012. გვ 7;
3. Sichinava A., “Intelectual investment manegment.” The inrternational scientific conference, dovouted to the anniversare of academician I.V. Prangishvili “Information and computer technologies, modelling, control”, Tbilisi, Georgia, november 1-4, 2010 pp. 147-148.
4. Baratashvili E., Sichinava A., Bulia L. „ Social and economic aspects of EU-Georgia relations under the European neighborhoold policy”, http://www.ca-c.org. The Caucasus & glibaliza-tion, Jurnal of Social, Political and Economic Studeies, Sweden, Publishing house CA@CC Press, 2010.
5. UNCTAD World Investment Reports 2010.
6. Фишер Пауль, Привлечение прямых иностранных инвестиций в Россию: 5 шагов к успеху Наука, 2004.



***Khatuna Kharkhelauri***

***PhD student of GTU***


## ATTRACTING FOREIGN DIRECT INVESTMENT IN GEORGIA AND FDI - STRATEGY


### SUMMARY

This article substantiates the necessity of developing the strategy of Attracting foreign direct investments. At least, what he is able to transfer the country's economic growth to the higher level of efficiency and and give him a balanced character, improving the country's economic structure. In doing this, we can use the business – engineering's modern concept. What functional blocks it must have. The article describes the author's vision of how to develop such a strategy. It should be based on three main functional blocks: 1.the purpose looking for of the FDI - donors; 2. catching-up of competitors for the attracting of the FDI ; 3. the optimization of economy's policy in the National market for the implementation FDI. What tools can also help FDI - policies to implement this strategy. Including country’s SWOT-Analysis, as a host of FDI. There are as of the host country's strengths and weaknesses, also the opportunities and potential threats.

# წარმატებული ინვესტირების ზოგიერთი პრინციპი

**მალხაზ ცისკარიშვილი,**
***ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი***
**მარიამ ცისკარიშვილი, სტუ-ს დოქტორანტი**

**თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი ადმინისტრაციული გარემო, ნებისმიერი მონოპოლისტური საბაზრო სივრცე, ნებისმიერი სამართლებრივი სირთულე, უძლურია საზოგადოების შემოქმედებითი საქმიანობის წინაშე, უძლურია ჩაკლას ადამიანში გამდიდრების და ეკონომიკური კეთილდღეობის სურვილი. იმპერიულმა სახელმწიფოებმაც კი ვერ შეძლეს ადამიანში მეწარმეობითი უნარის აღმოფხვრა. მიგვაჩნია, რომ რაგინდ რთული ეკონომიკური გარემო იყოს, თუ ადამიანი ფლობს ბიზნესის წარმოებისათვის აუცილებელ უნარებს, მას აქვს შანსი მიაღწიოს გარკვეულ ეკონომიკურ წარმატებას.**

ნებისმიერი ბიზნესწამოწყება დაკავშირებულია საინვესტიციო პროცესებთან, რომლის სწორად წარმართვაზედაც დამოკიდებულია ინვესტირებული კაპიტალის მოგებით დაბრუნება ანუ მთლიანად ბიზნესის წარმატება.

**ინვესტიცია არის კაპიტალის ისეთი დაბანდება, რომელიც გათვლილია პერსპექტივაში ბევრად მეტი მოგების მიღებაზე ან საინვესტიციო ობიექტის ღირებულების შენარჩუნება-ამაღლებაზე.**

**ზოგჯერ ინვესტიციას განმარტავენ როგორც ფულის გამოყენებას, კიდევ უფრო მეტი ფულის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად.**

**ინვესტიცია** როგორც არ უნდა განვმარტოთ, ცხადია, მისი შინაარსი ამით არ შეიცვლება. შინაარსობრივად კი იგი ისეთი ეკონომიკური პროცესია, რომლის დროსაც წინასწარ ცნობილი ან გამოთვლილი რისკის ფონზე, საინვესტიციო ობიექტზე ხდება ისეთი ფინანსური დაბანდების განხორციელება, რომელიც ინვესტირების მიზნიდან გამომდინარე, ან ამ ობიექტის საბაზრო ღირებულებას ზრდის სრულიად გარკვეული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, ან გარკვეული პერიოდის შემდეგ ინვესტორს უბრუნდება გაცილებით დიდი ფულის მასა, ვიდრე ინვესტირებაში დააბანდა.

ინვესტირების პროცესი გარკვეულ წინასწარ გათვლილ რისკებს უკავშირდება, აქედან გამომდინარე არსებობს იმისი ალბათობაც, რომ ინვესტორმა მოგების ნაცვლად ნახოს ზარალი. იმის გამო, რომ შეუძლებელია ყველა იმ გარემოებისა და საფრთხის გათვალისწინება, რომელიც ინვესტირების პროცესს თან სდევს (რეალობა სავსეა მოულოდნელობებით), რაც ინვესტორისათვის არცთუ ისე იშვიათად უარყოფითი სიურპრიზებით მთავრდება. ცხადია, მხოლოდ ისეთი ინვესტიცია ბრუნდება მოგებით, რომელიც რაციონალურად არის გათვლილი. სწორედ წარმატებული ინვესტირების შედეგია ქონებისა და ზოგადად სიმდიდრის დაგროვება.

ადამიანთა დიდი უმრავლესობა ოცნებობს გამდიდრებაზე, მაგრამ მხოლოდ მათი 10%-მოქმედებს გონივრულად და აქტიურად, დანარჩენ 90%-ს კი უბრალოდ უნდა მდიდარი იყოს და ელოდება როდის გაიხსნება ზეცა. რა თქმა უნდა, ჩვენი ყურადღებაც იმ აქტიური 10%-ისკენ არის მიმართული იმისი დიდი სურვილით, რომ ყოველი საქმიანი მცდელობა მაღალი გარანტიით დასრულდეს წარმატებით.

თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ სტატისტიკა მეტად სავალალოა, რადგან ყოველი 100 გამდიდრების მცდელობიდან, მხოლოდ ერთი-ორი გვირგვინდება წარმატებით. ადრე ეს ციფრი კიდევ უფრო მცირე იყო, მაგრამ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, გამდიდრების მცდელობათა დადებითი შედეგები გააორმაგა. დღეს ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი გახდა ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რაზედაც სულ ათიოდე წლის უკან ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ინფორმაცია საშუალებას აძლევს ბიზნესმენს, ისე შეადგინოს სამოქმედო პროგრამა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინოს მოსალოდნელი საფრთხეები და წარმატებით განახორციელოს შემუშავებული ბიზნესგეგმა, უფრო სწორად კი მაქსიმალურად მიუახლოვდეს დასახულ მიზანს სერიოზული დანაკარგების გარეშე.

გამდიდრების სურვილი დაკავშირებულია და აუცილებლად ითვალისწინებს ინვესტირებას ეკონომიკის რომელიმე მიმართულებაში. გამდიდრების სურვილი და ინვესტირების პროცესი ურთიერთშექცევადობით ხასიათდება. არ არსებობს ინვესტირება დადებითი ეკონომიკური შედეგის (კაპიტალის ზრდის ანუ სიმდიდრის მატების), დადგომის სურვილის გარეშე და არ არსებობს გამდიდრება (მხედველობაში გვაქვს ფინანსურ-ეკონომიკური სივრცე და არა ანდერძით მიღებული მემკვიდრეობა ან ლატარიაში მოგება) - ინვესტირების პროცესის განხორციელების გარეშე.

წარმატებული ინვესტირებისათვის პროცესის თავისებურება, აუცილებლად ითხოვს სახსრების დაბანდების განსაკუთრებული უნარ-ჩვევების ფლობას, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისაგან. სახსრების მარტივი, პრიმიტიული დაბანდება საქმეში ძირითადად იღბალზეა დამოკიდებული და იგი ემსგავსება ლატარიის ალბათურ შედეგს, მოულოდნელი მოგებით ან ასეთივე ზარალით.

ის, ვინც ელემენტარულად მაინც არის გარკვეული საინვესტიციო პროცესებში, დაბანდებისას ლატარიის პრინციპს მთლიანად გამორიცხავს და ძირითადად მეცნიერული ალბათური შედეგებით იფარგლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაშიც არსებობს რისკები, მაგრამ მაქსიმალურად დაზღვეული დამანგრეველი შედეგის დადგომისაგან და მაღალი დადებითი ალბათობით.

ქონების დაგროვებისა და გამდიდრების პროგრამების შემუშავების თვალსაზრისით, მეტად საინტერესო და სასარგებლოა მდიდარი ადამიანების ისტორიის გაცნობა. რადგან იქ ისეთ ბიოგრაფიულ ცნობებს მოვიპოვებთ რამაც შეიძლება წაგვახალისოს და ხელი შეგვიწყოს მიზნის მიღწევაში. როცა ვეცნობით ისეთ ინფორმაციებს როგორიცაა, მაგალითად: ჰენრი ფორდმა, საავტომობილო მრეწველობის უგვირგვინო მეფემ, ნახევარი საუკუნე მოანდომა ფინანსური იმპერიის შექმნას. როკფელერის ოჯახმა საკუთარი ფინანსური იმპერიის შესაქმნელად რამდენიმე ათეული წელი დახარჯა. ჯორჯ სოროსმა ორი ათეული წლის ინტენსიური შრომით მიაღწია ფინანსურ წარმატებას. პოსტინდუსტრიულ ერაში 1990 წლიდან 2000 წლამდე სულ რაღაც ერთ ათეულ წელიწადში სერიოზულ ფინანსურ წარმატებას მიაღწია ბიძინა ივანიშვილმა. ინფორმაციული ერას გარიჟრაჟზე კომპიუტერული პროგრამების I -ის შემქმნელმა ბილ გეითსმა საკუთარი ფინანსური იმპერია 23 წლის ასაკში შექმნა, ისე, რომ მას კლასიკური უმაღლესი განათლებაც არ მიუღია და მრავალი სხვა, ასეთი და მსგავსი ინფორმაცია ნებისმიერ მიზანსწრაფულ ადამიანზე დადებითად მოქმედებს, რადგან გვმატებს იმის რწმენას, რომ ამას ჩვენც შევძლებთ.

მეტად ხელშესახები ხდება კაპიტალის დაგროვება, როცა გავიგებთ, რომ ინფორმაციულ ერაში სულ უფრო მცირდება მდიდარი ადამიანების ასაკი. ელვისებურ წარმატრებას მიაღწიეს მარკ ცუკერბერგმა ,,ფეისბუქი''-სა და სერგეი ბრინიმ ,,გუგლი''-ს შემქმნელებმა. დღეს აღარავის უკვირს თუ სკოლის მოსწავლე, მილიონს შოულობს ორიგინალური იდეის რეალიზაციის გამო. გამდიდრების ასაკი სულ უფრო ახალგაზრდავდება და სწორედ ეს არის ინფორმაციული ერას ძირითადი მახასიათებელი.

საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ ვისაც სწრაფი გამდიდრება უნდა, ახალი იდეებისადმი გამჭრიახი გონება უნდა გააჩნდეს, უნდა ჰქონდეს უნარი სიახლის აღქმისა და პერსპექტივის შეფასებისა. სხარტად უნდა რეაგირებდეს სიახლეზე და პერსპექტიულ იდეებზე. უნდა ჰქონდეს უნარი, იდეა აქციოს ისეთ მატერიალურ რეალობად, რომელსაც პირადი კეთილდღეობის გასაზრდელად გამოიყენებს. სწორედ ამისთვის არის საჭირო ის აუცილებელი და განსაკუთრებული უნარ-ჩვევების დაუფლება, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების არეალის გაფართოებას შეუწყობს ხელს.

წარმოიდგინეთ, რომ მსოფლიოში დაუთვლელი სიმდიდრე არსებობს საიდანაც ადამიანები იღებენ იმდენს, რამდენსაც მისი შესაძლებლობები იმსახურებს და რაც უფრო ფართო იქნება ჩვენი შესაძლებლობების არეალი, მით მეტი შეგვხვდება ამ სიმდიდრიდან. თუ ჩვენი შესაძლებლობების არეალი მცირეა და ჩვენ არ ვზრუნავთ მის გასაფართოებლად, მაშინ მსოფლიო სიმდიდრიდან იმდენად მცირე ნაწილს მივიღებთ, რომ ეს ,,დოვლათი'' ვერ გაგვამდიდრებს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გამოვიყენოთ ნაპოლეონ ჰილის მაგალითი, ავიღოთ წყლით სავსე გრაფინი და ორი ჭიქა. ერთი ჭიქა – გრაფინზე მცირე და მეორე – დიდი. თუ გრაფინიდან წყალს მცირე ჭიქაში ჩამოვასხამთ, ჭიქა გაივსება და წყალი იატაკზე დაიქცევა მანამდე, სანამ გრაფინში წყალი არ გამოილევა. მაგრამ, როცა გრაფინიდან წყალს დიდ ჭიქაში გადმოვასხამთ, გრაფინი დაიცლება ისე, რომ ჭიქა მთელ მის შიგთავსს არათუ უკლებლივ მიიღებს, არამედ ჭიქაში კიდევ დარჩება ადგილი, რომ სხვა გრაფინიდანაც დაიმატოს წყალი მთლიანად შესავსებად. ასევე უნდა ცდილობდეს ყველა, რაც შეიძლება გააფართოოს საკუთარი შესაძლებლობათა არეალი – ანუ იმავე სიახლის მიღების უნარი, მოვლენების განჭვრეტის უნარი, ნებისმიერი საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების უნარი და ენერგიული საქმიანობის უნარი, რომ უფრო მეტი მივიღოთ მსოფლიოში არსებული სიმდიდრიდან.

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზარმაცი, გონებაშეზღუდული და სიახლისადმი ეჭვით განწყობილი ადამიანების გამდიდრების შანსი ნულის ტოლია.**

**ვფიქრობთ, ყველამ უნდა მიბაძოს რობერტ კენედის, რომელიც ამბობს, ,,ზოგიერთები საგნებს ისეთს ხედავენ, როგორიც ის სინამდვილეშია და მაინც კითხულობენ ,,რატომ"?, მე კი იმისი მჯერა, რაც არ არსებობს და ვამბობ ,,და რატომაც არა?".**

ასეთი მსჯელობის შემდეგ, ცხადია, დაისმის

კითხვა: როგორ გავაფართოოთ ჩვენი შესაძლებლობების არეალი? აქ შეიძლება ასეთი ფორმულირება გამოვიყენოთ:

**რაც უფრო ფართოა პიროვნების შემოქმედებითი თვალსაწიერი, რაც უფრო მიზანსწრაფული და ენერგიულია პიროვნება, მით მაღალია მისი შესაძლებლობების არეალი და მით მეტია გამდიდრების შანსი.**

მე დარწმუნებული ვარ, ვინც ბოლომდე გულდასმით წაიკითხავს შემოთავაზებულ მოსაზრებებს აუცილებლად იპოვის კონკრეტულ სუბიექტზე მორგებულ პასუხს. მანამდე კი ღარიბებისა და მდიდრების ცხოვრებაში, საყოველთაოდ მიღებულ ტერმინოლოგიას გავეცნოთ.

**ღარიბი ადამიანების ტერმინოლოგია:** „ მე ამის უფლებას თავს ვერ მივცემ", „ეს მეტად სარისკოა და საშიში", „მეც რომ ვიკადრო ასე მოქცევა, მეც ვიშოვიდი ფულს", „რაღა დროს ჩემი გამდიდრებაა, ჩემი მატარებელი კაი ხნის წინ წავიდა, „ მე არ მინდა სიმდიდრე, ტკბილი ძილი მირჩევნია", „ერთხელ უკვე ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა", „ მე ეს არ შემიძლია", „კარგი ერთი, მაგ საქმიდან არაფერი გამოვა", „წაგვართმევენ, დაგვაყაჩაღებენ", „რა გვეჩქარება, ხვალაც ეს თვეა" და კიდევ მრავალი სხვა.

**მდიდარი ადამიანების ტერმინოლოგია:** „და რატომაც არა?", „ასჯერ რომ დავმარცხდე, ასმეერთედ აუცილებლად გამიმართლებს", „მე ყველაფრის გაკეთება შემიძლია", „მატარებლები მიდიან და მოდიან," „ ის, რაც შეიძლება გააკეთო დღეს, არ გადადო ხვალისთვის", „დრო ფულია", „ დროს უკან ვერ დააბრუნებ" „ თუ რამე შესაძლებელია, მეც შემიძლია" და სხვა.

ახლა დაუსვით თავს კითხვა, თქვენ რომელი ტერმინოლოგიით სარგებლობთ რეალურ ცხოვრებაში?

უნდა გავითვლისწინოთ, რომ რაც უფრო ნათელია ამ ორ „რეალობას" შორის განსხვავება, მით უფრო მკვეთრია განსხვავება საბოლოო შედეგებში. რადგან ღარიბი ადამიანების აზროვნებაში პესიმისტური განწყობილებები სჭარბობს, მას უარყოფითი აურის პირობებში უხდება საქმიანობა, რაც უმრავლეს შემთხვევაში ნებისმიერ წამოწყებას მარცხისათვის სწირავს. მდიდრები კი ოპტიმისტური განწყობით იწყებენ საქმეს, დადებითი აურითა და აქტიური მოქმედებით ქმნიან წარმატების საფუძველს.

**რაც არ უნდა ხელმოკლეობას განვიცდიდეთ თუ მომავლისადმი ოპტიმისტურ განწყობას არ დავკარგავთ, აუცილებლად მივაღწევთ მიზანს. ამისთვის კი უპირველესად უნდა შევცვალოთ ჩვენ მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია და იგი უნდა გავხადოთ ოპტიმისტური.**

**მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ "წარმატებულ და ხელმოცარულ ადამიანებს შორის ერთად-ერთი განსხვავება თავდაუზოგავი შრომის სურვილშია." თუ ეს სურვილი თუნდაც წარმატების ზენიტში ყოფნისას გაგვიქრება, ხელმოცარულთა არმიას შევუერთდებით.**

აუცილებელია კიდევ ერთი რამ გავიხსენოთ. როცა სოციალიზმის ეპოქაში ვცხოვრობდით, კლასიკური საშუალო ოჯახის სურვილი იყო, რომ მათ შვილს უმაღლესი განათლება მიეღო და მაღალანაზღაურებადი სამსახური ეშოვა, რაც გულისხმობდა მთელი სიცოცხლე თავდაუზოგავ შრომას და სიბერეში ისეთი „დამსახურებული" პენსიის მიღებას, რომ სიკვდილამდე ადამიანს ოცნებებით ეარსება. მხოლოდ გამონაკლისი ოჯახები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მოკლე დროში ეშოვნათ სიმდიდრე, ნაკლები ემუშავათ და მეტი მიეღოთ, მაგრამ ასეთი სურვილებიც კი კანონსაწინააღმდეგო იყო, მოქმედება კი ისჯებოდა. ამიტომ ხალხი სოციალიზმის იდეით იყო დამუნათებული და მაღალხელფასიანი სამსახური კეთილდღეობის მიღწევის ერთადერთი შესაძლო გამოსავალიც კი იყო იმ პერიოდისათვის.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საშუალო ოჯახებს მსგავსი სურვილები კაპიტალიზმშიც გადმოჰყვათ, ოღონდ ერთი მცირე განსხვავებით – დღეს ისინი „სტაბილური" სამსახურის მიღებისთვის ოცნებობენ. გამდიდრებისათვის მცდელობა კერძო, საკუთარი ბიზნეს საქმიანობით ამ შემთხვევაშიც მეორე რიგშია გადაყვანილი და ეს შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ აქტიურდება, როცა ხელი მოეცარებათ სტაბილური სამსახურის შოვნაში. ყოველივე ამით იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ მაღალანაზღაურებადი და სტაბილური სამსახურით, პენსიაზე გასვლამდე, გარკვეული კაპიტალის დაგროვება არ შეიძლება, მაგრამ ეს მეტად ნელი გზაა გამდიდრებისაკენ, ამასთან ნაკლებად საიმედოც და აი, რატომ:

ამერიკული სტატისტიკის მიხედვით სტაბილურად მომუშავე და მაღალანაზღაურებადი სამსახურის მქონე ყოველი 100-ადამიანიდან:

1. 36 გარდაიცვალა პენსიაში გასვლამდე;
2. 34 პენსიაზე გასვლის შემდეგ ცხოვრობს შვილების დახმარების ხარჯზე;
3. 25 საჭიროებიდან გამომდინარე ისევ მუშაობს;
4. 4 შეძლებულად ცხოვრობს;
5. 1 მდიდარია და უზრუნველად ცხოვრობს.

საქართველოში ასეთი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ უკეთესი არ იქნება. ეს

სტატისტიკა კი სავსებით ნათლად გვიჩვენებს, რომ მაღალანაზღაურებადი სამსახურის მქონე ადამიანების 36%, რომლებიც ფიქრობენ, პენსიაზე გასვლამდე დააგროვონ გარკვეული კაპიტალი - უბრალოდ პენსიის ასაკს ვერ აღწევენ, ხოლო 59% – სხვადასხვა მიზეზის გამო უზრუნველი სიბერისათვის ქონებას ვერ აგროვებს, მხოლოდ 4 -% იქმნის ასე თუ ისე უზრუნველი სიბერის გარანტიას და მხოლოდ 1–% ამთავრებს სიცოცხლეს მდიდარი ადამიანის რანგში.

ცხადია, რომ თუ ჩვენ გამდიდრების საკითხს შორეული მომავლისთვის

(პენსიაზე გასვლამდე) დავგეგმავთ, ადვილი შესაძლებელია, წვალებით დაგროვილი ქონების გამოყენებას ვერც კი მოვესწროთ. არადა ბედნიერება სწორედ ქონების გამოყენებაშია და არა მის ფლობაში. თქმა არ უნდა, რომ უკეთესია გამდიდრების უფრო დაჩქარებულ მეთოდებს ვეზიაროთ და ახალგაზრდობაშივე მოვასწროთ გამდიდრება ან შევეცადოთ გავმდიდრდეთ პენსიაში გასვლამდე მაინც. თუმცა ასაკოვანი ადამიანების გასაგებად და მათ გასამხნევებლად მინდა აღვნიშნო, რომ ისტორია ბევრ, სოლიდურ ასაკში გამდიდრებულ ადამიანებსაც იცნობს, მაგალითად: მატონუსირებელი სასმელის „რედ ბულის" მწარმოებელი დიტრიხ მატეშიცი 60 წლის ასაკში გახდა მილიარდერი. იგი 50 წელს გადაცილებული იყო, როცა მარკეტინგით დაინტერესდა და თავდაუზოგავი შრომითა და ძიებით, სულ რამდენიმე წელიწადში მიაღწია წარმატებას. მეტად შთამბეჭდავია დეველოპერ დუაიატ შარის ისტორია, რომელიც 50 წლის ასაკში გაკოტრდა, მაგრამ სულით არ დაცემულა და ტიტანური შრომის წყალობით 60 წლის ასაკში მილიარდერი გახდა. ჯონ სპერლინგმა 55 წლის ასაკში რადიკალურად შეცვალა ცხოვრების სტილი, თავი დაანება უნივერსიტეტის პროფესორობას და დააარსა კომერციული უმაღლესი სასწავლებელი და 75 წლის ასაკში უკვე მილიარდერი გახდა. თუ ფორბსის ყველა დროის მილიარდერთა სიებს გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ მილიარდერების 10% მდე სოლიდურ ასაკში გამდიდრებული ადამიანები არიან. ამიტომ ამ სიას ათობით ადამიანი შეიძლება მიემატოს, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ:

**ერთადერთი განსხვავება წარმატებულ და წარუმატებელ ადამიანებს შორის, არის თავდაუზოგავი შრომის სურვილი.**

სიმდიდრის განმსაზღვრელი კრიტერიუმი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მაჩვენებლებით გამოიხატება. ცხადია, საინტერესოა, რა ითვლება სიმდიდრედ საქართველოში. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ქონების გადასახადით ბეგრავს მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთა წლიური შემოსავალი აღემატება 40.000 ლარს. ანუ, კანონი მიიჩნევს, რომ თუ ადამიანს წელიწადში აქვს 40.000 ლარი შემოსავალი იგი უკვე შეძლებულად ცხოვრობს. ყოველთვიური საარსებო მინიმუმიდან გამომდინარე სიღარიბის ზღვრად ითვლება ერთ ადამიანზე წელიწადში 2000 ლარი შემოსავალი, ხოლო 2000 ლარზე ნაკლები შემოსავალი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ყოფნად – ანუ სიღატაკედ ითვლება. არსებული საკანონმდებლო ბაზის მოშველიებით და სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება შემოსავლები ასეთ კატეგორიად დავყოთ:

1. ღატაკი – 2000 ლარამდე წელიწადში, მოსახლეობის 20%-მდე;
2. ღარიბი – 2000-6000 ლარამდე წელიწადში, მოსახლეობის 25%-მდე;
3. საშუალო ფენა – 6000-15000ლარამდე წელიწადში, მოსახლეობის 30%-მდე;
4. შეძლებული – 15000-40000 ლარი წელიწადში, მოსახლეობის 25%-მდე;
5. 5. მდიდარი 40000-100000 ლარი წელიწადში, მოსახლეობის 4%.
6. 6. ძალიან მდიდარი – 1.000.000 ლარი წელიწადში, მოსახლეობის 1%-მდე.

თვალშისაცემია განსხვავება ღარიბ-ღატაკთა და მდიდარი ადამიანების შემოსავლებს შორის. მდიდრებსა და ღარიბებს შორის ეკონომიკური უფსკრული ყოველწლიურად იზრდება. როგორც ევროკავშირის ეკონომიკური ექსპერტები კვლევებზე დაყრდნობით ადასტურებენ „...მდიდრები ყოველწლიურად უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები უფრო მეტად ღატაკდებიან." მათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოების ასეთი გათიშვა სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დასაწყისია. რაც მთავარია, ეს მონაცემები განვითარებული ქვეყნის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით მეტად სავალალოდ გამოიყურება. ჩვენებური ძალიან მდიდარი იქაურ საშუალო ფენას უტოლდება, ხოლო ჩვენებური საშუალო ფენა იქაურ ღარიბებში მოიაზრება. ეს იმითიც დასტურდება, რომ საქართველოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 2500 აშშ დოლარს ვერ აღწევს, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში 25000 აშშ დოლარზე ნაკლები არ არის.

თუ თქვენ ძალიან არ გინდათ სიღარიბე და შეეცდებით საკუთარ შესაძლებლობათა არეალის

შეცვლას, მიაღწევთ ობიექტური სამოქმედო გეგმის შედგენას, მიხვდებით, რომ წელიწადში პირველი 100.000 ლარის შოვნას ისეთივე ან იმაზე ნაკლები შრომა სჭირდება, ვიდრე ღარიბები 2000 ლარის შოვნისათვის ხარჯავენ და რაც უფრო ფართოვდება თქვენი „რეალობა“, მით უფრო მეტის შოვნას მოახერხებთ და ამისათვის სულ უფრო ნაკლებ შრომას დახარჯავთ. მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობთ, ამისთვის საჭიროა დიდი სურვილი, რომელიც დაგვეხმარება შემოქმედებითი არეალის შეცვლაში, და რეალური სამოქმედო გეგმა. ამ ყველაფრის მიღწევა არ არის მარტივი. ყველაფერი ეს დიდი, ტიტანური შრომის შედეგად მიიღწევა. ნაკლები იშრომო და მეტი გამოიმუშავო – ეს ყველა ადამიანის ოცნების საგანია დასაბამიდან დღემდე.

კარგად უნდა შევიმეცნოთ, რომ თუ რეალურ სიმდიდრეს გვინდა ვეზიაროთ, უნდა მივაღწიოთ გვქონდეს საკუთარი წარმატებული ბიზნესი. სხვის საქმეში თუ დაქირავებული თანამშრომლის მოვალეობას ასრულებთ, რაც უნდა მაღალი ანაზღაურება გქონდეთ, მაინც ვერ მიაღწევთ იმ შედეგებს, რაც თქვენი „რეალიების“ სრულ რეალიზაციას ანუ მიღწეული შედეგებით კმაყოფილებას განგაცდევინებთ.

დავუშვათ ამჯერად იძულებული ხართ ხელფასისათვის იმუშაოთ, მაგრამ თუ გამდიდრება ძალიან გინდათ – თქვენ არ შეიძლება გქონდეთ თავისუფალი დრო. როცა უქმე დღეებში თქვენი მეგობრები დროს ატარებენ, თქვენ უნდა იმუშაოთ საკუთარი ფინანსური გეგმის შედგენაზე. სამსახურიდან თავისუფალ დროს, როცა სხვები ერთობიან – თქვენ, თქვენი ბიზნესის ძიებაში და გეგმების შედგენაში უნდა ათენ-აღამებდეთ. უნდა გამოიმუშაოთ უნარი, რომ თუ არ გაგიმართლებთ ასი მცდელობით, არ დაეცეთ სულით და არ მოეშვათ. ასმეერთე მცდელობა ისეთივე ენთუზიაზმით უნდა წამოიწყოთ, როგორც პირველი. მუდმივად უნდა იყოთ ძიებასა და სწავლაში, მუდმივად უნდა ცდილობდეთ თქვენი მსოფლმხედველობის გაფართოებას და არ უნდა გაშინებდეთ სიახლეები.

**მდიდრები ამბობენ: „მთელი ცხოვრება ასწავლო ადამიანებს, იმუშაონ გამომუშავებული ანაზღაურების მისაღებად, ნიშნავს იმას, რომ ასწავლო მათ მთელი ცხოვრება იყვნენ კარგად ანაზღაურებადი მონები“.**

ითვლება, რომ გამომუშავებული შემოსავალი – ის მოგებაა, რომელშიც დიდ შრომას დებ, მაგრამ ძალიან ცოტას ღებულობ. **ამასვე ამტკიცებს კ.მარქსი „ზედმეტი ღირებულების თეორიაში“.**

მეტად საინტერესო პერსპექტივები გამოჩნდება თუ შევეცდებით და სწავლა-განათლებას ახლებურად შევხედავთ. განათლება არ უნდა ნიშნავდეს ისეთ შესაძლებლობათა შეძენას, რომ მთელი ცხოვრება თავაუღებლად ვიმუშაოთ ლუკმა პურის მოსაპოვებლად, არამედ იგი უნდა გვემსახურებოდეს და გვაძლევდეს იმის უნარსა და შესაძლებლობას, რომ ნაკლები შრომით სულ უფრო მეტი გამოვიმუშაოთ და ვიქცეთ დამგროვებლებად. მაგრამ აქ მეტად დიდი კითხვის ნიშანი დგას – როგორ? როგორ მოვიპოვოთ ასეთი ცოდნა? ან რა უნარების განვითარებაა ამისთვის საჭირო?, როგორ უნდა ვიმუშაოთ და გავმდიდრდეთ ისე, რომ ჩვენი საქმიანობით არც კანონი დავარღვიოთ და არც მორალურ-ზნეობრივი ნორმები? ამ კითხვებზე პასუხი მეტად მარტივია, ამისთვის არც სადოქტორო დისერტაციის დაცვაა აუცილებელი და არც კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრება – ამისთვის საჭიროა ვისწავლოთ და შევიძინოთ ისეთი ცოდნა, რომლითაც შევძლებთ გამოვიმუშაოთ საჭირო უნარ-ჩვევები, რომ შევძლოთ საკუთარი წარმატებული საქმის წამოწყება და მისი სულ უფრო განვითარება.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ კერძო ბიზნესი გარკვეული რისკების დაძლევის ფასად იძლევა დიდი გამარჯვების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ მიისწრაფვის კაცობრიობა თავისუფალი ბაზრისკენ და კერძო კაპიტალისტური წარმოებისკენ. მიუხედავად სერიოზული არაერთი რისკისა, რომელიც ნებისმიერი მოცულობის ბიზნესთან არის დაკავშირებული, სპეციალური სწავლებით შეიძლება მივაღწიოთ რისკების მართვის ხელოვნებას და რაც უფრო მეტად დავხელოვნდებით, მით უფრო მეტი შანსი მოგვეცემა მატერიალური კეთილდღეობის მისაღწევად. მაგრამ მიუხედავად იმისა და რამდენად საოცარიც არ უნდა იყოს, სოციალიზმი დავამხეთ მხოლოდ იმისთვის, რომ მოგვცემოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი საქმიანობის შესაძლებლობა და როგორც კი კაპიტალისტურ ფორმაციაში მოვხვდით, კერძო მეწარმეობის განვითარების მაგივრად სახელმწიფო სტრუქტურები განვავითარეთ და საარსებო საშუალების მოსაპოვებლად მეწარმეობას კი არა ვცდილობთ, არამედ სახელმწიფო სამსახურში შესვლას. საქართველოში ისევ დაქირავებული შრომა იქცა კეთილდღეობის გარანტად. ახალგაზრდობის უმრავლესობა საჯარო სამსახურში შესვლას ცდილობს, ნებისმიერ თანამდებობაზე და ნებისმიერი პირობებით. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მათ არა აქვთ საკუთარი საქმის წამოწყებისათვის საჭირო განათლება და უნარები.

სამწუხაროა, რომ ადამიანთა დიდ უმრავლესობას

ბიზნესის წამოწყება არ შეუძლია რაც, ალბათ, იმის შედეგია, რომ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა ახალგაზრდობას ისევ მოსამსახურეებად ზრდის და არა მესაკუთრეებად. დღემდე სირცხვილად ითვლება გამდიდრების მცდელობაზე საუბარი (მაშინ როცა საჯარო სამსახურში კარიერის გაკეთების წარუმატებელი მცდელობაც კი საამაყოა), იმავდროულად ვცხოვრობთ კაპიტალიზმში და არ გვინდა გავაცნობიეროთ, რომ ამ ფორმაციისათვის სირცხვილად მხოლოდ სიღარიბე ითვლება და არა საუნივერსიტეტო განათლების გარეშე დარჩენა. საქართველოში უფრო მეტი უნივერსიტეტია დაარსებული, ვიდრე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. ვერა და ვერ დავძლიეთ უმაღლესი განათლების დიპლომის ციებ ცხელება. ვერ ვაცნობიერებთ, რომ ,,დიპლომიანი" სასიძოებისა და საპატარძლოების დრო წავიდა. რომ ,,უდიპლომო სასიძოს" დღეს ისეთივე შანსი აქვს მოიპოვოს კეთილდღეობა, რამდენიც ნებისმიერი უნივერსიტეტის ,,დიპლომირებულ სასიძოს". ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ ბილ გეითსს – კლასიკური უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაიკლ დელი – უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ ორიოდ წელიწადში მილიარდერი გახდა და ორივემ საკუთარი საქმე პატარა ავტოფარეხში წამოიწყო. ვერც ბიძინა ივანიშვილი დაიკვეხნის კლასიკური განათლებით, მაგრამ მთელი აკადემიური სამყარო თვალებში შესციცინებს.

ძნელია ღრმად ფესვგამდგარი სტერეოტიპების ნგრევა და იმის აღიარება, რომ კლასიკური საუნივერსიტეტო განათლება ყოველთვის არ იძლევა მატერიალური კათილდღეობის მიღწევის შანსს და მით უმეტეს ფარატინა დიპლომი.

მაშ რა უნდა ვისწავლოთ, ან რა უნდა ვიცოდეთ, რომ გავმდიდრდეთ?

მანამდე კი აუცილებელია კიდევ ერთი ჭეშმარიტები - გასავლის ჭეშმარიტების შეცნობა.

ადამიანმა უზომოდ ბევრი უნდა დახარჯოს (როგორც ფული – ასევე შრომა და ენერგია) თუ გამდიდრება უნდა, მაგრამ გამდიდრებისათვის კარგად უნდა იცოდეს, როგორ დახარჯოს და რატომ უნდა დახარჯოს. რადგან არის კარგი და ცუდი გასავალი. კარგია ის გასავალი, რომელიც ნამატით გიბრუნდება უკან. ცუდია ის გასავალი, რომელიც ან არ ბრუნდება, ან ბრუნდება ბევრად ნაკლები, ვიდრე იყო გასავალი. როცა მშობლები უკანასკნელ გროშებს იღებენ იმისათვის, რომ მათმა შვილმა უმაღლესი განათლების დიპლომი მიიღოს და არა შესაბამისი ცოდნა, ვერც კი აცნობიერებენ, რომ მათი გასავალი გაუმართლებელია და იგი ვერასოდეს უკუგებით ვერ დაბრუნდება. ყოველ წელიწადს საქართველოში 40.000 მდე ახალგაზრდა ამთავრებს საშუალო სკოლას. მათი 80% უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს სწავლას. საქართველო მთელ მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებს ერთ სულ მოსახლეზე საუნივერსიტეტო დიპლომების რაოდენობით, მაგრამ არა განათლებით. კვლევებით და გამოკითხვებით ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის 70% საუნივერსიტეტო დიპლომი აქვს, საგანგაშოდ გაუნათლებელი ერი ვართ. გვაქვს დიპლომები და არა გვყავს სპეციალისტები. ჩვენი მთავრობა უცხოეთიდან იწვევს არქიტექტორებს, ინჟინრებს, ტექნოლოგებს და კვალიფიციურ სპეციალისტებს. აღარც პროფესიული კადრი გვყავს და პროფესიული მუშაც ძნელი მოსანახი გახდა.

თუკი გავაცნობიერებთ, რომ წარმატების მაქსიმალური აღქმა და პერსპექტივის ფრთხილიანალიზიგანცდილი მარცხის შედეგად მოდის, მივხვდებით ებრაული ფილოსოფიისაზრს, პირველ საქმეში დიდ და გაუთვალისწინებელ მოგებას - მცირე მარცხი რომ სჯობია.

## ლიტერატურა


1. ეკონომიკური თეორია. გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით. თბ., 1998.
2. უ. სამადაშვილი. ბიზნესი ყველასათვის კითხვებსა და პასუხებში. თბ.2008.
3. ც. სეხნიაშვილი. ეკონომიკისისტორია. თბ., 2000.
4. ა. სიჭინავა. ინვესტიციები. თბ.,2010.
5. ლ. ქოქიაური. ინვესტიციების თეორიული გენეზისი. თბ., 2007.
6. რ. კიოსაკი, შ.ლეჩტერი. გადავდგეთ სამსახურიდან ახალგაზრდები და მდიდრები. თბ., 2007.
7. ზ. ლუდუშაური. ფინანსური მენეჯმენტი. თბ., 2007.
8. გ. ცაავა, თ. აბრამია, დ. ცაავა, რისკოლოგია. თბ. 2007.
9. მ. ცისკარიშვილი, ბიზნესის საწყისებთან. თბ., 1992.
10. მ. ცისკარიშვილი, პრაქტიკული მენეჯმენტი. თბ., 2009.
11. ნ. ჰილი. იფიქრე და გამდიდრდი, თბ., 2007.
12. www. Statistic. Ge.

# ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

## საინფორმაციო სისტემების ფუნქციონურ-სტრუქტურული ანალიზი

**ლალი პეტრიაშვილი,**
**მაკა ხართიშვილი,**
**მაია ოხანაშვილი**

საინფორმაცო სისტემები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბიზნესპროცესების მართვის სტრატეგიულ საკითხებს. თანამედროვე პროგრამულ-აპარატურული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა მონაცემთა ფუნქციურ-სტრუქტურული ანალიზის ჩატარება. დიდი მოცულობის ინფორმაციის ანალიზის ჩატარებისას დგება საკითხი, მოიძებნოს საჭირო მონაცემები, რომელთა ანალიზი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საკვლევ ობიექტზე.

განხილულია ბიზნეს-პროცესების ოპერატიული ანალიზის **OLAP-**ინსტრუმენტის გამოყენების საკითხი. შემოთავაზებულია განაწილებული მონაცემთა ბაზებიდან შერჩეული მონაცემების ერთიან გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ სისტემაში სტრუქტურიზებული ორგანიზება და შესაბამისი პროგრამული პაკეტის რეალიზაცია ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების **C++** ენის **Decision Cube** კომპონენტის გამოყენებით მრავალფაქტორული ანალიზის ამოცანებისათვის.

OLAP (Online Analyzing Processing) – ტექნოლოგიის გამოყენებთ შესაძლებელია სხვადასხვა განაწილებული მონაცემთა ბაზებიდან მონაცემთა მოპოვება და მათზე ანალიზის ჩატარება. ამ ტექნოლოგიის არსი მდგომარეობს ინფორმაციის მრავალგანზომილებიანი კუბით წარმოდგენაში, რომელშიც მოსახერეხებელია ინფორმაციის მანიპულირება.

იმისათვის, რომ კარგად გავაანალიზოთ, თუ რატომ არის ხელსაყრელი ინფორმაციის წარმოდგენა კუბის სახით და მისი ანალიზი, განვიხილოთ იგი ერთ-ერთ ორგანიზაციაში პროდუქციის მიმოქცევის მაგალითზე.

პირველ ეტაპზე ხდება ინფორმაციის თავმოყრა, რომელიც შეეხება საქონლის შემოსვლას, დატვირთვას, შეკვეთას, ანგარიშსწორებას და ა.შ. ამის შემდეგ უნდა შესრულდეს დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაწყვეტა, ბოლოს კი დგება საკითხი, სისტემიდან საჭირო ინფორმაციის დროულად მისაღებად.

სისტემის მიმართ მოთხოვნა შესაძლოა გაუჩნდეს ორგანიზაციის ნებისმიერ თანამშრომელს, მაგალითად, თუ რა რაოდენობის პროდუქციაა დარჩენილი სარეალიზაციოდ, როგორ არის დაჯგუფებული არსებული მონაცემები, რა მოგება დაგვიტოვა გაყიდულმა პროდუქციამ და ა.შ. მუშაობის პროცესში წარმოქმნილ ყველა შესაძლო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ერთ-ერთი ოპტიმალური ვარიანტია **OLAP** ტექნოლოგიის გამოყენება და არსებული ინფორმაციის კუბში წარმოდგენა. **OLAP** სისტემის მუშაობის ზოგადი პრინციპი საკმაოდ მარტივია, პირველ ეტაპზე ანგარიში წარმოვადგინოთ 1-ელი ცხრილის სახით, რომელშიც არსებული მონაცემები განთავსდება სამგანზომილებიან კუბში:

| ქალაქი | პროდ. დასახელ | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | უთო | 10 | 22 | 15 | 47 |
| | მტვერსასრუტი | 2 | 7 | 5 | 14 |
| | ჩაიდანი | 17 | 34 | 20 | 71 |
| ჯამი | | 29 | 63 | 40 | 132 |
| გორი | მაცივარი | 2 | 0 | 3 | 5 |
| | ჩაიდანი | 5 | 6 | 3 | 14 |
| | ტელეფონი | 12 | 22 | 7 | 41 |
| ჯამი | | 19 | 28 | 13 | 60 |
| ზუგდიდი | უთო | 7 | 7 | 5 | 19 |
| | ტელეფონი | 10 | 12 | 15 | 37 |
| | მტვერსასრუტი | 2 | 3 | 0 | 5 |
| ჯამი | | 19 | 22 | 20 | 61 |




**ნახ. 1. მონაცემები სამგანზომილებიან კუბში**

1-ელ ნახაზზე წარმოდგენილია სამგანზომილებიანი კუბი. განზომილებათა რაოდენობა შეიძლება შევირჩეს ნებისმიერი. თუ მნიშვნელობათა განსაზღვრას ვაწარმოებთ ვერტიკალურად, მაშინ მივიღებთ ანგარიშთა მე-2 ცხრილს:

| ქალაქი | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 29 | 63 | 40 | 132 |
| გორი | 19 | 28 | 13 | 60 |
| ზუგდიდი | 19 | 22 | 20 | 61 |
| ჯამი | 67 | 113 | 73 | 253 |

კუბთან მუშაობა საშუალებას გვაძლევს დავაჯგუფოთ მონაცემები და წარმოვადგინოთ სხვადასხვა ჭრილში. ეს არის პრობლემათა გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი. მონაცემთა ასეთი სახით წარმოდგენა აიოლებს ინფორმაციასთან მუშაობას.

იმისათვის, რომ მივიღოთ კარგი შედეგი, აუცილებელია ეკრანზე გამოვიდეს არა მთლიანად კუბი, არამედ მხოლოდ ის ნაწილი, სადაც წარმოდგენილია ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია, თუ არ გვაინტერესებს კონკრეტული ინფორმაცია მაგ. რომელიმე ქალაქის შესახებ, სადაც აწარმოებენ პროდუქციის გაყიდვას, თავიდანვე ამოვაგდებთ განზომილებას „ქალაქი“.




ნახ.2. ჯამური რეალიზაციის თანხები




ნახ.3. თანხები ქალაქების მიხედვით

OLAP- სისტემასთან მუშაობა მომხმარებლისათვის უნდა იყოს იოლი და მინიმალური დროის განმავლობაში მიეწოდოს მაქსიმალურად ამომწურავი პასუხი დასმულ მოთხოვნაზე.

მე-2 და მე-3 ნახაზებზე მოცემულია ჩვენი მაგალითისათვის რეალიზებული მომხმარებლის ინტერფეისის ფრაგმენტები პროდუქციის რეალიზაციის ჯამური თანხებისა და ამ თანხების ქალაქების მიხედვით გადანაწილების შესახებ. პროგრამირების სამუშაო გარემოდ გამოყენებულია ვიზუალური, ობიექტორიენტირებული დაპროგრამების პაკეტი Borland C++ Builder. „+“ სიმბოლო საშუალებას იძლევა ვმართოთ მრავალფაქტორიანი ანალიზის ცხრილები. მაგალითად, მე-4 ნახაზზე წარმოდგენილია თანხების განაწილება მხოლოდ თვეების მიხედვით, ხოლო მე-5 ნახაზზე — ქალაქებისა და თვეების მიხედვით.







მე-6 ნახაზზე ილუსტრირებულია პროდუქციის რეალიზაციის სურათი სამივე ფაქტორის გათვალისწინებით: ქალაქი, პროდუქცია და თვეები. ამასთანავე, ცხრილის სტრიქონებსა და სვეტებში მოცემულია ჯამური თანხების (Sum) მნიშვნელობები ქალაქებისა და თვეების მიხედვით.

OLAP-კონცეფცია არის ინფორმაციის მოპოვების

ინსტრუმენტი, რომლის გამოყენება შესაძლებელა მრავალფაქტორიული ანალიზისათვის. ამ კონცეფციის რეალიზაცია ვიზუალური, ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების ინსტრუმენტების საშუალებით იძლევა მოქნილი და ეფექტური ინტერფეისი აგების საშუალებას მრავალფაქტორული ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთა ინფორმაცია განთავსებულია რელაციურ მონაცემთა ბაზებში.




| | | TVE | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| QALAQ | PRODUKT | 1-ian | 2-Teb | 3-mart | 4-apr | 5-mai | Sum |
| gori | Caidani | 5 | 6 | 20 | 14 | 4 | 49 |
| | macivari | 2 | 0 | 3 | 5 | 26 | 36 |
| | telefoni | 12 | 5 | 7 | 41 | 10 | 75 |
| | Sum | 19 | 11 | 30 | 60 | 40 | 160 |
| tbilisi | Caidani | 17 | 34 | 20 | 71 | 7 | 149 |
| | mtversasru | 2 | 7 | 22 | 14 | 22 | 67 |
| | telefoni | | 10 | | | | 10 |
| | uTo | 10 | | 15 | 47 | 12 | 84 |
| | Sum | 29 | 51 | 57 | 132 | 41 | 310 |
| zugdidi | mtversasru | 10 | 2 | 0 | 5 | 13 | 30 |
| | telefoni | 7 | 12 | 15 | 37 | 5 | 76 |
| | uTo | 10 | 7 | 5 | 19 | 6 | 47 |
| | Sum | 27 | 21 | 20 | 61 | 24 | 153 |

## ლიტერატურა:

1. სურგულაძე გ.,პეტრიაშვილი ლ.,მონაცემთა საცავის აგების ტექნოლოგია ინტერნეტული ბიზნესის სისტემებისათვის. სტუ. თბილისი, 2005.

2. 2. Codd E.F, Codd S.B., Salley C.T. Providing OLAP to User-Analysts: An IT Mandate, Codd & Associates, Ann Arbor/Michigan, 1993.

*L.Petriashvili,*
*M. khartishvili,*
*M.Okhanashvili*

## FUNCTIONAL-STRUCTURAL ANALYSIS OF INFORMATION SYSTEM

### SUMMARY

The question of use of the OLAP-tool for the operative analysis business-processes is considered.. The user interface is developed for display of the information from the distributed, relational DB in the form of a multivariate cube and the structured organization of this information in uniform system of support of decision-making. Program realization of an applied package of system on the basis of components DECISION CUBE of object-oriented programming C ++ for a problem of the multifactorial analysis is offered.

# ელექტრონული დისკურსის თავისებურებანი

*ეკა რუსიეშვილი, სტუ-ს დოქტორანტი*

ელექტრონული დისკურსი თავის წარმოშობას უნდა უმადლობდეს ინტერნეტის არსებობას, შესაძლებლობა გაერთიანდეს ერთ ქსელში კომპიუტერების განუსაზღვრელი რაოდენობით, რომელიც არსებობს დედამიწის სხვადასხვა წერტილში უზრუნველყო ელექტრონული ურთიერთობის განვითარება, როგორიც არის ელექტრონული ფოსტა, ფორუმი, ჩატი და ICQ (instant messaging computer program).

ჩატების შესწავლის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი მოსაზრებებით:

1. ჩატის მზარდი პოპულარობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის);
2. მომხმარებლების მიერ შექმნილი ფორმების სიახალით;
3. ამ ახალი ემპირიული ობიექტის შესწავლის აუცილებლობის ფორმულირებით არაერთ პუბლიკაციაში.

კვლევების ძირითად ჰიპოთეზას წარმოადგენს ის დებულება, რომ ჩატების ინტრალინგვისტური სპეციფიკა განპირობებულია მეტყველების განხორციელების სპეციფიკით. ელექტრონული არხი აყენებს მოლაპარაკეს აუცილებლობის წინაშე გამოიყენოს გრაფიკული სუბსტანცია ზეპირი მეტყველების რეჟიმში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირობები, რომელებშიც ელექტრონული მეტყველების განხორციელება ხდება, მიახლოებულია იმ პირობებთან, რომლებიც ზეპირი მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის აზრისა და მეტყველების შეუქცევადი განვითარება, და როგორც შედეგი აზრისა და მისი ვერბალური გამოხატულების სინქრონული ხასიათისა. არხის ეს თავისებურებანი, როგორც ცნობილია, გულისხმობს ლექსიკურ-სინტაქსური და ფონეტიკური კომპონენტების თავისუფალ ურთიერთქმედებას ვერბალურ დონეზე, ხოლო ამ უკანასკნელის ისეთ პარალინგვისტურ საშუალებებთან, როგორიც არის მიმიკა და ჟესტი. თუმცა გრაფიკული სუბსტანცია, რომელიც გამოიყენება ჩატებში, არ იძლევა ასეთი ურთიერთქმებების საშუალებას.

მატერიალური სპეციფიკა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მოტივირებული სუბიექტის არეალს, რომელიც შეესატყვისება მეტყველების რეალიზებულ ფორმას და გამოიმუშავებს შექმნის ადეკვატურ სტრატეგიებს. ამასთან დაკავშირებით ნათელია, რომ ზეპირმეტყველობით რეჟიმში მუშაობის დროს მომხმარებელი იძულებულია შეეგუოს გრაფიკულ სუბსტანციას პროცესუალობის რეალიზაციის დროს. ამიტომ წერა ჩატში გამოიყენება მოცემულ კვლევაში არადეფორმირებული პრიზმის გავლით წერითმეტყველებაში, არამედ როგორც წერის დამოუკიდებელი სახეობა, რომელიც კვალიფიცირებულია წერისგან განსხვავებით ეპისტოლარული და ლიტერატურული ჟანრისაგან, როგორც „სპონტანური" და „ჩვეულებრივი" დამწერლობა. ამგვარად, „წერილობითი და ზეპირმეტყველებითი ნორმების შეუსაბამობა იყო ძირითადი ექსპერიმენტული კორპუსის შერჩევისას". მასში იგულისხმება რეპლიკა ინგლისურენოვან ჩატებში, ამორჩეული შაბამისი კრიტერიუმებით;

- სიტყვის გრაფიკული საზღვრების მოშლით;
- ორთოგრაფიული ნორმების შეუსაბამობა;
- წინადადებაში გრძელი რეპლიკით არარსებობით;
- არაშესაფერისი ნიშნების დალაგება არსებული წესების მიხედვით.

შედეგის თანახმად, გამოვლენილი იყო სამი ძირითადი სტრატეგია მომხმარებლის მიერ, რომელიც განხილულია ელექტრონული დისკურსის შესწავლის დროს:

1. რაც შეიძლება თავისუფლად გამოვიყენოთ ენის გრაფიკული რესურსები;
2. გრაფიკული ხერხების დახმარებით ვერბალური კომპონენტების რეაქტუალობა, რომელიც თან ახლავს ზეპირპერტყველებას;
3. ფონეტიკური და პარალინგვისტური საშუალებების გამოსწორება.

ძირითადი ფაქტორი გრაფიკული ვარიაციებისა ჩატში განიხილება, რომელიც ინგლისურ ენაში ასიმეტრიით ხასიათდება.

მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ვაღიაროთ, როგორც პროცედურული რეჟიმის შექმნა. შეუძლებელ ვითარებაში მუშაობა დროებითი მეტყველების ნაკადის გამოსვლით, მომხმარებელი ავტომატიზირებულად იღებს ტექსტის ბეჭდვის შესწავლის უნარს: ხელი თავისით ირჩევს ყველაზე ეფექტურ მოძრაობას კლავიატურაზე.

მესამე ფაქტორი, რომელიც მთავარ როლს თამაშობს ნებისმიერი სტრატეგიის განვითარებაში უზრუნველყოფს ინტერაქტიული ბუნების განვითარებას. ჩატში ურთიერთობების მონაწილე არის მთავარი

მოქმედი პირი, რომელიც არის ინფორმაციას მგზავნელი და მიმღები სხვისგან. ამ ორმაგი კონტროლის შედეგად გრაფიკულ ვარიაციას არ მივყავართ ინფორმაციის დაკარგვისკენ.

მესამე ფაქტორი ატარებს ექსტრალინგვისტურ ხასიათს: მისი თავისუფალი კომუნიკაცია და კრეატიული ურთიერთობა ენასთან ჩართულია, რათა მოიძიოს ახალი ფორმები ვერბალური კომუნიკაციისა.

ამ სამი ფაქტორის ურთიერთქმედება ქმნის სპონტანური წერის პირობებს.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძირითადი რესურსები ამ განხილული ვარიაციებისა არის: გრაფიკული ასიმეტრია დამახასიათებელია შესწავლულ ენებში და გრაფიკული შემცირება სიტყვებისა.

ინგლისური ენა შეისწავლის მორფოლოგიურ, ტრადიციულ-ეთიმოლოგიურ, ორთოგრაფიულ პრინციპებს რომლებიც ზუსტად არის მოტივირებული. სინქრონულ დონეზე ამ სამი პრინციპის მიღებას მივყავართ გრაფიკული ენის ასიმეტრიის გამოჩენისკენ. როგორც შედეგი გვიჩვენებს, რომ ჩატს ენაში აქვს ხმის გრაფიკული ფიქსაციის კონვერგენციული მნიშვნელობები, იგი გამოიხატება თავისუფალ ვარიაციებში ენის გრაფიკულ სისტემაში.

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ორი ტიპის კონვერგენციის გზა ხმების დასაწერად:

1. უბრალო კონვერგენცია, დაფუძნებული მხოლოდ არსებულ სისტემაზე გრაფიკული ენის ასიმეტრიაში;
2. დასრულებული კონვერგენცია, რის საფუძველზეც არის შემდეგი ფაქტორები:

ა) გრაფიკული ასიმეტრია;

ბ) მარცვლის სტრუქტურა, გრაფემის მდგომარეობაში რომელსაც კავშირი აქვს მახვილის დასმასთან მარცვალზე, ამა თუ იმ გრამატიკული პარადიგმის არსებობა აღნიშნულ ფორმაზე და ა.შ.

გრაფიკული შემცირებების გამოყენება დამყარებულია ორ ფაქტორზე:

1. მიზანსწრაფვა შემცირებისკენ;
2. გრაფიკული სიმბოლოს შექმნა „გაგზავნილი (მიმართული)" დენოტატუმთან.

ბევრი გრაფიკული შემოკლება გამოიყენება ელექტრონულ დისკურსში, რომლებიც ნასესხები იყო რეკლამისა და მედიის ენისგან, სანამ სხვები იქმნებოდა ინტერნეტში. როდესაც ვლაპარაკობთ ინიციალურ გრაფიკულ შემოკლებებზე. არ შეიძლება არ ვახსენოთ ყველაზე პოპულარული AED და FED გრაფიკული სქემის გადაცემით LOL (laughing out loud), MDR (mort de rire). ამ შემოკლებებმა ჩატში შეიძინეს იდეოგრამის ხასიათი, და უკვე დიდი ხანია დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა - ხმამაღლა ვიცინი და ვკვდები სიცილისგან. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, RED-მა არ მიიღო ეს შემოკლებები. თავისი შეზღუდულებებით ლათინურ ასოებთან მიმაგრებისას იქმნება დამატებითი პრობლემები, როდესაც ვბეჭდავთ Cyrillic-ში.

სხვა ტიპის გრაფიკული შემოკლება არის ხმოვანი წერილი, რომელიც გამოიყენება დასკვნითი სიტყვების დაწერის დროს. ეს ტექნიკა ფართოდ არის გავრცელებული AED და FED, მაგრამ არ გამოიყენება RED-ში.

მესამე ტიპის გრაფიკული შემოკლება გაიგივებულია ელექტრონულ დისკურსთან და არის ამოგდებული მარცვლები. ეს გამოიხატება იმით, რომ დაწერილ სიტყვებში გამოიყენება მისი პირველი ასოები, რომელსაც აქვს, როგორც ვიცით, დიდი ინფორმაციულობა მხედველობითი დეკოდირებით.

გრაფიკული შემოკლებებით მოიცავს მარცვლის ცვლილებას და მთლიანი სიტყვის ომოფონებს, რომლებიც ემთხვევა ანბანის ასოებს და რიცხვით რაოდენობებს. მაგალითად: s.u (English: see you). ასეთი შემოკლების მეთოდის გამოყენება დაიწყო მე-20 საუკუნის შუაში აშშ-ში რეკლამისა და მედიის ენით, და მოგვიანებით მოიხმარეს ელექტრონულ დისკურსში. ახლანდელ დროში ამ მეთოდის გამოყენება მაღალი დონით ინტერნეტში ზრდის მის პოპულარობას ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით ენაში, და ასევე ხელს უწყობს მის შეღწევას ტრადიციულ წერითმეტყველებაში ურთიერთ-კომუნიკაციის დროს.

ელექტრონული დისკურსის წარმოშობა ხდება ზეპირფორმულირების რეჟიმში, რომელიც ხასიათდება მეტყველებისა და აზრის გაშლის პროგრესირებით, და როგორც შედეგი გვიჩვენებს სინქრონული აზრითა და ვერბალური მნიშვნელობით. არ არის საშუალება გამოხვიდე დროებითი მეტყველების ნაკადიდან და ზეპირმეტყველების მექანიზმების შექმნის გამოცდის გავლენიდან, რომელსაც მომხმარებელი იყენებს გრაფიკული სუბსტანციის დროს.

ზეპირფორმულირების სახეების გავლენა ჩატში მეტყველების არხის შექმნისას ჩნდება შემდეგნაირად:

1. გრაფიკული საზღვრების განადგურება სიტყვებს შორის, წერილობითი ფიქსაცია აქცენტური რეპლიკისა და მისი ასახვა წერილში ფონეტიკური პროცესების რედუქციის დროს, ასიმილაცია და შეკუმშვა სიტყვის, რომელიც ფონეტიკის ფარგლებში ხდება;
2. ზეპირმეტყველური სიტყვების გრაფიკული ფიქსაცია, რომელიც გამოიყენება შეთანხმბის გამოხატვისას/შეუთანხმელობისას, მისალმებისას / დამშვიდობებისას;

3. რეპლიკების სტრუქტურიზაცია „ზეპირი" სინტაქსის წესებზე.

მეტყველების ტრადიციულ ფორმებს აქვს საკუთარი მინიმალური ერთეულები. წერილობითი მეტყველებისათვის ასეთ ერთეულად ითვლება გრაფიკული სიტყვა, ზეპირ-ფონეტიკური სიტყვა, რომელსაც თან ერთვის რამოდენიმე გრაფიკული სიტყვას, გაერთიანებული ერთი მახვილით. იმის მიხედვით, რომ მატერიალური პირობების ელექტრონული დისკურსის შექმნისა მოიცავს ზეპირმოდულირებულ საშუალებებს გრაფიკული სუბსტანციის გამოყენებით, მომხმარებელს აქვს საშუალება ამ ორ ერთეულს შორის გააკეთოს არჩევანი. ამგვარად, ელექტრონული დისკურსი წარმოადგენს ხაზოვან თანმიმდევრობას, სადაც არსებობს ურთიერთქმედება ორ ერთეულს შორის: გრაფიკული და ფონეტიკური სიტყვები.

გრაფიკული სიტყვის გაანალიზებისას, მომხმარებელი არის ტრადიციული ხედვის ზეგავლენის ქვეშ. სხვა სიტყვებით, ზუსტად ამ სახის ამოცნობა არის ფაქტორი წერილობით და მეტყველებით ვარიაციებში შეზღუდვისა. ფონეტიკური სიტყვის გრაფიკული ფიქსაციის დროს ნაკლებად აღიქვამს სიტყვის მნიშვნელობას, რისი შედეგიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველ შემთხვევაში, გრაფიკული სახის დამახინჯება.

მატერიალიზება ასოცირებული კავშირისა ზეპირფორმულირებული არხების საშუალებების ზეპირ მეტყველების დროს, მომხმარებელი გრაფიკულად აფიქსირებს ზეპირმეტყველების ვარიანტებს სიტყვასა და ფრაზებში შეთანხმების მნიშვნელობით / შეუთანხმელობის ელემენტებით.

ყურადღებას იმსახურებს გრაფიკული ვარიანტები სიტყვების oui, რომელიც განიხილება FED-ში. ui, vi ვარიანტების არის შედეგი სტრატეგიისა რომ თავისუფლად გამოვიყენოთ გრაფიკული ენის რესურსები (დაფუძნებული გრაფიკულ ასიმეტრიაზე), იმ დროს, როდესაც ouai, oué, voué ასახავს სტრატეგიას გრაფიკული ხერხების რეაქტუალიზაციას ზეპირმეტყველების სპეციფიკაში. ამიტომ, გრაფიკული მნიშვნელობები სიტყვის oui აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მომხმარებელი ელექტრონული დისკურსის შექმნისას იყენებს ან ერთს ან მეორე სტრატეგიას.

ელექტრონული დისკურსის ზეპირფორმულირების რეჟიმის შექმნა ზეგავლენას ახდენს მეტყველების სინტაქსურ ორგანიზებაზე. დისკურსი ჩატში არის დიალოგიური ტექსტი, რომლის შედეგად კომუნიკატიურ ერთეულად ითვლება რეპლიკა.

ჩატში რეპლიკაციის მექანიზმი გათვალისწინებულია შემდეგი დოკუმენტური პარამეტრებით:

1. ახალი რეპლიკის გამოჩენა ახალ ხაზზე;
2. ფსევდონიმით გაცნობა ავტორის ტექტის რეპლიკის წინ;
3. კომუნიკანტების მიერ გამოყენებული ინდივიდუალური კომბინაცია ფერითა და შრიფტით.

ამასთან ერთად სინტაქსური სტრუქტურა ასრულებს დამხმარე როლს.

პროცედურული რეჟიმის გავლენის ქვეშ რეპლიკის წარმოქმნა ელექტრონულ დისკურსში დამოკიდებულია ზეპირ სინტაქსურ წესებზე:

– ინტერაქტიულ რეპლიკებში სინტაქსი ემსახურება კითხვა-პასუხის პროგრესირებას;

ფუნქციური ნიშნები კარგავენ თავიანთ არსებობას წერილობით მეტყველებაში სინტაქსის ფუნქციით, რომელიც შედგება მარკირებისგან: ფრაზებსშორის საზღვარი (მარკირების რეალიზაცია ხდება დოკუმენტების პარამეტრების დახმარებით ჩატში); კომუნიკატური სახის გამოხატვა (მარკირება ხორციელდება ლექსიკა-სინტაქსური საშუალებების დახმარებით და დიალოგური კონტექსტით).

ფუნქციური ნიშნები ტრადიციულად თან ერთვის შიდა ფრაზეოლოგიურ სეგმენტაციას, რომლებიც არ გამოიყენება ელექტრონულ დისკურსში ორი საბაბის გამო: სინტაქსი კითხვებთან და შეკითხვებთან, რომლებიც განიხილება ინტერაქტიულ რეპლიკებში, ისე უბრალოდ რომ არ საჭიროებს მათ გამოყენებას.

მეტყველების მნიშვნელობები გამოხატული ელექტრონულ დისკურსში, მრავალჯერ გამეორებული ფუნქციალური ნიშნების ემოციისა (გრაფიკული გამოსახულება, რომელიც გადმოსცემს კომუნიკანტის ემოციურ მდგომარეობას) და გრაფიკული საშუალებები ფონეტიკური მეტყველების დონის გამოხატულება.

იმასთან დაკავშირებით, რომ არანაირი კონტაქტი არ არის ჩატში "პირისპირ", მომხმარებელს ჭირდება დამატებითი თვითიდენტიფიკაცია, რაც უზრუნველყოფს ეფექტური "ვერბალური მასკის" შექმნას.

ანალიზის შედეგის გამოყენებამ გვიჩვენა, რომ:

1. გამოვავლინოთ საერთო ენის შედარებები ელექტრონულ დისკურსის;
2. განვსაზღვროთ რაოდენობა სპეციფიკური ნიშნებისა, რომელიც განიხილებოდა ყველა გაანალიზებულ დისკურსში.

საერთო სტრატეგიული უპირატესობები, რეალიზებული მომხმარებლის მიერ ენობრივი საშუალებების ამორჩევისას, ამტკიცებს ჰიპოტეზას დადგენილ გავლენაზე არხის შექმნისას.

მრავალჯერ გაგვიგია ლიტერატურის გამოყენება მომხმარებლის მიერ ინტერნეტში და მისი დამღუპველი მოქმედება ენაზე [Palazhchenko 2004, 280]. აქ არის

რამოდენიმე სტატისტიკა ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე მომხმარებლისა ინტერნეტში. მომხმარებელი ჩატში არის უმეტესად ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა. მიახლოებით 60% ინტერნეტის მომხმარებლისა არის 18-სა და 35 ასაკს შორის. შენ უნდა დაუმატო ასევე, რომ იგივე წყაროების თანახმად 50% მომხმარებლისა ინტერნეტს იყენებს სამსახურშიც. ის ფაქტი, რომ სამუშაო ადგილი არჭურვილია კომპიუტერით სადაც ჩართულია ინტერნეტი, მიიჩნევა ის მინიმუმ საშუალო დონის განათლების მქონე ადამიანად. ასე რომ შეიძლება ითქვას, მსოფლიო ქსელის მომხმარებლის უმრავლესობამ არ იცის წერითი მეტყველების ნორმები.

ამას უნდა დაუმატოთ ის ფაქტიც, რომ დღესდღეობით იზრდება რიგი თაობებისა რომლებიც დამოკიდებულები არიან ინტერნეტზე, ძირითადად თინეიჯერები რომლებიც პირველად სწავლობენ ბეჭდვას და შემდგომში ხელით წერას. ბავშვები, რომლებიც არიან 13-15 წლისა, ათი წლის შემდეგ მიიღებენ განათლებას და შევლენ "უფროსების" ცხოვრებაში. ბუნებრივია, რომ ისინი დაწერენ და გამოაქვეყნებენ დოკუმენტებს კოდიფიცირებული ენის წესით. თუმცა, ინტერნეტის "ენის" თვისებები, რომელსიც დღეს ბევრი თინეიჯერი თავისი საკუთარი აზრით "ცხოვრობს", აუცილებლად აისახება იმაზე, რომ ისინი ილაპარაკებენ და დაწერენ.

ელექტრონული დისკურსის შესწავლა მიმდინარე მდგომარეობაში, გვაძლევს საშუალებას აღმოვაჩინოთ იმ ცვლილებების ზრდა, რომელიც მოხდება ენაში ხვალ.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ენის გაანალიზებისას გვხვდება ბევრი გამეორება ვარიანტებისა, ეს აიხსნება იმით, რომ ინგლისური ენა არის პირველი სამუშაო ენა ინტერნეტში, თუმცაღა ელექტრონულ დისკურსში ინგლისური ენის განვითარებას აქვს დიდი ისტორია, რისი საშუალებებითაც შეიძლებოდა განვითარება და გამაგრება ყველაზე საჭირო და წარმატებული გამოსახატავი საშუალებებისა, სტერეოტიპები კომუნიკაციისა.

შეიძლება დაუშვათ, რომ თავისუფალი სტადიების ვარიაციებისა, რომლებიც მეტნაკლებად განიხილება გაანალიზებულ ელექტრონულ დისკურსში, მოდის სხვა სტადია - მუშაობა უფრო მოხერხებულ სტადიაში, წერის „ოპტიმალური" გზა. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ინგლისურენოვანი ელექტრონული დისკურსი განვითარების დროს ყველაზე მიახლოებულია ამ სტადიის გამოკვლევასთან, სადაც გარკვეული არჩევანი ხელსაყრელი საშუალებებისა ფიქსაციაში არის უკვე მასში გავლილი. თუმცა, რომ გავარკვიოთ ამ ჰიპოთეზის სიმართლე საჭიროა გამოკვლევა ელექტრონულ დისკურსში.

ლინგვისტური ფაქტორის არჩევა მისი შეთავსებისა/არაშეთავსების პრინციპების განსაზღვრით ენობრივ ნორმაში, რომელიც შეიქმნა ამ გამოკვლევების ჩარჩოში, გვაიძულებს ვიფიქროთ რეფორმირებული ორთოგრაფიის შესახებ. ამ საკითხზე დავის საჭიროება დრო და დრო ახლდება ლინგვისტიკაში, და შესწავლის შედეგი შეიძლება გამოვიყენოთ როდესაც განვიხილავთ სადავო საკითხებს. მიღებული მონაცემები გვაძლევს უფლებას განვსაზღვროთ ის ტენდენციები, რითაც მოდის სტიქიური, ინტერნეტული ცვლილებები ორთოგრაფიის, რომელიც დღეს ყურადღების ქვეშ არის ჩატში.

დღესდღეობით არის წინააღმდეგობრივი აზრი ჩატში ენის გამოყენებისას. ხშირად ხალხი გამოხატავს თავის უკმაყოფილებას იმ ფაქტით, რომ არ არის წერილობითი ნორმები. იგივე უკმაყოფილება გამოითქმევა გრაფიკულ ვარიანტებზეც ჩატში, მაგრამ მოგვიანებით მაინც იქნა ისინი გამოყენებული. მხოლოდ დრო განსაზღვრავს ცხოვრებისეულ საჭირო ტენდენციებს რომელიც განიხილება ჩატში.

როგორც გაანალიზებული მასალა გამოყენებული იყო ჩატში, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს სხვა ელექრონული კომუნიკაცია არსებობა, მასალის მდგომარეობა შექმნისას რომელიც არ არის დამოკიდებული დისკურსის შექმნაზე ჩატში. ICQ - ინტერნეტ პროგრამა გაძლევს საშუალებას შექმნა საკუთარი ჩატი და გააკონტროლო სხვა მომხმარებლის შემოსვლა.

თუნცა, კომუნიკაცია ICQ-ში შედარებულია ჩატთა დახურულ კარებს მიღმა, რომელიც ერთი მხრივ ართულებს ექსპერიმენტული კორპუსის არჩევის პროცედურას, მეორე მხრივ, აღებს ახალ სოციოლინგვისტურ პერსპექტივებს, რომ შეისწავლო ელექტრონული დისკურსი.

ამ გამოკვლევის დავალებაა შევისწავლოთ გრაფიკული კოდის სტრატეგიის "ოპტიმატიზაცია", რომელიც გამოიმუშავება ენობრივი სუბიექტით ზეპირ-ფორმულირების რეჟიმის დროს. არანაკლებ პერსპექტიულია შემდეგი მიდგომაც: როგორ ტრანსფორმაციას განიცდის ზეპირ-ფორმულირების რეჟიმი გრაფიკული სუბსტანციის ზეგავლენის დროს.

კომუნიკაცია ჩატში ამდიდრებს "ლინგვისტურ არსებობას", პრაქტიკაში შესული ახალი ურთიერთობების ხერხები, რომელიც იმყოფება ფორმულირების სტადიაში. ემპირიული ობიექტის შესწავლა აღმოჩენის დროს, მიღებული დისერტაციაში გვაძლევს უფლებას ვაჩვენოთ, რომ განხილული ენობრივი "ინოვაციები" ატარებენ ობიექტურ ხასიათს და ამიტომაც სათანადო დოზით განსაზღვრავენ ენობრივი განვითარების ტენდენციას.

## ლიტერატურა


1. Английский язык - мировой язык [Электронный ресурс]. - Режим доступа : http://www.langinfo.ru/index.php?sect_id=335;
2. Herring S. (ed.) Computer-mediated communication. -Philadelphia: 1995;
3. "ეფექტური კომუნიკაციის არსი"- რონ ლადლოუ, ფერგუს პენტონი, გამომცემლობა "ქრონოგრაფი", 2000;
4. Cicogniani A. On the Linguistic Nature of Cyberspace and Virtual Communities // CVE, Special Journal Issue. Dave Snowdon (Ed.) -Nottingham, 1997.


*Eka Rusieshvili*

## SUMMERY


We have chosen the theme due to the fact that verbal communication in general and in particular in the chat become more and more widespread, and it includes a variety of age groups and social groups. The traditional forms between the electronic communication and verbal communication and with it interaction is increasingly noticeable. Thus, the electronic discourse influences the attention a lots of linguist. In particular, electronic discourse is devoted to the study of British and American authors and researcher's works.

Electronic Discourse must thanks the origin of its existence to the Internet, the ability to join a network of computers in an unspecified amount, which exist in various places over the globe ensured that the development of electronic communication, such as e-mail, forum, chat, and ICQ (instant messaging computer program).

Personal Computer is the product of intellectual creation, which direction is to expand the human resources. The result is a sound paradoxical situation for long-term evolution of computer and information technologies. Computer influence on various aspects of human activity differentiates the manufacturing sector, the transformation of social structures and forms of human interaction.

# ბიზნეს-ინჟინერინგი კვების მრეწველობასა და ბიოტექნოლოგიებში

## АКТУАЛЬНОСТЬ СОЗДАНИЯ ПРОДУКТОВ ПРОФИЛАКТИЧЕСКОГО ДЕЙСТВИЯ В РЕСПУБЛИКЕ КАЗАХСТАН

*Мухамеджанова А. С., магистр технологии,*
*г. Павлодар, ПГУ им. С. Торайгырова, кафедра «Биотехнологии»*

Тяжелая экологическая ситуация, ухудшение структуры питания населения делают очень важной проблему поиска природных средств, растительного сырья, богатого биологически активными веществами, повышающими адаптационные возможности организма к экстремальным факторам внешней среды и предотвращающих развитие ряда заболеваний.

Проводя анализ по экологическому состоянию республики, необходимо осветить проблему воздействия радиации на регион Казахстана. Итак, рассматривая Казахстан, испытательный полигон – Семипалатинск за 40 лет пережил 456 атомных взрыва. Радиация поглотила три поколения Казахстана – общее количество зараженных насчитывает более миллиона – вызвав проблемы со здоровьем – от щитовидных заболеваний и рака до врожденных дефектов. Кроме этого, в число облученных в данном диапазоне доз входят люди, проживающие вблизи ядерных захоронений, полигонов, а также на территориях, радиоактивно пораженных в результате других аварий. Не стоит забывать, что после всех бед в Японии произошли аварии на местных атомных электростанциях и теперь радиация даже в малой степени несет угрозу повсеместно. Радиационное облако стремительно перемещается, оказывая влияние на соседние территории, однако облако не идет в сторону Казахстана, но необходимо понимать, что все изменчиво. И каждая страна в той или иной мере будет находиться в зоне риска радиации, как например регион Мангистауской области, где долгое время были открыты урановые карьеры. Южные области Казахстана (Жамбылская, Южно-Казахстанская и Кзылординская) являются экологически неблагополучными регионами республики. Население этих областей подвержено действию различных неблагоприятных факторов экологического окружения (Приаралье, близкое расположение космодрома Байконур). Глобально ухудшается здоровье населения регионов [1].

Города стали центрами сосредо-точения населения, промышленности и обусловленного этим интенсивного загрязнения окружающей среды, кото-рое по площади аномалии токсикантов представляет собой техногенные ге-охимические и биогеохимические провинции. Сами города выступают в качестве мощных источников техногенных веществ, включающихся в региональные миграционные циклы.

В этом плане особое место среди экологически неблагополучных реги-онов Казахстана занимает г. Павлодар – индустриально развитый, многопрофильный промышлен-ный центр.

Поступление в атмосферу в резуль-тате производственной деятельности больших количеств различных эле-ментов, в том числе металлов различ-ных классов опасности, вызывает в последнее время все большую тревогу, поскольку, осаждаясь на подстила-ющую поверхность, они загрязняют почву, растительность, водоемы, про-никают в организм человека и жи-вотных. Наиболее опасными в этом смысле являются тяжелые металлы 1 и 2 классов токсичности (свинец, кад-мий, ртуть, никель, кобальт, хром, ванадий, медь и цинк, а также мышьяк, селен и сурьма) [2].

Степень экологического воздейст-вия тяжелых металлов на окружаю-щую среду определяется многими факторами и, в частности, их поведением в атмосфере. Химические прев-ращения в атмосфере могут при-водить к образованию более или ме-нее токсичных форм элементов, чем первоначально выбрасываемые, а так-же влиять на механизм и скорость их стока из атмосферы.

В почвах обнаружено высокое содержание свинца, меди, цинка, кадмия и других соединений тяжелых и цветных металлов. В сельском хозяйстве республик применяются более 150 наименований пестицидов, определенная часть которых входит в число запрещенных и отсутствующих в «Списке химических и биологических средств, используемых для защиты растений».

На основании анализа статистических данных Павлодарского территориального управления охраны окружающей среды и областного статистического управления установлено, что основными источниками загрязнения являются стационарные источники (главные из которых Павлодарский нефтехимический, тракторный, алюминиевый и электролизный заводы, а также предприятия по выработке тепла – ТЭЦ 1,2,3) и автотранспорт. Ими ежегодно в атмосферу выбрасывается 109,8 тыс. тонн поллютантов [3].

Актуальность проблемы в том, что современная экологическая обстановка становится все более значимым фактором, влияющим на качество продуктов питания.

Решая проблему той самой обстановки говорим, что пищевая продукция с радиопротекторными свойствами, с пониженным аллергическим воздействием на организм человека должна составлять основу питания, особенно в экологически неблагополучных условиях промышленных центров Казахстана.

Тем самым, создание изделий повышенной пищевой и биологической ценности, а также продуктов профилактического и диетического назначения требует расширения и совершенствования сырьевой базы отечественной промышленности, что является немаловажным фактором для создания новых видов мясных продуктов с заданными свойствами.

## ლიტერატურა:


1. Регионы Казахстана в 2009 году / статистический сборник / под ред. А. А. Смаилова/ Астана, 2010. – С. 27-28, 156-157, 181, 246-250.
2. Ажаев Г. С. Автореферат диссертации «Оценка экологического состояния г. Павлодара по данным геохимического изучения жидких и пылевых атмосферных выпадений». Томск, 2007.
3. Сборники статистических данных Павлодарского территориального управления охраны окружающей среды и областного статистического управления за 2006-2010 гг.


## SUMMARY


The article describes is creation of food stuffs of protective action in conditions of an ecological situation of the Kazakhstan. The article behaves to the sphere of production of functional products. The ecological state of Kazakhstan is examined in the article, in particular cities of Pavlodar. The aim of this article is a ground of production of products of prophylactic direction. The author supposes the decision of making healthy of population in unfavorable ecological terms. On the basis of statistical data drawn conclusion about expedience of production of products of prophylactic action.

# БИОТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ПОЛУЧЕНИЯ КОМБИНИРОВАННОГО КИСЛОМОЛОЧНОГО НАПИТКА НА ОСНОВЕ КОЗЬЕГО МОЛОКА

***Каткадамова З.В., магистр биотехнологии,***
***кафедра «Биотехнология»***
***Павлодарский Государственный университет***
***им. С. Торайгырова (г. Павлодар)***

Во многих развитых странах реализуются национальные программы по оздоровлению населения путем разработки и организации производства пищевых компонентов, корректирующих биохимический состав продуктов питания массового потребления.

Эксперты Международной молочной федерации считают, что в XXI веке эти продукты будут занимать наибольший объем в производстве кисломолочных продуктов. Необходимость увеличения выпуска продуктов этой группы диктуется ухудшением экологической обстановки, качества питьевой воды и пр. поэтому увеличение производства таких продуктов актуально для многих страны. [1]

Экологическая ситуация во многих странах не достаточно благоприятна и накладывает свой отпечаток на здоровье нации. Прежде всего, от нездоровой экологии страдает подрастающее поколение, как наиболее уязвимое звено в современном обществе. Как результат, многие дети рождаются с пониженным иммунитетом и врожденными заболеваниями, основное из которых – аллергия.

Все это объясняет тот факт, что уже сегодня разработка кисломолочных продуктов на основе натурального сырья стали неотъемлемым рецептурным компонентом функциональных или обогащенных пищевых продуктов для детского, специализированного и массового питания. [2]

Прежде всего, требовалось определить, в каких количествах целесообразно включить в рецептуру ингредиенты, чтобы при соблюдении требований к химическому составу готового продукта и содержанию отдельных ингредиентов обеспечить максимальную величину критерия оптимизации, с учетом биосочетаемости компонентов.

Основным базовым сырье разработанного кисломолочного напитка является козье молоко. Белки козьего молока из-за повышенного содержания в них альбуминов расщепляется на составные части - свертывается в мелкие хлопья, а не всасывается в не переваренном виде, поэтому оно легче усваивается организмом, не вызывая расстройств пищеварительной системы [3]. Для приготовления кисломолочного напитка на основе козьего молока, жирность козьего молока снижали обезжиренным коровьим молоком (обрат) жирностью 0,1%, поскольку напиток, приготовленный на основе козьего молока 6% жирности имел неудовлетворительные органолептические показатели, в частности: жидкая консистенция, неприятный вкус и высокая кислотность $120^0$ Т. Таким образом возникла задача адаптировать молочнокислые бактерии в среде козьего молока. Первым этапом адаптации являлось нормализация козьего молока жирностью 6,0% до содержания жира 4,4, 3,3 2,5% проводилось маркетинговому исследованию рынка продаж козьего молока последующей его пастеризацией. [4] Молоко заданной жирности удалось получить путем смешивания исходных продуктов, в одном из которых жира содержится больше (козье молоко), чем в получаемом, а в другом – меньше (обезжиренное коровье молоко - обрат).

Пищевая ценность молочного сырья представлена в таблице 1.

Следующим этапом наших исследований являлось установление оптимального количества массы закваски для приготовления кисломолочного напитка на основе козьего. Основной заквасочной культурой кисломолочного напитка является штамм *L.acidophilus* 317/402.

На рисунке 1 изображена зависимость титруемой кислотности от количества внесенной закваски.

**Таблица 1 - Пищевая ценность молока**

| Жирность молока, % | Содержание белков, % | Содержание жиров, % | Содержание углеводов, % | Пищевая ценность, ккал |
|---|---|---|---|---|
| Козье молоко | | | | |
| 6,0 | 4,31±0,1 | 6,0±0,1 | 4,85 | 84,34 |
| Нормализованное козье молоко | | | | |
| 4,4 | 4,12±0,1 | 4,4±0,1 | 4,85 | 68,68 |
| 3,3 | 3,83±0,1 | 3,3±0,1 | 4,85 | 58,06 |
| 2,5 | 3,83±0,1 | 2,5±0,1 | 4,85 | 50,62 |
| Обезжиренное коровье молоко (обрат) | | | | |
| 0,1 | 1,9±0,1 | 1,9±0,1 | 4,1 | 32,12 |




**Рисунок 1 – Динамика увеличения кислотности напитка от количества закваски**

Ключевым моментом при производстве кисломолочных продуктов является наиболее быстрое достижение требуемой кислотности продукта, что позволяет сократить время и производственные затраты на получение кисломолочного напитка. Как видно из графика, наиболее энергичное нарастание титруемой кислотности кисломолочного напитка происходит при внесении закваски в количестве от 3 до 7% массы.

С целью выявления наиболее оптимального количества массы закваски исследовалась динамика кислотообразовании козьего молока с массовой долей жира 4,4, 3,3, 2,5%

Исследования показали, что при внесении в среду ферментации 5% закваски в нормализованное козье молока различной жирности происходит равномерное энергичное нарастание кислотности, что и обосновывает целесообразное внесения в молочную среду ферментации 5% закваски. При внесении рабочей закваски больше 5% наблюдалась повышенная кислотность готовых напитков, при внесении менее 3% напитки имели недостаточно плотную и однородную консистенцию, кроме того, процесс заквашивания затягивался до 15 ч.

Изучения влияния добавок на микробиологические (количество лактобактерий, физико - химические (титруемая кислотность), органолептические (консистенция, внешний вид, вкус, запах, цвет) показатели продукта проводили на опытных образцах заквасок для кисломолочного напитка на основе козьего молока. При этом в образцы вносили разные концентрации сиропа лактулозы (0,5, 1,0 1,5%). Органолептические показатели кисломолочного напитка при внесении разных концентраций сиропа лактулозы не изменяются по сравнению с контрольным образцом. Титруемая кислотность кисломолочного напитка при увеличении концентрации сиропа лактулозы

растет незначительно в пределах нормы (рисунок 12). Количество лактобактерий при увеличении концентрации сиропа лактулозы увеличивается на порядок при внесении 1,0% и 1,5% сиропа. С учетом качественных показателей и экономической выгоды решено использовать сиропа лактулозы в количестве 1,0%. С целью определения зависимости количества клеток в кисломолочном продукте проводились сравнительные исследования кисломолочного продукта с добавление лактулозы и без добавления.

В результате исследований количества жизнеспособных бактерий в кисломолочных напитках различной жирности существенного изменение их количеств не наблюдалось. Логарифмы количества жизнеспособных бактерий в зависимости от количества внесения сиропа лактулозы представлены на рисунке 2




**Рисунок 2 - Зависимость количества жизнеспособных молочнокислых бактерий в зависимости от количества внесения сиропа лактулозы**

Для определения этапа внесения лактулозы, было изучено влияние способа внесения лактулозы на содержание молочнокислых бактерий.

С этой целью были выработанные два вида напитка с внесением сиропа лактулозы до и после процесса сквашивания.

Результаты исследования представлены в таблице 2

**Таблица 2 - Зависимость количество молочнокислых бактерий от способа внесения сиропа лактулозы**

| Образец | Время наблюдения, сутки | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 | 4 | 6 | 8 |
| *Кисломолочный напиток на основе козьего молока, жирность 4,4%* | | | | |
| Контроль | $4*10^7$ | $1*10^7$ | $7*10^6$ | $3*10^6$ |
| до сквашивания | $2*10^8$ | $5*10^7$ | $4*10^7$ | $1*10^7$ |
| после сквашивания | $7*10^7$ | $5*10^8$ | $4*10^8$ | $2*10^8$ |
| *Кисломолочный напиток на основе козьего молока, жирность 3,3%* | | | | |
| Контроль | $5*10^7$ | $3*10^7$ | $6*10^6$ | $4*10^6$ |
| до сквашивания | $6*10^8$ | $4*10^8$ | $7*10^7$ | $3*10^7$ |
| после сквашивания | $7*10^7$ | $6*10^8$ | $5*10^8$ | $4*10^8$ |
| *Кисломолочный напиток на основе козьего молока, жирность 2,5%* | | | | |
| Контроль | $6*10^7$ | $4*10^7$ | $5*10^6$ | $4*10^6$ |
| до сквашивания | $7*10^8$ | $5*10^8$ | $6*10^7$ | $3*10^7$ |
| после сквашивания | $8*10^7$ | $7*10^8$ | $5*10^8$ | $4*10^8$ |

Анализ полученных данных показал, что существуют различия в конечном содержании молочнокислых бактерий при внесении лактулозы до и после сквашивания молока. Это можно объяснить следующим образом: при внесении лактулозы до сквашивания происходит резкий рост молочнокислых бактерий в первые сутки за счет ферментации ими лактулозы во время сквашивания напитка и соответствующего температурного режима, который служит пусковым механизмом специфической перестройки метаболизма бактерий. Но уже через на 3-5-е сутки рост бактерий прекращается и снижается до уровня контроля. В то время как внесение лактулозы после сквашивания на этапе охлаждения напитка нарастание молочнокислых бактерий идет постепенно и содержание их остается высоким и на 7-10-е сутки.

Таким образом оптимальным является добавление сиропа лактулозы в кисломолочный напиток после процесса сквашивания молока т.к численность молочнокислых бактерий к концу предлагаемого срока хранения (7 суток) выше, чем при внесении лактулозы до сквашивания

В результате изучения развития лактобактерий *L.acidophilus* в среде козьего молока при различных посевных дозах микроорганизмов установлено оптимальное количество закваски, использование которых обеспечивает достаточно высокий выход молочнокислых бактерий и сравнительно быстрое нарастание кислотности среды в процессе ферментации козьего молока.

Таким образом, разработан рецептурный состав нового вида кисломолочного напитка на основе козьего молока Модели рецептурного состава кисломолочного напитка представлены в таблице 3.

**Таблица 3 - Рецептура кисломолочных напитков**

| Сырье и компоненты | Содержание в г на 100 г продукта |
|---|---|
| *Кисломолочный напиток на основе козьего молока, жирность 4,4%* | |
| Молоко козье, ж=6% | 69,9 |
| Обезжиренное молоко, ж=01% | 24,1 |
| *L. acidophilus*. штамм 317/402 | 5 |
| Сироп лактулозы | 1 |
| *Кисломолочный напиток на основе козьего молока, жирность 3,3%* | |
| Молоко козье, ж=6% | 51,2 |
| Обезжиренное молоко, ж=01% | 42,8 |
| *L. acidophilus*. штамм 317/402 | 5 |
| Сироп лактулозы | 1 |
| *Кисломолочный напиток на основе козьего молока, жирность 2,5%* | |
| Молоко козье, ж=6% | 37,7 |
| Обезжиренное молоко, ж=01% | 56,3 |
| *L. acidophilus*. штамм 317/402 | 5 |
| Сироп лактулозы | 1 |

**Таблица 4 - Органолептические показатели разрабатываемого продукта**

| Показатель | Характеристика |
|---|---|
| Внешний вид и консистенция | Однородная, в меру вязкая. Допускается консистенция слегка вязкая. Поверхность и масса Однородная, без отделения сыворотки |
| Вкус и запах | Чистый, кисломолочный, без посторонних привкусов и запахов |
| Цвет | Белый, равномерный по всей массе |

Результаты органолептической оценки кисломолочных напитков по пятибалльной шкале приведены в таблице 5.

**Таблица 5 – Результаты органолептических оценок разработанных кисломолочных напитков**

| Продукт | Качественные уровни | | | |
|---|---|---|---|---|
| | цвет | запах | вкус | консистенция |
| Вариант 1 | 5 | 4 | 4 | 5 |
| Вариант 2 | 5 | 5 | 5 | 5 |
| Вариант 3 | 5 | 5 | 4 | 5 |

Таким образом, по результатам дегустации, наиболее высоким органолептическим качеством обладал кисломолочный напиток на основе козьего молока 3,3% жирности.

Результаты оценки внешнего вида, консистенции, вкуса, запаха и цвета кисломолочного напитка полностью соответствует характеристики к данному виду продукта.

На основании проведенных исследований химического состава, функционально - технологических, структурно-механических и реологических свойств кисломолочного напитка в процессе хранения, установлен срок хранения кисломолочного напитка:

- при температуре (+2) – (+ 6) $^0$C – 7 суток;
- при температуре (+10) $^0$C – не более 5 суток

В состав кисломолочного напитка входят молочнокислые бактерии, обладающие разной антимикробной специфичностью [5]. Нами было изучено влияние композиционного напитка на жизнеспособность условно-патогенной микрофлоры на примере БГКП *Echerichia coli*.

Динамика роста исследуемых бактерий присутствующие в нашем кисломолочном напитке представлена на рисунке 3.




**Рисунок 3– Влияние микрофлоры кисломолочного напитка на развитие и E.coli в процессе культивирования**

Полученные данные свидетельствуют о том, что компонентный состав напитка вызывает снижение количества жизнеспособных клеток тест-культуры. Характер антимикробного действия кисломолочного напитка на тест-культуру различен. В отношении *Echerichia coli* действие компонентов напитка наиболее выражено при двухчасовом культивировании с последующим снижением степени подавления развития микроорганизма. Следует отметить оптическое изменение питательной среды, а именно ее осветления в процессе совместного культивирования.

Таким образом, комплексный биологически активный кисломолочный продукт обладает антимикробным действием в отношении как грамположительных, так и грамотрицательных условно-патогенных микроорганизмов, в связи с чем, он может рассматриваться в качестве эффективного антимикробного средства с более широким спектром действия.

В результате проведенных работ на основе изучения биосочетаемости компонентного состава разработана биотехнология получения кисломолочного напитка на основе козьего молока, позволяющий расширить ассортимент кисломолочных продуктов, обладающие функциональными свойствами.

**ЛИТЕРАТУРА**


1. Самойлов В.А, Саян В.Ш, Нестеренко П.Г. Кисломолочных напитки с пробиотической активностью.// Переработка молока, 2007. №11.- С.26-28.
2. Шарипова С.А., Серикбаева А.Д. Состояние комбинаций лактобактерий и изучение их свойств //Материалы юбилейной междунар. науч.-прак. конф.«Пищевая и легкая промышленность в стратегии вхождения РК в число 50-ти наиболее конкурентоспособных стран мира». – Алматы, 2007. - С.245-247.
3. *Шевчук В.Б. к.т.н., Малышева О.А.* Козье молоко, *ВГМХА им. Н.В. Верещагина*
4. Шалак М.В. Технология переработки продукции животноводства /М.В. Шалак, М.С. Шашков. Минск: Бестпринт, 2004
5. Бондаренко В.М., Рубакова Э.И., Лаврова В.А. Иммуностимулирующее действие лактобактерий, используемых в качестве основы препаратов пробиотиков // Журн. микробиол. - 1998. - №5. - С.107-112


**SUMMARY**


This article describes biotechnological aspects of obtaining sour-milk drink from goat milk.

As a result of pilot experiment studies sour-milk drink was developed on the basis of goat milk functional appointment. The results of researches made in this report became a basis of biotechnology of receiving a new type of a product with bactericidal qualities on the basis of goat milk

# ბიზნეს-ინჟინერინგი კავშირგაბმულობაში

## სატელეკომუნიკაციო ბაზრის ტენდენციები და პროგნოზები

*ოთარ ზუმბურიძე, სტუ-ს სრული პროფესორი*
*ლია რუხაძე, სტუ-ს დოქტორანტი*

ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მსოფლიოს სულ უფრო მეტ ქვეყნებს მოიცავს, რამდენადაც მეტი ადამიანი ცდილობს დაუკავშირდეს ერთმანეთს. გასულ წელს ინფო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) კიდევ უფრო მეტად მზარდი განვითარება შეინიშნებოდა, მისი შესაბამისი ყველა ინდიკატორის მნიშვნელობის ამაღლებით, გარდა ფიქსირებული სატელეფონო ხაზების რაოდენობისა, რომელიც 2005 წლიდან მოყოლებული, შემცირდა (ნახ.1). რეალურად, ისტ-ზე დაშვებისა და მისი გამოყენების თვალსაზრისით, კრიტიკულ მნიშვნელობას სულ უფრო მეტი ქვეყანა აღწევს, რაც თავის მხრივ, აჩქარებს ისტ-ს გავრცელებას და ზრდის მობილური ინტერნეტის განვითარებით გამოწვეულ მოთხოვნას [1].




**ნახ. 1. ისტ-ს გლობალური განვითარება 2001-2011 წწ.**

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მობილური ტელეფონების საყოველთაო გავრცელებამ, მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების დანერგვამ, სმარტფონებისა და პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებასთან ერთად, ფართოზოლოვანი მობილური კავშირის აბონენტთა რაოდენობა გაზარდა, რაც 2007 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად საშუალოდ 41%-ით იზრდება (ნახ. 2). მობილური ვებმომსახურების მხრივ, აღნიშნული ტენდენცია, რომელიც შორს დგას ისეთი ტრადიციული ფიჭური მობილური სერვისისაგან, როგორიცაა ხმა და მოკლე ტექსტური შეტყობინება, თანდათანობით ზრდის და ამაღლებს მობილური ტრაფიკის მოცულობას ხმოვანიდან მონაცემებზე გადასვლასთან დაკავშირებით და ამასთან ერთად, გულისხმობს სიჩქარის, ღირებულების, ხელმისაწვდომი სპექტრის, მოგებისა და ინვესტი-

ციის მნიშვნელობას. ამავდროულად, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი კვლავ იზრდება, თუმცა, განვითარებად ქვეყნებში მობილური ფართოზოლოვანი მომსახურება შედარებით დაბალი მაჩვენებლებით უზრუნველყოფს ინტერნეტზე დაშვების მოთხოვნებს.




**ნახ. 2. ისტ-ს გლობალური განვითარების სტატისტიკა წლების მიხედვით (2001-2011 წწ.)**

განვიხილოთ ისტ-ის ძირითადი სერვისები და შესაბამისად მათი განვითარება გასული წლის განმავლობაში.

## მობილური სექტორი

2010-2011 წწ. განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე ფიჭური მობილური კავშირის აბონენტთა რაოდენობა გაიზარდა და ორნიშნა ციფრით გამოიხატა, მაგრამ წინა წლებთან შედარებით შენელდა (ნახ. 3). ფიჭური მობილური კავშირის აბონენტთა რაოდენობამ 600 მლნ გადააჭარბა და უმეტესი წილი განვითარებად სამყაროზე მოვიდა[1]. სრული რაოდენობა დაახლოებით 6 მილიარდია ანუ 100 სულ მოსახლეზე 86, გლობალურად. მხოლოდ ჩინეთში 1 მილიარდი აბონენტია და ინდოეთი სავარაუდოდ 1 მილიარდს გადააჭარბებს 2012 წლისათვის. ფიჭური მობილური კავშირის შეღწევადობა გაიზარდა 11%-ით (13% - წინა წელს). განვითარებად ქვეყნებში ზრდა 13% იყო (18% - წინა წელს) და 2011 წ. ბოლოსათვის ფიჭური მობილური კავშირის შეღწევადობამ 78% მიაღწია. განვითრებულ ქვეყნებში ზრდის მაჩვენებლი იყო 7% - რაც კავშირის შეღწევადობას 122%-ით უზრუნველყოფს. ეს გამოიწვია ძირითადად ორი უდიდესი ბაზრის, აშშ და რუსეთის ბაზრების გაზრდამ. კერძოდ, აშშ, რომელიც ხასიათდებოდა შეღწევადობის შედარებით დაბალი დონით, ბოლო წელს თითქმის 20%-ით გაიზარდა, მიუახლოვდა რა 100% ზღვარს. ამ ორის ქვეყნის გამოკლებით, განვითარებულ ქვეყნებში ზრდამ მხოლოდ 3% მიაღწია, რაც მიუთითებს ფიჭური მობილური კავშირის ბაზრის გაჯერებაზე.

განვითარებად ქვეყნებში მობილური სექტორის მკვეთრი ზრდა უზრუნველყო გაზდილმა კონკურენციამ და ხელმისაწვდომმა სერვისმა და ტექნოლოგიებმა. ფიჭური მობილური ტელეფონი თანდათანობით ცვლის ფიქსირებული ხაზის სერვისს, რომელიც კვლავ დომინანტ ოპერატორად რჩება ბევრ განვითარებად ქვეყანაში. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში საავანსო სერვისის დანერგვამ მობილური კომუნიკაცია ხელმი-

[1] 2011 წლის ბოლოსთვის მობილური ფიჭური კავშირის აბონენტთა სრულმა რაოდენობამ თითქმის 6 მილიარდს მიაღწია, რაც გლობალური მაშტაბით 86% შეესაბამება; აღნიშნული მონაცემების გაზრდა განვითარებადმა ქვეყნებმა გამოიწვია, რაც შეადგენს 80%-ზე მეტს 2011 წ. დამატებული ახალი 660 მლნ ფიჭური მობილური კავშირის აბონენტებიდან; 2011 წ. ფიჭური მობილური კავშირის 142 მლნ აბონენტი დაემატა ინდოეთს, რაც ორჯერ მეტია მთლიანად აფრიკისათვის და უფორ მეტი, ვიდრე ერთად აღებული არაბული სახელმწიფოების, დსთ-ს ქვეყნებისა და ევროპის ქვეყნების აბონენტთა რაოდენობა; 2011 წ. ბოლოსთვის, 105 ქვეყანაში უფრო მეტი ფიჭური კავშირის აბონენტთა რაოდენობა იყო, ვიდრე თავად მოსახლეობა, მათ შორის ისეთ აფრიკული ქვეყნებში, როგორიცაა ბოსტვანა, გაბონი, ნამიბია, სეიშელი და სამხრეთ აფრიკა; 2011 წ. განსაკუთრებით გაიზარდა ფიჭური მობილური კავშირი ბრაზილიაში, კოსტა რიკაში, ყაზახეთში, მალისა და ლაოსში.

საწვდომი გახადა დაბალი შემოსავლის მქონე, დაბალი სამომხმარებლო სეგმენტისათვის, რომელსაც არ შეუძლია ან არ აქვს საშუალება იყოს საკრედიტო აბონენტი.




**ნახ. 3. ფიჭური მობილური აბონენტების სტატისტიკა (2001-2011წწ.)**

რეალურად, ამჟამად ფიჭური მობილური კავშირის აბონეტების 70% საავანსოა, მათგან 87% განვითარებად ქვეყნებზე მოდის. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ფიჭური მობილური სერვისი ღირებულება ბოლო 4 წლის განმავლობაში 37%-ით შემცირდა. მაშინ, როდესაც 2010 წ. მოყოლებული განვითარებულ ქვეყნებში ღირებულება სტაბილიზებული გახდა საკმაოდ დაბალ დონეზე, განვითარებად ქვეყნებში კვლავ გრძელდება ღირებულების დაცემა. საერთოდ, სერვისის პროვაიდერთა მზარდმა რაოდენობამ გარკვეულწილად სერიოზული კონკურენცია გამოიწვია სექტორში და მნიშვნელოვნად დაბლა დაწია სამომხმარებლო ფასები, რამაც ძირითადად განსაზღვრა კიდეც ფიჭური მობილური სერვისის გავრცელება [1].

მობილური ბაზრის ზრდას უზრუნველყოფს საავანსო მომსახურება, უფრო მეტად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და მზარდი მობილური გამტარუნარიანობის მქონე სერვისების შესაძლებლობა. მომდევნო 5 წლის განმავლობაში უმნიშვნელოვანესი ტენდენცია იქნება მობილური ხმოვანიდან მობილურ მონაცემთა ტრაფიკზე გადასვლა, ვინაიდან სულ უფრო მეტი ადამიანი ხდება ინტერნეტზე დაშვების უსადენო ქსელური სერვისების აბონენტი.

## ფართოზოლოვანი კავშირი (ფიქსირებული და მობილური)

მსოფლიოში ფართოზოლოვანი კავშირის ბაზარზე კვლავ ფართოდ ვრცელდება ფიქსირებული (სადენიანი) ფართოზოლოვანი და მობილური ფართოზოლოვანი სერვისი[1]. 2011 წ. ბოლოსათვის, ფიქსირებული (სადენიანი) ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტთა რიცხვმა თითქმის 600 მლნ მიაღწია, რაც გლობალური გავრცელების 8.5% შეესაბამება (ნახ. 4).

ეს დარდება დაახლოებით 530 მლნ და 7.7% შეღწევადობას, გასული წლის მონაცემებით. ამავდროულად, 2010-2011 წწ. აქტიური ფართოზოლოვანი მობილური კავშირის აბონენტთა რიცხვმა 40%-ით მოიმატა და 2011 წ. ბოლოსთვის 1.1 მილიარდს მიაღწია. ეს წარმოადგენს გლობალურად შეღწევადობის დონეს 100 სულ მოსახლეზე - 16 (წინა წელს 100 სულ მოსახლეზე მოდიოდა 13) (ნახ. 5). ამჟამად,

---

[1] 2011წ. ბოლოსთვის მსოფლიოში 590 მლნ ფიქსირებული (სადენიანი) ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტი აღირიცხებოდა; ფიქსირებული (სადენიანი) ფართოზოლოვანი კავშირის ზრდა განვითარებულ ქვეყნებში შენელდა (5% ზრდა 2011 წ.), ხოლო განვითარებად ქვეყნებში კი გრძელდება მისი სწრაფი ზრდა (18% - 2011 წელს); ფიქსირებული (სადენიანი) ფართოზოლოვანი კავშირის შეღწევადობა ზოგიერთ ქვეყანაში დაბალია (აფრიკაში - 0.2%, არაბულ სახელმწიფოებში - 2%); 2011 წ. 30 მლნ ფიქსირებული (სადენიანი) ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტი დაემატა ჩინეთში, რაც მსოფლიო მასშტაბით დამატებული სრული რაოდენობის ნახევარს წარმოადგენს და ფიქსირებული (სადენიანი) ფართოზოლოვანი კავშირის გავრცელებამ ქვეყანაში 12% მიაღწია; 2011 წ. ბოლოსათვის წამყვან ქვეყნებში - საფრანგეთი, დანია, ჰოლანდია, კორეა და შვეიცარია - ფიქსირებული (სადენიანი) ფართოზოლოვანი კავშირის გავრცელებამ 35% გადააჭარბა; ურუგვაიში ფიქსირებული (სადენიანი) ფართოზოლოვანი კავშირის შეღწევადობამ 2011 წლის ბოლოსათვის 10% გადააჭარბა [2].

ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების მსგავსად, თითქმის 2-ჯერ მეტია მობილური ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტთა რიცხვი. ევროპა კვლავ რჩება წამყვან რეგიონად ფართოზოლოვანი კავშირის დანერგვასთან დაკავშირებით (ნახ. 6).

მობილური ფართოზოლოვანი კავშირი ისტ-ის სერვისია, უსწრაფესი ზრდის ტემპებით. 2010-2011 წწ. გლობალურად ზრდის დონე 40% იყო, განვითარებულ სამყაროში - 23%, განვითარებადში - 76%. ფიჭური მობილური კავშირის შეღწევადობის საპირისპიროდ, ამ შემთხვევაში ჯერ არ შეინიშნება გაჯერების არანაირი ზღვარი და მომდევნო 5 წლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ ზრდამ ორნიშნიანი ციფრის დონეს მიაღწიოს [3].




ნახ. 4. ფიქსირებულ-ფართოზოლოვან მომხმარებელთა სტატისტიკა (2001-2011წწ.)




ნახ. 5. მობილურ-ფართოზოლოვან აქტიურ მომხმარებელთა სტატისტიკა (2007-2011 წწ.)

მობილური ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტთა მკვეთრი ზრდა ასახავს ნახტომს პორტატული ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც ინტერნეტზე დაშვების (სმარტფონები, პლანშეტური კომპიუტერები) და ასევე, განვითარებად ქვეყნებში მაღალი სიჩქარის მობილური ქსელებისა და სერვისების (3G და ზემოთ) საშუალებას იძლევა.




**ნახ. 6. ფიქსირებული და აქტიური მობილური-ფართოზოლოვანი მომხმარებლების სტატისტიკა რეგიონების მიხედვით (2011 წ.)**

ვინაიდან ოპერატორები ანახლებენ ქსელებს და აფართოებენ სერვისის დაფარვას, მათ მიაღწიეს მსოფლიოში ქალაქისა და სოფლის პოპულაციას შორის არსებული პროპორციის გაზრდას. 2011 წ. ბოლოს მსოფლიო მასშტაბით 160-ზე მეტმა ეკონომიკურმა სისტემამ დანერგა კომერციული 3G სისტემები და მსოფლიოს მოსახლეობის 45% დაიფარა 3G მობილური ქსელით[1].

[1] 2011 წ. ბოლოსათვის მსოფლიოში 1 მილიარდზე მეტი ფართოზოლოვანი მობილური კავშირის აბონენტი იყო; ფართოზოლოვანი მობილური კავშირი ყველაზე მეტად დინამიკური ისტ-სერვისი გახდა, რომელმაც წლიურად აბონენტთა 40% ზრდა გამოიწვია; მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი ქვეყნები თანდათანობით ეწევიან 3G დაფარვას, კვლავ რჩება დიდი განსხვავება განვითარებად (8%) და განვითარებულ ქვეყნებს შორის (51%) ფართოზოლოვანი მობილური კავშირის გავრცელებაში;აფრიკაში 100 სულ მოსახლეზე ხუთზე ნაკლები რაოდენობის ფართოზოლოვანი მობილური კავშირის აბონენტი მოდის, მაშინ, როცა სხვა რეგიონებში ფართოზოლოვანი მობილური კავშირის შეღწევადობის დონე 10% აღემატება;2011 წ. ბოლოსათვის ფართოზოლოვანი მობილური კავშირის აბონენტი უფრო მეტი იყო, ვიდრე კორეისა და სინგაპურის მოსახლეობა. იაპონიასა და შვედეთში ფართოზოლოვანი მობილური კავშირის აქტიური შეღწევადობის დონემ 90% გადააჭარბა; 2011 წ. ფართოზოლოვანი მობილური კავშირის აბონენტთა რიცხვს დაემატა 144 მლნ აბონენტი (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა), რაც მსოფლიოში 2011 წელს დამატებული, აღნიშნული კავშირის აბონენტთა სრული რაოდენობის 45% შეადგენს [2].

მობილური ინტერნეტ სერვისების დანერგვა (საავანსო და საკრედიტო) მთავარ როლს თამაშობს განვითარებად ქვეყნებში მობილური ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტთა რაოდენობის მკვეთრ ზრდაში, რამაც ინტერნეტის მოხმარების საშუალება მისცა იმ მომხმარებელთა დიდ რიცხვს, რომლებსაც შეზღუდული დაშვება ჰქონდათ ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე. მობილური ფართოზოლოვანი სერვისები (საავანსო და საკრედიტო) საშუალოდ უფრო მეტად ხელმისაწვდომია ვიდრე ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის სერვისები, მიუხედავად იმისა, რომ ღირებულებაში სხვაობა მცირეა და ნაკლებ თვალსაჩინოგანვითარებადქვეყნებში,თუმცამობილური ფართოზოლოვანი კავშირი კვლავ ძვირია უმრავლეს განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით მაღალი მოცულობის მქონე აბონენტებისათვის. რეალურად, მრავალ ქვეყანაში მობილური ფართოზოლოვანი სერვისების ღირებულება ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებთან შედარებითია და მიუწვდომელი რჩება დაბალი შემოსავლის მქონე ბევრი სეგმენტისათვის განვითარებად ქვეყნებში. საავანსო მობილური ფართოზოლოვანი სერვისების დანერგვა ითვალისწინებს ამ პრობლემას და სთავაზობს შედარებით მისაღებ გადაწყვეტას დაბალი მოცულობის მქონე აბონენტებისათვის და მათ, ვისაც არ გააჩნია საკრედიტო მომსახურების შესაძლებლობა.

არაერთ განვითარებად ქვეყანაში მობილური ფართოზოლოვანი კავშირის სერვისი ჯერ კიდევ ჩანასახშია და ბაზრის განსხვავებულ სეგმენტებს ოპერატორები სხვადასხვა შემოთავაზებებს სთავაზობენ. სავარაუდოა, რომ მაღალი ტექნოლოგიების ბაზრის დაფარვის შემდეგ, უახლოეს მომავალში დაინერგება დაბალი შემოსავლის, დაბალი მოხმარების სეგმენტებისათვის მიმართული წინადადებების გარკვეული რაოდენობა, რაც გამოიწვევს ადამიანების მზარდი რაოდენობისათვის ინტერნეტზე დაშვების შესაძლებლობას.

უფრო მეტიც, უახლოეს წლებში მოსალოდნელია სმარტფონებისა და პლანშეტური კომპიუტერების რაოდენობის ზრდა განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, მსოფლიოში უდიდესი ჩინეთის ბაზარი ასევე გახდა სმარტფონების უდიდესი ბაზარი, აჯობა რა ამ მხრივ აშშ-ს. ზრდის მაღალი დონე უახლოეს წლებშიც გაგრძელდება, რასაც განაპირობებს იაფი მობილური აპარატურა და სერვისები. სხვა მზარდ ბაზრებთან ერთად, ეს მნიშვნელოვნად იმოქმედებს ფართოზოლოვანი მობილური კავშირის აბონენტთა და ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობის ზრდაზე და მობილური ვიდეო აპლიკაციების ზრდასთან ერთად, ხელს შეუწყობს მობილური ხმოვანიდან მობილურ მონაცემთა ტრაფიკზე გადასვლას, რაც გამოიწვევს ქსელების მნიშვნელოვან განახლებას, მაღალ სიჩქარეს და უფრო მეტ სპექტრს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სექტორში მდგრადი ინვესტიციების ნაკადს.

ამავე დროს, ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის დანერგვა შედარებით ნელა იზრდება, 10% მსოფლიოში, მათ შორის 5% - განვითარებულ ქვეყნებში და 18% - განვითარებად ქვეყნებში. აბონენტთა რაოდენობა 530 მლნ-დან 590 მლნ-მდე გაიზარდა, მიაღწია რა გლობალურ შეღწევადობას 8.5%, მათ შორის შეღწევადობის 25% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, ხოლო განვითარებად ქვეყნებში - 5%. ბაზრის გაჯერების ნიშნები ჯერჯერობით არ შეინიშნება და ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის შეღწევადობა მომავალი 5 წლის განმავლობაში პროგრესულად გაიზრდება.

მობილური ქსელის ინფრასტრუქტურასთან შედარებით, ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის ინფრასტრუქტურა უფრო მეტ ინვესტიციებს საჭიროებს. ოპტიკური კავშირების გაფართოების შედეგად, ბოლო წელს განსაკუთრებით გაუმჯობესდა ფართოზოლოვანი დაშვება. მობილურ ფართოზოლოვან ქსელებთან შედარებით, ეს ახალი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელები შედარებით მაღალ სიჩქარეს, ტევადობასა და მომსახურების ხარისხს უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, მობილური ფართოზოლოვანი კავშირი ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების დამატებას უფრო მეტად წარმოადგენს ვიდრე მის შემცვლელს. ეს განსაკუთრებით მართებულია ისეთი მაღალი დონის მომხმარებლებისთვის, როგორიცაა ორგანიზაციები ან ბიზნესი, რაც ფართოზოლოვანი კავშირისგან მაქსიმალური მოგების მიზნით მოწინავე ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის ინფრასტრუქტურას საჭიროებს.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ფიქსირებული ქსელები ფართოდ არის დანერგილი (გარდა განსაკუთრებით დაცილებული რაიონებისა). ისინი განახლებულ იქნა მომდევნო თაობის ქსელებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მოწინავე ფართოზოლოვანი აპლიკაციების აუცილებელ ტევადობას. ამ ქვეყნებში უახლოეს წლებში მოსალოდნელია მრავალჯერადი ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება და აუდიო ვიდეოთი დომინირებული მონაცემთა ტრაფიკი (მაგ., მედიაკონტენტი, მიმდინარე ფილმები). სავარაუდოდ, ფართოზოლოვანი კავშირის სიჩქარე გაიზრდება როგორც ოპტიკურ, ისე კაბელურ ქსელებში. მონაცემთა ტრაფიკის ზრდა ძირითადად ფიქსირებული ქსელებიდან არის მოსალოდნელი (შედარებით ნაკლებად, მობილური ქსელებიდან), რაც შედეგად უფრო მეტ გამტარუნარიანობას გამოიწვევს [4].

ამასთანავე, მრავალ განვითარებად ქვეყანაში, ძირითადი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის წარდგენა კვლავ მიმდინარეობს ან დაგეგმვის საფეხურზეა. რადგან სერვისი ხელმისაწვდომია კომერციულად, სავარაუდოდ აღმოიფხვრება გარკვეულ ადგილებში, ძირითადად ქალაქებში მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის დაფარვასთან დაკავშირებული ხარვეზები. სხვა ადგილები შეზღუდული რჩება უსადენო ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურისთვის, რაც ამჟამად დამოკიდებულია ტექნოლოგიებზე, რომელსაც ფართოზოლოვან კავშირთან შედარებით, დაბალი ფართოზოლოვანი კავშირი გვთავაზობს ფიქსირებული ტექნოლოგიებით. სანამ გამტარუნარიანობა მნიშვნელოვნად არ გაფართოვდება, მონაცემთა ტრაფიკი შეზღუდული იქნება კონტენტისთვის, რაც შეიძლება ჩამოტვირთული იყოს ლიმიტირებული გამტარუნარიანობით. იმედის მომცემია WiMAX გადანაწილების გაზრდა ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში, რაც უზრუნველყოფს მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვან სერვისს მომხმარებლებისთვის ისეთ ადგილებში, სადაც არის შეზღუდული ფიქსირებული (სადენიანი) ქსელის ინფრასტრუქტურა.

## ინტერნეტის განვითარება

გასული ხუთი წლის მანძილზე ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა განვითარებად ქვეყნებში გასამმაგდა, და თუკი 2006 წ. გლობალურად ის მომხმარებელთა 44% იყო, 2011 წ. ბოლოს უკვე 62%-მდე გაიზარდა. ამჟამად ჩინეთში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა მსოფლიოში ინტერნეტ-მომხმარებელთა 23%, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისათვის - 37%-ს წარმოადგენს (ნახ. 7).




ნახ. 7. ინტერნეტის მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებელი (2001-2011 წწ.)

2011 წ. ბოლოს მსოფლიოს 2.3 მილიარდი ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობიდან 45% 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები იყვნენ. მსოფლიოს მოსახლეობის 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდების 36% ინტერნეტის მომხმარებელია, მაშინ, როცა 25 წლის ზემოთ მოსახლეობის მხოლოდ 34% არის ჩართული გლობალურ ქსელში [3]. განვითარებად ქვეყნებში 25 წლამდე მოსახლეობის 30%-ია ინტერნეტმომხმარებელი, ხოლო 25 წელს ზემოთ მოსახლეობის - მხოლოდ 23%. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, 25 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა 1.9 მილიონს ანუ 70% შეადგენს და ისინი დღესაც არ არიან ჩართული გლობალურ ქსელში, რაც ამ ქვეყნებს დიდ სტიმულს აძლევს, უფრო აქტიურად ჩართონ სკოლები და საგანმანათლებლო დაწესებულებები ინტერნეტში (ნახ. 8).

უფრო და უფრო იზრდება ინტერნეტზე დაშვების მქონე ოჯახების რაოდენობა. 2010-2011 წწ. ეს მაჩვენებლი 14%-ით გაიზარდა. 2011 წ. ბოლოსთვის მსოფლიოს მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის (1.8 მილიარდი ოჯახი) ერთი მესამედი (600 მილიონი ოჯახი) სარგებლობდა ინტერნეტზე დაშვებით[1].

განვითარებულ ქვეყნებში ზრდის უფრო დაბალი მაჩვენებელია (6%), რაც გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკვე სარგებლობს ინტერნეტით (70.3% - 2011 წლის ბოლოსთვის). მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში კვლავ მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის გაზრდა, ის მალე გაწონასწორდება, რადგან ბაზარი უკვე საკმაოდ გაჯერებულია. განვითარებული ქვეყნების უმეტეს ოჯახებს ექნებათ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტდაშვება და internettelevizia/IPTV, რომელიც სწრაფად ჩაანაცვლებს ტრადიციულ სატელევიზიო მაუწყებლობას, რაც თავის მხრივ, გაზრდის მონაცემთა ტრაფიკს და მოთხოვნას შედარებით მეტ ტევადობაზე [3].

[1] ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა აგრძელებს ზრდას და 2011 წ. ბოლოსათვის 2.3 მილიარდს მიაღწია; განვითარებად ქვეყნებში 2007-2011 წწ. ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა გაორმაგდა, მაგრამ 2011 წ. ბოლოსთვის იგი განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედს შეადგენდა; 2011 წ. ბოლოს ინტერნეტის მომხმარებელთა პროცენტი განვითარებულ სამყაროში 70% შეადგენდა. ისლანდიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიასა და შვედეთში მოსახლეობის 90% ინტერნეტის მომხმარებელია; 2011 წ. ბოლოს განვითარებული ქვეყნების ოჯახების 70% ჰქონდა ინტერნეტი, ხოლო განვითარებად ქვეყნებიდან ოჯახების მხოლოდ 20% გააჩნდა ინტერნეტზე დაშვება. გამონაკლისია ლიბანი (62%) და მალაიზია (61%); სრული საერთაშორისო ინტერნეტ-გამტარუნარიანობა ბოლო 5 წლის განმავლობაში 7% გაიზარდა და 2011 წ. ბოლოსთვის 76,000 გბიტ/წმ მიაღწია, რაც მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთათვის 34,000 ბიტ/წმ უტოლდება; რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა ერთეულ ინტერნეტის მომხმარებელზე ინტერნეტის გამტარუნარიანობასთან დაკავშირებით: საშუალოდ ევროპაში ინტერნეტმომხმარებელი 25-ჯერ მეტ დროს უთმობს ინტერნეტს, ვიდრე მომხმარებელი აფრიკიდან.




ნახ. 8. ინტერნეტმომხმარებელთა სტატისტიკა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით




ნახ. 9. ინტერნეტზე დაშვების მქონე ოჯახების სტატისტიკა (2002-2011წწ.)

მეორეს მხრივ, განვითარებად ქვეყნებში მკვეთრად იზრდება ინტერნეტზე დაშვების მქონე ოჯახების რაოდენობა, კერძოდ, წინა წელს დაფიქსირდა 23% ზრდა, (რაც 2009-2010 წწ. ეს მაჩვენებელი 18% იყო). 2011 წ. ბოლოსთვის განვითარებად ქვეყნებში ოჯახების 20% სარგებლობდა ინტერნეტდაშვებით, რაც წინა წელს მხოლოდ 17% შეადგენდა (ნახ.9). ამ ზრდას ხელს უწყობს უკაბელო-ფართოზოლოვანი მომსახურება, რომელიც უამრავ ოჯახს საშუალებას აძლევს ისარგებლოს ინტერნეტით უკაბელო მოწყობილობების საშუალებით [2,5].

## ისტ-ის განვითარების IDI-ინდექსი ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში

ისტ-ის განვითარების IDI-ინდექსი კომპოზიტური ინდექსია, რომელიც 11 მაჩვენებელს გულისხმობს და განსაზღვრავს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პროგრესს ქვეყნებში. IDI-ინდექსი ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირმა პირველად 2007 წელს დაამუშავა [6].

აღნიშნული ინდექსის მიხედვით შექმნილ მსოფლიო რეიტინგში, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების რეგიონიდან რუსეთი ლიდერობს (6.0), რომელსაც მოსდევს ბელორუსია (5.57) და ყაზახეთი (5.27). ბოლო ადგილებს არა მხოლოდ რეგიონში, არამედ გლობალურად უზბეკეთი და თურქმენეთი ინაწილებენ (ნახ. 10).

2010-2011 წწ. რეგიონმა ისტ-ის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა და მას IDI ინდექსის ზრდის უმაღლესი საშუალო მაჩვენებელი აქვს. მხოლოდ უკრაინა და თურქმენეთის მაჩვენებელი ოდნავ გაუარესდა გლობალურ IDI რეიტინგში. უფრო მეტიც, საქართველომ, აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა და ბელორუსიამ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს IDI.

**IDI – ყოფილი საბჭოთა ქვეყნები**

| Economy | Regional rank 2011 | Global rank 2011 | IDI 2011 | Global rank 2010 | IDI 2010 | Global rank change 2010-2011 |
|---|---|---|---|---|---|---|
| Russian Federation | 1 | 38 | 6.00 | 40 | 5.61 | 2 |
| Belarus | 2 | 46 | 5.57 | 46 | 5.08 | 0 |
| Kazakhstan | 3 | 49 | 5.27 | 56 | 4.65 | 7 |
| Moldova | 4 | 62 | 4.55 | 62 | 4.24 | 0 |
| Ukraine | 5 | 67 | 4.40 | 65 | 4.20 | -2 |
| Azerbaijan | 6 | 68 | 4.39 | 73 | 3.83 | 5 |
| Georgia | 7 | 73 | 4.20 | 75 | 3.75 | 2 |
| Uzbekistan | 8 | 102 | 3.05 | 104 | 2.77 | 2 |
| Turkmenistan | 9 | 110 | 2.49 | 109 | 2.44 | -1 |
| Average | | | 4.43 | | 4.06 | |

Source: ITU.
Note: Simple average.

**ნახ. 10. IDI ინდექსის მაჩვენებელი ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში**

რეგიონში IDI მნიშვნელობის უმაღლესი ზრდა ყაზახეთს აქვს (0.61), რაც თითქმის სამჯერ აღემატება ადრე არსებულს (0.21). მაშინ, როდესაც საქართველომ ყაზახეთმა, ბელორუსიამ და აზერბაიჯანმა ისტ-ის დაშვების ქვეინდექსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი წინსვლა უჩვენეს, ისტ-ს გამოყენების ქვეინდექსის ზრდა ხსნის სრული IDI გაუმჯობესებას [1].

ისტ-ის გამოყენების პროგრესი გვიჩვენებს, რომ საქართველო, აზერბაიჯანი, ბელორუსია და ყაზახეთი ისტ-ის განვითარების (ისტ მზაობა) პირველი საფეხურიდან მეორე საფეხურზე (ისტ-ის ინტენსიურობა) გადავიდნენ. ბელორუსიას და ყაზახეთს უფრო მაღალი დაშვების ქვეინდექსის მნიშვნელობა (დაახლ. 6) აქვთ, რაც შედარებით მაღალია, ვიდრე გლობალური დაშვების ქვეინდექსის საშუალო მნიშვნელობა (4.66). საქართველო და აზერბაიჯანი კვლავ გლობალური საშუალო მნიშვნელობის ქვემოთ რჩებიან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქვეყნები ისტ-ის მდგრადი განვითარებისათვის უფრო წარმატებულ ისტ ინფრასტრუქტურას საჭიროებენ. ასევე, ამ ქვეყნებში შედარებით დაბალია ოჯახებისთვის ისტ-ზე დაშვების მაჩვენებელი.

მოცემული რეგიონი ხასიათდება უმაღლესი საშუალო ფიჭური მობილური კავშირის შეღწევადობით, 100 სულ მოსახლეზე 143 აბონენტით, რაც წარმატებით დარდება ევროპასთან, სადაც 100 სულ მოსახლეზე 120 აბონენტი მოდის. რეგიონის ლიდერს, რუსეთს მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი შეღწევადობის მაჩვენებელი აქვს, 2011 წლისთვის - 179%. რეიტინგის ბოლოში მყოფი თურქმენეთისა და უზბეკეთის გამოკლებით, 2011 წ. მოცემული რეგიონის ყველა ქვეყნისთვის ფიჭური მობილური კავშირის შეღწევადობა 100% აღემატებოდა. ეს ხსნის იმას თუ რატომ იყო გამოყენების ქვეინდექსის ზრდა უფრო მეტი, ვიდრე დაშვებაზე ქვეინდექსის ზრდა, ვინაიდან ფიჭური მობილური კავშირის შეღწევადობის დონე რეგიონის უმეტეს ქვეყანაში აისახება.

რეგიონში ინტერნეტზე დაშვების მქონე ოჯახების პროცენტული რაოდენობა მერყეობს. ყაზახეთსა და რუსეთში ამ მხრივ უმაღლესი მაჩვენებელია, შესაბამისად, 48% და 46%, ხოლო უმდაბლესი კი თურქმნეთსა (6%) და უზბეკეთში (8%). ბელორუსია

ეწევა მაღალ მაჩვენებელს, სადაც ინტერნეტის მქონე ოჯახების პროპორცია 2010 წლის 31%-დან 2011 წელს 40%-მდე გაიზარდა [1,5].

2011 წლისთვის აღნიშნულ რეგიონში ფართოზოლოვანი კავშირის (ფიქსირებული და მობილური) მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა გამოყენების ქვეინდექსის მიხედვით ქვეყნების წარმოდგენაზე. მაგალითად, მობილური ფართოზოლოვანი კავშირის შეღწევადობა უმაღლესია ბელორუსიაში (22%), რომელიც კონკურენციას უწევს ევროპის ქვეყნებს იმავე მაჩვენებლის მიხედვით. უფრო მეტიც, შეღწევადობის მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის აზერბაიჯანში, სადაც ის გაორმაგდა და 2011 წ. ბოლოსთვის 11% მიაღწია. მხოლოდ თურქმენეთი და უზბეკეთი ხასითდება უმნიშვნელო ფიქსირებული (სადენიანი) ფართოზოლოვანი გავრცელების დონით (0.5% ან მცირე) (ნახ. 11).




**ნახ. 11. რეგიონში ფიქსირებული და მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების შეღწევადობა**

ITU და მისი პარტნიორები აქტიურად მუშაობენ დასახული მიზნების მიღწევისა და განხორციელებისათვის, ამახვილებენ რა განსაკუთრებულ ყურადღებას ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უნივერსალურობაზე. ამასთან დაკავშირებით, 2011 წ. ოქტომბერში, ე.წ. ფართოზოლოვანი ციფრული განვითარების კომისიამ გამოაქვეყნა 4 საკმაოდ ამბიციური მიზანი, რომელიც 2015 წლისთვის უნდა იქნას მიღწეული და რაც გულისხმობს ფართოზოლოვანი მომსახურების კურსის გაფართოების, მისი ხელმისაწვდომობისა და პოტენციალის განვითარების უზრუნველყოფას. კომისიის მიერ დამტკიცებული ინდიკატორები მოძიებულია და დამუშავებული ITU-ს მიერ და შეტანილი World Teleccomunication/ICT Indicators (WTI) მონაცემთა ბაზაში [1,2] და ასევე ისეთ ანგარიშებში, როგორიცაა ყოველწლიური საინფორმაციო ანგარიში Measuring the Information Society (ITU) და ა.შ. აღნიშნული კომისია გეგმავს, გამოსცეს წლიური ანგარიში, სადაც წარმოდგენილი იქნება დასახული მიზნების განხორციელების პროგრესის დეტალები, ITU მონაცემებზე დაყრდნობით. ამ მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებლობას იღებს ITU.

**მიზანი 1: ფართოზოლოვანი მომსახურების კურსის უნივერსალურობა**

2015 წლისთვის ყოველ ქვეყანას უნდა ჰქონდეს თავისი ეროვნული გეგმა ფართოზოლოვან მომსახურებასთან დაკავშირებით ან დაამატონ ფართოზოლოვანი მომსახურება თავიანთ უნივერსალური დაშვება/სერვისის (უსდ) ნუსხაში. 2011 წლისთვის 144 განვითარებადი ქვეყნიდან: 127 ქვეყანამ გამოაქვეყნა ფართოზოლოვანი განვითარების გეგმა ან დაამატა ფართოზოლოვანი მომსახურება უსდ ნუსხაში, ან ორივე ერთად. 13 განვითარებადმა ქვეყანამ მხოლოდ დაამატა ფართოზოლოვანი სერვისი უსდ ნუსხაში, ხოლო 32 - გამოსცა ფართოზოლოვანი განვითარების გეგმა და დაამატა ფართოზოლოვანი სერვისი უსდ ნუსხაში. როგორც ეროვნული ინფრასტრუქტურის პრიორი-

ტეტს, სულ უფრო მეტი ქვეყანა ამუშავებს ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარების გეგმას და 2015 წლისთვის ეს მიზანი სრულად უნდა იქნეს მიღწეული.

**მიზანი 2: ფართოზოლოვანი მომსახურების ხელმისაწვდომობა**

2015 წლისთვის განვითარებად ქვეყნებში, შესაბამისი კანონმდებლობითა და საბაზრო რეგულაციების საშუალებით (მაგ. ღირებულება 1 სულ მოსახლეზე უნდა შეადგენდეს მთლიანი ეროვნული შემოსავლის (მეშ) 5%-ზე ნაკლებს), ფართოზოლოვანი მომსახურების დონე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. მომსახურების ღირებულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის გავრცელებაში. ფართოზოლოვანი მომსახურების ღირებულება სულ უფრო კლებულობს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, თუმცა რეალურად კვლავ მაღალი რჩება და შესაბამისად, ხელმიუწვდომელი ბევრი ადამიანისთვის. 2011 წლის მონაცემებით, განვითარებად ქვეყნებში ფიქსირებულიფართოზოლოვანი სერვისის ღირებულება საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე მეშ-ის 40.3 % შეადგენდა. მხოლოდ 56 განვითარებადმა ქვეყანამ მიაღწია 5%-იან მიზანს, რაც შეიძლება შედარდეს განვითარებულ ქვეყნებთან, რომელთა უმრავლესობამაც უკვე მიაღწია აღნიშნულ მიზანს [1].

**მიზანი 3: ფართოზოლოვანი კავშირის მომსახურებით ოჯახების უზრუნველყოფა**

2015 წლისთვის განვითარებად ქვეყნებში ოჯახების 40% უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინტერნეტზე დაშვებით. ფართოზოლოვანი ინტერნეტი სახლში - უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ადამიანებისთვის, გახდნენ საინფორმაციო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. შინ, ოჯახის თითოეულ წევრს საშუალება აქვს რომ ჩაერთოს ქსელში, მიუხედავად იმისა, მუშაობენ თუ არა ისინი, დადიან სკოლაში, ასევე, მიუხედავად სქესისა და ასაკისა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ბავშვი, რომელსაც სახლში ინტერნეტი აქვს, უფრო უკეთ წარმოჩინდება სკოლაში [7]. 2011 წლის ბოლოსთვის, განვითარებულ ქვეყნებში ოჯახების 70% უკვე უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტით, მაშინ, როცა ამ მაჩვენებელმა განვითარებად ქვეყნებში მხოლოდ 20% შეადგინა (წინა წელს - 17%). ეს მაჩვენებელი უნდა გაორმაგდეს, რომ მიზანი მიღწეულ იქნას (40% - 2015 წლისათვის). შედარებისთვის, 2010 წ. ბოლოს გლობალურად ოჯახების დაახლოებით 80% ჰქონდა ტელევიზია (განვითარებადი ქვეყნები – 72%, განვითარებული ქვეყნები – 98%) [1,5].

**მიზანი 4: მოსახლეობის ჩართვა ქსელში**

2015 წლისთვის, ინტერნეტის გლობალურმა შეღწევადობამ უნდა შეადგინოს 60 %, აქედან 50% - განვითარებად ქვეყნებში და 15% - შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. 2011წ. ბოლოსთვის, გლობალურად ინტერნეტის შეღწევადობის მაჩვენებელმა შეადგინა 33%, აქედან 24% - განვითარებად ქვეყნებში და 6% - შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

მიზნის მისაღწევად აუცილებელია ზრდის მკვეთრი გააქტიურება, განსაკუთრებით შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. მსოფლიოში მობილურიფართოზოლოვანი კავშირის აბონენტთა არათანაბარი ზრდის გათვალისწინებით, მიზანი მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც სათანადო სერვისი და ტექნოლოგიები უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდება; ასევე, აპლიკაციების დამუშავებისას გათვალისწინებული იქნება შედარებით ნაკლები განათლების მქონე ან სოციალურად დაბალი საზოგადოებრივი ჯგუფების შესაძლებლობები და ამასთანავე, გადალახული იქნება ისეთი ძირითადი ბარიერები, როგორიცაა უნარები და კვალიფიკაციები, კონტენტი და ენა.

## ლიტერატურა:


1. Measuring the Information Society 2012, *ITU, 2012*
2. World Telecommunication/ICT Indicators Database 2012 (16th Edition)
3. www.itu.int/ITU-D/ict/statistics/
4. Cisco visual networking index: Forecast and methodology, 2010-2015, Cisco, 2011
5. Measuring the Information Society 2011, *ITU, 2011*
6. Волынкина Е. “Чем будем мерить свое информационное общество?”. ИКС № 10 2011. http://www.iksmedia.ru/articles/3970038.html
7. www.oecd.org/sti/broadbandandtelecom/


## SUMMARY


The paper refers to the recent global and regional trends in information and communication technologies (ICTs) deployment and uptake, on the basis of internationally comparable ICT statistics thus providing overview of ICT trends for the countries from developed and developing world using the statistics collected by ITU data release for 2012. The article provides a brief overview of such key ICT services and their developments as mobile cellular, mobile broadband, fixed (wired) broadband, internet, mobile sector and broadband (fixed and mobile) as well.

The article reviews the main objectives for the digital development issued by the Broadband Commission and analyzes the regional ranking for the former soviet countries by the ICT development index – IDI.

# ტურიზმის ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა

## აფხაზეთის ტურიზმის დღევანდელობა და პერსპექტივები

*ნოდარ გრძელიშვილი,*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

დღევანდელ დღეს, ტურიზმი ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. თანამედროვე პირობებში, ტურიზმი გახდა მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების მძლავრი საშუალება. იგი ძირეულ გავლენას ახდენს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კავშირებზე[1]. ტურიზმის სფეროში დასაქმებულია მსოფლიოში არსებული სამუშაო ძალის 16%-ზე მეტი, მოდის მსოფლიო ინვესტიციების 11,8%. ტურიზმი უდიდესი ინდუსტრიაა, რომელიც, სწორი გააზრებული მენეჯმენტისა და, რაც მთავარია, ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში, დიდი შემოსავლების მომტანია. თუმცა, თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ განვითარებულა ტურიზმის ინდუსტრია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კომუნიკაციური სისტემებისა და სხვა დარგების განვითარებისგან დამოუკიდებლად და, მით უმეტეს, მათზე უფრო ადრე. ასევე შეიძლება ითქვას, რომ:

- ტურიზმის დამოუკიდებელი განვითარება ეკონომიკურად ნაკლებად მომგებიანია, რადგან ვერ უზრუნველყოფს ტურისტული პროდუქტის სათანადო დივერსიფიკაციას, აქვეითებს მის კონკურენტუნარიანობას და ვერ პასუხობს მსოფლიო ტენდენციებს;
- გაერთიანებული ძალისხმევით უფრო ადვილია იმ საფრთხის დაძლევა, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ტურისტული ბაზარი, ტურისტული რესურსები და მთლიანად გარემო;
- ტურისტული ინდუსტრიის შეთანხმებული განვითარება ხელს შეუწყობს მთელი რეგიონის ეკონომიკის მომიჯნავე დარგების (ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და სხვ.) დაბალანსებულ განვითარებას, ასევე ბუნების ტრანსსასაზღვრო დაცვას.

UNWTO-ს მონაცემებით 2010 წელს მსოფლიო ტურიზმისაგან შემოსავლებმა 919 მილიარდი დოლარი შეადგინა. საკუთარი ქვეყნის გარეთ ტურისტულ მოგზაურობაში 935 მილიონი ადამიანი იმყოფებოდა, 2012 წლის მონაცემებით კი ამ რიცხვმა ერთ მილლიარდს გადააჭარბა. ტურისტთა ნაკადი მსოფლიოს ყველა რეგიონში გაიზარდა, თუმცა ტურისტთათვის ყველაზე პოპულარულ რეგიონად კვლავ ევროპა რჩება, რომელსაც 2010 წელს 471,5 მილიონი ტურისტი ეწვია. ციფრების ეს შეფარდება თვალნათელი მაგალითია, იმისა რომ, მსოფლიოში ნაკლებია თავზეხელაღებულ, თავგადასავლების მაძიებელ ტურისტთა რიცხვი და ისინი იმ ქვეყნებისკენ მიილტვიან, სადაც ძირითადი პარამეტრები – ქვეყანაში სტაბილურობა, უსაფრთხოება, სანიტარული პირობები, დასვენების ღირებულება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, კომფორტაბელური ოტელები, საკადრო პოტენციალი, უმაღლეს დონეზეა განვითარებული.

ამ მხრივ კი, "დამოუკიდებელი" აფხაზეთისთვის, რომელიც მოწყვეტილია, ცივილიზებული სამყაროსგან და, რაც მთავარია, ამ ეტაპზე, პოტენციურად ტურისტთა ყველაზე დიდი ბაზისაგან – სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისაგან – სრულ კოლაფსად შეიძლება იქცეს. საბჭოთა ტურისტული ბრენდი აფხაზეთი, რომელიც, სლავური წარმოშობის არცთუ ისე მდიდარ დამსვენებელთა შორის, ასე თუ ისე კიდევ მუშაობს, ჩრდილო კავკასიის განვითარებისა და ზოგადად რუსეთში ცხოვრების დონის ამაღლების პირობებში, შეიძლება სამუდამოდ დასამარდეს. წარსულს ჩაბარდა ეპოქა, როდესაც ჯერ რუსეთის იმპერია, შემდეგ კი საბჭოთა სახელმწიფო, უზარმაზარ ძალისხმევას და თანხებს ხარჯავდა, მისი

[1] ა. დევაძე, ნ. გრძელიშვილი, „ტურიზმი საქართველოში: არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები'', მონოგრაფია, თბილისი 2012.

ერთ-ერთი მხარის განსავითარებლად.

აფხაზეთში, სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური წყაროების მონაცემებით, 2010 წელს ტურისტული ნაკადი 15%-ით შემცირდა. რუს ტურისტთა გულისაცრუების მთავარი მიზეზი, ფასების ზრდა და შემოთავაზებულ სერვისთან შედარებით მისი შეუსაბამობაა.

აფხაზეთის სტატისტიკურ კრებულებში მოწოდებულ ინფორმაციებსა თუ ე.წ საკურორტო-სარეკლამო სტატიებში, როგორც წესი, ვერაფერს ამოიკითხავთ, სასტუმროებისა და სხვა დასასვენებელი ობიექტების, აბსოლუტური უმრავლესობის მორალურ და ფიზიკურ ცვეთაზე, კვალიფიციური პროფესიული კადრების არარსებობაზე და, მით უმეტეს, ინჟინრული, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის არასათანადო განვითარებაზე ტურიზმისა და დასვენების ადგილებში.

**დამსვენებელთა რაოდენობა აფხაზეთში 2005-2009 წწ (ათასი კაცი)**




**წყარო:** აფხაზეთის კურორტებისა და ტურიზმის კომიტეტი

ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა განსაზღვრავს ქვეყნის მონაწილეობის შესაძლებლობებს საერთაშორისო ტურისტულ შრომის განაწილებაში. ყველა ქვეყანას, რომელიც ილტვის გახდეს ტურისტული, უნდა ჰქონდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განავითაროს საერთაშორისო და შიდა კომუნიკაციები, სატრანსპორტო საშუალებათა ერთობლიობა, გააფართოოს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი, ააშენოს მომსახურების მრავალი ობიექტი და ა.შ. ყველა ეს მისი ტურისტული სპეციალიზაციის აუცილებელი პირობაა.

და ბოლოს, ტურიზმის განვითარების საფუძვლის საბოლოო მიზანია ქვეყანაში ჩამოსულ ტურისტს შესთავაზო და აყიდინო არა მარტო მასპინძელი ქვეყნის მომსახურება, არამედ – სწორედ ამ ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია. ამ კუთხით შექმნილი კატასტროფული სიტუაცია კი აფხაზეთის ახლადარჩეულ პრეზიდენტ ანქვაბსაც კარგად აქვს გაცნობიერებული.[1] თუმცა რეალობის ადეკვატურ აღქმასთან ერთად საჭიროა მეტი გამბედაობა და მარტივი ჭეშმარიტების გაცხადება – აფხაზეთის განვითარებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია, საქართველოსთან და შემდგომ დანარჩენ ცივილურ სამყაროსთან საზღვრების გახსნის გარეშე.

აფხაზეთში ტურიზმის სფეროს განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს:

- ტურიზმის დამოკიდებულება ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე;
- გართობის ინდუსტრია არასაკმარისადაა განვითარებული;
- ეკონომიკის ტურისტული სექტორის საქმიანობას სეზონური ხასიათი აქვს, რაც აძლიერებს აღწარმოების პროცესის ციკლურობას;
- ტურიზმი ყველაზე მეტად განიცდის პოლიტიკური არასტაბილურობის გავლენას, რაც ამ დარგის განვითარებას ძალზე სარისკოს ხდის;
- ტურისტული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;
- საერთაშორისო იზოლაცია.

ზოგადად, რასაკვირველია, თუკი აფხაზეთის ტურისტულ პოტენციალზე ვილაპარაკებთ და აქ წარმოდგენილ საკურორტო-რეკრეაციულ და ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს თუკი შევაფარდებთ მის მცირე ფართობს, იგი შეიძლება მსოფლიოს უმდიდრეს და უნიკალურ მხარედ ჩაითვალოს. აქ ყველაფერია: ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მდიდარი ლანდშაფტი, შავიზღვისპირა სანაპირო ზოლი, ბუნებრივი და ისტორიული ღირსშესანიშნაობები, სამკურნალო და მინერალური წყლები, მარადიული თოვლითა და მყინვარებით დაფარული მთები და ყოველივე ამასთან გამაჯანსაღებელი კურორტების დიდი რიცხვი. "სახელმწიფოებრიობანას" თამაშის დამთავრებისა და საქართველოსთან ჯანსაღი პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებისთანავე, აფხაზეთს მიეცემა შანსი ამ რესურსების გამოყენებისა, აფხაზეთს საქართველოსთან ერთად აქვს რეალური

[1] lenta.ru/articles/2011/08/26/ankvab

პოტენციალი გახდეს მაღალგანვითარებული ტურიზმისა და რეკრეაციული მეურნეობის ქვეყანა.

**აფხაზეთში** არის უამრავი საკურორტო ზონა და ადგილი, რომლებიც დასვენებისა და მკურნალობის იდეალურ ადგილებს წარმოადგენს და ტურისტული პოტენციალი კვლავაც აქვთ. მათგან უპირველესად შეიძლება დასახელდეს ბიჭვინთა, მიუსერა (მისრა), ეშერა, განთიადი (ცანდრიფში), ლესელიძე (გეჩრიფში), ოქროს ნაპირი და მრავალი სხვა, სადაც ტერიტორიის ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალმა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ხელი შეუწყო მათ საკორორტო-გამაჯანსაღებელ ზონებად ქცევას.

დღევანდელ დღეს აფხაზეთში ტურისტთა თითქმის 40% გამაჯანსაღებელ ტურიზმს – საპლაჟო–საცურაო რეკრეაციას აძლევს უპირატესობას.

### ეკოტურიზმი

ეკოლოგიური ტურიზმი (ეკოტურიზმი) საკმაო ძალას იკრებს მსოფლიოს ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში. მსოფლო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტთა პროგნოზებით, 21-ე საუკუნეში მისი ზრდის ტემპები კვლავ მაღალი იქნება, ხოლო მიღებული შემოსავლები დიდ წვლილს შეიტანენ მრავალი ქვეყნის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში. ეს ჩამორჩენილ, განსაკუთრებით მთიან რეგიონებს, სოციალ-ეკონომიკური ზრდის სტიმულირების საშუალებას მისცემს. ამ სახეობის ტურიზმის ორგანიზაციის თავისებურებას წარმოადგენს, მოგზაურობის ორგანიზებისას ბუნებრივ გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფა, ეკოლოგიური სასტუმროების ქსელის შექმნა, ტურისტების უზრუნველყოფა ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებით და ა.შ. ეკოტურიზმი მოიცავს ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი ტერიტორიების მონახულებას (ნაკრძალების, აღკვეთილების, ეროვნული პარკების, ბოტანიკური ბაღების). ეკოტურიზმის ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს ეკოშემეცნებითი ტურები, ტურები ეკოსისტემებში, ფოტონადირობა. აფხაზეთის ბუნება, მისი ჯერჯერობით გარკვეულ დონემდე შენარჩუნებული ეკოსისტემები, უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა ეკოტურიზმის განვითარებისათვის. სწორედ ეკოტურიზმი გვევლინება ყველაზე აქტიურ ლობისტად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ქსელების შექმნაში განვითარებულ ქვეყნებში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ არაერთი მაგალითი ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა აშშ, გერმანია, შვეიცარია, ესპანეთი და სხვ. პოსტინდუსტრიული ქვეყნების მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურის სრულფასოვანი ელემენტი ხდება განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ქსელი. ეკოტურიზმის პოზიტიური გავლენა ვრცელდება ცენტრის ქვეყნების ფარგლებს მიღმაც. გეოგრაფების შეფასებით, აფრიკის ქვეყნებში ეკოლოგიური მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე აზიაში, რადგან აქ შექმნილია ნაციონალური პარკები, რომლებშიც ფაუნის ეგზოტიკური სახეები ემსახურება უცხოელი ტურისტების მოზიდვის საქმეს.

**ეროვნული პარკი** – ბუნებრივი დაცული ტერიტორიების ერთადერთი სახეობაა, რომელიც თავისთავში აერთიანებს ბუნების დაცვისა და რეკრეაციულ ფუნქციებს. აფხაზეთში მათ მთელი ტერიტორიის 10-12% უჭირავთ, რაც, რასაკვირველია, საკმაოდ მცირე ფართობია, თუკი აფხაზეთის დღევანდელ ხელისუფლებს, საკუთარი ქვეყნის ბუნების დაცვა და ეკოლოგიური ტურიზმის მექად გადაქცევა სურთ (მაგალითისთვის, აშშ-ში ტერიტორიის 40% მოცულია დაცვის სხვადასხვა ფორმებით, ესპანეთში კი რეკრეაციულ ზონებს ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით მესამედი უჭირავთ). ამ კუთხით ერთის მხრივ მისასალმებელია აფხაზეთის მთავრობის პროექტი ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალთან, ფსხუ-გუმისთის ნაკრძალთან და რიწის რელიქტური ეროვნული პარკთან ერთად, კოდორის ხეობის დაცულ ტერიტორიად გამოცხადების შესახებ, რადგან ამ ფაქტმა ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების შენარჩუნების გარდა, ადგილობრივი სვანი მოსახლეობის საკუთარ კერებში დაბრუნება და მეტი დაცულობა უნდა უზრუნველყოს. მეორეს მხრივ კი კოდორის ხეობა, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით წარმოადგენს საქართველოს დაცულ ტერიტორიას და ამ სტატუსითვეა იგი შეტანილი UNESCO-ს შესაბამის რეესტრში. ამ ფონზე, საყურადღებოა რუსეთის ფედერაციის სურვილი, კავკასიის მეორე მხარეს, აფხაზეთის მოსაზღვრედ მდებარე დაცული ტერიტორიების და ნაკრძალების, ერთ ბიოსფერულ პოლიგონად ჩამოყალიბების შესახებ, რომელმაც უნდა გააერთიანოს თებერდის ნაკრძალის თებერდის და არხიზის მონაკვეთები და კავკასიის ნაკრძალი ერთიან ეკოლოგიურ ზონად. ამგვარად, ჩრდილოეთ კავკასიაში ფორმირდება უზარმაზარი ეკოლოგიური კორიდორი, რომელიც წარმოდგენილი იქნება განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სისტემით – სოჭის ეროვნული პარკი, სოჭის ფედერალური აღკვეთილი, კავკასიის ნაკრძალი, თებერდის ნაკრძალი, დაუთის ფედერალური აღკვეთილი და... აფხაზეთის ეროვნული პარკები, რომელთაც ტრანსსასაზღვრო რეზერვატების სტატუსი მიენიჭებათ. ჩვენ კარგად

გვესმის, რომ მსხვილი ბუნებრივი რეზერვატების შექმნა, უდიდესი სიკეთეა ველური ბუნებისთვის და უდიდესი მნიშვნელობის ნაბიჯია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, ასევე ისიც, რომ ტრანსასაზღვრო პარკების შექმნა მსოფლიოში კარგად აპრობირებული მეთოდია, მაგალითად, ევროპაში, ასეთი პარკების რაოდენობა 70-ს აღწევს, ხოლო აზიასა და ლათინურ ამერიკაში, ტრანსასაზღვრო პარკების რაოდენობა 25%-ია ეროვნული პარკების საერთო რიცხვიდან, მით უმეტეს, ასეთი ფორმით თანამშრომლობა ყველაზე მეტად მისაღები სწორედ კავკასიის რეგიონშია, სადაც არც ერთი ქვეყანას არ გააჩნია მთლიანი ბუნებრივი სუბ-სისტემები: ბუნებრივი საზღვრები შეჭრილია სახელმწიფოებრივ საზღვრებში, რაც ქმნის ბარიერებს ეკოლოგიური პროცესებისათვის და ინფორმაციის ნაკადისათვის. თუმცა საერთაშორისო კანონმდებლობით მსგავსი ბუნებრივი ტრანსასაზღვრო რეზერვატების შექმნა შეიძლება გაფორმდეს არა რუსეთ-აფხაზეთ არამედ რუსეთ-საქართველოს შორის. ამ პროცესებიდან (და საერთოდ აფხაზეთში მიმდინარე ყველა პროცესიდან) საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გამორიცხვა, აფხაზეთის უფრო რეზერვაციად გადაქცევის მომასწავებელი იქნება. დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე – რომელიც ამ ეტაპზე გამორიცხავს უშუალოდ საქართველოს ხელისუფლების მონაწილეობას აფხაზეთის შიგნით მიმდინარე პროცესებზე – უნდა გამოინახოს ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მხრიდან ჩართულობას. იმ პირობებში, როდესაც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, კვლავაც ცნობს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ საზღვრებს, ორივე ეკლესიის ძალისხმევით და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების კეთილი ნებით, ქართული ეკლესია უნდა დაუბრუნდეს კოდორის ხეობას და უნდა მიეცეს სამოციქულო საქმიანობის წარმართვა, ადგილობრივ საწყმსოსთან უშუალო ურთიერთობა. უფრო მეტიც, თავად აფხაზეთისთვისაც, საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუკი დაცული ტერიტორიების (ამ ეტაპზე კოდორის ხეობის) მფლობელობა, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის აფხაზეთის სამიტროპოლიტოს იურიდიულ მფლობელობაში გადავა[1]. სწორედ ეს შეუწყობს ხელს აფხაზეთში ადგილობრივი ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების, ეკოსისტემის მდგრადობის შენარჩუნებას და არა საერთაშორისო ნორმების დარღვევით შექმნილი ე.წ რეზერვატები.

[1] ხორვატიაში ეროვნული პარკების მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელი ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიაა.

ასეთ შემთხვევაში ხეობის საზღვრები საქართველოს მხრიდანაც უნდა გაიხსნას ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული ნაკადისათვის.

კონკრეტულად კოდორის ხეობისთვის, ეკოტურიზმის განვითარება ძირითადი შემოსავალი შეიძლება გახდეს, ადგილობრივი ეკონომიკის გასაცოცხლებლად. იმის გამო, რომ მთიან რეგიონებში მოსახლეობას პროფესიის ნაკლები არჩევანი აქვს და სიღარიბის დონე მაღალია, ეკოტურიზმს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების გაზრდაში.

ეკოტურიზმის ეკონომიკური როლი განპირობებულია მისი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპით, რომლის შესაბამისად, შემოსავლების ძირითადი ნაწილი კვებავს ადგილობრივ ეკონომიკას, მიემართება ადგილობრივ ბიუჯეტებში, გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებისათვის.

განსაზოგადებლად, შეიძლება გამოიყოს ეკოტურიზმის შემდეგი პოზიტიური ეკონომიკური და მასთან ერთად სოციალური ფუნქციები:

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის;
- ბუნებათსარგებლობის ტრადიციული ფორმების სტიმულირება;
- ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოება;
- ინვესტიციების ზრდა როგორც ინფრასტრუქტურასა და სერვისში, ისე ბუნების დაცვაში;
- ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა;
- ხელობების განვითარება;
- სპეციალური განათლების განვითარება, რომელიც მიმართული იქნება ტურისტული პროფესიების შეძენაზე;
- ადგილობრივი თვითმართველობის განვითარება;
- განვითარების გეგმების ფორმირება ,,შიგნიდან" ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

რასაკვირველია, ყოველივე ეს მსჯელობა აზრს მოკლებული იქნება, თუკი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე, მოსახლეობამ არ დაიწყო დაბრუნება და იქ არ დამაგრდა. ამ პროცესების ხელშეწყობისათვის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კურთხევითა და მატერიალურ-ფინანსური მხარდაჭერით უნდა შეიქმნას ქრისტიანული თემები. ამისათვის კი საჭირო იქნება მათთვის სასოფლო ფართობების გადაცემა, ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება, მეურნეობის გამართვა, რის შედეგადაც კარგი საფუძველი ჩაეყრება ადგილობრივი ეკონომიკის გა-

მოცოცხლებას და შესაბამისად აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარებასაც. ადგილობრივი მეურნეობები ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებს შესთავაზებენ დამსვენებლებს, შეიძლება აშენდეს და გაიმართოს მცირე თანამედროვე საწარმოები – საფუძველი ჩაეყაროს ადგილობრივ ფიტომრეწველობას, რომელსაც, როგორც ცნობილია, საქართველოს სამოციქულო ეკლესია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა – მართლმადიდებლური ეკლესიების და მონასტრების ბერ-მონაზვნები, მსახურნი თავიანთ მიწებზე აქტიურად აშენებდნენ სამკურნალო მცენარეთა ბაღებს. ცნობილია, რომ პრეპარატებისათვის სამკურნალო მცენარეების ნედლეულის წარმოება, დღევანდელ პირობებში წარმოადგენს, როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვითი პროგრამების და ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

აფხაზური მხარის გონიერების პირობებში, ეკოტურიზმი შეიძლება ძალზე ქმედით ინსტრუმენტად იქცეს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ტერიტორიის ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალი, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ტურიზმის განვითარებისათვის, რაც აფხაზეთს უპირობოდ აქვს, ასევე კვლავ უნდა გავიმეოროთ და აღვნიშნოთ რომ, რაც არ უნდა აღმაფრთოვანებელი და თვალწარმტაცი იყოს, გარშემომყოფი ლანდშაფტები, სერვისი უნდა შეესაბამებოდეს 21-ე საუკუნის ყველაზე მოთხოვნად სტანდარტებს. დასავლური სტანდარტებით, დასათვალიერებლად (სანახავად) საინტერესო ობიექტების არჩევანი განისაზღვრება არა მხოლოდ და არა იმდენად მისი უნიკალურობით, რამდენადაც ტურისტული მომსახურების სრულყოფილი სისტემის არსებობით. მის გარეშე თუნდაც ყველაზე გამორჩეული ბუნებრივი ობიექტი – ცარიელი ადგილია თანამედროვე ტურისტული ბიზნესისათვის. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში ჩასულ ტურისტთა 50%-ს მიზნად აქვს ბუნებრივი რეზერვატების დათვალიერება. მრავალი ეროვნული პარკის, ნაკრძალის ხელმძღვანელი ეკოლოგიურ ექსკურსიებს ნამდვილ შოუდ აქცევს ხოლმე. ძალიან ხშირად ბუნებრივი ობიექტების ჩვენება განსაკუთრებით მღვიმეებში, თანმხლებია მუსიკასთან, ფერად განათებასთან, ადგილობრივი მოსახლეობის ფოლკლორის ჩვენებასთან. პარალელს აფხაზეთთან თუ გავავლებთ, რომელიც ბუნებამ კარსტული მღვიმეების სიუხვითაც დააჯილდოვა, ვნახავთ, რომ დღესდღეობით ტურისტულ ინდუსტრიაში მხოლოდ ახალი ათონის მღვიმეებია ჩართული, თუმცა მისი შიდა ინფრასტრუქტურა იმდენად მოძველებულია, რომ "გაქვავებული" საბჭოთა კავშირის ასოციაცია გაგვიჩნდება. ახალი ინვესტიციების და თანამედროვე მენეჯმენტის არარსებობა, უნიკალური ბუნებრივი ობიექტის მიმართაც კი ტურისტთა ნაკადს ამცირებს, ამის გამო აფხაზეთის ერთ-ერთ სავიზიტო მარკაზე – ახალ ათონის მღვიმეზე ტურისტთა ნაკადი სულ უფრო და უფრო მცირდება. ლაპარაკიც არ ღირს კავკასიის ერთ-ერთ ულამაზეს და უდიდეს აბრსკილის მღვიმეზე, რომელიც ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოტაფში მდებარეობს. დღესდღეობით მღვიმის გარშემო არანაირი ტურისტული ინფრასტრუქტურა არ არსებობს. თავად ძეგლიც გაპარტეხების პირასაა.

### აგროტურიზმი. ახალგაზრდული ტურიზმი

ზოგადად უნდა ითქვას, რომ აგროტურიზმს (სოფლის ტურიზმს, ფერმერულ ტურიზმს) უდიდესი პოტენციალი აქვს. ევროპაში იგი თანდათან უკვე იწყებს, ტურისტების გადაბირებას საკურორტო ტურიზმის სფეროებიდან, იზიდავს რა მათ შედარებით დაბალი ფასებითა და დასვენების ორგანიზაციის ფართო შესაძლებლობებით. ევროკავშირის სტატისტიკური მონაცემების თანახმად მოსახლეობის 30% სწორედ ასეთ დასვენებას აძლევს უპირატესობას.

ევროპაში ცნობილია მაგალითები, როდესაც სოფლის ტურიზმის განვითარების ინიცირება მოახდინეს ტურიზმის სხვა გვერდითმა სახეობებმა. მაგალითად, ირლანდიაში სოფლის ტურიზმის განვითარება ინტენსიურად მიმდინარეობდა პირველყოფილი დროის ძეგლების – დოლმენების, კრომლეხების სხვა მეგალითური ძეგლების განლაგების რაიონებში. სოფლის ტურიზმის აღმავლობა ნორვეგიის სანაპირო ზონებში დაკავშირებულია ტურისტების ფიორდების ნახვის დაინტერესებით. სოფლის ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს თავად მისი სახესხვაობებიც – გასტრონომიული ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, ლუდის ტურიზმი და სხვ. სოფლად ტურიზმის განვითარება ამცირებს უმუშევრობას და ზრდის ადგილობრივი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას. დღეს, როდესაც სოფლად ცხოვრების პირობები რთულია და ადგილობრივ მცხოვრებთა ფინანსური შემოსავლები მცირეა, პროდუქტის გასაღები ბაზრების მოპოვება და პროდუქტის პირველადი ღირებულების გაზრდა მომსახურების დამატებით, სიღარიბის დაძლევის პრიორიტეტული მიმართულებაა. ....შავიზღვისპირეთში მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა და დამსვენებელთა რაოდენობისა და ტურისტების რაოდენობის მატება განაპირობებს

სურსათზე მოთხოვნილების შემდგომ გადიდებას, რომლის ნაწილი (რძე, ბოსტნეული, ხორცი, ხილი და ა.შ.) ადგილზევე უნდა იწარმოებდეს.[1]

დამატებითი ღირებულების წარმოქმნის პროცესი შეიძლება მოიცავდეს ასევე სხვა მომსახურებასაც (ტრანსპორტი, ღამის გათევა, ტრადიციული ხელსაქმე და ა.შ.) ტურისტულ მომსახურებასთან ერთად ეს ქმნის ე.წ. პირდაპირი პროდუქტის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირ შემოსავალს.

ტურისტს სოფლად შემოაქვს და გასცემს თავის დანაზოგს შემოსავლის წყაროს უქმნის არა მხოლოდ მასპინძელს, ვინც აქირავებს სახლს, საკვებსა და პროდუქტებს ყიდის, არამედ ყველა იმ ადგილობრივ მცხოვრებს, ვინც არაპირდაპირ ჩართულია ტურისტულ მომსახურებაში.

ტურიზმის განვითარება სოფლად დაკავშირებულია რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან (მომსახურების, ეკონომიკის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის სფეროში). ტურიზმის წარმატება პირდაპირ აისახება სოფლად უძრავი ქონების ღირებულებაზე (მიწის ნაკვეთების, შენობა–ნაგებობების ფასი), რაც მოსახლეობის კაპიტალიზაციას ზრდის, ფართოვდება საკვების წარმოება და გადამუშავება, სოფლის მცხოვრებთა ცოდნისა და კვალიფიკაციის დონე, რეგიონებში და სოფლებში ტურისტული ნაკადების მომსახურება.[2]

სოფელი, ტურისტული ერთეულის გარდა, არის ადგილი სადაც შემონახულია ძველი სამეურნეო ტრადიცია, ადგილობრივი სამზარეულო, ხელსაქმე, საეკლესიო დღესასწაულები, სახალხო დღეობები, ქორწილები, ეთნოგრაფიული სახლები, რეგიონული მუზეუმები და სტუმართმოყვარე მასპინძელი. ეს ყველაფერი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დამსვენებლებისათვის წარმოადგენს მთავარ მიმზიდველობას და რეკრეაციულ რესურსს.

ბევრ ქვეყანაში სოფლის ტურიზმმა სოფლებს თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. ტურიზმის განვითარების მიზნით მუშავდება სპეციალური პროგრამები, რომლებითაც ხორციელდება სასოფლო სახლების რესტავრაცია და ნაციონალურ სტილში გაფორმება, თანამედროვე კომფორტის და სიმყუდროვის შენარჩუნებით. ტურისტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს, დაისვენონ მთიან სოფლებში, იარონ ზღვის ნაპირზე. პროგრამის განხორციელებას მოჰყვება სოფლებში სამუშაო ადგილების შექმნა, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

დღევანდელ პირობებში, როდესაც აფხაზეთის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სოფლიდან მიგრაციის შეჩერება და ხალხის ადგილზე დასაქმება უნდა იყოს, მსგავსი პროექტების განხორციელებას თავადაც უნდა უწყობდნენ ხელს. საჭიროა ამა თუ იმ სოფლის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და გარკვეული ინვესტიციების განხორციელება კომუნიკაციების მოსაწესრიგებლად. ასევე მიზანშეწონილი იქნება, საკუთრივ სოფლის მცხოვრებთათვის გრძელვადიანი კრედიტების გაცემა, საკუთარი სახლისა და მეურნეობის სათანადო დონეზე მოსაწყობად, კერძო სასტუმროების ასაშენებლად. აქ ორი პრობლემა დგება — ერთი ფინანსური, ანუ აფხაზური მხარის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით მსგავსი პროექტების განხორციელების შეუძლებლობა და მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი — აფხაზეთის საერთაშორისო იზოლაციის პირობებში, ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული ან ვინ შეძლებს აფხაზეთის სოფლებში დასვენებას (თუნდაც იმ სტატისტიკის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში რუსეთიდან ჩამოსული არცთუ მრავალრიცხოვანი და არცთუ მდიდარი კონტიგენტი, უფრო პლაჟზე დასვენებას ანდაც "თვითშემოქმედებით" ტურიზმს ირჩევს). პასუხი ერთია — მხოლოდ (უპირველესად) საქართველოს მოსახლეობა, ამიტომ აფხაზეთის პოლიტიკური მომავლის გადაწყვეტამდე, ხელი უნდა შეეწყოს კომუნიკაციების აღდგენას ქართულ და აფხაზურ მოსახლეობას შორის, რომელიც რა თქმა, არ უნდა იყოს დროის მცირე მონაკვეთზე გათვლილი პიარი. უპირველესად, დაახლოების ხელშეწყობის პროგრამებიდან ერთ-ერთი, ქართული მხარის მიერ მოზიდული საერთაშორისო ინვესტიციებით[3], აფხაზეთის გლეხობისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა უნდა იყოს (ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების პარალელურად). საპილოტე პროგრამა შეიძლება განხორციელდეს გალისა და ოჩამჩირის შერეულ ქართულ-აფხაზურ სოფლებში, სადაც ამასთან ქრისტიანული კულტურის ძეგლები, ისტორიული თუ ბუნებრივი ღირსშესანიშნაობანი

---

[1] ე. ბარათაშვილი, ნ. გრძელიშვილი, ჯ. ზარანდია, ნაირა გალახვარიძე, „რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა'' (სახელმძღვანელო), თბილისი, 2012.

[2] ე. ბარათაშვილი, ნ. გალახვარიძე, კ. არაბული, ნ. გრძელიშვილი „საქართველოს ეკონომიკა'' (სახელმძღვანელო), თბილისი, 2012.

[3] მაგ., ლიტვაში სოფლის ტურიზმის განსავითარებლად სახელმწიფოსა და ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების მიერ 2007-2012 წლებისათვის გამოყოფილი იქნა 82 მლნ.ევრო.

არსებობს. აქცენტი პირველ ეტაპზე უნდა გაკეთდეს ახალგაზრდულ ტურიზმზე, რადგან მათ ომის ქარცეცხლი უშუალოდ არ შეჰხებიათ. აქაც, საქართველოს საპატრიარქოს უშუალო ჩართულობით განსახორციელებელი ეს პროექტიც ორმხრივი ნდობის პირობებში, იმედია დაიწყება და წარმატებულიც აღმოჩნდება.

ამ ტურისტული პროექტის წარმატებით განვითარების შემთხვევაში ქართულმა მხარემ, პირველ ეტაპზე (საერთაშორისო მეთვალყურეების დაშვების შემთხვევაში) სხვა სამხრეთ კავკასიური ქვეყნებისთვისაც უნდა გახსნას ტურისტული ბაზარი აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც ერთიორად გააორმაგებს დამსვენებელსაც და აფხაზეთის მოსახლეობის შემოსავლებსაც. ყოველივე შემდგომი დაახლოების პროცესებისათვის ჩინებული სტარტი იქნება.

**ტურიზმის სხვა სახეობები**. დღესდღეობით ტურიზმის ინდუსტრია იმდენად მძლავრადაა განვითარებული, რომ ტურიზმი უკვე ცალკეულ მიმართულებებად, დარგებად არის დაყოფილი იმის და მიხედვით თუ რომელი ტურისტული მიმართულება უფრო მეტად მიესადაგება ამა თუ იმ ქვეყანას, საიდან შეიძლება მიღებული იქნეს მაქსიმალური შემოსავალი. არსებობს აგრეთვე ტურიზმის "ნაკლებშემოსავლიანი" სახეობები, რომლებსაც ემოციური დატვირთვისა და კულტურულ ფასეულობათა წარმოჩენისა და შენარჩუნების გამო, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ. მათ შორისაა **რელიგიური და ეთნიკური ტურიზმი**.

## რელიგიური ტურიზმი

რელიგიურ ტურიზმს შეიძლება უძველესი ეწოდოს – მისი ფესვები უხსოვარ დროში მიდის. ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ გამორჩეული საკულტო ცენტრების მონახულებას და შორეულ ეპოქებშიც კი, პილიგრიმები ამ მიზნით ათასობით კილომეტრის დაფარვასაც არ ერიდებოდნენ.

აფხაზეთში არ არის მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიური ცენტრები, შესაბამისად უშუალოდ მომლოცველთა ნაკადი მრავალრიცხოვანი ვერ იქნება, თუმცა, რელიგიურ ტურიზმს საექსკურსიო-შემეცნებითი კუთხით, ადგილობრივი მრავალრიცხოვანი ტაძრებისა და სალოცავების გათვალისწინებით, გარკვეულ პირობებში საკმაო პოტენციალი აქვს.

რელიგიური ტურიზმის ინდუსტრია, მთელი ტურისტული ინდუსტრიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მასში შეიძლება გამოიყოს შემდეგი სეგმენტები:

1. განთავსების დაწესებულებები – განთავსების სპეციალიზებულ საშუალებათა ერთობლიობა (სასტუმროები, კემპინგები, საერთო საცხოვრებლები, სა-მონასტრო კელიები);

2. კვების დაწესებულებები – საზკვების სპეციალიზებულ დაწესებულებათა ერთობლიობა;

3. სატრანსპორტო საშუალებები და ინფრასტრუქტურა;

4. საჩვენებელი რელიგიური ობიექტები – საკულტო ნაგებობები (მონასტრები, ტაძრები, სამლოც-ველოები, და ა.შ);

5. თაყვანისცემის ბუნებრივი ობიექტები (წმინდა წყაროები, ტევრები, მდინარეები და ა.შ).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ სამ პუნქტში ჩამოთვლილი, რელიგიური ტურიზმის (საერთოდ ტურიზმის) ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის საჭირო თანამედროვე დაწესებულებები, აფხაზეთში, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. თუკი პოტენციალზე და პერსპექტივებზე ვლაპარაკობთ, აფხაზეთში რელიგიური ტურიზმს გასაქანი, შეიძლება მხოლოდ დანარჩენ საქართველოსთან საზღვრების გახსნის შემდეგ მიეცეს, რადგან წარმოუდგენელიც კია, ოდესმე ამ მიმართულებით, ქართველთა ინტერესი საერთო ისტორიის ძეგლთა მიმართ, სხვა ქვეყნების მოსახლეობის ინტერესმა გადაწონოს.

დღეისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული ხუროთმოძღვრების დაახლოებით 80 ნაგებობაა აღრიცხული. ისინი საქართველოსთან კულტურულ-ისტორიული ერთობის სიმბოლოებს წარმოადგენენ.

**გუდაუთის რაიონში** რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის, აქ არსებული მრავალრიცხოვანი ძეგლების არსებობის გათვალისწინებით, დიდი შესაძლებლობები არსებობს. ტურისტებისათვის უპირველესად დიდი ინტერესის გამომხატველი აუცილებლად იქნება (და ყოველთვის იყო), სოხუმიდან 22 კმ-ში მდებარე უნიკალური კურორტი ახალი ათონი. ახალ ათონში კონცენტრირებულია დიდი რაოდენობის ღირსშესანიშნაობები ისტორიული და წმინდა ადგილები.

**წმ. პანტელეიმონის ტაძარი**. ტაძარი 1875 წელს ივე-რიის მთაზე, საბერძნეთიდან ათონის წმინდა მთაზე მდებარე, ივერთა მონასტრიდან წამოსულმა რუსმა ბერებმა დააარსეს. სამონასტრო მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1879 წლის 8 დეკემბერს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ "ახალ-ათონის მონასტრის წესდების" დამტკიცების შემდეგ.

წესდება მისიონერებს ფართო უფლებებს აძლევდა არა მარტო მისიონერულ არამედ სამეურნეო საქმიანობაშიც. რთული რელიეფის და აქედან გამომდინარე მძიმედ შესასრულებელი სამუშაოების მიუხედავად, მთლიანად სამონასტრო კომპლექსის

დასრულება საკმაოდ მოკლე ვადებში მოხერხდა. დასავლეთ კორპუსის ცენტრში აღმართულია 50 მეტრიანი სამრეკლო საათით, რომელიც მონასტერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ აჩუქა, რომელმაც 1886 წელს მოინახულა ტაძარი. მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ახალი ათონი კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე რუსეთის იმპერიის უმსხვილესი რელიგიური ცენტრი გახდა.

სამონასტრო კომპლექსის ცენტრში აღმართული წმ. პანტელეიმონის ტაძარი, ახალბიზანტიურ სტილში აგებული ხუთგუმბათოვანი ტაძარია, ცენტრალური გუმბათის სიმაღლე 40 მეტრია. ტაძრის სიგრძე 53,3 მეტრია, სიგანე – 33,7. ტაძარში ერთდროულად შეიძლება დაყოს 3000 ადამიანმა. სამონასტრო კომპლექსი აფხაზეთის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, თუმცა რელიგიური ცხოვრების კუთხით ტაძრის გარშემო არცთუ სასიამოვნო ვითარებაა შექმნილი, მღვდელმსახურთა შორის ადგილი აქვს დაპირისპირებას.[1]

ახალი ათონის მონასტრებს შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს X საუკუნეში სიმონ კანანელის დაკრძალვის ადგილას აგებული დიდებული ტაძარი, ასევე სალოცავი-მღვიმე მდინარე ფსირცხასთან მდებარე ქვაბულში, სადაც გადმოცემით სიმონ კანანელი დასახლდა და დაიწყო ქრისტეს სიტყვის ქადაგება.

სოფელ ლიხნში მდებარეობს, X საუკუნეში ნაგები **ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი**. იგი ჯვარ-გუმბათოვანი, სამაფსიდიანი ნაგებობაა. შენობა გამოირჩევა ფორმების სიმკაცრით და ამავდროს პროპორციების სისუფთავითა და ჰარმონიით, რაც ხუროთმოძღვართა დიდ ოსტატობაზე მეტყველებს.

ლიხნის ტაძრის კედლებზე გამოსახულია წმინდანთა მრავალრიცხოვანი ფრესკული გამოსახულებები, რომელთა დიდ ნაწილს ახლავს გამოსახულების განმარტებითი წარწერები. დაახლოებით 17-მდე წარწერა შესრულებულია ასომთავრული ანბანით.

გუდაუთის რაიონში მდებარე სხვა ქრისტიანული კულტურის ძეგლებიდან, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნენ ტურისტულ მარშრუტთა სიაში შეყვანილი, უნდა აღინიშნოს სოფელ ანუხვის XI საუკუნის ეკლესია, რომლის წარწერებიც შესრულებულია ქართული ასომთავრული ანბანით. ა სევე, სოფელ პრომორსკოესთან ახლოს, მდინარე წკუარას ხეობაში მდებარე VIII-IX საუკუნის ტაძარი. ამ ტაძარში აღმოჩენილი იყო დასავლეთ საქართველოში ყველაზე უძველესი ასომთავრული წარწერების ნიმუშები. დღეისათვის ამ უნიკალური ტაძარის ნაშთებიც კი მიუხედავია; ამავე ეპოქის ხუროთმოძღვრების ნიმუშია მიუსერას ტაძარი; ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფელ ბზიფში მდებარე IX-X საუკუნის კომპლექსი, რომელშიც შედის ციხე და ტაძარი, იგი გალავნითაა შემოზღუდული. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარს გუმბათი აღარ შემორჩა მნახველებზე მაინც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ქმნის.

გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდაში მდებარეობს ღვთისმშობლის ტაძარი, რომლის ფორმები ბიზანტიური არქიტექტურული სტილითაა შექმნილი. ტაძარი 1737 წელს თურქებმა გადაწვეს. ღვთისმსახურება თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ – 1871 წელს იქნა აღდგენილი.

სოხუმის რაიონის ტურისტული მარშრუტები გვერდს ვერ აუვლის აქ მდებარე ძველ რელიგიურ ცენტრებსა და ბრწყინვალე არქიტექტორული სტილით ნაგებ ქრისტიანული კულტურის ძეგლებს.

**კომანის მონასტერი**. კომანი აფხაზეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. იგი სოხუმიდან 12 კილომეტრში მდებარეობს. აქ აღმართულია XI-XII საუკუნეების ცნობილი მონასტერი. აქ აწამეს წმინდა მოწამე ვასილისკო. აქ მიაბარა სული უფალს გადასახლებაში მყოფმა კონსტანტინეპოლის დიდმა მღვდელმთავარმა წმინდა იოანე ოქროპირმა. ტაძარში ინახება ქვის სარკოფაგი, რომელშიც იგი პირველად იყო დამარხული, 30 წლის შემდეგ იგი გადასვენებულ იქნა კონსტანტინეპოლში.

აქ მიუვალ მთებში მესამედ გადამალეს პატიოსანი თავი იოანე ნათლისმცემლისა. კომანი წმინდა ადგილია. ყოველთვის დიდი იყო მომლოცველთა ნაკადი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომანის ტაძარი, ბუნებრივია, არ მოქმედებდა, მაგრამ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ტაძარი აღადგინა, კეთილმოაწყო და აქ დედათა მონასტერი დააარსა აფხაზმა მამულიშვილმა იური ანუამ, რომელიც ტაძრის წინამძღვართან მამა ანდრია ყურაშვილთან ერთად დახვრიტეს 1993 წლის საომარი მოქმედებების დროს.

ოჩამჩირის რაიონში გარდა დიდებული მოქვის ტაძრისა, აღსანიშნავია ილორის ეკლესია. ოჩამჩირიდან სამიოდე კილომეტრში მდებარეობს სოფელი ილორი, სადაც აღმართულია ილორის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც იყო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი. მასში არასდროს წყდებოდა მომლოცველთა ნაკადები საქართველოს სხვადასხვა კუთხეები-

[1] მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის დიაკვან ანდრეი კურაევის თქმით, დღეს ათონის მონასტერში არც მორჩილნი არიან და არც ბერები. არის რაღაც გაურკვეველი უცოლო მამაკაცების საერთო საცხოვრებელი. რადგან არის ტურისტული კომპლექსი, არ არსებობს საერთო წესები, არც ყოველდღიური მსახურება. არ არის მორჩილებაც. იქ საერთოდ მონასტრის ნასახიც არ არის.

დან. დღესდღეობით XI საუკუნეში აგებული ტაძარი "რეკონსტრუქტუირებულია" – იგი თეთრადაა შელებილი როგორც შიგნიდან ისე გარედან, დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. ქართული ლაპიდარული წარწერები აღარ იკითხება.

ისტორიული წყაროების თანახმად ბედიის სამონასტრო კომპლექსი, დაარსებულია X საუკუნის ბოლოს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის მიერ. ბაგრატ III, მისივე ანდერძით, ბედიის მონასტერშია დაკრძალული.

ტაძარზე და საეკლესიო ნივთებზე შემორჩენილია ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები.

დავით აღმაშენებელმა საქართველოს და ქართული ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ ბედიის არქიეპისკოპოს სვიმეონს მიანიჭა ბედიელ-ალავერდელის წოდება.

**იმედია, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ბედიის მონასტერს კვლავ აქცევს ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის სიმბოლოდ**.

**გალის რაიონი**. ისტორიული სამურზაყანო, რომელიც ისტორიის მანძილზე ხშირად წარმოადგენდა ოდიში-სადადიანოს შემადგენელ ნაწილს, საკმაოდ მდიდარია ქრისტიანული კულტურის ძეგლებით, რომლებიც შეიძლება შეტანილ იქნას ტურისტულ მარშრუტთა სიაში.

**სოფელი გუდავა და გუდავის ეკლესია**. სოფელი გუდავა უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს. მკვლევართა ვარაუდით, ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ციხე-სიმაგრე ზიგანისი დღევანდელი გუდავა უნდა იყოს. VI-X საუკუნეებში ლაზიკის ოთხი საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი სწორედ გუდავაში იყო. აფხაზთა და ქართველთა მეფემ ბაგრატ III მე-10ს. გააუქმა გუდავის საეპისკოპოსო, როგორც ბერძნული საეკლესიო პოლიტიკის საყრდენი საქართველოში და ბედიის საეპისკოპოსო დააარსა.

დღეისათვის გუდავის ტერიტორიაზე მხოლოდ ბაპტისტერიუმია არქეოლოგიურად დადასტურებული, რომლის მიდამოებშიც გამოვლენილია მდიდარი არქეოლოგიური მასალა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ბაპტისტერიუმი შესაძლოა IV-V საუკუნეებით დათარიღდეს.

**წარჩეს ეკლესია**. გალიდან 17 კმ მანძილზე, მდინარეების ოქუმისა და წარჩეს ხეობებში მდებარეობს სოფელი წარჩე. იგი ჯერ კიდევ ფლავიუს არიანეს ჰყავს მოხსენიებული, როგორც ქალაქი "ტარშენ". მხარეთმცოდნე ნ. შონიას გადმოცემით, წარჩეში 23 ისტორიული ძეგლია, მათ შორის XIII-XIV საუკუნის ხუროთმოძღვრული კომპლექსი "მაფაშ ოხუამე" – მეფის ეკლესია. კომპლექსში შედის ორი ეკლესია, გალავანი და კარიბჭის ნაშთი. წარჩეს ეკლესიები XVII საუკუნეში განუახლებია სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს.

რელიგიური ტურისტებისათვის ეგზოტიკური თვალსაზრისით შეიძლება მიმზიდველი იყოს აფხაზთა წარმართული სალოცავების დათვალიერება და "წმინდა ადგილებში" ტრადიციული რიტუალებისათვის თვალყურის მიდევნება.

აფხაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ შეიძლება ფართო გავრცელება ჰპოვოს ეთნიკურმა ტურიზმმა. ეთნიკური ტურიზმი მიზნად ისახავს დაბადების ადგილის, ოჯახის ძველი ან წინაპართა საცხოვრებელი ადგილის მონახულებას. ტურიზმის ეს სახეობა ნოსტალგიურის სახელს ატარებს (nostalgie tour). ამ სახეობის ტურიზმს პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვთ იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სხვა ქვეყნებში დიდი დიასპორები ჰყავთ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზთა ტრაგედიის "მუჰაჯირობის" შემდეგ, აფხაზებს საკმაოდ დიდი დიასპორა გაუჩნდათ თურქეთსა და ზოგიერთ სხვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყანაში. ასევე, საჭიროა და მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის ხელისუფლებამ ცივილური იერის, გახსნილობის და გადაწყვეტილებებში დამოუკიდებლობის წარმოსაჩენად, უპირველესად ქართველ ლტოლვილებს, მათ საბოლოო დაბრუნებამდე, საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობითა და უშუალო მონაწილეობით, საეკლესიო დღესასწაულებისას, წინაპართა საფლავებისა და დაბადების ადგილების მონახულების საშუალება ოფიციალურად უნდა მისცეს.

## დასკვნა

ნაშრომში ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ერთ ტერიტორიაზე ქართული და აფხაზური ნაციონალური პროექტების თანაარსებობა და მისი განხორციელება შესაძლებელია, ეს ჩვენი დიდი სურვილია. ის, რომ, ასეთი თანაარსებობა რეალური და სავსებით შესაძლებელია, ამას ისტორიაც გვასწავლის მე-8 – მე-9 საუკუნის აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) სამეფო, ქართველებსაც და აფხაზებსაც, საკუთარი ისტორიის საამაყო ნაწილად მიგვაჩნია, ისევე როგორც მე-11 – მე-13 საუკუნეების უკვე ერთიანი საქართველოს სამეფო, აფხაზთა და ქართველთა სამეფო. 21-ე საუკუნეში კვლავ ისეთი ერთიანი ქვეყნის შექმნას უნდა შევეცადოთ, რომლითაც ორივე ერი ვიამაყებთ. გლობალიზაციის ეპოქაში, საერთო საამაყო წარსულის მქონე ერების მიერ საზღვრების ჩაკეტვა და ერთმანეთის დასუსტების ლოდინი "სამუდამოდ ჩასაყლაპად" ან "სამუდამოდ გასაქცე-

ვად“ სრული ანაქრონიზმია. ამასთან თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციასთან ერთად აქტიური რეგიონალიზაციის პროცესები მიმდინარეობს, რეგიონები სულ უფრო და უფრო მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას და ამ ეკონომიკური თავისუფლების შენარჩუნების პოლიტიკურ ბერკეტებს იღებენ, რასაც საბოლოოდ კეთილდღეობა და ერთა მეტი ურთიერთგაგება მოაქვს. იმედია, საერთო წარსულის, ტრადიციების გათვალისწინება და თანამედროვე ტენდენციების ნათლად გაცნობიერება, პრობლემების გადაწყვეტაში ხელს უსათუოდ შეგვიწყობს.

საქართველოს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ მისმა მოსახლეობამ, ეკონომიკის გონივრული განვითარების პირობებში იცხოვროს თუ უკეთესად არა, არც უარესად, ვიდრე დღეს ცხოვრობს მსოფლიოს ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის მოსახლეობა[1].

საქართველომ უნდა მიაღწიოს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის დამკვიდრების ისეთ ხარისხს, რომელიც მიმზიდველს გახდის ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრებას მთელი მოსახლეობისათვის, მათ შორის აბუნტებული ავტონომიების მოსახლეობისათვის [2].

ამასთან, რა თქმა უნდა არც ის გვავიწყდება, რომ საქართველოს ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანეს რუსულ ბაზარზე დაბრუნების ერთადერთი რეალური და მყარი გზა, მხოლოდ აფხაზებთან ყოველმხრივი ურთიერთობების აღდგენაზე გაივლის, თუმცა ბევრი ქართველი ეკონომისტისგან განსხვავებით, ვფიქრობთ, რომ რუსეთი მხოლოდ დიდი და საჭირო ბაზარი არაა, ამ უზარმაზარ ქვეყანას რეგიონში თავისი სტრატეგიული ინტერესები აქვს, რომელთა ძირფესვიანად უგულვებელყოფა, რეალურად არც ქართული სახელმწიფოს ინტერესებში უნდა იყოს.

დასასრულს, ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ იმ ფაქტსაც, რომ კვლავ რუსეთის დაშლის მოლოდინის რეჟიმში ყოფნა და მხოლოდ შემდეგ აფხაზებთან “ურთიერთობების დალაგებისთვის“ მოცლა, ყოველგვარ ლოგიკას აცლის ჩვენს მსჯელობას. მაინც იმედი გვაქვს, რომ დაპირისპირებულ მხარეთაგან, პირველი ქართული მხარე გამოვა ჰიპნოზიდან, რომ დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს და პირველ ნაბიჯებს გადადგავს ერთობლივი, გულწრფელი თანამშრომლობისაკენ.

---

[1] ვ. ავვაძე, ,,ეკონომიკური აზროვნებით ვეაიციტი'', გამომცემლობა ,,მერანი'', თბილითი, 2005.

[2] ვ. ავვაძე, გაზ. ,,თაქართველოთ რეთპუბლიკა“, №81, 18 აპრილი, 2009.

## ლიტერატურა


1. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე., საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია I-ლი გამოც. თბ.: ტექნ. უნივერსიტეტი, 2003;
2. ე. ბარათაშვილი, ნ. გალახვარიძე, კ. არაბული, ნ. გრძელიშვილი ,,საქართველოს ეკონომიკა'' (სახელმძღვანელო), თბილისი, 2012;
3. ე. ბარათაშვილი, ნ. გრძელიშვილი, ჯ. ზარანდია, ნ. გალახვარიძე, ,,რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა'' (სახელმძღვანელო), თბილისი, 2012;
4. ა. დევაძე, ნ. გრძელიშვილი, ,,ტურიზმი საქართველოში: არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები'', მონოგრაფია, თბილისი, 2012;
5. დ. გონდაური, აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის გზა ეკონომიკაზე გადის, “ეროვნული მწერლობა“, 2006;
6. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისა და ეპარქიების საკითხი 1917-1952 წლებში, ჟურნალი რელიგია, 2001, 4-5-6;
7. ა. კვაშილავა-ცეკვავა, კურორტები (ნარკვევი), 2011;
8. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბილისი, 1990;
9. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია აფხაზეთში მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დამდეგს, ჟურნალი რელიგია, 1997, №7-8-9;
10. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები V, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2008;
11. საქართველოს სსრ კურორტები, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო“, 1987;
12. ქრისტიანობა და ეკონომიკა, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული (თსუ 2008 წლის 30 მაისი), თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2008;
13. Абхазия с древнейших времен до наших дней. Издательство ИНТЕЛЕКТИ Тбилиси 2009;
14. Димитрий Дбар (Иеромонах Дорофей) Краткий очерк истории Абхазской Православной Церкви
15. А. Бабкин.Специальные виды туризма. Ростов-на-Дону 2008;
16. Озган К., Экономическое развитие республики Абхазия: проблемы и перспективы;
17. Экономический потенциал Абхазии и Южной Осетии и его освоение. Краткое изложение аналитического доклада под редакцией М.Г.Делягина;
18. А.Косолапов., Теория и практика экологического туризма 2005;
19. Крылов А. Традиционные институты абха-

зов: прошлое и современность //Идентичность и конфликт в постсоветских государствах: Сб. ст. / Моск. Центр Карнеги - М., 1997. - С.184-201.
20. Кусков А., Лысикова О., Курортология и оздоровительный туризм. - Ростов н/Д: Феникс, 2004;
21. Соколова М., История туризма. - М.: Академия, 2004;
22. Здоров А., Экономика туризма. - М.: Финансы и статистика, 2004;
23. Х Храбовченко В., Экологический туризм. - М.: Финансы и статистика, 2004;
24. Христов. Т., Религиозный туризм 2005г;
25. International Crisis Group Абхазия: углубление зависимости Доклад №202 Европа – 26 февраля 2010г;
26. www.apsnypress.info
27. www.oopt.info
28. www.biodat.ru
29. www.dombayinfo.ru
30. www.arkhiz.net
31. www.zapovednik.cwx.ru
32. www.apa.gov.ge
33. www.crizisgroup.org
34. www.ortodoxy.ge
35. www.expertclub.ge
36. www.zapoved.ru
37. www.sukhumkurort.ru
38. www.kavkaz-uzel.ru
39. www.kavkaz.ge

*Nodar Grdzelishvili*
*Doctor of economics*

## CURRENT SITUATION AND PERSPECTIVES OF TOURISM IN ABKHAZIA

### SUMMARY

The paper notes that in the modern conditions, tourism has become a powerful tool for economic development in the whole world which has a major impact on political, economical, social and cultural connections between governments.

The paper discusses the current situation and perspectives of tourism in Abkhazia. It is about the different types of tourism which may develop in Abkhazia and which, at the same time, may become the foundation for the cooperation of Georgians and Abkhazians.

The paper clearly states that the main institute which will promote the restored relations, its irreversibility and will be actively involved in realization of joint projects, together with the government, should be the Georgian Orthodox church.

We tried to show in the paper that co-existence and implementation of Georgian and Abkhazian national projects on the same territory is very much possible.

# ბიზნეს-ინჟინერინგი ქიმიასა და ფარმაციაში

## ერთსაფეხურიანი ტექნოლოგიით მიღებული ცელზიანის კერამიკა

*ზვიად კოვზირიძე, სტუ-ს სრული პროფესორი*
*როდამ მჭედლიშვილი, სტუ-ს დოქტორანტი*

ელექტროსაიზოლაციო მასალებს წაეყენებათ მაღალი მოთხოვნები მექანიკური და ელექტრული სიმტკიცის, თერმული მედეგობის, მაღალი ხვედრითი მოცულობითი ელექტრული წინაღობის, და სხვა თვისებათა მიმართ. ინდუსტრიაში გამოყენებულ კერამიკულ იზოლატორებს შორის ფაიფურს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია [1-3]. მასალები, რომლებიც $BaO - Al_2O_3 - SiO_2$ სისტემას მიეკუთვნება გამოიყენება ელექტრონიკაში, ელექტროტექნიკაში, ცეცხლგამძლე ცემენტების, ტექნიკური მინის, ძნელლღობადი კერამიკული მასალების მისაღებად [4-5]. მასალაში ბარიუმის იონის დადებითი მოქმედება მდგომარეობს იმაში, რომ მისი დიდი რადიუსის გამო (0,143 ნმ) იგი ამკვრივებს მასალის სტრუქტურას და ამით ხელს უშლის ელექტროგამტარობას, რომელიც მცირე რადიუსის იონებით არის განპირობებული [6-7].

ამოცანას წარმოადგენდა ბარიუმის კარბონატისა და თიხურის ბაზაზე ცეცხლგამძლე, თერმიული და გაზოთერმიული დარტყმების მიმართ მედეგი, მაღალი ელექტროწინაღობის მქონე ცელზიანის კერამიკის მიღება ერთსაფეხურიანი ტექნოლოგიით. ასეთი მასალის მიღების ტექნოლოგიაში გათვალისწინებულია მონოკლინური ცელზიანის წინასწარი სინთეზი 1500 - $1600^0C$ – ზე ბარიუმის კარბონატის და კაოლინის ნარევის შეცხობით. ტექნოლოგიის მეორე ეტაპზე მიღებული შენაცხობის ბაზაზე, მალღობლების დამატებით მკვრივად შემცხვარი კერამიკის მიღება განმეორებითი გამოწვით 1600 - $1650^0C$ –ზე. ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით, შემადგენლობები მზადდებოდა კაოლინის, ცეცხლგამძლე თეთრადწვადი თიხის და ბარიუმის კარბონატის ბაზაზე. ქიმიური შედგენილობები მოცემულია ცხრილში 1.

**ცხრილი** 1

**გამოყენებული ნედლეული მასალების ქიმიური შედგენილობა, მას (%-ში)**

| მასალა | $SiO_2$ | $Al_2O_3$ | $Fe_2O_3$ | CaO | MgO | $SO_3$ | $TiO_2$ | $K_2O$ | $Na_2O$ | BaO | $CO_2$ | ხ.დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პერლიტი არაგაცის (სასომხეთი) | 73,50 | 14,00 | 0,80 | 0,70 | 0,50 | 0,20 | – | 4,70 | 3,20 | – | – | 2,40 |
| კაოლინი პროსიანაია (უკრაინა) | 47,50 | 37,40 | 0,42 | 0,50 | 0,25 | – | 0,40 | 0,33 | 0,20 | – | – | 13,00 |
| ც\გ თიხა ვესიოლოე (უკრაინა) | 46,90 | 37,85 | 0,82 | 0,25 | 0,50 | – | 0,95 | კვალი | კვალი | – | – | 12,70 |
| $BaCO_3$ | – | – | – | – | – | – | – | – | – | 77,70 | 22,30 | 22,30 |
| $1410^0C$-ზე გამომწვარი ფაიფურის ლეწი | 73,40 | 20,90 | 0,40 | 0,80 | 0,15 | – | 0,20 | 2,70 | 1,45 | – | – | – |

გამოყენებული ნედლეული მასალების ბაზა ზემომზადდა 24 სხვადასხვა შედგენილო-ბის მასა, რომელთაგან შერჩეული იქნა ორი და შემდგომი კვლევები ჩატარებული იქნა შერჩეულ $C_6$ და $C_8$ შემადგენლობაზე. ცხრილი 2.

ცხრილი 2

**$C_6$ და $C_8$ მასების მატერიალური და მასალების ქიმიური შედგენილობა, მას %**

| ინდექსი | $BaCO_3$ | | კაოლინი პროსიანაია (უკრაინა) | | | პერლიტი არაგაცის (სასომხეთი) | | | ც\გ თიხა ვესიოლოე (უკრაინა) | | $1410^0C$-ზე გამომწვარი ფაიფურის ლეწი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| $C_6$ | 45 | | 43 | | | 0,5 | | | 6,5 | | 5 |
| $C_8$ | 40 | | 47 | | | 1 | | | 7 | | 5 |
| | $SiO_2$ | $Al_2O_3$ | $Fe_2O_3$ | CaO | MgO | $SO_3$ | $TiO_2$ | $K_2O$ | $Na_2O$ | BaO | ხ.დ |
| $C_6$ | 27,65 | 19,55 | 0,25 | 0,28 | 0,16 | 0,01 | 0,24 | 0,33 | 0,14 | 34,96 | 16,41 |
| $C_8$ | 30,29 | 21,17 | 0,28 | 0,31 | 0,17 | 0,01 | 0,25 | 0,39 | 0,23 | 31,10 | 15,84 |

ტექნოლოგიურად მასა მზადდებოდა სველი დაფქვის მეთოდით 12 სთ განმავლობაში. პირველი ჩატვირთვა 8 სთ, ხოლო მეორე - 4 სთ. ნიმუშები: ფილები 50×50×8 მმ, კუბები 10×10 მმ და ღეროები l=50მმ, წახნაგებით a=b =5 მმ მომზადდა შლიკერის გაუწყლოებით მიღებული ცომისგან პლასტიური დაყალიბების მეთოდით, გამოიშრო ჰაერზე და თერმოსტატში და გამოიწვა SiC ღუმელებში: 850, 900, 950, 1000, 1050, 1100, 1200, 1370, 1400, 1430 და $1470^0C$ ტემპერატურებზე შემდეგი რეჟიმით: 0 – $500^0C$ – $3^0C$\წთ; 500 –$700^0C$ – $2^0C$\წთ, $700^0C$ - $1350^0C$ – $5^0C$\წთ; $1350^0C$ – საბოლოო ტემპერატურა - $2^0C$\ წთ. დაყოვნება საბოლოო ტემპერატურაზე – 40 წთ.

(1) **ფიზიკური და ტექნიკური თვისებები:**

მასალათა თვისებები წარმოდგენილია ცხრილში №3.

ცხრილი 3.

**სინთეზირებულ მასალათა ფიზიკური და ტექნიკური თვისებები**

| მაჩვენებელი | მაჩვენებლის სიდიდე | |
|---|---|---|
| | $C_6$ | $C_8$ |
| გამოწვის ტემპერატურა,$T^0C$ | 1430 - 1470 | 1430 - 1470 |
| ფორიანობა წყალშთანთქმის მიხედვით W% გამომწვარი,$T^0C$<br>1400<br>1430<br>1470 | <br>1,87<br>0,13<br>0,04 | <br>1,20<br>0,14<br>0,04 |
| მექანიკური სიმტკიცე ღუნვაზე, ბღ მპა გამომწვარი,$T^0C$<br>1400<br>1430<br>1470 | <br>61,40<br>64,70<br>70,00 | <br>61,70<br>66,40<br>74,00 |
| მექანიკური სიმტკიცე კუმშვაზე, ბკ მპა გამომწვარი,$T^0C$<br>1400<br>1430<br>1470 | <br>236,50<br>412,80<br>442,80 | <br>233,80<br>410,60<br>436,70 |
| სიმკვრივე, ρ გ\სმ$^3$<br>გამომწვარი,$T^0C$<br>1400<br>1430<br>1470 | <br>2,81<br>2,97<br>3,00 | <br>2,78<br>2,95<br>3,12 |

| | | |
|---|---|---|
| ელასტიკურობის მოდული E,N \მმ².10³<br>გამომწვარი, T⁰C<br>1430<br>1470 | <br><br>74,40<br>77,50 | <br><br>73,50<br>77,30 |
| ძრაობის მოდული G, N \მმ².10³<br>გამომწვარი, T⁰C<br>1430<br>1470 | <br><br>29,20<br>31,30 | <br><br>28,80<br>30,90 |
| პუასონის კოეფიციენტი, μ<br>გამომწვარი, T⁰C<br>1430<br>1470 | <br><br>0,281<br>0,283 | <br><br>0,282<br>0,284 |
| თბოტევადობა $C_\rho$ ჯ \კგ⁰K<br>20- 200⁰C<br>გამომწვარი, T⁰C<br>1470 | <br>612 | <br>641 |
| თბოგამტარებლობა, λ ვტ \მ.K,<br>გამომწვარი, T⁰C<br>1430<br>1470 | <br><br>1,28<br>2,30 | <br><br>1,98<br>2,24 |
| ქიმიური მედეგობა 1სთ დუღილის შემდეგ, %<br>წყლის მიმართ,<br>NaOH (35%) | <br>99,80<br>99,00 | <br>99,68<br>99,10 |
| ხვედრითი მოცულობითი წინაღობა: Ρ ომ\სმ, ⁰C<br>23<br>100<br>150<br>200<br>250<br>300 | <br>$10^{-14}$<br>$10^{-12}$<br>$10^{-11}$<br>$10^{-11}$<br>$10^{-11}$<br>$10^{-10}$ | <br>$10^{-14}$<br>$10^{-12}$<br>$10^{-12}$<br>$10^{-11}$<br>$10^{-11}$<br>$10^{-11}$ |
| დიელექტრიკული დანაკარგების კუთხის ტანგენსი, 1 მჰც 20⁰C, tgδ . $10^{-14}$ | 2 | 3 |
| თერმიული ხაზობრივი გაფართოების კოეფიციენტი,<br>α. $10^{-6}$ ⁰C⁻¹ ინტერვალში:<br>20-100⁰C<br><br>20-900⁰C | <br>2,42<br>4,10 | <br>2,44<br>4,14 |
| თერმიული მედეგობა წყლის მიმართ, ⁰C ციკლი თერმოსტატი –წყალი (17⁰C) ყოველი 20⁰C-ს შემდეგ. ხარკორტის მეთოდი | 420 | 430 |

ყველა თვისება განსაზღვრული იქნა საერთო აღიარებული მეთოდიკით. ძრაობისა და ელასტიკურობის მოდული განსაზღვრული იქნა "კრაუტკრემერის" ხელსაწყოთი ულტრაბგერის მეთოდით. თბოფიზიკა – "Colora" - თერმოკონდუქტომეტრზე მედეგობა თერმიული დარტყმების მიმართ ხარკორტის მეთოდით. X – ray ანალიზი DROH 3-ზე. მორფოლოგიური ფაზური ანალიზი CAM - SCAN-ის ელექტრონული მიკროსკოპის მეშვეობით. ფორიანი ფაზის ანალიზი ჩატარდა Zejs - Wang -ს ხელსაწყოზე.

სურ. 1 და 2-ზე წარმოდგენილია ცელზიანის $C_6$ და $C_8$ მასალათა სტრუქტურულ – მექანიკური მახასიათებლები.

(2) **ფაზური ანალიზი:**

რენტგენოსტრუქტურული ანალიზი ჩავატარეთ დიფრაქტომეტრ DROH - 3 –ზე.

$850^0C$–ზე გამომწვარი $C_6$ ნიმუშის რენტგენოგრამაზე (სურ. 3) დაფიქსირებულია $BaCO_3$-ის დამახასიათებელი პიკები, რომელთა დიფრაქციული მაქსიმუმებია: $d_{hkl}$=4,5; 4,26; 3,34; 2,62; 2,15; 2,02 $A^0$.

$900^0C$-ზე გამომწვარი ნიმუშების რენტგენოგრამაზე შემცირებულია $BaCO_3$-ის დამახასიათებელი პიკების ინტენსივობა.



სურ. 1. მეექვსე შემადგენლობის სტრუქტურულ – მექანიკური მახასიათებლები.



სურ. 2. მერვე შემადგენლობის სტრუქტურულ – მექანიკური მახასიათებლები








**სურ. 3. მეექვსე შედგენილობის რენტგენოგრამები**

$950^0C$ –ზე დაფიქსირებულია ახალი ფაზა –ციმრიტი $BaO . Al_2O_3 . .2 SiO_2 . H_2O$

$d_{hkl} = 7{,}70;\ 3{,}97;\ 2{,}98;\ 2{,}6;\ 2{,}20$ $A^0$ და რენტგენოამორფული ფაზა. $1000^0C$ –ზე ასევე დაფიქსირებულია ციმრიტი $d_{hkl} = 7{,}87;\ 3{,}98;\ 2{,}99;\ 2{,}65;\ 2{,}20$ $A^0$ და აღსანიშნავია, რომ ბევრად უფრო ინტენსიურად, ვიდრე $950^0C$ –ზე, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი წარმოიქმნა მეტი რაოდენობით. ერთდროულად გამოჩნდა ცელზიანის-- $BaO . Al_2O_3 . .2 SiO_2$ რეფლექსები:

$d_{hkl} = 3{,}41;\ 3{,}36;\ 3{,}03$ $A^0$.

$1050^0C$-ზე გამომწვარი ნიმუშების რენტგენოგრამაზე კიდევ უფრო გაზრდილი პიკებია, დამახასიათებელი ციმრიტისათვის ვიდრე $1000^0C$ –ზე. ცელზიანის დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმების ინტენსივობა ამ ტემპერატურულ ინტერვალში უცვლელია. ცელზიანი $1100^0C$ და $1200^0C$ იმავე რაოდენობით და ინტენსივობით აღინიშნება როგორც $1000^0C$ –ზე (სურ.3)

$1370^0C$–ზე მნიშვნელოვნად შემცირდა ციმრიტის $BaO. Al_2O_3 . .2 SiO_2. H_2O$ დამახასიათებელი ხაზების ინტენსივობა (სურ.3) და შესამჩნევად იზრდება ცელზიანის რეფლექსები: $d_{hkl}=6{,}55;\ 5{,}87;\ 4{,}63;\ 3{,}63;\ 3{,}56;\ 3{,}34;\ 3{,}27;\ 3{,}03;\ 2{,}92;\ 2{,}76$ $A^0$.

$1400^0C$-ზე ცელზიანი იმავე ინტენსივობითაა, როგორც $1370^0C$ –ზე.

$1470^0C$–ზე ციმრიტის ინტენსივობა იგივეა, როგორც $1370^0C$ ცელზიანის პიკები გაიზარდა: $d_{hkl} = 6{,}62;\ 5{,}87;\ 3{,}80;\ 3{,}56;\ 3{,}47;\ 3{,}35;\ 2{,}77;\ 2{,}58$ $A^0$.

$850^0C$ –ზე გამომწვარი $C_8$ ნიმუშის რენტგენოგრამაზე (სურ. 4) დაფიქსირებულია $BaCO_3$-ის დამახასიათებელი პიკები, რომლის დიფრაქციული მაქსიმუმებია: $d_{hkl} = 4{,}58;\ 4{,}25;\ 3{,}7;\ 3{,}68;\ 3{,}34;\ 3{,}23;\ 2{,}62$ $A^0$. $900^0C$ –ზე შემცირებულია $BaCO_3$-ის დამახასიათებელი პიკების ინტენსივობა. $950^0C$ –ზე, ამ შემთხვევაშიც როგორც $C_6$-ში დაფიქსირებულია ციმრიტი- $BaO . Al_2O_3 . .2 SiO_2 . H_2O$ $d_{hkl} = 7{,}70;\ 3{,}97;\ 2{,}98;\ 2{,}65;\ 2{,}20$ $A^0$.

შეინიშნება რენტგენოამორფული ფაზა.








სურ. 4. მერვე შედგენილობის რენტგენოგრამები

$1000^0$C-ზე; $1050^0$C; $1100^0$C და $1200^0$C-ზე გამომწვარი ნიმუშების რენტგენოგრამაზე ციმრიტის დამახასიათებელი პიკები კიდევ უფრო გაზრდილია, ხოლო ცელზიანის რაოდენობა იგივეა: $d_{hkl}$=3,47; 3,36; 3,28; 3,03; 2,76; 2,52 $A^0$ (სურ. 4).

$1370^0$C–ზე $1400^0$C გამომწვარი ნიმუშების რენტგენოგრამაზე მნიშვნელოვნად შემცირდა ციმრიტის დამახასიათებელი ხაზების ინტენსივობა და შესამჩნევად იზრდება ცელზიანის პიკების ინტენსივობა: $d_{hkl}$ = 6,55; 5,87; 3,80; 3,65; 3,56; 3,47; 2,28 $A^0$.

$1430^0$C-ზე $1470^0$C-ზე ციმრიტის ინტენსივობები ერთი და იგივეა, ხოლო ცელზიანის პიკები გაიზარდა $d_{hkl}$ = 6,62; 5,87; 3,80; 3,56; 3,47; 3,35; 3,28 $A^0$.

ელექტრონულ – მიკროსკოპული ანალიზი ჩატარდა $C_8$ შედგენილობის მასალაზე. შერჩეულ იქნა $1400^0$C, $1430^0$C-ზე და $1470^0$C –ზე გამომწვარი ნიმუშები. ყველა შემთხვევაში გადიდება იყო X 4000. თითოეულ ტემპერატურულ ნიმუშზე შესწავლილი იქნა ორ–ორი უბანი – სურ.5 სამივე შემთხვევაში დაფიქსირდა კრისტალური წარმონაქმნები, რომლებიც შედარებით გამოკვეთილია $1430^0$C-ზე და $1470^0$C –ზე გამომწვარ ნიმუშებში. აქ აშკარაა მასაში ცელზიანის და ციმრიტის რაოდენობრივი უპირატესობა ბარიუმის ალუმინატებთან და სილიკატებთან შედარებით, რომელთა მასობრივი პროცენტული შემცველობა მინიმალურია და X – ray ანალიზის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 1-3 მას %-ს. მთლიანი მასა გადაფარულია ცელზიანის და ციმრიტის კრისტალებით. ასევე არ არის გამოკვეთილი მულიტის და კვარცის კრისტალები. სავარაუდოდ მულიტი ფურცლოვანი და არა ნემსისებური ფორმისაა, გადაფარულია უპირატესი კრისტალური მასით - ცელზიანით და ციმრიტით, კვარცის და მულიტის შემცველობა მეტად მცირე – სავარაუდოთ 1-2%-თ. ამიტომ მათი პიკები რენტგენოგრამებზე მხოლოდ ერთი რეფლექსით $d_{hkl}$ = 3,34 და 2,20 $A^0$ შესაბამისად აღინიშნება და ისიც არა ყველა ტემპერატურაზე $950^0$C –ზევით. ვფიქრობთ, რომ ბარიუმის კარბონატის ნაწილობრივი დაშლის პროცესში გამოთავისუფლებული BaO მოიხმარს როგორც ახლადწარმოქმნილ მულიტს და არ აძლევს მას განვითარების საშუალებას. BaO ასევე მოიხმარს თიხურით შემადგენლობაში შეყვანილ კვარცს ცელზიანისა და ციმრიტის წარმოქმნით. სამივე ნიმუშზე აშკარად შეინიშნება ფორები, რომლებშიც განთავსებულია ცელზიანის და ციმრიტის კრისტალები. ბოლო $1470^0$C –ზე გამომწვარ ნიმუშში ნათლად ჩანს ფორას შევსების პროცესი კრისტალების ზრდის ხარჯზე, რაც დიფუზიური პროცესებით უნდა იყოს განპირობებული.




ა)



სურ.5. $C_8$ მასალის ელექტრონულ – მიკროსკოპიული სურათები გამომწვარი: ა)$1400^0C$; ბ)$1430^0C$; გ)$1470^0C$ X 4000.

(3) **ფორიანი ფაზის ანალიზი:**

თერმიული დამუშავებით ნედლეული მასალების ნარევის შეცხობის და გამკვრივების პროცესში კერამიკის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ფორიანობის სიდიდის რაოდენობრივი განსაზღვრა. ტექნოლოგიური პროცესების და კონგლომერატში ნედლეული მასალების გარდაქმნების მიხედვით ფორებს აქვთ სხვადასხვა ფორმა, ამასთან მათი გადანაწილება მატრიცაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მზა პროდუქტის მთელ რიგ თვისებებზე [8-15, 16] შესწავლილ იქნა $C_8$ მასალის ფორიანი ფაზის ანალიზი $1400^0C$, $1430^0C$ და $1470^0C$ – ზე გამომწვარი ნიმუშებისათვის - სურ. 6-7. სურ. 6-ზე მოცემულია მატრიცაში ფორების ზომებისა და მათი გადანაწილების მდგომარეობა, ხოლო სურ.7-ზე დახურული ფორიანობის ხაზობრივი ანალიზი, ფორების სიხშირისა და ფორიანობის ჯამური სიხშირის მიხედვით.



სურ.6 . ფორების სტრუქტურა $C_8$ კერამიკაში შეცხობის ინტერვალი სხვადასხვა ტემპერატურაზე.



**სურ.7. $C_8$ კერამიკის დახურული ფორიანობის ხაზობრივი ანალიზი:** 1 – **ფორების სიხშირე;** 2 – **ფორიანობის ჯამური სიხშირე.**

ანალიზი შესრულებულია $C_8$ მასალის მკვრივი შეცხობის ინტერვალში. ფორების განაწილების მრუდი აჩვენებს, რომ მასალა შეიცავს 75%-მდე ფორებს ზომით ნაკლები 5 მკ-ზე. ჯამური მრუდი გვიჩვენებს, რომ 14 მკ-ზე ნაკლები ფორების წილი 95%-ია. შეცხობის ბოლო სტადიაზე - 1470$^0$C -ზე მასალა შეიცავს მთლიანი ფორების დაახლოებით 70%-ს ზომით ნაკლებს 4 მკ-ზე (1 მრუდი) და 90%-მდე ზომით ნაკლებს 12 მკ. მხოლოდ ფორიანობის მთლიანი შემცველობის 5 და 10%-ს შესაბამისად შეცხობის დასაწყის და საბოლოო სტადიაზე აქვთ ზომები მეტი ოპტიმალურზე - 9 მკ-ზე – ბუდვორტის მიხედვით.

(4) **შედეგები და მათი განსჯა:**

ჩვენ მიერ სინთეზირებული მასალები წარმატებით უნდა მუშაობდნენ თერმული და გაზოთერმიული დარტყმების წინააღმდეგ. რაოდენობრივი შეფასება მედეგობისა თერმოდარტყმების მიმართ, ძირითადად ითვალისწინებს დრეკად სხეულში წარმოქმნილი პირველი რიგის თერმოდრეკადი დაძაბულობების მიმართ წინააღმდეგობის განსაზღვრას. როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, მასალას აქვს საკმაოდ მაღალი მექანიკური თვისებები და დაბალი ხაზობრივი გაფართოების კოეფიციენტი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა სამსახურის რთულ პირობებში წარმოქმნილი ტემპერატურული დაძაბულობები აღმოჩნდეს დაბალი ამ თვისებებზე და მასალამ გაუძლოს თერმოდარტყმებს [7]. ამასთან საკმაოდ მაღალია ძრაობისა და ელასტიკურობის მოდული, რაც მიუთითებს მასალაში ძლიერი ატომთაშორისი კავშირების არსებობას [8], ამას შეუძლია განაპირობოს მასალის მაღალი წინააღმდეგობა ბზარების ჩასახვის და მათი გავრცელების მიმართ. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს კერამიკის შეფასებისას, იმსახუროს მაღალი გრადიენტების და ტემპერატურების პირობებში.

ჩვენს მიერ სინთეზირებული მასალებისათვის, გამოვიყენეთ ხარკორტის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს თბოგადაცემას წყლით გაციებით. ციკლური გახურება იწყებოდა 140$^0$C-ზე, გაჩერებით ბოლო ტემპერატურაზე 20 წთ ტემპერატურის გათანაბრებისათვის სხეულში, შემდგომი გაცივებით წყლის ვანაში 17$^0$C-ზე 10 წთ-ის განმავლობაში. ციკლი მეორდებოდა ყოველი 20$^0$ C-ს შემდეგ. ფილებზე 420 $^0$C-მდე ბზარები არ შეიმჩნეოდა. ასეთი მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო არა მარტო თვისებებით, არამედ მასალაში შედარებით მაღალი დახურული ფორიანობით, რომელიც ჩვენი ვარაუდით ხელს უწყობს დაძაბულობების და წარმოქმნილი ბზარების ენერგიის დისიპაციას ფორებში და ამ ენერგიის არა მაგისტრალურ არამედ დენდრიტულ გაშლას, რაც მასალის მედეგობას ხელს უწყობს [6]. ამას გარდა, მაღალი თერმომედეგობა მასალისა განპირობებულია იმითაც, რომ დანამატები მინისებური (96 მას %) პერლიტისა ხელს უწყობს მონოკლინური ცელზიანის წარმოქმნას [7], რომელიც თავისუფალია

პოლიმორფული გარდაქმნებისაგან და გამოირჩევა მკვრივი და ერთგვაროვანი სტრუქტურით, მაღალი მექანიკური და ელექტრული სიმტკიცით.

შესწავლილია მატრიცული თვისებები ფორიანი ფაზის მიხედვით – ცხრილი 4.

ცხრილი 4.

**$C_8$ მასალის მატრიცული თვისებები**

| მაჩვენებელი \ ტემპერატურა, $^0$C | 1400 | 1430 | 1470 |
|---|---|---|---|
| ფორების საშუალო სიდიდე, d მკ | 8,1 | 7,6 | 5,3 |
| ფორებსშორის საშუალო მანძილი მატრიცაში, l მკ | 49,6 | 93,1 | 97,8 |
| ფორების შემცველობა, V% | 15,2 | 8,7 | 8,5 |

როგორც ბუდვორტმა გვიჩვენა, ყოველ სინთეზირებულ მასალაში, საერთო ფორიანობა დაახლოებით 9%-ია და ისინი მნიშვნელოვნად მოქმედებენ მასალათა ფიზიკურ და ტექნიკურ თვისებებზე [9]. ჩვენ მიერ სინთეზირებული მასალების საერთო ფორიანობა, როგორც ცხრილი 4 – დან ჩანს ეთანადება ბუდვორტის მონაცემებს.

მონაცემებიდან ჩანს, რომ შეცხობის პროცესი მიმდინარეობს სწორი რეჟიმით. დინამიურად იზრდება ფორებს შორის საშუალო მანძილი მატრიცაში და მცირდება მათი საერთო მოცულობა, რაც გამოიხატება სიმკვრივის და მექანიკის ზრდაში. ელექტრული თვისებები აღწევს თავის მაქსიმუმს - ცხრილი 3. ფორებს აქვთ მომრგვალებული ფორმა. ის ფაქტი, რომ მკვრივი შეცხობის - 1430$^0$C – თან ახლო ტემპერატურაზე - 1400$^0$C – ზე მასალაში მაღალი საერთო ფორიანობაა, გამოწვეულია იმით, რომ 1400$^0$C – ზე მიმდინარეობს ბარიუმის კარბონატის ძირითადი მასის დაშლა [6]. ამ ტემპერატურის ზევით მიმდინარეობს მასალის ინტენსიური შეცხობა. X – ray ანალიზმა გამოავლინა ცელზიანის მიღების ტექნოლოგიაში დღემდე უცნობი კრისტალური ფაზა – ციმრიტი, რაც ჩვენი აზრით ბარიუმის კარბონატის შეყვანით ნარევში, პირდაპირი გზით –წინასწარი გახურების გარეშე უნდა იყოს განპირობებული. კარბონატის ნაწილობრივი დაშლის შედეგად უკვე 950$^0$C –ზე წარმოიქმნება სრულიად ახალი ფაზა - ციმრიტი, რომელიც თავისი სრულყოფილი მონოკლინური [19-23] სტრუქტურის გამო, ხელს უნდა უწყობდეს მკვრივი მასალის მიღებას.

950$^0$C –დან გამოთავისუფლებული ბარიუმის ჟანგი, მოიზმარს კაოლინიტის ნარჩენს და მეტ – ნაკლები მონაცვლეობით, ტემპერატურის აწევის პროცესში წარმოიქმნება ცელზიანის და ციმრიტის ფაზა (სურ. 3-4) რაც დასტურდება ელექტრონულ – მიკროსკოპიული კვლევებით (სურ.5) ჩვენს მიერ სინთეზირებულ მასალებში პროცეს, რომელსაც მიყავს მასალა შეცხობამდე, წარმოდგენილია შეცხობით თხიადი ფაზის თანხლებისას, რომელიც რეაგირებს მყარ ფაზასთან. აქ გარკვეული როლი ენიჭება მინისებურ პერლიტს, რომლის შეცხობის ტემპერატურაა 1130$^0$C, ხოლო ლღობის - 1240$^0$C. მისი მცირე დანამატები 0,5-1,5 მას %, ხელს უწყობს მასალაში მინისებური ფაზის 2-8 მას %-ით წარმოქმნას. ფუნდამენტურმა კვლევებმა კერამიკულ სისტემებში აჩვენეს, რომ გამკვრივაების პროცესის სწრაფი და სრული მიმდინარეობისათვის აუცილებელია თხიადი ფაზის გარკვეული რაოდენობა, შესამჩნევი ხსნადობა მყარი ფაზისა თხევადში და თხიადი ფაზით მყარი ფაზის სრული დასველება. [24]

ჩვენი აზრით ეს პროცესი მიმდინარეობს ჩვენ მიერ სინთეზირებულ მასალებში [25,26].

მიღებულია ცელზიანის კერამიკა ერთსაფეხურიანი ტექნოლოგიით. ტექნოლოგიიდან მთლიანად ამოღებულია ბარიუმის და კაოლინის ბაზაზე შენაცხობის მიღება 1500-1600$^0$C ტემპერატურაზე, ხოლო კერამიკის სინთეზის ტემპერატურა არსებული ტექნოლოგიის მეორე საფეხურთან შედარებით შემცირებულია 80-100$^0$C-ით, რაც საერთო ჯამში მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს განაპირობებს. მასალაში გამოვლენილია ახალი ფაზის – ციმრიტის შემცველობა, რომელიც თავისი კარგი სტრუქტურული, მექანიკური, თერმიული ელექტრული თვისებების გამო ხელს უწყობს მიღებული პროდუქტის მაღალი საექსპლუატაციო თვისებების შენარჩუნებას. დადგენილია მიღებული მასალის სტრუქტურის კავშირი მის ფიზიკურ და ტექნიკურ თვისებებთან.

მიღებული ცელზიანის კერამიკა მისი საექსპლუატაციო თვისებების გათვალისწინებით წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონიკისა და ელექტროტექნიკის ინდუსტრიაში.

**მადლიერება:** გვინდა მადლობა გადავუხადოთ გფრ ბრემენის უნივერსიტეტის კერამიკული მასალებისა და ნაკეთობების კათედრას, ასევე კლაუსტალის ტექნიკური უნივერსიტეტის არამეტალური მასალების ინსტიტუტს ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში გულისხმიერი დამოკიდებულებისა და თანადგომისათვის.

## ლიტერატურა


1. Schwiete H.E., Miiller – Hesse H., Planz J.E. Investigation of the BaO – Al2O3 – SiO2 sistem with the aid of infrared spectroscopy.“Forschungsber”, 1961, 1998, p. 170
2. Гинзбург А .С.О некоторых искусственных бариевых алюмосилкатах Изд. Тетроградского политехнического института 1915 , т.23 , вып. 1, с . 207.
3. Ивухина А .К., Панова Я. И. О некоторых свойствах гексагонального цельзиана, полученного методом Вернейля -“кристаллография” , 1964 , т. 9, вып . 4, с. 560.
4. Nadachowski. Some experiments on the refractory barium aluminate cement. - ”Silicates Industre”, 1962 , vol.27, 1 & - *, p.355
5. Г. Н. Масленникова, Ф. Яхаритонов- Электрокерамика, стойкая к термоударам. Москва “ Энергия” 1977, с. 9-10 , 11-18 . 163- 175.
6. Богородицкий Идр. – Керамика на основе цельзиана – “Вопросы радиоэлектроники”, 1961 , серия 3, вып . 6 , с . 1 14 .
7. Кингери У .Д . – Введение в керамику. Стройиздат , Москва 1964.
8. Krockel O. – Der einflub der Porositat auf die mechanisch Festigkeit voh keramischen Werkstoffen. Silikattechnik 23, 1972, 3 s. 83-87.
9. Stabenow R., Hehhicke H.W. – Untersuchung zum Phasenaufbau, Gefuge und mechanischen Eigenschaften von Toherdeporzellan. Ker. Zeitschv.
10. 12 Scholze H., Kausku W. – Blaschverteilung in Povzellanglasuren. Ker .Zeitschr. 20.112, 1968
11. Hestner I., Scholze H. – Massenspektrometrische Untersuchungen zum Einflub der Brennatmosphare auf die Blasenbildung in Porzellanglasuren. Ber Dk G. 49, 1972, 1. 357-362
12. Dudrova E., Kubelik I. – Influence of Sintering Conditions upon the porosity and the strength of compacts. Powder Met, 3, 1979 4, 1. 183-185.
13. Oel H.J. – Das sintern vos Glasern als Auswirvkung von zahigkat und Oberflachenspannung Ber. DKG 37, 1960, 9, s. 424-428.
14. Helga Gollisch – Szibov – Zum Zusammensetzung der gefugedaten und Mechanischen Eigenschaften von Povzellan. Dis zur Erlengung des Grades cines Doktor Ingenieur 1979 april TU Clausthal s. 3-117.
15. W. Kollenberg – Technische keramik, Vulkan – Verlag Essen, s 54-58.
16. Carron, M. K., M. E. Mrose, and A.N. Reiser (1964) New data on cymrite, a hydrated silicate of barium and aluminum. (abstr) . Geol. Soc. Amer. Spec. Pap. 82,26.
17. Seki, Y. and G.C. Kennedy (1964a) Phase relations between cymrite, $BaAlSi_3O_8(OH)$. and celsian, $BaAl_2Si_2O_8$. Amer. Mineral. 49, 1407-1426. - (1964b) The breakdown of potassium feldspar, $KAlSi_3O_8$, at high temperatures and high pressures. Amer. Mineral. 49, 1407-1426.
18. Smith , J. V. (1965) X – ray emission microanalysis of rock-forming minerals: I. Exsperimental Techniques. J. Geol. 73 , 6, 830-864.
19. Smith, W.C., F.A. Bannister, end M. H. Hey (1949) cymrite, a new barium mineral from the Benallt manganese mine, Rhiw, Carnarvonshire, Mineral Mag. 28, 206, 676-681.
20. ზ.დ. კოვზირიძე დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად “ბარიტისა და პერლიტის გამოყენებით ცელზიანის და ალუმოსილიკატური კერამიკის მიღების სამეცნიერო საფუძვლებისა და ტექნოლოგიის დამუშავება “თბილისი” 1993 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გვ. 83-150.
21. რ. მჭედლიშვილი, გ. დონაძე, თ. ჭეიშვილი, ზ. კოვზირიძე, Study of electrical properties of celsian ceramics produce with single – stage technology ceramics, journal of the Georgian Ceramicts AssoCiation 1 (27) . 2012, Tbilisi, Georgia p 41-47.
22. რ. მჭედლიშვილი, ი. ბერძენიშვილი, ზ. კოვზირიძე. Thermodynamic analysis of high – temperature behavior of the system BaO –Al2O3 – SiO2

# ბავშვთა და მოზარდთა რაციონალური ფარმაკოთერაპია, როგორც ქრონიკულ დაავადებათა პრევენციის მნიშვნელოვანი რგოლი

*მედეა ჩიქავა, სტუ-ს სრული პროფესორი*
*თამარ ცინცაძე, სტუ-ს სრული პროფესორი*

თანამედროვე პირობებში ქრონიკულ დაავადებათა და მდგომარეობათა პრევენციის სწორად დაგეგმვისა და მართვის მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველყოფა შესაძლებელია ბიზნესპროცესების ინჟინერინგის გზით, რომლის განხორციელებაც მათი რეინჟინერინგით უნდა დაიწყოს. ამჟამად დასავლეთის ჯანდაცვის სისტემებში უკვე გაზრდილია ინტერესი ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგისადმი. მაგალითად, აშშ-ში სამედიცინო დაწესებულებათა 60%-ში, ევროპაში (ძირითადად დიდ ბრიტანეთში) – რეინჟინერინგი 20%-ზე ნაკლებად მიმდინარეობს [3]. აქ ნებისმიერი პროცესის შესრულების ხარისხის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია მომხმარებლის – პაციენტის კმაყოფილება, რომელიც ამ პროცესების საბოლოო ბენეფიციარია და, პირდაპირ თუ ირიბად, მათი ძირითადი გადამხდელია [11].

თანამედროვე სამყაროში დამსაქმებლები თანდათან, უფრო და უფრო აცნობიერებენ, რომ რისკის ფაქტორებს უდიდესი ზეგავლენა აქვს არამარტო თანამშრომელთა (დასაქმებულთა) ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე, არამედ – მათი ბიზნესის ფინანსურ „ჯანმრთელობაზე" [12]. მაგალითად, აშშ-ში დიდ ფირმათა 35-60% და მცირე ფირმათა 10-32% თავის თანამშრომლებს გარკვეული ტიპის პრევენციულ პროგრამებს სთავაზობს [13]. ასეთი პროგრამები ბიზნესპროცესების ბიზნესპროცესის მოდელის შემადგენელი ნაწილია.[1] მნიშვნელოვანია, საქართველოშიც გაჩნდეს სამედიცინო დაწესებულებათა და დამსაქმებელთა ინტერესი პრევენციული პროგრამების განხორციელებისადმი ბიზნეს-ინჟინერინგის გზით.

ქრონიკულ დაავადებათა პრევენციის რეინჟინერინგის გასატარებლად, პირველ რიგში, საჭიროა პრევენციის მეცნიერულად დასაბუთებული ეფექტური მოდელის შემუშავება.

თანამედროვე მედიცინაში, მიღწეული წარმატებების მიუხედავად, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების (სმსდ) პრევენციის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად რჩება, რადგან უკანასკნელ პერიოდში მთელ მსოფლიოში ადგილი აქვს ამ დაავადებათა არაკონტროლირებადი ზრდის ტენდენციას [4, 5, 6, 8, 10]. მომართვიანობის მიხედვით, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში სმსდ-თა გავრცელება მეოთხედ საუკუნეში 20-25-ჯერ გაიზარდა [2].

საქართველოში 2000-2010 წლების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სმსდ-თა პრევალენტობის მაჩვენებლები მთელ მოსახლეობაში 1,82%-დან 5,88%-მდე, ხოლო ბავშვებში 1,09%-დან 3,14%-მდე გაიზარდა [1], მოზარდებში კი დაზუსტებული არაა, თუმცა რეალურად მათი გავრცელება გაცილებით მაღალია.

მოზარდობის ასაკი – ნორმატიული მაკროსტრესორია, რადგან ბიოლოგიური მოვლენაა, რომელიც ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება და ამ პერიოდში მრავალ ქრონიკულ, მათ შორის სმსდ-ს ეყრება საფუძველი, რომლებიც შემდეგ ასე უხვად გვხვდება ზრდასრულებში. ამიტომ აქტუალურია მოზარდებში საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკულ არაინფექციურ დაავადებათა prevenciis მოდელის შემუშავება მტკიცებითი მედიცინის მოთხოვნათა შესაბამისად.

მოზარდობის პერიოდში ადამიანი ძალზე მგრძნობიარე ხდება გარე ფაქტორების ზემოქმედების მიმართ [14], რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ქრონიკულ დაავადებათა ფორმირებისათვის. ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქიმიური პრეპარატების ხანგრძლივად გამოყენების ტენდენციები პოლიფარმაკოთერაპიის სახით. მედიკამენტების საშუალო და დიდი დოზები ქმნის წამლისმიერი ალერგიისა და გვერდითი თანამოვლენების განვითარების მაღალ რისკს.

თანამედროვე მედიცინამ მწვავე ინფექციურ დაავადებათა მკურნალობაში დიდ წარმატებებს მიაღწია, რაშიც დიდი წვლილი ანტიბიოტიკების აღმოჩენას მიუძღვის, მაგრამ აღნიშნულმა შექმნა ახალი პრობლემები, კერძოდ, ქრონიკული დაავადებების

[1] მ. ჩიქავა მ. // ბიზნეს-ინჟინერინგი ჯანდაცვის სისტემაში და ქრონიკულ დაავადებათა პრევენციის რეინჟინერინგი. ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი". №4, 2012, გვ. 172.

გავრცელების მატება. მაგალითად, ანტიმიკრობული და სხვა საშუალებების ხშირი, გახანგრძლივებული მიღება მრავალი გასტროენტეროლოგიური და სხვა დარღვევის სათავე ხდება [15, 16, 17].

გადატანილი დაავადებების ზეგავლენა მოზარდობის პერიოდში უმეტესად ფუნქციურ დარღვევათა სახით ვლინდება [18]. ეს კი ზრდასრულ ასაკში ორგანულ დაავადებათა ჩამოყალიბების საწინდარია, რაც, რიგ შემთხვევაში, დაინვალიდებითა და ლეტალობით სრულდება და სერიოზულ სამედიცინო-სოციალურ პრობლემას ქმნის.

სმსდ მულტიფაქტორული დაავადებებია, რომელთა ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვობის ასაკში გადატანილი გასტროენტერიტები [15], ლამბლიოზი [19], ინტესტინალური ინფექციები [20], ხშირი ანგინები და რესპირაციები, ბავშვთა ინფექციური და სხვა დაავადებები, მათთან დაკავშირებით ჩატარებული ფარმაკოთერაპია [15, 21] და სხვ.

ამიტომ სმსდ-თა პრევენციის modelis Sesamu-Saveblad მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში დაავადებათა გადატანასა და ჩატარებული ფარმაკოთერაპიის შედეგად დარჩენილ არასასურველ მოვლენებსა და სმსდ-თა შორის არსებული კავშირის შეფასება მტკიცებითი მედიცინის მოთხოვნათა მიხედვით.

**მასალა და მეთოდები**. ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა სმსდ-თა ერთმომენტიანი კომპლექსური ეპიდემიოლოგიური კვლევა ავადობის აქტიური გამოვლენით 14-21 წლის მოზარდთა პოპულაციაში.

არაინფექციურ დაავადებათა სტატისტიკური შესწავლა ხორციელდება არა „გენერალური ერთობლიობის" მთლიანი გამოკვლევით, არამედ – „ნაწილობრივი" მეთოდებით. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო გამოსაკვლევი ჯგუფის წარმომადგენლობითობა (რეპრეზენტატულობა) და შემთხვევითობა, საქართველოში მცხოვრებ მოზარდთა მაგალითად შეირჩა ქ. თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლის, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლის როგორც თბილისელი, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუდენტები და მოსწავლეები.

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის მეათე მოხსენებაზე მიღებული მეთოდიკის საფუძველზე განისაზღვრა „შერჩევის ერთობლიობის" სიდიდე. გამოყენებულ იქნა „შერჩევის" მარტივი, რანდომიზებული ფორმა. სტატისტიკურად სარწმუნო მაჩვენებელთა მისაღებად გამოსაკვლევ პირთა საჭირო რაოდენობა განისაზღვრა ფორმულით [22, 25]:

$$n = t^2 * P * (100 - P) / \Delta^2,$$

სადაც n – დაკვირვებათა საჭირო რაოდენობაა;

P = 13,25% – დაავადების ეპიდემიოლოგიური გავრცელება 15-18 წლის

მოზარდებში, გამოხატული %-ში (აღებულია ლიტერატურის მონაცემი) [26].

t = 1,96 – სანდოობის კოეფიციენტი (95%-იანი სიზუსტით);

Δ = 3,25 – მაჩვენებლის ზღვრული შეცდომა.

ე. ი. $n = 1{,}96^2 * 13{,}25 * 86{,}75 / 3{,}25^2 = 418$.

ამდენად, შეირჩა 430 მოზარდი – 215 ვაჟი და 215 გოგონა, „გენერალურ ერთობლიობაში" სქესის მიხედვით არსებული განაწილების შესაბამისად. აქედან 52,4% იყო საჯარო სკოლის მოსწავლე, 21,9% – საშუალო სპეციალური, ხოლო 25,7% – უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი.

ეპიდემიოლოგიური კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად ქ. თბილისის ყველა რაიონის თითო სასწავლო დაწესებულებაში, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პოპულაციის ყველა ერთეულის შერჩევაში მოხვედრის დაახლოებით თანაბარი ალბათობა და შემთხვევითობა.

პირველ ეტაპზე მოზარდთა მიერ შევსებულ იქნა სპეციალურად შემუშავებული სკრინინგ-ანკეტები. მათ განემარტათ თუ როგორ უნდა შეევსოთ კითხვარები. მოზარდები გამოკითხვაში ნებაყოფლობით მონაწილეობდნენ. ისინი ხალისით ავსებდნენ კითხვარებს, რომლებიც თითქმის 100%-ით დაბრუნდა უკან.

გარდა ამისა, ხდებოდა მოზარდთა ინტერვიურება, რომლის დროსაც ზუსტდებოდა პასუხები და დამატებით ივსებოდა ანკეტები. შერჩეულ კონტინგენტს ჩაუტარდა ღრმა სამედიცინო შემოწმება.

გაანალიზებულ იქნა თითოეული მოზარდის ანამნეზი, სუბიექტური სიმპტომატიკა და ობიექტური გასინჯვის, აგრეთვე – ამბულატორიულ-პოლიკლინიკური კვლევის მონაცემები. რიგ შემთხვევაში, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, მოზარდებს დამატებით ჩაუტარდათ კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები, რის შედეგადაც შესწავლილი კონტინგენტიდან გამოყოფილ იქნა 84 სმსდ-ის მქონე და 346 პირობითად ჯანმრთელი (სმსდ-ის არმქონე) მოზარდი – შესაბამისად, I და II ჯგუფები.

მეორე ეტაპზე მოზარდთა მიერ შევსებულ იქნა ეპიდემიოლოგიური კვლევის სპეციალიზებული რუკა-კითხვარები, რომლებიც მოიცავდა კითხვებს მოზარდთა მიერ გადატანილი დაავადებებისა და მათ გამო ჩატარებული ფარმაკოთერაპიის შედეგად დარ-

ჩენილი არასასურველი მოვლენების შესახებ.

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა „შემთხვევა-კონტროლის“ მეთოდი. თითოეული ჯგუფის მოზარდთა შორის არსებული რისკის ფაქტორთა სიხშირე შეუდარდა ერთმანეთს. მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS, Access პროგრამული პაკეტების, Excell-ის მეშვეობით, თანამედროვე სოციომეტრული მეთოდების გამოყენებით.

რისკ-ფაქტორთა სიხშირეების გადანაწილებას შორის არსებულ განსხვავებათა შეფასების მიზნით, გამოთვლილ იქნა ორმხრივი Z კრიტერიუმი –
$Z = |P_1 - P_2| / (( P * ( 1 - P ) * ( 1/n_1 + 1/n_2 ))^{1/2}$ [24, 25]:

სადაც $n_1$ და $n_2$ – I და II ჯგუფებში მოზარდთა რაოდენობებია,

$P_1$, $P_2$ და P – I, II ჯგუფის მოზარდებსა და მთელ პოპულაციაში

რისკის ფაქტორთა ფარდობითი სიხშირეები:

$P_1 = m_1 / n_1$, $P_2 = m_2 / n_2$ და $P = m / n$;

სადაც $m_1$, $m_2$ და m – I, II ჯგუფსა და მთელ პოპულაციაში ამ ფაქტორის

მქონე მოზარდთა აბსოლუტური რაოდენობებია,

ხოლო $n_1$, $n_2$ და n – I, II ჯგუფსა და მთელ პოპულაციაში მოზარდთა აბსოლუტური რაოდენობებია.

მიღებული შედეგების დამაჯერებლობა (p) შემოწმდა ცხრილების მეშვეობით [27]. გამოთვლილ იქნა ფარდობით სიხშირეთა საშუალო ცდომილება:

$$\alpha_1 = ( P_1 * ( 1- P_1 ) / ( n_1 -1 ))^{1/2};$$
$$\alpha_2 = ( P_2 * ( 1- P_2 ) / ( n_2 -1 ))^{1/2}.$$

თითოეული რისკის ფაქტორისათვის განსაზღვრულ იქნა შანსების თანაფარდობა – OR (Odds Ratio). შანსების თანაფარდობა არის ეფექტის სიდიდის საზომი, რომელიც აღწერს ასოციაციის ძალას ორ სიდიდეს შორის [9]. ის გამოიყენება დესკრიპტულ სტატისტიკაში, სადაც ეფექტის სიდიდე არის სტატისტიკური პოპულაციის ორ ცვლად სიდიდეს შორის არსებული ურთიერთკავშირის ძალის საზომი [7].

ცვლადი სიდიდე არის რაღაც მოვლენის – E (Event) არსებობა ან არარსებობა – N (Non-event). ჩვენს შემთხვევაში მოვლენა არის სმსდ-ის არსებობა (E) ან არარსებობა (N). ამ მოვლენის არსებობა საკვლევ (მოცემული რისკის ფაქტორის მქონეთა) ჯგუფში აღინიშნება, როგორც EE (Events in Experimental group), საკონტროლო (მოცემული რისკის ფაქტორის არმქონეთა) ჯგუფში, როგორც CE (Events in Control group); ხოლო მოვლენის არარსებობა საკვლევ ჯგუფში არის EN (Non-events in Experimental group), საკონტროლო ჯგუფში – CN (Non-events in Control group) (ცხრილი 1) [9].

ცხრილი 1

| ჯგუფი / მოვლენა | მოვლენის არსებობა | მოვლენის არარსებობა |
|---|---|---|
| საკვლევი (მოცემული რისკის ფაქტორის მქონეთა) ჯგუფი | EE (Events in Experimental group) | EN (Non-events in Experimental group) |
| საკონტროლო (მოცემული რისკის ფაქტორის არმქონეთა) ჯგუფი | CE (Events in Control group) | CN (Non-events in Control group) |

სმსდ-ის არსებობის შანსი საკვლევ ჯგუფში – OE (odds in Experimental group) გამოითვლება:

$$OE = EE / EN.$$

სმსდ-ის არსებობის შანსი საკონტროლო ჯგუფში – OC (odds in control group) გამოითვლება:

$$OC = CE / CN.$$

შანსების თანაფარდობა – OR ნიშნავს საკვლევ ჯგუფში მოვლენის არსებობის – OE შანსის შეფარდებას საკონტროლო ჯგუფში მოვლენის არსებობის – OC შანსთან:

$$OR = OE / OC = (EE / EN) / (CE / CN).$$

ბავშვთა და მოზარდთა ასაკში გადატანილი დაავადებები და ჩატარებულ ფარმაკოთერაპიასა და სმსდ-ს შორის ასოცირების ძალის სიდიდეები შევაფასეთ შანსების თანაფარდობის საშუალებით და იერარქიულად წარმოვადგინეთ ამ მაჩვენებლის სიდიდის კლების მიხედვით.

სმსდ-თა განვითარებასა და რისკის ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად განსაზღვრულ იქნა კორელაციური კავშირები პირსონის კორელაციის კოეფიციენტის მიხედვით [22, 23].

$r_{xy} = \sum ( d_x * d_y ) / ( \sum d^2_x * \sum d^2_y )^{1/2}$,

სადაც x და ya შესადარებელ ვარიაციულ მწკრივთა ცვლადი ვარიანტებია,

ხოლო $d_x$ და $d_y$ – თითოეული ცვალებადი ვარიანტის გადახრა თავისი საშუალო არითმეტიკულიდან ($M_x$ და $M_y$).

კორელაციის კოეფიციენტის დამაჯერებლობის დასადგენად განისაზღვრა: საშუალო შეცდომა – $m_r = (( 1 – r_{xy}^2 ) / ( N – 2 ))^{1/2}$ და სანდოობის კრიტერიუმი – $t = r_{xy} / m_r$, რომლის დამაჯერებლობაც მოწმდებოდა ცხრილების მეშვეობით **[27]**. ნაშრომში მოყვანილია მხოლოდ სარწმუნო ($p<0,0001$) საშუალო და ძლიერი კავშირები ($r>0,3$).

**შედეგები და მათი განხილვა**. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვთა ინფექციური დაავადების

3-ზე მეტი გადატანა (OR=7,12) ყველაზე მეტადაა დაკავშირებული მოზარდებში სმსდ-თა არსებობასთან, თუმცა არსებითი კავშირია ჩვილ ასაკში გადატანილ ნაწლავთა ხანგრძლივ დისფუნქციასა (OR=4,46) და შემდგომ პერიოდში გადატანილ დაავადებებ-თანაც, როგორიცაა: ჭიებით ინვაზია (OR=4,39), ლამბლიოზი (OR=4,32), აგრეთვე – ხშირი კვები-თი მოწამვლები (OR=3,25), მწვავე ნაწლავური ინ-ფექციები (OR=2,79). შედარებით სუსტი კავშირია ხშირ ანგინებსა და (OR=1,98) და სასუნთქი სისტე-მის ინფექციებთან (OR=1,98), ვირუსულ ჰეპატიტ-თან (OR=1,82) (დიაგრამა 1, ცხრ. 2)

საბოლოო ჯამში, მოზარდის მიერ გადატანილი დაავადებები ასოცირებულია სმსდ-თან I ჯგუფის მოზარდთა 41,7±5,4%, ხოლო II ჯგუფის მოზარდთა 18,8±2,1%-ში (p<0,0001)–OR=3,09 (ცხრილი 2).

დიაგრამა 1

**მოზარდის მიერ გადატანილი დაავადებების სმსდ-თან ასოცირების დონეები შანსების თანაფარდობის მაჩვენებლის (OR) მიხედვით**




1) ბავშვთა 3-ზე მეტი ინფექციური დაავადების გადატანა; 2) ერთ წლამდე ასაკში გადატანილი ნაწ-ლავთა ხანგრძლივი დისფუნქცია; 3) ჭიებით ინვაზია; 4) ლამბლიოზი; 5) ხშირი კვებითი მოწამვლები; 6) მწვავე ნაწლავური ინფექციები; 7) ხშირი ანგინები; 8) სასუნთქი სისტემის ხშირი ინფექციები; 9) მწვავე ვირუსული ჰეპატიტი.

ცხრილი 2

**გადატანილი დაავადებების სიხშირეთა განაწილება და შანსების თანაფარდობები**

| რისკის ფაქტორები | სიხშირეთა განაწილება (%) | | Z | P | OR |
|---|---|---|---|---|---|
| | I ჯგუფი | II ჯგუფი | | | |
| გადატანილი დაავადებები | 41,7 ± 5,41 | 18,8 ±2,1 | 4,45 | <0,0001 | 3,09 |
| 1. ბავშვთა ინფექციები (3-ზე მეტი) | 30,8 ± 5,1 | 5,88 ±1,3 | 6,61 | <0,0001 | 7,12 |
| 2. 1 წლამდე ასაკში ნაწლავთა ხანგრძლივი დისფუნქცია | 17,9 ± 4,2 | 4,66±1,1 | 4,18 | <0,0001 | 4,46 |
| 3. ჭიებით ინვაზია | 9,52 ± 3,2 | 2,34 ±0,8 | 3,1 | 0,001 | 4,39 |
| 4. ლამბლიოზი | 7,14 ± 2,8 | 1,75 ± 0,7 | 2,67 | 0,0038 | 4,32 |
| 5. ხშირი კვებითი მოწამვლები | 42,3 ± 5,4 | 18,4 ± 2,1 | 4,67 | <0,0001 | 3,25 |
| 6. მწვავე ინტესტინური ინფექციები | 15,0 ± 4,0 | 5,95 ±1,3 | 2,74 | 0,0031 | 2,79 |
| 7. ხშირი ანგინები | 16,7 ± 4,1 | 9,2 ± 1,6 | 1,99 | 0,0233 | 1,98 |
| 8. ხშირი რესპირაციები | 35,7 ± 5,3 | 22,8 ±2,3 | 2,44 | 0,0073 | 1,88 |
| 9. მწვავე ვირუსული ჰეპატიტი | 14,3 ± 3,8 | 8,38 ±1,5 | 1,66 | 0,0495 | 1,82 |

პირსონის კორელაციის კოეფიციენტის მიხედვით, ყველაზე ძლიერი კორელაცია გამოვლინდა სმსდ-სა და ანამნეზში ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა რაოდენობას შორის (r=0,56).

ანტიბიოტიკებისა და ჰორმონების გახანგრძლივებული მიღება, პირველ რიგში, კუჭ-ნაწლავის ტრაქტს აზიანებს. ანტიბიოტიკების ხშირი მიღება ხელს უწყობს ნაწლავის ნორმალური მიკროფლორის დარღვევას, საჭმლის მომნელებელი სისტემის კანდიდოზის განვითარებას, ალერგიული რეაქციების პროვოცირებას, იმუნიტეტის დაქვეითებას და ა. შ. ნაწლავთა პარაზიტული დაავადებების გამო ხშირად ინიშნება ანტიპროტოზოული საშუალებები, რომლებიც ასევე აზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს.

წვრილ ნაწლავში მიმდინარე იმუნოლოგიური პროცესები მჭიდრო კავშირშია ნაწლავის მიკროფლორასთან. ნაწლავის ნორმალური ფლორის ანტიგენური მოქმედება ხელს უწყობს ნაწლავში ადგილობრივი იმუნიტეტის ფორმირებას. წვრილი ნაწლავის ლორწოვანში 400000/მმ²-მდე იმუნოკომპეტენტური უჯრედია. პეიერის ფოლაქებში ფოლიკულის ცენტრში განლაგებულია B ლიმფოციტები, პერიფერიაზე კი – T ლიმფოციტები. წვრილი ნაწლავის იმუნოკომპეტენტური უჯრედების 70-80% წარმოდგენილია IgA, 20-22% – IgM და 4% – IgG უჯრედებით.

სანერწყვე ჯირკვლები, წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსი მხოლოდ სეკრეტორულ IgA-ს შეიცავს, რომელიც ხვდება სეკრეტირებულ სითხეებში: ნერწყვში, ნაწლავის წვენში. დამტკიცებულია მჭიდრო კავშირი მლივ ნაწლავში ცალკეული იმუნოგლობულინების სეკრეციასა და წვრილი ნაწლავის მიკროფლორას შორის, რომლის მკვეთრი დარღვევისას ხშირად აღინიშნება იმუნოგლობულინების უფრო გამოხატული მატება, ვიდრე ეუბიოზის დროს. ნაწლავებში გაძლიერებული ბაქტერიული გამრავლება იწვევს ადგილობრივ იმუნოლოგიურ რეაქცის, რომელიც ნაწლავის სანათურში იმუნოგლობულინების სეკრეციის გაძლიერებით ვლინდება.

წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსში წარმოქმნილი იმუნოგლობულინები განაპირობებს ადგილობრივ ქსოვილოვან იმუნიტეტს და მოქმედებენ ნაწლავში არსებული ბაქტერიული, კვებითი და სხვ. ანტიგენებზე. მემკვიდრეობითი მიდრეკილების არსებობის შემთხვევაში, საჭმლის მომნელებელ სისტემაზე დამზიანებელი ზეგავლენა უფრო მეტი სიმძაფრით ვლინდება.

ნაწლავის ლორწოვანი გარსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზმის ზოგადიმუნურ დაცვაში. საკვებთან ერთად ანტიგენების ნაწლავებში მოხვედრისას იმუნოგლობულინები წარმოიქმნება ადგილობრივად – წვრილ ნაწლავში, ხოლო როცა ანტიგენი ნაწლავის სანათურიდან ჯორჯლის კვანძების მეშვეობით სისხლძარღვთა ქსელში მოხვდება, მაშინ ადგილი აქვს ზოგადიმუნური დაცვის მექანიზმების ჩართვას.

გადატანილი დაავადებები, მიღებული მედიკამენტები და ტროფოალერგენები აქვეითებს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის იმუნოლოგიურ სტატუსს. კუჭ-ნაწლავის ტრაქტში იმუნოგლობულინების არასაკმარისი სინთეზი (სპეციფიკური იმუნური დეფიციტი) შეიძლება გახდეს მორეციდივე დიარეის, მალაბსორბციის სინდრომისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა დაავადებათა განვითარების მიზეზი.

ნაწლავებში იმუნოლოგიური რეაქციების გაძლიერება ხშირ შემთხვევებში დაკავშირებულია ანტიბიოტიკებისა და სულფანილამიდური პრეპარატების არარაციონალურ გამოყენებასთან, რაც ხელს უწყობს მედიკამენტური ალერგიის განვითარებას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სმსდ-ის მქონე მოზარდთა 20,0±4,5%-ს აღენიშნება კვებითი, მედიკამენტური ალერგია (OR = 2,9); 35,0±5,37%-ს – მედიკამენტების ხშირი და ხანგრძლივი მიღება (OR = 1,9); 6,2±2,7%-ს – ორივე ერთდროულად. ჯამში, აღნიშნული ეგზოგენური ფაქტორების კავშირი სმსდ-თან I ჯგუფში – 48,8±5,62%-ში ხოლო II ჯგუფში – 27,2±2,4%-ში ($p<0,0001$) ვლინდება – OR = 2,55 (ცხრილი 3, დიაგრამა 2). სმსდ-თა განვითარებასა და კვებით, მედიკამენტურ ალერგიას შორის საშუალო კორელაციაა (r=0,42).

ამრიგად,ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოზარდთა შორის სმსდ-თა არსებობის შანსი მით მეტია,რაც მეტი ბავშვთა ინფექციური დაავადება აქვს მას გადატანილი (OR=7,12; r=0,56). გარდა ამისა, სმსდ ხშირად დაკავშირებულია ჩვილ ასაკში გადატანილ ნაწლავთა ხანგრძლივ დისფუნქციასა (OR=4,46) და შემდგომ პერიოდში გადატანილ დაავადებებთანაც (OR=1,82-4,39). ესენია: ჭიებით ინვაზია, ლამბლიოზი, ხშირი კვებითი მოწამვლები, მწვავე ნაწლავური ინფექციები, აგრეთვე – ხშირი ანგინები და სასუნთქი სისტემის ინფექციები, ვირუსული ჰეპატიტი.

ბავშვობაში ჩატარებული ხშირი,ხანგრძლივი ფარმაკოთერაპია სმსდ-თა განვითარების საკმაო შანსს ქმნის (OR = 2,55). მოზარდებში სმსდ-თა არსებობა საშუალოდ კორელირებს კვებით, მედიკამენტურ ალერგიასთან (r=0,42).

ცხრილი 3

**ეგზოგენური ფაქტორების სიხშირეთა განაწილება და შანსების თანაფარდობები**

| რისკის ფაქტორები | სიხშირეთა განაწილება (%) | | Z | p | OR |
|---|---|---|---|---|---|
| | I ჯგუფი | II ჯგუფი | | | |
| ეგზოგენური ფაქტორები | 48,8 ± 5,62 | 27,2 ± 2,39 | 3,75 | <0,0001 | 2,55 |
| 1. კვებითი, მედიკამენტური ალერგია | 20,0 ± 4,5 | 7,94 ± 1,45 | 3,22 | 0,0006 | 2,9 |
| 2. მედიკამენტების ხშირი და ხანგრძლივი მიღება | 35,0 ± 5,37 | 22,1 ± 2,24 | 2,42 | 0,0078 | 1,9 |

დიაგრამა 2

ეგზოგენური ფაქტორების სიხშირეები (%)
I ჯგუფის მოზარდებში




1. კვებითი, მედიკამენტური ალერგია (20%); 2. მედიკამენტების ხშირი, ხანგრძლივი მიღება (35%); 3. ორივე ფაქტორი ერთად (48,8%).

ასე რომ, ქრონიკულ, კერძოდ, საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკულ დაავადებათა პრევენციისათვის მნიშვნელოვანი რგოლია ბავშვებში ინფექციურ და პროტოზოულ დაავადებათა დროული პროფილაქტიკა და მათი ფარმაკოთერაპიის ოპტიმიზაცია. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას მკურნალობის ალტერნატიული მეთოდები, მაგალითად, ჰომეოპათია. ჰომეოპათიური პრეპარატების გამოყენება შესაძლებელია ხშირად და ხანგრძლივად, გვერდითი მოვლენებისა და ალერგიის განვითარების გარეშე.

ბავშვებსა და მოზარდებში მწვავე დაავადებათა პრევენციისა და მათი რაციონალური ფარმაკოთერაპიისათვის ზრუნვა სმსდ-თა პრევენციის მნიშვნელოვანი რგოლია, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ქრონიკულ დაავადებათა პრევენციის რეინჟინერინგის განხორციელების დროს.

## ლიტერატურა:


1. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი – საქართველო, 2010. NCDC. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. // თბილისი, 2011.
2. Печкуров Д. В. // Эпидемиология гастроэнтерологических заболеваний у детей: достоверность ретроспективного анализа. Педиатрия, 2004, 2, 22-23.
3. И. В.Кузьмин. // Реинжиниринг управления в визуализационной медицине. 1996. http://oncodome.narod.ru/re-ingineering.htm
4. Davide Festi, Eleonora Scaioli, Fabio Baldi, Amanda Vestito, Francesca Pasqui, Anna Rita Di Biase, and Antonio Colecchia. // Body weight, lifestyle, dietary habits and gastroesophageal reflux disease. World J Gastroenterol. 2009 April 14;15(14):1690–1701.
5. Dent J, El-Serag HB, Wallander MA, Johansson S. // Epidemiology of gastro-oesophageal reflux disease: a systematic review. Gut. 2005;54:710–717.
6. Dr. Guarner, Ms Lázaro, Ms Gascón, Ms Royo, Dr. Eximan, Dr. Herrero. // MAP OF DIGESTIVE DISORDERS & DISEASES (MDD). http://www.worldgastroenterology.org/assets/downloads/pdf/wdhd/2008/events/map_of_digestive_disorders_2008.pdf
7. Effect size. 21 January 2013. http://en.wikipedia.org/wiki/Effect_size
8. Landau DA, Goldberg A, Levi Z, Levy Y, Niv Y, Bar-Dayan Y. // The prevalence of gastrointestinal diseases in Israeli adolescents and its association with body mass index, gender, and Jewish ethnicity. 1: J Clin Gastroenterol. 2008 Sep; 42(8):903-9.
9. Odds ratio. 29 January 2013. http://en.wikipedia.org/wiki/Odds_ratio
10. Wasim Jafri, Javed Yakoob, Nadim Jafri, Muhammad Islam, Qazi Masroor Ali // Frequency of irritable bowel syndrome in college students. J Ayub Med Coll Abbottabad 2005;17(4).
11. А.И. Иванов, И.В. Сударев, В.Г. Гандель, Л.В. Удалова, А.В. Кузьменко, Д.А. Иванова. РЕИНЖИНИРИНГ УЧРЕЖДЕНИЙ ЗДРАВООХРАНЕНИЯ – НОВАЯ ТЕХНОЛОГИЯ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ УПРАВЛЕНИЯ КАЧЕСТВОМ МЕДИЦИНСКИХ УСЛУГ. ВЕСТНИК РОССИЙСКОЙ АКАДЕМИИ ЕСТЕСТВЕННЫХ НАУК . 2012/1
12. Riedel JE, Lynch W, Baase C, Hymel P, Peterson KW. The effect of disease prevention and health promotion on workplace productivity: a literature review. *American Journal of Health Promotion*. 2001; 15(3): 167-191.
13. The Burden of Chronic Disease on Business and U.S. Competitiveness. Excerpt from the 2009. Almanac of Chronic Disease. http://www.prevent.org/data/files/News/pfcdalmanac_excerpt.pdf
14. Левина Л. И. // Подростковая медицина. Санкт – Петербург, 1999, 299.
15. Ruiqomez A, Garcia Rodriguez LA, Panes J. // Risk of irritable bowel syndrome after an episode of bacterial gastroenteritis in general practice: influence of comorbidities. Clin. Gastroenterol. Hepatol. 2007 Apr; 5(4):465-9.
16. Maxwell PR, Rink E, Kumar D, Mendall MA. // Antibiotics increase functional abdominal symptoms. Gastroenterol. 2002 Jan; 97(1):104-8.
17. McOmber MA, Shulman RJ. // Pediatric functional gastrointestinal disorders. Nutr Clin Pract. 2008 Jun-Jul;23(3):268-74. [PubMed].
18. Grazioli B et al // Giardia lamblia infection in patients with irritable bowel syndrome and dyspepsia: a prospective study. World J Gastroenterol. 2006 Mar 28; 12(12):1941-4.
19. Marshall JK, Thabane M, Garg AX, Clark WF, Salvadori M, Collins SM. // Incidence and epidemiology of irritable bowel syndrome after a large waterborne outbreak of bacterial dysentery. Gastroenterology. 2006 Aug; 131(2):445-50 [PubMed].
20. Maxwell PR, Rink E, Kumar D, Mendall MA. // Antibiotics increase functional abdominal symptoms. Gastroenterol. 2002 Jan; 97(1):104-8.
21. Социальная гигиена и организация здравоохранения. М., „Медицина,'' 1984. // Под ред. Серенко А. Ф., Ермакова В. В.
22. James F. Jekel, David L. Katz, Joann G. Elmore, Dorothea M. G. Wild. // Epidemiology, Biostatistics and Preventive Medicine (third edition). Saundes, Elsevier. 2007.
23. Закс Л. // Статистическое оценивание. Москва, „Статистика,'' 1976.
24. JP Baride, AP Kulkarni, RD Muzumdar. // Manual of Biostatistics. New Delhi, 2003.

25. სხვიტარიძე ა., // მოზარდებში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა სიხშირე, ხელშემწყობი ფაქტორები, პროფილაქტიკის გზე-ბი და კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი. დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, 2004.
26. ყვავილაშვილი ჯ.,// მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, II, (გაზომვა და სტატისტიკა), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1990.

***Medea Chikava,****full professor*
***Tamar Tsintsadze,****full professor*

## RATIONAL PHARMACOTHERAPY IN CHILDREN AND ADOLESCENS AS IMPORTANT PART OF CHRONIC DISEASEPREVENTION

## SUMMARY

Under modern conditions, it is possible to ensure the maximum efficiency of chronic disease prevention management through business processes engineering, which should start byreengineering implementation. The scientificalmodel of disease prevention is necessary to develop for this.

The old diseases have animportantimpact on the formation of Digestive Disorders (DD). That's why the relationship between DDand old diseases, adverse events of their pharmacotherapyis necessaryto study by the requirements of evidence based medicine.

One phase epidemiological research was conducted in 430 adolescents aged 14-21 years, selected by the method of simple randomization. The two groups were separated from the research contingent: 84 adolescents with DD and 346 conditionallyhealthyadolescents. The risk factors were ranked by decreasing of Odds Ratio (OR) values.

It was found thatchildren's infectious diseases most of all have impact on the development of DD (OR=7,12; r=0,56).Prolonged intestinal disfunction till the age of one year (OR =4,46) and old diseases that adolescents suffered from after one year age (OR=1,82-4,39) are often related with DD. The pharmacotherapy conducted in childhood makes some odds for DD formation (OR=2,55).The medicamentous allergies have average correlation with the presence of DD among adolescents (r=0,42). It is necessary to care forprevention of acute illness and their rational pharmacotherapy in children and adolescents, while implementing disease prevention reengineering.

# ბანკები და ფინანსები

## მმართველობითი აღრიცხვის სწავლების ზოგიერთი საკითხი

*თინა ჯოლბორდი, ასოცირებული პროფესორი*
*თამარ როსტიაშვილი, სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები მჭიდრო კავშირშია საერთაშორისო ეკონომიკურ მოვლენებთან. ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის პირობებში ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკამ მოითხოვა ადეკვატური თეორიის შექმნა. გაჩნდა საჭიროება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო მოდელის შექმნისა, რომელიც მოემსახურება საერთაშორისო ბიზნესს. შემუშავდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც საერთოა მათზე ხელმომწერი ყველა ქვეყნისთვის. შეიქმნა სათანადო ლიტერატურა ფინანსურ აღრიცხვაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. ბუღალტრული აღრიცხვის დაყოფამ ფინანსურად და სამმართველოდ მკვეთრად გამიჯნა მათი ფუნქციები. ფინანსურ აღრიცხვა ემსახურება ინფორმაციის გარე მომხმარებელს, მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვა ემსახურება ინფორმაციის შიდა მომხმარებელს. ფინანსური აღრიცხვისაგან განსხვავებით, მმართველობით აღრიცხვაში მწირია ლიტერატურა ქართულ ენაზე, შესაბამისად ნაკლებია გამოკვლევები ამ სფეროში. კერძოდ, ზოგიერთ სახელმძღვანელოში საერთოდ არაა პასუხისმგებლობის ცენტრების აღრიცხვის საკითხი, რომელიც საფუძვლად უდევს მენეჯერულ აღრიცხვას, ასევე განსხვავებულია ზედნადები ხარჯების აღრიცხვის და განაწილების მეთოდიკა და მათი კავშირი პასუხისმგებლობის ცენტრებთან, საჭიროა მათი კომპლექსური გამოკვლევა და შესაბამისი თეორიული ბაზის შექმნა პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

ჩვენი აზრით, მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვის სწავლება უნდა დაიწყოს დანახარჯთა პასუხისმგებლობის ცენტრების აღრიცხვის შესწავლით, რადგან იგი უშუალოდ ასახვს მენეჯერული აღრიცხვის სისტემას, სადაც ყველა საკითხი კომპლექსურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაგეგმვის, აღრიცხვის და ანალიზის ერთერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს დანახარჯების დაჯგუფება მათი წარმოშობის ადგილების (წარმოება, საამქრო, უბანი) მიხედვით. დანახარჯების ადგილის განსაზღვრა საშუალებას იძლევა, მმართველობით აღრიცხვაში განისაზღვროს პასუხისმგებლობის ცენტრები და ამის მიხედვით შესაბამისად მოითხოვოს პასუხისმგებლობის ანგარიშგება. ამ მხრივ საზღვარგარეთ არსებობს აპრობირებული პრაქტიკა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ქართულ სინამდვილეში.

პასუხისმგებლობის ცენტრი, ესაა საწარმოს ნაწილი ან მისი ფუნქცია, საქმიანობა ან დანადგარის ნაწილი, რომელიც აღრიცხვაში გამოყოფილია მისი საქმიანობის კონტროლის მიზნით. პასუხისმგებლობის ცალკეულ ცენტრებში ხორციელდება დანახარჯები და იწარმოება პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება). ყველა ცენტრის დანახარჯები კონტროლდება ცენტრის მენეჯერის მიერ. ამრიგად, საწარმო, კომპანია შეიძლება განვიხილოთ როგორც მასში შემავალი ცალკეული განყოფილებების ერთობლიობა, რომელთაგან თითოეული ახორციელებს საქმიან ფუნქციებს. მაგალითად, კომპანია და მისი შემადგენელი სტრუქტურული განაყოფები ცალკე პასუხისმგებლობის ცენტრებად შეიძლება გამოიყოს. ზოგადად, ფირმის ცალკე ფუნქციონალური არეების აღსანიშნავად მრავალი ცნება იხმარება, განყოფილება (დეპარტამენტი), ქვეგანაყოფი, შიდა ერთეული, ფილიალი, მაღაზია, სექცია, პროდუქტის ხაზი და სხვა. ცალკეულ განყოფილების საქმიანობას სხვადასხვა მენეჯერები ხელმძღვანელობენ. ისინი პასუხისმგებელი არიან მათ დაქვემდებარებაში მყოფი განყოფილების საქმიანობის შედეგებზე. მთავარი მენეჯერი კი პასუხისმგებელია მათი ფირმის და მთელი განყოფილების საქმიანობის ერთობლივ

შედეგებზე. შესაბამისად, ფირმის ცალკეული განყოფილება შეიძლება განვიხილოთ როგორც ცალკე მენეჯერთა პასუხისმგებლობის არეები, ანუ პასუხისმგებლობის ცენტრები. ამასთან, ცალკეული პასუხისმგებლობის ცენტრები შეიძლება განვიხილოთ როგორც უფრო "მცირე" პასუხისმგებლობის ცენტრების ერთობლიობა. მაგალითად უნივერმაღი, მისი ცალკეული განყოფილებები, სექციები შეიძლება წარმოადგენდეს ცალკეულ პასუხისმგებლობის ცენტრებს.

ფირმაში არსებული განყოფილებების ერთი ნაწილი უშუალოდ ჩართულია ფირნმის ძირითად საქმიანობაში, ხოლო მეორენი ეხმარებიან მათ. პირველი ტიპის განყოფილებებს "სახაზო", მეორეს კი საშტაბო, ანუ სერვისული განყოფილებები ეწოდება. თითოეულმა განყოფილებამ ცალკე უნდა მოამზადოს სააღრიცხვო ინფორმაცია. ასეთ სააღრიცხვო სისტემას პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით აღრიცხვის სისტემა ეწოდება. იგი შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას გულისხმობს: 1) ცალკეული განყოფილებების (პასუხისმგებლობის ცენტრების) მიხედვით ბიუჯეტების შემუშავება. ბიუჯეტი მთელი ფირმის და მისი განყოფილებების გეგმაა ფულად გამოხატულებაში. 2) ცალკეულ პასუხისმგებლობის ცენტრების საქმიანობის სააღრიცხვო ინფორმაციის მომზადება. 3)ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება,სადაც მათი შემოსავლების და ხარჯების გეგმიური და ფაქტიური მონაცემები შეუდარდება ერთმანეთს. მათი აღრიცხვა უნდა იწყებოდეს ყველაზე დაბალი დონიდან, რომელთა საფუძველზე მენეჯერს შეუძლია შეაფასოს ცალკეული განყოფილებების (პასუხისმგებლობის ცენტრების) მიხედვით ბიუჯეტების შესრულება.

დანახარჯთა ცენტრის შერჩევა დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ და სხვა თავისებურებებზე, აგრეთვე იმ მიზნებსა და ამოცანებზე რომელიც დგას საწრმოს ხელმძღვანელობის წინაშე.

დანახარჯთა ცენტრების ცნება უნდა განვიხილოთ პასუხისმგებლობის ანგარიშგებასთან მიმართებაში. პასუხისმგებლობის ანგარიშგება არის ანგარიშგების სისტემა,რომლის მიზანია ბიზნესის ინდივიდუალური ნაწილების დადგენა, რომელზეც ცალკეული მენეჯერია პასუხისმგებელი.

პასუხისმგებლობის ცენტრი — საქმიანობის ინდივიდუალური ნაწილია, რომელსაც ხელმძღვანელობს მენეჯერი და პასუხისმგებელია მის მუშაობაზე. პასუხისმგებლობის ცენტრები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად: დანახარჯთა ცენტრები, შემოსავლების ცენტრი, მოგების ცენტრი და ინვესტიციების ცენტრი.

დანახარჯთა ცენტრი — არის წარმოებისან მომსახურების ადგილი, ფუნქცია, საქმიანობა ან დანადგარის ნაწილი,რომელთა მიხედვით შეიძლება დანახარჯები დაჯგუფება და დანახარჯთა ერთეულებზე მიკუთვნება.

შემოსავლების ცენტრი — მიმართულია შემოსავლების გაზრდაზე. მისი მენეჯერი პასუხისმგებელია მხოლოდ შემოსავლების გაზრდაზე.

ინვესტიციების ცენტრი მოგების ცენტრია, რომლის შეფასება ხდება გამოყენებულ კაპიტალზე ამონაგების სახით. მოხმარებული კაპიტალის გამოთვლა ხდება ფორმულით:

$$\text{მოხმარებული კაპიტალის ამონაგები} = \frac{\text{მოგება}}{\text{გამოყენებული კაპიტალი}}$$

მოგების ცენტრი პასუხისმგებელია განყოფილების დანახარჯებზე, შემოსავლებზე და მოგებაზე.

დანახარჯთა ცენტრი ბამბეულის მწარმოებელ კომპანიაში შეიძლება იყოს საწყობები, საამქროები, მარკეტინგის განყოფილება, ბუღალტერია, კანცელარია და სხვა. დანახარჯთა ცენტრი ასევე შეიძლება იყოს თითოეული დანადგარი რომელზეც მზადდება ქსოვილი. სავტომობილო მრეწველობის კომპანიაში დანახარჯთა ცენტრი შეიძლება იყოს: ცალკეული განყოფილებები (დეპარტამენტები), საწყობები, საამქროები, თითოეული დანადგარი, ავტომობილი და სხვა. სხვადასხვა დარგის საწარმოს სხვადასხვა დანახრჯთა ცენტრები აქვს.

დანახარჯთა ცენტრზე პასუხისმგებელია მენეჯერი ბიუჯეტის (გეგმის) შესრულებასა და გადაჭარბებაზე.

შემოსავლების ცენტრის მენეჯერი პასუხს აგებს როგორც მთლიანი შემოსავლების ზრდზე, ისე შემოსავლის სიდიდეზე პროდუქციის ერთეულზე.

მოგების ცენტრზე პასუხისმგებელი მენეჯერის საქმიანობა შეფასდება მოგების ზრდით, ამასთან იგი კონტროლს უწევს დანახარჯების შემცირებას და მოგების ზრდას.

საინვესტიციო ცენტრზე პასუხისმგებელი მენეჯერი პასუხისმგებელია შემოსავლებზეც, ხარჯებზეც და ინვესტიციებიდან მიღებული უკუგების ზრდაზეც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტროლი დანახარჯების ეფექტიანობაზე.

პასუხისმგებლობის ცენტრში მნიშვნელოვანია საბიუჯეტო კონტროლი და პასუხისმგებლობის ანგარიშგება.ეს ორი ცნება ერთმანეთისგან განუყოფელია. კონტროლის სისტემის მოსაწყობად უნდა მომზადდეს ორგანიზაციის სქემა, რომელიც მკაფიოდ უნდა ასახავდეს ორგანიზაციის სტრუქტურას, რად-

გან მენეჯერისთვის კარგად იყოს გამოკვეთილი პასუხისმგებლობის სფერო და უფლებამოსილება., რათა მიიღოს გადაწყვეტილებები ამ სფეროში. თითოულ პასუხისმგებლობის ცენტრს უნდა ჰქონდეს თავისი ბიუჯეტი და პასუხს აგებდეს მის შესრულებაზე. ანუ კონტროლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციაში ზუსტად იყოს განსაზღვრული, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამა თუ იმ უბანზე.

ყველა დონის მენეჯერმა უნდა იცოდეს თუ რაზეა იგი პასუხისმგებელი და რა არის მისი პასუხისმგებლობის მიღმა. კონტროლის პროცესი ხელს უწყობს ფინანსური რესურსების სწორად გადანაწილებასაც. მაგალითად, თუ საწარმოში მარკეტინგის განყოფილებამ იმუშავა ცუდად ამის გამო ბუღალტერიას მოუწია უქმე დღეებში მუშაობა, მაშინ ამ დღეების დანახარჯები უნდა აანაზღაუროს მარკეტინგის განყოფილებამ. თუ განვიხილავთ საწარმოს სტრუქტურას, რომელსიც შედის ბუღალტერია, კანცელარია, მარკეტინგის განყოფილება, წარმოების განყოფილება, ტექნიკური მომსახურებიოს განყოფილება,მზა პროდუქციის საწყობი, მომარაგების საწყობი,და სამი საამქრო, თითოეული წარმოადგენს საწარმოს პასუხისმგებლობის ცენტრებს. აღნიშნულ სტრუქტურაში

ბუღალტერია და კანცელარია წარმოადგენენ დანახარჯთა ცენტრებს, რადგან ისინი მოგებას არ გამოიმუშავებენ. ამიტომ მათთვის დგება გეგმური ხარჯთნუსხები, ბიუჯეტები, რომელთაც თვის ბოლოს შეუდარებენ ფაქტიურ ხარჯებს და მათ შორის გადახრებზე აგებენ პასუხს. პასუხისმგებლობის ცენტრების ფუნქციონერების საფუძველს წარმოადგენს ფაქტიური ხარჯების შედარება ხარჯთნუსხით გათვალისწინებულ ხარჯებთან. ხარჯთნუსხა წარმოადგენს ფინანსურ გეგმას პასუხისმგებლობის ყოველი ცენტრისათვის. მისი შედგენის დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის ხარჯები,რომელიც კონტროლდება შესაბამისი ცენტრების მიერ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი მყარი ხარჯთნუსხის გამოყენებას, რომელიც შესაძლებლობს იძლევა გადაანგარიშებულ იქნეს მოსალოდნელი დანახარჯები ფაქტიურად წარმოებული პროდუქციის მიმართ.

მარკეტინგის და წარმოების განყოფილებები შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც მოგების ცენტრები, თავის მხრივ ისინი შედგებიან სხვა პასუხისმგებლობის ცენტრებისაგან. წარმოების განყოფილება შედგება: მომარაგების და მზა პროდუქციის საწყობებისაგან, სამი საამქროსგან, რომელთაგან საწყობები დანახარჯთა ცენტრებია, საამქროები კი მოგების ცენტრები. მარკეტინგის განყოფილება შედგება: მარკეტინგის მენეჯერების დეპარტამენტისაგან. ასევე დანახარჯთა ცენტრია ტექნიკური მომსახურების განყოფილება. საამქროების უფროსები პასუხს აგებენ მოგებაზე (შემოსავლებსა და ხარჯებზე), საწყობებს და ტექნიკური მომსახურების განყოფილებას კი აქვთ თავისი ბიუჯეტები და გაწევენ დანახარჯებს: ხელფასის, კომუნიკაციის,კომუნალური მომსახურების ხარჯების და ა. შ. ვინაიდან ისინი არ ქმნიან პროდუქციას, არამედ ემსახურებიან მხოლოდ წარმოების სფეროს, თვის ბოლოს მათი ხარჯებიც უნდაშეიტანონ პროდუქციის თვითღირებულებაში. ეს ხარჯები,როგორც ზედნადები ხარჯები გარკვეული მექანიზმებით გადანაწილდება სამივე საამქროზე და შეიტანება გამოშვებული მზა პროდუქციის თვითღირებულებაში. ხარჯების განაწილების მექანიზმი შემდეგია: საწყობებს და ტექნიკური მომსახურების განყოფილებები თვის ბოლოს დაითვლიან ხარჯებს, ამასთან ტექნიკური მომსახურების განყოფილება თავის ხარჯებს გადაუნაწილებს საამქროებს იმ საათების პროპორციულად რამდენ საათსაც მოემსახურა მათი ინჟინერი ამ საამქროებს. ასევე გაიანგარიშება მომარაგების საწყობის დანახარჯები, მათ მიერ თითოეულ საამქროზე მიწოდებული ნედლეულის და მასალების რაოდენობის რაოდენობის პროპორციულად გადაანაწილებს მათ ხარჯებს. შესაბამისად, მზა პროდუქციის საწყობის დანახარჯებიც გადანააწილდება საამქროებზე — თითოეული საამქროდან მიღებული მზა პროდუქციის რაოდენობის მიხედვით. შესაბამისად დგება მათი მენეჯერების მიერ პასუხისმგებლობის ანგარიშგება ზემდგომი მენეჯერისადმი, საერთო ჯამს კი აკეთებს მთავარი მენეჯერი.

პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით აღრიცხვის და კონტროლის კონცეფცია მოიცავს მენეჯერული აღრიცხვის ძირითად თავისებურებებს, ითვალისწინებს კომპანიის სტრუქტურის თითოეულ უბანზე აღრიცხვის და კონტროლის ოპტიმალურად მოწყობის მექანიზმს, რათა კომპანიამ იმუშაოს ეფექტიანად. ამრიგად, მიგვაჩნია, რომ პასუხის-

მგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯების აღრიცხვა ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია და მის სწავლებას სათანადო ადგილი უნდა ეჭიროს ამ დისციპლინაში. იგი უშუალოდ უკავშირდება ზედნადები ხარჯების აღრიცხვას და განაწილებას პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით. ამასთან ეკონომიკურ ლიტერატურაში სათანადოდ შესასწავლია ზედნადები ხარჯების განაწილების ბაზის შერჩევის და განაწილების მექანიზმის თეორია და პრაქტიკა. ჩვენი აზრით, ზედნადები ხარჯები უნდა შეისწავლებოდეს დანახარჯთა ცენტრების აღრიცხვასთან მჭიდრო კავშირში და მოიძებნოს მისი გაუმჯობესების გზები, რაც დადებითად წაადგება სამმართველო აღრიცხვის თეორიას და პრაქტიკას.

**ლიტერატურა**:


1. მენეჯერული აღრიცხვა. კონსპექტი მენეჯერთა საბაზო სერთიფიცირებული პროგრამის მსმენელთათვის. TBS&ESM თბილისი 2003-2004.
2. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის. საერთ. პრაქტიკა, სახელმძღვანელო ACCA, წიგნი 1.2., ბაფ. 2003.
3. ჩადუნელი ო. მმართველობითი აღრიცხვა. თბ; გამომც. "ცოტნე"2005.
4. ჭილაძე ი. მმართველობითი აღრიცხვა. თეორია და პრაქტიკა. თბ., ეროვნული მწერლობა"თბ., 2008.


## SUMMARY


Cost Accounting Department is responsible for the registration exercise to begin the study, because of the reflection of responsibility centers in management accounting system, where all the complex issues connected with each other.

Responsibility center - the part of an individual who intends to work with the manager and responsible. Responsibility centers can be divided into the following groups: Cost centers, profit centers, Profit center and investment center.

Responsibility centers, according to the tracking system includes the following major tasks:

1) according to the individual departments to develop budgets;

2) Preparation of individual responsibility centers saaghriotskhvo information;

3) Preparation of budget execution report.

Budgetary control and responsibility are important centers of pasuismgeblobis accounts. Responsibility centers, according to one account - one of the most important issues. It is directly connected to the overhead cost accounting and responsibility centers according ganatsilebas.

Properly studied theory and practice overhead costs overhead costs ganatsilebis basis of selection should be in close contact with sheistsavlebodes Cost center accounting and ways for improvement, The positive effect of accounting theory and practice.

# ბუღალტრული დამწერლობა და მისი უნიფიკაცია

*ნინო ჭელიძე*
*სადაზღვევო კომპანიის გაკოტრების კომისიის წევრი*

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგებიანობის რეგულირების თანამედროვე საერთაშორისო პროცესები ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სულ უფრო ფართოდ გავრცელებით ხასიათდება.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების უნიფიკაციის პროცესი ხელს უწყობს ანგარიშგებიანობის გამჭვირვალობას და კომპანიებში არსებული ეკონომიკური სიტუაციის რეალურად ასახვას. ეს კი შესაბამისი მონაცემებით მოსარგებლე პიროვნებებს სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს.

ადამიანებს მსოფლიოში არსებულ მრავალ ენაზე შეუძლიათ საკუთარი აზრის, იდეისა თუ განცდის გამოხატვა. უმეტეს ენებზე მათი წერილობითი გადმოცემაცაა შესაძლებელი. მაგალითად, გვაქვს მოცემულობა, რომელიც ქართულად ასე შეიძლება ჩაიწეროს: საწარმომ 1000 ლარის (X=1000) საბალანსო ღირებულების ნივთი 1200 ლარად (Y=1200) გაყიდა. იგივე მოცემულობის ჩაწერა შესაძლებელია ინგლისურად, გერმანულად, პოლონურად, მორზეს ანბანის გამოყენებით (სიმბოლოებით ●;-) და კომპიუტერულ-ტექნიკური ენითაც კი (სიმბოლოებით 1;0).

ბუღალტერიასაც აქვს თავისი დამწერლობა და ზემოაღნიშნული მოცემულობაც შეგვიძლია მისი საშუალებით ჩავწეროთ.

**ბუღალტრული დამწერლობის ტიპური სქემა:**




მოცემული სქემა გამოიყენება მაშინ, როცა თავდაპირველი მონაცემების საფუძველზე (აქტივის გასვლა და/ან შემოსვლა) მოგება/ზარალის გაანგარიშება იკრძალება.

ამასთან, ამ სქემიდან ანგარიშების: ,,მომავალი პერიოდის ხარჯის" და ,,მომავალი პერიოდის შემოსავლის" ამოღებით, მიიღება სქემა, რომელის გამოყენება მაშინ ხდება, როცა თავდაპირველი მონაცემების საფუძველზე მოგება/ზარალის გაანგარიშება დაიშვება.

**ბუღალტრული დამწერლობის ტიპიური სქემა შემდეგია:**



მოგება/ზარალის გაანგარიშება თავდაპირველი მონაცემების საფუძველზე არ დაიშვება, ვთქვათ მაშინ, როცა არასუფთა კონტრაქტი არსებობს ანუ როცა ცვლადია აღნიშნულ შემთხვევაში. მოცემული სქემა ილებს შემდეგ სახეს:




ხოლო, როცა დადგება მომენტი და Y მიიღებს საბოლოო მნიშვნელობას, ანუ როცა დაფიქსირდება X და Y, როგორც მუდმივი სიდიდეები, ანუ მაშინ, როცა დაიშვება მოგება/ზარალის გაანგარიშება, ხდება სქემებში გატარებები: - ანგარიში „მომავალი პერიოდის ხარჯი" იხურება ანგარიშ „ხარჯზე", ხოლო ანგარიში „მომავალი პერიოდის შემოსავალი", იხურება ანგარიშ „შემოსავალზე" და შესაბამისად მოგება/ზარალი იანგარიშება.

როცა მოგება/ზარალის გაანგარიშება თავდაპირველი მონაცემების საფუძველზე დაშვებულია, მაშინ სქემა 1 იღებს სახეს:




და ამ სქემით ხდება გატარება.

მაგალითად: ვთქვათ, საწარმოდან Y=1200 ლარად კრედიტით გაიყიდა X=1000 ლარის საბალანსო ღირებულების ფასეულობა,

მაშინ გვექნება გატარება:




მოგება/ზარალი = 200 მოგება

ბუნებრივია, როცა საწარმოში ფული 1200 ლარი შემოვა მაშინ მოთხოვნის ანგარიში დაიხურება და წარმოიქმნება ფულის ანგარიში.

ასეთი გატარება შეიძლება ყველა სხვა იმ შემთხვევაში, როცა მოგება/ზარალის გაანგარიშება თავდაპირველი მონაცემების საფუძველზე დაიშვება.

მაგალითად: საწარმომ გაასესხა 1000 ლარი ყოველწლიური 10 პროცენტით. ბუნებრივია, ამ დროს წარმოიქმნება ორი მოთხოვნა: ერთი გასესხებული თანხის (1000 ლარი) თავისდროულად დაბრუნებაზე, ხოლო მეორე - ამ თანხის დაბრუნებამდე ყოველწლიური პროცენტის გადახდაზე და შესაბამისად გატარებები იქნება:




ბუნებრივია, აქაც, როგორც კი ფული შევა წარმოებაში, მაშინ საწარმო მოთხოვნებს დახურავს. მათ შორის მოთხოვნას კონტრაქტის დასრულებისას ფულის (1000ლ) მიღებისთანავე ხოლო დარიცხულს ყოველ წლიურად ასევე ფულის (100ლ)-ს EMO შემოსვლისთანავე კონტრაქტის ვადის ამოწურამდე.

ამდენად, სქემა 1 წარმოადგენს იმ ტიპიურ სქემას, რომლითაც პრაქტიკულად უკლებლივ ყველა გატარების გაკეთებაა შესაძლებელი.

საბუღალტრო დამწერლობის უნიფიკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზებისათვის, შეჯერებული ერთობლივი მაჩვენებლების მიღებისათვის, სააღრიცხვო სამუშაოების მექანიზაციისათვის, სათანადო კადრების მომზადებისა და მათი გამოყენებისათვის.

სავსებით ნათელია, რომ წარდგენილი საანგარიშსწორებო ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესება იწვევს რესურსების ეკონომიას და უფრო ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს.

**Nino Chelidze**

**Accounting Script and its Unification**

**SUMMARY**

There are lots of languages in the world. One can express his or her ideas, feelings or emotions in English, in French or in German In most languages you can write them down, even in Morse (using symbols: ●; -).

Accounting also has its writing-language. In this article is shown the unification of accounting writing-language.

Improvement of quality of represented reporting information will lead to economy of resources, elimination of double load of the companies; will promote adoption of more effective administrative decisions.

## უსაფრთხოება - ბიზნესის მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილი


**ევგენი ბარათაშვილი, სტუ-ს სრული პროფესორი**
**რამაზ ოთინაშვილი, სტუ-ს სრული პროფესორი**


*უსაფრთხოება არის ბიზნესობიექტის დაცულობა, რომელიც* მიიღწევა სამართლებრივი (იურიდიული), ეკონომიკური, ინფორმაციული, საკადრო და სხვა ღონისძიებების კომპლექსური სისტემის გამართული მუშაობის შედეგად. აღნიშნული უზრუნველყოფს ბიზნესის სტაბილურ ფუნქციონირებას და შემოსავლების ზრდას არსებული გარე და შიდა საფრთხეების პირობებში.[1]

ბიზნესის უსაფრთხოების მართვა არაა ახალი მიმართულება. მეწარმეობის მთელი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობს ბრძოლა რისკებთან და დანაკარგებთან. ყოველ მეწარმეს აქვს ამ სფეროში, მეტ-ნაკლებად წარმატებული, საკუთარი გამოცდილება. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნოლოგიები არის ისეთივე ბიზნესპროცესები, როგორც ადმინისტრირება, აღრიცხვა, შესყიდვები, გადაზიდვები და ა.შ. კრიზისამდელი ინტენსიური განვითარების პერიოდში ამ მიმართულებას არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება. დღევანდელმა რეალობამ ახლებურად წამოჭრა ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები მართვის ძირითად დონეებზე. *უსაფრთხოების მენეჯმენტი არის ბიზნესობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მიმართული მართვის ფუნქციების ერთობლიობა. სწორედ მართვისა, რადგანაც უსაფრთხოება მართვის ელემენტია.*

*უსაფრთხოება არის, უპირველეს ყოვლისა, კომპლექსურად გააზრებული ბიზნესპროცესი, რომელიც ითვალისწინებს ყველა რისკს და აღჭურვილია დანაკარგებისა და დარღვევებისადმი წინააღმდეგობის გაწევის მექანიზმით. „პოლიციური" ძალები არის წინააღმდეგობის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, თუმცა არა ძირითადი. მთავარი უნდა იყოს დანაყოფების მენეჯერები. წინააღმდეგობა სპეციალური ქვედანაყოფებით ვერ გადაჭრის მთლიანად უსაფრთხოების ორგანიზების საკითხს. ბიზნესის დაცვის ტექნოლოგიაში უნდა იყოს დანაკარგების თავიდან აცილების ელემენტები. დანახარჯების შემცირება მართვის ფუნქციაა. ხელსაყრელი გარემოს შექმნა დანაკარგების თავიდან ასაცილებლად შეიძლება მხოლოდ სისტემურად გააზრებული ბიზნესპროცესებით.*[2]

არ არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნოლოგიის უნივერსალური გადაჭრა, ის ყოველი ბიზნესისთვის სპეციფიკურია, ისევე როგორც თავად ბიზნეს ორგანიზაცია.

ალბათ, არ ღირს იმის ზედმეტად შეხსენება, რომ თავისუფლად უნდა ხდებოდეს სიტუაციაში ორიენტირება და ვფლობდეთ სრულ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა, სად, როდის და რატომ ხდება ან შეიძლება მოხდეს იმ ბიზნესში, რომელსაც ვეწევით ან ვაპირებთ, ხელი მოჰკიდოთ.

*უსაფრთხოების საკითხებში მუშაობს იგივე პრინციპი, და პირველი ნაბიჯი თქვენი ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იქნება მკაფიოდ გაცნობიერება იმისა, თუ რამ, სად და როდის შეიძლება შეგიქმნათ საფრთხე.*

მხოლოდ მაშინ, როდესაც კარგად წარმოიდგენთ, თუ რაში მდგომარეობს პოტენციური საფრთხე თქვენი ბიზნესისთვის, შეგეძლებათ განსაზღვროთ დაცვის შესაძლო და ხელმისაწვდომი საშუალებები და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაბამისი მეთოდები.

*ამისათვის უნდა უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:*

- რა არის დასაცავი: ქონება, ინფორმაცია, ფასიანი ქაღალდები, უშუალოდ ფირმის პერსონალი?
- რა შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს: და-

[1] *Ансофф И.,* Стратегическое управление./И. Ансофф – М.: Экономика, 2004. с.403..

[2] *Бояндин Н.* Технологии безопассности бизнеса. М.2002. – 317с.;

ნაშაულებრივი ჯგუფები, თავად პერსონალი, კონკურენტები, სპეცსამსახურები და ა.შ.?

- როგორ შეიძლება რეალიზებულ იქნეს საფრთხე: ოფისში შეღწევა, პერსონალის გამოყენება ანგარებითი მიზნებით და ა.შ.?
- შედარებადია თუ არა დასაცავი ობიექტი და დაცვის ღირებულება?

*ამ მომენტებზე შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით:*

*უპირველეს ყოვლისა, ვეცადეთ დაადგინოთ, რა არის დასაცავი. განსაზღვრეთ დაცვის ობიექტი. მაგალითად, თუ ეწევით მხოლოდ სავაჭრო საქმიანობას. რა შეიძლება იყოს დასაცავი ამ შემთხვევაში?*

*რასაკვირველია, საქონელი. ამასთან დაცვა საჭიროა ყოველთვის - სავაჭრო დარბაზში, საწყობში, ტრანსპორტირებისას და ა.შ.* აუცილებელია უსაფრთხო შენახვის უზრუნველყოფა. მისაღებია ზომები ქურდობის, დაზიანების, მათ შორის განზრახ დაზიანების თავიდან ასაცილებლად. *საქონელი* უნდა დავიცვათ: ქურდბაცაცა მყიდველებისგან (სავაჭრო ადგილას) პერსონალის (გამყიდველების, მტვირთავების) დაუდევრობისგან - არაგანზრახ თუ განზრახ დაზიანება, მძარცველებისგან - გზაში. გარდა ამისა, აუცილებელია დაცვა ბუნებრივი კატაკლიზმებისგანაც - თუ საწყობი, მაგალითად, თავსხმა წვიმის შედეგად, დაიტბორა, მოგადგებათ საგრძნობი ზარალი.

*მაგრამ, გარდა ამისა, შესაძლოა, თქვენ იყენებთ საკუთარ, პირადად თქვენს მიერ შემუშავებულ გაყიდვის ფორმებსა და მეთოდებს. ან დროის განმავლობაში თქვენი სავაჭრო ნიშანი გახდა ცნობილი და თავად იზიდავს მყიდველს. მაშინ ისინი აგრეთვე უნდა გახდეს თქვენი ყურადღების და დაცვის ობიექტი - ეს ხომ თქვენი უპირატესობაა კონკურენტების წინაშე. არ უნდა „დაგავიწყდეთ“ თქვენთან მომუშავე თანამშრომლებიც.*

*გაყიდვის მეთოდები* (ფირმის სხვა საიდუმლოები კლიენტთან მუშაობის სფეროში) - საჭიროა დაცვა კონკურენტების შემაწუხებელი ინტერესისგან. სწორედ ხომ თქვენი ექსკლუზიურობა უზრუნველყოფს ბიზნეს ობიექტის დამატებით შემოსავალს, ხელს უწყობს ახალი კლიენტების მოზიდვას.

*შემდეგ უპასუხეთ კითხვას: რისთვის? ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსაზღვრეთ ბიზნესის უსაფრთხოების სისტემის აგების მიზნები და გადასაჭრელი ამოცანები.*

შემდეგი კითხვა, რომელსაც უნდა უპასუხოთ - ვისგან? ამ კითხვაზე პასუხით თქვენ განსაზღვრავთ *საფრთხის წყაროებს. ფირმის საიდუმლოები* დასაცავია ძირითადად კონკურენტებისგან, თუმცა ზოგჯერ საჭიროა დაცვა უზომოდ ცნობისმოყვარე საკუთარი თანამშრომლებისგანაც.

*პერსონალი* დასაცავია ძირითადად მრავალგვარი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, როგორიცაა, მაგალითად, შეიარაღებული ძარცვა, გატაცებისა თუ მკვლელობის მუქარა, ფსიქოლოგიური ტერორი, შანტაჟი, გამოძალვა და ა.შ.

დაბოლოს როგორ? მასზე პასუხის გაცემით თქვენ განსაზღვრავთ დაცვის მეთოდებსა და საშუალებებს. მართალია, ზოგჯერ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მიმართოთ პროფესიონალებს.

ჩატარებული ანალიზის შედეგების მიხედვით შეგიძლიათ შეუდგეთ თქვენი ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი საშუალებების დაგეგმვას. განსაზღვროთ აუცილებელი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები. გაიანგარიშოთ ხარჯები და შეაფასოთ ჩასატარებელი ღონისძიებების ეფექტურობა. ამ დროს მნიშვნელოვანია გესმოდეთ თუ რომელი სამუშაოების შესრულება შეგიძლიათ საკუთარი ძალებით და რომელ შემთხვევებში უნდა მიმართოთ პროფესიონალების დახმარებას.

***საქმიანი უსაფრთხოების აქსიომები.***[1] როგორ გაუწიოთ წინააღმდეგობა საფრთხეებს? რა წესები უნდა დავიცვათ უსაფრთხოების სისტემის აგებისას?

ბოლო პერიოდში უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქცა „General risk management“ ანუ რისკების მართვის საერთო სისტემის შემადგენელ ნაწილად. დღეს უშიშროების თანამშრომელი სულ უფრო ხშირად არის არა თოფიანი კაცი, არამედ - მმართველი, ანალიტიკოსი, მენეჯერი.

*კონკრეტული ბიზნესის უსაფრთხოება არის ბაზარზე „უსაფრთხოების ბიზნეს ინდუსტრიის“ სპეციფიკური შიდა პროდუქტი. ის იწარმოება კომპანიის მიერ, მის მიერვე მოიხმარება, მონაწილეობს რა მოგების ფორმირებაში.*

უსაფრთხოების კორპორაციული სისტემის დაცვის ობიექტს წარმოადგენს რესურსები: ინფორმაცია, ინტელექტუალური საკუთრება, აქტივები, ქონება, კლიენტები, პერსონალი, ტექნოლოგიები და ასე შემდეგ. თავად კომპანიის მართვის სისტემა ასევე წარმოადგენს გარკვეულ რესურსს და საჭიროებს დაცვას. მართვა აგებული უნდა იყოს ისე, რომ უსაფრთხოების სისტემა არ ჩაიკეტოს ცალკე სტრუქტურაში.

*უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის არა მარტო უსაფრთხოების სამსახურის, არამედ კომპანი-*

[1] *Люкманов В.*, Стратегический менеджмент. – М.:МИТХТ им. М.В.Ломоносова, 2003. с.37.

*ის მთელი მენეჯმენტის საზრუნავი. სისტემა უნდა მოიცავდეს ყველა თანამშრომელს, მმართველით დაწყებული ტექნიკური პერსონალით დამთავრებული. უსაფრთხოების მართვის ლოკალიზება ერთ დეპარტამენტში შეიძლება ეფექტური იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბიზნესი აწყობილია და არაფერი იცვლება ბაზარზე. ხოლო როდესაც ბაზარი დინამიკურად ვითარდება საჭიროა მოქნილი სისტემა. უსაფრთხოების მართვა არის მუდმივად განვითარებადი პროცესი.*

*დაუწერელი აქსიომაა: უსაფრთხოება ადამიანთა პრობლემაა. აქედან დასკვნა: საფრთხის წყაროს წარმოადგენს ადამიანი. უსაფრთხოების მოთხოვნები იმდენად უნდა გაუჯდეს თანამშრომლებს სისხლში, რომ ისინი მათ იცავდნენ დაუფიქრებლად. ასეთმა მიდგომამ შეიძლება დაგვაზღვიოს სერიოზული პრობლემებისგან.*

მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ერთხელ მსხვილ საინვესტიციო კომპანიაში მივიდა კლიენტი და მინდობილობის საფუძველზე შესთავაზა სარფაიანი გარიგება ერთი მეტად მსხვილი საწარმოს აქციათა 20%-ს გასაყიდად. მაგრამ კომპანიაში მოქმედებდა წესები და პროცედურები, რომლის შესრულებაც ევალებოდა პრაქტიკულად ყოველ თანამშრომელს. ოპერატორმა დაიწყო კლიენტთან მუშაობა აპრობირებული სქემით. კერძოდ, პროცედურაში ჩადებული იყო გარკვეული კითხვები, რომელიც უნდა ყოფილიყო დასმული, ასევე სიტყვები, რომლებიც სავალდებულო წესით უნდა გამოთქმულიყო კანონმდებლობის თვალსაზრისით. გოგონამ მკაფიოდ შეასრულა ეს პროცედურა. თუ კომპანიაში არსებობს ნორმალური კლიენტის განმსაზღვრელი ნიშნები. კითხვები იწვევს გარკვეულ რეაქციას. გოგონამ შეამჩნია, რომ სტუმრის ზოგიერთი რეაქცია იყო არცთუ ადეკვატური. ისინი არ ემთხვეოდა კლიენტის საშუალო-სტატისტიკურ ქცევებს.

ამ კომპანიაში მოქმედი წესების თანახმად ამგვარ სიტუაციებში ოპერატორს უნდა ეცნობებინა ზემდგომი მენეჯერისა და უშიშროების სამსახურისთვის. ეს უკანასკნელი მაშინვე ჩაერთო კლიენტთან მუშაობაში და დაიწყო მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი. მოგვიანებით აღმოჩენილ იქნა გაყალბების ნიშნები. კერძოდ, მინდობილობის დამმოწმებელი ნოტარიუსი ბუნებაში არ არსებობდა. პროცედურის თანახმად, ასეთ შემთხვევებში უშიშროების სამსახური მაშინვე უკავშირდება სამართალდამცავ ორგანოებს. შესაბამისი სტრუქტურის თანამშრომლები კომპანიის ოფისში მივიდნენ ჯერ კიდევ კლიენტთან მუშაობის დასრულებამდე, თუმცა იგი ადგილზე არ დაუპატიმრებიათ. მას გაუფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შეეძლო „ჩაეტარებინა აქციების ხელახალი რეგისტრაცია" და მიეღო მათი საფასური ნაღდი ფულით კომპანიის სალაროში.

მეორე - დღეს ოფისთან დაკავებული იქნა შეიარაღებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე მისული იყო „მილიონების წასაღებად". დამნაშავეებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ადამიანი, რომელიც რეალურად ფლობს აქციებს, სპეციფიკურად რეაგირებს და იქცევა. მთავარი კი ის იყო, რომ მათ ვერ გაითვალისწინეს კომპანიაში უსაფრთხოების მართვის სისტემის არსებობა და ის, რომ უსაფრთხოების წესები, სისტემურად, ჩართული იყო სტანდარტულ პროცედურებში თითოეული თანამშრომლის სამუშაო ადგილზე.

*უსაფრთხოების უნივერსალური სისტემის აგების პრაქტიკული სქემა არ არსებობს. თითოეული სისტემა არის უნიკალური პროდუქტი. ის უნდა აიგოს ბიზნეს-პროცესებიდან გამომდინარე. მაგალითად, სავაჭრო ობიექტი და ფინანსური კომპანია განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად ამისა, არსებობს საფრთხეების ლოკალიზების საერთო ალგორითმი, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი სისტემისათვის:*[1]

1. *საფრთხეების წყაროების (რისკების) იდენტიფიკაცია;*
2. *საფრთხის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა (საფრთხის წყაროს რესურსების დონე და მისი მიზანი - შესაძლო ზარალის სიდიდე;*
3. *საფრთხეების წყაროების დაჯგუფება მიზნებისა და ინტერესების მიხედვით.*
4. *რესურსების ოპტიმალური გამოყოფა, საფრთხეების ლოკალიზების ოპტიმალური ალგორითმის არჩევა და გამოყენება (დაცვის სისტემის აგება) მასზე გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გათვალისწინებით.*

უსაფრთხოებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სემინარზე ტრადიციულად დასმულ შეკითხვაზე: „რით დაიწყებთ უსაფრთხოების სისტემის აგებას თქვენს ობიექტში?" საყურადღებო იყო ნაყინის მწარმოებელი ერთ-ერთი ბიზნეს-ობიექტის უსაფრთხოების სამსახურის ახალგაზრდა ხელმძღვანელის პასუხი. მან აღნიშნა, რომ მთავარი პრიორიტეტია კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის დაცვა. მომწოდებლების, დილერების, პერსონალის გადამოწმება. საწყობების დაცვა, მზა პროდუქტის – ნაყინის უკანონო გაზიდვის აღკვეთა მისთვის აღ-

[1] *Нежданов И., Ю.,* Аналитическая разветка для бизнеса, М.,2008.-336с.; .

მოჩნდა მეორეხარისხოვანი ამოცანა, რადგანაც რისკის ამ წყაროებთან დაკავშირებული საფრთხეების რეალიზება ვერ გამოიწვევდა ბიზნესის სერიოზულ ზარალს. მაგრამ ქარხნის მთელი მართვა, საწარმოო პროცესის უშუალო მართვის ჩათვლით, აგებული იყო ერთიანი კომპიუტერული სისტემით. მასში კომპიუტერული ვირუსის შეღწევასა თუ უცხო პირის არასანქცირებულ (ხაკერულ) შესვლას შეეძლო მისი განადგურება. შედეგად, მთელი ბიზნესი ჩერდებოდა. კომპანია ახლოს იქნებოდა კრახთან. ამრიგად, ახალგაზრდა პროფესიონალმა ზუსტად მოახდინა რისკების იდენტიფიკაცია და დაალაგა მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით. *იდენტიფიკაცია, რანჟირება, ყველაზე სერიოზული რისკის არჩევა, შემდეგ მათი ოპტიმიზაცია და რეგულირება ასეთია უსაფრთხოების სფეროში პროფესიული რისკ-მენეჯმენტის საფუძვლები.*

ჩვენი აზრით, უსაფრთხოების სისტემის აგებისას ასევე გასათვალისწინებელია რამდენიმე წესი:

1. *არსებობს სამი ცნება: უსაფრთხოება, სისწრაფე და სიიაფე. სისტემის აგებისას შეგიძლიათ აირჩიოთ მხოლოდ ორი მათგანი. სისტემა შეიძლება იყოს უსაფრთხო და სწრაფი, მაგრამ ამასთან აღმოჩნდება ძვირი. ის შეიძლება იყოს უსაფრთხო და იაფი, მაგრამ იქნება საშინლად ნელი. შეიძლება იყოს იაფი და სწრაფი, თუმცა არცთუ უსაფრთხო. ოპტიმალური კომბინაციის შერჩევა არის გადაწყვეტილებების შესაბამისი მენეჯერის პრეროგატივა. რისკების განულება შეუძლებელია. ნულოვანი რისკი აქვს მხოლოდ იმას, ვინც არაფერს აკეთებს. თუმცა უსაფრთხოების ეფექტურ სამსახურს ძალუძს ამ რისკის ოპტიმალურ საზღვრებში მოქცევა;*

2. *უსაფრთხოების როგორც მენეჯმენტის სფეროში მოქმედებს ყველა ეკონომიკური კანონი და ცნება. მაგალითად, ეფექტიანობა, თუმცა მისი გაანგარიშება რთულია, ვიდრე ჩვეულებრივი ეფექტიანობის, რადგან აქ ეფექტი არის არა მოგება, არამედ ეკონომია;*

3. *უსაფრთხოება და სირთულე არის უკუპროპორციული ფენომენები. რაც უფრო რთულია პროცესი, მით მეტია უსაფრთხოების პრობლემა და ნაკლებად საიმედოა. რაც უფრო რთულია პრობლემები, მით უფრო ძვირადღირებული სისტემაა საჭირო. თუ შევადარებთ კომერციულ ჯიხურსა და დიდ ქარხანას. პირველის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკმარისია უბრალოდ შევუთანხმდეთ დაცვის პოლიციას. რაც შეეხება ქარხანას, მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეიძლება საჭირო გახდეს რთული მათემატიკური ალგორითმი და თანამედროვე ტექნოლოგიური სისტემები;*

4. *უსაფრთხოება ემორჩილება სინდერის სამართებლის წესს. სხვა ფაქტორების არარსებობისას ყოველთვის გამოიყენეთ ყველაზე უსაფრთხო ვარიანტი. აღნიშნული ამართლებს ბიზნესში ნებისმიერი გადაწყვეტილებების მიღებას;*

5. *უსაფრთხოება არის ინვესტიცია და არა ხარჯი. ის ძვირი ჯდება, მაგრამ გამართლებულია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შეიძლება მასში უსასრულოდ დაბანდება. დგება გარკვეული მომენტი, როდესაც ხარჯების შემდგომი ზრდა პრაქტიკულად არ ზრდის უსაფრთხოების დონეს. ამ მომენტის სწორად განსაზღვრა ნიშნავს ეფექტურ მემეჯმენტს;*

6. *უსაფრთხოების ნებისმიერი სისტემა ამუხრუჭებს მთლიანი სისტემის განვითარებას. გამოსავალია ცვლილებების ანალიზი და შესაბამისი პროგნოზირება. ყველაზე ეფექტიანია უსაფრთხოების მართვა იქ, სადაც ის უშუალოდ ჩართულია ბიზნესპროცესებში. მაგალითად, კორპორაციებში, სადაც ხორციელდება მსხვილი პროექტები, თითოეულ მათგანში ჩართულია უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც თვალს ადევნებს რისკებს თავისი მიმართულების მიხედვით და ღებულობს გადაწყვეტილებებს თუ როგორ აიცილოს თავიდან საფრთხეები მუშაობის ეფექტიანობისა და სისწრაფის შემცირების გარეშე.*

ალბათ, მთავარი სირთულე, რომელთანაც დაკავშირებულია უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა მდგომარეობს პიროვნების ფსიქოლოგიაში. ბედნიერებაა როცა შენი ესმით. უსაფრთხოების თანამედროვე სამსახურის ეფექტიანი მუშაობა შეუძლებელია, ნდობის გარეშე, კომპანიის მართვის ყველა დონეზე.

**მაშასადამე, ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, როგორც მენეჯმენტის არსებითი ინსტრუმენტის როლი კონკურენტული ბრძოლის პირობებში არ არის სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული.**

# Тенденции развития современных международных отношений

***Тамар Будзишвили,***
***Доктор исторических наук***

Современная система международных отношений находится в переходном ситуации.Сегодня в ней переплетаются и взаимодействуют как традиционные, так и новые факторы и тенденции.

Со времен Вестфальского мира, зафиксировавщего международную систему,основанию на силовом взаимодействии,столкновении национальных государств,балансе сил,противоборстве союзов и т.д.,в мировой политике появились новые действующие лица и новые тенденции глобального масштаба.

Под Вестфальском миром понимается два мирных соглашения-Оснабрюкское и Мюнстерское, подписанные 15 мая и 24 октября 1648 г. соответственно.Они завершили Тридцатилетнюю войну в Священной Римской империи[1].Вестфальский мир являлся результатом первого современного дипломатического конгресса и положил начало новому порядку в Европе, основанному на концепции государственного суверенитета.

Следует обратить внимание и на то, что становление современной системы международных отношений, несмотря на влияние новых тенденций, формирование элементов единого мирового сообщества,отнюдь не равнозначно окончательному приходу в мировую политику стабильности и гормонии,порядка и прогресса.

Масштаб глобальной системы международных отношений сегодня впечатляет и включает в себя более 6 милиардов человек,около 200 государств, более 6000 междунаодных неправителственных организаций,транснациональные корпорации,разнообразные религиозные,политические и общественные течения.[2] При этом различные ее компоненты образуют сложные,взаимозависимые и вляющие друг на друга коалиции, как на временной,так и на более продолжительной основе,что в еще большей степени затрудняет даже краткосрочное прогнозирование,не говоря о более далеких перспективах.

В связи с этим проблему определения тенденций развития современных международных отношений следует отнести к одной на самых обсуждаемих как зарубежными,так и отечественными иследоватедями.

Тем не менее несколько тенденций развития современных международных отношений просмотриваются наиболее четко.

Стоит отметить, что на мировом уровне обнаруживается комплекс общих сложностей для всего человечества. Исходя для этого можно рассмотреть пятую тенденцию развития

международных отношений,заключающуюся в нарастании общечеловеческих глобальных проблем, а соответственно стремление государств мира к современому их решению.

Научно-техническая революция (НТР), зародившаяся в середине XX в.,в течение нескольких десятилетий произвела такие радикальные изменения в развитии производительных сил, перед которыми блекнут тысячелетние достижения наших предшественников.[3] Она способствовала резкому повышению производительности труда, привела к огромному посту необходимой длдя людей продукции. Но существует и другая сторона этой руволюции:возникло множество неординарных,так называемых глобальных проблем, которые встали перед человечеством во весь рост и показали, что наш неспокойный и полный противоречий мир есть в то же время мир взаимосвязанный, взаимозависимый и во многом целостный. Мир,императивно, повелительно требующий не разобщения и противостояния, а обединения усилий всех стран и народов во имя сохранения цивилизации, ее развития и благополучия как нинешнего, так и грядущих поколений людей. Все глобальные проблемы, стоящие перед человечеством, можно разделить на четыре основные групы: политические, экономические, экологические, социальные.

Важнейшая из них, раньше всех заставившая

---

[1] Б.Г.Барановский, А.Д.Богатуров. Современные глобальные проблемы,Учебное пособие. Москва, 2010, стр.35.

[2] том. стр.40

[3] М.м.Лебедева.*Мировая политика,Учебник для вузов.* Москва, 2003. стр. 60.

человечество сначала почувствовать, а затем и понять надвигающуюся угрозу,-появление, быстрое накопление и совершенствование оружия массового поражения, которое в корне изменило ситуацию в мире. Харктер ядренног оружия не дает возможности любому государсву военными средсвами обеспечить надежность своей обороны. Иначе говоря, безопасности в мире можно добиться лишь совместными усилиями. Она может быть либо общей для всех стран, либо ее вообще не может быть.

Пололжительные сдвиги в отношениях между ведущими странами мира, обладающими наибольшим научным, экономическим и военнотехническим потенциалом и сделавшими значительный шаг на пути к осознанию опасности гонки вооружений, сняли былую напряженность в международных отношениях.

Важной проблемой, беспокоящей все человечество, становится международный терроризм, среди различных форм которого наиболее опасной является государственный тероризм.

К другой, не менее важной группе глобальных проблем следует отнести проблемы сохранения окружающей среды.Опасность нарушения экологического равновесия возникла не сразу. Она надвигалась как бы исподволь, иногда в результате неосведомленности, а чаще всего из-за пренебрежения людей к возможным вредным и даже губительным последствиям своей практической деятельности.

Проблема сохранения окружающей среды органически свизана с резким возрастанием хозяйственной деятельности человека, обусловленной закономерными тенденциями общественного развития: увелечением численности населения,его стремлением к прогрессу, улучшению материального благополучия и т.д.

Черезмерная, без оглядки,эксплуатация человеком природы привела к массовой вырубке леса, ухудшению качества ресурсов пресной воды, загрязнению морей, озер,рек,нарушению озонового слоя,что представляет опасность для жизни людей. Повышается доля углекислого газа в воздухе. Увеличиваются выбросы других химических соединений (оксилов азота, серы), следствием чего являются "кислотные дожди". Происходит потепление климата на планете,ведущее к возникновению так называемого "парникового эффекта". Яркими показателями загрязнения окружающей среды стали авария на Чернобыльской АЭС и АЭС"Фукусима", экологическая катастрофа вследствие разлива нефти в Мексиканском заливе[1].

Безобразная, неконтролируемая хозяйственная деятельность дюдей опасна своими последствиами, не знающими государственных границ и не признающими никаких преград. Это обязывает все страны и народы обединить усилия, направленые на защиту и улучшение окружающей среды.

Экологические проблемы тесно взаимосвязаны с экономическими, и прежде всего с проблемами роста общественного производства и возрастанием в связи с этим потребностей в энергии и сырье. природные ресурсы небезграничны, а поэтому требуется рациональный, научно обоснованный подход к их использованию. Однако решение этой задачи соприяжено с немалыми трудностями. Одна из них обусловлена резким отставанием развивающихся стран по уровню потребления энергии на душу населения от промышленно развитых стран.Другая трудность вызвана технологическим несовершенством производства многих государств,в результате чего происходит большой перерасход сырья,энергии, топлива на выпуск единицы продукции.

Разнообразны и социальные проблемы. Последние десятилетия отмечены растущей обеспокоенностью человешества, вызванной обрушившимся на него потоком опасных болезней и вредных пристрастий. Сердечно-сосудистые и онкологические заболевания, СПИД, алкоголизм, наркомания приобрели международный характер и также стали одной из глобальных проблем.

Вес мир не может не тревожить углубляю-щееся различние в уровне жизни народов развитых и развивающихся стран. Население слаборазвитых стран нередко страдает от голода,в результате которого гибнет большое количество людей. Усугублению данных проблем способствует также несоответствие в соотношении между демографическим ростом населения и динамикой производительных сил.

Людей всего мира тревожит рост преступности, усиление влияния мафиозных структур, в том числе и наркомафии.

Глобальные проблемы возникли на стыке взаимоотношений человека, общества и природы. Все они органически взаимосвязаны между собой и по

---

[1] В.И.Попов, Современная дипломатия. Москва, 2010, стр.66.

этому их решение требует комплексного подхода.

Появление глобальных проблем сказалось на всей международных отношений. Действительно, усилия, направленные на предотврашение экологической катастрофы, барьба с голодом, смертельными болезнями, попытки преодолеть отсталость не могут дать результатов, если будут решаться в одиночку, на национальном уровне, без участия мирового сообщества. Они требуют планетарного объединения интелектуальных, трудовых и материальных ресурсов.

Шестой тенденцией стала демократизация и гуманизация как международных отношений, так и внутриполитических процессов. Она наблюдается во всех странах независимо от господствующего в них типа политического режима. С окончанием холодной войны даже в условиях авторитарных режимов значительно сузились возможности скрывать, а тем более легитимизировать нарушения государством личной свободы граждан, их естественных и политических прав.Всемирное распространение получает такое явление, как прогресирующая политизация мас,повсеместно требующих доступа к информаций, участия в принятии касающихся их решений,улучшения всего материальног благосостояния и качества жизни.

Достижения постиндустриальной революции-спутниковая связь и кавельное телевидение, телефаксы и электронная почта,глобальная сеть Интернет,делающая возможным почти мгновенное распространение и получение необходимой информации едва ли не по всем интересующим современного человека вопросам,- не толко сталипризнаками повседневной жизни людей в экономическки наиболее развитых государствах, но и получают все более широкое распространение во всем мире.

Резко расширяется состав и многообразие политических факторов. В резултате разработка и реализация внешнеполитических установок перестают бить уделом узкой группы людей специального государственного ведомства, а становятся достоянием совокупности самых разнообразных институтов- как государственных, политических, так и неполитического характера[1].

Гуманизация международных отношений означает следующее: стремление к обеспечению всеобщего мира; освобождение создания людей от предвзятости, стереотипов, свиязанных с образом врага; обединение людей независимо от их государственной, национальной или социально-классовой принадлежности; главные критерий международной и внешней политики-служение людям; нравственость международной политики и др.

Седьмая тенденция развития международных отношений- это формирование нового представления о путях обеспечения национальной безопасности отдельного государства в условиях,когда оно становится неотьемлемой частью системы всеобщей безопасности отдельного государства в условиях,когда оно становится неотьемлемой частью системы всеобщей безопасности человечества.Сфера безопасности будет играть значительную роль и грядущем миропорядке.Появляется даже новый термин в лексиконе мировой политики- ‘’всеобъемлющая системя международной безопасности’’.С середины 1980-их гг. Уже достигнуто немало конкретных международных договоренностей,которые и переводят новое понимание задач безопасности в русло практических действий.Сейчас стало очевидно,что расчет на силовое давление в целях обеспечения национальной самообороны перестает быть эффективным.С другой стороны, нет необходимости и в том,чтобы обеспечивать национальную безопасность, опираясь только на собственные,национальные ресурсы.Система коллективной безопасности позволяет рассчитывать в барьбе с агрессором на многонациональные силы,военный и экономический потенциал других стран.Это означает,что можно существенно сократить национальные расходы на военные цели,ограничив их уровнем разумой достаточности.

Каким будет мир в эпоху глобализации? С уверенностью можно сказать только одно- он будет разным, и противоположности сохранятся и будут более многообразными. Не высока вероясность того, что в обозримой перспективе человечество вновь окажется в двухполюсном мире (его наиболее простой модели), где теперь уже постиндустриальная цивилизация западного образца будет противостоять тем системам, где не сложились демократия и гражданское общество.Складывающая мировая система будет полицентричной, а сами центры ее диверсифицированными,так что глобальная структура силы окажется многоуровневой и многомерной (центры военной силы не будут совпадать с центами экономической силы и

[1] Л.С.Книга, В.Н.Пархаев, Европейская интеграция,Учевное пособие,Барнаул,2004, стр.125.

т.п.).Центры мировой системы непременно обладають и будут обладать политической,социальной,экономической,идеологической или даже цивилизационной противоположностью,что делает их специфические характеристики более контрастными[1].

В основе обновленной системы международных отношений не могут лежать неолиберальные ценности,господствующие на Западе в настоящий момент.Потенциал их развития исчерпен,и порой они начинают становиться губительными для их носителей. Вполне возможно,что мир эпохи глобализации будет базироваться не на одной, а на нескольких дополняющих друг друга и в чем-то соперничающих ценностных системах.

Говоря о политическом лидерстве в новом мире, уверенно можно сказать, что США в одиночку не смогут выступить в качестве политического и морального лидера человечества.Специфическая черта нынешней ситуации заключается в том, что она исключает универсальное индивидуальное мировое лидерство. Новый миропорядок способен родиться лишь в результате совместного творчества членов мирового сообщества.

Еще долгое время сохранится разделение народов по национально-государственным, цивилизационным, геополитическим, религиозным и другим признаком. Сохранение и даже усиление многообразия современного мира не должны стсть препятствием для взаимозависимости, единения и взаимосвязи отношений в нем, носящих объективный характер,для согласованных действий всех политических сил во имя выживания человечества, укрепления всеобщей безопасности и мира.

## ЛИТЕРАТУРА


1. Барановский Б. Г.,Богатуров А.Д., Современные глобальные проблемы; Учебное пособие,М.2010
2. Лебедева М. М., Мировая политика; Учебник для вузов,М .2003
3. Попов В. И ., Современная дипломатия. М.2010
4. Ланцова С.А., Мировая политика и международные отношения.М.2009
5. Арешидзе Л.Г.,Международные отношения в Восточной Азии-2007
6. Книга А.С.,Пархов В.Н., Европейская интеграция,Учебное пособие,Барнаул,2004.


[1] В.И.Попов. стр. 100.


## რეზიუმე

კაცობრიობის შემაწუხებელ ძირითად პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმი, რომლის უმწვავესი სახე სახელმწიფო ტერორიზმია.

საერთაშორისო ურთიერთობის გლობალური სისტემის მასშტაბები დღეისათვის მოიცავს 6 მილიარდზე მეტ კაცს, დაახლოებით 200 სახელმწიფოს, 6000 საერთაშორისო არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და სხვ. ამასთან, მისი სხვადასხვა კომპონენტები წარმოქმნიან რთულ, ურთიერთდამოკიდებულ და ერთიერთმანეთზე მოქმედ კოალიციებს, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს მოკლევადიან პროგნოზირებას, რომ აღარაფერი ვთქვათ შორეულ პერსპექტივებზე.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ზოგიერთი ტენდენცია განიხილება შედარებით დეტალურად.

XX ს. წარმოქმნილმა სამეცნიერო–ტექნიკურმა რევოლუციამ რამდენიმე ათწლეულში ხელი შეუწყო საწარმოო ძალების სწრაფი ტემპით ზრდასა და განვითარებას, შედეგად გაიზარდა წარმოებული პროდუქცია. ამავე დროს, საზოგადოების წინაშე წარმოიქმნა გლობალური პრობლემები, რომლებიც შეიძლება გაიყოს ოთხ ძირითად ჯგუფად: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ჯგუფებად.

ნაშრომში განხილულია აღნიშნული პრობლემები.



## SUMMARY

The great problem in the humanity is an international terrorism, the most acute form of state terrorism. The magnitude of the global system of international relations today encompasses more than 6 billion people, approximately 200 state, non-state organizations in 6000, trans-national corporations, and others. In addition, the various components create complex, interdependent and interconnected to the existing coalitions, As for short-term forecasting more difficult, not to mention the long-term prospects.

Some of the contemporary international relations tend to be more detailed.

In XX century emerging scientific - technical revolution several decades has contributed to the fast growth and development of the productive forces, as a result of increased production. At the same time, the public face of global problems arise, which can be divided into four main groups: in the political, economic, ecological and social groups.

The paper discusses these problems.

# გლობალიზაციის საერთაშორისო მნიშვნელობა

**ლამარა მინდორაშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი**
**ნატო ჩიკვილაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი**

გლობალიზაცია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდაა, რომლის საფუძველს წარმოების ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება წარმოადგენს. გლობალური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია საქონლისა და მომსახურების წარმოება და მოხმარება, მართვა, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების გავრცელება. გლობალიზაციის საფუძველია მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაცია. ტურიზმი, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ფორმა, დიდად მნიშვნელოვანია და მისი წილი განუხრელად იზრდება.

თანამედროვე მსოფლიოში არცერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისაგან ცალკე არსებობა. გლობალიზაცია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ერების კულტურული ურთიერთობისათვის.

გლობალიზაციის პროცესს ერთიანი მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბებამდე მივყავართ. იგი ჩვენი ცხოვრების რეალობაა, რომელსაც მთელი რიგი არსებითი ნიშნები და სპეციფიკურობა ახასიათებს. ცალკეული სახელმწიფო ეკონომიკების ერთიან ბაზარში გაერთიანებას თითოეული ქვეყნისთვის სარგებლობა მოაქვს. ამ დროს პატარა ქვეყნებს აქვთ საშუალება აქტიური მონაწილეობა მიიღონ მსხვილ ბაზარზე და ამავე დროს დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ.

გლობალურ ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს ელექტრონული კომერცია. ტურბიზნესში ელექტრონულმა ვაჭრობამ შეიძლება რადიკალურად შეცვალოს ტურპროდუქტების ბიზნესი.

გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებში აქტიურ როლს თამაშობს ტრანსნაციონალური კომპანიები. ბოლო ათწლეულში მათი განვითარება აისახება საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებაში.

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ამჟამად არ არსებობს რეგიონალური განვითარების რომელიმე მოდელი, რის გამოც რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების მოგვარება გლობალიზაციის პირობებში მხოლოდ ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა მოწინავე უცხოური მსოფლიო გამოცდილების შესწავლა და მათი გამოყენება ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით.

XX საუკუნეში ევროკავშირის წარმოშობა და მისი შესწავლა ფრიად სასარგებლოა ქვეყნის რეგიონული ეკონომიკის პრობლემების გაგებისა და რეგიონული განვითარების რეგულირებისათვის, რადგან რეგიონალური პოლიტიკის ძირითად ფორმას წარმოადგენს ევროკავშირის საკუთარი პროგრამები.

ამჟამად მსოფლიოში გლობალიზაციის შესახებ არსებობს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულება. პირველი შეხედულების თანახმად, გლობალიზაცია წარმოადგენს პროგრესულ პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას. მეორე შეხედულებით, გლობალიზაცია არის ნეგატიური პროცესი, რადგან იგი ემუქრება ცალკეულ სახელმწიფოებს და ერებს, მათ კულტურას, ამავე დროს განიხილება, როგორც მთლიანად მსოფლიო მეურნეობის განვითარებისათვის საშიში ტენდენცია.

საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს და ამის შესახებ დასავლეთში არსებულ სხვადასხვა შეხედულებებს. ქართველი ეკონომისტები იზიარებენ ამ შეხედულებებს და ხაზს უსვამენ იმ დადებით და უარყოფით შედეგებს, რომელიც გლობალიზაციას მოაქვს და მომავალშიც შეუძლია მოიტანოს ჩვენი ქვეყნისათვის.

თანამედროვე მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ შეუძლია განცალკევებულად ყოფნა. გლობალიზაცია ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნების ცივილიზაციას და კულტურულ ურთიერთობას, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

ჩვენს ქვეყანაში ფართოვდება ყველა დონის განათლების საერთაშორისო ქსელი, გაჩნდა საგანმანათლებლო მომსახურების ახალი ფორმები, ხორციელდება უცხოური სასწავლებლების პროგრამები მათი ადგილობრივი წარმომადგენლების მეშვეობით, მაგრამ საჭიროა ქვეყანამ ხარისხიანი განათლების მისაღებად ადგილობრივი კადრები გამოიყენოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალ გლობალურ სამყაროში ვერც მოქალაქეებს დაიცავს სიღარიბისაგან.

ინტელექტუალური რესურსი დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკის წინსვლაზე, რადგან

ეკონომიკური წარმატების საწინდარი ამჟამად გახდა შრომის წარმოების გაიაფება უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე. ამჟამად ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია ადამიანზე, რომელიც საწარმოო პროცესებში უშუალოდ მონაწილეობს, რადგან მისი ცოდნა სულ უფრო შეესაბამება ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, რაც მეტია განათლებული ხალხის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში, მით უფრო მაღალია ეკონომიკის დონე ქვეყანაში. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გარდა განათლების სფეროში განხორციელებული ინვესტიციებისა, აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს თავად ადამიანური კაპიტალის ფინანსირებას. საქართველოში ჯერჯერობით ამ საკითხს არსებითი გაუმჯობესება არ ეტყობა, ამიტომ მას მეტი ყურადღება სჭირდება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურების მხრიდან.

მეცნიერების დაფინანსების წყაროებს შორის უდიდესი ადგილი ეკუთვნის ბიუჯეტის სახსრებს. ჩვენს ქვეყანაშიც მეცნიერების დაფინანსება ძირითადად ქვეყნის ბიუჯეტიდან უნდა ხდებოდეს, ისე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია.

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების დაფინანსებას ქვეყნის ბიუჯეტი ახორციელებდა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიზნით სახსრები არ გამოყოფილა. ამჟამად მუნიციპალურმა ბიუჯეტებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა მეცნიერების დაფინანსებაში.

ჩვენს სინამდვილეში საკმარისი საფუძველია სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ურთიერთობების განვითარებისათვის. საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების დამუშავება, სხვადასხვა საერთაშორისო ფონდების დახმარება, კრედიტების გაცემა და ა.შ.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ტრანსპორტისა და ტექნოლოგიების განვითარებამ გააადვილა პროფესიონალების დასაქმება, რადგან ხდება ადამიანური კაპიტალის მიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში, რადგან განვითარებად ქვეყნებს არა აქვთ სათანადო რესურსები, რომ დააკმაყოფილონ მათი აუცილებელი მოთხოვნები. მიგრაციას იწვევს: უმუშევრობა, დაბალი ხელფასი, ცუდი სამუშაო პირობები და ა.შ.

კვალიფიციური მუშახელის გასვლა დიდ დარტყმას აყენებს ქვეყნის ეკონომიკას, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პროცესს დადებითი მხარეც აქვს, რადგან უცხოეთიდან ბრუნდებიან მაღალკვალიფიციური მუშაკები, შემოდის დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა. ამასთანავე, უცხოეთში მიღებული სამუშაო გამოცდილება მათ დასაქმების მეტ შესაძლებლობებს აძლევს.

ამრიგად, გლობალიზაციას აჩქარებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში აქტიურ ჩართვას. სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია მოხდეს ინტელექტუალური ძალების მობილიზაცია და მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## ლიტერატურა


1. იაკობიძე დ., „საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი“, თბ., „კომენტარი“, 2009.
2. კენსი მეინარდ ჯონ, „გლობალიზაციის არსის განსაზღვრისათვის“. თბ., 2003.
3. ჩიკვაიძე თ., „ეკონომიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ახალი პარადიგმა: არსი, პრობლემები, პერსპექტივები. ჟურნ.: „კომერსანტი“, №2, 2007.
4. ჯულაყიძე მ., „ადამიანური ფაქტორის როლი თანამედროვე ეკონომიკაში“, გაზ. „ბანკები და ფინანსები“, 21-27 ივლისი, 2010.
5. არჩვაძე ი., „ადამიანური კაპიტალი, როგორც ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი“, ჟურნ.: „საქართველოს ეკონომიკა“, №11, 2006.



***Lamara Mindorashvili***
***Nato Chikviladze***


## INTERNATIONAL VALUE OF GLOBALIZATION

## SUMMARY


Globalization represents increase of economic relationship of all countries of the world which basis is deepening of internationalization of production. She creates new prospects for the cultural relations between the different nations.

In global international processes the active role is played by the multinational companies. In Georgia the great attention is given to the current global processes in the world.

In the conditions of modern globalization, in exit communication from the country of workers, national economy suffers, but this process has also a positive side as from foreign countries highly qualifying workers come back.

And so, globalization accelerates country development.

# საქართველო გლობალიზაციის მიმდინარე ტენდენციებში

*ვალერი მოსიაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*სეუ-ს სრული პროფესორი*
*შორენა ბერუაშვილი, მაგისტრანტი*

თანამედროვე პირობებში, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებული ტერმინია "გლობალიზაცია". დღევანდელ სამყაროს უწოდებენ გლობალურს, ხოლო ეპოქას _ გლობალიზაციის ეპოქას. ტერმინის "გლობალიზაცია" ასეთი ინტენსიური და ფართო გავრცელება მით უფრო საინტერესოა, რომ XX საუკუნის 80-იან წლებამდე ასეთი ცნება არ არსებობდა.

ეკონომიკური გლობალიზაციის არსი მდგომარეობს ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და ქვეყნების ჩაბმაში მსოფლიო ეკონომკურ თანამეგობრობაში, ვაჭრობის, ინვესტიციების, მომსახურების ბაზრების და სხა სფეროებში. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას, ადრე თუ გვიან, მოუწევს გაწევრიანდეს საერთაშორისო და რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციებში, შეიმუშაოს გლობალიზაციის პროცესის შესაბამისი სტრატეგია და პოლიტიკა.

თანამედროვე პირობებში, გლობალიზაციის ახალ ეტაპად, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია გვევლინება. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებაზე არსებითი გავლენა ორმა ფაქტორმა – მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და ტრანსეროვნული კომპანიების წარმოქმნამ განაპირობა. თავად მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე ინტეგერაციული პროცესების განვითერების პრაქტიკა მიგვანიშნებს მათი ჩამოყალიბებისა და სრულყოფის ოთხი ეტაპის არსებობაზე. კერძოდ: 1. თავისუფალი სავაჭრო ზონების დაარსება; 2. საბაჟო კავშირების შექმნა; 3. ეკონომიკური კავშირების წარმოქმნა; 4. ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება.

სახელმწიფოები, რომლებიც წარმოიშვნენ ყოფილი სსრ კავშირის დაშლის შემდგომ, ჩაერთვნენ მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში; არც საქართველო დგას ამ მოვლენებისაგან განცალკევებულად. მიმდინარეობს საქართველოს მსოფლიო თამანეგობრობაში ინტეგრაციის პროცესი.

ინტეგრაციის ასპარეზის სტრუქტურა ისეთია, რომ კავკასია და შესაბამისად საქართველოს აღმოჩნდა ერთ-ერთი „გარდატეხის წერტილი". ერთი მხრივ „ნატო"-ს წევრი ქვეყნები და ევროკავშირი, სხა მხრივ – რუსეთი, ირანი და ჩინეთი. დღეს საკმაოდ მკვეთრად გამოიკვეთა ორი გეოპოლოტიკური ღერძი: ანკარა-თბილისი-ბაქო, როგორც მიმართულება დასავლეთი – აღმოსავლეთი; და მეორე ღერძი, მოსკოვი-ერევანი-თეირანი (შეიძლება პეკინიც), როგორც მიმართულება ჩრდიოლოეთი - სამხრეთი. ამ ღერძების ურთიერთდაპირისპრება იწვევს მზარდ დაძაბულობას. საქართველო დგას ამ ღერძების საშიშ თანაკვეთაზე.

უნდა ამთავითვე აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით სამწუხაროდ ჩვენი ქვეყანა განვითარების დონით არ არის იმ სიმაღლეზე, რომ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაცებთან და ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან განახორციელონ პარტნიორულ საწყისებზე. აქ უპირატესად მიმდინარეობს დახმარების პროცესი. ამასთან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები არჩევენ მოლოდინის პოზიციას და თვალყურს ადევნებენ მოვლენების განვითარებას.

რაც შეეხება საქართველოს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ინტეგრაციის ხარისხს, ამაზე კარგად მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან და მსოფლიო წამყვან საფინანსო ინსტი-ტუტებთან (საერთაშორისო სავალუტო ბანკი, მსოფლიო ბანკი და სხვ.). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უკვე ფუნქციონირებს ორი თავისუფალი ეკონომიკური ზონის ნაირსახეობა - თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფოთსა და ქუთაისში. 2012 წლის თებერვალში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ იქნა გაცხადებული, რომ ქ. თბილისში, სავაჭრო ცენტრ „ლილო მოლის" ტერიტორიაზე გაიხსნება თავისუფალი სავაჭრო ზონა. თავისუფალი სავაჭრო ზონისთვის გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათები, კერძოდ იქ ფუნქციონირებადი ფირმები და ფიზიკური პირები არ დაიბეგრებიან მოგებისა და საშემოსავლო გადასახადით, გადაიხდიან მხოლოდ რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის 3%-ს, რაც უდავოდ მისასალმებელია.

შვეიცარიულმა ეკონომიკის ინსტიტუტმა 2011 წლის მსოფლიო გლობალიზაციის ინდექსი გამოაქვეყნა, სადაც საქართველო 156 ქვეყანას შორის 74-ე პოზიციას იკავებს. რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოზე წინ მოლდოვა (63), თურქეთი (59), უკრაინა (53) და რუსეთი (52) არიან. რეიტინგის სათავეში ევროპული ქვეყნები – ბელგია, ავსტრია და ნიდერლანდები უდგანან, აუტსაიდერებში კი ტრადიციულად აფრიკული და ოკეანიის ქვეყნები იმყოფებიან.

გლობალიზაციის ინდექსი სამი მთავარი კომპონენტისგან შედგება: ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაცია. ყველაზე კარგი მაჩვენებლები საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციის

კომპონენტში აქვს, სადაც 33-ე პოზიციაზე იმყოფება და რეგიონის ქვეყნებში პირველია. ამ კომპონენტის ლიდერები არიან სინგაპური და ლუქსემბურგი. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები საქართველოს საიმპორტო ბარიერების სიმცირეში, გადასახადების მცირე რაოდენობასა და დაბალ საგადასახადო განაკვეთებში აქვს. ეკონომიკური გლობალიზაცია ვაჭრობის, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების მოცულობასაც ითვალისწინებს.

სოციალური გლობალიზაციის მიმართულებით საქართველო 98-ე, პოლიტიკური გლობალიზაციის მიმართულებით კი 139-ე პოზიციაზეა. სოციალური გლობალიზაცია საერთაშორისო სატელეფონო ტრაფიკს, ინტერნეტის, წიგნების, გაზეთების და სხვა საინფორმაციო წყაროების გავრცელების ხარისხს, ასევე საერთაშორისო ბრენდების წარმომადგენლობების რაოდენობას ითვალიწინებს. პოლიტიკური გლობალიზაცია კი ქვეყანაში უცხოეთის საელჩოების რაოდენობას, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობას და სხვა ქვეყნებთან გაფორმებული შეთანხმებების რიცხვს ითვლის.

მსოფლიო ეკონომიკურ-ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს ეკონომიკის მონაწილეობის დონის (ხარისხის) შეფასებისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ საერთაშორისო ვაჭრობისა და საგარეოეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მაჩვენებლები, კერძოდ ის თუ როგორი ტენდენციებით ხასიათდება საგარეო სავაჭრო ბრუნვა ექსპორტ-ინპორტი.

როგორც საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ცხადყოფს, საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 2004 წლის 6 444.3 მლნ დოლარიდან გაიზარდა 9 246.9 მლნ დოლარმდე 2011 წელს, ანუ 143.4 %-ით. დროის ამავე პერიოდში, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 1 232.1 მლნ აშშ დოლარიდან, 2 189 მლნ აშშ დოლარამდე, ანუ 177.7 %-ით, ხოლო რეგისტრირებული იმპოტის მოცულობა 5 122.2 მლნ აშშ დოლარიდან, 7 057.8 მლნ აშშ დოლარამდე, შესაბამისად 137.8 %-ით.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ამჟამად ჩამოყალიბებული დონე ადასტურებს, რომ ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების პროცესი უშუალოდ უკავშირდება ინტეგრაციული კავშირების გაღრმავების ობიექტურად ჩამოუყალიბებული ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ფაქტორთა ამოქმედებას. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის მიმდინარე პროცესებში საქართველოს ეკონომიკის როლისა და ადგილის ობიქტურად შეფასება და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა.

როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციის პროცესში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციის პროცესი ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. მისი ხარისხი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.

დადებითი ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, გასაღების ბაზრის გაფართოებაში მდგომარეობს. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნება არც თუ ისე დიდია, თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე საკმაოდ დაბალია (3215.4 აშშ დოლარი მიმდინარე ფასებში - 2011 წელს, წინასწარი შეფასება) ნათელი ხდება, რომ ისედაც შეზღუდული ტევადობის ბაზარი კიდევ უფრო მცირდება, ვიწროვდება. ბაზარი შეიძლება გავაფართოვოთ მრავალი საშუალებით, მაგრამ თუ მას გავაფართოვებთ მხოლოდ შიდა ბაზრის დახმარებით, შედეგები საკმაოდ მოკრძალებული იქნება. გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს შიდა და გარე ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. საბაზრო ეკონომიკაში ინვესტიციები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს საქონლის გასაღების ბაზარი. თუკი საქართველოს ბაზარი გაფართოვდება გლობალიზაციიის შედეგად, ეს მოიზიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ჩვენ ქვეყანაში დააბანდებენ ინვესტიციებს და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიას, გამოიყენებენ საქართველოს შრომით და ბუნებრივ რესურსებს პროდუქციის საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია კი გატანილი იქნება რეგიონალურ და მსოფლიო ბაზრებზე, რაც მნიშვნელოვან შემოსავლებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. გლობალიზაციით შექმნილი ხელსაყრელი პირობები შესატყვისი იქნება უცხოური ინვესტიციების ზრდისა, რაც ამავე დროს, ხელს შეუწყობს საქართველოს შიდა ინვესტიციური რესურსების ეფექტიან მიმოქცევას.

როგორც მრავალ პატარა ქვეყანას, ისე საქართველოსაც არა აქვს საკმარისი საკუთარი სახსრები მოახდინოს დიდი რაოდენობის ინვესტირება წარმოებისა თუ მომსახურების სფეროში, გლობალიზაციის პროცესი კი ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. თუ განვიხილვთ საქართველოში უცხოური ინვესტიციების ტრუქტურას (პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2011 წელს შეადგინა 980 600.7 ათასი აშშ დოლარი), ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ უცხოური ინვესტიციების მთლიან მოცულობაში იზრდება იმ ქვეყნების ინვესტიციების მოცულობა, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ლიდერის მდგომარეობას განსაზღვრავს

(აშშ - 29 000.8 ათასი აშშ დოლარი, ევროკავშირის ქვეყნები - 54 3051.8 ათასი აშშ დოლარი, იაპონია 21 975.0 ათასი აშშ დოლარი, თურქეთი - 77 393.7 ათასი აშშ დოლარი, ინდოეთი - 29971.7 ათასი აშშ დოლარი). აღიარებულია, რომ პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები ფაქტობრივად ასრულებენ გადამწყვეტ როლს ბევრი ქვეყნის ეკონომიკის შეერთებისა და ინტეგრირებული ინტერნაციონალური საწარმოო სისტემის - გლობალიზებული მსოფლიო ეკონომიკის საწარმოო ბირთვის შექმნისათვის.

გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანაზე არა მარტო დადებით, არამედ უარყოფით ზემოქმედებასაც ახდენს. ქვეყანაზე უარყოფითი ზემოქმედება მაღალი თუ დაბალი ხარისხით დამიკიდებულია ჩვენი ქვეყნის შესაბამის პოლიტიკაზე. ყველაზე სერიოზული საშიშროება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს გლობალიზაციის უარყოფითმა ზემოქმედებამ, იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებით, ჩვენ ეტაპოვრივად უნდა შევამციროთ საბაჟო გადასახადი. ე.ი. გავაუქმოთ სავაჭრო ბარიერები, ამის შედეგად უცხოური საქონელი გაავსებს საქართველოს ბაზარს და ჩაახშობს ეროვნული საწარმოების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას. ჩვენი ქვეყნის საწარმოები ჯერ კიდევ არ არიან აღჭურვილი უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება, აქედან გამომდინარე დაბალია პროდუქციის ხარისხი და მაღალია თვითღირებულება. ყოველივე ეს ართულებს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას.

გლობალიზაციის უარყოფითი შედეგია ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობენ არა მარტო პროგრესული ეკონომიკური ძალები, არა-მედ რეაქციული, მაფიოზური და ტერორისტული ორგანიზაციებიც. მაფიოზური ქსელი ვრცელდება მთელ მსოფლიოზე და მისი გავლენისაგან არც საქართველოა დაზღვეული.

გლობალიზაციის პროცესში, საქართველოთი დიდი სახელმწიფოების დაინტერესება გაიზრდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს საქართველოს მთლიანობის და უსაფრთხოების ავტომატურ უზრუნველყოფას, რისი ილუზიაც შეიძლება წარმოიშვას ე.წ. კონცეფციამ “ახალ სინგაპურად” ან „ახალ კუვეიტად“ საქართველოს გადაქცევის შესახებ. „კორიდორის“ როლი დაქუცმაცებულ და დაუძლურებულ საქართველოსაც შეიძლება შეასრულსბინონ. საქართველომ თვითონ საკუთარ სიძლიერეზე დაყრდნობით უნდა უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება და არ უნდა იყოს მხოლოდ სხვა ძლიერი სახელმწიფოს დახმარების იმედით, რომელმაც შეიძლება გაწიროს თავისი ინტერესებისათვის.

შესაძლებელია კიდევ ვიმსჯელოთ გლობალიზაციის ბევრ სხვა უარყოფით მხარეებზე, მაგალითად ისეთებზე, როგორიცაა: მდიდარი და ღარიბი ქვეყნების განვითარების დონეებს შორის განსხვავების ზრდა, კონფლიქტი სხვადასხვა კულტურებს შორის, დიდი სახელმწიფოების (იმპერიების) დაცემა და სხვ. მაგრამ მთავარი მდგომარეობს იმაში, რომ გლობალიზაციის პროცესი ახდენს არა მხოლოდ აბსოლუტურად დადებით, არამედ უარყოფით ზემოქმედებასაც კაცობრიობის განვითარებაზე მთლიანობაში და ინდივიდუალურად თითოეული ქვეყნისათვის. სახელმწიფოთა ალტერნატივად გვევლინება ქვეყნების აქტიური მონაწილეობა ეკონომიკურ გლობალიზაციაში. ის, თუ რამდენად მომგებიანი ან წამგებიანი იქნება თითოეული ქვეყნისათვის მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში გაწევრიანება, მთლიანად დამოკიდებულია მის პოლიტიკაზე. მხოლოდ და მხოლოდ კეთილგონივრული, აწონდაწონილი, წინასწარ ღრმად გააზრებული პოლიტიკა დაეხმარება ამა თუ იმ ქვეყანას დიდი წარმატებების მიღწევაში.

## ლიტერატურა


1. დავითაშვილი მ., ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003.
2. მოსიაშვილივ., ეკონომიკა: დინამიკა, ზრდა, განვითარება, თბ., 2008.
3. მოსიაშვლი ვ., ჭელიძე მ., ფინანსების საფუძვლები, თბ., 2012.
4. http://commersant.ge/index.php?id=973.
5. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983.
6. www.GeoStat.ge.


## SUMMARY


Globalization is a relationship system, in which world leading player or player groups (directly or by their representatives) can initiate processes and can influence on it, which ultimately provides social development trends in the world throughout.

The process of globalization impacts not only absolutely positive, but negative exposure on the development of mankind as a whole and individually for each country.It wholly depends on the country policy how profitable or unprofitable will be joining the world economic community. Only prudent, deeply thought-out policies will help certain countries to achieve great success.

# საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის ზრდის პრობლემები

*გიორგი ხანთაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

2012 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა[1] 13 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა[2]. აქედან, 4.2 მლრდ აშშ დოლარი იყო სამთავრობო სექტორის ვალი (31.9%), 651.8 მლნ აშშ დოლარი (5%) - ეროვნული ბანკის, 2.2 მლრდ აშშ დოლარი (17%) - საბანკო სექტორის, 3.1 მლრდ აშშ დოლარი (23.4%) - სხვა სექტორებისა და 2.9 მლრდ აშშ დოლარი (22.6%) - კომპანიათაშორისი ვალი. მთლიანი საგარეო ვალის 94% დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

სამთავრობო გარანტიის მქონე და სხვა სახის საგარეო ვალები შესაძლოა დაყოფილ იქნეს შემდეგ კატეგორიებად:

1. ცენტრალური მთავრობის ვალი, ე.ი. ვალი, რომლის პასუხისმგებლობაც ცენტრალურ ან ადგილობრივ მთავრობას აკისრია და რომელსაც ცენტრალური ბიუჯეტი მოიხმარს.
2. ცენტრალური მთავრობის უზრუნველყოფის ქვეშ მყოფი ვალი, ე.ი. ვალი, რომლის დაფარვის პასუხისმგებლობა კერძო საწარმოებსა და ადგილობრივ მთავრობას აკისრია. ისინი უზრუნველყოფენ ვალების ვალდებულებების შესრულებას, მაგრამ წარუმატებლობის შემთხვევაში ეს ვალები ცენტრალურ ბიუჯეტს დააწვება.
3. კერძო სექტორის უგარანტიო ვალები, ე.ი. ვალები, რომელთა დაფარვის პასუხისმგებლობაც კერძო საწარმოებს აკისრიათ, გამოიყენება მათ მიერ და არ არის ცენტრალური მთავრობის უზრუნველყოფის ქვეშ. ადგილობრივი მთავრობისა და საწარმოების წარუმატელობის შემთხვევაში ამ კრედიტის ტვირთი შესაძლოა კვლავ ცენტრალურ მთავრობას დააწვეს კისერზე.

2012 წლის მესამე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 1 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა, აქედან ოპერაციულ ცვლილების გამო ვალი გაიზარდა 821.3 მლნ აშშ დოლარით, ფასის ცვლილების შედეგად - 115.4 მლნ აშშ დოლარით, საკურსო ცვლილებების შედეგად - 79.3 მლნ აშშ დოლარით, ხოლო სხვა ცვლილებების გამო 11.6 მლნ აშშ დოლარით.

სამთავრობო სექტორის უცხოური ვალდებულებები საანგარიშო პერიოდში 293.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან ოპერაციული ცვლილებების შედეგად ზრდამ 211.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ფასის და საკურსო ცვლილებების შედეგად სამთავრობო სექტორის ვალი გაიზარდა 82.4 მლნ აშშ დოლარით.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 54.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. აქედან, ოპერაციული ცვლილების შედეგად გვქონდა ეროვნული ბანკის ვალდებულებების 65.4 მლნ აშშ დოლარით შემცირება და საკურსო ცვლილების შედეგად 11.2 მლნ აშშ დოლარით ზრდა.

საბანკო სექტორის უცხოური ვალდებულებები 149.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რაც გამოწვეულია ოპერაციული ცვლილებების შედეგად 142.1 მლნ აშშ დოლარიანი და საკურსო ცვლილებების შედეგად 6.9 მლნ აშშ დოლარით ზრდით. საბანკო სექტორის ოპერაციული ცვლილებების შედეგად გაზრდილი ვალდებულებების 60.8% (86.5 მლნ აშშ დოლარი) ბანკების მოკლევადიან ვალდებულებებზე მოდის, ხოლო 39.2% – გრძელევადიან ვალდებულებებზე (55.5 მლნ აშშ დოლარი).

572.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა სხვა სექტორების საგარეო ვალდებულებები, აქედან 545.9 მლნ აშშ დოლარი, რაც სხვა სექტორების გაზრდილი ვალდებულებების 95.3%-ს შეადგენს, არასაფინანსო კორპორაციების საგარეო ვალდებულებებზე მოდის. სხვა სექტორების საგარეო ვალი, ოპერაციული ცვლილების შედეგად, 470.1 მლნ აშშ დოლარით, ფასის ცვლილებების შედეგად 80.5 მლნ აშშ დოლარით, სხვა ცვლილებების შედეგად 14.4 მლნ აშშ დოლარით, ხოლო საკურსო ცვლილებების შედეგად 7.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში, უცხოური კომპანიათაშორისი სესხები 66.6 მლნ აშშ დოლარი გაიზარდა. ოპერაციული და საკურსო ცვლილების შედეგად კომპანიათაშორის სესხები შესაბამისად 63.1 მლნ აშშ დოლარით და 6.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, ხოლო სხვა ცვლილებების შედეგად 2.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

საგარეო ვალდებულებების ზრდის 91.6%, რაც 940.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენს უცხოური

[1] მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა ჰარმონიზებულია საგადასახდელო ბალანსთან. იგი მოიცავს სახელმწიფო (სამთავრობო სექტორი და ეროვნული ბანკი) და კერძო სექტორის (საბანკო და სხვა სექტორები) საგარეო ვალს.

[2] www.nbg.gov.ge

ვალუტით გამოსახულ ვალზე მოდის, ხოლო ეროვნული ვალუტით დენომინირებული საგარეო ვალზე მთლიანი საგარეო ვალის ზრდის 8.4%-ია, რაც 86.6 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით დენომინირებული საგარეო ვალდებულებების მოცულობამ 12.3 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო ეროვნული ვალუტით დენომინირებული ვალის მოცულობამ 789.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ძირითადად შეღავათიანია. უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხები უნდა გამოიყენებოდეს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად. სესხის აღება უნდა ხდებოდეს მაშინ, ისიც მიმზიდველი პირობებით, როცა მთავრობას სხვადასხვა პროექტების დაფინანსების საშუალება არ გააჩნია. საქართველოს, როგორც მთლიანი, ისე სახელმწიფო (მთავრობის) საგარეო ვალი უკანასკნელი რამდენიმე წელია საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა ზოგიერთი სესხი სწორედ მაშინ იქნა აღებული, როცა მთავრობა მაგალითად, 2008 წლის მაისში აცხადებდა, რომ ქვეყანას არანაირი საბიუჯეტო პრობლემა არ გააჩნდა და ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ბუმი იყო. შდრ, 2003 წლის ბოლოს მთავრობის საგარეო ვალი მხოლოდ 1.564 მლრდ აშშ დოლარი იყო[1]. 2012 წლისათვის, სამთავრობო საგარეო ვალის თითქმის სამჯერ ნახტომისებური ზრდიდან გამომდინარე, არსებული პრობლემები თავს არც ისე შორეულ მომავლაში იჩენს, როდესაც ქვეყანა მისი მომსახურების საგრძნობი თანხების გადახდის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება.

2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა ევროობლიგაციების სადებიუტო გამოშვება. 2011 წელს საქართველომ გამოუშვა მეორე, ამჯერად 10-წლიანი ევროობლიგაცია რომლის ფინანსური პარამეტრები მიმზიდველობის თვალსაზრისით გაუთანაბრდა უფრო მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე სუვერენული სახელმწიფოების ფასიან ქაღალდებს. ამ ტრანზაქციის ფარგლებში მოხდა 2008 წელს გამოშვებული 5-წლიანი ევროობლიგაციის წინსწრებით გამოსყიდვა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა 2013 წელს ერთჯერადად გადასახდელი ძირითადი თანხა და, შესაბამისად, ერთგვარად ხელსაყრელი გახადა სახელმწიფო ვალის დაფარვის გრაფიკი. თუმცა რეალობაა ისიც, რომ საგარეო ვალის მოცულობის ზრდა ამით არ შეჩერებულა. ვალის გადავადება რომ კარგია, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გადავადება კვლავ ვალის აღების ხარჯზე მთლად პოზიტიური, რომ არ უნდა იყოს, უდავოა.

[1] www.mof.ge

სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი წარმოადგენს მთლიანი სახელმწიფო ვალის დაახლოებით 79%. ამ საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისაგან და ძირითადად შეღავათიანია. სახელმწიფო საგარეო ვალის ასეთი სტრუქტურა საშუალებას იძლევა, მიღწეულ იქნას დაბალი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ წლიური 2%-ის ოდენობით. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის დაახლოებით 67% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისაგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისაგან და უზრუნველყოფს ამ ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ და ადვილად ხელმისაწვდომ დონეზე მიუხედავად გაურკვეველი გლობალური ეკონომიკური სიტუაციისა. უახლოეს ორ-სამ წელიწადში მაკროეკონომიკური პარამეტრების მკვეთრი გაუმჯობესებითა და საფინანსო სექტორში დისციპლინის მკაცრი დაცვით შესაძლებელი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობის გაზრდა, რაც, თავის მხრივ, საგარეო ვალების მომსახურების ნაწილში ერთგვარ შემამსუბუქებელ ფაქტორად მოგვევლინება.

სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან ფინანსური რესურსის მოზიდვა მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით, რათა შენარჩუნებულ იქნას სახელმწიფო ვალის არსებული ხელსაყრელი პარამეტრები.

2008 წლის ოქტომბერში ქ. ბრიუსელში საქართველოს მხარდასაჭერად გაიმართა დონორების საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 35-ზე მეტი ქვეყანა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია. საქართველომ კონფერენციაში მონაწილე დონორებისაგან მიიღო შეღავათიანი ფინანსური მხარდაჭერის დაპირებები საერთო მოცულობით 4,5 მილიარდი აშშ დოლარი, საქართველოს ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით. ის ფაქტი, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ქვეყანას მსოფლიო თანამეგობრობამ ხელი გულუხვად გამოუწოდა, დამატებით გახდა, ასევე, საგარეო ვალების ტვირთის დამძიმების ერთ-ერთი ფაქტორი.




მთლიანი საგარეო ვალების სტრუქტურაში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილ რესურსებში, აღსანიშნავია საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტები, რომლებიც, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შევსებას ხმარდებოდა.

**ბრიუსელის დონორთა საერთაშორისო კონფერენცია: ფინანსური მხარდაჭერის სტრუქტურა დონორების მიხედვით (საჯარო სექტორში გაფორმებული თანხები)**




**ბრიუსელის დონორთა საერთაშორისო კონფერენცია: ფინანსური მხარდაჭერის სტრუქტურა სექტორების მიხედვით**




2012 წლის აპრილში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, „Stand-By Arrangement (SBA)"-ისა და „Stand-By Credit Facility (SCF)"-ის ფარგლებში საკრედიტო რესურსის გამოყოფის შესახებ, რომლის მიზანია 2012-2014 წლების ეკონომიკური და ფინანსური პროგრამის განხორციელებაში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა. SBA და SCF კრედიტის

ფარგლებში დაგეგმილია ქვეყნის პოსტ-კრიზისული მაკროეკონომიკური გაჯანსაღების პროცესის დასრულება, საგარეო პოზიციის დარეგულირება, ბაზრების ნდობის შემდგომი გაძლიერება და დონორების მიერ ფინანსური დახმარების გააქტიურება.[1] საკრედიტო ხაზზე ვრცელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაფინანსების მექანიზმი, რომლის თანახმად ხელისუფლება გამოყოფილ ფინანსურ რესურსს ავტომატურად არ ითვისებს და ის მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების დროს, კერძოდ, არსებული უარყოფითი რისკების რეალიზაციის შემთხვევაში, საგარეო საგადასახდელო ბალანსის შესაძლო გაუარესების შემთხვევაში ხდება ხელმისაწვდომი ანუ მისი ათვისება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მოხდება. საქართველოსთვის ამ პროგრამების ამუშავებას შემდეგი მიზნები აქვს:

- შემდგომი ფისკალური კონსოლიდაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ვალდებულებების მდგრადობა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
- საგარეო პოზიციის რეგულირებისათვის გაცვლითი კურსის მოქნილი მართვის შენარჩუნება;
- საბანკო სექტორში არსებული რისკების მონიტორინგის გაძლიერება და ფინანსური სისტემის რეგულატორული ჩარჩოს დახვეწა შოკების მიმართ მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

გარდა ზემოთხსენებულისა, ფინანსური სახსრების პარალელურად ამოქმედდება სსფ-ის ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს სამთავრობო ფინანსური მენეჯმენტის გაძლიერებას და ფისკალურ გამჭვირვალობას. ტექნიკური დამხარების ფარგლებში დაგეგმილია ეროვნული ანგარიშებისა და საგარეო სტატისტიკის გაუმჯობესება, საგადახდო სისტემების მოდერნიზება და მონეტარული პოლიტიკისათვის მოდელირების ჩარჩოს შემდგომი განვითარება.

Stand-By Arrangement საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სასესხო ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც განკუთვნილია ზრდადი და განვითარებული ეკონომიკებისათვის, კრიზისულ პერიოდში საგარეო დაფინანსების საჭიროების უმოკლეს ვადებში დასაკმაყოფილებლად და მდგრადი განვითარების განახლებისთვის. SBA საპროცენტო განაკვეთები არაკონცესიულია, თუმცა, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში ნაკლებია საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე. ვადიანობა მოქნილია და ტიპურად მოიცავს 12-24 თვეს, თუმცა არაუმეტეს 36 თვისა, რაც სავსებით თავსებადია იმ ფაქტთან, რომ კრედიტი თავისი არსით განკუთვნილია საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებული მოკლევადიანი პრობლემების დაძლევისათვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახსრებთან ხელმისაწვდომობა SBA ფარგლებში საკმაოდ დიდი მოქნილობით ხასიათდება და დამოკიდებულია ფინანსური საჭიროების, გადახდისუნარიანობისა და ფონდთან ურთიერთობის მაჩვენებლებზე. გარდა ნორმისა, რომელიც შეადგენს კვოტის 200 პროცენტს წელიწადში და ნარჩენი მთლიანი კრედიტის 600 პროცენტს, შესაძლებელია დაჩქარებული წესით კრედიტის მიღება.

SBA კრედიტის დაფარვა წარმოებს სესხის აღებიდან 39 თვის შემდეგ ყოველკვარტალურად 8 თანაბარი გადახდით. სესხის საპროცენტო განაკვეთი მიბმულია სსფ-ის საბაზო საპროცენტო განაკვეთზე (ე.წ. Basic Rate of Charge), რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია SDR საპროცენტო განაკვეთთან. კვოტის 300 პროცენტზე მეტ ნარჩენ სახსრებს, გარდა ძირითადისა, ერიცხება ასევე დამატებითი საპროცენტო განაკვეთი (surcharge) 200 საბაზისო პუნქტის ოდენობით. გარდა ამისა, თუ კრედიტის ნარჩენი თანხა აჭარბებს კვოტის 300 პროცენტს სამი წლის გასვლის შემდეგ, დამატებითი საპროცენტო განაკვეთი იმატებს 300 საბაზისო პუნქტამდე და სსფ-ის გრძელვადიანი დაფინანსების ხელმისაწვდომობას აძნელებს. SBA პროგრამის ფარგლებში შეთანხმებულ ფულად სახსრებს, ყოველი 1-წლიანი პერიოდის დასაწყისში, ასევე, ერიცხება წლის განმავლობაში ასაღები მთლიანი თანხის შესაბამისი ე.წ. დარეზერვების გადასახადი (commitment fee), რომელიც თანხის ათვისების შემთხვევაში უკან ბრუნდება.

Stand-By Credit Facility განკუთვნილია დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისათვის, რომელთაც გარკვეულწილად უკვე მიაღწიეს მაკროეკონომიკურ მდგრადობას, მაგრამ პერიოდულად შესაძლებელია კვლავ აღმოჩნდნენ ეგზოგენური შოკებით გამოწვეული მოკლევადიანი დაფინანსების დისბალანსის რეგულირების საჭიროების წინაშე.

SCF პროგრამით გათვალისწინებული სახსრები ხელმისაწვდომია Poverty Reduction and Growth Trust (PRGT) ფონდის წევრი ქვეყნებისათვის. SCF საკრედიტო ხაზის ვადიანობა გათვლილია 12-24 თვეზე. SCF შეთანხმება შეიძლება იქნეს შეწყვეტილი ან პირიქით, გაგრძელებული, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად. აღნიშნული კრედიტი წარმოადგენს კონცესიურ ვალდებულებას და ლიმიტირებულია 1 წლის განმავლობაში კვოტის 100 პროცენტამდე და მთლიანი პერიოდის განმავლობაში კვოტის 300 პროცენტამდე. SCF კრედიტის ათვისების პერიოდი შეადგენს 4 წელიწადს, ხოლო საბოლოო დაფარვის ვადაა 8 წელი. SCF პროგრამის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 0.25 პროცენტს. 2012 წლის ბოლომდე

[1] http://www.imf.org/external/np/sec/pr/2012/pr12131.htm

არსებული ნარჩენი თანხები გათავისუფლებულია საპროცენტო განაკვეთის დარიცხვისაგან. გარდა ძირითადი საპროცენტო განაკვეთისა, ყოველ 6-თვიან პერიოდში ასათვისებელ თანხებზე წარმოებს ე.წ. ხელმისაწვდომობის გადასახადის (availability fee) დარიცხვა, რომელიც წლიურად 0.15 პროცენტს შეადგენს. SBA პროგრამაზე, ისევე როგორც SCF საკრედიტო ხაზზე, ვრცელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაფინანსების მექანიზმი, რომლის თანახმად ქვეყანა გამოყოფილ ფინანსებს ითვისებს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებისა და საჭიროების შემთხვევაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი პროგრამა გარკვეულწილად წარმოადგენს 2008 წლის SBA ფარგლებში მაკროეკონომიკური მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული 33-თვიანი პროგრამის ერთგვარ გაგრძელებას.

ამასთან, არასტაბილური საგარეო ვითარება ზრდის გარე ფაქტორებით გამოწვეულ რისკებს. აღნიშნული განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მაშინ, როდესაც დგება საგარეო ვალების მნიშვნელოვანი ოდენობით გადახდების პერიოდი. გარდა ამისა, საშუალოვადიან გამოწვევებად კვლავ რჩება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეკვეცის აუცილებლობა და უმუშევრობის დონის შემცირება. სავარაუდოდ, სწორედ ამ და სხვა მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების დაძლევა გახდება უახლოეს მომავალში აქტუალური მთავრობისათვის.

სსფ-ის ახალი პროგრამა 2-წლიან ვადაზეა გათვლილი და მის ფარგლებში გათვალისწინებულია 250 მილიონი SDR-ის (ქვოტის 166.3 პროცენტი) ათვისება. აღნიშნული თანხა თანაბრად იქნება განაწილებული SBA და SCF პროგრამებს შორის.

როდესაც ქვეყანას აქვს ერთობლივი შემოსავლების საკმარისი ოდენობა, საგარეო ვალის მომსახურება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე გავლენას ვერ ახდენს. სხვა შემთხვევაში კი საგარეო ვალის მომსახურება მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს.

სხვადასხვა გეგმათა შორის, ცნობილია ე.წ. ჰიუსტონის სქემა[1], რომლითაც ხდება მთავრობის საგარეო ვალების შემსუბუქება-რესტრუქტურიზაცია, თუმცა ვალის გადავადება, რაც არ უნდა პერიოდს მოიცავდეს ის, მხოლოდ დროებითი ეფექტის მომტანია.

2012 წლის მხოლოდ ერთ კვარტალში (მესამეში მეორესთან შედარებით) მთლიანი საგარეო ვალების ოდენობა ერთი მილიარდი აშშ დოლარით გაიზარდა, რაც მეტად დამაფიქრებელი სიგნალის მატარებელია. 13-მლრდ აშშ დოლარიანი მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა არც ისე პატარაა საქართველოს მასშტაბის სახელმწიფოსათვის, თანაც თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ის არათუ წლიურად უკვე, არამედ კვარტალურად მნიშვნელოვნად იზრდება. საგარეო ვალის მართვა რომ აქილევსის ქუსლად არ უნდა იქცეს, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ძალისხმევის ჩატარება მოუწევს.

[1] 1990 წელს შემუშავდა ე.წ. „ჰიუსტონის პირობები" და ვრცელდება იმ ქვეყნებზე, რომელთა შემოსავლებიც საშუალოზე ნაკლებია. „ჰიუსტონის პირობებით" კრედიტების დაფარვის ვადაა - 15 წელი, შეღავათიანი პერიოდი - 8 წელი, საპროცენტო განაკვეთი - საბაზრო. რაც შეეხება არაკომერციულ კრედიტებს, დაფარვის ვადა შეადგენს 20 წელს, შეღავათიანი პერიოდი განისაზღვრება 10 წლით, ხოლო საპროცენტო განაკვეთი პირველადი კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტოლი ანუ უფრო შეღავათიანია.

**ლიტერატურა:**


1. http://www.imf.org/external/np/sec/pr/2012/pr12131.htm
2. http://www.imf.org/external/np/country/notes/pdf/georgia.pdf
3. საქართველოს ეროვნული ბანკის მასალები; www.nbg.gov.ge
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები; www.mof.ge


## SUMMARY


By the state of 30-th September, 2012, total foreign debt of Georgia has made 13 billion USD dollars.

During any one fiscal year, to serve the debts there has to be directed only little part of budget incomes, which gives a possibility that the budget assigns have to be maximally orientated on a priority of the country development and financing of social programs.

One of the main aims of the state has to be attracting of financial resources from donor organizations with discounts, so as to keep the advantageous parameters of existed state debt. The International currency fund executive council has made a decision in the framework of "Stand-By Arrangement (SBA)"- and "Stand-By Credit Facility (SCF)" about allocation of credit resources, the aim of which is to support of fulfillment of economic and financial programs by the government of Georgia.

It is true that by the emission of bonds and as a result of their realization, there was made restructuring of foreign debts, but in the nearest future, Georgia will face so called delayed debt service. So, from the point of view of debt management the country faces a challenge, overcoming of which doesn't have to become an Achilles heel.

# ელიტარული კორუფცია და ეკონომიკური კრიზისის პრობლემები

*რამაზ ოთინაშვილი,*

***სახელმწიფო მართვის სისტემა, რომლის ინსტიტუტები გაჯერებულია არაფორმალური კავშირებით, ცივილიზირებული განვითარების პერსპექტივა არ აქვს.***

**კორუფციის არსი და ბუნება.** მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, სადაც კორუფცია ამა თუ იმ მასშტაბით და გამოვლენის ფორმებით არ შეინიშნებოდეს. მისთვის არ არსებობს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული თუ გეოგრაფიული საზღვრები. ეს უნიკალური მოვლენა ყველა წყობის საზოგადოებაში ვლინდება და ქვეყნის განვითარების მუდმივი თანმდევი სენია.

სიტყვა კორუფცია ლათინური წარმოშობისაა (corruptio – მოსყიდვა) და ქრთამის მიცემის გზით მოსყიდვას ნიშნავს. ტერმინი „კორუფცია" წარმოიშვა ძველ დროში, ლათინური სიტყვების, „correi" (სოლიდარობა, კორეალურუბა) და „rumpere" (გატეხვა, დაზიანება, დარღვევა), ტრანსფორმაციის შედეგად, ჩამოყალიბდა ტერმინი „corrumpere",[1] რაც ნიშნავდა პიროვნებათა ჯგუფის მოღვაწეობას, რომელთა მიზანი იყო საზოგადოებრივი საქმეების მართვის (ნორმალური სასამართლო პროცესის) ჩაშლა, გაფუჭება, დაზიანება, აზრის დამახინჯება. აღსანიშნავია, რომ თანდებულმა „cor" (ერთად, ერთობლივად) მრავალმნიშვნელოვან ზმნას „rumpere"-ს მრავლობითი ხასიათი შესძინა, ანუ თავიდანვე განისაზღვრა, რომ კორუფცია ესაა მოვლენა, რომელსაც ჰყავს ერთობლივი მონაწილენი.

მოგვიანებით კორუფციის მცნებას ემატება ეკლესიური, კანონიკური მნიშვენლობა, როგორც ეშმაკის ცდუნება, შეცდენა. მაგალითად, კათოლიკურ სამღვდელოებაში კორუფციამ შეიძინა ცოდვის დატვირთვა - *იოანე აპოსტოლეს* მიხედვით „*ცოდვა არის უკანონობა*". ქრისტიანულ რელიგიაში ქრთამი განიხილება, როგორც დიდი ცოდვა და საძრახისი საქციელი. მის ცნებას საინტერესოდ განსაზღვრავს *სულხან-საბა ორბელიანი*: „*საცოდავი ძღვენი*", „*ქრთამს ნუ აიღებ, რადგან იგი აბრმავებს თვალხილულს და ასხვაფერებს მართალთა საქმეებს*".[2]

როგორც ყველა რთულ სოციალურ მოვლენას კორუფციას არა აქვს ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება. მისი მრავალი განმარტება არსებობს. გაეროსა და ევროსაბჭოს დოკუმენტებში გამოყენებული განმარტების მიხედვით: *კორუფცია არის საჯარო ძალაუფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენება პირადი, მესამე პირის ან ჯგუფის სარგებლის მიღების მიზნით.*

მოვიყვანთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან განმარტებას: *კორუფცია არის სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის გახრწნა, რომელიც გამოიხატება თანამდებობის პირებისა და საზოგადო მოღვაწეების გამყიდველობაში.* თუ პირველ განმარტებაში საუბარია ცალკეული პირების დანაშაულებრივ ქმედებებზე, მეორეში სოციალურ მოვლენაზე, რომელიც თანამდებობის პირების ხელმძღვანელობით შლის საზოგადოებას.

ეკონომიკური კორუფციის თეორიულ საფუძვლებზე კვლევები იწყება 1970-იანი წლებიდან. მეცნიერული თვალსაზრისით ეს პრობლემა ღრმად და ყოველმხრივაა დამუშავებული ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერულ წრეების ნეოინსტიტუციონალური სკოლის წარმომადგენლების შრომებში. *ბენფილდი, ჯონსტონი, ოსბორნი* და სხვა მეცნიერები ამ საზოგადოებრივ მოვლენას განიხილავენ, როგორც სახელმწიფო მოღვაწეების, სახელმწიფო აპარატის თანამშრომლების, ბიზნესმენების და სხვა პირების თავის არიდებას საკუთარ ოფიციალური მოვალეობების შესრულებისაგან, პირადი, ოჯახური და ჯგუფური ინტერესებით გამდიდრების და საკუთარი სოციალური სტატუსის გაზრდის მიზნით. მათი აზრით კორუფცია წარმოიშვება და იზრდება იქ სადაც სახელმწიფოს დელეგირებული აქვს უფლებები და ცალკეული ჩინოვნიკები აღჭურვილნი არიან სიკეთეების განკარგვის და მართვის პრივილეგიებით.

კორუფციის მიზეზები ქვეყნის პოლიტიკაში, ბიუროკრატიულ ტრადიციებსა და სოციალურ ისტორიაშია ფესვგადგმული. მისი აყვავებისთვის ნოყიერი ნიადაგი იქმნება, როდესაც ოფიციალური სახელმწიფო ინსტიტუტები სუსტია და არაფორმალური (ჩრდილოვანი) ურთიერთობების მასშტაბები მაღალი. ამიტომ, კორუფციის გამომწვევი მიზეზები ძირითადად ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომწვევ მიზეზებს ემთხვევა.[3] გამოყოფენ კორუფციის შემდეგ მიზეზებს:

*ეკონომიკური* – სახელმწიფო მოხელეები მცირე ხელფასების პირობებში ფლობენ მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს. აღნიშნული უფრო აქტუალურია

განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში;

*ინსტიტუციონალური* – სახელმწიფო უწყებებში ადგილი აქვს გამჭვირვალობის დაბალ ხარისხს. სუსტია სახელმწიფოს საკადრო პოლიტიკა. ადგილი აქვს ფავორიტიზმს, პროტექციონიზმს, არასამართლებრივი ლობიზმის არსებობას;

*სოციალურ-კულტურული* – საზოგადოების დემორალიზაცია და გახრწნა, მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერების დაბალი დონე, მისი საზოგადოებრივი პასიურობა.

შეიძლება ითქვას, რომ კორუფცია მსოფლიო პრობლემაა. ამიტომ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროგაერთიანება და ევროსაბჭო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და ა.შ. სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ამ პრობლემის შესწავლას, როგორც ძალზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხს.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ კორუფცია სახელმწიფო სექტორში ღებულობს მსგავს ფორმებს და სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედებს ძირითადად ერთსა და იმავე სფეროებზე. ყველაზე მეტად გავრცელებულია სახელმწიფო საქმიანობის შემდეგ სფეროებში:[4] სახელმწიფო შესყიდვები; გადასახადების აკრეფა; სახელმწიფო მართვის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნა; ადგილობრივი თვითმმართველობა; ლიცენზირება და ბიზნესის რეგისტრაცია; კრედიტების გაცემა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების წარმოება; სისხლის სამართლის საქმის აღძრვა ან შეწყვეტა; სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა და ა.შ.

კორუფციის შედეგები დამანგრეველ გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებაზე. ძირს უთხრის საზოგადოებრივ ნდობას. ზნეობრივად ხრწნის მოსახლეობას. ხელს უწყობს ქვეყნიდან მის მიგრაციას და კაპიტალის არალეგალურ გადინებას. კორუფცია საფრთხეს უქმნის ღარიბ ფენას. ამ სენით დაავადებული სახელმწიფო განსაკუთრებით ულმობელია საზოგადოების წესიერი, ზნეობრივი ნაწილის მიმართ. კორუფციის უარყოფითი შედეგებია:[5]

***ეკონომიკური:*** *თრგუნავს ჯანსაღ კონკურენციას. ზოგადად კონკურენციასა და კორუფციას შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება. შედეგად, მცირდება ბაზრის ეფექტიანობა. მწვავდება ეკონომიკური კრიზისი. ხდება საბაზრო ეკონომიკის იდეის დისკრედიტაცია. ფართოვდება ჩრდილოვანი ეკონომიკა, რაც განაპირობებს მწირ ბიუჯეტს. იზრდება სახელმწიფოს ვალები. ქვეყანა კარგავს ეკონომიკის მართვის ბერკეტებს და საფრთხე ექმნება მის ეკონომიკურ უსაფრთხოებას;*

*სოციალური:* კორუფცია ხელს უწყობს ეროვნული შემოსავლის უსამართლო გადანაწილებას ვიწრო ოლიგარქიული კლანების სასარგებლოდ. შედეგად, ღრმავდება საზოგადოების ქონებრივი უთანაბრობა. ხდება საზოგადობის უდიდესი ნაწილის გაღარიბება, მისი ჯანმრთელობის გაუარესება და მოსახლეობის დეპოპულაცია. მცირდება ხელისუფლების უნარი გადაწყვიტოს მწვავე სოციალური პრობლემები. საფრთხე ექმნება ქვეყნის სოციალურ უსაფრთხოებას;

*პოლიტიკური:* მცირდება მოსახლეობის ნდობა ხელისუფლებისადმი. იზრდება მათ შორის გაუცხოება. მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე ინიშნებიან ოლიგარქიული კლანების წარმომადგენლები. ადგილი აქვს პოლიტიკური კონკურენციის პროფანაციას და პოპულიზმს. სამართალი, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობის ძირითადი მარეგულირებელი ინსტრუმენტი დისკრედიტირებულია. საზოგადოებრივ ცნობიერებაში ყალიბდება წარმოდგენა მოქალაქეთა დაუცველობაზე, როგორც დანაშაულებრივი სამყაროს, ასევე ხელისუფლების მხრიდან. ქვეყანაში მკვიდრდება დაუსჯელობის სინდრომი. სახელმწიფო და საზოგადოება ხდება დახურული. მცირდება ხელისუფლების პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე. იზრდება მისი ეკონომიკური და პოლიტიკური იზოლაციის საშიშროება, რაც უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე;

*მორალურ-ფსიქოლოგიური:* ხდება ფორმალური და რეალური ფასეულობების გამიჯვნა. საზოგადოებაში ყალიბდება ორმაგი სტანდარტის, მორალისა და ქცევის ნორმები. პიროვნების ავტორიტეტი და შესაძლებლობები განისაზღვრება მისი მატერიალური მდგომარეობით, იმისგან დამოუკიდებლად თუ რა გზით მოიპოვა ის. გაუფასურებულია ზნეობრივი ფასეულობები. იზრდება მოსახლეობის ნეგატიური აქტიურობა. საფრთხე ექმნება საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს.

მაშასადამე, კორუფცია ხრწნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

კორუფციის მასშტაბები იზრდება ქვეყნის მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციის პერიოდში. პოსტკომუნისტური სისტემის ნგრევის შედეგად ფორმირებადი ეკონომიკური ურთიერთობები ხელსაყრელ პირობებს ქმნის კორუფციის ახალ ხარისხში ინსტიტუციონალიზაციისათვის, რასაც სამწუხაროდ საქართველოს

სოციალურ რეალობაში აქვს ადგილი.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი *ვიტო ტანზი* საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის მომზადებულ ნაშრომში *„კორუფცია მსოფლიოში – მიზეზები, შედეგები, მასშტაბები და წინააღმდეგობები"*, აღნიშნავს: *კორუფცია პოსტკომუნისტური გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში არის საბაზრო რეფორმების წინააღმდეგობების საკვანძო მომენტი.*[6]

ამაღლდა „კორუფციის კულტურა" აღნიშნულ სფეროში შეიქმნა გარკვეული ტრადიციები, ქცევის დაუწერელი წესები და ურთიერთობების „ეთიკა". ჩამოყალიბებულია მყარი კავშირები, შუამავლების სისტემა „ჩაწყობილის" შესრულების გარანტიით, ხოლო ქრთამის ოდენობა, საქმის მასშტაბებისა და შემსრულებლის ჩინის ზრდასთან ერთად მატულობს.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ კორუფცია თითქოს დამარცხდა. თუმცა მრავალი ექსპერტის შეფასებით მან უფრო მაღალ ხარისხში გადაინაცვლა და ელიტარული ფორმა მიიღო. აღნიშნულის არგუმენტად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ქვეყნებში სადაც მარცხდება კორუფცია მკვეთრ ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას აქვს ადგილი, რაც სამწუხაროდ საქართველოში არ შეინიშნება.

საქართველოში დღეს კორუფციის წყაროს წარმოადგენს დამახინჯებული ინსტიტუტები და არა დამახინჯებული მორალი. სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით ქვეყანა მოექცა ეკონომიკურ კრიზისში, რომელიც უპრეცენდენტოა თავისი ხასიათით, ხანგრძლივობითა და სიმძაფრით, რაც პირდაპირ ზემოქმედებს მოსახლეობის ქცევაზე.

ოცი წელია მოსახლეობის უმრავლესობის ოფიციალური შემოსავლები საცხოვრებელი მინიმუმის ქვემოთაა. ხალხი მაინც ცხოვრობს და არსებობს. თავისდაუნებურად იბადება კითხვა - რითი? რა თქმა უნდა ჩრდილოვანი შემოსავლებით. ხოლო, რაც შეეხება მოწინავე პოზიციებს ამ სფეროში *ჯ. კელის* პირადი კონსტრუქციების თეორიის თანახმად თითოეული ადამიანი არის უნებლიე ცხოვრებისეული ფსიქოლოგი, ეკონომისტი, სამართალმცოდნე ანუ თითოეულ ჩამოყალიბებულ პიროვნებას შეხედულებების საკუთარი ინდივიდუალური სისტემა გააჩნია. არსებული რეალობის შემყურე მოსახლეობაც ეგუება მდგომარეობას. ორიენტაციას ახდენს მიმდინარე პროცესებზე და მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შესაბამისად.

გარდამავალ პერიოდში ადაპტაციის მაღალი უნარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში. იგი განსაზღვრავს მოსახლეობის ცალკეული სოციალური ფენებისა და ჯგუფების გაცნობიერებულ უნარს, საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების რეალიზაციის მიზნით, მოახდინონ ორიენტაცია არსებულ სიტუაციაში.

***კორუფციის გამოვლენის ფორმები და სახეები***. კორუფცია გაჩნდა უძველესი დროიდან, პირველი ცივილიზაციის წარმოშობასა და საზოგადოების ფენებად დაყოფასთან ერთად. ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენელი ჩინოვნიკები აღიჭურვნენ მართვის ფუნქციებით. თანამდებობის პირს შესაძლებლობა მიეცა განეკარგა საზოგადოებრივი რესურსი - კორუფცია ზემოდან. ინდივიდის საქმიანობა შეიზღუდა და რეგლამენტირებული გახდა ზნეობრივი და სამართლებლივი ნორმებით. აქედან გამომდინარე ყოველთვის იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ სასურველი შედეგის შემოვლითი, იოლი გზებით მიღწევას - კორუფცია ქვემოდან. კორუფცია ამის საუკეთესო საშუალებაა. იგი ვლინდება სოციალური წყობის ყველა მოდელში, სადაც დელეგირებულია ძალაუფლებები სოციალური ინსტიტუტებისა თუ ცალკეული პირებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, კორუფცია ყველა სახელმწიფოში არსებობს. *მასშტაბების* მიხედვით განასხვავებენ ***მაღალ*** *და* ***დაბალ*** მაჩვენებლებს. როდესაც კორუფციის მასშტაბები დაბალია, შედარებით ადვილია მისი გამოაშკარავება და აღკვეთა, ხოლო როცა მასიური სახე აქვს მიღებული ბრძოლა საკმაოდ რთულია.

ხასიათის მიხედვით, არსებობს ***მსხვილი (ელიტარული)*** და ***წვრილი (მასიური)*** კორუფცია. მსხვილი კორუფცია (სახელმწიფო შეკვეთები, ეროვნული ბანკის და საბიუჯეტო სახსრების ჩრდილოვანი გადანაწილება, მართვა და ა.შ.) ხასიათდება ჩამდენი სუბიექტების მაღალი სოციალური მდგომარეობით და ადგილი აქვს სახელმწიფო მართვის მაღალ ეშელონებში. ასეთი კორუფციული ქმედებები წარმოებს ძალზედ რთულ, კონფიდენციალურ პირობებში, ვინაიდან მეტ ფულთან და რისკთანაა დაკავშირებული. იზრდება მონაწილეების ურთიერთდამოკიდებულება. ნდობის ფაქტორი მათ შორის, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ოლიგარქიული კლანების ჩამოყალიბებას. წვრილ, მასიურ კორუფციას ანუ კორუფციას „გადარჩენის მიზნით" (სხვადასხვა ცნობის აღება, რეგისტრაცია, ჯარიმა და ა.შ.) ადგილი აქვს დაბალ დონეზე. მასში ჩართულია მოსახლეობის ფართო მასები. მისი დამალვა ან ვიწრო წრით შემოფარგვლა ვერ ხერხდება. ასეთი კორუფციის ალაგმვა

შესაძლებელია მართვის სისტემის გაუმჯობესებით და ადმინისტრაციული რეფორმებით.

ჩამდენი სუბიექტის მიხედვით განასხვავებენ: ***სახელმწიფო*** *(სახ. ჩინოვნიკების)*, ***კომერციული*** *(ფირმის მენეჯერების)* ***პოლიტიკური*** *(პოლიტიკური მოღვაწეების) კორუფცია.*

გამოვლენის სიხშირის მიხედვით, არსებობს: ***შემთხვევითი, სისტემატიური და სისტემური*** კორუფცია. *შემთხვევით* კორუფციას ადგილი აქვს ყველა ქვეყანაში ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ ის უშუალოდაა დაკავშირებული ინტერესებთან. ამიტომ, განვითარებულ ქვეყანაშიც, სადაც დახვეწილია სახელმწიფო მართვის სისტემა, თუ პიროვნებას გამორჩენის შესაძლებობა მიეცა ის შესანიშნავად ისარგებლებს ამით. *სისტემატიურ* კორუფციას ადგილი აქვს განვითარებად სახელმწიფოებში. ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნებში. დაბალი ეკონომიკური განვითარების პირობებში კორუფცია ხშირად ვლინდბა. მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაა ადმინისტრაციული რეფორმები და კადრების ხშირი ცვლა.

*კორუფციის ყველაზე საშიში გამოვლენაა სისტემური კორუფცია. ადგილი აქვს აზიისა და აფრიკის უკიდურესად ჩამორჩენილ და ზოგიერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში. სისტემური კორუფცია არის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (ეკონომიკა, პოლიტიკა, ძალოვანი სტრუქტურები, მასმედია, განათლება, კულტურა, მეცნიერება და ა.შ.), მართვის ყველა დონეზე (თავიდან ბოლომდე), კორუფციის ინსტიტუციონალიზაცია.*

*კორუფციის სახეებია:*

– მექრთამეობა;
– კორუფციული ლობიზმი;
– კორუფციული პროტექციონიზმი;
– კორუფციული ფავორიტიზმი;
– ფარული შენატანები პოლიტიკური მიზნებისათვის;
– თანამდებობრივი მლიქვნელობა;
– საერთაშორისო კორუფცია და ა.შ.

კორუფციის კლასიკური გამოვლინებაა - *მექრთამეობა*. ქრთამი თანამდებობრივი დანაშაულია და განეკუთვნება მის ერთ-ერთ ყველაზე ლატენტურ სახეს. იგი შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან იძულებითი. მისი გამოვლენისა და გახსნის სიხშირე ძალზედ დაბალია. აღრიცხვისა და გასამართლებულების სტატისტიკა საკმაოდ მოკრძალებული. მაგალითად, გაეროს მონაცემებით, 1990-2010 წლებში, 10-12 სახის საერთაშორისო დანაშაულის სტრუქტურაში კორუფციული დანაშაულის წილმა მხოლოდ 1% შეადგინა. გამოუმჟღავნებელი მექრთამეობა ექსპერტული მონაცემებით 98-99%-ს აღწევს. დარჩენილი 1-2%-დან 70%-ზე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც განსასჯელების მხოლოდ 19% ეძლევა პასუხისმგებლობას.[7]

ქრთამის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი მატერიალური ფასეულობა: ყველაზე ლიკვიდური საქონელი - ფული (უცხოური ვალუტა), ფასიანი ქაღალდები, უძრავი და მოძრავი ქონება, სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა (თანამდებობის პირისათვის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჩატარება, მისი დასვენების ორგანიზება და ა.შ.). სწორედ ქრთამია გაცნობიერებული ობივატელის მიერ, როგორც ხელისუფალთან ურთიერთობის ყველაზე ეფექტური საშუალება. იგი ხსნილია ყველასთვის საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სოციალური კავშირების მიუხედავად. არსებობს ქრთამის დაუწერელი წესები:

– უმეტესად აძლევენ ჩინოვნიკს, პირდაპირი კავშირებით ან შუამავლის მეშვეობით;
– წინასწარი შეთანხმებით ან შეუთანხმებლად;
– ფარულად ან ღიად.

მსგავსი ქმედების ეთიკური იმპერატივია - იღებ, გააკეთე. განვიხილოთ მექრთამეობის შემდეგი გამოვლინებები:[8]

1. ქრთამის გადახდა ხდება იმისათვის, რომ ხელმისაწვდომი გახდეს დეფიციტური სიკეთე და პრივილეგია. ესაა სიტუაცია, როცა ქრთამის მიმცემი, კონკრეტული ჩინოვნიკის გადაწყვეტილების შედეგად დგება კონკურენტთან შედარებით მომგებიან მდგომარეობაში. მაგალითად: სხვადასხვა შეღავათების (საგადასახადო) მინიჭება, კრედიტის მიღებაზე ნებართვა, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე ლიცენზიის მოპოვება; სახელმწიფო მიწების განაწილება, კონცესია ბუნებრივი რესურსის მოპოვებაზე ან დამუშავებაზე და ა.შ. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქრთამის მიმცემებს შორის ჩრდილოვან კონკურენციას, რომელიც პროვოცირებული ან სპეციალურად შექმნილია სახელმწიფო მოხელის მიერ;

2. ქრთამის გადახდა ხდება არადეფიციტური სიკეთის და პრივილეგიის მისაღებად ვინაიდან მას განკარგავს ცალკეული სახელმწიფო ჩინოვნიკი. მაგალითად, სამშენებლო პროექტზე ნებართვის მიღება, სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავება, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ დანაშაულზე (განსაკუთრებით თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე) პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს როდესაც პოლიცია „შეკრულია“ კრიმინალურ სამყაროსთან

და აწარმოებს ერთობლივ ჩრდილოვან მოღვაწეობას, მაგალითად კონკურენტის დაშინებას;

3. ქრთამის გადახდა ხდება არა რაიმე კონკრეტული პრივილეგიის მიღებისთვის არამედ დამატებითი მომსახურების გასაწევად. მაგალითად: კონფიდენციალური ინფორმაციის მიღება კონკრეტული კონტრაქტის დეტალებზე, მომსახურების დაჩქარება (საზღვარგარეთული პასპორტის აღებაზე, ბინის გადაფორმება), ე.წ. „დამაჩქარებელი ქრთამი". წინასწარი გაფრთხილება პოლიტიკურ ან აუდიტორულ აქციებზე. ხშირად ჩინოვნიკი-ბიუროკრატი თავად ქმნის მექრთამეობისათვის ხელშემწყობ ნიადაგს. მაგალითად ხელოვნურად აჭიანურებს საქმის განხილვას ან აწესებს მკაცრ ფორმალურ მოთხოვნებს ამა თუ იმ კონკრეტული პროექტის განხორციელებაზე;

4. ქრთამის გადახდა ხდება იმისათვის, რათა სხვამ ვერ შეძლოს ამა თუ იმ შეღავათისა და პრივილეგიის მიღება ე.წ. „დამამუხრუჭებელი ქრთამი." აღნიშნული წინააღმდეგობებს უქმნის კონკურენტს და ზრდის მის ხარჯებს. ბუნებრივია ასეთი შემთხვევა პირველის მსგავსად გულისხმობს - თუ ერთმა მოიგო, მეორე წააგებს. მაგალითად, არალეგალური ბიზნესის მეპატრონე „უხდის" სამართალდამცავებს იმისათვის, რათა მათ შეუქმნან პრობლემები კონკურენტს.

შეიძლება თანამდებობის პირი სხვადასხვა მოსაზრებების გამო, პრინციპულად არ იღებდეს ქრთამს. მაგრამ შესანიშნავად სარგებლობდეს კორუფციის სხვა სახეებით. ეწეოდეს პროტექციას, ჩრდილოვან ლობიზმს, ყავდეს ფავორიტები. ერთი სიტყვით, გააჩნდეს „საჭირო" სოციალური კავშირები. აღნიშნული საქართველოში ცხოვრების წესადაა ქცეული.

კორუფცია არის როგორც ინტერნაციონალური ასევე ნაციონალური ფენომენი, რომლის გამოვლენის სპეციფიკა დამოკიდებულია ერის მენტალიტეტზე. სამართლებრივ, რელიგიურ და ეთიკურ ტრადიციებზე. განასხვავებენ *კორუფციის შემდეგ ძირითად სოციალურ მოდელებს:*

*აზიური მოდელი* - კორუფცია დაკავშირებულია სახელმწიფოს ფუნქციონირებასთან და განიხილება როგორც საზოგადოებრივად მისაღები კულტურულ-ეკონომიკური მოვლენა;

*აფრიკული მოდელი* – ხელისუფლება თავიდან ბოლომდის კორუმპირებულია. ქვეყანაში შეთანხმებულად მოქმედებს რამდენიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური კლანი;

*ლათინო-ამერიკული* - სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები კრიმინალიზირებულია. დომინირებად კლანებს შორის მიმდინარეობს ჩრდილოვანი კონკურენცია.

კორუფციის მასშტაბები უშუალოდაა დამოკიდებული ჩრდილოვან ეკონომიკაზე, სწორედ ეს უკანასკნელი ქმნის მისი განვითარებისათვის ნოყიერ ნიადაგს. ფარული, საიდუმლო ბუნების გამო კორუფციის მასშტაბების განსაზღვრა საკმაოდ გართულებულია, ვინაიდან მას გარდა ფინანსურ-ეკონომიკურისა მოაქვს მორალური ზარალი. არსებობს სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ძირითადად სოციალურ-ფსიქოლოგიურ ანალიზს ეფუძნება და სოციოლოგიური ექსპერიმენტების, დაკვირვების, ანკეტირებისა და შერჩევითი გამოკითხვების, ინტერვიუების შედეგებს იყენებს.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია პროფესორ *ვ. პაპავას* გამოკვლევები. მის მიერ ინდექსების თეორიის (მოვლენის ცვლილების დინამიკა დროში) ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა საგადასახადო კორუფციის ინდექსები, რომლებიც საგადასახადო სფეროში კორუფციის საკმაოდ ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა.[9] არსებობს კორუფციის მასშტაბების შეფასების სხვა მათემატიკური მოდელებიც.[10] სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა მასშტაბით გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილი კორუფციის ფორმები და სახეები.

1993 წლის მაისში, შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია „Transparenc international" – „საერთაშორისო საჯაროობა". იგი არის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც იღწვის მთავრობათა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად და კორუფციის აღმოსაფხვრელად საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. „საერთაშორისო საჯაროობის" შტაბინა მდებარეობს ქ. ბერლინში, ხოლო ეროვნული ბიუროები გახსნილია 80 სხვადასხვა ქვეყანაში. ეს ორგანიზაცია ყოველწლიურ გამოკვლევებს ატარებს კორუფციის პრობლემაზე და აქვეყნებს კორუფციის აღქმის ინდექსს. აღნიშნული ინდექსის გაანგარიშება ხდება 17 სხვადასხვა გამოკვლევის მიხედვით, რომელიც ტარდება 13 დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ და ეფუძნება მოცემული ქვეყნის, როგორც ადგილობრივ და საზღვარგარეთელ მოსახლეობის გამოკითხვებს, ისე ქვეყნის მეწარმეებისა და მეცნიერ-ანალიტიკოსების შეხედულებებს.

მიღებული კორუფციის აღქმის ინდექსი მერყეობს 0-დან 10 ბალამდე. 3-ზე ნაკლები მიუთითებს კორუფციის საგანგაშო დონეზე, 3-5 ბალამდე კორუფცია ქვეყნას უქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს. ყველაზე არაკორუმპირებული ქვეყნები ფასდება 10 ქულით. კორუფციის დონის ამაღლებასთან ერთად ქულა კლებულობს.[11] „Transparency International"-

ის 2009 წლის მონაცემით საქართველო 3,8 ქულით 68 ადგილზე იმყოფება.[12] ყველაზე არაკორუმპირებული ქვეყნებია: ფინეთი, ისლანდია, ახალი ზელანდია, დანია, სინგაპური, შვედეთი შვეიცარია და ა.შ. ყველაზე კორუმპირებული: ჰაიტი, მუანმა, ერაყი, გვინეა, სუდანი და ა.შ.

***კორუფცია, როგორც დანაშაულის სპეციფიკური სახე.*** კორუფცია დანაშაულის ერთ-ერთი გამოვლინებაა, ის უნდა განვიხილოთ, როგორც სპეციფიკური დანაშაული. სხვა სახეებისგან განსხვავებით (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) იგი არაა დაკავშირებული ძალადობასთან. ერთი შეხედვით მსხვერპლი არ ჩანს მაგრამ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ბევრად ცუდის მომტანია ვიდრე სხვა სახის დანაშაული.

საქმე იმაშია, რომ სხვა დანაშაულისგან განსხვავებით, სადაც დაზარალებული მხარე ყოველნაირად დაინტერესებულია დანაშაულის გახსნითა და დამნაშავის დასჯით, კორუფციის შემთხვევაში, პირიქით აქტის ორივე მხარე ფარულად მოქმედებს და დაინტერესებულია მისი დაფარვით. ვინაიდან სამართლებრივად ორივე აგებს პასუხს. ამავე დროს კორუფციას აქვს არა მხოლოდ ფარული, არამედ შეთანხმებული ხასიათი, რადგან ეკონომიურად ორივე მხარე მოგებული რჩება (სწორედ ამითაა განპირობებული კორუფციული დანაშაულის გახსნის ძალზედ დაბალი სიხშირე). საბოლოოდ წაგებულია საზოგადოება.

განსაკუთრებით საშიშია სახელმწიფოსთვის როდესაც ასეთ დანაშაულს ჩადის თანამდებობის პირი, რადგან იგი დიდ ფულთან და ინტერესებთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას კორუფცია არის სახელმწიფო მოხელეების „პროფესიონალურ-ფუნქციონალური" მოღვაწეობის ძირითადი დანაშაული. კორუმპირებული პიროვნება საკმაოდ განსხვავდება სხვა დამნაშავისგან. იგი გამოირჩევა საქმიანი თვისებებით. აქვს ანალიზის, დაკვირვებისა და სიტუაციის აღქმის კარგი უნარი. ცხოვრობს შეძლებულად. სარგებლობს ძალაუფლებით, უკავია მაღალი სოციალური მდგომარეობა საზოგადობაში. სინამდვილეში კი მისი „მოღვაწეობა" ქვეყნისთვის უდიდესი ზარალის მომტანია.

მოკლედ განვიხილოთ დამნაშავეობის ისტორია. დამნაშავეობა წარმოიშვა საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. მისი ხასიათი, სტრუქტურა და დინამიკა საზოგადოების განვითარების შესაბამისად იცვლებოდა. *დამნაშავეობა არის სოციალურ-სამართლებრივი, ისტორიულად ცვალებადი მასიური და ნეგატიური მოვლენა, რომელიც შედგება სახელმწიფოში (რეგიონში, მსოფლიოში), ამა თუ იმ პერიოდში ჩადენილი დანაშაულებებისაგან.* იგი ხასიათდება რაოდენობრივი (მდგომარეობა და განვითარების დინამიკა) და ხარისხობრივი (სტრუქტურა და ხასიათი) მაჩვენებლებით.[13]

როგორც ანტისაზოგადოებრივი აქტი დანაშაული მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორების რთულ ურთიერთქმედებას. ამიტომ, იგი ყველა ამ საზოგადოებრივი დისციპლინის კვლევის ობიექტს წარმოადგენს, შესაბამისია მისი განმარტებებიც:[14]

*სოციოლოგიურად* - სოციალური გარემოებებით განპირობებული შედეგი, როდესაც პიროვნება, მისთვის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ვერ ნახულობს საჭირო გადაწყვეტილებას;

*იურიდიულად* - ქმედება, რომელზედაც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არის პირდაპირი აკრძალვა;

*ფსიქოლოგიურად* - პიროვნული მონაცემების (ადამიანისეული კაპიტალის) თვითრეალიზაციის ნეგატიური ფორმა;

*ეთიკურად* - პიროვნებისგან მომდინარე საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ბოროტება.

დამნაშავეობის მეცნიერული კვლევა საკმაოდ რთული პრობლემაა. კაცობრიობას მუდმივად აწუხებდა დილემა - რატომ ჩადის პიროვნება დანაშაულს? როცა კანონი ასე მკაცრია და დამნაშავემ უკვე გამოსცადა იგი.[15]

მეცნიერება დამნაშავეობაზე და მის გამომწვევ მიზეზებზე *კრიმინოლოგიის* სახელწოდებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. თუმცა შეხედულებები დამნაშავეობაზე მოაზროვნეების მიერ ბევრად ადრე გამოითქმეოდა. პირველ თეორიულ მსჯელობებს ამ სფეროში ჯერ კიდევ *პლატონთან* და *არისტოტელესთან* ვხვდებით. აღნიშნულ პრობლემას დიდ ყურადღებას უთმობდნენ ისეთი მოაზროვნეები, როგორებიცაა: *ვოლტერი, დიდრო, ლოკი, მონტესკიე* და სხვები. ვერც ცნობილმა მწერლებმა *ჰიუგომ, დიკენსმა, დოსტოევსკიმ, ჯავახიშვილმა* და სხვებმა აუარეს გვერდი ამ პრობლემას.

დანაშაული არ ხდება სპონტანურად, მისი შემზადება ხდება პიროვნების ფორმირების გრძელ პროცესში. მას წინ უძღვის სუბიექტის ფსიქიური განვითარების რიგი ეტაპები, რომლებიც თანდათანობით აყალიბებენ ნეგატიურ პოტენციალს და უზრუნველყოფენ მის განხორციელებას. სწორედ, აღნიშნულ პროცესში ხდება ანტისაზოგადოებრივი ქცევის გამოყოფა პიროვნების მიერ ყოველდღიურად ჩადენილ სოციალურად პოზიტიური ფართო სისტემის ქმე-

დებებიდან.

მოთხოვნილება ადამიანის ცნობიერებაში აღიქმება, როგორც შესაძლო ქცევის მოტივი. მას აქვს, როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური წარმომავლობა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადამწყვეტი როლი სოციალურ გარემოს ენიჭება, რომელიც ახდენს მოთხოვნილებების დეტერმინებას. ამა თუ იმ გადაწყვეტილების არჩევა სოციალური გარემოსა და პიროვნული თავისებურებების რთული ურთიერთქმედების შედეგია. მოთხოვნილებების უშუალო დამაკმაყოფილებელი წყაროა - ინტერესი, რომელიც ინდივიდუალურია და განიხილება, როგორც პიროვნების თავისებურება.




**ნახ. 1. პიროვნების მიერ გადაწყვეტილების მიღება**

საშუალოდ ქვეყნის მოსახლეობის 10-12%-ს აქვს გენეტიკური მიდრეკილება საზოგადოებრივი წესიერებისადმი, კანონმორჩილებისადმი. როგორი გარემოც არ უნდა იყოს ქვეყანაში, ცდილობს შეინარჩუნოს წესიერება. ე.წ. ბუნებრივად დადებითი საზოგადროებრივი მუხტის მატარებელია.[1] ასევე, მოსახლეობის 10-12% პირიქით, გამოირჩევა ბუნებრივი მიდრეკილებით ანტისაზოგადოებრივი, აგრესიული ქცევისადმი. ხოლო საზოგადოების ძირითადი მასა 75-80% შუალედური (მედიალური) თვისებების მატარებელია და ახდენს ადაპტაციას სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შესაბამისად.

თუ სახელმწიფოში ჯანსაღი გარემოა – განვითარებულია ლეგალური ეკონომიკა, ძლიერია დემოკრატიული ინსტიტუტები დომინირებს საზოგადოებრივი წესებით გამორჩეული მოსახლეობის 10–12%. ხოლო შუალედური უმრავლესობა ახდენს პოზიტიურ ადაპტაციას. შედეგად, მოსახლეობის უმრავლესობის (90%) ადამიანისეული კაპიტალის რეალიზაცია ხდება დადებითი მიმართულებით.

თუ ქვეყანაში ძლიერია ჩრდილოვანი ეკონომიკა, ყვავის კორუფცია, სუსტია დემოკრატიული ინსტიტუტები. დომინირებს ანტისაზოგადოებრივი მუხტის მატარებელი მოსახლეობის 10–12%. შუალედური უმრავლესობა კი ახდენს ნეგატიურ ადაპტაციას. შედეგად, მოსახლეობის უმრავლესობის (90%) ადამიანისეული კაპიტალი რეალიზდება უარყობითი მიმართულებით.[2]

მაშასადამე, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის პოზიტიური ან ნეგატიური ადაპტაცია ძირითადად დამოკიდებულია სოციალურ გარემოზე.[3]

ადაპტაცია გულისხმობს ინდივიდის (ჯგუფის) ცვალებად სოციალურ გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესს და რეზულტატს, რომლის დროსაც ხდება ორივე მხარის მოთხოვნების თანდათანობით თანხვედრა. ადაპტაცია შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და იძულებითი. ნებაყოფლობითია ადაპტაცია, როდესაც ფასეულობები და მოქმედების მეთოდები, რასაც ინდივიდს სთავაზობს ახალი სოციალური გარემო არ ეწინააღმდეგება ადრე ჩამოყალიბებულ ფასეულობებს. იძულებითია როდესაც გარდაქმნების მეთოდები და მიმართულებები არ შეესაბამება (ეწინააღმდეგება) პიროვნების ფასეულობებს. მაგრამ საბოლოოდ მას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს და ხელი არ შეუწყოს მათ რეალიზაციას, რათა დაიკმაყოფილოს ცხოვრებისეულად აუცილებელი მოთხოვნილებები.

ინდივიდი შეიძლება შეეცადოს (ან არ) შეცვალოს სოციალური ფასეულობები და ქცევის მეთოდები, რომელსაც გარემო ამკვიდრებს. მაგრამ თუ ამას არ ექნება შედეგი იგი იძულებულია დამორჩილდეს (დროებით ან მუდმივად) „თამაშის ახალ წესებს".

ადაპტაცია შეიძლება იყოს პოზიტიური, თუ ინდივიდი (ჯგუფი) ითვისებს პროგრესულ ფასეულობებს - პასუხისმგებლობა, ორგანიზებულობა, სამართლიანობის დაცვა და ა.შ. ნეგატიური, თუ ინდივიდი ითვისებს რეგრესულ ფასეულობებს - ანგარება, მლიქვნელობა, ინტრიგები, გაუტანლობა და ა.შ. *ე. ფრომი* აღნიშნავს, ყოველი ერისათვის დამახასიათებელია „ხასიათის ტიპიური მეტრიკა". ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით თითოეული ერი ავითარებს მის გენში ჩადებული ხასიათის სხვადასხვა ნიშნებს, რომლებიც შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური.[4] ძნელი მისახვედრი არაა, რომ ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა დღეს ნეგატიურ ადაპტაციას განიცდის.

*მაშასადამე დამნაშავეობის მათ შორის კორუფციული დანაშაულის არსებობა ქვეყანაში ძირითადად დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკური გარემოზე. ჯანსაღი ცხოვრების წესი, მორალური და მატერიალური კეთილდღეობა ოჯახში მნიშვნელოვნად ამცირებს დამნაშავეობის წარმომშობ სოციალურ*

*ფაქტორებს.*

***კორუფციის მასშტაბების შემცირების პრობლემები.*** კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებამდე უნდა გაანალიზდეს მისი სოციალური ანატომია - გამომწვევი მიზეზები. არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორები. არსებული გარემო და განვითარების ტენდენციები. უნდა გაირკვეს საზოგადოებრივი აზრი ამ პრობლემის გარშემო. განისაზღვროს რეალურად რა ძალები დგანან კორუფციის უკან და მის წინააღმდეგ.

კორუმპირებულ ჩინოვნიკს აქვს მაღალი შემოსავალი. იგი განათლებულია. მის ხელშია ძალაუფლება, რაც საშუალებას აძლევს მანიპულაციებით თავის სასარგებლოდ მართოს პროცესები.[5] ამისათვის ეფექტურად იყენებს მასიური ინფორმაციის საშუალებები.

მეორე მხარეს დგას დაბალი სამოქალაქო კულტურის მქონე, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი, ზომბირებული ყოველანაირად დათრგუნული და დაქსაქსული მოსახლეობა.

საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით მკაცრად იდეოლოგიზირებული იყო საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლება. საზოგადოებრივი მეცნიერებები გადამწყვეტ როლს თამაშობს პიროვნების ცნობიერების ფორმირებაში. მარქსისტული ფილოსოფია, პოლიტეკონომია, მეცნიერული კომუნიზმი, მარქსიზმ-ლენინიზმი მოსახლეობაში დეფორმირებულ, მითოლოგიურ ცნობიერებას აყალიბებს. ასეთი ცნობიერება პიროვნებას ფიქრისა და ანალიზის, ინიციატივისა და დამოუკიდებლობის უნარს აკარგვინებს.[6] უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობაში რეალური ინტერესი აღნიშნული იდეოლოგიისა და დისციპლინების მიმართ არ იყო, რაც კიდევ უფრო უწყობდა ხელს ფორმალიზმისა და კორუფციის განვითარებას, სწორედ ესაა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მოსახლეობის დღევანდელი დაბალი სამოქალაქო ცნობიერებისა, რაც მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს ქმნის საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებაში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირს თვალსაჩინო მსოფლიო მიღწევები გააჩნდა, განსაკუთრებით დარგობრივი მეცნიერების მიმართულებით, გარდამავალ პერიოდში, აღნიშნული მიღწევები თითქმის არ გამოყენებულა.

საზოგადოებრივი დისციპლინები დღესაც ნაკლებად პასუხობენ საქართველოს რეალობას. საჭიროა მათი ტრანსფორმაცია.[7] სოციალური მეცნიერება ბოლომდე ვერ ჩასწვდა დღევანდელი საზოგადოების განვითარების ტენდენციებს. პრაქტიკულმა პრობლემებმა იმპულსი უნდა მისცეს ახალ კვლევებს. საჭიროა თანამედროვე პრობლემებთან დისციპლინათშორისი მიდგომა. აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს ეკონომიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ისტორიის, პოლიტილოგიის, სამართლის, ეთიკის და სხვა საზოგადოებრივი ცოდნის სინთეზი. სოციალური დისციპლინები უნდა განვითარდეს ქართველი ერის სულიერ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქცენტი უდა გაკეთდეს ანტიკორუფციული სამოქალაქო და პროფესიულ განათლებაზე - ეროვნული იდეოლოგიის ეთიკურ კომპონენტებზე, ზოგადეროვნულ ეთიკაზე, ეთიკური წესების რელიგიურ ასპექტებზე.

საქართველოში არ არსებობს ყველა მოქალაქის თანაბარი მონაწილეობის პირობები სოციალურ კონკურენციაში. არ არსებობს სტიმული, რომ კეთილსინდისიერი მუშაობა და შემოსავლების ლეგალიზაცია, ინდივიდის თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალება გახდება. აღნიშნული საზოგადოებაში სიკეთეების კანონიერი საშუალებებით მოპოვების მიმართ იწვევს უნდობლობასა და იმედგაცრუებას. იკარგება რწმენა, იზრდება მოსახლეობის ნეგატიური სოციალური აქტიურობა, შედეგად საფრთხე ექმნება ქვეყნის უსაფრთხოებას.

მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს საქართველოს დღევანდელი სავალალო მდგომარეობა. *განვლილმა ათმა წელმა გვიჩვენა, რომ რეფორმების დასაწყისში ჩვენი საზოგადოება არ იყო მზად საბაზრო რეალიებისადმი. საბაზრო ეკონომიკა რთული და წინააღმდეგობრივი ბუნებისაა. ის უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკურ თავისუფლებასთან. მაგრამ თავისუფლება, როგორც შეუფასებელი სოციალური ფასეულობა შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს პოზიტიური და ნეგატიური კუთხით. ბევრს მიაჩნდა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თავისთავად უზრუნველყოფდა მათ კეთილდღეობას. ბევრს ჯერაც არა აქვს გაცნობიერებული, რომ ჭეშმარიტ ბაზარს დაცვა და უზრუნველყოფა სჭირდება და რომ ეს სახელმწიფოსთან ერთად თითოეული მოქალაქის ვალია.*

ყველა, როგორც მებრძოლი გუშაგი უნდა იდგეს დემოკრატიული ფასეულობების ცხოვრებაში რეალიზაციისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მოუწოდებდა ამისკენ *ილია ჭავჭავაძე* ქართველ ერს:

„ტყუილუბრალოდ არავის დავეჩაგვრინები, თუ გაჭირდა რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდე მივალ" - ათქმევინა ოთარაანთ ქვრივს.

„კაცი ვერ იტყვის, სძულდათ თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში, შიშით კი ყველას ეშინოდა".[8]

*თუ მოსახლეობა არაა მზად საბაზრო რეალიები-*

*სადმი. ვერ იცავს საკუთარ უფლებებსა და ღირსებას, ნეგატიური პროცესები მძლავრობს და კრიმინალს შეუძლია დაიმორჩილოს თვით სახელმწიფო. ამიტომ, ,,მანკიერი წრის“ გახსნა უნდა დაიწყოს განათლების სისტემის რეფორმით.* დღეს განათლებას დაკარგული აქვს იდეურ-აღმზრდელობითი ფუნქცია.

საქართველოს მოსახლეობას აქვს მაღალი ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც იხარჯება ძირითადად ნეგატიური მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება სოციო-კულტურულ კრიზისშია, მისთვის მისაღებია მაღალზნეობრივი, დემოკრატიული ფასეულობები. დარწმუნებული ვართ, ერის პოზიტიურ პოტენციალში და გვჯერა, რომ მოსახლეობა დაადგება ,,ტაძრისკენ მიმავალ გზას“, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით.

მომავალს ქმის ახალგაზრდა თაობა. ამ დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მისი დემოკრატიული განათლების დონე. თანამედროვე მსოფლიოში აყვავდება ქვეყანა, რომელიც მაქსიმალურ სივრცეს შექმნის პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციისათვის და შეძლებს მიმართოს ის სახელმწიფოს ცივილიზირებული განვითარების ფერხულში.

საჭიროა ძალზე გააზრებული და ფრთხილი მიდგომა. მკვეთრი, რადიკალური ნაბიჯები ვერ მოიტანს სასურველ შედეგს ვინაიდან კორუფციულმა კავშირებმა უკვე ოლიგარქიულ-კლანური სახე მიიღო. საკმაოდ მნიშვნელოვანია გავლენიანი ჯგუფების ძალაუფლება და ინტერესები. უცაბედმა ნაბიჯებმა შეიძლება გაუთვალისწინებელ დაპირისპირებამდე, თვით სამოქალაქო ომამდეც მიგვიყვანოს. უნდა მოხდეს ჩამოყალიბებული ჩრდილოვანი ინსტიტუტების თანდათანობითი ,,ლეგალიზაცია,“ რისთვისაც უნდა შეიქმნას დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული წინაპირობები.

იქნებ სხვის იმედზე ვიყოთ და დასავლეთი გადაგვიწყვეტს ამ პრობლემას. თავიდანვე აღვნიშნავთ, სხვის იმედზე ყოფნა სრული გულუბრყვილობაა. ესაა პრობლემა, რომელსაც ჩვენს გარდა ვერავინ გადაწყვეტს. საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებისა და სპეცსამსახურების მიერ მუშავდება ე.წ. ,,მგრძნობიარობის ინდიკატორები“, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი - კორუფციის დონეა. სწორედ, ამ მაჩვენებლის შეფასების შემდეგ წარმართავენ ,,საჭირო პოლიტიკას“ ქვეყანასთან, როგორც ოფიციალურ ისე არაოფიციალურ დონეზე.[9]

თავიდანვე აღვნიშნავთ *პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზაა – ხელისუფლების პოლიტიკური ნება, მაგრამ ნება შეიძლება არ იყოს რეალური.*[10] მაშინ არსებობს მეორე, შედარებით ხანგრძლივი, ,,ევოლუციური“ გზა, მაგრამ საკმაოდ რეალური.

ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის ზრდაში მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური გარემოს როლი. იგი ათწლეულებში თუ იცვლება და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან უმთავრესი ადამიანია. მაგრამ გარემო ხომ მისი არსებობის გამოხატულებაა კონკრეტულ ეპოქასთან მიმართებაში. სოციალურ-ეკონომიკური გარემო რომ შეიცვალოს, პირველ ყოვლისა, ადამიანის გარემოსთან მიმართება უნდა შეიცვალოს და შეიქმნას ჯანსაღ აზრზე დაფუძნებული, ისეთი ინსტიტუციონალური პირობები, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს ამ სენის განვითარების და გავრცელების ალბათობას.[11]

ამიტომ ,,მანკიერი წრის“ გახსნა უნდა დაიწყოს იქედან, ვინც უნდა შეავსოს აღნიშნული გარემო - *ადამიანისეული ფაქტორით.* არსებობს პიროვნების სოციალურ მოღვაწეობის განმსაზღვრელი ორი მეცნიერული მიმართულება.[12] პირველი ინდივიდს განიხილავს, როგორც სოციალიზებულ ელემენტს. მის ქცევას კი განპირობებულს ქვეყანაში ჩამოყალიბებული სოციალური წესებითა და ვალდებულებებით, ე.ი. ადამიანისეული კაპიტალი, განიცდის რა ტრანსფორმაციას სოციალური გარემოს გავლენით განიხილება სოციალურ კონტექსტში. მეორე მიმართულების მიხედვით ინდივიდი ღებულობს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობს რა საკუთარი ინტერესებით. მისთვის მთავარია მოქმედების პრინციპები, რომლებსაც მოაქვს მაქსიმალური სარგებელი. სწორედ აღნიშნულმა მიდგომამ, განაპირობა ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის ისეთი მიმართულების განვითარება, როგორიცაა - *პრაგმატიზმი.*

რომელ მოსაზრებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა? ჩვენი აზრით საჭიროა აღნიშნული ორი მიმართულების სინთეზი. მაგრამ არა უბრალო (მექანიკური) არამედ ლოგიკური. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, პიროვნების ქცევაზე უდაოა სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გავლენა. მაგრამ, თუ აღნიშნული გარემო ვერ პასუხობს ქვეყნის ცივილიზირებული განვითარების მოთხოვნებს საჭიროა მისი ტრანსფორმაცია. ამ დროს *თავისი სიტყვა უნდა თქვას სათანადოდ განათლებულმა პიროვნებამ (საზოგადოებამ). სწორედ იგია ცენტრალური რგოლი და საზოგადოებრივი ურთიერთობების დამაკავშირებელი. ადამიანი თავად არის სოციობუნებრივი სივრცის საწყისი, დემოკრატიულად განსწავლუ-*

*ლი - ლეგალური ინსტიტუტების გამაძლიერებელი, და პირიქით - ჩრდილოვანი ურთიერთობებისა და კორუფციის მასტიმულირებელი. ე.ი. პიროვნება არის ის ანტროპო-სოციო-კულტურული ფენომენი, რომელსაც შესწევს ძალა შეცვალოს სოციალურ-ეკონომიკური გარემო.*[13]

განათლება განვითარების მხოლოდ პოტენციური ფაქტორია. ზრდის წყარო იგი გახდება მაშინ, თუ მოხდება მისი ნაყოფიერად გამოყენება. განათლების სისტემამ ახალგაზრდაში უნდა ჩამოაყალიბოს პასუხისმგებლობის ჩვევები. პიროვნებას უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად შეაფასოს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები. დასვას ამოცანა, ეძიოს და შეაფასოს აუცილებელი ინფორმაცია. კანონიერი საშუალებებით გამონახოს პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური საშუალებები და მეთოდები ისე რომ არ შეილახოს სხვების კანონიერი უფლებები, ამიტომ ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის ალბათობის გაზრდის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გარდა ტრადიციული საზოგადოებრივი დისციპლინებისა (ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა, პოლიტოლოგია), საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, უმაღლეს სკოლაში, დაინერგოს ახალი დისციპლინები: ინფორმაციული პედაგოგიკა; სამართლის ფილოსოფია; ადამიანისეული რესურსების (კაპიტალის) მენეჯმენტი, ეკონომიკური უსაფრთხოება.[14]

*საბაზრო ეკონომიკას ალტერნატივა არ გააჩნია, იგი არის ცივილიზაციის მონაპოვარი, რომელმაც გაუძლო დროის გამოცდას და დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს მსოფლიოში არც ერთი მაღალგანვითარებული, მოქნილი, ეფექტურად ფუნქციონირებადი ეკონომიკური სისტემა ბაზრის გარეშე. ვინაიდან მისი საფუძველია ბუნებრივი ფენომენი - კონკურენციის საფუძველზე იმარჯვებს ძლიერი. ამიტომ, ჯანსაღი კონკურენცია არის ბაზრის სული და განვითარების მამოძრავებელი ძალა. სწორედ აქ იმალება ის საიდუმლო, რომელმაც ესოდენ დიდ წარმატებამდე მიიყვანა ცივილიზირებული ქვეყნები. საქართველოში სწორედ ეს მექანიზმია დარღვეული.*[15]

მაშასადამე, *კორუფციის პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზაა ხელისუფლების პოლიტიკური ნება და გავლენიანი საზოგადოებრივი აზრის არსებობა. თუ აღნიშნული ორი კომპონენტიდან ერთ-ერთი მაინც რეალურია, რეფორმები წინააღმდეგობრივად, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. თუ არც ერთი არ არსებობს ანტიკორუფციული პოლიტიკის რეალიზაცია გადაიქცევა პოპულიზმად.*

## ლიტერატურა:


1. *Бартошек М.,* Римское право понятие, термины, определения, М.: «Просвешение», 1989. ст.93.
2. ესაია, ფსალმუნი 5.23, ძველი აღთქმა.
3. ოთინაშვილი რ.გ., საქართველოს ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბილისი, სტუ, 2011, გვ. 556.
4. *Owen Joseph,* Corruption and Development, PREM notes, The World Bank, 1998, №4, p.67-75.
5. *Сатаров Г. А., Левин М. И. Цирик М.Л.*, Россиа и коррупциа: кто кого: М.: ИНДЕМ. 1998.-248с.
6. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში, მაისი, 1998, გვ.16-24.
7. *Кох И.А.*, Нравственние аспекти коррупции / ж. Чиновник. 2002, № 1(7) ст.19-28
8. *Эфимов В. Е. , Максимов С.В., Мацкевич И.М.*, коррупционная преступность и борьба с ней М.: Юрист, 2000, 379 с.
9. *შევარდნაძე კ., ჩეჩელაშვილი რ., ჩოჩელი ვ., ხადური ნ.*, საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსები, თბილისი: "კომპანია იმპერიალი" 2000, გვ.76.
10. *Левин М. И., Цирик М. Л..,* Коррупция как объект математического моделирования, / ж. Экономика и математические методы, 1998, т. 34. вып..3.
11. *Левин М. И., Цирик М. Л..,* Математические модели коррупции, / ж. Экономика и математические методы, 1998, т. 34, вып. 4.
12. *Полтерович В. М..,* Факторы коррупции, / ж. Экономика и математические методы, 1998, т. 34, вып. 3.
13. „ტრანსპარენს ინტერნეიშენალის" მიერ შემუშავებულია ასევე ანტიკორუფციული პოლიტიკის კონკრეტული მეთოდიკა „ანკლავი" ანუ "სამართლიანობის კუნძული". აღნიშნული მეთოდიკა განხორციელდა ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში. მისი არსი მდგომარეობს სახელმწიფო მართვის ცალკეული სფეროს განცალკავებაში მთლიანი კორუფციული სისტემიდან, რათა დაიწყოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ცალკეული, ერთი კონკრეტული უბნით.
14. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: www.transparency.org
15. Криминология: Учебник /Под. ред. *Кудрявцева В.Н.*, и *Эминова. В. Е.,* 2-ое изд., перераб. и доп., М. :Юрист, 2000, с.678.
16. *Баничин В. А.,* Философия преступления,

Санкт-Петербург: Акалис, 2000, с.122.

17. *Беккария Ч.,* О преступлениях и наказаниях, М.: Наука, 1939, ст. 145.
18. სამწუხაროდ დღეს ყველაზე დათრგუნული საქართველოში მოსახლეობის აღნიშნული ნაწილია.
19. ა.შ.შ. მოსამართლეების ეროვნული საბჭოს წევრი *კ. ვუდენი* წიგნში ,,ისინი ტირიან, როცა სხვები იცინიან'', აღწერს სტენდფორდის ციხეში ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტს. კერძოდ, იურიდიული სასწავლებლების სტუდენტებიდან ნებაყოფლობით, მოხალისედ შეარჩიეს ფიზიკურად ჯანმრთელი ახალგაზრდები. მათი მონაწილეობა ექსპერიმენტში იყო ანონიმური, როგორც პატიმრებისათვის ასევე ციხის ადმინისტრაციისათვის. ,,ახალი პატიმრების'' უმრავლესობამ აითვისა ციხის მიკროსამყაროს სპეციფიკა. მხოლოდ მცირე ნაწილი (10-15%) ვერაფრით შეეგუა ახალ გარემოს, მათ დაეწყოთ უცნაურობები და მძიმე ფსიქიკური გადახრები.
20. მაგრამ, თუ მაღალია მოსახლეობის დემოკრატიული განათლებისა და შესაბამისად, მისი სამოქალაქო ცნობიერების დონე, ნეგატიური ადაპტაციის ალბათობა მნიშვნელოვნად მცირდება.
21. *Fromm E.*, Fragen zum deutschen charakter, Munchen: Gesamtausgabe, 1989.- 317 .
22. მანიპულაციებისას პიროვნება ერთდროულად რამდენიმე ცნობიერების მატარებელია. პირველი – ოფიციალური გარემოებებისათვის. მეორე – ახლობლებისათვის და ა.შ. ამბობენ ერთს, ფიქრობენ მეორეს, აკეთებენ მესამეს. ასეთი ცნობიერება ძალზედ გადამდებია მოსახლეობისათვის, შედეგად, ქვეყანაში ყალიბდება სიცრუის ატმოსფერო.
23. ხოლო უმაღლეს პარტიულ სკოლაში შერჩევისა და სწავლების მეთოდიკა ფორმალიზმის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა.
24. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში მეცნიერული კომუნიზმის კათედრა შეიცვალა პოლიტოლოგიის კათედრით. ხოლო პოლიტეკონომიის პედაგოგები, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხი დაცული აქვთ მარქსისტულ ეკონომიაში, დღეს კითხულობენ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.
25. *ჭავჭავაძე ი.*, თხზულებანი, ტომი II, თბილისი: მეცნიერება, 1988.- 241გვ.
26. დასავლეთის საბაზრო ეკონომიკის საკმაო გამოცდილება გააჩნია. მისთვის ცნობილია, როგორც ცივილიზირებული, ისე ჩრდილოვანი გზები. ამიტომ, თუ არსებობს შესაძლებლობა დაინტერესებულ სახელმწიფოსთან გამოიყენება ისეთი ,,პოლიტიკა'', როგორი სოციალურ-ეკონომიკური გარემოცაა ქვეყანაში. აღნიშნული ეხება, როგორც ცნობილ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ისე უცხოელ მოქალაქეებს
27. ერთი შეხედვით, ხელისუფლება ებრძვის კორუფციას. მაგრამ შედეგი არ ჩანს, ვინაიდან სისტემური კორუფციის პირობებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ,,სენი ზემოდან იწყება''. ლოგიკის მიხედვით ხელისუფლება არ მოჭრის იმ ტოტს რომელზედაც თავად ზის. სწორედ ამის შედეგია, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არ არსებობს რეალური პოლიტიკური ნება. იმედი იმისა, რომ ხელისუფლების სათავეში მოვა პიროვნება და ყველაფერი შეიცვლება ძალზედ გულუბრყვილოა. ვინაიდან იქ მისასვლელი გზები ძალზედ ,,ჭუჭყიანია''. ამიტომ, თავად მოსახლეობა აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ ბრძოლაში და გავლენიანი საზოგადოებრივი აზრით, უზრუნველყოს ქვეყნის დემოკრატიზაცია. აღნიშნული კი ძალუძს მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებას.
28. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ზრდის აღნიშნული სოციალური გარემოს ჩამოყალიბების ალბათობას.
29. *Коулман Дж.*, Капитал социальный и человеческий , Ж.: О.Н.С., 2001, №3, ст. 122-140.
30. *Сивиринов Б.С.,* Социальная перспектива-человеческое измерение/Ж.: Социологические иследования, 2001, №6, ст. 16-22.
31. ოთინაშვილი რ.გ., საქართველოს ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბილისი, სტუ, 2011, გვ. 556.
32. დღეს ძალიან აქტუალურია ახალი ანტიკორუფციული პროგრამის ცხოვრებაში რეალიზაცია. ჩვენი აზრით, ანტიკორუფციული პოლიტიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს დადებით შედეგს, თუ წარიმართება ობიექტურად – ყველას მიმართ იქნება ერთნაირი მიდგომა. წინააღმდეგ შემთხვევაში (დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკური გარემოს პირობებში ძალზედ მაღალია სუბიექტივიზმის ალბათობა), კორუფციის ფენომენი საქართველოში კიდევ უფრო დაიხვეწება და ინსტიტუციონალიზაციის ახალ ფაზაში შევა.

# გლობალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

*იაშა კუტუბიძე, სტუ-ს სრული პროფესორი*

ტერმინი გლობალიზაცია ლათინური სიტყვიდან „გლობუსიდან“ წარმოდგება, ხოლო ეტიმოლოგიური მნიშვნელობით იგი დედამიწის სფეროს გულისხმობს და მის სისრულესა და მთლიანობას გამოხატავს.

გლობალიზაცია, მკვლევართ უმრავლესობის აზრით, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მკვიდრდება და იგი პირველად 1983 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევიტმა გამოიყენა. ერთ-ერთ გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც იგი ცალკეული ბაზრების განვითარების თავისებურებებზე და მათი ურთიერთდაახლოების პრობლემებზე მსჯელობა.

გლობალიზაციის თემის კვლევით დაინტერესებულ ავტორთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ მასში მოიაზრება ზოგადად საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, მედიკო-ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა პრობლემების კვლევისა და გადაწყვეტის აუცილებლობა, სადაც ნაკლებადაა გათვალისწინებული კონკრეტულ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხთა მოთხოვნილებანი და თავისებურებანი, ქვეყნის შიგნით მიმდინარე სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემები. გლობალიზაცია ისტორიული პროცესია, რომელსაც აქვს მთელი რიგი თავისებურება, გარკვეული ეტაპები და შორს მიმავალი მიზნები. თუ ადრე მასში მხოლოდ ეკონომიკური პრობლემებით დაინტერესება მოიაზრებოდა, დღეს უკვე ცხადია, რომ არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების საქმიანობა, მათ შორის ზოგადად ადამიანის სულიერი ცხოვრების სფეროც, სადაც ნათლად არ იგრძნობოდეს მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენაც.

ტექნიკური პროგრესის კვალობაზე თანამედროვე მსოფლიო ბაზრის სულ უფრო ფორმირების პირობებში აუცილებელი გახდა წარმოების გაფართოება, შესაბამისად პროდუქციის გასაღების ბაზრის ძიება და მოპოვება. ამიტომ შედარებით ძლიერმა სახელმწიფოებმა დაიწყეს დედამიწის სხვადასხვა კონტიგენტზე მდიდარი ქვეყნების დაპყრობა, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვებოდა მსოფლიო ბაზარზე მცირე დანახარჯებით წარმოებული პროდუქციის გატანა.

მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისისათვის ძირითადად დამთავრდა და იგი გადანაწილებულ იქნა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის. ამ გარემოებამ განაპირობა, როგორც დამპყრობელ, ასევე დაპყრობილ ქვეყნებს შორის სხვადასხვა სახის მრავალმხრივი კავშირების ჩამოყალიბება გარდა ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულებისა სულ უფრო მტკიცდებოდა მათი სულიერ და კულტურული კავშირებიც. შესაბამისად სულ უფრო მეტად ვლინდებოდა გლობალური ურთიერთ მიმართების ტენდენცია.

აღსანიშნავია, რომ მკვლევართა შორის არ არსებობს ერთიანი შეხედულება გლობალიზაციის, როგორც მოვლენის წარმოშობისა და მისი არსის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი გლობალური კავშირების ჩამოყალიბებას მეორე მსოფლიო ომს უკავშირებს. კარლ იასპერსი 1948 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „ისტორიის საყრდენი და მისი მზიანი“, აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომმა ბევრი ქვეყანა ჩაითრია და სწორედ ამ მომენტიდან იწყება მსოფლიოს, როგორც ერთიანი მთლიანი ისტორია „დედამიწა ერთიანი გახდა თავს იჩენს ახალი საშიშროებანი და შესაძლებლობანი. ყველას არსებითი პრობლემა მსოფლიო პრობლემად იქცა, სიტუაცია – მთელ კაცობრიობის სიტუაციად“.[1]

მეცნიერთა ერთი ნაწილი გლობალიზაციის წარმოშობის საფუძვლებს უფრო ადრეულ ხანაში ეძებს, ნაწილი კი მას XX ს. 80-იან წლების პირმშოდ მიიჩნევს. ეს სრულიად ბუნებრივიცაა, რადგან გლობალიზაცია იმდენად რთული, მრავალფეროვანი და თითქმის ყოვლისმომცველი ფენომენია, რომ ძნელია მისი წარმოშობისა და მომავლის შესახებ ერთიანი აზრის არსებობა. უფრო მეტიც, ერთიანი შეხედულება არა მხოლოდ სხვადასხვა დარგის, არამედ ერთი დარგის მეცნიერების წარმომადგენლებს შორისაც არ არსებობს. მათ ნააზრევში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია გლობალიზაციის გამოვლენის სხვადასხვა ასპექტებზე. როგორც უტრეხტის უნივერსიტეტის პროფესორი მ. კულინგი შენიშნავს, „რთულია გლობალიზაციის განსაზღვრა კონცეპტუალურად და ჩვენება ემპირიულად“.[2]

ეკონომიკის ლექსიკონებში გლობალიზაცია, ხშირად განმარტებულია, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა.[3]

---

[1] Карл Ясперс – Смысл и назначение истории, М.: 1994, с. 14.

[2] Грани глоболизации, М., 2003, с.31.

[3] А. Н. Чумаков, Метафизика глобализации, М., 2006, с. 19; А.Н. Чумаков, Глобализация, контуры целостного мира. М. 2005; М.Делягин, Драив человечества, М., 2008, с. 35; Г.П. Анилионис, Н. А. Зотова, Глобальный мир единой и разделенный М., 2005. с. 132; ტომპსონი პ., ჰერხლიგ – გლობალიზაცია: კტირიკული ანალიზი, თბ., 2005, გვ. 13; Иноземцев В.,

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პრობლემების კვლევით დაინტერესებული მეცნიერები (ჰ. მარტინი, ხ. შუმანი, მ. დელიაგინი, ვ. ინოზემცევი, გ. ზუგანოვი, ა. უტკინი და სხვები). განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კომპანიების, ტრანსნაციონალური ბანკების, ასევე რეგიონების მზარდ როლზე, მასობრივი ცნობარების ფორმირებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ასევე ეროვნული თვითმყოფადობისა და სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე. ცნობილი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლ. თუროუ მაქსიმალური მოგების სურვილს გლობალიზაციას უკავშირებს.

აღსანიშნავია ქართველ მეცნიერთა ღვაწლი გლობალიზაციის როგორც პროცესის, მისთვის დასამახსოვრებელი სპეციფიკური თვისებების კვლევასთან დაკავშირებით.[1]

მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა, მათ მიაჩნიათ, რომ გლობალიზაცია მაღალგანვითარებული ტექნოლოგიური და რთული კომუნიკაციური და ინფორმაციული სისტემების შექმნის შედეგად იწვევს ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულების სულ უფრო გაღრმავებას, პირველ რიგში ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციას, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებასა და გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით.

გლობალიზაცია ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომელიც გამოირჩევა სოციალური ურთიერთობების განუწყვეტელი ინტენსიფიკაციის პროცესით, მისთვის დამახასიათებელი განვითარების სპეციფიკური ეტაპებითა და ტენდენციებით. მან არსებითი ცვლილებები შეიტანა სახელმწიფოთა ურთიერთობის არა მხოლოდ ეკონომიკის სფეროში, არამედ გამოიწვია ცვლილებები იდეების, ცნობიერების, აზრების, შეხედულებების სამყაროშიც. მანვე შეცვალა სახელმწიფოთა მმართველობის სტილი და მეთოდები.

უკანასკნელი პერიოდში გლობალიზაციამ მოიცვა ადამიანთა მოღვაწეობის თითქმის ყველა დარგი, მაგრამ, პირველ რიგში, იგი ეკონომიკის სფეროს შეეხო. სხვადასხვა ქვეყნების ინდუსტრიული წარმოებების გაერთიანების საფუძველზე განუწყვეტლივ იქმნებიან ტრანსნაციონალური კორპორაციები და ბანკები, რომლებიც სარფიანი ბუნებრივი რესურსებისა და შედარებით იაფი სამუშაო ძალის გამოყენების საშუალებით ახდენენ კაპიტალის გატანასა და დაბანდებას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. მსოფლიო ეკონომიკა გახდა სახელმწიფოთაშორისი მეტოქეობის არენა, სადაც თითოეული ქვეყანა ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს თავისი სიმდიდრე და დამოუკიდებლობა, რაც შეიძლება მეტი მოგების მიზნით, თუმცა ყველა ქვეყნის ხელისუფლებამ ზედმიწევნით უნდა იფიქროს იმაზე, თუ რა მოცულობითაა სასურველი ეკონომიკური აქტივობის გლობალიზაცია, ხომ არ შეექმნება საფრთხე ქვეყნის ეკონომიკის ეროვნულ მმართველობას და ხომ არ გახდება შეუძლებელი სრულად განისაზღვროს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სტრატეგია. დარჩება თუ არა სახელმწიფო ეკონომიკური ურთიერთობების მართვის მთავარ ფაქტორად თუ მისი როლი ერთიანი, გლობალური, ეკონომიკური და საფინანსო სისტემების პირობებში სულ უფრო შემცირდება.

თანამედროვე მსოფლიოში ტექნიკური პროგრესის პარალელურად მიმდინარეობს ტექნიკური და ტექნოლოგიური გლობალიზაციის განუწყვეტელი პროცესი. უახლესმა ტექნოლოგიურმა საშუალებებმა, მართალია, არსებითად შეცვალა ადამიანთა შრომის შინაარსი, მათი ხასიათი და ფუნქციები, რაც თავისთავად მომგებიანი ბიზნესის, კომერციული და საბანკო საქმიანობის საფუძველი გახდა, მაგრამ მანვე წარმოშვა რიგი პრობლემა, რომელთა წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალების ერთობლივი, გონივრული მოქმედების შედეგად, რასაც ლოგიკურად მივყავართ თვით ადამიანის უნარებისა და შესაძლებლობების სრულყოფისაკენ.

გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიფაქიზით უნდა გამოირჩეოდეს ადამიანთა სულიერი ცხოვრების პრობლემებისადმი დამოკიდებულება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მაღალგანვითარებული ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, რათა რომელიმე ქვეყნის, ერის, სულიერი მონაპოვარი, მათი კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა და ა.შ. ადვილად მისაწვდომი და გასაგები გახდეს სხვა ქვეყნებში მაცხოვრებელ ხალხთათვის.

მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა ხომ ადამიანთა გონითი მოღვაწეობის ის სფეროებია, რომლებიც შესაძლებელია განსაკუთრებით დაექვემდებაროს საყოველთაო გლობალიზაციას. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ჩვენ შემდგომში გვექნება მსჯელობა. აქ კი შევნიშნავთ, რომ ადამიანთ მოღვაწეობის ამ სფეროში გლობალიზაცია შესაძლებელია და აუცილებელიც, რადგან მსოფლიოს ხალხებმა გაიცნონ და გაითავისონ სხვადასხვა ერის მიერ შექმნილი კულტურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

---

Расколотая цивилизация, М., 1999, с. 62; Гидекс Э., Ускользающии мир, как глобализация меняет нашу жизнь, 2004.

[1] **რ. გოგოხია,** შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მიდგომები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004; **თ. ბესელია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე**, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001; **რ. ასათიანი,** გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბ., 2010; **ნ. ჭითანავა,** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, ნაწ. 3, თბ., 2001; **ზ. დავითაშვილი,** ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003; **ე. ეთერია,** გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, თბ., 2006.

აქვე შევნიშნავთ, რომ შესაძლებლად მიგვაჩნია კულტურის გლობალიზაციის შესაძლებლობები და არა გლობალური კულტურის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა კულტურაშია შესაძლებელი არსებობდეს სხვა ერებისათვის დამახასიათებელი კულტურული ნიშნები, ზოგადად გლობალური კულტურა არ შეიძლება არსებობდეს. ნამდვილი კულტურა შესაძლებელია იყოს მხოლოდ ეროვნული, ერის განვითარების გარკვეულ პერიოდში ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი და გააზრებული. თუმცა, გლობალიზაციის უკან ყოველთვის მოიაზრებიან გარკვეული ძალები (ზოგჯერ ხილულად, ზოგჯერ უხილავად), რომლებიც ქმნიან და თვითონვე აკონტროლებენ გარკვეული ღირებულებების საფუძველზე აღმოცენებულ მთლიან გლობალურ სისტემას, უშუალოდ მათზეა დამოკიდებული, რა მიმართულებით წარიმართება გლობალური პროცესი – სტიქიურად თუ შედარებით კანონზომიერად.

თანამედროვე მსოფლიოში ასეთ გაბატონებულ, წამყვან ძალებად დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები მიიჩნევა, რომლებიც დღენიადაგ ილტვიან დაიკავონ გაბატონებული მდგომარეობა მთელს პლანეტაზე, თავიანთი შეხედულებით დაალაგონ და მართონ მთელი კაცობრიობა. ეს გარემოება არსებითად ცვლის ქვეყნების საფინანსო შესაძლებლობებს, მართვის ფორმებსა და სტილს. ფინანსური უნარები გაცილებით უფრო პრიორიტეტული ხდება, შესაბამისად სულ უფრო ხშირად იკავებენ მმართველ პოზიციებს ფინანსური მენეჯერები, ხელმძღვანელები. თანდათანობით მოდიდან გადადის ძალაუფლების გადანაწილებაც და ასპარეზზე გამოდის ბრძანებითი მენეჯმენტი.

ტრანსნაციონალი კომპანიების ყურადღების ცენტრში ხვდება ე.წ. პირამიდის თავში მდგომი ქვეყნები, მაშინ, როდესაც ყველა დანარჩენს, როგორც გამოყენებად საგნებს, ისე მოექცევიან.

კომპანიებიდან გაქრებიან განებივრებული კუდაბზიკები და ძალაუფლება წარმოსახვით, ბოსებიდან ფინანსური მენეჯერების ხელში გადაინაცვლებს.[1]

საინტერესოა, ვის ხელშია და ვინ ფლობს დღეს ასეთი ტიპის კორპორაციებს. ტრანსეროვნული კორპორაციების საერთო რაოდენობის 92% მოდის აშშ-ზე, იაპონიასა და ევროპის კავშირის ქვეყნებზე.

განვითარებადი ქვეყნების, ე.ი. მსოფლიო მოსახლეობის 40%-ის წილი მსოფლიოს ერთობლივი პროდუქციის წარმოებაში მხოლოდ 3,3%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც 273 მილიონიან ამერიკაში შესაბამისი მაჩვენებელი 28.6%-ია. გამოთვლილია, რომ დაახლოებით 358 მილიარდერი ფლობს იმდენივე სიმდიდრეს, რამდენსაც ერთად აღებული 2,5 მილიარდი ადამიანი, დედამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარი. ეს მონაცემები ნათლად აჩვენებენ თუ რამდენადაა სოციალურად პოლარიზებული თანამედროვე მსოფლიო. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ტრანსეროვნული კორპორაციების ინტერესებსა და მიზნებს დღეს ექვემდებარებიან (გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად) თითქმის ყველა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები. გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალე-ბის ძირითადი მიზანია, რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება, აქედან გამომდინარე, სიმდიდრის განაწილებაც, ბუნებრივია, ეს განპირობებულია უფრო მეტად სუბიექტური ფაქტორებით, ვიდრე განვითარებადი ქვეყნების სრულყოფის ტენდენციებიდან გამომდინარე ბუნებრივი მოთხოვნილებებით. ამიტომაა, რომ სულ უფრო მეტად იზრდება იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავენ გლობალიზაციით გამოწვეული პოლიტიკის მიმართ. მათთვის გლობალიზაცია, როგორც პროცესი, რჩება საეჭვო ღირებულების ფენომენად და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ეს ქვეყნები არ იგრძნობენ გლობალიზაციის რეალურ გავლენას მათ ბედზე. რეალობა საგანგაშოა. განვითარებადი სამყაროს უდიდესი ნაწილი გაუსაძლის პირობებშია – სიღარიბე, შიმშილი, ეპიდემიები, კორუფცია, კლანებს შორის დაპირისპირებები არის მიზეზი იმ ქაოსისა, რაც ამ სამყაროში მძვინვარებს. მოსახლეობის რაოდენობა იზრდება და თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციებს, მდგომარეობა სულ უფრო კატასტროფული გახდება, მაშინ, როცა განვითარებულ სამყაროში ცხოვრების დონე ყოველწლიურად უმჯობესდება. ეს ვითარება კი მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის თვით გლობალიზაციის წამყვან ძალებს. ნიშანდობლივია ჯ. კენედის სიტყვები – თავისუფალი საზოგადოება, რომელსაც არ შეუძლია დაეხმაროს თავის ღარიბ უმრავლესობას, მას არ შესწევს უნარი გადაარჩინოს მდიდარი უმცირესობა.

მართლაც გლობალიზაცია ყველგან ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობს. ყველასათვის ცხადია, რომ დღეს გლობალური კომპანიები ძირითადად თავმოყრილია განვითარებულ სამყაროში. გლობალიზაცია არ უნდა იქნას გაგებული, როგორც შედეგი ერთი ან რამდენიმე წარმმართველი ძალისა, იგი არ უნდა იქნეს შეფასებული მხოლოდ ამერიკული ან დასავლური თვალთახედვით. სხვადასხვა შეხედულებები თანამედროვე საერთაშორისო სისტემებსა და მსოფლიო წესრიგზე მაჩვენებელია იმისა, რომ არც ერთ მათგან არ შეიძლება ჰქონდეს სრული ჭეშმარიტების პრეტენზია, ისე როგორც არც ერთი

[1] მსოფლიო 2009 წ. საქ. თბილისი, გვ. 7.

მათგანი არ არის ბოლომდე მცდარი და მიუღებელი.

მთავარია, წამყვან, გლობალურ სახელმწიფო ინტერესებს არ შეეწიროს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური დამოუკიდებლობა — მათი სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო დარგები, არამედ, პირიქით, მათი ძირითადი საზრუნავი სწორედ ამ ტიპის ქვეყნების ეკონომიკის განვითარება უნდა იყოს. ამისათვის მათ მიზნობრივად უნდა გამოყონ საჭირო რაოდენობის კრედიტები და გრანტები და სისტემატურად აკონტროლონ თუ რამდენად მართებულად გამოიყენებენ მას მიმღები ქვეყნები.

დღეს გლობალური პროცესები ასე ღრმად ვერ განვითარდებოდა, თუ მას საერთაშორისო მასშტაბით არ ექნებოდა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით უზრუნველყოფა. ინფორმაციული ტექნოლოგიები გლობალიზმის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.

თანამედროვე კომპიუტერული, ელექტრონული, ფიჭური რადიოსატელეფონო სისტემებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების მოხმარების საფუძველზე ადამიანები ურთიერთშორის ამყარებენ არა მხოლოდ აუცილებელ ეკონომიკურ კავშირებს, არამედ თითქმის ყოველდღიურ მეცნიერულ-ტექნიკურ, საგანმანათლებლო, ზოგადად კულტურული ტიპის ურთიერთობებს. სულ უფრო ახალი საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების შექმნითა და განვითარებით ძირითადად ბიზნესის სფეროა დაკავებული. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ამ სფეროში გაბატონებული მონოპოლიას მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ფლობენ. ამ უპირატესობას ისინი ძალიან ხშირად პრაგმატული მოსაზრებითაც იყენებენ, კერძოდ, გლობალიზებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური ქსელების მეშვეობით ისინი ადამიანებს ხშირად მათ ნებისაგან დამოუკიდებლად თავს ახვევენ თავიანთ იდეოლოგიურ, კულტურულ ღირებულებებს, იდეებს, შეხედულებებს და ა.შ., ანუ მათ აქვთ შესაძლებლობები, უშუალოდ იმოქმედონ სხვა ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერებაზე და ამით გაზარდონ ამ ქვეყნების მათზე დამოკიდებულების ხარისხი.

ეკონომიკური გლობალიზაცია სრულიადაც არ ნიშნავს სამეურნეო საქმიანობის, ინფორმაციის, ტექნიკის, კულტურის, ეკოლოგიისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვა ნებისმიერ სფეროში ყოველდღიური მოღვაწეობის საზღვრების გაუქმებას. ყველა ქვეყანას აქვს თავისი კონკრეტული პრობლემები და მიზნები, რომელთა უზრუნველსაყოფად ასევე საჭიროა და აუცილებელი სწორედ სპეციფიკური, კონკრეტული ნაბიჯების დროული გადადგმა.

ამიტომაც ყველა ერმა, რითაც ასე მდიდარი და მრავალფეროვანია კაცობრიობა, უარი არ უნდა თქვას საკუთარ ეროვნულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე, რაც ნაწილობრივ, შესაძლოა, გლობალიზაციის ჩანაფიქრსაც კი წარმოადგენდეს.

მაინც რა არის გლობალიზაცია, რა არის პრობლემების გლობალურ პრობლემად მიჩნევის კრიტერიუმი? მკვლევართა უმრავლესობის აზრით, პრობლემა გლობალურია თუ მისი გადაწყვეტა მიიღწევა მხოლოდ მსოფლიო ქვეყნების გაერთიანებული ძალისხმევით და შესაძლებლობებით ანუ ეს პრობლემები საერთოა ნებისმიერი ქვეყნის, რეგიონის, ხალხის, ჩვენი პლანეტის თითოეული მცხოვრებისათვის. სწორედ ამ ტიპის პრობლემების გადაწყვეტის გზითაა შესაძლებელი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და სხვადასხვა სახის საერთაშორისო ნორმების დამკვიდრება, რომელთა განხორციელება სავალდებულოა ამ პროცესში მონაწილე ყველა ქვეყნისათვის. სწორედ ეს საერთაშორისო ნორმები და სტანდარტებია ის მყარი საფუძველი, რომელზეც უნდა აშენდეს მეცნიერული, კულტურული, პოლიტიკური, ფინანსური, სავაჭრო, საინფორმაციო ურთიერთობები.

აუცილებელია გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობას ღებულობდეს ყველა ქვეყანა, მიუხედავად მათი მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალ-ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების დონის განსხვავებულობისა.

გლობალურ პრობლემათაგან, რომელთა წარმატებით გადაჭრაზე დიდადაა დამოკიდებული თითქმის ყველა სხვა პრობლემათა გადაწყვეტა, აუცილებლად უნდა გამოვყოთ მსოფლიო უშიშროების პრობლემა, თერმობირთვული ომის თავიდან აცილების უზრუნველყოფა.

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნები, მათი „გლობალურობის" გამო, ისე არიან ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ ომის დაწყების შემთხვევაში ამ პროცესში ჩართული აღმოჩნდება თითქმის ყველა ქვეყანა. აქ უკვე საუბარია არა რომელიმე ქვეყნის წარმატება-წარუმატებლობაზე, არამედ საფრთხის ქვეშ დადგება მთელ პლანეტაზე თვით სიცოცხლის პრობლემა. მით უმეტეს, როდესაც დღეს მსოფლიოში დაახლოებით 50000 ერთეული ბირთვული იარაღია, ხოლო მისი 5%-იც კი საკმარისია სიცოცხლის დედამიწაზე მოსასპობად. საინტერესოა აშშ-ის პრეზიდენტის ბ. ობამას სიტყვით გამოსვლა გ.ე. ორგანიზაციაში 2009 წლის 23 ოქტომბერს, სადაც ის ბირთვული ომის საშიშროებაზე ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ ცივილიზებულმა სამყარომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ კაცობრიობა არ გადაიქცეს ბირთვული თვითკატასტროფის მსხვერპლად, რაც ტექნიკური თვალ-

საზრისით სრულად შესაძლებელია.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა ამავე დროს, რაც არა ნაკლებ უკავშირდება ტექნიკურ პროგრესს, ჩვენი ბუნებრივი გარემოს დაცვა და ეკოლოგიური კატასტროფისაგან მისი ხსნაა. ტექნიკურმა პროგრესმა არსებითად შეცვალა გარემო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ ხშირ შემთხვევაში გაუცნობიერებელ გარდამქმნელ მოქმედებას ბუნებაზე, გაუთვალისწინებელი, კატასტროფული შედეგებიც მოაქვს, რომელთაც კაცობრიობა ათეული და უფრო მეტი წლების განმავლობაში იგრძნობს. ერთი შეხედვით, თითქოს ეს ბუნებრივიცაა, რადგან განუწყვეტლივ იზრდება ადამიანთა მოთხოვნილებები და, შესაბამისად, ადამიანი იძულებულია მოახდინოს არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების მაქსიმალური ათვისება და გამოყენება, თუმცა ნაკლებად ფიქრობს მოსალოდნელ სავალალო შედეგებზე. ეს გარემოება XXI საუკუნის ყველაზე დიდი სენია – რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება ადამიანის გაუწონასწორებელ და პრაგმატულ მოქმედებებში. არსებობენ სხვა ტიპის საშიშროებანიც. გლობალიზაციისათვის დამახასიათებელმა სწრაფი ტემპებით მიმდინარე ურბანიზაციის პროცესებმა აუცილებლობით გამოიწვია სარკინიგზო, საავტომობილო და სხვა სახის სატრანსპორტო სამიმოსვლო გზების გაყვანა, რასაც შედეგად მოჰყვა ბუნების მცენარეული საფარის მქონე დიდი ტერიტორიების დაზიანება, რაც მოითხოვს ბუნების ეკოლოგიურად გაწონასწორებას.

ყოველწლიურად ჩვენი პლანეტის ატმოსფეროში დაახლოებით 250 მლნ ტონა მტვერი და 70 მლნ კუბური მეტრი მავნე აირისებრი ნივთიერებანი იფრქვევა, ხოლო მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს ყოველწლიურად უერთდება დიდი რაოდენობის გაუწმენდავი სამრეწველო ჩამდინარე წყლები, ტემპერატურული რეჟიმის ცვლილებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ტიპის სათბობების წვის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი, აირის დიდი მასების დაგროვება დედამიწის ატმოსფეროში, პლანეტის გლობალურ დათბობას, პოლარული მყინვარების დნობას და ზღვის დონის აწევას იწვევს, რაც არსებითად ემუქრება ზღვისპირა დასახლებებს.

თავი რომ დავაღწიოთ ასეთ მოსალოდნელ კატასტროფულ შედეგებს, დღის წესრიგში მთელი სიმკაცრით უნდა დადგეს ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის გონივრული რეგულირების საკითხი. არ უნდა გაგვიტაცოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად მიღწეულმა (ზოგჯერ დროებითმა) შედეგებმა და წარმატებებმა. ყოველთვის მეტი უნდა ვიფიქროთ იმ სამყაროს ბედსა და მომავალზე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

თუ გლობალიზაცია და, განსაკუთრებით, ეკონომიკური გლობალიზაცია აუცილებლობით იწვევს მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ცხოვრებისეული პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას, მაშინ, რატომაა, რომ დღეს მსოფლიოში ყოველწლიურად შიმშილისაგან კვდება დაახლოებით 50 მლნ-ზე მეტი ადამიანი – არც კუნძულ ჰაიტზე მომხდარი უბედურების შემდეგ გამოირჩეოდა მსოფლიო განსაკუთრებული ოპერატიულობით.

80-იანი წლების მსოფლიოში დაახლოებით 500 მლნ-ზე მეტი კაცი შიმშილობდა, ხოლო 1 მილიარდამდე არასაკმარისად იკვებებოდა. დღეს ეს ციფრი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. და ეს ხდება მაშინ, როდესაც კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ტექნიკური პროგრესი ნამდვილად ქმნის შესაძლებლობას, რომ ადამიანის შექმნილმა და დაგროვილმა სიუხვემ ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილოს მსოფლიო მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება, ამისათვის კი აუცილებელია სწორედ გლობალიზაციის წამყვანმა ძალებმა (თუ ეს მათ ინტერესებში შედის) მოახდინოს ამ სიმდიდრის გონივრული გადანაწილება.

ეკოლოგიური კატასტროფების პირობებში სულ უფრო პრიორიტეტული ხდება ჯანდაცვის სფეროში წარმოშობილი უამრავი პრობლემის დროული წარმოჩენა და მოგვარება ადამიანთა სასიცოცხლო გარემოს გარდაქმნისათვის არა მხოლოდ ეკოლოგიური სისუფთავე, არამედ ფსიქოლოგიური სიჯანსაღე, სტრესული ვითარებების შემსუბუქება და მოხსნა – განსაკუთრებულად გამორჩეული გლობალური პრობლემაა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში – მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების კვალობაზე მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა და მათმა მიზანმიმართულმა ღონისძიებებმა წარმატებით უნდა გადაჭრას ისეთი გლობალური პრობლემები, როგორიცაა – ნარკომანია, ფსიქიკური და რეპროდუქციული, შიდსის, ონკოლოგიური, ინფექციური, გულ-სისხლძარღვთა, და სხვა დაავადებები. სწორედ გლობალურ ურთიერთობათა გადინებებს მოჰყვა უმეტესად ამ ტიპის დაავადებები, რომელთა დროულად მოუგვარებლობა სულ უფრო საშიშროებას შეუქმნის კაცობრიობას. პოლიტიკური არასტაბილურობა, სასაზღვრო და საბაჟო სისტემების გაუმართავი მუშაობა უწყობს ხელს ნარკოტიკული ნივთიერებების დიდი რაოდენობით ქვეყნებში შემოდინებას, რაც თავისთავად მათ მომხმარებელთა რიცხოვნობის ზრდას იწვევს.

მოუწესრიგებელმა გლობალურმა ურთიერთობებმა, საზღვრების დაუცველობამ, გამდიდ-

რების მანიით შეპყრობილთა დაუოკებელმა ჟინმა, არასწორმა პოლიტიკურმა აზროვნებამ და კიდევ სხვა უამრავმა გაუთვალისწინებელმა ფაქტორმა გამოიწვია საერთაშორისო ტერორიზმის არნახული გამძვინვარება. მსოფლიოში სულ უფრო მკვიდრდება პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების ძალით გადაჭრის პოლიტიკა. ხშირია ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებზე თავდასხმები, მოულოდნელი აფეთქებები, რომელთაც ეწირება მილიონობით უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე, ადამიანთა გატაცებები, სატრანსპორტო და სარკინიგზო საშუალებების აფეთქებები და სხვ. რითაც ნერგავენ ადამიანებს შორის სტრესულ ვითარებებსა და ფსიქოლოგიური ზეგავლენის უამრავ საშუალებებს. ყოველივე ეს ის ფაქტორებია, რომელთა წარმატებით გადაჭრა წარმოუდგენელია მსოფლიოს ხალხთა ერთიანი ბრძოლისა და მცდელობის გარეშე.

ტერორიზმი განსაკუთრებით საშიშია დღეს – ტექნიკის პროგრესის პირობებში. დღეს არსებული ატომური ელექტროსადგურებზე თუ ქიმიურ ქარხნებსა ან სხვა სამხედრო ტიპის ობიექტებზე – თავდასხმა და შეტევა უცილობლივ გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას, რაც დაემუქრება სიცოცხლეს და მოუტანს ადამიანებს ათასგვარ ნგრევასა და უბედურებას.

ამიტომაა, რომ რთული გლობალური პრობლემების გადაჭრა არა რომელიმე განსაკუთრებული ქვეყნის ან ჯგუფის საქმეა, არამედ გაერთიანებული მსოფლიო სისტემის პრობლემაა – „ის, რაც ეხება ყველას, ყველას საზრუნავიცაა".

დღეს, თითქოს, მსოფლიო, ერთი მხრივ, ერთიანი და განუყოფელია, თუმცა, მეორეს მხრივ, იგი უფრო კონფლიქტური და წინააღმდეგობრივი გახდა. თითქმის ყველა ქვეყანა მიისწრაფის ჰეგემონიისაკენ და სხვა ქვეყნებს კარნახობს მოქმედებისა და თამაშის წესებს. თუ ადრე მსოფლიო კრიზისები დროებით მოვლენად განიხილებოდა, დღეს იგი მისაღებ მოვლენად გამოიყურება. მკვიდრდება გამოთქმა „კრიზისი ნორმის ფარგლებში".

გლობალიზაციის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა შესაბამისად გამოიწვია ახალი, სრულიად განსხვავებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება. ასეთი არსებითი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა თითქმის ახალი ტიპის საზოგადოება. პოსტინდუსტრიული საზოგადოება (დ. ბელი), ინფორმაციული საზოგადოება (ე. ტოფლერი), პოსტეკონომიკური საზოგადოება (კ. ინოზემცევი) და სხვა. სწორედ რომ ტექნოლოგიურ სფეროში მიღწეული უმნიშვნელოვანესი წარმატებებით გამოწვეულმა სოციალურმა ტრანსფორმაციებმა, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, რადიკალურად შეცვალა ინდუსტრიული საზოგადოების სახე.

ერთი მხრივ, გლობალიზაციის პროცესში მიმდინარე ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდამ, რაც, თავის მხრივ, აუცილებლობით იწვევს გლობალიზაციის სოციალურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებას, ხოლო, მეორე მხრივ, მომხდარი მასშტაბური ცვლილებების გააზრებისა და გაცნობიერების საფუძველზე მომავლის შესაძლო სურათის შექმნის მცდელობამ განაპირობა მეცნიერთა მხრიდან არაერთი ორიგინალური კონცეფციის შექმნა. ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარებას თან სდევს ეკონომიკური და სოციალურ ურთიერთობების ტრანსფორმაცია. აღნიშნული პროცესი მოიცავს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განახლებას, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციათა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობათა ახალი პრინციპებისა და ნორმების დამკვიდრებას.

თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული პრობლემა არა მარტო ამჟამად, ასევე ტრადიციულად საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყურადღების სფეროში იყო მოქცეული, ხშირად კი ის იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებათა მიზეზიც გამხდარა, მაშინ ჩვენი ინტერესი ამ პრობლემისადმი გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

ეკონომიკური გარდაქმნები, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრება დღის წესრიგში აყენებს, ხშირად დიდ მსხვერპლს მოითხოვს, განსაკუთრებით სოციალურ სფეროში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საწყის ეტაპზე, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, როგორც წესი, ადგილი აქვს უმუშევრობის ზრდას, ინფლაციას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას. გლობალიზაციის მიერ გამოწვეულ პროცესებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ზოგადად სოციალური უთანასწორობა კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა და ის ნამდვილად წარმოადგენს გლობალიზაციის (და, ალბათ, მომავალშიც იარსებებს, ადამიანთა განსხვავებული შესაძლებლობების გამო) პროცესის განვითარების შედეგს. ყოველივე ეს განსაკუთრებით მწვავედ აყენებს მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის ფორმირების პრობლემებს. ევროპული ტიპის პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის შემუშავება იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც გამოწვეულია ლიბერალიზაციის შედეგად

შემოსავლების არათანაბარი განაწილებით.[1] საბაზრო ეკონომიკას, მისთვის დამახასიათებელი პრინციპების გამო, არ შეუძლია სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება. საბაზრო მოდელი ყოველთვის დაფუძნებულია კონკურენციის მაღალ ხარისხზე, რაც, ბუნებრივია, შორსაა სოციალური სამართლიანობის პრინციპისაგან. ამ შემთხვევაში ეროვნული სახელმწიფოა ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია სწორი სოციალურ პოლიტიკის შემუშავებით ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის დონის ამაღლება. გატარებული ლიბერალური ხასიათის რეფორმები, რომლებიც აუცილებელია მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციისათვის, დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ აუცილებლობით აყენებს ეკონომიკის სოციალიზაციის მოთხოვნებს, რომლის ხარისხიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების ეფექტიანობაზე.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია გლობალური საბაზრო ხასიათის პრობლემები, რაც თავისთავად იწვევს მთელი რიგი სოციალური პრობლემის გამწვავებას. სიღარიბის დონის, უმუშევრობის, სოციალური დაძაბულობის ზრდა, სოციალურ სფეროში სახელმწიფო როლის შემცირება და ა.შ.

სწორედ ამ პრობლემების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის განხილვაა ჩვენი მიზანი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი იდეა ის გახლავთ, რომ თვით საბაზრო პირობებშიც სახელმწიფო, როგორც ეკონომიკური აგენტი, რჩება სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში პროცესების მართვისა და რეგულირების უმთავრეს ბერკეტად ანუ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო კვლავ ასრულებს სოციალურ სტაბილურობის გარანტის როლს. ცხადია, რომ საგარეო ურთიერთობების ლიბერალიზაციის პირობებში სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გატარებას, სადაც, ჩვეულებრივ, იგულისხმება ფაქტობრივი ცვლილებები, რომლებიც საშუალებას იძლევა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ადამიანური ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესები. ეს პროცესი უკავშირდება საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განახლებას, სხვადასხვა ორგანიზაციების, სახელმწიფო ინსტიტუტების, ფიზიკური და იურიდიული პირების ურთიერთობების ახალი პრინციპის დანერგვას.

გლობალიზაციის, გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ადამიანთა შემოქმედებითი უნარების გამოვლინება და რეალიზაციის ხელშეწყობა. ინდივიდუალიზმის პრინციპის დამკვიდრება, ეკონომიკის სოციალიზაცია, თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება — ანუ ის უმთავრესი პრინციპები, რომლითაც ხასიათდება პოსტინდუსტრიული საზოგადოება.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურა რთულ სისტემას წარმოადგენს, რომელიც განისაზღვრება მოსახლეობის ასაკობრივი, ტერიტორიული, პროფესიული შემადგენლობით, განათლების დონით და ა.შ.

პროცესები, რომლებიც განაპირობებენ განვითარებას, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია საზოგადოების ცხოვრების ბუნებრივი საფუძვლების შეცვლასთან (ბიოლოგიური, ეკოლოგიური, გეოგრაფიული და დემოგრაფიული ფაქტორები). სოციალურ პროგრესს განაპირობებს რიგი ფაქტორი, ესენია: არსებითი ცვლილებები ტექნოლოგიებში და წარმოების და კომუნიკაციის საშუალებების სრულყოფა.

ეკონომიკური გარდაქმნების აუცილებლობა თვით ცხოვრებამ დააყენა, მაგრამ მან საკმაოდ დიდი მსხვერპლი მოითხოვა, განსაკუთრებით სოციალურ სფეროში. საწყის ეტაპზე, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ადგილი აქვს უმუშევრობის მკვეთრ ზრდას, ინფლაციას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას. ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა დამნაშავეობა, შემცირდა შობადობა, გაუარესდა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემების ფუნქციონირების პირობები. მთლიანობაში რასაც მოჰყვა სოციალურად დაუცველი ადამიანების რიცხვის ზრდა.

გარდამავალი პერიოდი მეტ-ნაკლები წარმატებით გაიარეს პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა, რაზეც არცთუ მცირე ზეგავლენა იქონია პოლიტიკურმა პროცესებმა. განვითარების თვალსაზრისით, ჩამოყალიბებული განსხვავებების მიუხედავად, სოციალური პრობლემები კვლავ რჩება მნიშვნელოვან პრიორიტეტად ამ ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკაში. მოსახლეობის ნაწილში ერთგვარი ნოსტალგიაც კი წარმოიშვა წარსულის მიმართ, რომელიც გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი სოციალური გარანტიებით. ასეთი განწყობილებების გრადაცია ჩვეულებრივ, დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობაზე.

შექმნილი ვითარება განსაკუთრებით მწვავედ აყენებს მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის ფორმირების პრობლემებს. დგება ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდისა და იმავდროულად, სოციალური

[1] **იხ. გოგოხია რ.**, შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004, გვ. 18.

დაცვის ღონისძიებების გატარების აუცილებლობა.

გეგმური ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული იყო ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ შედარებით დაცული ფასების საშუალებით. ამის შედეგად შემოსავლები საშუალებას იძლეოდა კვების პრობლემა დაკმაყოფილებულიყო ფიზიოლოგიურად აუცილებელ დონეზე. საარსებო მინიმუმისა და გარანტირებული მინიმალური შემოსავლის პრობლემა არ იყო მოქცეული სახელმწიფო სტრუქტურების ყურადღების ცენტრში. შესაბამისად ბიუჯეტიდან არ გამოიყოფოდა მნიშვნელოვანი თანხები სიღარიბის დასაძლევად. სოციალურ საჭიროებაზე სახელმწიფოს ძირითად ხარჯებს შეადგენდა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება, ხოლო ფულადი გასაცემლებიდან – მოხუცებულობის პენსია. ამჟამად საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი აქვს. ეკონომიკას არ შეუძლია უზრუნველყოს ადამიანის ელემენტარული საცხოვრებელი პირობები.

განვითარებულ ქვეყნებში საზოგადოებრივი მხარდაჭერა დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკისადმი ხორციელდება მსხვილი და ძლიერი სოციალური ჯგუფის მიერ, რომელიც საშუალო კლასის სახელით მოიხსენიება. ქონებრივი კრიტერიუმების გათვალისწინებით საბჭოთა კავშირში ფაქტობრივად არ არსებობდა მოსახლეობის საშუალო ფენა. რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, გარდამავალ პერიოდში საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. წარსულში მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაცია განპირობებული იყო სახელმწიფო სოციალური პოლიტიკით, როდესაც მთელი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იყო მინიმალური სოციალური გარანტიები და ფაქტობრივად ამ დონეზე ქვემოთ არავინ იყო მოქცეული.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის გენერალურ მიმართულებად უნდა იქცეს კურსი – მესაკუთრეთა საშუალო კლასის შექმნისა და განმტკიცებისა, ვინაიდან სწორედ მოსახლეობის ეს ნაწილი წარმოადგენს პოლიტიკურად აქტიურ, ეკონომიკურად ძლიერ ძალას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მართლშეგნების მაღალი დონე.

ცხადია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავისთავად ვერ მოხერხდება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება, ვინაიდან განვითარების საბაზრო მოდელი აუცილებლობით გულისხმობს კონკურენციის მაღალ დონეს, იგი შესაბამისად შორსაა სოციალური სამართლიანობის პრინციპებისაგან. ამ შემთხვევაშიც ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტს, რომელსაც გონიერი სოციალური პოლიტიკის შემუშავებით შეძლება ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის დონის ამაღლება. პარალელურად ეკონომიკის განუწყვეტელი სოციალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების ეფექტიანობაზე.

ასეთ ვითარებაში, მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებებისა, სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელობა კვლავ უაღრესად მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს კვლავ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სოციალ-ეკონომიკური პროცესების მართვის სფეროში.

განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ ეროვნული მეურნეობის ცენტრალიზებული, დირექციული ხელმძღვანელობიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობის შემოსავლების სახელმწიფო რეგულირებას, რადგანაც მოსახლეობის შემოსავლები და მასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა მიეკუთვნება საზოგადოების უმნიშვნელოვანეს სოციალ-ეკონომიკურ მახასიათებელთა რიცხვს.

ცხადია, რომ ადამიანთა რეალური შემოსავლები და ცხოვრების დონე პირდაპირ კავშირშია საერთო ეკონომიკურ პოლიტიკასთან და დამოკიდებულია წარმოების განვითარებაზე.

იმ პირობებში, როდესაც ადგილი აქვს წარმოების დაცემას, შემოსავლების სტაბილიზაციისა და ზრდის სფეროში წარმატების მიღწევა ძალზე ძნელია. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში არსებობს ჯერ კიდევ გამოუყენებელი სახელმწიფო ბერკეტები ეროვნულ – შემოსავლის გადანაწილების სფეროში, ჩრდილოვანი ეკონომიკის შეზღუდვისა და ბიუჯეტის შევსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების რეგულირებისა და მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის ფორმირების თვალსაზრისით.

მოხმარების წარმოებაზე დამოკიდებულების გაცნობიერების პირობებში აუცილებელია მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის განხილვისას პრობლემებს მივუდგეთ, უპირველეს ყოვლისა, დასაქმების, მომუშავეთა შემოსავლების საკმარისი დონისა და მოსახლეობის სხვა ფენების სოციალური დაცვის ღონისძიების კუთხით, ასევე დანახარჯების უზრუნველყოფის თვალსაზრისით და არა მხოლოდ წმინდა წარმოების ინტერესების პოზიციიდან.

როგორც აღვნიშნეთ, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს კვლავ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სოციალ-ეკონომიკური პროცესების მართვის სფეროში.

სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლების რეგულირება. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია საერთო ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ მინიმალურ ხელფასს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შრომის ანაზღაურების სფეროში, სახელმწიფოს ჩარევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს.

მინიმალური ხელფასის პირველი ფუნქცია დასაქმებულთა სოციალური დაცვაა, რაც გულისხმობს, რომ მან უნდა უზრუნველყოს სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოება. მეორეც, იგი წარმოადგენს შრომის ანაზღაურების მთელი სისტემის აგების საფუძველს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას. ამჟამად მინიმალური ხელფასი ვერცერთ ამ ფუქნციას ვერ ასრულებს, იგი დღეისათვის მხოლოდ შრომის ანაზღაურების მინიმალური დონეა. ასეთი მდგომარეობის ხანგრძლივად შენარჩუნება მეტად სახიფათოა და შეიცავს სოციალურ-პოლიტიკური დესტაბილიზაციის ელემენტებს. ყოველივე ამის გამოხატულებას სისტემატიურად ვაწყდებით უკანასკნელი წლების მანძილზე, საზოგადოება კი მუდმივი დაძაბულობისა და შიშის ქვეშ იმყოფება. არსებული სიტუაცია, მეტად ხელსაყრელ ფონს ქმნის რიგი პოლიტიკური ძალებისა და უცხო ქვეყნების მტრულად განწყობილი სპეცსამსახურებისათვის თავიანთი მერკანტელური მიზნების განსახორციელებლად.

სოციალური პოლიტიკის საბოლოო მიზანი საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის ამაღლებაა. ხოლო ადამიანთა საზოგადოების შესწავლისას ეკონომიკური თეორია ამოდის იმ უმნიშვნელოვანესი წანამძღვრებიდან, რომ ადამიანი ერთდროულად არის ეკონომიკური დოვლათის მწარმოებელიც და მომხმარებელიც. იგი არა მარტო ქმნის, არამედ მოქმედებაში მოიყვანს და განსაზღვრავს ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების წესებს, რაც თავის მხრივ ახალ მოთხოვნებს უყენებს ადამიანის ფიზიკურ და ინტელექტუალურ პარამეტრებს.

ეს გარემოება ნათლად გამოჩნდა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც ადამიანებს უწევთ რთული და მრავალმხრივი ეკონომიკური ფუნქციების შესრულება. ადამიანი, როგორც ცოცხალი მწარმოებლური ძალა, ხასიათდება მრავალი ატრიბუტით, არსებითი ხასიათის ნიშან-თვისებებით, მრავალფეროვანი მოთხოვნილებებისა და უნარის ერთობლიობით.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მკვეთრად გაიზარდა ადამიანის ფაქტორის როლი ეკონომიკური ზრდა. შრომითი რესურსების სტრუქტურა და ხარისხი დიდად განაპირობებს ეკონომიკური პოტენციალის ფორმირებისა და გამოყენების შესაძლებლობებს.

საზოგადოების განვითარების დონე განისაზღვრება როგორც მეურნეობრიობის გაბატონებული ტიპების, ასევე ღირებულებისა და ინტერესების ჩამოყალიბებული იერარქიით, მოსახლეობის მახასიათებლებით, ე.წ. ადამიანური კაპიტალით, რომელშიც იგულისხმება მუშაკთა შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ აძლევს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში აქტიური მოქმედების საშუალებას. ადამიანური კაპიტალი განიხილება, როგორც იმ თვისებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მწარმოებლობას, რაც შეიძლება გახდეს ადამიანის, ოჯახის, საწარმოს და მთლიანად საზოგადოების შემოსავლის წყარო. ასეთ თვისებებად, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ ჯანმრთელობას, ბუნებრივ ნიჭს, განათლებას, პროფესიონალიზმს, მობილურობას. ადამიანისეული კაპიტალი განისაზღვრება პიროვნების მიერ დაგროვილი გამოცდილებითა და ცოდნით, რაც ფასდება მომავალში შემოსავლების მიღების პოტენციალით.

ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში უაღრესად ეფექტურია და იგი გარკვეულ პერიოდში (ხელსაყრელი გარემოს პირობებში) იწვევს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, თუმცა იგი შეიძლება გაუფასურდეს ჯანმრთელობისა და განათლების დონის გაუარესებისა და სპეციალისტთა მასობრივი დისკვალიფიკაციის შედეგად.

საზოგადოების განვითარების პროცესში ადამიანის ფაქტორის გააქტიურება მჭიდრო კავშირშია განათლების პოტენციალის ფორმირებასა და გამოყენებასთან. განათლების პოტენციალი ქვეყნის შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მახასიათებელია და გამოხატავს მოსახლეობის ინტელექტუალური განვითარების დონეს. მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი რესურსებით შედარებით ღარიბი საქართველოსათვის. საქართველოს მოსახლეობის განათლების პოტენციალის შეფასება საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით ხარისხობრივი და ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით. შრომითი რესურსების ხარისხობრივი ზრდის შეფასებისათვის საჭიროა განათლების დონის სრული ანალიზი და პერსპექტიულ მიმართულებათა განსაზღვრა. აქვე არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს იმის შესახებ, რომ საქართველოში ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში უმაღლესი განათლების სისტემაში უარყოფითი ტენდენციები განვითარდა. ჯერ ერთი, საბიუჯეტო კრიზისის პირობებში პრობლემა გახდა

უკვე არსებული უმაღლეს სასწავლებლების სრულყოფილი დაფინანსება, ამ მიზნით შემცირდა გამოყოფილი სახსრების მოცულობა. მეორეც, სრულად არ მომხდარა ეკონომიკის საბჭოთა სტრუქტურაზე ორიენტირებული უმაღლეს განათლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გარდაქმნა, რამაც შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და განათლების მოქმედი სისტემის შეუსაბამობა გამოიწვია.

არასაკმარისი დაფინანსების პირობებში სახელმწიფო შეეცადა განათლების რეფორმის გატარების და მასში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მოთხოვნათა გათვალისწინებას, მაგრამ ეს მხოლოდ განათლების სფეროს დაფინანსების არასახელმწიფო წყაროების დაკანონებით გამოიხატა, სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები კი თითქმის მთლიანად გაუქმდა ან მან მიიღო მხოლოდ ფორმალური ხასიათი. ყოველივე ამის შედეგად, კიდევ უფრო გამწვავდა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში წარმოშობილი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა ჭარბწარმოების პრობლემა. წარმოების დაცემისა და სამუშაო ადგილების შემცირების პირობებში იზრდება უმაღლეს დამთავრებულთა რიცხვი, ხოლო მათი განათლების დონის კონტროლის მექანიზმები ნაკლებად მოქმედებს.

შრომის ბაზრის მოთხოვნების ზეგავლენა ჯერ კიდევ სუსტია და არაა შექმნილი სამუშაო ძალის დასაქმების კონკრეტული გარემო. ასეთი სიტუაცია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იმას, რომ ხშირ შემთხვევაში დასაქმებულთა განათლების დონე და პროფესიული შემადგენლობა ეკონომიკის მოთხოვნებთან ნაკლებადაა დაკავშირებული. ყოველივე ეს პრობლემებს ქმნის არა მხოლოდ სპეციალისტთა დასაქმების თვალსაზრისით, არამედ მკვეთრად ეცემა ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი და სამუშაო ძალის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა.

განათლების სფეროში უკანასკნელ პერიოდში პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა – გაიზარდა, როგორც უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა, ასევე სტუდენტთა და უმაღლესდამთავრებულთა კონტინგენტი, მაშინ, როცა მათზე მოთხოვნილება მკვეთრად დაეცა.

ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა არ ნიშნავს სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების უგულვებელყოფას – განსაკუთრებით მეცნიერებისა და განათლების სფეროში. პრაქტიკაში საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად უწყობს იგი ხელს მოსახლეობის ინტელექტუალური დონის გამოვლენას და რეალიზაციას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არასტაბილური ხასიათი მეტად ართულებს განათლების სფეროში პროგნოზირებისა და დაგეგმვის მექანიზმების გამოყენებას, მაგრამ ამ პრინციპების სრული უგულებელყოფა მიუღებელია. მთავარია, გადაილახოს სამუშაო ძალის ფორმირებასა და მასზე მოთხოვნას შორის, ჯერ კიდევ არსებული მკვეთრი დისბალანსი, რათა თავიდან ავიცილოთ მწვავე სტრუქტურული უმუშევრობის კატასტროფული შედეგები. საქართველოს განათლების სფეროში უკანასკნელ პერიოდში პარადოქსული სიტუაცია იყო შექმნილი. სულ უფრო იზრდებოდა როგორც უმაღლეს სასწავლებლების, ასევე სტუდენტთა და უმაღლესდამთავრებულთა რიცხოვნობაც, მაშინ როცა მათზე მოთხოვნილება მკვეთრად დაეცა. უმაღლეს სასწავლებლებში მიღებას თითქმის უკონტროლო ხასიათი ჰქონდა მიღებული. ამ ტენდენციის წინააღმდეგ მოქმედებდა მხოლოდ ოჯახების მატერიალური მდგომარეობა, რაც კიდევ უფრო აღრმავებდა სოციალური უთანასწორობის ფაქტორს ქვეყანაში. ამ პროცესებისადმი ისეთი დამოკიდებულება, რომელიც გამოიხატება ფორმულით – „ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებს" სრულიად მიუღებელია, ვინაიდან ყალიბდება სპეციალისტთა აბსურდული ჭარბწარმოება, ხოლო მათი განათლების საერთო დონე ძალიან დაბალია.

განათლების სფეროში გარდაქმნების განხორციელება, სახელმწიფო სახსრების შემცირების პირობებში, გარკვეულად დაკავშირებული იყო დაფინანსების ალტერნატიული, არასაბიუჯეტო წყაროების გამოვლენასთან. ამასთანავე, პოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდში შესაბამის პროცესებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების საშუალებები მკვეთრად იყო შეზღუდული. აქედან გამომდინარე, უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციების კრიტერიუმების დაცვა ნაკლებად ხორცი-ელდებოდა, ლიცენზირების მექანიზმი ძლიერ ზეწოლას განიცდიდა და სუბიექტური ფაქტორები დომინირებდა.

ძირითადად ამით იყო განპირობებული, რომ განათლების მაშინდელმა სისტემამ აბსურდული ხასიათი მიიღო, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრიზისულ პერიოდში (განსაკუთრებით 1992-1995 წლებში) მან გარკვეულწილად დადებითი როლი შეასრულა პროფესორ-მასწავლებელთა „ფიზიკურ გადარჩენაში", თუმცა ეს მოხდა განათლების ხარისხის დაცემისა და ცოდნის ფალსიფიკაციის ხარჯზე.

არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ქსელის ფორსირებულმა გაფართოებამ დღის წესრიგში დააყენა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა – ამ სასწავლებლების პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფა.

პროფესორ-მასწავლებელთა კადრები შედარებით

ხანგრძლივ პერიოდში ყალიბდება, რაც განაპირობებს მათ რაოდენობრივ-ხარისხობრივ სტაბილურობას ამით არის განპირობებული, რომ სტუდენტთა კონტინგენტის მკვეთრი ცვლილებები არსებით ზეგავლენას ახდენს პედაგოგიური პერსონალის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. სტუდენტთა რიცხვის მკვეთრად ზრდამ ასევე გაზარდა მოთხოვნა ამ კატეგორიის სამუშაო ძალაზე, რომლის დაკმაყოფილებაც შეთავსებით მუშაობის საფუძველზე განხორციელდა. თუკი 1990-1991 სასწავლო წელს შეთავსებით მუშაობდა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ მასწავლებელთა მხოლოდ 8,8%, მომდევნო წლებში ეს მაჩვენებლები გაიზარდა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით 11,1%-მდე შეადგინა.

შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტთა დამატებითი კონტიგენტის სწავლება ძირითადად შეთავსებულ შრომას დაეყრდნო, რაც მისაღები ფორმაა და იგი ადრეც გამოიყენებოდა, მაგრამ მხედველობაშია მისაღები, რომ იგი ადამიანის (ამ შემთხვევაში პროფესორ-მასწავლებელთა) დროის ბიუჯეტთან და ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გაუმართლებლად მაღალი იყო პედაგოგთა დატვირთვა და იგი სამუშაო დროის 2/3 აღემატებოდა, ხოლო მეცნიერული კვლევისათვის სამუშაო დროის მხოლოდ 1/3 იყო გათვალისწინებული.

სულ სხვა მოთხოვნებია გაბატონებული დასავლეთში, სადაც უმაღლესი სკოლის ლექტორი ამავე დროს წამყვანი მეცნიერიც უნდა იყოს. ეს ყოველივე გაითვალისწინება პედაგოგიურ დატვირთვაში. მაგალითად, აშშ-ის უნივერსიტეტებში მასწავლებელთა 78%-ს კვირაში 12-საათიანი პედაგოგიური დატვირთვა აქვს (მათგან 18%-ს არა უმეტეს – 4 საათი). დროის ბიუჯეტის 2/3-ზე მეტი კი ხმარდება სამეცნიერო მუშაობას. მართალია, მასწავლებელთა დიდ ნაწილს (დაახლ. 75%-ს) აქვს დამატებითი სამუშაოც (ძირითადად სხვადასხვა კომპანიაში მეცნიერ-კონსულტანტის სახით), მაგრამ ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები მათი ძირითადი ხელფასის 25%-ს არ აღემატება.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენთან სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას ჰქონდა ადგილი. ფართოდ გავრცელდა 2 და მეტი განაკვეთის შეთავსების სისტემა და ბუნებრივია, მკვეთრად შემცირდა სამეცნიერო მუშაობაზე განკუთვნილი დრო. აღნიშნულის გავლენით შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია, როდესაც შეთავსებიდან მიღებული შემოსავლები გაცილებით აღემატებოდა ძირითად ხელფასს. შექმნილი მდგომარეობა ყველაზე უარყოფითად მოქმედებდა სწავლების ხარისხზე. ამასთან ერთად, ლექტორთა დროის ბიუჯეტში მთლიანად ლექციების კითხვა გაბატონდა, რამაც პრაქტიკულად მინიმუმამდე დაიყვანა უმაღლესი სკოლის პედაგოგთათვის აუცილებელი მეცნიერული მუშაობის შესაძლებლობა. ამასთან ერთად, საერო უმაღლესი სასწავლებლების დიდ უმრავლესობას საერთოდ არ გააჩნდა კვლევითი ბაზები და სამეცნიერო განყოფილებები, ელემენტარულად მათი საქმიანობა არ ითვალისწინებდა მეცნიერულ კვლევას.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ საქართველოში მეცნიერებისა და განათლების სისტემები ერთმანეთთან ორგანულ კავშირში არ იმყოფებოდა და ეს გარკვეულწილად საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობა იყო, მაგრამ მისი გადალახვა აუცილებელია მოხდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად.

გლობალური პროცესების მიმდინარეობის ფონზე განუწყვეტლივ ხორციელდება მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ინტენსიური გადაადგილება, როგორც ცალკეული, ასევე სხვადასხვა ქვეყნებს შორის და ეს პროცესი მიმდინარეობს მსოფლიო მასშტაბით ხშირად მიგრანტების ინტერესების გათვალისწინებით, ზოგჯერ იმ ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც მათ ღებულობენ ან სულაც იმ ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, საიდანაც მიგრანტები გადიან.

ასეთი გადაადგილების ტრადიციულ ცენტრებს წარმოადგენენ აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთი რეალობით მუდმივად იზიდავენ სხვადასხვა ქვეყნიდან მაღალკვალიფიციურ მუშაკებს. მათ უფრო მოგვიანებით დაემატნენ ახალი ცენტრები ახლო აღმოსავლეთის ნავთობის მომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი არაბული ქვეყნები (არაბეთის გაერთიანებული ემირატები, საუდის არაბეთი, ლიბია, კატარი და სხვ.), აზიური (ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში), აგრეთვე არაბული ქვეყნები (ეგვიპტე, იორდანია).

მსოფლიოში არსებული მიგრანტების 59,8% შედარებით განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს, მათ შორის ევროპაში – 32%, ჩრდილოეთ ამერიკაში – 23,4, აზიაში – 28,5. 1990-2000 წლებში მსოფლიოში საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობა 13,5%-ით გაიზარდა.

მიგრაციის საფუძველი პირველ რიგში მძიმე სოციალ-ეკონომიკური პირობებია. ამიტომ მოსახლეობის სწრაფვა მატერიალური და სულიერი პირობების გაუმჯობესებისათვის, რაც პირველ რიგში გამოიხატება მაღალი ანაზღაურების მიღებასა და საინტერესო სამსახურის მოძიებაში, აგრეთვე მორალური და ზნეობრივი ღირებულების დაკმაყოფილებაში – მიგრაციული პროცესების მასტიმულირებელი ფაქ-

ტორებად შეიძლება ჩაითვალოს. მიგრაცია ხშირად განპირობებულია ფსიქოლოგიური ფაქტორებითაც, როდესაც ადამიანები ადგილებზე ვერ ახერხებენ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების სრულ გამოვლენას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მიგრაციული პროცესებში მნიშვნელოვნადაა ჩართული საქართველოს მოსახლეობაც, რასაც, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტები, უმუშევრობის ზრდა, დაბალი შემოსავლები, სოციალური დაძაბულობა და სხვ.

მიგრაციის პროცესი უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ემიგრანტები ხდებიან ყველაზე ნიჭიერი ადამიანები, პროფესიონალები. ე.წ. „ინტელექტის გადინება“ ჩვეულებრივ გამოიხატება იმაში, რომ ქვეყანას განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოქალაქეები ტოვებენ (მუსიკოსები, მხატვრები, ექიმები, ინჟინრები, მეცნიერები), აგრეთვე იმ დარგის სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით ფლობენ და იყენებენ თანამედროვე ტექნიკასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს, აგრეთვე საბანკო და საფინანსო საქმეს. ამ კატეგორიის მუშაკებს განეკუთვნებიან ადამიანები, რომლებიც მუშაობენ კონტრაქტით განსაზღვრული ვადითა და შესაბამისი ფუნქციებით, განათლების მაღალი დონითა და პროფესიული კვალიფიკაციით გამორჩეული ადამიანები; ვიზების მქონე უცხოელი ტურისტები, რომლებიც ფაქტიურად არალეგალურ მიგრანტებს წარმოადგენენ და ლტოლვილები, რომლებმაც იძულებით გადაადგილებით დატოვეს თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით 2000 წ. საერთაშორისო მიგრანტების საერთო რაოდენობა 175 მილიონ კაცს აღწევდა, რაც 1970 წლის მონაცემებს ორჯერ აღემატება და მსოფლიო მოსახლეობის 3%-ს შეადგენს.

ამასთან ერთად, „ტვინების გადინებას“ არ უნდა შევხედოთ როგორც უარყოფით მოვლენას, ვინაიდან ეს ადამიანები სრულფასოვნად ვერ იყენებენ თავიანთ ნიჭსა და პოტენციალს თავიანთ ქვეყანაში. დამატებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დროებითი გამგზავრება ქვეყნიდან არ შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად საზიანოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, ვინაიდან ამ ადამიანების განათლება და გამოცდილება მათი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეიძლება გაცილებით უფრო სასარგებლო იყოს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ უცხოეთში გამომუშავებული თანხების მნიშვნელოვან ნაწილს ისინი თავიანთ ოჯახებს უგზავნიან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოდან მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი ინტელექტუალური ნაწილის მიგრაცია ამჟამად და მომავალშიც დამოკიდებული იქნება ქვეყნების სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონეთა სხვაობაზე. აქედან გამომდინარე, დღეს აუცილებელია ისეთი ღონისძიებების შემუშავება, რომელიც შეამცირებს ემიგრაციულ განწყობას ინტელექტუალებში, ან შექმნის მათი სამშობლოში დაბრუნების პირობებს მას შემდეგ, რაც ისინი დაეუფლნენ ნოუ-ჰაუს და ცოდნას საზღვარგარეთ. უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ შეიძლება იქნეს მიღწეული ხელფასის სიდიდეს რეგულირების ხარჯზე. ამ მხრივ, აუცილებელია შემოსავლების, კერძოდ, ხელფასების სახელმწიფო რეგულირების სფეროში პრიორიტეტების მექანიზმების ფორმირება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინებს შემოქმედებითი შრომის სტიმულებს.

თუ განვიხილავთ საქართველოდან ემიგრირებულ სამუშაო ძალის მიგრაციულ ნაკადს, ვნახავთ, რომ ემიგრირებულთა 39% მოდის რუსეთზე, მიუხედავად გართულებული სავიზო რეჟიმისა ამ ქვეყანასთან, 14% მიდის საბერძნეთში, 13% – გერმანიაში, ხოლო აშშ-ში – 14%.[1]

მიგრაციული პროცესები გარკვეულწილად იწვევს დაძაბულობის შენელებას შიგა შრომის ბაზარზე და ამავე დროს მათ მიერ გამოგზავნილი ფულადი დახმარებები ბევრი ქართული ოჯახისათვის ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

ქართველი შრომითი ემიგრანტების საშუალო თვიური შემოსავალი 714 აშშ დოლარია, ხოლო ერთი ემიგრანტის მიერ საქართველოში ფულადი გზავ-ნილის საშუალო თვიური სიდიდე შეადგენს 168 აშშ დოლარს.

გაცილებით მეტი იგზავნება აშშ-დან (368 დოლარი), საბერძნეთიდან (142 დოლარი), რუსეთიდან (111,5 დოლარი), გერმანიიდან (121,6 დოლარი), ყველაზე მცირე გზავნილი შემოდის რუსეთიდან და თურქეთიდან.[2]

ემიგრაციაში ძირითადად ახალგაზრდა ასაკისა და შედარებით მაღალგანვითარებული კადრები მიდიან. საქართველოში შრომით ემიგრანტთა 47% 16-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის პირებია, ხოლო 45%-ს შეადგენენ 30-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის პირები, რაც შეეხება 50 წელს გადაცილებულ პირებს, მათზე მოდის შრომით ემიგრანტთა 8%. საქართველოდან ემიგრირებულ მამაკაცებს შორის ინჟინრებზე მოდის 20,1%, რომელთა 30% 30-49 წლის ასაკობრივ ჯგუფს ეკუთვნის, ბიზნესმენებზე

[1] **ნ. ჭელიძე, მ. ტუხაშვილი,** საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ფაქტორები და სოციალ-ეკონომიკური შედეგები, თსუ, თბილისი, 2003, გვ. 42.

[2] **მ. შელია,** შრომის ემიგრანტთა დემოგრაფიული სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლები, მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში, თსუ, თბ., 2003, გვ. 60.

მოდის 11,2%, ეკონომისტებზე 7,7% და ა.შ.[1]

როგორც სოციოლოგიური გამოკვლევები, ასევე ემპირიული დაკვირვებები გვიჩვენებს, ემიგრანტთა უდიდესი ნაწილი მაღალი განათლებისაა. ამასთანავე, ხშირად მათი დასაქმება საზღვარგარეთ ხდება არაშესაფერის სამუშაოებზე. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ემიგრანტთა შრომის ანაზღაურების დონე საკმაოდ დაბალია ემიგრაციულ ქვეყნებში არსებულთან შედარებით, განსაკუთრებით თუ ამას განვიხილავთ პროფესიულ-კვალფიციურ ჭრილში, რაც ძირითადად გამოწვეულია დასაქმების არალეგალური ხასიათით. აქედან გამომდინარე, ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი მოქცეულია შრომითი ხელშეკრულებების (კონტრაქტების) არეალის გარეთ და, შესაბამისად, ისინი ვერ ექცევიან საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის ფარგლებში, რაც განაპირობებს მათი შრომითი და სოციალური უფლებების უგულებელყოფას დამსაქმებელთა მიმართ.

შესაბამისი გამოკვლევით ირკვევა, რომ ემიგრაციის მიზეზთა შორის გამოიყოფა უმუშევრობა, უხელფასო შვებულებები, შემოსავლების დაბალი დონე და ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის უაღრესად მწირი შესაძლებლობები (აქვე უნდა აღინიშნოს ეთნიკურ უმცირესობათა ლტოლვა ისტორიულ სამშობლოში, თუმცა ამ შემთხვევაშიც ეს პროცესი, ქვეყანაში მძიმე მატერიალური პირობებით იყო სტიმულირებული).

და ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული იმ მწვავე პრობლემების გათვალისწინებით, შესაბამისი ოპტიმალური ღონისძიებების გატარებისა და ძირითადი დადებითი ტენდენციების გაძლიერებით მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბების პირობებში, შეიქმნება სათანადო მყარი საფუძველი იმისათვის, რათა მოხდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის შრომითი საქმიანობის განხორციელება და ჩართულობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ყოველივე ეს კი მთლიანობაში სასიკეთო გავლენას მოახდენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მისი ყველა მონაწილის შემოსავლების ზრდაზე, ხელს შეუწყობს და განაპირობებს მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

სწორედ საბაზრო ურთიერთობების პირობებში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალის ფორმირებასა და გამოყენების სფეროში. ეს როლი კიდევ უფრო დიდ დატვირთვას იძენს გარდამავალ პერიოდში, როდესაც იცვლება ღირებულებათა სისტემა, ხოლო სოციალურ-პოლიტიკური არასტაბილურობა და დეფიციტური ეკონომიკა პრიორიტეტების განსაზღვრას ართულებს. სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ადამიანური კაპიტალის განვითარებისაკენ, სრულ შესაბამისობაში უნდა მოექცეს ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებთან, ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ის საერთაშორისო სტანდარტები და გარანტიები, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის წამყვან როლს მსოფლიო თანამეგობრობაში.

ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე გლობალური ცვლილებები და დიდ სახელმწიფოების ცხოველი ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ, მოითხოვს სახელმწიფოს მკვეთრ შემობრუნებას ინტელექტუალური პოტენციალის ზრდისა და გამოყენების მიმართულებით. ყოველივე ეს კი უნდა აისახოს ინტელექტუალური რესურსების მობილიზაციაში. სწორედ ამან უნდა განსაზღვროს საქართველოს, როგორც უდიდესი ისტორიისა და კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნის ადგილი და როლი, როგორც რეგიონში, ისე მთელ მსოფლიოში.

***Iasha Kutubidze***
***Associated Professor of GTU***

## SOCIAL-ECONOMICAL PROBLEMS OF GLOBALIZATION

### SUMMARY

Globalization is a long historical process characterized with continuous intensification of social relationships, specific stages of development and trends. Globalization significantly changed the relationships of states in the field of economics. Besides, it stimulated the changes of ideas, cognition, opinions and views.

In modern world the continuous process of technical and technological globalization goes in parallel with technical progress. The newest technological equipment fundamentally changed the labor of mankind and became the basis of profitable business, commerce and banking. Besides, it gave birth to certain problems, which can be solved only by means of joint and reasonable action of fundamental forces of globalization. This includes enhancement of skills and opportunities of concrete persons.

In the process of globalization we must carefully treat the problems of spiritual life of mankind. It's especially true, when the culture, art, literature and other spiritual values of different countries and nations are easily available and intelligible for other nations by means of high technologies.

[1] იქვე, გვ. 42.

# ეკონომიკური ევროინტეგრაცია – საქართველოს ახალი არჩევანი

*ნინო მაზიაშვილი,*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

XXI საუკუნე მასშტაბური გლობალიზაციის ეპოქაა. ეს პროცესი ეხება კაცობრიობის არსებობის ყველა სფეროს: პოლიტიკას, ეკონომიკას, იდეოლოგიას, ბიზნესს, ეკოლოგიას, ზოგადად, ცხოვრების წესს და სხვა.. გლობალიზაცია არის მოწესრიგებული თანამედროვე მსოფლიო, რომლის მიზანია პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, და სოციალური უსაფრთხოების სტაბილიზაცია. ეს არის ახალი მსოფლიო მშენებლობის პროცესი, ინტერნაციონალიზაციის უმაღლესი ეტაპი, რომელიც უზრუნველყოფს განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესების დაცვას. ისიც ფაქტია, რომ გლობალურ პროცესებს თან ახლავს ბევრი წინააღმდეგობა, რაც როგორც წესი, ნაციონალურის ცნებასთან ასოცირდება. ამიტომ უმნიშვნელოვანესი საკითხია გლობალიზაციისა და ნაციონალიზმის საკითხის ურთიერთდაკავშირება საზოგადოებასთან, რადგან ეს ორი განმსაზღვრელი მოვლენა თავისი შინაარსით ურთიერთდაპირისპირებული და ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენებია. ამის მიუხედავად, ბევრი მეცნიერისა თუ ექსპერტისთვის, ეს ორი მიდგომა არ არის ურთიერთგამომრიცხავი. თუმცა არსებობს ის მოსაზრებაც, რომ გლობალიზაცია საზოგადოებისთვის უმტკივნეულო პროცესი უნდა იყოს.

პატარა ერს, როგორც წესი, თავისებური მენტალიტეტი გააჩნია, რომელიც განსხვავებულია დიდი ხალხების ხასიათისა და ზოგადი მიზნებისაგან. პატარა ერის ბედ-იღბალი ქვეყნის სწორ პოლიტიკურ ორიენტაციასა და საკუთარი ეკონომიკის სიძლიერეზეა დამოკიდებული. საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის ესაჭიროება საშინაო და საგარეო პოლიტიკის შერწყმა საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემასთან. წარმატებისათვის აუცილებელია ამ ორი სექტორის ერთმანეთთან ინტეგრაციის მაღალი დონე.

მაღალი ხარისხის გლობალიზაციის პირობებში იმდენად არის ქვეყნის ეკონომიკა ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში, რომ ერთად გადიან ეკონომიკური ციკლის ყველა ეტაპებს, ამიტომ კრიზისების პერიოდში, ეკონომიკური კავშირების განვითარების თვალსაზრისით, ადამიანური რესურსების შერჩევის, ნედლეულის მოპოვების, მიწოდების, გადამუშავების თვალსაზრისით მას აქვს გარკვეული პოზიტიური ეფექტი. ეს არის ეკონომიკური ურთიერთობა - პროცესი საზღვრებს გარეშე. ე.ი შენი ბიზნეს-საქმიანობა შეგიძლია მართო ერთი ქვეყნიდან მეორეში.

გლობალიზაციის შედეგია ასევე სპეციალური ეკონომიკური ზონების არსებობა, სადაც ადგილობრივი მთავრობები ინვესტორებს აძლევენ შეღავათიან საგადასახადო რეჟიმებს, ან საერთოდ ათავისუფლებენ გადასახადებისაგან. ასეთი ზონები შექმნილია, ლათინურ ამერიკაში, კარიბის ზღვაზე და აზიაში, სინგაპური, ტაივანი, ჩინეთი და სხვა... ფინანსური გლობალიზაცია გარკვეულად იცავს ქვეყნებს ფინანსური კრიზისებისაგან, ვინაიდან ხდება ერთიანი საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბება და ხშირად, ერთიანი ვალუტის შემოღება. თვითონ ბანკების საქმიანობაც ტრანსნაციონალური საქმიანობის სახეა.

მნიშვნელოვანია, რომ გლობალიზაციის პროცესში, ხშირად განვითარებადი სახელმწიფოები იჩაგრებიან. მსხვილი სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობენ, სუსტისგან შეისყიდონ ნედლეული, მასალები, საბაზროზე გაცილებით დაბალ ფასად. სუსტი სახელმწიფოებიც იძულებულები არიან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაძლიერების მიზნით "არ აწყენინონ" ძლიერ მეგობრებს. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია შრომით გლოალიზაცია, აქ მდგომარეობა მეტად მძიმეა. ხშირად ღარიბი ქვეყნებიდან ადამიანები ვერ ჩადიან განვითარებულ ქვეყნებში, რათა იპოვონ სამუშაო ადგილი, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ ქვეყნების გარკვეულ გამოთანაბრებას განვითარებულ ქვეყნებთან. ძალზე რთულია მოქალაქეობის მიღება იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც ჩავიდნენ პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან.

საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლისა და ადგილის გარკვევა მსოფლიო თანამეგობრობაში, იმ გეოპოლიტიკური ძალების ცვლილების კონტექსტში, რომელიც ბოლო წლებში მოხდა. ამერიკელი პოლიტოლოგის, ბჟეზინსკის თქმით, „ევრაზია წარმოადგენს საჭადრაკო დაფას, რომელზეც მიმდინარეობს ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის. საქართველო შეიძლება განვიხილოთ როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი. საქართველო მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა სფეროშია.

საქართველო მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მონაკვეთზე. იგი ევროპული ქვეყანაა. ცნობილია, რომ

კავკასია მსოფლიოს სხვა გეოსივრცეებისაგან სრულიად გამორჩეულია ბუნებრივი პირობებით, ისტორიული წარსულით, დაგროვილი პოტენციალითა და გეოპოლიტიკური მდებარეობით. სწორედ ამიტომ კავკასია დღეს ბევრის ყურადღებას იპყრობს მსოფლიოში, განსაკუთრებით, საქართველო.

სამწუხაროდ, მხოლოდ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა ვერ გახდება ქვეყნის წარმატების გარანტი. მთავარია, ვინ და როგორ ცხოვრობს ამ სივრცეში. საქართველოს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე დამოკიდებული, დემოკრატიული და მშვიდობისმყოფელი სახელმწიფოს დამკვიდრება, რომელსაც შეეძლება აღმოსავლეთსა და დასავლეთს , ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობებისა და რესურსების მრავალფეროვნება, თავისებურებანი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მისი ეკონომიკის სტრუქტურის, სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების საქმეში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობზე. ამიტომ ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ღრმად შესწავლასა და მათ მაქსიმალურად გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებისათვის, პერსპექტივაში, ძირითადი მიმართულებების სწორად განსაზღვრისათვის.

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნების მრავალფეროვნება. რელიეფი წარმოდგენილია მაღალი საშუალო და დაბალი მთებით, ზეგნებითა და ვაკეებით. საქართველოს ჰავის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს, ერთის მხრივ, მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მეორე მხრივ, რელიეფის განსაკუთრებული სირთულე. ადგილობრივ კლიმატს ქმნის შავი ზღვა და კავკასიონი. საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. ოფიციალური მონაცემებით, აქ 26060 მდინარე აღირიცხება, ასევე, 860-მდე ტბა და 786 მყინვარია. საქართველო გამოირჩევა მინერალური წყაროების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. აქ არის მინერალური წყლების გამოსავალთა 500-ზე მეტი ჯგუფი.

საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. მაგალითად, საქართველოს ნვთობი მაღალი ხარისხისაა. იგი არ შეიცავს გოგირდის მინარევებს და ფართოდ გამოიყენება ნავთობქიმიაში. საქართველოს ენერგორესურსებიდან მნიშვნელოვანია ტორფი, რომლის საბადოებიც განლაგებულია დასავლეთ საქართველოში. აქვეა განლაგებული მსოფლიოში ცნობილი ჭიათურის მანგანუმის საბადო.მადანში ლითონის მაღალი შემცველობაა. საქართველოში გვხვდება რკინის მადნებიც. აქ მოიპოვება ფერადი ლითონებიც (ვერცხლი, ოქრო, თუთია, სპილენძი, ტყვია). ქვეყანა მდიდარია სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების ამოუწურავი მარაგებით, ტყის რესურსებით. ერთი სიტყვით, საქართველოში ბევრია ისეთი რესურსები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება, რომ იგი გახდეს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა. ამისათვის საჭიროა ამ ბუნებრივი და მინერალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენება.

როგორც თავშიც აღვნიშნეთ, დღეს ტოტალური გლობალიზაციის ეპოქაში შეუძლებელი იქნება ეკონომიკის განვითარებაზე ლაპარაკი ისე, თუ ინტეგრაციის ფაქტორს არ გავითვალისწინებთ. თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება, იზრდება ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების როლი. ასეთ სიტუაციაში ვერც ერთი ქვეყანა, ვერც ერთი ეროვნული ეკონომიკა (მათ შორის, საქართველოც) ვერ შეძლებს წარმატებით განვითარებას უცხოეთთან გაფართოებული თანამშრომლობის, მსოფლიო ბაზართან ღრმა ინტეგრაციის გარეშე.

გლობალიზაცია თავის განვითარებაში გაივლის რამდენიმე ეტაპს. ეკონომიკური გლობალიზაციის პირველ ეტაპზე ხორციელდება ყველა ეროვნული ეკონომიკის ისეთი გაძლიერებული დამოკიდებულება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის, ტექნოლოგიების, ცოდნისა და ნოუ-ჰაუს საერთაშორისო ბაზარზე, რომ ეროვნული ეკონომიკის წინსვლით, ეფექტიანი განვითარება შეუძლებელი ხდება მსოფლიო ეკონომიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. მეორე ეტაპზე, რომელსაც მსოფლიო უკვე მჭიდროდ მიუახლოვდა, წარმოიშობა და წყდება სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკურ-სამართლებრივი პირობების გამოთანაბრების ამოცანები და ხორციელდება სახელმწიფოთა საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია. მესამე ეტაპზე მოხდება ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ეკონომიკური პროცესების მართვა, ერთიანი „თამაშის წესების" შემოღება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველომ ათეული წლის წინ გააკეთა არჩევანი ევროატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაციის სასარგებლოდ. 1999 წლიდან საქართველო ევროპის საბჭოს წევრია და მონაწილეობს იმ ინსტიტუტებში, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყანას დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების დასავლური სტანდარტებით მშენ-

ებლობაში. ამ შეთანხმების მიზანია საქართველოსთვის ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საქმეში დახმარების გაწევა.

2004 წელს, ევროკავშირის გაფართოების შემდეგ, შემუშავდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა. მისი მიზანი იყო გაფართოებულ ევროპასა და ახალ მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების მოხსნა და სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. სამეზობლო პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერას. მისი საშუალებით ევროკავშირი თავისი საზღვრების გარშემო დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებას უწყობს ხელს. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა საქართველოზე 2004 წლის ივნისიდან გავრცელდა. ევროკავშირი მეზობლებს პრივილეგირებულ ურთიერთობებს სთავაზობს, რომელიც დემოკრატიას, ადამიანის უფლებების დაცვას, კანონის უზენაესობას ეფუძნება. იგი სცილდება უბრალო თანამშრომლობის ფარგლებს და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინტეგრირებასა და მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობებს გულისხმობს.

ევროკავშირი სათავაზობს პარტნიორებს გარკვეულ სტიმულს, რომელიც დამოკიდებულია ცალკეულ სფეროებში განხორციელებული რეფორმების პროგრესზე. ევროკავშირი ცდილობს, რომ მიზნების დასახვა და განსახორციელებელი რეფორმების გეგმის შემუშავება მოხდეს პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფონზე.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა მოიცავს ისეთი ღონისძიებების რეალიზაციას, როგორიცაა: სტანდარტებისა და წესების ჰარმონიზაცია; ევროკავშირის "სამეზობლო პოლიტიკაში" მონაწილე ქვეყნებისათვის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების მინიჭება ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის გაიოლების მიზნით; ევროკავშირის "სამეზობლო პოლიტიკაში" მონაწილე ქვეყანათა ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებში, ასევე, სამეცნიერო კვლევათა ევროპულ სივრცეში, ინვესტიციების ხელშეწყობისა და მათი დაცვის ახალი ინსტრუმენტების შექმნა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებულ იქნა ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ძალაში 2006 წლის 14 ნოემბერს შევიდა. პარალელურად, განისაზღვრა პარტნიორ ქვეყნებში გარდაქმნის ოთხი ძირითადი პრიორიტეტი. ეს პრიორიტეტებია:

**დემოკრატია, მართვისა და სტაბილურობის სრულყოფილი სისტემა** (ადმინისტრაციული რეფორმები, ანტიკორუფციული ღონისძიებები, მმართველი აპარატის სწავლება, თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სხვა);

**ეკონომიკური ინტეგრაცია და კონვერგენცია** ევროკავშირის დარგობრივ ეკონომიკურ პოლიტიკასთან, თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის ჩათვლით.

ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით, ერთ-ერთი მთავარი თემა ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) გაფორმებაა. ეს საკითხი 2007 წლიდან მუსირებს ქართულ პოლიტ-ეკონომიკურ სივრცეში, რადგან ითვლება, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მომავალი პერსპექტივისთვის და ქართული ეკონომიკის ზრდის ტემპების გასაძლიერებლად.

როგორც ცნობილია, მოლაპარაკების დასაწყებად, საქართველომ უნდა შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით აქვს აღებული. მიუხედავად კონკრეტული პრობლემებისა (რომლებიც ძირითადად დაკავშირებული იყო იმასათან, რომ საქართველოს მთავრობა პრიორიტეტს ანჭებს ლიბერალური ეკონომიკის მოდელს), საქართველოს მაინც მოუწევს ევროკავშირის ტიპის რეგულაციების შემოღება. ევროკავშირის მოთხოვნა სამ ძირითად პოსტულატს ეხება: კაბალური შრომის კოდექსის შეცვლა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლა, კონკურენციის რეგულირების სფეროს სრულყოფა, ლაპარაკია ანტიმონოპოლიური სამსახურების აღდგენაზე, ან ხელახალ შემოღებაზე, ასევე, სურსათის უვნებლობის სფეროში რეგულაციების დაბრუნებას და მკაცრ კონტროლს. როგორც ცნობილია, 2007 წლიდან ხელისუფლებამ შეაჩერა კანონის იმ მუხლების მოქმედება, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურს ავალდებულებდა, ეწარმოებინა ქვეყანაში სურსათის ტოტალური კონტროლი. ეს ყველა მოთხოვნა ასოცირების ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების ნაწილია, ისევე, როგორც DCFTA გაფორმების შესაძლებლობაზე.

ბოლო დროს ხშირად ისმის პროფესიონალების დისკუსიები იმის თაობაზე, თუ რამდენად იქნება საქართველოსათვის ხელსაყრელი DCFTA-სთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება. ამ მოსაზრების მხარდამჭერების მთავარი არგუმენტი ის არის, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში DCFTA-სთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება გამოიწვევს დანახარჯებს როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციისთვის, ასევე, კერძო სექტორისთვის.ლაპარაკია იმაზე, რომ დამატებითი დანახარჯები გაზრდის ფასებს სურსათზე, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ხელმოკლე მოსახლეობას. ამ

მიდგომაში ნამდვილად არის ჭეშარიტების მარცვალი. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მეორეს მხრივ, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს ხელშეკრულება მთლიანობაში დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს. ექსპერტების შეფასებით, DCFTA-ის გაფორმებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი 2.3 მილიარდ დოლარიდან (2008 წელი) გაიზრდება 11.36 მილიარდამდე (2020 ). ასევე, გაიზრდება საქართველოს ექსპორტი..

დღეისათვის საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება, რათა საქართველომ მოახერხოს სატარიფო და არასატარიფო, უპირველეს ყოვლისა, ხარისხობრივი და რაოდენობრივი ბარიერების შემცირების ხარჯზე, ევროკავშირის ბაზარზე თავისუფალი

შეღწევადობა უზრუნველყოს. ამ მიზნით აუცილებელია, შემუშავდეს და ამოქმედდეს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც ევროპული სტანდარტების (ტექნიკური სტანდარტების, ხარისხის მონიტორინგის სისტემის,

საბაჟო კონტროლის და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში) დანერგვას შეუწყობს ხელს.

ევროინტეგრაციის პროცესისთვის თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია შრომის კოდექსის ძირეული რეფორმა, რადგან მოქედი კანონი ცალმხრივად ცნობს მხოლოდ ინვესტორის და დამქირავებლის უფლებებს, დაქირავებულის უფლება კი საერთოდ უგულებელყოფილია. ევროკავშირისთვის ამგვარი მიდგომა მიუღებელია, რადგან საერთო გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკა და ადამიანის უფლებები არ არის გამიჯნული და არ წარმოადგენს იზოლირებულ ცნებებს. შეუძლებელია, წარამატებული ეკონომიკური სივრცე წარუმატებელი პოლიტიკური საქმიანობით. ევროკავშირის ეს მოთხოვნაც, ჯერჯერობით, უპასუხოთ რჩება, თუმცა ახალი პარლამენტი აცხადებს, რომ მარტისთვის მზად იქნება შეცვლილი და გადამუშავებული შრომის კოდექსი.

ყველაზე მკაფიო სიგნალი ევროკავშირის მხრიდან პარტნიორების მიმართ დახმარების კონკრეტული მზადყოფნის დემონსტრირებისთვის არის დაფინანსების დონეების და პარტნიორობის პოლიტიკური ამბიციების დოეების შესაბამისობაში მოყვანა. ამისთვის საჭიროა გაზრდილი ფინანსური რესურსების არსებობა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში, 2008 წელს ევროკავშირის მთლიანი წლიური დაფინანსება ექვსი აღმოსავლეთის პარტნიორისათვის იყო 450 მილიონი ევრო. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში 2010-2013 წლებისთვის გამოყოფილია 600 მილიონი.

„აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინასება მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2007-2010 წლებში გამოყოფილი იყო 120 მილიონი ევრო. ეს მოცულობა 2011-2013 წლებისთვის თითქმის 50%-ით გაიზრდება და მიაღწევს 180 მილიონ ევროს. მთელი დაფინანსება მოხმარდება ოთხ პრიორიტეტულ სფეროს: **დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება, სიღარიბის შემცირება და სოციალური რეფორმები, კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის გზების ხელშეწყობა**.

ევროკავშირის ბაზრებზე საქართველოში წარმოებული პროდუქციის თავისუფალი შეღწევადობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის, ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი და წინაპირობაა. დღეისთვის საქართველო ინვესტიციურ შიმშილს განიცდის, მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია, მაღალია უმუშევრობა და სიღარიბე. საკუთარი შესაძლებლობებით ამ მდგომარეობიდან გამოსვლა რთულია.

მოხმარება იმდენად დაბალია ქვეყანაში, რომ მხოლოდ შიდა ბაზარზე ორიენტირებული წარმოების მიზნით ინვესტიციები აშკარად არამომგებიანია. ამდენად, ინვესტიციების მოზიდვის რეალური ფაქტორი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარება და მსოფლიო ბაზრებზე საკუთარი ნიშის მოძებნაა.

საქართველოსათვის ტრადიციული დიდი ბაზრებიდან, ყველაზე დიდი - რუსეთის ბაზარი საქართველოსთვის დაკეტილია და უკვე 5 წელია რუსეთის მხრიდან ემბარგოს რეჟიმის გამო, ქვეყანა სხვა ალტერნატიული ბაზრების მოძიების პროცესშია.

თუ მსოფლიო ეკონომიკას გადავხედავთ, თვალნათელია, რომ ევროპულ ბაზრებს - ევროკავშირს ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც საქართველოს ევროკავშირის ბაზრებზე გასვლის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებს მოუხსნის. მიუხედავად სატარიფო ბარიერების დიდი მნიშვნელობისა, საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არასატარიფო ბარიერების მინიმიზებას ენიჭება. დღეს საქართველო სარგებლობს სატარიფო შეღავათებით, თუმცა მათ ჩვენი ექსპორტის გეოგრაფიაში რევოლუციური ცვლილება არ გამოუწვევია. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოსა და ევროკავშირს სავაჭრო ბარიერების მოხსნის მიმართულებით საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ ვერ აისახა ექსპორტის მნიშვნელოვან სტიმულირებაში, პროცესი დაწყებულია, რაც ოპტიმიზმის საბაბს იძლევა. რეალურად დღეს ევროკავშირის ბაზრებზე ქართული პროდუქციის თავისუფალ შესვლას ხელს საბაჟო პროცედურები, საბაჟოზე არსებული არასატარიფო ბარიერები, სტანდარტები, ხარისხის კონტროლის მექანიზმები უშლის. სწორედ ამ სფეროებში საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოებით ხდება აღნიშნული ბარიერების მინიმიზაცია, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ევროკავშირის მიერ წარმოდგენილი ოთხი მმთავარი პუნქტიდან ორის განხორციელებას და წარმატების მიღწევას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეისათვის ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს გლობალიზაციის პროცესში ჩართვის ყველაზე საკვანძო მომენტია და ხელისუფლება ამ მხრივ მასშტაბური ცვლილებებისთვის ემზადება. პარალელურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალი მთავრობა ისევ გეგმავს ევრაზიული ურთიერთობების რეაბილიტაციას და „აბრეშუმის გზის" აღდგენას. ამ ურთიერთობებში მთავარი მოთამაშე ჩინეთი და შუა აზიის ქვეყნები იქნება.

როცა გლობალიზაციაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია, ხელისუფლებამ ზუსტად შეაფასოს პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ის ძირითადი ფაქტორები, რომლითაც შეგვეძლება ეროვნული ეკონომიკისა და გლობალიზაციის პროცესების ჰარმონიული განვითარება: განისაზღვროს ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონე, პოტენციალი და მასზე მოქმედი გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური შედეგები. უნდა შევძლოთ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესების განმსაზღვრელ ქვეყნებთან, (აშშ, იაპონია, ევროკავშირი), კოორდინირებული მუშაობა. მოვახდინოთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული კრედიტების, გრანტების მაქსიმალური ტრანსფორმირება ეროვნული ეკონომიკისთვის. ეროვნული უსაფრთხოების და მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის პროგრამის, ღონისძიებათა ნუსხის რეალიზაცია და მათი მოყვანა თანამედროვე მსოფლიოს ადეკვატურ პროცესებთან. იმპორტ-ჩანაცვლებადი პროდუქციის მაქსიმალური დახმარება და ეროვნული წარმოების მხარდაჭერა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეკომენდაციების ფარგლებში. შიდა პროცესების თვალსაზრისით, უნდა გავაძლიეროთ ისეთი ინსტიტუტების მუშაობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას საქართველოში და ქვეყნის ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში, ლაპარაკია ისეთ ინსტიტუტებზე, რომელზეც არ უნდა იმოქმედოს პოლიტიკურმა, სოციალურმა ცვლილებებმა. ასეთებია: ეროვნული ბანკის ფუნქციების გაფართოება და მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობა. საფონდო ბაზრის განვითარება, მეორადი ბაზრის ჩამოყალიბება. სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის დამკვიდრება და განვითარება. კომუნიკაციებისა და ენერგეტიკული მარეგულირებელების სრული დეპოლიტიზაცია. ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზებისა და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ხასიათის განმსაზღვრელი მიზეზებისა და ფაქტორების გათვალისწინება. ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაოდენობის სიჭარბე ან სიმცირე არ მიიჩნევა ეკონომიკის განვითარების ერთადერთ პირობად. ამის მაგალითია საბჭოთა კავშირი. თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის წამყვან ფაქტორს წარმოადგენს ტექნიკური პროგრესი -- წარმოების სრულიად ახალი მეთოდები, მართვისა და ორგანიზაციის ახალი ფორმები. გლობალიზაცია სწორედ ამ პროცესებთან ინტეგრაციას უწყობს ხელს, რაც შესაბამისად , პირდაპირ აისახება ეკონომიკური ტემპების ზრდაზე.

*Nino Maziashvili*

## EURO INTEGRATION-NEW CHOICE OF GEORGIA

### SUMMARY

The scientific study " Euro integration-New Choice of Georgia" (author Nino Maziashvili ) is about Georgian fortune, about its right political and economical orientation, about connection of internal and external politics with modern system of international relationships, about right neighborhood relationships with Euro union, which based on protection of human rights and low supremacy. It includes support of investments in European, transportation , energetic and telecommunication networks, also in European space of scientific studies and creations of new instruments of their protections. Unity of globalization and nationalism.

The article includes three main postulates of Euro union demands- the change of cabal codex and implementation of European standards, improvement of regulation competition area, strict control of product safet, Stabilization of economical, political, ecological and social safety.

# მენეჯმენტის პროცესი და სისტემა

*ვლადიმერ სეხნიაიძე,*
*გოგი მაჭარაშვილი,*
*ქეთევან კვესელავა*

ბიზნესის წარმოება და ქვეყნისათვის მყარი ეკონომიკური საფუძვლის შექმნა საზოგადოების განვითარების ისტორიული ეპოქის თავისებურებების გათვალისწინებით ემყარება მენეჯმენტის შესაძლებლობების სრულ და სწორ გამოყენებას. იგი ობიექტურ კანონებზე დაფუძნებული მეცნიერებაა მართვის შესახებ, მოქმედებათა გარკვეული პროცესია და წარმოადგენს სისტემას, რომელიც საკითხის (პრობლემის) განხილვას და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს მართვისადმი სისტემური მიდგომის პრინციპის აუცილებელ მოთხოვნათა შესაბამისად. მენეჯმენტში მიღებული ყველა გადაწყვეტილება ეკონომიკური კატეგორიისა და ადამიანთა სრულიად გაუცნობიერებულ ჩარევას ვერ ეგუება.

დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებობს ურთიერთგანსხვავებული აზრი მენეჯმენტის ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების შესახებ, რომელთა კონკრეტულობასა და დაზუსტებას განსაკუთრებული როლი ენიჭება მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის. ვფიქრობთ, ეს განსხვავებული შეხედულებები გამოწვეულია თვით მენეჯმენტის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების წარმოშობის თავისებურებებით. კერძოდ, მენეჯმენტი წარმოიშვა მრავალ სხვადასხვა მეცნიერებათა გზაჯვარედინზე, რომელთა მეთოდებისა და შედეგების გამოყენებასაც იგი თავისთავში აუცილებლად გულისხმობს.

თანამედროვე მენეჯმენტის წინაშე ისმის ოთხი ძირითადი ამოცანა:

1. მიზნის დასმა
2. დასაქმებული ადამიანების მართვა
3. ორგანიზაციისათვის რენტაბელობის უზრუნველყოფა სიახლეთა გამოყენებით
4. ახალი ბაზრების შექმნა და მართვა

აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე, გერმანელი მეცნიერის ვოლფგანგ ხოიერი აზრით, თანამედროვე მენეჯმენტს აკისრია ორი მთავარი ფუნქცია:

1. ფუნქცია მარკეტინგისა
2. ფუნქცია ინოვაციისა.

რაც ჩვენი აზრით სწორად გამოხატავს მენეჯმენტის არსს, როლსა და დანიშნულებას, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს ორგანიზაციის მისიის შესრულებას.

ინოვაციის შესახებ ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2007 წელს ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციის "ინფორმაციული ტექნოლოგიები მართვაში: მასალებში. აქ მხოლოდ ერთ კონკრეტულ მაგალითზე – ფინანსურ ინოვაციებზე შევჩერდებით.

რაც შეეხება მარკეტინგს, ბრიტანეთის მარკეტინგის ინსტიტუტი მას ასეთ განმარტებას აძლევს: მარკეტინგი მართვის პროცესია, რომელიც განსაზღვრავს, წინასწარ ხედავს, ეფექტიანად დააკმაყოფილოს მყიდველთა მოთხოვნები. იგი გამოყენებას პოულობს მენეჯმენტის ზემოთ დასახელებულ ყველა ამოცანის გადაწყვეტაში, რომელიც დაკავშირებულია ბაზართან. ამ აზრს იზიარებს პიტერი ფ. და დრუკერი, რომლებიც თვლიან, რომ მარკეტინგის გამოყენება სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტაში გულისხმობს მომხმარებელთა მოთხოვნების ეფექტიან დაკმაყოფილებას.

პროფესორი გ. პაპავა თვლის, რომ არსი და დანიშნულება ასახულია თვით მის დასახელებაში "მარკეტინგი", რაც ნიშნავს "ბაზართ კეთებას", ბაზრის მართვას.

თუ როგორ გაართმევენ თავს კომპანიები და ფირმები მარკეტინგის პრაქტიკულ გამოყენებას, დამოკიდებულია მათ ინდივიდუალურ მდგომარეობასა და ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე. ეს გარემოება განსაკუთრებულია თანამედროვე პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ბაზრების გლობალიზაცია და რომელიც მოითხოვს მკვეთრ შეტევით და ძლიერ თავდაცვითი სტრატეგიების შემუშავებას ბაზარზე, იმისათვის, რომ მიაღწიონ სასურველ შედეგს და შეინარჩუნონ მოწინავე პოზიციები.

ინოვაციების საერთო სისტემაში შეიძლება გამოიყოს ფინანსური ინოვაცია, ანუ ინოვაცია, რომელიც მოქმედებს ფინანსურ სფეროში.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში სამწუხაროდ არ არსებობს არც ერთი სერიოზული გამოკვლევა ფინანსური ინოვაციების სფეროში, რომელიც აღმოფხვრიდა იმ მრავალ არსებულ გაუგებრობას ინოვაციის არსის, შინაარსისა და დანიშნულების შესახებ, როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ობიექტური კანონისა.

ამჟამად საქართველოს ეკონომიკის განვითარება მთლიანად ორიენტირებულია წარმოების ფაქტორებსა და საინვესტიციო პოლიტიკაზე, რითაც ფაქტობრივად გამოირიცხება ეკონომიკურ პროცესებში სიახლეთა გამოყენება და ამ გზით მათი სრულყოფა და განვითარება. ასე, რომ სიახლეთა შექმნა და ამ მიზნით ინოვაციური პროცესების განხორციელება ობიექტური აუცილებლობით არის განპირობებული.

ფინანსური ინოვაცია, ისევე როგორც სხვა ინოვაცია, იყოფა კრიზისულ და განვითარების ინოვაციად, ახალ ფინანსურ პროდუქტად და ახალ ფინანსურ ოპერაციად.

როგორც გამოუკიდებელ ეკონომიკურ კატეგორიას, ფინანსურ ინოვაციას აქვს შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები:

1. ახალი ფინანსური პროდუქტის გაყიდვის აუცილებლობა ფინანსური ინოვაციების ბაზარზე;
2. ფინანსური ოპერაციის რეალიზაციის აუცილებლობა ბაზარზე ან ორგანიზაციის შიგნით;
3. ფინანსური ინოვაციის ფუნქციონალური დამოკიდებულება დროზე;
4. თვითონ ფინანსური პროდუქტის განსაკუთრებულობა.

ახალი ფინანსური პროდუქტის ან ოპერაციის გაყიდვის აუცილებლობა ნიშნავს, რომ თუ პროდუქტი ან ოპერაცია არაა რეალიზებული, ის არ არის ახალი, ის უბრალოდ არ არსებობს.

ფინანსური ინოვაციის დამოკიდებულება დროზე ნიშნავს, რომ ყოველ ინოვაციას თავისი სასიცოცხლო ციკლი აქვს.

ფინანსური ინოვაციის ეკონომიკური არსი მდგომარეობს შემდეგში: ფინანსური ინოვაცია – ეს არის ახალი ფინანსური პროდუქტის ან ოპერაციის სახით წარმოდგენილი ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგი საფინანსო სფეროში.

ფინანსური ინოვაცია შედგება ახალი ფინანსური პროდუქტისაგან და ახალი ფინანსური ოპერაციებისაგან.

ფინანსური პროდუქტი წარმოადგენს საფინანსო დაწესებულების მომსახურების მატერიალურ ნაწილს. ფინანსურ პროდუატს აქვს საგნის სახე (შეხებადი ფორმა), რომელიც განკუთვნილია საფინანსო ბაზარზე გასაყიდად. ფინანსურ პროდუქტს მიეკუთვნება ფასიანი საფონდო ქაღალდები, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული მონეტები, პლასტიკური ბარათები, საპენსიო პოლისი და ა.შ.

ახალი ფინანსური პროდუქტი შეიძლება იყოს მასობრივი ან ერთეული.

ერთეული ფინანსური პროდუქტი – ეს არის ინდივიდუალური პროდუქტი. როგორც ნივთს, მას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ერთეულოვანი ფინანსური პროდუქტი წარმოადგენს რომელიმე ფინანსური აქტივის პროდუქტის სახესხვაობას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს კონკრეტული მონეტა ძვირფასი ლითონისაგან, კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის, ემიტენტის ობლიგაცია.

ერთეულ ფინანსურ პროდუქტს ჰყავს თავისი მკვეთრად განსაზღვრული მყიდველთა წრე. ამიტომ მას უშვებენ კონკრეტული მომხმარებლისთვის (ნუმიზმატები, ტეზავრატორები, ინვესტორები).

მასიური ფინანსური პროდუქტი – ეს არის პროდუქტი, რომელსაც არა აქვს მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა. ეს არის ყველა სახის სახელმწიფო ობლიგაციები, საბანკო დეპოზიტური ანგარიშები, საპენსიო პოლისები, ოფციური კონტაქტები, ფიუჩერსები და სხვა. მასიურ ფინანსურ პროდუქტს უშვებენ ინვესტორებისა და ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის.

ახალი ფინანსური პროდუქტი შეიძლება იყოს ლიმიტირებული ან არალიმიტირებული.

ლიმიტირებული ფინანსური პროდუქტი - ეს არის პროდუქტი, რომლის მოცულობა და გამოშვების რაოდენობა მკაცრადაა კვოტირებული. მას მიეკუთვნება აქციები, ობლიგაციები, უძრავი ქონების ობიექტები და სხვა.

არალიმიტირებული ფინანსური პროდუქტი არ არის შეზღუდული კვოტებით. ის გამოდის პოტენციურ მყიდველზე ანგარიშით. არალიმიტირებულ ფინანსურ პროდუქტებს მიეკუთვნება: ძვირფასი ლითონის მონეტები, პლასტიკური ბარათები, საბანკო ანგარიშები,საპენსიო პოლისები და სხვა.

ახალი ფინანსური პროდუქტი შეიძლება იყოს: 1) ქონების სახით და 2) ქონებრივი უფლების სახით. ქონება – ეს არის ნივთი. მაგალითად, ფული, ოქროს ზოდი, მონეტები, ძვირფასი ქვები, მიწის ნაკვეთი და სხვა. ქონებრივი უფლება – ეს არის განსაზღვრული ქონების ფლობა, მართვა და გამოყენება. მაგალითად, საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება, საკრედიტო შეთანხმება, საპენსიო პოლისი და ა.შ.

ფინანსური ოპერაცია ნიშნავს მოქმედების პროცედურას, რომელიც მიმართულია განსაზღვრული ამოცანების გადასაწყვეტად. ფინანსურ ოპერაციებს მიეკუთვნება ფულადი საშუალებების და ფასიანი ქაღალდების კონტროლის აღრიცხვის ფორმები, ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვის მეთოდები, ფინანსური ანალიზის ხერხები, სამეურნეო სუბიექტში საფინანსო მუშაობის ორგანიზაციის ფორმები, ახალი ფინანსური ბაზრების დაპყრობა.

ფინანსურ ოპერაციებს აქვთ არაშეხებადი ფორმა,

ანუ არ შეიძლება მათ შევხედოთ, როგორც ნივთს, ამითომ არ შეიძლება მათი ფიქსირებულ ფასში გაყიდვა. რომ გაიყიდოს, ფინანსური ოპერაცია მატერიალიზებული უნდა იქნეს ნივთის ფორმით. ფორმას წარმოადგენს ინსტრუქციები, წესები, მეთოდური მითითებები, ფორმულები, გრაფიკები, ე.ი. განსაზღვრული დოკუმენტი. ეს დოკუმენტი უკვე არის ფინანსური პროდუქტი. ეს კი ნიშნავს, რომ ის არის ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ფინანსურ ბაზარზე.

ინოვაცია სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ახალს. ეს სიახლე პროდუქტის სახით ავლენს თავს მხოლოდ ფინანსურ ბაზარზე გაყიდვის პროცესში. მყიდველის მოთხოვნილება ფინანსურ პროდუქტზე ან ოპერაციაზე განსაზღვრავს ამ სახეობათა სიახლის ხარისხს. ახალ პროდუქტზე მოთხოვნილების დონე განსაზღვრავს მისი სარგებლიანობის დონეს და ამრიგად, მისი სიახლის ხარისხს.

ყოველი ახალი მოვლენა დაკავშირებულია კატეგორიასთან ,,დრო''.

დრო ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი სტიმული და ფაქტორია კონკრეტულ ბრძოლაში. დროს გაასწრო – ნიშნავს გაასწრო კონკურენტებს. სუბიექტი, რომელიც პირველი გამოვიდა თავის ფინანსურ ინოვაციასთან ერთად და დაიპყრო ბაზრის თავისი სეგმენტი, სწრაფად იქმნის თავის დადებით იმიჯს და კონკურენტულ ბრძოლაში ადვილად იმარჯვებს. ბაზარზე ინოვაციის ფუნქციონირების ხანგრძლიობა განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლიობით.

ფინანსური ინოვაცია არის დროის ფუნქცია

$$N=f(t)$$

სადაც N – ფინანსური ინოვაციაა; t-დრო, ე.ი ფინანსური ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლიობა.

ამრიგად, ცნება ''საფინანსო ინოვაცია'' მოქმედებს მხოლოდ დროის ფარგლებში. ფინანსურ ინოვაციად არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსური პროდუქტი ან ოპერაცია, რომელიც ახალია მხოლოდ ამ მოცემული ფინანსური დაწესებულებისათვის.

## ლიტერატურა


1. Балабанов И.Т. «Иновационный менеджмент», Санкт-Петервург, 2000
2. Шумпетер И. «Теория экономического развития». М. 1992
3. ლ. სეხნიაიძე, გ. მაჭარაშვილი ''ბიზნესის მართვა და ორგანიზაციული სტრუქტურები'', საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2011
4. ვ.კეკელია,ლ. სეხნიაიძე ''ინოვაციური საქმიანობის ძირითადი ასპექტები''. სტუ, საერთაშორისო კონფერენცია, 2007.



*Vladimer Sekhniadze*
*Gogi Macharashvili*
*Ketevan Kveselava*


## THE PROCESS OF MANAGEMENT AND ITS SYSTEM

### SUMMARY


Management is a science based upon the law, which describes its own specific tasks and functions. The use of marketing in management as its one of the main functions means the second oriented position – " Key Orientation".

One of the main directions of business and economics development is the active use of innovative policy. For this reason entrepreneurs are trying to do their best to find such innovations that could help them to increase the level of their monopoly. They try to convince their competitors and consumers about their own business production profitable policy.

The financial innovation can be used in the additional innovative system, which already works in financial sphere. It can be a product or even a kind of operation and must be implemented in the financial market or the organization itself. The financial innovation depends on time, which means, it has its own cycle of life and represents a market commodity. The level of demand for a new product or procedure determines its rate of use and the quality of its novelty.

# მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზები

*გიორგი ნანუაშვილი,*
*ა(ს)იპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

ცნობილი ფაქტორია, რომ აღმართს დაღმართი მოსდევს, ასავალს – დასავალი, დაბადებას – გარდაცვალება და ა.შ. ცხოვრებაშიც ხშირად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სოციალურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და პოლიტიკურ განვითარებასა და აღმასვლას ძალიან ხშირად მოსდევს მისი საწინააღმდეგო ქმედება, რომელიც კრიზისის სახით არის ცნობილი.

კრიზისი ბერძნული სიტყვაა (krisis-შემობრუნების პუნქტი). ეკონომიკური კუთხით ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას, რომელიც წარმოების მნიშვნელოვან დაცემაში, არსებული საწარმოო კავშირების დარღვევაში, საწარმოთა გაკოტრებაში, უმუშევრობის ზრდასა და მოსახლეობის საცხოვრებელი დონის, მათი კეთილდღეობის შემცირებაში გამოიხატება, ხოლო ფინანსური კრიზისი კი ქვეყნის ფინანსური სისტემის ღრმა კრიზისში ვლინდება, რომელსაც თან ახლავს ინფლაცია, გადაუხდელობა, სავალუტო და ფასიანი ქაღალდების კურსის მერყეობა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში კრიზისი შეიძლება ითქვას ახალი არ არის და იგი შორეულ წარსულში ირებს ფესვებს. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ ფილიპ კეის აზრით პირველი ეკონომიკური კრიზისი გაჩაღდა ჯერ კიდევ რომის იმპერიაში ჩვ.წ.ა. 88 წელს. მაგრამ იგი ჩვენი აზრით არ შეიძლება მივიჩნიოთ პირველ ეკონომიკურ კრიზისად. ე.ი. კრიზისები შეიძლბა უფრო შორეულ წარსულშიხ ვეძიოთ, როდესაც ეკონომიკა სხვადასხვა მიზეზთა გამო განიცდიდა ნგრევით პროცესებს, დაქვეითებასა და კატასტროფულ ვარდნას ბუნებრივი თუ პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად, რაც ისტორიის ადრეულ ეტაპზე დიდ გავლენას ახდენდა ისედაც სუსტად განვითარებულ ეკონომიკაზე.

ეკონომიკური კრიზისისადმი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ინგლისში მე-18 საუკუნის ბოლოს გაჩაღებულმა ე.წ. ჭარბწარმოების კრიზისმა.

იმისათვის, რომ ეკონომიკური კრიზისის არსს, საჭიროა შევისწავლოთ კრიზისის ტიპოლოგია, მოვახდინოთ მათი ანატომიური კლასიფიკაცია. ასეთმა მიდგომამ საშუალება უნდა მოგვცეს ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ სხვადასხვა პერიოდში არსებული კრიზისები, გავიგოთ მათ შორის მსგავსება და განსხვავება, შევისწავლოთ ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათზე. ამით კი ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ კრიზისების წანამძღვრები მიზეზები, მიმდინარეობის ხასიათი ანუ სიმწვავე, ხანგრძლიობა, მასშტაბები და სხვა. კრიზისის მიზეზები, როგორც აკადემიკოსი გ. მალაშხია მიუთითებს შეიძლება იყოს გარე (ეგზოგენური) და შინაგანი (ენდოგენური). პირველს იწვევს ფორსმაჟორული სიტუაციები, ბუნებრივი მოვლენები, ეპიდემიები, ხანძრები, გვალვები, მიწისძვრები, ომები და სხვა. მეორეს კი მიეკუთვნება ეკონომიკური წინააღმდეგობებით გამოწვეული კრიზისები. ისინი ერთგვარად შეიძლება ითქვას, “მოწესრიგებული”, პერიოდული და პროგნოზირებადიც კია.

მეცნიერ-ეკონომისტები იკვლევენ რა კრიზისების მასშტაბებს და მიზეზებს, ფიქრობენ და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ დიდ და პატარა ომებს ქვეყნებისათვის არასახარბიელო მდგომარეობა მოაქვთ. მაგ: შუა საუკუნეებში ცნობილმა ასწლიანმა ომმა (1337-1453 წწ.) დიდი ზიანი მიაყენა ეკონომიკური თვალსაზრისით არა მარტო ორ მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს, არამედ მთელ ევროპას. იგივე შეიძლება ითქვას ოცდაათწლიან ევროპულ ომზე (1618-1648 წ.წ.). სავალალო იყო ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგებიც. აქვე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ კაცობრიობის ისტორიაში არანაკლები ეკონომიკური დაქვეითებები და დეპრესიები გამოიწვია რევოლუციებმა და სამოქალაქო ომებმა. ეს ეხება ბურჟუაზიულ რევოლუციებს ინგლისში, საფრანგეთში, სამოქალაქო ომს აშშ-ში, ჩილეში, კულტურულ რევოლუციას ჩინეთში, სოციალისტურ რევოლუციას რუსეთსა და ჩინეთში.

თუ გადავხედავთ მსოფლიო კრიზისების წარმოშობას დავწმუნდებით, რომ მათი უდიდესი ნაწილი წარმოიშვა აშშ-ში და მთლიანობაში კი ამერიკის კონტინენტზე, საიდანაც იგი ვრცელდებოდა ჯერ ევროპაში და შემდეგ მთელს მსოფლიოში. (გავიხსენოთ 1857, 1871, 1880-1896, 1920-1923, 1929-1933, 1957-1960, 1973-1978 წლების კრიზისი), დღევანდელი კრიზისის სამშობლოდაც აშშ ითვლება.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი რომ გაღატაკებითა და გაკოტრებით ემუქრება არა მარტო კერძო სტრუქტურებს, არამედ მთელ სახელმწიფოებსაც დღეისათვის ცხადზე უცხადესია. წინ გვიდევს საბერძნეთის მაგალითი, რომლის ბედის გაზიარებასთან სულ ახლოს არიან ესპანეთი და იტალია. ამიტომ, აღნიშნული კრიზისი რა შედეგებს მოუტანს მსიოფლიოს ზუსტად არავინ უწყის, მაგრამ ფაქტია და ამას ყველა აღიარებს, რომ იგი ამერიკიდან დაიწყო. ამიტომაც მიზეზი სწორედ შეერთებულ შტატებსა და „მსოფლიოს ვალუტად” ქცეულ დოლარში უნდა ვეძიოთ.

იმისათვის, რომ გავიგოთ რა ხდება დღეს ჩვენს თავს ისტორიას უნდა ჩავუღრმავდეთ. შეერთებული შტატების კონსტიტუციით, ფულის მოჭრა, მისი ფასეულობის დადგენა, ფასიანი ქაღალდების გაყალბებისათვის სასჯელის დაწესება ამერიკის კონგრესის პრეროგატივას წარმოადგენს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ეს კანონი ფაქტიურად არ მოქმედებს, რადგანაც დოლარის ბედს დღეს უმსხვილესი ბანკები განაგებენ.

მართალია აშშ-ში არსებობს ცენტრალური ბანკი – "ფედერალური სარეზერვო სისტემა" (ფსს), რომელიც დაარსდა 1913 წელს და იგი აღიქმება "წამყვანი" სახელმწიფოების წრეში შესვლის სიმბოლოდ. ამის მიუხედავად, ამერიკის კანონმდებლობით ცენტრალური ბანკი ნომინალურად შეიძლება კერძო პირების საკუთრებაში ან როგორც ამერიკაშია მიღებული კერძო ბანკების ერთობლიობის ხელში იმყოფებოდეს. ცენტრალური ბანკი ფაქტიურად სახელმწიფო სტრუქტურას წარმოადგენს და მას სახელმწიფოს მიერ დანიშ ული მოხელეები მართავენ. თუკი ცენტრალური ბანკი კერძო სტრუქტურას წარმოადგენს, როგორც ოდესღაც ინგლისის ბანკი, მაშინ მას შესაძლებლობა ექნება ინფლაციური პროცესები წარმოშვას არა მარტო სახელმწიფოს დაკვეთით, არამედ საკუთარი მოგების გადიდების მიზნითაც. ამჟამად, ცენტრალურ ბანკს სწორედ 12 კერძო უმსხვილესი ბანკისაგან შემდგარი სტრუქტურა განაგებს და ზემოთ თქმული ჩვენი მოსაზრებაც სწორედ აქედან გამომდინარეობს.

რას უნდა ნიშნავდეს ის გარემოება, როცა ასეთი მძლავრი ქვეყნის მთავარი და ძირითადი ბანკი კერძო ბანკების ხელშია?

საქმე ის არის, რომ საბანკო სისტემაში ცენტრალურ ბანკ გამონაკლისის სახით პრიორიტეტი ენიჭება იმ სახით, რომ სახელმწიფო მას ბანკნოტების ემისიაზე (გამოშვებაზე) ნებართვას აძლევს. სწორედ ეს გარემოება ცენტრალურ ბანკს დანარჩენ კომერციულ ბანკებზე ზემოქმედებისა და დაქვემდებარების ძალაუფლებასაც აძლევს. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1790 წელს, როდესაც აშშ-ში პირველად დაიწყო დისკუსიები კერძო ცენტრალური ბანკის შექმნის შესახებ ამშელ როდშილდმა წარმოთქვა ისტორიული ფრაზა: "მომეცით ქვეყნის ფულის გამოშვებისა და მისი კონტროლის უფლება და ჩემთვის სულ ერთი იქნება ვინ გამოსცემს კანონებს". ხოლო ამერიკის "თავისუფლების დეკლარაციის" ერთ-ერთი ავტორი თომას ჯეფერსონი მიუთითებდა, რომ "თუ ამერიკელი ხალხი ოდესმე დაუთმობს ბანკებს საკუთარი ვალუტის ემისიის უფლებას, მაშინ ჯერ ინფლაციით, შემდეგ კი დეფლაციით ბანკები და კორპორაციები ხალხს გააღატაკებენ... რადგანაც საბანკო ინსტიტუტები უფრო საშიშები არიან თავისუფლებისათვის, ვიდრე რეგულარული არმიები".

ამშელ როტშილდის ოცნება 120 წლის შემდეგ აღსრულდა. 1910 წელს ატლანტის ოკეანის პატარა კუნძულ ჯეკილზე საზოგადოების თვალისგან მოცილებით შეიკრიბნენ მსოფლიოს უმსხვილესი და უმდიდრესი ფინანსური კლანების წარმომადგენლები: როტშილდები, როკფელერები, გოლდმანები, ზაგსები, კუნები, მორგანები და სხვები. შეხვერდას ხელმძღვანელობდა ოპენჰაიმების ცნობილი კლანის წარმომადგენელი გერმანელი ბანკირი პოლ ვარბურგი. აღნიშნულ სერობაში მონაწილეობდა სენატორი ოლდრიჩი ჯონ როკფელერის სიძე. სწორედ აქ გადაწყდა ფულის მოჭრის კერძო ორგანიზაციის დაარსება, რომელსაც "ფედერალური სარეზერვო სისტემა" დაარქვეს. ბევრი წინააღმდეგობების მიუხედავად ეს პროექტი დამტკიცდა და მიღებული იქნა 1913 წლის 23 დეკემბერს.

ამჟამად აშშ-ში არსებობს "ფედერალური სარეზერვო სისტემა", რომელიც კერძო ბანკების მიერ კოტროლდება. აშშ-ს კანონით ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილებები გადასინჯვას არ ექვემდებარება და მათი ამოქმედებისათვის არც პრეზიდენტის და არც სხვა რომელიმე სტრუქტურის თანხმობა არ სჭირდება. ამასთან დაკავშირებით კონგრესმენმა ლუი მაკფედენმა აღნიშნა, რომ "ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შექმნა ზესახელმწიფო, რომელსაც საერთაშორისო ბანკირები და მრეწველები მართავენ იმისათვის, რომ საკუთარი მოგებისათვის დაიმონონ მსოფლიო".

ეკონომიკური ექსპერტები დღევანდელ გლობალურ კრიზისს 1929 წლის "უდიდეს ამერიკულ დეპრესიას" ადარებენ. რა მოხდა მაშინ ? მაშინაც ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილებით განხორციელდა უზარმაზარი საკრედიტო ემისია და ამით გაჯერებული იქნა საფონდო ბაზარი. ამ "ფინანსური ოპერაციის" შედეგად, რომელიც ჯერ კიდევ 1927 წლიდან დაიწყო, ყველა კომპანიის აქციების ფასი საკმაოდ გაიზარდა. ამერიკელთა უდიდესი ნაწილი ამ აქციათა მფლობელი გახდა.

1929 წლის აპრილში ფედერალური სარეზერვო სისტემის პირველმა მმართველმა პოლ ვარბურგმა ოლიგარქებს საიდუმლო შეტყობინება გაუგზავნა მოსალოდნელი ფინანსური კრიზისის შესახებ. სწორედ ამ შეტყობინების გამო ამერიკის უმსხვილესმა ბანკებმა თავიანთი ფული გამოიტანეს საფონდო ბირჟიდან და ოქროში დააბანდეს. ამ დრომდე კომერციულ ბანკებს უფლება ქონდათ ანგარიშების მიხედვით ვალდებულებები დაეფარათ არა მარტო ოქროთი, არამედ ქაღალდის ხელწერებით – ცენტრალური ბანკის ბანკნოტებით. ოქრო, რომელიც ყოველდღიური მოხმარებიდან გამოვიდა (ოქროს სტანდარტის გაუქმების გამო) ცენტრალური ბანკის საცავებში იგი რეზერვის სახით განთავსდა. ახლა კი სიტუაცია შეიცვალა, 1929 წლის 24 ოქტომბერს ბანკებმა უარი თქვეს კრედიტების გაცემაზე. 28 და 29 ოქტომბერს კი საფონდო ბირჟამ კრახი განიცადა. ყოველივე აღნიშნულმა კი გამოიწვია ამერიკელთა მთელი

დანაზოგის გაუფასურება, ჩამოიშალა ფინანსური პირამიდები. ამერიკის უმდიდრესმა კლანებმა "ჩალის ფასად" შეიძინეს ყველაფერი რის შესყიდვაც კი შეიძლებოდა და ზღაპრულად გამდიდრდნენ.

ფრანკლინ რუზველტის პრეზიდენტობის პერიოდში კიდევ უფრო გამყარდა ფედერალური სარეზერვო სისტემის მდგომარეობა. მან მიმოქცევიდან ამოიღო ქაღალდის დოლარის მთავარი კონკურენტი – ოქრო. რუზველტმა 1933 წლის 5 აპრილს გასცა განკარგულებება, რომელიც ყველა მოქალაქეს აიძულებდა თავიანთი ოქროს მარაგი ჩაებარებინათ ქვეყნის ფედერალურ სარეზერვო ბანკში. ოქროს ჩაუბარებლობა და დამალვა ისჯებოდა კანონით. ეს პროცესი გაგრძელდა 1974 წლის 31 დეკემბრამდე. ერთადერთი ჯონ კენედი იყო, რომელიც ეცადა გარკვეულ ჩარჩოებში მოექცია ფედერალური სარეზერვო სისტემა. მან გადაწყვიტა ამერიკის ხელისუფლებისათვის დაებრუნებინა ფულის ბეჭდვის უფლება, მაგრამ ეს იდეა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დოლლარს როგორც "მსოფლიოს ფულს " საკმაოდ მაღალი რანგის დამცველები ყავს.

მიუხედავად იმისა, რომუდიდესი დეპრესია აშშ-ში დაიწყო იგი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საყოველთაო ეკონომიკურ დეპრესიად გადაიქცა. მაგ: ინგლისის ეკონომიკამ იგი შეიგრძნო უკვე 1930 წლის დასაწყისიდან. ამ პერიოდში ინგლისმა უარი თქვა ოქროს სტანდარტზე და მოახდინა ეროვნული ვალუტის დევალვაცია. ამით ინგლისურ ექსპორტზე ფასების შემცირება იქნა მიღწეული და ბრიტანული საქონელი უფრო კონკურენტუნარიანი გახდა, ვიდრე ამერუკული. შედარებით ნაკლებ და ხანმოკლე დაცემას განიცდიდა ამ პერიოდისათვის საფრანგეთის ეკონომიკა. მაგრამ საფრანგეთის ეკონომიკის აღდგენა 1932-1933 წლებში ხანგრძლივი არ ყოფილა. საფრანგეთმა კრიზისის პირობებში კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში: ალჟირში, მაროკოში, ტუნისში, მადაგასკარში, მონაკოში, კამერუნში პოზიციების შენარჩუნების მიზნით შექმნა თავისი სავალუტო ბლოკე – ფრანგული ფრანკის ზონა.

რაც შეეხება გერმანიას, აქ დიდი დეპრესია დაიწყო 1929 წლიდან. ამ დროს მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა. ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენის მიზნით მიღებულ იქნა ე.წ. "იუნგის გეგმა", რომელმაც "დაუესის გეგმა" შეცვალა.

ზოგიერთი ანალიტიკოსები მაშინ დამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ 1930-იანი წლების ფულად-საკრედიტო და ეკონომიკური კონფლიქტები იყო მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების ძირითადი მიზეზი, რასაც ჩვენს ვიზიარებთ.

გასული საუკუნის 80-90-იან წლების ბირჟებზე უჩინარი ინფლაცია გავრცელდა მრავალ ქვეყანაში. სწორედ ამასთან არის დაკავშირებული ბოლო წლების ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები. კრიზისმა დაიწყო მძვინვარება არამარტო ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში, არამედ აზიის ქვეყნებშიც. 1997 წლის ივლის-აგვისტოში კრიზისმა მოიცვა: ტაილანდი, ფილიპინები, მალაიზია, ინდონეზია, სინგაპური, კორეა და სხვა. 1998 წლის ივნისიდან კრიზისი რუსეთშიც დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება. რუსეთის ხელისუფლება აღნიშნავს, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი მნიშვნელოვანწილად იმანაც განაპირობა, რომ არ არსებობს მსოფლიო სარეზერვო ვალუტების გამართული ფუნქციონირების სქემა და საჭიროა ასეთი სქემის შემუშავება. სწორედ ამ მიზნით 2012 წლის ივლისში შედგა ევროკავშირის ქვეყნების ლიდერთა სამიტი, სადაც განისაზღვრა ევრობანკების კონტროლის პარამეტრები. საფონდო ბაზრისათვის გამოიყო 122 მილიარდი ევრო. დოკუმენტი ავალდებულებს მონაწილე ქვეყნებს დაიცვან ფინანსური დისციპლინა, რათა უმოკლეს ვადაში დაძლეულ იქნას კრიზისი.

რუსეთის აზრით საჭიროა ახალი ზენაციონალური ვალუტის შექმნა, რომელიც მსოფლიოს ააცილებს ახალ ფინანსურ რყევებს. ეს კი პირდაპირ მიანიშნებს ამერიკული დოლარის წინააღმდეგ გალაშქრებას. კრემლს გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის თანადგომის იმედი აქვს. იმავე პოზიციას იზიარებს ჩინეთის ხელისუფლებაც. პეკინმა პირდაპირ განაცხადა, რომ დროა მსოფლიო თანდათანობით გამოემშვიდობოს დოლლარს და ამერიკული ვალუტა ახალი საერთაშორისო ვალუტით ჩაანაცვლოს.

და ბოლოს, გამორიცხული არ არის, რომ ამჟამინდელი გლობალური კარიზისი, რომელიც ნამდვილად ამერიკაში დაიწყო, საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციების მორიგი საიდუმლო გეგმის ნაწილი იყოს. მიზანი კი ისევ ევროპის დოლარის მარწუხებში მოქცევა და ჩინეთის სწრაფი აღმავლობის შეჩერება და დაუძლურება იყოს.

## ლიტერატურა:


1. გ. ცაავა, შ.გავაშელი, თ. ცაავა – მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიო სავალუტო სისტემა, თბ., 2009;
2. მ. კაპანაძე – ფინანსური კრიზისი და ეროვნული პირობები, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა" 2009, №3;
3. გ. მალაშხია – ეკონომიკაში ქრონიკული კრიზისების ანატომიის შესახებ, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა" 2009, №4;
4. გ. ნანუაშვილი – მსოფლიო კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" 2009, №4;
5. ნ. სილაგაძე – აშშ-ის საბანკო სისტემის ინსტიტუციონალური სტრუქტურა, ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება" 2009, №1;

# საერთაშორისო ბიზნესის კვლევის აქტუალური საკითხები

*შოთა ვეშაპიძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
*ნუგზარ ბაბუაძე, სტუ-ს დოქტორანტი*

წინამდებარე სტატიის მიზანია განვიხილოთ საერთაშორისო ბიზნესის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიური პრობლემები. ამისათვის კი მიზანშეწონილად მივაჩნია განვიხილოთ ისეთი საკითხები, როგორიცაა საერთაშორისო ბიზნესის პრობლემატიკა თანამედროვე პირობებში, ამ პრობლემატიკის კვლევის მეცნიერული მეტოდოლოგა, მისი წინაპირობები, გამოვყოთ საერთაშორისო ბიზნესის აქტუალური კვლევითი თემატიკა, დაბოლოს, ვაჩვენოთ საერთაშორისო ბიზნესის პრობლემატიკის კვლევის გამოყენებითი ხასიათი.

XX ს-ის ბოლოსა და XXI ს-ის დასაწყისში გამოიკვეთა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების რიგი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებანი და ტენდენციები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს და საერთაშორისო ბიზნესის განვითარებასაც განსაზღვრავს. XXI საუკუნეში ბევრ კომპანიას უწევს გლობალურ ორგანიზაციად გარდაქმნა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ თავიანთი ოპერაციები არ უნდა შემოფარგლონ თავიანთი ქვეყნით, არამედ განავრცონ ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ძირითადი თვალშისაცემი შესაძლებლობა, რომელიც გლობალურ სივრცეში გასვლას ახლავს თან — არის საქონლისა და მომსახურების გასაღება ახალ სივრცეში.

დღეისათვის, ერთ დროს არსებული ადგილობრივი (ეროვნული) ბაზრები ერთიანდებიან და ერთ უზარმაზარ საბაზრო სივრცეს ქმნიან, რაც იძლევა იგივე, ძირითადი პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობას სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ მომხმარებელზე. სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებელთა გემოვნება თანდათან ერთნაირი ხდება.

საერთაშორისო ბიზნესის გარემო უფრო ღია, ცოცხალი და კონკურენტუნარიანი გახდა. სამუშაოს და გლობალური გარემოს სწრაფი და მნიშვნელოვანი ცვლილებები საერთაშორისო კომპანიებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და გლობალური პერსპექტივების დასახვის ახალ გამოწვევებს სთავაზობს.

XXI საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ბიზნესი წარმოგვიდგება როგორც პრაქტიკული კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ყველასათვის, ვისაც სურს მიაღწიოს წარმატებას სწრაფად გლობალიზირებად სამყაროში. ეს ეხება ყველას — სტუდენტებს, ასპირანტებს, მასწავლებლებსა და ჩინოვნიკებს, ბიზნესმენებსა და ბანკირებს, მეცნიერებსა და ტრეიდერებს. ამ საგნის შესწავლა საშუალებას მოგვცემს შევიცნოთ ახალი კონცეფციები და საკმაოდ რთული ეკონომიკური კონსტრუქციები, რომლებიც საფუძვლად უდევს საერთაშორისო ბიზნესს. ფუნდამენტურ ეკონომიკურ თეორიასთან ერთად იგი საშუალებას მოგვცემს, გავიაზროთ სრულიად ახალი მოვლენები და იდეები, რომელთა შესწავლა ხელს შეუწყობს თანამედროვე გლობალურ ბიზნესზე ჩვენი წარმოდგენების გაფართოებასა და სრულყოფას და მის პრაქტიკულ სარგებლიანობას.

საერთაშორისო ბიზნესის ურთულეს საკითხებში გარკვევისათვის საჭიროა ვიცოდეთ განვითარების ზოგადი თეორიის საფუძვლები, რომელსაც მისმა შემქმნელმა, XIX საუკუნის უდიდესმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა ჰეგელმა უწოდა დიალექტიკა, რომელმაც გამოყო დიალექტიკის სამი მთავარი კანონი:

**დიალექტიკის წამყვანი კანონი** — „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი" — განვითარებას ხსნის ორი საპირისპირო, მაგრამ ურთიერთშემავსებელი ძალის ბრძოლის არსებობით; **დიალექტიკის მეორე კანონი** — „რაოდენობრიობის გადასვლა თვისებრიობაში" — ბევრად მარტივია გასაგებად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროებში. უფრო რთულია მათში გარკვევა საზოგადოებათმცოდნეობაში. ეს კანონი უბრალოდ გვეუბნება, რომ ყოველი თვისებრიობა, დაფიქსირებული ჩვენი გრძნობათა ორგანობის მიერ, რომელმაც ასახვა ჰპოვა ენაში, განმტკიცებულ სტატიკურ ცნებებში, იცვლება განსაზღვრული რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. **დიალექტიკის მესამე კანონი,** რომელიც ლამაზად და გაუგებრად წოდებულია *„უარყოფის უარყოფად"*, ლაპარაკობს განვითარების ყველა პროცესის განსაზღვრულ განმეორებაზე. ეს, ვფიქრობთ, კაცობრიობის მიერ მიღწეული ყველაზე ღრმა განზოგადებაა სისტემის განვითარების პროცესების შესწავლისას. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, კანონი „უარყოფის უარყოფა" განვითარების ყველა დინამიკური პროცესის ტალღისებური ქანქარის მსგავსი ხასიათის დეკლამირებას ახდენს.

დღეს მეცნიერები ყველაზე მისაღებად მეთო-

დოლოგიურ პლურალიზმს მიიჩნევენ. ამიტომ არ შეიძლება ერთი ხელის აღებით რომელიმე მეთოდისათვის უპირატესობის მინიჭება. უნდა გამოვიყენოთ ყველა ის მეთოდი, რომელიც მოპოვებული მასალების ანალიზს ხელს შეუწყობს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **შედარებითი ანალიზის მეთოდი, მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი, გრაფიკული გამოსახვის მეთოდი, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი** და სხვა. საერთაშორისო ბიზნესის კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოვლენებისა და პროცესებისადმი სისტემურ მიდგომას. მას, ჩვეულებრივ, ვიყენებთ შედარებით რთული და ეფექტიანი სისტემების ანალიზის, შეცნობისა და სინთეზისათვის.

სხვადასხვა პრობლემის მიმართ სისტემური, მთლიანობითი მიდგომა ეფუძნება ფაქტორთა არსების, როლის, მნიშვნელობისა და ურთიერთდამოკიდებულების გააზრებას მათს ერთიანობაში, ანუ კომპლექსში. ეს შესაძლებლობას გვაძლევს კომპლექსურად და ყოველმხრივ შევისწავლოთ პრობლემა, გამოვყოთ პრიორიტეტები და მოვახდინოთ სისტემის ძირითადი პარამეტრების ოპტიმიზაცია.

დღეს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სისტემური კრიზისების ხანაში, სისტემური მიდგომის მნიშვნელობა იზრდება, ვინაიდან ამ კრიზისებს შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ მათთან ბრძოლის სისტემური მეთოდები. ეს მიდგომა არის საშუალება იმისა, რომ ამოვიცნოთ სისტემურ წინააღმდეგობათა ხასიათი, გამოვავლინოთ ურთიერთკავშირების სირთულე და შევიმუშავოთ პრობლემების გადაწყვეტის სტრატეგია.

ქვეყნის ეროვნული ინტერესების მიმართ სისტემური მიდგომა ქვეყნის აღორძინებისა და მისი ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა. ამ მიდგომის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გლობალური პრობლემების შესწავლისას. ამ პრობლემებს (ეკოლოგიურს, სოციალურს, ეკონომიკურს, სამხედროს, ტექნოგენურს, უშიშროებისას) და მათს სისტემურ გააზრებას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. ისინი იმდენად კომპლექსური ხასიათისაა, რომ მათი გადაწყვეტის მცდელობა დადებით შედეგს არ მოგვცემს, თუ ერთდროულად არ მოვახდინეთ ზემოქმედება ამ სისტემის მრავალ პარამეტრზე.

ვიხილავთ რა საერთაშორისო ბიზნესის კვლევაძიების მეთოდებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საგნის შესწავლაც, ისევე როგორც ყველა სხვა მეცნიერებისა, ემყარება *ლოგიკას*, რომელიც წარმოგვიდგება სხვა მეცნიერებათა საფუძვლად. სინამდვილის შემეცნების პროცესში იყენებენ აგრეთვე დედუქციურ და ინდუქციურ დასკვნებს.

საერთაშორისო ბიზნესის მეცნიერული კვლევის მთავარი წინაპირობები გამომდინარეობს მსოფლიო მეურნეობის განვითარების იმ უმნიშვნელოვანესი ტენდენციების შესწავლა-გათავისებიდან, რომელიც თანამედროვე გლობალური სამყაროსთვის არის დამახასიათებელი. სწორედ ასეთი მიდგომა უწყობს ხელს საერთაშორისო ბიზნესის აქტუალური საკვლევი პრობლემატიკის ჩამოყალიბებას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი. მასში იგულისხმება ეროვნული ეკონომიკების დაახლოება და ურთიერთშეღწევა (ურთიერთგადაჯაჭვა) მათი კვლავწარმოების ყველა სტადიაზე.

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი მიმდინარეობს საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაციის თანხლებით მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში, ე.ი. საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაცია არის მსოფლიო მეურნეობის განვითარების ერთ- ერთი ტენდენცია. იგი ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის (კარგახსნილობის) ხარისხის ამაღლებას გარე სამყაროს მიმართ, როგორც ეროვნული თვალსაზრისით, ასევე მსოფლიომეურნეობრივი კავშირების უცხოელი მონაწილეებისათვის. მცირდება ბაჟები საქონლის საერთაშორისო მოძრაობის გზაზე, იქმნება ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო (კლიმატი) უცხოური ინვესტიციების მიზიდვისათვის, რბილდება ანუ ნაკლებად მკაცრი ხდება სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკა.

დაწყებული XX ს-ის 50-იანი წლებიდან მსოფლიო მეურნეობაში ნათლად გამოიკვეთა მისი განვითარების ისეთი ტენდენცია, როგორიცაა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია. ეს არის ქვეყნების სამეურნეო- პოლიტიკური გაერთიანების პროცესი, სიღრმისეული მყარი კავშირების, შრომის საერთაშორისო დანაწილების, მათი კვლავწარმოებითი სტრუქტურების ურთიერთზემოქმედების საფუძველზე, სხვადასხვა დონეებზე და სხვადასხვა ფორმებით. დღეისათვის ამ პროცესებმა მოიცვა დედამიწის ყველა კონტინენტი. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ინტეგრაციული გაერთიანებანი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისა არის შემდეგი: ევროკავშირი, რომელიც აერთიანებს ევროპის 25 ქვეყანას; თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოეთ ამერიკული ზონა, რომელშიც შედის კანადა, აშშ, მექსიკა; სამხრეთ კონუსის ქვეყნების საერთაშორისო ბაზარი,

რომელიც აერთიანებს არგენტინას, ბრაზილიას, პარაგვაის, ურუგვაის; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრაციული პროცესების გავლენა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე მსოფლიო ეკონომიკაში წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ერთი მხრივ, ეს ინტეგრაციული პროცესები საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს აღრმავებენ ინტეგრაციული გაერთიანებების შიგნით, მეორე მხრივ კი – აფერხებს გაერთიანების წევრი ქვეყნების კავშირებს მესამე ქვეყნებთან, ე. ი. შეიძლება ვთქვათ, რომ ადგილი აქვს მსოფლიო მეურნეობის რეგიონალიზაციას.

საერთაშორისო ბიზნესის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა აგრეთვე კაპიტალისა და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია. იგი ნიშნავს ცალკეული ეროვნული კომპანიების და აგრეთვე იმ კომპანიების მიერ, რომლებიც აერთიანებენ რამდენიმე ქვეყნის სამეურნეო ერთეულთა წარმომადგენლებს თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ტრანსეროვნული წარმოების მოწყობას. ტრანსნაციონალიზაციის პროცესი XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო და მისმა შემდგომმა განვითარებამ გამოიწვია ზეეროვნული საერთაშორისო წარმოების შექმნა, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა საერთაშორისო კორპორაციებია.

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ, ეკონომიკათა ურთიერთშეღწევამ და ურთიერთგადაჯაჭვამ, განაპირობა სამეურნეო ცხოვრების წესების უნიფიკაციის ტენდენციის წარმოშობა და მსოფლიო ეკონომიკაში მსოფლიომეურნეობრივი კავშირების სახელმწიფოთაშორისი რეგულირების შექმნის ტენდენცია. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო, საანგარიშსწორებო, საკრედიტო, სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებას. მთავარ როლს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაში ასრულებენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი; მსოფლიო ბანკი; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაცია. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია რთული, მრავალასპექტიანი პრობლემაა. და მაინც, გლობალიზაციის მრავალ განზომილებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას:

– მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ზოგადპლანეტარულ მასშტაბს, როგორც ეროვნულ ეკონომიკათა მზარდი ურთიერთმოქმედების ლოგიკურ შედეგს, როცა ამ ურთიერთმოქმედებამ შეიძინა ტრანსნაციონალიზაციის, ე.ი. მათი ურთიერთშეღწევისა და გადაჭდობის სახე.

– ეკონომიკური ცხოვრების უნივერსალიზაციასა და ჰომოგენიზაციას, რომელიც ცოდნის, ადამიანთა, საქონლის, კულტურულ ფასეულობათა და სხვათა გაცვლის ზეგავლენით სულ უფრო ელტვის ერთიან სტრუქტურებს, პრინციპებსა და ღირებულებებს.

აღნიშნულმა ტენდენციებმა გააღრმავა გლობალიზაციის ზეგავლენა საერთაშორისო ბიზნესზე, რაც 1990-იანი წლებიდან გახდა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების განმსაზღვრელი ნიშანია. გლობალიზაციის ერთ-ერთი მახასიათებელია არის ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომელსაც ახლავს, როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური შედეგები. გლობალიზაცია ეს არის წინააღმდეგობრივი პროცესი. ქვეყნების ერთი ჯგუფისათვის, გარკვეულ პერიოდში მას მოაქვს კონკურენციული უპირატესობა, მეორე კი ხასიათდება ხალხის კეთილდღეობის დაცემით.

ჩვენი აზრით, სწორედ ზემოაღნიშნული ტენდენციების ახსნას, რომლითაც უნდა მიეძღვნას საერთაშორისო ბიზნესის მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის შედეგადაც შესძლებელი იქნება არა მარტო ავხსნან თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესის რეალიები, არამედ შევიმუშავოთ რეკომენდაციები იმის შესახებ, როგორ შეიძლება მოვახდინოთ ზეგავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე.

საერთაშორისო ბიზნესის, რომელიც გულისხმობს საქმიანი ოპერაციის განხორციელებას ერთზე მეტი ქვეყნის პარტნიორებს შორის, თანამედროვე პრობლემატიკის შესწავლა მოითხოვს ყურადღების გამახვილებას ისეთ ახალ პრობლემატიკაზე, როგორიცაა:

- სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც ჩართულნი არიან საერთაშორისო ბიზნესში შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა ვალუტები, რაც იწვევს, სულ მცირე, ერთი მხარის მიერ ვალუტის კონვენტირებას;

- არსებობს სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავების ალბათობა, რაც ერთ ან მეტ მხარეს აიძულებს კორექტივები შეიტანოს თავის ქმედებებში, რომ ისინი ადგილობრივ კანონმდებლობას შეუსაბამოს. ზოგჯერ სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო ნორმები შეუთავსებელი (არაშეთავსებადი) აღმოჩნდეს, რაც საერთაშორისო მენეჯერების ყველაზე რთულად გადასაწყვეტი პრობლემაა;

- სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის აგრეთვე არსებობს განსხვავებანი, რომელიც თითოეულ მხარეს აიძულებს თავისი ქცევის სტრატეგია ისეთნაირად ჩამოაყალიბოს, რომ იგი შესაბამისობაში მოიყვანოს სხვა მხარის მოლოდინებთან.

- თითოეულ ქვეყანას შესაძლებელი განსხვავებუ-

ლი რაოდენობისა და თვისებების რესურსები ჰქონდეს ბოძებული. ზოგს ბუნებრივი რესურსების დიდი მარაგები აქვს, მაგრამ არ ჰყავს კვალიფიციური სამუშაო ძალა, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყანას ეს რესურსები საკმარისი აქვს, მაგრამ ბუნებრივი რესურსების უკმარისობას განიცდის. ამგვარად, პროდუქციის წარმოების ხერხები და გამოშვებული პროდუქციის ტიპები ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე შეიძლება განსხვავებული იყოს.

საკვლევი პრობლემების თემატიკა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამით არ ამოიწურება. თუმცა, მასში ასახულია ერთობ მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვიმოქმედოთ პრინციპით: „იაზროვნე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად", რაც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, იმ პრიორიტეტების წარმოჩენას, რომლებიც მოცემულ ეტაპზე საქართველოსთვის არის მნიშვნელოვანი. ეს კი საშუალებას მოგვცემს საერთაშორისო ბიზნესის პრობლემატიკის კვლევა გავხადოთ პრაგმატული და შედეგებზე ორიენტირებული.

განსაკუთრებული ყურადღებას იპყრობს ის, თუ როგორ მოვძებნოთ საერთაშორისო ბიზნესის სისტემაში ჩვენი ქვეყნის ადგილი ანუ როგორ უნდა დაიკავოს საქართველომ თავისი ნიში საერთაშორისო გლობალურ ბაზრებზე, რაც განპირობებულია მდგრადი განვითარებისა და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანობის მიღწევის რეალური გზების გამონახვით.

## ლიტერატურა


1. ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე.,გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა, თბილისი 2008.
2. შენგელია თ. გლობალური ბიზნესი, თბილისი 2011.
3. Ricky W. Griffin, Mike W. Pustay , International Business, 2011.


*Veshapidze Sh., Babuadze N.*

## PROBLEMATIC ISSUES OF INTERNATIONAL BUSINESS RESEARCH

## SUMMARY


The article deals with the existing methodological problems of international business research. Special attention is paid to such issues as urgent problems of international business, the scientific methodology of the above mentioned problem research and its preconditions. We should single out the essence of the research. Judging by this, we should reveal the appliance potential of the international business research.

The article touches upon the aspects facilitating Georgia's adjustment within the framework of global international business system, which implies to determine the actual ways aimed at achieving the integrity of sustainable development and relative advantages.

# ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო კონცეფციები

## პიროვნება და ტექნიკური პროგრესი

*იაშა კუტუბიძე*
*სტუ-ს სრული პროფესორი*

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ურთულეს ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნათა თავისებურებების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვართა პრაქტიკულ გამოყენებას. მეცნიერებისა და ტექნიკის ინტენსიური განვითარების საფუძველზე დანერგილი ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები არსებითად და ძირეულად ცვლის საზოგადოებაში ადამიანთა საქმიანობის ხასიათს, რაც თავისებურად აისახება საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაშიც, ამიტომაც, მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენების მასშტაბები, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე ამ პროგრესის ზეგავლენის ინტენსივობა და სიღრმე მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების და ინტერესების საგანია.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თაობაზე, მისი განვითარების შესაძლებლობებზე, მისგან გამომდინარე სოციალურ შედეგებზე ბევრი იწერება ჩვენთან და უცხოეთშიც, მიმდინარეობს დავა, კამათი მისი ბუნებისა და არსის შესახებ.

XXI საუკუნის დასაწყისი, ერთი მხრივ, ესაა უდიდესი ცვლილებების, — გრანდიოზული მეცნიერული აღმოჩენების, უახლესი ტექნოლოგიების ათვისების საუკუნე, მეორე მხრივ კი, იგი მთელი სიმწვავით სვამს კაცობრიობის წინაშე არაერთ აქტუალურ პოლიტიკურ, მორალურ, ფსიქოლოგიურ, მედიკო-ბიოლოგიურ და სხვა პრობლემებს, რომელთა სისტემური კვლევის გარეშე გაგვიჭირდება სრულად გავერკვეთ თანამედროვე ურთულესი ეპოქის არსში.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის თანმხლები მოვლენები ძალზე რთული და მრავალმხრივია. ამჟამად ჩვენ მხოლოდ აღნიშნული პრობლემის ზოგიერთ სოციალურ-ეთიკურ, ფსიქოლოგიურ ასპექტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ადამიანის პერსპექტივის, მისი ბედისა და მომავლის პრობლემები ახლებურად დგება დღის წესრიგში და ახლებურ მიდგომასაც მოითხოვს. დღეს ისე, როგორც არასდროს, ადამიანებს აღელვებს კაცობრიობის მომავალი, მისი ბედი.

განუწყვეტლივ დაისმის კითხვები: — საით მივყავართ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას? ხელს უწყობს იგი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის ზნეობის, კულტურის განვითარებას, თუ პირიქით, იწვევს ამ უკანასკნელთა დეგრადაციას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი იძლევა ხელშესახებ წარმატებებს ეკონომიკის, წარმოების სფეროში, მაგრამ ადგილი აქვს თუ არა ამავე დროს ადამიანთა ურთიერთობების ჰუმანიზაციას? შეუძლია თუ არა კაცობრიობას თავიდან აიცილოს ან თუნდაც მინიმუმამდე დაიყვანოს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანმხლები ზოგიერთი უარყოფითი სოციალური შედეგი? ზოგადად, როგორი იქნება, როგორ სახეს მიიღებს მომავალში ადამიანსა და მანქანას შორის დამოკიდებულება, მათი ურთიერთობის ხარისხი (რომელი რომელს წარმართავს), რა ელის კაცობრიობას მომავალში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ტემპის სულ უფრო ზრდის პირობებში? ეს და სხვა მსგავსი კითხვები დროულად მოითხოვს სათანადო პასუხს და, რაც მთავარია, შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას.

ერთი რამ უდაოა, არასოდეს ასე ცხადი არ ყოფილა ადამიანისა და ტექნიკური გარემოს კონფლიქტი, როგორც ახლა, ჩვენს დროში. არასოდეს ადამიანი არ ყოფილა ასე დაუცველი ტექნიკის სფეროში მიმდინარე პროცესებისაგან. ტექნიკური პროგრესის პირობებში ყოველთვის როდია გათვალისწინებული ადამიანისა და ტექნიკის თავისებურებები, მათი შესაძლებლობები. ტექნიკური პროგრესის ხასიათსა და ბუნებაში ყოველთვის უნდა ჩანდეს და იგულისხმებოდეს საზოგადოების ნორმალური

მოთხოვნილებები, მათი მიზნები და მისწრაფებები. თუ ტექნიკა მართავს ადამიანს და არა პირიქით — ადამიანი ტექნიკას, ეს საშიში ხდება ადამიანისათვის, მისი პიროვნული არსებობისათვის. ასეთ ვითარებაში ადამიანი კარგავს მთლიანობას, თვითმყოფადობას, რასაც საბოლოო ჯამში საზოგადოების შინაგანი გათიშულობისაკენ მივყავართ.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცი, რომ დადებითი მოვლენაა, ეს უეჭველია. ცხადია, საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მისი შემდგომი სრულყოფა წარმოუდგენელია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გარეშე, მაგრამ ისიც უდავოა, რომ სწორედ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის პირობებში კაცობრიობის წინაშე მეტად მწვავედ და გლობალურად დადგა დღის წესრიგში სულიერ ღირებულებათა პრობლემა.

სოციალურ გარდაქმნათა სფეროში მეცნიერებისა და ტექნიკის როლის სულ უფრო ზრდის პარალელურად აშკარა გახდა, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, დადებით შედეგთან ერთად, თან ახლავს ისეთი მოვლენები, რომელთა გათვალისწინება, რეგულირება და კონტროლი აუცილებელია საზოგადოების ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის: ეკოლოგიური ტიპის კრიზისი, სხვადასხვა სახის კატასტროფა, ბუნების განუზომელი დამორჩილებისათვის დაუოკებელი სწრაფვა, რომელსაც ბევრი შორს მიმავალი და გამოუცნობი შედეგი მოსდევს, ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებათა დიდი რაოდენობით დაგროვება, ადამიანებში მომხმარებლური ტენდენციების მოჭარბება, მასობრივი საზოგადოებისა და კულტურის ჩამოყალიბების საფრთხე, სტანდარტიზებული ნორმებით პიროვნების უნიკალობის ჩაკვლა (დეპერსონალიზაცია), ადამიანისა და ადამიანური ურთიერთობების განვითარება და გაუცხოება. თუნდაც ის ფაქტი, რომ ადამიანები შრომის პროცესში სულ უფრო იქცევიან მანქანა-დანადგართა დანამატად და სხვა, ცხადყოფს, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ქმნის არა მხოლოდ ახალ შესაძლებლობებს წინსვლისათვის, არამედ, ამავე დროს, არაერთი საჭირბოროტო პროცესის წინაშე აყენებს კაცობრიობას.

სწორედ ამ ტიპის საშიშროება ჰქონდა მხედველობაში ნ. ბერდიაევს, როდესაც აღნიშნავდა, რომ ტექნიკური გარემოს პირობებში ადამიანის დაშლა სხვადასხვა ფუნქციებად, უწინარეს ყოვლისა, ტექნიკური ცივილიზაციის შედეგია. დეჰუმანიზაციის პროცესი ყველაზე დიდ სიმძაფრეს აღწევს თანამედროვე სამხედრო ტექნიკაში, რომელსაც უკვე აღარ სჭირდება ადამიანის სიმამაცე. ტექნიკური ცივილიზაცია ამა თუ იმ ფუნქციის შესრულებას მოითხოვს, არ ცნობს ადამიანს, მან იცის მხოლოდ ფუნქცია... ქრება გული, როგორც ადამიანურ გრძნობათა მტვირთველი. ადამიანი წუხს და სასოწარკვეთილებაშიც კი ვარდება მთლიანი ადამიანური არსების გაქრობის გამო, მაგრამ არ შეუძლია მისი შენარჩუნება.[1]

თუ როგორი იქნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების შემდგომი გზა, საით წაიყვანს ადამიანებს — კატასტროფული შედეგისაკენ, გაუთვალისწინებელი სოციალური წინააღმდეგობისა თუ კეთილდღეობისაკენ, ეს დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოეპყრობიან ადამიანები ამ პროგრესის მონაპოვრებს, რა მიზნებისათვის გამოიყენებენ მათ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი დაიძლიოს ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი ერთი შეხედვით თითქოს კურიოზული მოვლენა — ერთგვარი შიში ტექნიკური პროგრესისა და ზოგადად ამ მიღწევების წინაშე.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პირობებში განსაკუთრებულ პრობლემად იქცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპებისაგან ადამიანის ეთიკურ-ზნეობრივი ცნობიერების ჩამორჩენა. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანმხლები დადებითი, პროგრესიული მოვლენების ანალიზის პარალელურად, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები (ასევე ფილოსოფოსები, მწერლები და სხვა) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უპირატესი განვითარების პირობებში, რასაც ამჟამად აქვს ადგილი, მიმდინარეობს კულტურის ზოგიერთი ელემენტის, კერძოდ, ზნეობრივი ცნობიერების, დაკნინება და დაქვეითება. ამას კი კაცობრიობა, მათი აზრით, გადაგვარებისა და დაღუპვისაკენ მიჰყავს „რადგანაც კონკრეტული ისტორიული ეპოქა წინა პლანზე იმას წამოსწევს, რაც ამ დროს აინტერესებს, რაც აწუხებს თანამედროვეობას, ამიტომ „რკინის საუკუნეში“ აუცილებლობით დადგა საკითხი სუბიექტის არსებობის, მისი მომავლის შესახებ: რა შედეგებამდე მიგვიყვანს ტექნიკური ცივილიზაცია, რომელიც დიდი სიჩქარით ვითარდება, რომელმაც გაუსწრო კულტურას და გადაამეტა კულტურის განვითარებას, ჰუმანიზაციის პროცესს? შეუძლია თუ არა ადამიანს შეინარჩუნოს თავისი თავი მომხ-

[1] **ბერდიაევი ნ.**, ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში, თბილისი, 2007 (თარგმნა **ბ. ბრეგვაძის**), გვ. 146-147.

მარებლურ საზოგადოებაში, ენერგიულ და „ჭკვიან კაცთა" გარემოცვაში, ტოტალური გამასიურების და მკვეთრი ინდივიდუალიზმის პირობებში? ამ კითხვებით შეშფოთებული ადამიანის პრობლემებზე დაფიქრებული მკვლევარები მოითხოვენ „გრძნობების და ემოციების რევოლუციას" „გონისა და გონიერების გამოყენებას", გულგრილობის დაძლევას და თანაგრძნობის ამოქმედებას".[1]

დღეს მართლაც, განსაკუთრებულ პრობლემად იქცა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის ტემპებისაგან ადამიანის ეთიკურ-ზნეობრივი ცნობიერების ჩამორჩენა. ტექნოგენური ცივილიზაციით გამოწვეულ გლობალურ პრობლემათა შორის, განსაკუთრებულია ადამიანის, როგორც ბიოსოციალური არსების პიროვნებად შენარჩუნების პრობლემა. ადამიანს უჭირს გააკონტროლოს ბუნებრივი და მის მიერვე შექმნილი ტექნიკური გარემო, რაც, თავისთავად, ანთროპოლოგიური კრიზისის საფუძველი ხდება. ტექნიკური პროგრესის შედეგად სამყაროს სულ უფრო გარდაქმნის პროცესში, წარმოიშვნენ მოულოდნელი, ხშირად შემთხვევითი სოციალური ფაქტორები, იქმნებიან ახალი სტრუქტურები და სისტემები, რომლებიც ნოყიერ ნიადაგს ქმნიან ადამიანის ცნობიერებისა და ფსიქიკის სამანიპულაციოდ და სერიოზულ საფრთხესა და სირთულეს უქმნიან ადამიანის ბიოგენეტიკურ საფუძველს, მის იდენტობას, პიროვნების სოციალიზაციის პროცესებს. ასეთ პირობებში, როცა ადამიანს რეალური საფრთხე ემუქრება (როცა ასეთ საფრთხეზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეს საფრთხეები ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობების სახით არსებობენ, თუმცა ეს როდი ამცირებს შექმნილი ვითარების სირთულეს), დღის წესრიგში კვლავ მთელი სიმწვავით დგება საკუთრივ ადამიანის ბუნების, მისი სოციალური გარემოს და, საერთოდ, კაცობრიობის შენარჩუნების პრობლემა. ამიტომ აუცილებელია ამ თვალსაზრისით, ამ პლანში ვეძებდეთ და ვიკვლევდეთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფილოსოფიურ-სოციალურ პრობლემებს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა ადამიანის გაუცხოების პრობლემაა.

გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობები, ხშირ შემთხვევებში, ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული და ამახინჯებს ადამიანის ბუნებას. ასეთ პროცესს გაუცხოებას უწოდებენ, შრომის პროცესში ადამიანი გაასაგნებს თავის სამუშაო ძალას, თავის თავს. ახლა მისი შრომა შექმნილი პროდუქციის სახით გვევლინება. ასეთ ვითარებას გასაგნებას უწოდებენ. გაუცხოება ისეთი გასაგნებაა, სადაც ადამიანი, მის მიერ შექმნილი პროდუქციის სახით თავის თავსვე უპირისპირდება. ადამიანის არსებობა მის არსს აღარ შეესაბამება მასვე დაუპირისპირდა მისივე შექმნილი სამყარო. ადამიანის გაუცხოება მისი გადაგვარების რეალურ საფრთხეს ქმნის. ადამიანში მატულობს მომხმარებლური ტენდენციები, მიმდინარეობს პრაგმატული ფსიქიკის ჩამოყალიბების განუწყვეტლივი პროცესი, კომფორტისაკენ სწრაფვა, რაც შეიძლება ნაკლები ენერგიის ხარჯვის გზით. გადაგვარება ემუქრება ადამიანს, როგორც შემოქმედ, აქტიურ არსებას. თანდათანობით უკანა პლანზე იწევს ადამიანური ურთიერთობები. ადამიანი ნაკლებადაა დამოკიდებული მეორე ადამიანისაგან, ცალკეული ინდივიდებისაგან. მასობრივი წარმოების საგანთა მსგავსად სტანდარტული ხდება ადამიანის ყოფა, შრომა, დასვენება, გართობა, სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებები. მსგავსება ხელს უშლის განსხვავებულობას, რადგანაც ადამიანის, როგორც პიროვნების არსი მის უნიკალურობაში მდგომარეობს; ყალიბდება ტრივიალურ ყოველდღიურობაზე დაქვემდებარებული სტერეოტიპის ადამიანი, რომელიც გულგრილად უდგება და თავს არიდებს საკუთრივ ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტალურ კითხვებს. ადამიანი კარგავს ინდივიდუალობას, მომავლის პერსპექტივას, მას უჩნდება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, იძულებულია ატაროს ნიღაბი და ცვალოს იგი სიტუაციის მიხედვით.[2]

ასეთ ვითარებაში, ადამიანის ასეთი გაუცხოების პირობებში განსაკუთრებით ზიანდება ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების, ბუნება. ტექნიკური აღმოჩენებით, სიახლეებით გართული ადამიანის მზერა უფრო გარე სამყაროზეა მიმართული, შესაბამისად, ადამიანს ყურადღების გარეშე რჩება თავისი თავი, შეზღუდულია მისი თვითშემეცნების პროცესი, იგი სრულად ვერ ახერხებს შინაგანი ძალების სრულ გაშლასა და რეალიზაციას. ამდენადვე, შეზღუდულია მისი თავისუფლებაც. თანდათან ფერხდება ადამიანის მიერ ჰუმანიზებული, კულტურული სამყაროს შექმნის პროცესიც. ჩვენ ვცხოვრობთ კულტურის დაცემის პირობებში და ეს სიტუაცია ომს არ შეუქმნია, არამედ ომი თვითონაა მისი გამოვლენა — აღნიშნავს ალბერტ შვაიცერი.

ადამიანის გაუცხოების პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ნ. კვარაცხელიას: ჩვეულებრივი გაუცხოებასა და თვითგაუცხოებას უწოდებენ იმგვარ სიტუაციას,

[1] **ბრეგაძე ა.**, რა არის ადამიანი? თბილისი, 1987, გვ. 32.

[2] **იხ. კაკაბაძე ზ.**, ფილოსოფიური საუბრები, თბ., 1988, გვ. 121.

როცა ადამიანი არსად, არც სამყაროში და, არც თავის თავში საკუთარ თავს ვერ ხედავს და ვერ პოულობს. გაუცხოების ამგვარ გაგებას იგი ზერელედ მიიჩნევს და მასში უფრო ღრმა მეტაფიზიკურ პრობლემას ხედავს. მისი აზრით გაუცხოება მოასწავებს ისეთ ვითარებას, როცა ადამიანი ყველგან და ყველაფერში მხოლოდ თავის თავს პოულობს და ხედავს „რა უნდა იყოს იმაზე საშინელი და თავზარდამცემი, ვიდრე ის, რომ სამყარომ ადამიანური სახე მიიღოს და მასში არაერთი ღვთაებრივი და თავისთავადი არ შეიმჩნეოდეს. სწორედ ასე გაგებული გაუცხოების ფენომენია დასავლური ნიჰილიზმის საფუძველი, ვინაიდან ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა ყოველივე თავისთავადის გაქრობა – გაარაფრება, გარდა საკუთარი თავისა".[1]

ადამიანმა ნაწილობრივ მაინც თავიდან რომ აიცილოს ამგვარი ტიპის საშიშროებანი, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ადამიანის გაუცხოების შესაძლებლობების და გარემოს დაძლევა არა მარტო მის აზროვნებაში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც, ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობაში აუცილებელია იმ სოციალური მიმართებისა და ეკონომიკური ბაზის სრულყოფა, ხშირ შემთხვევაში, უარყოფაც კი, რომელიც გაუცხოების რეალურ საფუძველს წარმოადგენს. საზოგადოების რაციონალურმა აზრმა კვლავ სისტემატური კვლევის საგნად უნდა გახადოს სიცოცხლის აზრის ძიების პრობლემა, აქტუალობა უნდა დაიბრუნოს ისეთი საკითხებით დაინტერესებამ, როგორიცაა: რისთვის ცოცხლობს ადამიანი? რა არის მისი მთავარი მიზანი, რა უშლის მას ხელს ამ მიზნის მისაღწევად და როგორ დაძლიოს წინააღმდეგობანი? უფრო მწვავედ უნდა დადგეს სულიერ ღირებულებათა გადაფასების პროცესი, რამეთუ ტექნიკური პროგრესი იძლევა საშუალებას როგორც ზნეობრივი, ასევე არაზნეობრივი მოქმედებისათვის. სწორედ ამიტომ დგება დღის წესრიგში სულიერ ღირებულებათა პრობლემა. ამჟამად, ისე როგორც არასდროს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პრაქტიკული გონების პრიმატის ანუ ზნეობის მიზნებისათვის მეცნიერული კვლევების დაქვემდებარების მოთხოვნა.

დღეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ადამიანის თითქმის ყველა სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა შესაძლებელი, თუმცა, ეს გარემოება ადამიანის თავისუფლებას ვერ განაპირობებს. როცა ადამიანის მოქმედება მთლიანადაა განსაზღვრული და განპირობებული მოთხოვნილებებით, მაშინ იგი ახალი ღირებულებების შექმნის პროცესშიც ვერ იქნება თავისუფალი (მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოთხოვნილებათა სულ უფრო ზრდის კვალობაზე ადამიანი მით უფრო დამოკიდებული ხდება ტექნიკურ გარემოზე), თვით მოთხოვნილებების ხარისხი, ხასიათი კი ყოველთვის დამოკიდებულია ადამიანთა ღირებულებით ორიენტაციაზე. სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წინსვლაც შეიძლება სხვადასხვაგვარად წარიმართოს იმის მიხედვით თუ როგორი იქნება ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაცია, როგორ გადაწყდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და ადამიანის ურთიერთობის პრობლემა. აქ მიმართება, ურთიერთკავშირი ორმხრივია: მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია გავლენას ახდენს ადამიანთა ღირებულებების ორიენტაციაზე; თავის მხრივ, ადამიანთა ღირებულებითმა ორიენტაციამ არსებითი გავლენა უნდა იქონიოს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებაზე, მის ისეთნაირად წარმართვაზე, რომ აუცილებლად დაძლეულ იქნეს ის საშიშროებანი და სიძნელეები, რომლებიც მოსალოდნელია მეცნიერულ-ტექნიკური მონაპოვრებისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, თუ დღეს ადამიანისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ურთიერთობის თანამედროვე დონეზე ჭარბობს ეკონომიკური ინტერესები, ეს ორიენტაცია თანდათან უნდა შეიცვალოს ისეთნაირად, რომ ადამიანი მთელი თავისი სულიერი ცხოვრებით, ინტერესების სიმდიდრით იქცეს ყოველგვარი ეკონომიკურ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ გარდაქმნათა ერთადერთ მნიშვნელოვან ფიგურად. ადამიანი, არა როგორც ეკონომიკური კატეგორია, როგორც უბრალოდ ფასეულობათა შემქმნელი, არამედ როგორც უმაღლესი ღირებულება, ყოველგვარი მოღვაწეობის აქტიური სუბიექტი, უნდა იყოს ნებისმიერ საზოგადოებრივ გარდაქმნათა მთავარი მიზანი. ადამიანმა ბევრი რამ დაკარგა იმის გამო, რომ იგი, რომელიც ყოველგვარ ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნის მიზანი უნდა იყოს, უმეტეს შემთხვევაში განიხილებოდა და განიხილება, როგორც „მუშაკი", მწარმოებელი, შემსრულებელი და ა.შ. არაა საკმარისი რაციონალურად გავანაწილოთ და განვალაგოთ ადამიანები და მანქანა-დანადგარები, ჩარხები და ა.შ., არამედ აუცილებელია, არსებითია იმ ადამიანური ურთიერთობების გათვალისწინება, რომლებიც მყარდება შრომის პროცესში. მანქანა მომაკვდინებლად არ უნდა მოქმედებდეს ადამიანის სულზე, არ უნდა კლავდეს მის ემოციურ ცხოვრებას, არ უნდა

[1] **კვარაცხელია ნ.,** ადამიანი და მსოფლმხედველობა, თბ., 2001, გვ. 77.

ხრწნიდეს ადამიანურ გრძნობებს.

საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ მაღალი ავტომატიზებული შრომის პროცესში ადამიანი ჩართულია მრავალმხრივ ახალ ტექნოლოგიურ პროცესში, რაც მისგან მოითხოვს ფსიქიკის მაქსიმალურ დაძაბვას, რის შედეგადაც ბუნებრივად წარმოიშვება ქრონიკული (მუდმივი დატვირთვის შედეგად) და ემოციური საფრთხის გამო სტრესები, ხდება ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, ჩნდება სხვადასხვა ტიპის ფსიქოზისა და ნევროზის ნიშნები, ირღვევა ქცევითი სფერო, შესაძლებელია განვითარდეს ფსიქოგენური ამნეზია — ყველაფერი ეს კი მკვეთრად აქვეითებს ინტელექტუალურ პროდუქტიულობას. ასეთ დროს დაძაბულობის მოხსნის მიზნით, ადამიანები ხშირად მიმართავენ ფსიქოაქტიური ნივთიერების მიღებას (დეპრესანტები, ჰალუცინომენები), რაც, საბოლოო ჯამში, მათი დეგრადაციისა და გარდაცვალების მიზეზიც კი ხდება. ყოველივე ეს, ადამიანთა ახალი ტიპის კომუნიკაციური კულტურის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე მიუთითებს. სხვა შემთხვევაში შეიქმნება (თითქმის შექმნილია ისეთი გარემო), რის თაობაზე დიდი ხნის წინათ მიანიშნებდა ნ. ბერდიაევი, რომ თანდათან იღუპება შინაგანი ადამიანი და იცვლება იგი გარეგანი, ავტომატური ადამიანით. მისი აზრით, ცივილიზაციამ განავითარა უზარმაზარი ტექნიკური ძალები... რომლებიც ბატონობენ თვით ადამიანებზე, აქცევენ მას მონად, კლავენ მის სულს.[1]

რა თქმა უნდა, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების განვითარება, ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ უარყოფით შედეგებზეც, რომლებიც ახლავს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. კერძოდ, საზოგადოების და მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა შეუნელებელი ყურადღების საგანი უნდა იყოს ის გარემოება, რომ საზოგადოებაში, სადაც მხოლოდ კომფორტია მიჩნეული უმაღლეს ღირებულებად და, აქედან გამომდინარე, ტექნიკური მოღვაწეობა ითვლება ერთადერთ სერიოზულ საქმედ- ადამიანის შრომა მაქსიმალურად ივსება ტექნიკით და შემოქმედებით ელემენტს მოკლებული, მექანიკური ხდება.

იქ, სადაც წარმოება სტანდარტულია, სადაც სტანდარტული საგნების მასობრივი წარმოებაა გამეფებული, შესაბამისი გადატრიალება ხდება აგრეთვე ადამიანთა სოციალურ სამყაროში: ასეთ საზოგადოებაში ინერგება განათლებულობის, რეჟიმის თავაზიანობისა და გონებამახვილობის სტანდარტებიც კი. ანალოგიური სტანდარტების მოზღვავების საფუძველზე კი ადამიანის ცხოვრება კარგავს თვითცნობიერებისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების უნარს და როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ა. შვაიცერი ამბობს, ნაცვლად პიროვნებად გახდომისა, ადამიანი დგება ადამიან-ნივთად გადაქცევის საფრთხის წინაშე.

ეს საშიშროება ნაწილობრივი მაინც რომ მოიხსნას, ტექნიკური პროგრესი ხელს უნდა უწყობდეს ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას არა მხოლოდ ბიოლოგიური თვალსაზრისით, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეუნარჩუნდეს მას სოციალური ფუნქცია.

ადამიანის არსი, ხომ სწორედ მის სოციალურობაში მდგომარეობს. იგი როგორც ინდივიდი მრავალმხრივ ურთიერთობაშია სხვებთან, რასაც ეს ურთიერთობები არ არსებობს, ადამიანები გულგრილი ხდებიან ერთმანეთისადმი და მათ ხშირად ეუფლებათ სასოწარკვეთილების, მარტოობის, სევდისა და მოწყენილობის განცდა. ამიტომაც, მეცნიერების და, შესაბამისად, მისი მატერიალური გამოხატულების — ტექნიკის უპირატესი განვითარების პირობებში, სადაც ამჟამად ადგილი აქვს საზოგადოებაში, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ მეცნიერება ადამიანური მოღვაწეობის ერთ-ერთი, მართალია, ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი სახეა და მისი განვითარების პარალელურად ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან ფორმებსაც (ზნეობა, ხელოვნება, რელიგია და სხვა), რომელთა გარეშე შეუძლებელია საზოგადოების ფუნქციონირება და ადამიანთა სულიერი სრულყოფა. სწორედ, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილ ადამიანს ეწვევა ხოლმე უფრო ხშირად მარტოობისა და მოწყენილობის განცდა, ვიდრე სულიერად და ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანს, რაც კიდევ ერთხელ აგრძნობინებს ადამიანს, რომ მისთვის სულიერებაა მთავარი და არა მატერიალურობა. არაპროგნოზირებადი და ადამიანის სულზე დამიზნებული ტექნიკა ამძაფრებს მათში განცდას იმის თაობაზე, რომ ადამიანი მომაკვდავი და, მაშასადამე, ტრაგიკულია.

თუ ტექნიკა საბოლოოდ გაბატონდება ადამიანზე და ცხოვრება გახდება უსაზრისო, მაშინ ხომ არაა გამართლებული ნიცშეს სიტყვები: ადამიანი არის არსება, რომელიც ვერ შედგა და არ გამოვიდა,

[1] **ბერდიაევი ნ.,** შემოქმედების საზრისი, მოსკოვი, 1915 (რუსულ ენაზე), გვ. 285.

ამიტომ იგი უნდა დაიძლიოს და გადაილახოს.

როგორც აღინიშნა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ქმნის არა მხოლოდ ახალ შესაძლებლობებს წინსვლისათვის, არამედ, ამავე დროს, არაერთი საჭირბოროტო პრობლემის წინაშე აყენებს ადამიანს. მაღალგანვითარებული ტექნიკური საშუალებების ერთიანი სისტემა შრომითი პროცესისათვის ითხოვს თითქმის გათანაბრებული ცოდნის, შეხედულებების, ემოციების, უნარ-ჩვევების მქონე ადამიანებს.

მიღწეული საერთო წარმატებებით წახალისებელი და გაბრუებული ადამიანები იქცევიან ერთ მთლიან მასად და მათი ურთიერთობები გამოიხატება მხოლოდ თანაყოფნაში, ერთმანეთის გვერდით არსებობაში. ასეთ პირობებში იკარგება ყოველგვარი პიროვნული გამორჩეულობა, ორიგინალობა. ადამიანები თითქოს მხოლოდ ტექნიკური ფუნქციების მატარებელ და სტანდარტული ტიპის არსებებად გადაიქცნენ, რის გამოც ისინი ერთმანეთის მიმართ ნაკლებად მიმზიდველნი და უინტერესონი ხდებიან. ყოველივე ეს კი ადამიანებს შორის გათიშულობის მიზეზი ხდება. ხანგრძლივი, ნამდვილი ურთიერთობების ნაცვლად ყალიბდებიან პრაგმატული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე შედარებით სწრაფი კონტაქტები, დროებითი კავშირები, რომლებიც ძალიან მალე ქრება.

ტექნიკასა და ადამიანს შორის კონფლიქტზე ამახვილებს ყურადღებას ინგლისელი სოციოლოგი და ხელოვნებათმცოდნე ჰ. რიდი, რომელიც წიგნში „ეშმაკსაც წაუღია კულტურა" წერს, რომ ტექნიკური რევოლუცია — ესაა უბედურება, რომელიც ალბათ ყოველივე ადამიანურის დანგრევის პროცესის ბოლო სტადია იქნება. ტექნიკა და მასთან დაკავშირებული ავტომატიზაცია ანადგურებენ ადამიანურ გრძნობებს, სახელდობრ იმას, რითაც ადამიანი არის ადამიანი.

ბუნებრივია, ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ არსებით ცვლილებებს ადამიანები დიდი სიმშვიდით ვერ ხვდებიან, პირიქით, იგი მათში ძალიან ხშირად მოულოდნელობის ეფექტს, ექსტრემალური სიტუაციების განცდას და ფსიქოლოგიურ-ემოციურ სტრესებსაც კი იწვევს. ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების ადრეულ საფეხურზე, ნაკლებად დაძაბული და უსაფრთხო ტექნიკური გარემოს პირობებში ადამიანებს უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ტექნიკის შემდგომი განვითარების პერსპექტივებსა და მომავალზე. დღეს, გლობალიზაციისა და ტექნიკის მზარდი განვითარების პირობებში სულ უფრო წარმოიქმნება ნაკლებად პროგნოზირებადი მოვლენები. არ ვიცით, რა იქნება ხვალ, რას გვიმზადებს ბედი, შესაბამისად, იკარგება სიმშვიდე და ადამიანს ეუფლება შიში მომავლის წინაშე. არსებობს გარკვეული ზღვარი გარემოს იმ ცვლილებებისა (და ჩვენ შეგვიძლია მის განსაზღვრა), რომლებთანაც ადამიანის ორგანიზმს შეგუება შეუძლია. ამ საზღვრების წინასწარ დაუდგენლად ამ ცვლილებების შეუფერხებელი ზრდით ჩვენ შეიძლება ადამიანთა დიდ მასებზე ისეთი ზემოქმედებები მოვახდინოთ, რომლებსაც ისინი, უბრალოდ, ვერ აიტანენ. „ჩვენ ძალიან ვრისკავთ, როდესაც ადამიანებს ვაყენებთ ისეთ უჩვეულო მდგომარეობაში, რასაც მე მომავლის შოკს ვუწოდებ" - ამბობს ე. ტოფლერი.[1]

არსებითი და რეგულარული ცვლილებების დროს მოზღვავებულ ინფორმაციათა ძალიან დიდი ნაკადი ადამიანებში სხვადასხვა ტიპის ფსიქოლოგიურ ცვლილებებს იწვევს, რაც ძალიან ხშირად, გაუცნობიერებელ ხასიათს ატარებს.

ცვლილებების დროს ირღვევა ადამიანის შინაგანი წონასწორობა და, შესაბამისად, მცირდება ცხოვრებისეული სიტუაციების ხანგრძლივობა. ეს ვითარება უფრო შესამჩნევი ხდება მაშინ, როცა ადამიანები კარგავენ თავიანთ საზოგადოებრივ მდგომარეობას და ძველებურად ვეღარ ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს სისტემის — მეცნიერება-ტექნიკა-წარმოების შექმნასა და მის განუწყვეტელ განვითარებაში. მანქანები ცვლიან არა მხოლოდ ცოცხალ შრომას, არამედ თვით ადამიანს. მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალად გადაქცევამ, საწარმოო პროცესთა ავტომატიზაციამ არსებითად შეცვალა წარმოებაში ადამიანთა მოქმედების პრინციპი, მათი ამოცანები და შესაძლებლობები. წინა პლანზე წამოიწია ადამიანის მიერ ლოგიკურ ფუნქციათა შესრულებამ, საწარმოო პროცესთა მართვამ და კონტროლმა. სულ უფრო იზრდება ოპერატორების, ამწყობების, ტექნიკოს-ლაბორანტების, საკონტროლო-მზომავ ხელსაწყოთა მემონტაჟეებისა და სხვათა სამოქმედო ასპარეზი. სწრაფი ავტომატიზებული პროცესები ადამიანისაგან სწრაფი, ოპერატიული მოქმედების უნარს მოითხოვს. თუ ადრე ადამიანის თვალთახედვის არეში მხოლოდ მის მიერ დამუშავებული ობიექტი შედიოდა, ამჟამად კავშირი გვაქვს არა უშუალოდ შრომის ობიექტთან, არამედ ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობასთან მთლიანად, ასეთ დროს ადამიანი უნდა ერკვეოდეს შრომითი პროცესის არა მხოლოდ

[1] **ტოფლერი ე.**, მომავლის შოკი, მოსკოვი, 2002 (რუსულ ენაზე), გვ. 352.

რომელიმე კონკრეტული ამოცანის განხორციელების შესაძლებლობაში, არამედ იგი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს მთლიან შრომითი პროცესის მსვლელობას. როდესაც ვლაპარაკობთ მეცნიერების, ტექნიკის და წარმოების მჭიდრო კავშირზე. აუცილებელია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მეცნიერული და ტექნიკური აღმოჩენების დანერგვას წარმოებაში მხოლოდ მაშინ აქვს სასურველია აღმოჩენების დანერგვის წარმოებაში მხოლოდ მაშინ აქვს სასურველი სოციალ-ეკონომიკური ეფექტი, როდესაც იგი შეესაბამება წარმოების მუშაკთა მიზნებსა და შესაძლებლობებს. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში შრომის პროცესი ყოველთვის უნდა განიხილებოდეს წარმოებაში მეცნიერული აღმოჩენების დანერგვით გამოწვეული სიახლეების, საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესთა თავისებურებისა და წარმოების მუშაკთა შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადამიანის ფაქტორის როლის განუხრელ ზრდას უკავშირდება. ბუნებრივია, დაისმის კითხვა, რა დონეს შეიძლება მიაღწიოს ადამიანისა და მანქანის დამოკიდებულებამ, რა დონემდეა შესაძლებელი ზოგადად შრომის, კერძოდ კი გონებრივი შრომის ავტომატიზაცია? ხომ არ გადაიქცევა ადამიანი მანქანის დანამატად? საბოლოო ჯამში, ხომ არ მოელება ბოლო ადამიანის შემოქმედებით შრომას? მიუხედავად იმ დიდი საშიშროებისა, რაც შეიძლება მოუტანოს მანქანამ ადამიანს, ადამიანის გონივრულმა მოქმედებამ უნდა დაძლიოს ეს წინააღმდეგობები. თავისთავად კი ადამიანის გონებრივი, ინტელექტუალური შესაძლებლობები არასდროს გაღარიბდება, რადგან შემოქმედებითი მოღვაწეობა უნდა განვიხილოთ, როგორც ადამიანის აზროვნების ისეთი ნაირსახეობა, რომელიც ქმნის მოქმედების ახალ სისტემას ან აღმოაჩენს ადამიანთა გარემომცველ მოვლენათა ჯერ კიდევ უცნობ კანონზომიერებებს. მომავალი სამყარო არ უნდა იყოს რობოტთა სამყარო, არამედ იმ ადამიანთა სამოქმედო ასპარეზი, რომელთა ფუნქცია, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედება, მეცნიერული კვლევა-ძიება და ჭეშმარიტების დადგენაა. ადამიანი ხომ არ არის თავის თავში ჩაკეტილი არსება, მისი მზერა გარე სამყაროზეცაა მიმართული და ყოველთვის ცდილობს მაქსიმალურად მოახერხოს თავისი ძალებისა და უნარების ობიექტივაცია.

მომავალმა სამყარომ კიდევ უფრო მკაცრი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ადამიანის გონების შეზღუდულობას. მან არ უნდა მისცეს ადამიანს თვით დამშვიდების უფლება, დაელოდონ როდის გამოჩნდებიან მონა-რობოტები. რაც უფრო მეტი რაოდენობით გადასცემს ადამიანი მანქანას თავის ფუნქციებს, მით უფრო მეტად უნდა აზუსტებდეს თავის შესაძლებლობასაც. დღევანდელი დროის ამოცანაა – რაც შეიძლება სწორი მიმართულება მიეცეს ადამიანისა და მანქანის ურთიერთობას. ერთი მეორისაგან პრინციპულად უნდა გავმიჯნოთ და გავითვალისწინოთ ორი რამ: ტექნიკური თვალსაზრისით რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს და რამდენადაა მიზანშეწონილი მისი დამზადება. ამ საკითხის რაციონალურად გადაჭრაზე დიდადაა დამოკიდებული კაცობრიობის ბედი, მისი მომავალი. ყოველი შექმნილი ტექნიკური სიახლე ადამიანის გონიერებისა და საზრიანობის მაჩვენებელი უნდა იყოს. ცივილიზაციური განვითარების ნებისმიერი ახალი ეტაპი არსებითად ცვლის ადამიანის ბუნებისადმი დამოკიდებულებას, რაც თავისთავად თვისობრივად ახალი ღირებულებითი ორიენტაციის შემუშავებაში უნდა გამოიხატებოდეს, რაშიც პირველი რიგში ადამიანთა შემოქმედებითი მოღვაწეობისა და მისი პერსპექტივების ახალი გაგება მოიაზრება.

როგორი იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შემდგომი გზა, როგორ გამოიყენებენ ადამიანები ამ პროგრესს და მის მიღწევებს, ეს დიდად არის დამოკიდებული ადამიანთა კულტურის დონეზე, კულტურა კი თვითონ განიცდის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენას და როგორც ხშირად მიუთითებენ ხოლმე, ეს გავლენა მკვეთრად უარყოფითი ხასიათისაა. მის შესახებ ბევრს წერენ ფილოსოფოსები, სოციოლოგები, მწერლები, ხელოვნების წარმომადგენლები და სხვა. მათ ნააზრევში სჭარბობს ტენდენცია, სადაც გამოთქმულია არცთუ უსაფუძვლო პესიმისტური მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, – მეცნიერებისა და ტექნიკის უპირატესი განვითარების წყალობით, – ანგრევს კულტურას საერთოდ და ზნეობრივ ცნობიერებას განსაკუთრებით. ჩვენ შეგვიძლია არ გავიზიაროთ ეს უკიდურესად პესიმისტური აზრი, მაგრამ ხსენებული ხიფათი დიდი ყურადღების ღირსია, ეს საკმაოდ ცხადია და ნათელი.

ადამიანის მიზანი უნდა იყოს ტექნიკური აღმოჩენების გონივრული წარმოება, მართვა და მისი მიზნობრივად გამოყენება. ბომბში, როგორც ასეთში, როგორც ფიზიკურ მოწყობილობაში, რომელშიაც უზარმაზარი ენერგიაა აკუმულირებული, თავისთავად არც დადებით და არც უარყოფითი ღირებულება არ იგულისხმება, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია

როგორც კეთილი, ასევე ბოროტი საქმისათვის.[1]

სწორედ ამიტომაა საჭირო და აუცილებელი მისი გონივრული მართვა. შესაძლებელიც რომ იყო დამოუკიდებელი სუპერმოაზროვნე მანქანების შექმნა, იგი ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს კაცობრიობას. მანქანა ყოველთვის იმ საქმეს უნდა მოემსახუროს, რა მიზნისთვისაცაა იგი შექმნილი.

მეცნიერებისა და ტექნიკის განუხრელმა განვითარებამ არ უნდა წარმოშვას აზრი იმის თაობაზე, რომ თითქოს კულტურის მონაპოვრებიდან მეცნიერება და ტექნიკა ერთადერთი ღირებულების მქონე ფენომენია და არა ერთ-ერთი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი კულტურის მოვლენების გვერდით.

მეცნიერებისა და ტექნიკის როლის ყოველგვარმა გაზვიადებამ შესაძლებელია ადამიანი მიიყვანოს ინტერესების ცალმხრივად წარმართვამდე, რაც თავისთავად საზიანოა კულტურისა და, შესაბამისად, ადამიანთა ჰარმონიული განვითარებისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტექნიკურ მეცნიერებათა შესაძლებლობების მიმართ გადაჭარბებული ოპტიმიზმი იწვევს ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში ტექნიკური აზროვნების წესის უნივერსალიზაციის ტენდენციის დამკვიდრებას. ამ სახიფათო ტენდენციამ ადამიანისა და ადამიანური ურთიერთობების კვლევის სფეროშიც კი შეაღწია, თუმცა „ადამიანის საქციელი არ დაიყვანება მექანიკურ-მიზეზობრივი ტიპის საქციელზე, ამიტომაც ტექნიკურ-მეცნიერული წესით რომ ვიაზრებთ ადამიანს, ანუ „სციენტისტურ ანთროპოლოგიას", რომ ვენდობით და ვუჯერებთ, მხედველობიდან ვუშვებთ ადამიანის პრინციპულ თავისებურებას – მის თავისუფლებას.[2]

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციას ყოველთვის უნდა ვიხილავდეთ არა როგორც თავისთავად მოვლენას, არამედ მრავალგვაროვანი სოციალური შედეგების გამომწვევ მიზეზს, რომელსაც დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის, მისი მომავლისათვის. ამიტომაცაა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ქმნადობისა და მართვის პროცესში გადამწყვეტი ყოველთვის ადამიანის გონიერებაა, ვიდრე ადამიანთა ბიოლოგიური არსებობის შენარჩუნებისათვის სხვადასხვა ხელოვნურ საშუალებათა შექმნა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია გარკვეული ღირებულებითი ორიენტაციის ჩამოყალიბება, რომელიც გაითვალისწინებს იმ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, რომ, თუ ადამიანისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ურთიერთობის თანამედროვე დონეზე ჭარბობს ეკონომიკური და ტექნიკური ინტერესები, ეს ორიენტაცია თანდათან უნდა შეიცვალოს ისეთნაირად, რომ ადამიანი მთელი თავისი სულიერ სამყაროთი, ინტერესების სიმდიდრით იქცეს ყოველგვარ ეკონომიკურ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ გარდაქმნათა ერთადერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ბუნების, მისი განვითარების თავისებურებათა მეცნიერულ კვლევას, მისი სოციალური შედეგების გააზრებას ფილოსოფიური თვალსაზრისით.

მხოლოდ იმ პროგრესს და ისეთ ცვლილებებს, გარდაქმნებს აქვთ არსებობის უფლება და მხოლოდ ისეთ პროგრესს უნდა შეეწყოს ხელი, ისეთი პროგრესი უნდა წახალისდეს, რომელიც შეესაბამება და შეესატყვისება ადამიანის ინტერესებს და იმყოფება ადამიანთა ადაპტაციის უნარის ფარგლებში. ამიტომაცაა, რომ ჩვენს დროში მეტად აქტუალურია პრაქტიკული გონების პრიმატის ანუ ზნეობის მიზნებისადმი მეცნიერული კვლევების დაქვემდებარების პრობლემა. ეს პრობლემა ერთიანად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა როგორც ჰუმანიტარული დარგის მეცნიერთათვის, ისე ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროს წარმომადგენლებისათვის.

[1] **ჭავჭავაძე ნ.**, კულტურა და ღირებულება, თბილისი, 1984 (რუსულ ენაზე), გვ. 133.

[2] **კაკაბაძე ზ.**, ხელოვნება, ცხოვრება, ფილოსოფია, თბ., 1979, გვ. 201.

**Iasha Kutubidze**

## MAN AND TECHNICAL PROGRESS


### SUMMARY

The author states that it is impossible to imagine progress of the contemporary humankind without development of science and therefore technique. It is just the technical civilization that creates a proper basis for such development though at the same time we have to take into consideration the fact that the problem of spiritual values has acquired an extremely acute and global character in the context of unprecedented progress of science and technique. Alongside with the constant growth of the role of science and technique in the sphere of social transformations it has become evident that scientific-technical progress entails not only positive results but is accompanied by such phenomena which necessarily require their considering, constant control and reasonable directing in order to ensure optional functioning of society. In other words, nowadays man's moral consciousness hangs behind the speed of progress of science and technique and this problem is to become a subject of special attention for representatives of different branches of science.

# როგორ გავხდეთ ადამიანი

*თამაზ ბაციკაძე,*
*სტუ-ს სრული პროფესორი*

მრავალი საუკუნის განმავლობაში ფსიქოლოგია ფილოსოფიის ნაწილი იყო. იოგთა სწავლება ფაქტიურად ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება ისევე, როგორც სუფიების სწავლება განიხილებოდა და განიხილება, როგორც რელიგიური და მეტაფიზიკური ფილოსოფია. მართლაც ფილოსოფიის დარგები: ლოგიკა, შემეცნების თეორია, ეთიკა, ესთეტიკა ფაქტიურად ადამიანის გონების ნაყოფია, რაც ფსიქოლოგიის საგანს წარმოადგენს.

ანტიკურ ხანაში ფსიქოლოგია ხელოვნების, პოეზიის, დრამის, ქანდაკების, ცეკვის და არქიტექტურის სფეროებში ღრმად იყო შეჭრილი, მაგალითისთვის გოთიკური ტაძრებიც კმარა. ამავე დროს ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში ფსიქოლოგია, ფილოსოფია და რელიგია შერწყმული იყო ერთმანეთთან დიდ და მცირე მისტერიებში.

ყველა არსებული ფსიქოლოგიური სისტემა შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს.

1. სისტემები, რომლებიც ადამიანს სწავლობენ იმგვარად, როგორიც ის არის ან იმგვარად, როგორადაც წარმოუდგენიათ.
2. სისტემები, რომლებიც ადამიანს სწავლობენ მისი შესაძლო განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით. ამ მიდგომით ფსიქოლოგია არის ადამიანის შესაძლო განვითარების პრინციპებისა და კანონების შემსწავლელი მეცნიერება.

აქ განვიხილავთ მეორე მიდგომის შესაბამის პრინციპებს, რომელთა კლასიფიცირება ცნობილმა ფსიქოლოგმა უსპენსკიმ მოახდინა. მისი მოსაზრების თანახმად, ადამიანი, როგორც მას ვიცნობთ, არის არასრულყოფილი არსება. ბუნება მას ავითარებს გარკვეულ დონემდე, შემდეგ კი უტოვებს შემდგომი განვითარების შესაძლებლობას. თითოეულ ადამიანზე არის დამოკიდებული გამოიყენებს იგი ამ შესაძლებლობას თუ არა. ადამიანის ევოლუცია ამ შემთხვევაში გულისხმობს მისი ისეთი შინაგანი თვისებების განვითარებას, რომელთა განვითარება თავისთავად არ ხდება. ევოლუციის გზაზე ადამიანი სხვა ადამიანად უნდა იქცეს, მაგრამ ამისათვის შინაგანი ძალების (ნებელობის) ქონაა საჭირო. ყველას არ შეუძლია ამის მიღწევა. ადამიანის ევოლუცია — ადამიანის პირადი ძალისხმევის შედეგია და საკაცობრიო მასშტაბით არათუ ხშირი, არამედ შეიძლება ითქვას იშვიათია.

რატომ არ შეუძლია ყველა ადამიანს განვითარდეს და სხვა არსებად იქცეს? პასუხი მარტივია — იმიტომ, რომ მათ ეს არ სურთ. ადამიანის ევოლუცია დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ესმის მას რისი მიღწევა შეუძლია და რა უნდა დათმოს ამ მიზნის მისაღწევად. თუ ადამიანი კმაყოფილია თავისი თავის, მაშინ ის ვერ განვითარდება და ეს სავსებით სამართლიანია.

რას ნიშნავს ადამიანური არსების ევოლუცია? ეს არის ადამიანის მიერ იმ ახალი ძალებისა და უნარების შეძენა, რომლებიც მას არ აქვს. მაგრამ სირთულე ისაა, რომ: ვიდრე ადამიანი ახალი, მისთვის უცნობი, უნარების შეძენასა და განვითარებას დაიწყებდეს, ჯერ ის უნარები და ძალები უნდა შეიძინოს, რომლებიც ასევე არ გააჩნია, თუმცა ჰგონია, რომ უკვე გააჩნია და მათი გამოყენება შეუძლია. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ადამიანი არ იცნობს საკუთარ თავს. მას უამრავი არასწორი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. პირველ რიგში, არ ესმის, რომ იგი არის მანქანა. მას არ გააჩნია დამოუკიდებელი მოძრაობები და მოქმედებანი. მისი მოძრაობები გარეგანი ზეგავლენებით არის გამოწვეული. ყველა მისი მოძრაობა, მოქმედება, სიტყვა, იდეა, ემოცია, აზრი გარე მოვლენებით აღიძვრება. იგი ავტომატია გარკვეული წარსული გამოცდილებითა და ენერგიით თუმცა ადამიანს ეს ვერ წარმოუდგენია, რადგან იგი განსაკუთრებული მანქანაა, რომელმაც გარკვეული პირობების შექმნით შეიძლება გაიაზროს ეს და მოძებნოს გზა, რომ აღარ იყოს მანქანა.

პირველი, რაც ადამიანმა უნდა გაარკვიოს, არის ის, რომ იგი არ არის რაღაც ერთი, გარკვეული და უცვლელი ,,მე''. იგი ყოველთვის განსხვავებულია. ერთ მომენტში ერთია, მეორე მომენტში — მეორე და ა.შ.

უცვლელობის განცდა გამოწვეულია საკუთარი ფიზიკური სხეულის შეგრძნებით და იმ მექანიკური თვისებებით, რომლებიც განათლებით ან მიბაძვით არის შექმნილი. ყოველ მოცემულ მომენტში ყოველი ,,მე'' არის მხოლოდ მცირე ნაწილი ჩვენი ,,ტვინის'', ,,აზრების'' ან ,,ინტელექტის''. როდესაც ადამიანი ამბობს "მე", ის თავის თავს განიცდის როგორც მთლიან არსებას, სინამდვილეში ეს მხოლოდ მომენტალური შეგრძნებაა.

ყოველ მომენტალურ ,,მე''-ს შეგრძნებას ცვლის სხვა ,,მე''-ს შეგრძნება, ისე რომ წინა მომდევნოსთან კავშირშიც კი არ არის.

ახლა ვნახოთ, რაში მდგომარეობს განვითარება და რა გვაქვს მხედველობაში, როცა ვამბობთ, რომ ადამიანს შეუძლია სხვა არსება გახდეს.. ანუ რა

ცვლილებებია შესაძლებელი ადამიანში და როდის იწყება ისინი. პირველ რიგში, ადამიანი უნდა გაერკვეს, რა თვისებები აქვს და რა არა. აქ თავის მოტყუებითა და დაბნეულობით არაფერი გამოვა. თუ ის ფიქრობს, რომ უკვე აქვს ინდივიდუალურობა, მუდმივი ‘‘მე’’, ობიექტური ცნობიერება და ნებელობა, მაშინ იგი არ მოინდომებს ძალისხმევას ამ თვისებების შესაძენად.

ყველაზე მატყუარა ადამიანური თვისება არის ცნობიერება. რა არის ცნობიერება? ჩვეულებრივად იგულისხმება ინტელექტში გამოხატული ტვინის აქტიურობა. სინამდვილეში ცნობიერება პირველ რიგში არის საკუთარი თავის გაცნობიერების უნარი, თუ ვინ ხარ შენ, რა იცი და რა არ იცი. მხოლოდ თვით ადამიანმა იცის არის თუ არა იგი ცნობიერი ყოველ განსაზღვრულ მომენტში. ცნობიერება ან არის ან არ არის. ცნობიერების მაღალ საფეხურზე იქმნება მეხსიერება.

ცნობიერებას რამდენიმე ხარისხი გააჩნია, რომლებსაც შეიძლება საკუთარ თავში დავაკვირდეთ:

1. ცნობიერების ხანგრძლივობა ანუ ადამიანის მიერ ცნობიერების ფლობის დრო;
2. ცნობიერების გავლენის სიხშირე – რამდენად ხშირად იმყოფება ადამიანი ცნობიერ მდგომარეობაში;
3. ცნობიერების სიღრმე, რომელიც ადამიანის განვითარების დონეზე არის დამოკიდებული.

ჩავატაროთ ცდა: ავიღოთ საათი, შევეცადოთ შევჩერდეთ ერთ მარტივ აზრზე, მაგალითად, ‘‘საათი აჩვენებს დროს’’. მოვიშოროთ ყველა სხვა აზრი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დაძაბვით ამ ერთ აზრზე შეჩერება მაქსიმუმ ორი წუთის განმავლობაში შეიძლება. ეს არის ჩვენი ცნობიერი მდგომარეობის ზღვარი. ცდის გამეორების შემთხვევაში უარეს შედეგს მივიღებთ. ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ ადამიანს ჩვეულებრივ მდგომარეობაში დიდი გაჭირვებით შეუძლია ერთი საგნის ან მოვლენის გაცნობიერება ორი ან ნაკლები წუთის განმავლობაში. ხანგრძლივი ცნობიერების ილუზია გამოწვეულია მეხსიერებითა და აზროვნების პროცესით.

საერთოდ, ადამიანს, ცნობიერების შემდეგი ოთხი მდგომარეობა ახასიათებს: ძილი, ღვიძილი, თვითცნობიერება და ობიექტური ცნობიერება.

მიუხედავად ამისა, ძირითადათ ადამიანი პირველ ორ მდგომარეობაში ცხოვრობს: სიცოცხლის ნაწილს ძილში ატარებს, დანარჩენს კი ღვიძილის მდგომარეობაში, რომელიც შინაარსობრივად მცირედ განსხვავდება პირველისაგან.

ჩვეულებრივ ცხოვრებაში ადამიანმა არაფერი იცის ‘‘ობიექტური ცნობიერების’’ შესახებ, ამის შემოწმება ექსპერიმენტით შეუძლებელია.

რაც შეეხება მესამე მდგომარეობას, ‘‘თვითცნობიერებას’’, ყოველ ადამიანს ჰგონია, რომ ფლობს მას, თუმცა სინამდვილეში ამგვარ მდგომარეობაში ყოფნა მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში ხორციელდება და დამოკიდებულია მაღალ ემოციურ მდგომარეობაზე საშიშროების მომენტში, უცხო და მოულოდნელ სიტუაციაზე და მხოლოდ იშვიათად ვლინდება ჩვეულებრივ მდგომარეობაში, რომლის დროსაც ადამიანი ვერ აკონტროლებს თავს.

ვცადოთ მოვიგონოთ წარსული. აღმოჩნდება, რომ მთელი განვლილი ცხოვრებიდან უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე ათეული ეპიზოდი გვახსოვს. ამასთან ზოგიერთი ძალზე ცოცხლად, ზოგიერთი ცუდად, ზოგიერთი კი არ გვახსოვს, მაგრამ ვიცით, რომ ისინი მოხდა. გაგიკვირდებათ, რა ცოტა რამ შემორჩა მეხსიერებას განვლილი სიცოცხლის მანძილზე (განსაკუთრებით ხანში შესულ ადამიანებს). ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ გვახსოვს მხოლოდ ის მომენტები, როცა ‘‘თვითცნობიერების’’ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით. ეს მომენტები მოდის და მიდის თავისთავად ჩვენი სურვილისაგან დამოუკიდებლად და აღიძვრება გარემო ვითარების მიერ, შემთხვევითი ასოციაციების ან ემოციური მოგონებებისაგან. დაისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ვაკონტროლოთ ‘‘თვითცნიბიერების’’ ეს მომენტალური გაელვებანი, გამოვიწვიოთ ისინი სურვილის მიხედვით, შევინახოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ან სულაც მთელი ცხოვრების მანძილზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეგვიძლია თუ არა გავხდეთ ცნობიერნი?

ეზოთერიაში ცნობილია, რომ სწორი მეთოდებისა და სათანადო ძალისხმევის შედეგად შესაძლებელია ცნობიერებაზე კონტროლის მოპოვება ანუ საკუთარი თავის შეცნობა (‘‘თვითცნობიერ’’ მდგომარეობაში ყოფნა სურვილის მიხედვით). რა წინააღმდეგობები გვეღობება ამ გზაზე? მთავარი დაბრკოლება შემდეგში მდგომარეობს: ჩვენ გვგონია, რომ კარგად ვიცნობთ საკუთარ თავს, მაშინ როცა სინამდვილეში თითქმის არ ვიცნობთ საკუთარ თავს და არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ ჩვენს უბრალო მოქმედებებშიც კი. განვითარებაზე ზრუნვა საკუთარი თავის შესწავლით უნდა დავიწყოთ, ისე როგორც ვსწავლობთ რაიმე რთულ მანქანას: უნდა გავარკვიოთ მისი ნაწილების დანიშნულება, მისი ფუნქციები, არასწორი მუშაობის მიზეზები და სხვ. სავსებით ამგვარად უნდა მივუდგეთ ადამიანსაც, რომელსაც შვიდი ძირითადი ფუნქცია აქვს:

1. აზროვნება (ანუ ინტელექტი);
2. გრძნობები (ანუ ემოციები);
3. ინსტინქტური ფუნქცია (ორგანიზმის შინაგანი მუშაობა);
4. მამოძრავებელი ფუნქცია (ორგანიზმის გარეგანი მუშაობა-მოძრაობა);
5. სქესობრივი ფუნქცია;
6. უმაღლესი ემოციური ფუნქცია, რომელიც თვითცნობიერებას ახასიათებს;
7. უმაღლესი გონებრივი ფუნქცია, რომელიც ობიექტურ ცნობიერებას ახასიათებს.

რელიგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხშირად გვხდება მაგალითები უმაღლესი ცნობიერებისა და უმაღლესი ფუნქციების შესახებ. ზოგჯერ მას "კოსმოსურ ცნობიერებასაც" უწოდებენ. თვითშემეცნება პირველი ოთხი ფუნქციის შესწავლიდან უნდა დავიწყოთ.

1. **აზროვნების ფუნქცია**. აქ იგულისხმება აზრობრივი პროცესი: შთაბეჭდილებების შეცნობა, შეხედულებათა და ცნებათა ფორმირება, შედარება, განხილვა, დამტკიცება, უარყოფა, სიტყვის ფორმირება და მეტყველება, წარმოდგენათა ანალიზი და სხვ.

2. **გრძნობები (ემოციები)**. აქ შედის: სიხარული, გლოვა, შიში, გაოცება და სხვ. თუ თქვენ გგონიათ, რომ იცით, რითი განსხვავდება ეს გრძნობები აზრებისაგან, თქვენ ცდებით. ჩვენ ერთმანეთში ვურევთ აზრსა და გრძნობას ჩვეულებრივ ყოველდღიურ აზროვნებასა და საუბარში.

3. **ინსტინქტური ფუნქცია**. აქ შედის შემდეგ ფუნქციათა ოთხი კლასი:

ა) ორგანიზმის მთელი შინაგანი მუშაობა, მთელი ფიზიოლოგია: საჭმლის მონელება და შეთვისება, სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, შინაგანი ორგანოების მუშაობა, ახალი უჯრედების წარმოქმნა და გადამუშავებული ნივთიერებების გამოყოფა. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობა და სხვ. ბ) ადამიანის ხუთი გრძნობა: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეხება და სხვა ისეთი შეგრძნებები, როგორიცაა წონის, ტემპერატურის, სიმშრალის, სისველის და სხვ. ასეთი. გ) ყველა ფიზიკური ემოცია ანუ შეგრძნებები, რომლებიც ან სასიამოვნოა, ან არასასიამოვნო: ტკივილი, სასიამოვნო ან არასასიამოვნო სუნი, გემო, ხმა და სხვ. დ) ყველა რეფლექსი და ფიზიკური მეხსიერების სახეები: სიცილი, მთქნარება, გემო, სუნი, ტკივილი და ა.შ.

4. **მამოძრავებელი ფუნქცია**. შეიცავს ყველანაირ გარეგან მოძრაობას: სიარული, საუბარი, წერა და ყველა სახის ინსტიქტური მოძრაობა.

ინსტიქტურ და მამოძრავებელ ფუნქციებს შორის განსხვავება ადვილი დასანახია, რადგან ყველა ინსტიქტური ფუნქცია თანდაყოლილია და ორგანიზმის ზრდის პროცესში მათი შესწავლა აღარ არის საჭირო. ამის საწინააღმდეგოდ მამოძრავებელი ფუნქციები არ არის თანდაყოლილი და მათ ადამიანი დაბადებიდან ეუფლება. ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ფუნქციის შესწავლა მათი ყველა გამოვლინების გაგებით უნდა მოხდეს და შემდეგ უნდა დავაკვირდეთ მათ საკუთარ თავში.

დავუბრუნდეთ ადამიანის ცნობიერების მდგომარეობას. ყველაზე ქვედა საფეხური არის ძილი. ძილი არის სუბიექტური და პასიური მდგომარეობა. ადამიანი გარემოცულია სიზმრებით, ყველა მისი ფსიქიკური ფუნქციები გაურკვეველი მიმართულებით მუშაობს. სიზმარში დაკარგულია ლოგიკა, თანამიმდევრობა, მიზეზობრიობა და შედეგი. სუბიექტური სურათები – წარსული განცდების ანარეკლი, ისეთი ბუნდოვანი შეგრძნებების ფიქსაცია, როგორიცაა ხმაური. კუნთების დაძაბვით გამოწვეული სუსტი ტკივილი – ხანდახან სუსტ კვალს სტოვებს მძინარე ადამიანის მეხსიერებაში, უფრო ხშირად კი უკვალოდ ქრება.

ცნობიერების მეორე მდგომარეობა დგება, როცა ადამიანი იღვიძებს. ეს ის მდგომარეობაა, რომელშიც ჩვენ ვმუშაობთ, ვსაუბრობთ, ვთამაშობთ, ვთვლით ჩვენ თავს ფხიზელ ცნობიერ არსებად. სინამდვილეში ამ მდგომარეობას "მღვიძარე ძილის" მდგომარეობა ან " ფარდობითი ცნობიერება" უნდა ერქვას. საქმე ისაა, რომ ძილის გავლენა შენარჩუნებულია, მაგრამ ამ გავლენას კრიტიკულად ვუდგებით, აზროვნება უფრო მკაცრი ხდება, ჩნდება წინააღმდეგობრიობისა და შეუძლებლობის შეგრძნება, რაც ძილისთვის უცნობია. შეიძლება ითქვას, რომ ძილი უხილავი ხდება, როგორც მთვარე და ვარსკვლავები მზის სინათლეზე. ძილი წმინდა სუბიექტური მდგომარეობაა. ღვიძილი ნაკლებად სუბიექტურია, ადამიანი უკვე არჩევს "მე"-ს და არა "მე"-ს. გარკვეული ხარისხის ორიენტირებს გარეგან საგნებსა და მოვლენებს შორის. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ღვიძილის მდგომარეობაშია, რადგან ნაწილობრივ იმყოფება ძილის ზემოქმედების ქვეშ. ადამიანის ცხოვრების ყველა პიროვნული წინააღმდეგობა გან-პირობებულია იმით, რომ ადამიანები ცხოვრობენ ძილში, მოქმედებენ ძილში ისე, რომ ვერ ხვდებიან რომ სძინავთ.

სასარგებლოა იმის გახსენება, რომ ძველ ქრისტიანულ სწავლებაში, რომელიც სახარებისეულ სწავლებას ეკუთვნის, იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანს სძინავს და, უპირველეს ყოვლისა, მისი გამოღვიძებაა საჭირო, საფუძვლად უდევს ადამიანური ცხოვრების ახსნა-განმარტებას.

ახლა დავსვათ კითხვა: როგორ უნდა მოხდეს ადამიანის გამოღვიძება? სახარება მოგვიწოდებს გამოღვიძებისაკენ, მაგრამ არ გვეუბნება როგორ, ფაქტია, რომ ადამიანი ვერ გამოიღვიძებს თუ არ გააცნობიერა, რომ სძინავს.

ზემოთ განხილული "ძილი" და "მღვიძარე ძილი" არის ორი მდგომარეობა, რომელშიც ჩვეულებრივი ადამიანი ატარებს მთელ ცხოვრებას.

შემდეგი ორი მდგომარეობა არსებობს, როგორც შესაძლებლობა, რომელთა მიღწევა შეუძლია ადამიანს მხოლოდ მძიმე და ხანგრძლივი შრომის შედეგად.

როგორც უკვე ითქვა, ამ ორ უმაღლეს ცნობიერების მდგომარეობას ეწოდება "თვითცნობიერება" და "ობიექტური ცნობიერება". როგორც წესი, ადამიანები თვლიან, რომ ფლობენ თვითცნობიერებას, მაგრამ სინამდვილეში "თვითცნობიერება" არის მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ მივაწერთ ჩვენს თავს სავსებით უსაფუძვლოდ.

რაც შეეხება "ობიექტურ ცნობიერებას", მის შესახებ ჩვეულებრივმა ადამიანმა არაფერი იცის.

თვითცნობიერება არის მდგომარეობა, რომელშიც ყოფნის დროს ადამიანი ობიექტური ხდება

საკუთარი თავის მიმართ. ობიექტური ცნობიერება არის მდგომარეობა, რომელშიც ყოფნის დროს ადამიანი ამყარებს კონტაქტს ობიექტურ სამყაროსთან (რეალობასთან), რომლისგანაც სხვა დროს გამოცალკავებულია გრძნობების, ძილისა და თვითცნობიერების გამო. ობიექტური ცნობიერების მდგომარეობაში ადამიანს ჭეშმარიტების შემეცნების საშუალება ეძლევა.

ძილის მდგომარეობაში ჩვენ არაფერი ვიცით ჭეშმარიტების შესახებ. რეალური შეგრძნებები ირევიან სიზმარში და შეუძლებელი ხდება რეალობისა და სიზმრული მდგომარეობის გამიჯვნა.

ე.წ. “მღვიძარე ძილის” მდგომარეობაში, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ფარდობითი ჭეშმარიტების შესახებ შევიქმნათ წარმოდგენა, ამიტომაც ამ მდგომარეობას “ფარდობითი ცნობიერების” მდგომარეობაც ეწოდება.

მესამე მდგომარეობაში, ანუ “თვითცნობიერების” მდგომარეობაში ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ ჭეშმარიტი ცოდნა საკუთარ თავზე.

მეოთხე მდგომარეობაში, ანუ “ობიექტური ცნობიერების” მდგომარეობაში ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ ჭეშმარიტი ცოდნა ყველაფერზე, მთლიანად რეალურ სამყაროზე, როგორიც ის არის. ეს მდგომარეობა იმდენად მაღალია, რომ მის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა ძალზე ძნელია, მაგრამ ობიექტური ცნობიერების ცალკეულ გაელვებას ადგილი აქვს განვითარებული თვითცნობიერების მქონე ადამიანში. თვითცნობიერების მდგომარეობის სიხშირე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს საკუთარი თავის მართვა. ანუ ცნობიერება და ნებელობა ერთი და იმავე მოვლენის ორ ასპექტს წარმოადგენს.

აქ უნდა გავიმეოროთ, რომ პირველი დაბრკოლება ადამიანის თვითცნობიერების განვითარების გზაზე არის ადამიანის ცრუ რწმენა იმისა, რომ იგი უკვე ფლობს ამ მდგომარეობას ან ყოველ შემთხვევაში, სურვილის მიხედვით შეუძლია მისი გამოწვევა. ძალიან ძნელია მისი საწინააღმდეგოში დარწმუნება და, აი, რატომ.

როცა თქვენ მას ეკითხებით აქვს თუ არა ცნობიერება, ის გპასუხობთ, რომ, რასაკვირველია, აქვს. აქ ის მართალიც არის და მტყუანიც. მართალია იმიტომ, რომ თქვენმა კითხვამ წამიერად გააღვიძა მასში ბუნდოვანი ცნობიერება. შემდეგ მომენტში ის ისევ გაქრა, თუმცა მას ახსოვს თქვენი კითხვა და თავისი პასუხი და ამდენად თვლის, რომ ცნობიერია. სინამდვილეში, როგორც ზემოთ ითქვა, თვითცნობიერების მიღწევას ხანგრძლივი და მძიმე შრომა სჭირდება.

როგორ შეიძლება დაითანხმო ადამიანი ამგვარი შრომისათვის, როცა იგი დარწმუნებულია მის ფლობაში? აქედან ცხადია, რომ სურვილი თვითცნობიერების მიღწევისა გაჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანი დარწმუნდება, რომ არ გააჩნია არც თვითცნობიერება და არც მასთან დაკავშირებული ინდივიდუალურობა, მუდმივი “მე” და ნებელობა. ზემოთ ჩვენ სიტყვა სიცრუე (ტყუილი) ვახსენეთ. რა არის ტყუილი? აზრობრივად ტყუილი არის სიმართლის დამახინჯება, უარყოფა ან დამალვა (სიმართლეში იგულისხმება ის, რასაც საზოგადოება ამ ეტაპზე სიმართლედ მიიჩნევს). სიცრუეს უდიდესი როლი უკავია საზოგადოების ცხოვრებაში. ჩვენთვის საინტერესოა სიცრუის ისეთი ფორმა, როცა ადამიანმა არ იცის, რომ იგი ტყუის. როგორც უკვე ითქვა, ჭეშმარიტების შემეცნება მხოლოდ “ობიექტური ცნობიერების” მდგომარეობაშია შესაძლებელი. ამიტომ ყველა სხვა მდგომარეობაში ჩვენ არ შეგვიძლია ჭეშმარიტების ცოდნა, მაგრამ ხშირად გვაქვს პრეტენზია მის ცოდნაზე, რაც არის ტყუილი. ამგვარი ტყუილებით არის გაჯერებული მთელი ჩვენი ცხოვრება. ადამიანები ყოველგვარი მოვლენების ცოდნაზე აცხადებენ პრეტენზიას მაშინ, როცა საკუთარ თავსაც კი არ იცნობენ და ყოველთვის, როცა ისინი ლაპარაკობენ რაიმე მოვლენაზე, რომელიც არ იციან ისე, თითქოს იციან, ისინი ცრუობენ (ხშირად ფსიქოლოგიას უწოდებენ მეცნიერებას სიცრუის შესახებ).

ფსიქოლოგიას განსაკუთრებით აინტერესებს ადამიანის მიერ შეგნებულად თავის მოტყუების პროცესი, რადგან ეს მოვლენა ართულებს ადამიანის შესწავლას. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი არის იმიტაცია მისი ნამდვილი სახისა. შეუძლებელია მისი შესწავლა, როგორც ერთი მთლიანისა, რადგან იგი მუდამ ორ ნაწილად არის გაყოფილი. ჩვეულებრივ ადამიანებში ორივე ნაწილი არეულია ერთმანეთში და მათი გარჩევა ძალზე რთულია, თუმცა თითოეულს აქვს თავისი განსაკუთრებული დანიშნულება და ფუნქციები. ამ ნაწილებს ფილოსოფიაში არსი და პიროვნება ეწოდება.

არსი არის ის, რაც ადამიანს ეკუთვნის დაბადებიდანვე. პიროვნება არის ის, რასაც ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში იძენს და ქმნის. არსის დაკარგვა, შეცვლა, დამახინჯება თითქმის შეუძლებელია. პიროვნების შეცვლა გარემოებათა ცვლილებაზე არის დამოკიდებული, მისი დაკარგვაც შესაძლებელია. არსი არის ადამიანის გონებრივი და ფიზიკური ხასიათის საფუძველი. არსის მაგალითებია: მუსიკალური სმენა, ხატვის ნიჭი, ლინგვისტური და მათემატიკური ნიჭი და სხვა.

თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანს უნდა მოსწონდეს, რაც კარგია და არ მოსწონდეს ის, რაც ზიანის მომტანია. მაგრამ ასე ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ჯანმრთელია და სულიერ წონასწორობაში იმყოფება. პირიქით ხდება, როცა პიროვნება პრივალირებს არსზე.

ნორმალურ ადამინში არსი დომინირებს პიროვნება-

ზე და ამიტომ პიროვნება საზოგადოებისთვის სასარგებლო ხდება. არსი და პიროვნება პარალელურად უნდა ვითარდებოდეს და ერთმა მეორეს განვითარებაში არ უნდა გაუსწროს. შემთხვევას, როცა არსი განვითარებაში უსწრებს პიროვნებას, ადგილი აქვს გაუნათლებელ ადამიანებში. ეს უბრალო ადამიანები კეთილები და ჭკვიანებიც არიან, მაგრამ არ აქვთ პიროვნების განვითარების უნარი. შემთხვევა, როცა პიროვნების განვითარება უსწრებს არსის განვითარებას, გავრცელებულია კულტურის სფეროს წარმომადგენლებში.

პიროვნების სწრაფი და ნაადრევი ზრდის დროს არსის ზრდა ფერხდება და შეიძლება შეწყდეს კიდეც, რის გამოც გარეგნულად სავსებით მომწიფებული ქალები და კაცები არსით 10-12 წლის ბავშვის დონეზე რჩებიან. მათ "ინფანტილურ" ადამიანებს უწოდებენ.

როგორც უკვე ითქვა, ადამიანის შესწავლა მისი ოთხი ფუნქციის შესწავლით უნდა დავიწყოთ. ეს ფუნქციებია: ინტელექტუალური, ემოციური, მამოძრავებელი და ინსტიქტური. თითოეული მათგანი ტვინის გარკვეული ცენტრით იმართება. ცენტრები, მათი სტრუქტურა, თვისებები, ძლიერი მხარეები და დეფექტები დაკავშირებულია არსთან. ხოლო მათი შინაარსი ანუ ყოველივე, რასაც ეს ცენტრები ცხოვრების მანძილზე გადაამუშავებენ და ითვისებენ, დაკავშირებულია პიროვნებასთან.

აქედან ჩანს, რომ პიროვნება ადამიანის განვითარებისათვის ისევე საჭიროა, როგორც არსი, მაგრამ თავისი ადგილი უნდა ეკავოს. ამის მიღწევა მეტად რთულია, რადგან პიროვნებას მცდარი წარმოდგენა აქვს თავის თავზე. მას არ უნდა, რომ იცოდეს სიმართლე რადგან სიმართლის ცოდნა არსისადმი დაქვემდებარებულს გახდის.

არსისა და პიროვნების შეუთანხმებელი ურთიერთობა დამახასიათებელია დღევანდელი ადამიანისათვის, რომელიც სერიოზულ სულიერ დისკომფორტს განიცდის, რაც ნერვოზებისა და დეპრესიების სახით ვლინდება. გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არის საკუთარი თავის შესწავლა.

საკუთარი თავის შესწავლა ყველა დროის ეზოთერული ცოდნის მთავარი პრინციპი იყო (გავიხსენოთ აპოლონის ტაძრის წარწერა "შეიცან თავი შენი"). სწავლა იწყება თვით დაკვირვებით, მაგრამ ამისათვის ჯერ დაკვირვება უნდა ვისწავლოთ ანუ მისი ტექნიკური მხარე. საჭიროა, დავაკვირდეთ ადამიანის სხვადასხვა ფუნქციას, დავაკავშიროთ და განვასხვავოთ ისინი.

ამგვარი დაკვირვება შედეგს მალე მოიტანს. ადა-მიანი დაინახავს, რომ ზოგიერთი რამ მოსწონს, ზოგიერთი კი აღშფოთებასაც იწვევს. სხვანაირად არ შეიძლება იყოს. ის განასხვავებს სასარგებლო და მავნე ჩვევებს, რომლებიც ხელს უშლის მის გან-ვითარებას. რა მავნე ჩვევები აქვს ზოგად სტატის-ტიკურ ადამიანს?

ძირითადი უარყოფითი თვისებებია: სიცრუე, ფანტაზია, უარყოფითი ემოციები, ლაყბობა, არასრულფასოვნება და სხვა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

იცრუო – ნიშნავს თქვა ის, რაც არ იცი, ისე, თითქოს იცი ან შეგნებულად დაამახინჯო სინამდვილე. აქ ლაპარაკი არ არის მორალურ მხარეზე, არამედ სიცრუე განიხილება სარგებლობისა მავნებლობის მიხედვით. როცა ადამიანი თავის ქმედებებს ამ მიმართულებით დააკვირდება, დაინახავს, რომ რაც მეტად გააკონტროლებს მათ, მით ნაკლები იქნება მოყენებული ვნება. როცა ადამიანი ამას გააცნობიერებს, მას შეეშინდება სიცრუის, რომელსაც არათუ ვერ აკონტროლებს, არამედ თვითონ ექცევა მისი კონტროლის ქვეშ.

შემდეგი დამაბრკოლებელი თვისება ფანტაზიაა. თვითდაკვირვებით ადამიანი მალე აღმოაჩენს, რომ ფანტაზია ხელს უშლის ობიექტურ დაკვირვებას და წარმოადგენს თავის მოტყუების საშუალებას. ადამიანს არ მოსწონს ობიექტური დაკვირვების შედეგები და თავის გასამართლებლად იწვევს ფანტაზიას.

უარყოფითი ემოციებია: დეპრესია, აგრესია, მრისხანება, შიში, ეჭვი, შფოთი, დარდი, უნდობლობა და სხვა. ჩვეულებრივ თვლიან, რომ ეს თვისებები ადამიანისთვის ბუნებრივი და საჭიროც კი არის. ამ თვისებათა გამოვლენას გულწრფელობასაც მი-აწერს. თუმცა ეს თვისებები ადამიანის სისუსტის გამოვლენაა და არა გულწრფელობა. ადამიანი ამაში დარწმუნდება, როცა წინ აღუდგება მათ. წინა-აღმდეგობის გარეშე მათი აღმოჩენა საკუთარ თავში ვერ მოხდება.

ლაყბობა – გადამეტებული ლაპარაკის სურვილი, ადამიანის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია. ამ ნაკლის მქონე ადამიანი ლაპარაკობს ყველგან განუწყვეტლივ. არ ჩერდება არასდროს და თუ მსმენელი არ ჰყავს საკუთარ თავთანაც ლაყბობს.

გაიგივება – მდგომარეობაა, რომელსაც ადამიანი თითქმის ნახევარ სიცოცხლეს უთმობს. იგი აიგი-ვებს თავის თავს ყველაფერთან: იმასთან, რასაც ლაპარაკობს, რასაც გრძნობს, რისი სჯერა და არ სჯერა, რაც იზიდავს და არ იზიდავს. ის ერწყმის ყველაფერს და ამ მდგომარეობაში არ შეუძლია ობიექტურად შეაფასოს გარე მოვლენები, ამავე დროს გაიგივების მდგომარეობაში ადამიანი ნაკლებად აკონტროლებს თავის მექანიკურ რეაქციებს, ვიდრე სხვა დროს.

არასრულფასოვნების გრძნობა ფაქტიურად არის მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანს მუდმივად აწუხებს, თუ რას ფიქრობენ სხვა ადამიანები მასზე. საკმარისად სცემენ თუ არა პატივს; ხომ არ დასცინიან და ა.შ. ეს გრძნობა იწვევს შფოთს, ნერვიულობას, ეჭვს და სხვ.

თვით შესწავლის პროცესში აუცილებელია გაიგივებისა და არასრულფასოვნების სერიოზულად დაფიქსირება. მხოლოდ მათი შესწავლით შეიძლება მათივე დამარცხება.

# სოციალური განწყობების წარმოშობის საფუძველი

*გიორგი ტალახაძე,*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,*

სოციალურ ფსიქოლოგიაში დაგროვებული და შეკრებილ იქნა საკმაოდ ვრცელი ფაქტობრივი მასალა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდა გარკვევა იმ მოვლენისა, რომ ადამიანს არ შეუძლია სხვადასხვა ღირებულებათა შექმნა-დაუფლება, შესაბამისი სოციალური ქცევების განხორციელება თუ ასეთი საქმიანობის აუცილებლობის გააზრებასთან ერთად მას არა აქვს ამნაირი მოქმედებისათვის საჭირო სოციალური განწყობები.

დიმიტრი უზნაძის მიერ ჩამოყალიბებული განწყობის თეორია ამტკიცებს, რომ ადამიანზე, მისი საქმიანობის პროცესში მომხდარი რეალური სინამდვილის ზეგავლენა და აგრეთვე მასზე, მისი ფსიქიკური უკუგავლენა შეუძლებელია გააზრებული იყოს ფიზიკური კანონზომიერების საფუძველზე. ე.ი. ადამიანის ურთიერთობა სამყაროსთან, ფიზიკური მოვლენების ურთიერთზემოქმედებისაგან განსხვავებით, უშუალო კავშირშია ადამიანისათვის დამახასიათებელი ფსიქოფიზიკური მდგომარეობით, განწყობით, რომელიც წარმოიშობა ფსიქოლოგიური კანონზომიერებების საფუძველზე და იწვევს ადამიანის ფსიქიკურ, იგივე სულიერ აქტივობას.

სოციალური ფსიქოლოგია ახალი მეცნიერებაა, რომელიც წარმოიშვა XX საუკუნის მეორე ნახევარში. ამერიკაში და შემდეგ გავრცელდა დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, სოციალურ სფეროში დაგროვებული პრობლემების გადასაჭრელად და შეიკრიბა უამრავი ემპირიული მონაცემი, ხოლო ქართველმა ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ, სოციალურ ღირებულებათა შექმნის და ფლობის, მათ საძირკვლად დასვა დადებული განწყობების ჩამოყალიბების, მოქმედების საკითხები, ჯერ კიდევ, XX საუკუნის 40-იან წლებში.

ადამიანის ფსიქიკური აქტივობა თავისებურია, რთული ბუნების არის და მისი გაგებაც პრობლემატურ ხასიათს იძენს. განსაკუთრებით, ისეთ სფეროში, როგორიც არის სოციალური, გააზრებული საქმიანობა. ექსპერიმენტულ გამოკვლევათა საფუძველზე ვითარდებოდა განწყობის პრობლემის შემდგომი დამუშავება და გაჩნდა აუცილებლობა შესწავლილი ყოფილიყო სოციალური ღირებულებები, სოციალური ქცევის სხვადასხვა ფაქტორი და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი მოთხოვნილებები. განწყობები, სადაც, ამ ფორმის, განუმეორებელი სოციალურ და პიროვნული ფაქტორები აისახება, გამოვლინდება, ბუნებრივია, ფსიქიკური აქტივობის მაღალ ცნობიერ საფეხურზე წარმოიშობა.

უზნაძის თეორიის თანახმად თავისთავადი ფსიქიკური აქტივობის ბუნების გააზრება ხდება სოციალურ-მორალური მოთხოვნილებების გავლენით, შექმნილ განწყობათა საფუძველზე, რაც, ცხადია, ფორმირდება ცნობიერების საშუალებით, სადაც ნებელობაც მონაწილეობს. ე.ი. ცნობიერების, ნებელობის მეშვეობით, ინდივიდს ექმნება ისეთი განწყობა, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელია სოციალური მოთხოვნების შესაბამისი გააზრებული ქცევის შესრულება.

ცნობიერების უნარის მქონე პიროვნება, როგორც კვლევებმა დაადასტურა, ყველა თავის ქცევას, წინასწარი გააზრების, დაგეგმვის შედეგად არ ასრულებს, მისი ყოველდღიური მოქმედება განწყობის საფუძველზე ბუნებრივად, განსაზღვრული მოთხოვნილებების, მიზნების შესაბამისად მიედინება. იგი საკუთარ აზროვნებას, მხოლოდ მაშინ იყენებს, როცა მის საქმიანობაში რაღაც დაბრკოლება, წინააღმდეგობა იჩენს თავს, რაც პრობლემებს უქმნის რეალურ სინამდვილეში, საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან და ა.შ. პიროვნების აქტივობა, განწყობის საფუძველზე, განსხვავებულ შესაძლებლობებს იძენს, იმის შესაბამისად, თუ სინამდვილე რა პირობებს უყენებს მას და, აქედან გამომდინარე, იგი თავის მოქმედებაში, საქმიანობაში ჩართავს ფსიქიკური აქტივობის განსხვავებული უნარის ძალებს, საშუალებებს არაცნობიერი ქცევიდან შეგნებულ მოქმედებამდე.

ადამიანი არის სოციალურ არსება ანუ მისი პიროვნება მოიცავს სოციალურ ურთიერთობაში მოცემულ ღირებულებებს: რელიგიური, მორალურ-ეთიკური, პოლიტიკური და ა.შ. ის მოღვაწეობს საზგადოებაში, არსებული მოთხოვნილების გავლენით, ეწევა შესაბამის საქმიანობას, რომელიც, ცხადია, ითვალისწინებს სხვა ადამიანთა მოთხოვნილებებსაც. ამ შემთხვევაში, საქმის გაკეთება, შესრულება შეუძლებელია უშუალო მოთხოვნილებებიდან გამოსვლით, რადგან მხოლოდ ჩვენი პირადი მოთხოვნილებებში აღმოცენებულ განწყობილებებში არ აისახება არც სხვისი მოთხოვნილებები და სოციალურ ღირებულებები, რომელზედაც ადამიანის გააზრებული ქცევებია მიმართული.

საზოგადოებაში ხდება პიროვნების ჩამოყალიბება, ის აღიარებს მის უფლებებს და იმავდროულად

ზეგავლენას ახდენს ინდივიდებზე, რომ თავიანთი მოთხოვნილებები, ინტერესები, მიზნები შეუხამონ საზოგადოების ნებას. ამ პროცესში პიროვნებათა პირველადი მოთხოვნილების დანაწევრების, განვითარების საშუალებით ხორციელდება ადამიანთა ახალი მოთხოვნილებებისა და ფსიქიკური ძალების წარმოშობა, რომლებსაც ახასიათებთ განვითარების თავისთავადი კანონზომიერება. დ. უზნაძე ამ პროცესს უწოდებს ფსიქოლოგიური თვალთახედვით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ობიექტივაციის უნარის საფეხურს.

უზნაძის მიერ ჩატარდა ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ახლებური გაგება, როცა ინდივიდის უშუალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება, ასეთ დონეზე წარმოშობილი განწყობა ემსახურება მისი იმპულსური ქცევის ახსნას, უკვე არასაკმარისია, ადამიანის გააზრებული სოციალური აქტივობის ასახსნელად. ე.ი. განწყობის ფორმა განიცდის განვითარებას. ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს ახალ მოვლენასთან ფსიქოლოგიაში, სადაც გარკვეული უნდა იყოს, ფსიქიკაში განწყობისა და ცნობიერების მოქმედების სფეროები.

დ. უზნაძის თანახმად, განწყობის ცნების ძირითადი ფუნქცია ეკისრება ადამიანის ფსიქიკის გააზრებაში. მან საინტერესო ანალიზი ჩაატარა ამ მიმართულებით. ხშირად ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში რთული, პრობლემური სიტუაციები, რაც დაპირისპირებაში, კონფლიქტებში გადაიზრდება, ამ მომენტში, ადამიანებისათვის არსებული საზოგადოებრივი მოთხოვნების, წესების არსებობა, სულაც არ ნიშნავს მისი შესრულების გარანტიას, აუცილებლობას. ე.ი. პიროვნებაზეა დამოკიდებული მათი განხორციელება. ამ შემთხვევაში, მის ღირებულებით ორიენტაციაზეა დამოკიდებული, ჩაიდენს თუ არა შესაბამის ქცევას, ის იღებს გადაწყვეტილებას, რაშიც ვლინდება მისი განწყობა. ეს შეხედულება, არსობრივად იქნა გაანალიზებული და მისი განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ობიექტივაციის თეორია, რომლის ნიადაგზეც, განწყობის თეორია იქცა ადამიანის სოციალური და გაცნობიერებული მოქმედების თეორიად.

აქედან გამომდინარე, ადამიანს ძალუძს კონტროლი პრობლემურ სიტუაციებში, საკუთარი ქცევის განხორციელებისათვის, ის ეყრდნობა თავის ინტელექტუალურ, მორალურ მოსაზრებებს, გააჩნია ნებელობა, რის შესაბამისადაც ხდება მისი განწყობილების ფორმირება და მოქმედებს სწორედ იმ პროცესში, მჟღავნდება მისი თავისთავადობა, ფსიქიკური აქტივობა, მას აქვს უნარი, რომ თავისი განწყობა მიმართოს, როგორც საზოგადოებრივი, ისე პიროვნული მოთხოვნილებების, სოციალურ ღირებულებებისადმი.

დ. უზნაძე ყურადღებას ამახვილებს რა ადამიანის დამახასიათებელ თავისებურებებზე, ამტკიცებს, რომ ის სინამდვილე, რაც არსებობს და უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანებზე, მათ ქცევებზე. ამის გარდა ჩვენს საქმიანობაზე, მოქმედებებზე, არანაკლებ მნიშვნელობა ენიჭება მეტყველებას. ეს არის იარაღი, რითაც ადამიანი უდიდეს ზემოქმედებას ახდენს რეალობაზე, გარდაქმნის მას. ურთიერთმოქმედებენ სიტყვებით, რაც აძლევს საშუალებას, უკეთ იმოქმედოს მოცემულ რეალობაში, შეიმეცნებს მის თვისებებს და შესაბამის ღირებულებებს ამკვიდრებს მასში.

ადამიანის ფსიქიკურ აქტივობას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მის ქცევაზე. რა თქმა უნდა, ისინი ცალკე ვერ შეძლებს მისი აქტივობის აღძვრას, მაგრამ არის შემთხვევები, როცა რომელიმე ფაქტორი გამოეყოფა სხვებს, ამიტომაც პიროვნებას უწევს მასზე, განსაკუთრებული ყურადღების გადატანა, რაც ხდება განსაზღვრულ მომენტში, როცა მას რაიმე დაბრკოლება შეხვდება. ამ პრობლემის მიმართ ხდება ადამიანის გადართვა და მისი გადაწყვეტისთვის შესაბამისი განწყობის ფორმირება, ანუ მიმდინარეობს ობიექტივაციის აქტი, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს გადაანაცვლოს ქცევები. ამ დროს, წარმოქმნილი საგანგებო ვითარება, თავისებური ხასიათით გამოირჩევა, ინდივიდი თავის ნებაზე ვერ აარჩევს ქცევას. ამ პროცესში, ადამიანი თავისი აქტიურობით გამოყოფს, დაანაწევრებს ერთ ხელისშემშლელ, დამაბრკოლებელ ფაქტორს, რომელიც მისთვის ხდება კვლევის ობიექტი, ხოლო თავად უპირისპირდება, როგორც სუბიექტი. ე.ი. მასთან ამყარებს შემეცნებით კავშირს.

ამ ვითარებაში, ობიექტივაციის საგნად სუბიექტისათვის თავს იჩენს ისეთი მოვლენა, რომელიც არ არის გარკვეულწილად ასახული მის განწყობაში. ობიექტივაციის აქტის განხორციელებისათვის პიროვნებას, ცხადია, უნდა გააჩნდეს შესაბამისი ფსიქოლოგიური ანუ სულიერი უნარები, ხოლო მასთან ურთიერთობაში მყოფი ფსიქიკური მოვლენები ადამიანს სოციალურ ვითარების პროცესში უყალიბდება.

ობიექტივაციის აქტთან, ბუნებრივად არის დაკავშირებული ცნობიერების პროცესი, რაც პიროვნებებს უჩნდება ურთიერთკავშირში საზოგადოებრივი პროცესის გარემოებაში, როდესაც აუცილებელი ხდებოდა ინდივიდთა კოლექტიური საქმიანობა, რისკენაც იყო განხორციელებული მათი ქცევები. საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში მეტყველების უნარის შეძენა-განმტკიცება ინდივიდის მიერ, ღებულობს ობიექტივაციის უნარს და ამყარებს გააზრებულ დამოკიდებულებას რეალობასთან.

როგორც ვხედავთ, ობიექტივაციის აქტის განხორციელების შედეგად, ადამიანი ახდენს მოცემული ყოფიერებაში არსებული საკუთრების კლასიფიკაციას,

განიხილავს მათ ობიექტის სახით, ყურადღებას მიაპყრობს საგნებს, იკვლევს მათ და აქცევს განსჯის ობიექტად, გაიაზრებს საგნების განსხვავება-მსგავსებას, სუბიექტი, განცდების ხელახლა განმეორებას ახდენს, ის აანალიზებს მათგან მიღებული განცდების სხვადასხვა ასპექტს, იგი ინარჩუნებს მათი იგივეობის განცდას. ობიექტივაციის აქტის ნიადაგზე წარმოებს, სუბიექტის მიერ, განცდის შედეგად მიღებული შემაფერხებელი საგნისა და საკუთარი ქცევის კავშირის ახსნა, როცა ხდება შეგნება, დადგენა თუ რატომ აფერხებს მოცემული საგანი მის ქცევას, რის შემდეგაც ინდივიდი აქტიურობს და ახორციელებს, მისი ქცევის მიზეზის აღკვეთას. ეს კი არის მის მიერ სიტუაციის გაგება, რაც იგივეობის ლოგიკურ პრინციპს ეფუძნება.

ზემონათქვამიდან შეგვიძლია დავასკვნათ, ობიექტივაციის აქტს არსებითი ღირებულება აქვს ადამიანის ფსიქიკის, სულიერი თვისებების ჩამოყალიბებისათვის. აქ არის ახსნა ადამიანის შინაგანი თავისთავადობის გაგებისა. განწყობის და ობიექტივაციის ცნებების საფუძველზე დაყრდნობა იძლევა საშუალებას ადამიანის სოციალურ პროცესში განხორციელებული ქმედებების, საქმეების ფსიქოლოგიური კანონზომიერებების, ანალიზის, ახსნისა და გაცნობიერებისათვის.

დ. უზნაძემ საგნის ობიექტივაციის ფორმა გააანალიზა არსებითი სახით. სუბიექტი ამ ფორმას მიმართავს, მაშინ როცა მისი მოქმედება, აქტიურობა წააწყდება წინააღმდეგობას, თავის ყოფა-ცხოვრებაში გარკვეულ საგნებთან მიმართებაში უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება, რაც ადამიანს შეემთხვევა ჩვეულებრივ სოციალურ გარემოში. მათ ახასიათებთ, ავტომატური მოქმედებები, ოჯახში, ქუჩაში, სამსახურში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე და ა.შ. ეს ამბავი, საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვისაა დამახასიათებელი, აქვთ ჩვევები, რაც ინსტიქტურ, იმპულსურ დონემდე არის დასული და ასე ცხოვრობენ, შესაბამისად, ყურადღებაც მოდუნებული აქვთ, მაგრამ ხდება მოვლენები, რომ მათი რუტინული, ერთფეროვანი ცხოვრების წესი ირღვევა, როცა ერთ დღეს აღმოაჩენენ, გამოფხიზლდებიან და ყურადღებას მიაპყრობენ, მათი სიმშვიდის დამრღვევ მოვლენას. ადამიანი აფორიაქდება, ნერვიულობს, შფოთავს და ძალაუნებურად ყურადღების კონცენტრირებას ახდენს ცვლილებებზე, რამაც მისი ჩვეული ცხოვრების რიტმი დაარღვია, რაღაც დაიკარგა, ან დაიმტვრა, ან დაძველდა და ა.შ. თავიდან ის აღელვებულია, აფორიაქებულია, მაგრამ როცა მთელ ყურადღებას გადაიტანს იმ პრობლემაზე, რაც მას უპირისპირდება და დისკომფორტს განაცდევინებს, შესაბამისი განწყობა ჩამოუყალიბდება, რაც ხელს შეუწყობს მის ცნობიერებას, გაიაზროს საქმის ვითარება და მის წინაშე მდგარ წინააღმდეგობას განიხილავს გარკვეული ობიექტის სახით, შეიგნებს და გადაწყვეტს.

ამრიგად, სუბიექტი შეძლებს დარღვეული წონასწორობის აღდგენას, განახორციელებს შესაბამის ქცევას და აღიდგენს შინაგან წონასწორობას, ე.ი სუბიექტი ობიექტივაციის აქტების მეშვეობით აგებს თავის ცოდნას საგნებზე და პასუხობს მის წინაშე წამოჭრილ ამოცანას, რაც ბიძგს აძლევს მის ინტელექტუალურ აქტივობას, აძლევს შემეცნებას მიზანდასახულობას.

რა თქმა უნდა, ობიექტივაციის აქტები მიმართულია სამყაროში არსებული საგნებისაკენ, რადგან აქ საქმე გვაქვს ფიზიკური რეალობის სინამდვილესთან. ობიექტივაციის ბევრად უფრო მაღალი ფორმა არის სოციალური მოთხოვნები, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი ცივილიზაცია, კულტურა, სოციალური გარემო,ურომლისოდაც წარმოუდგენელია ადამიანისა და საზოგადოების არსებობა, განვითარება, მომავალი.

სოციალური იგივე ,,გაადამიანურებული“ გარემოა, რომელიც არის მრავალრიცხოვანი თაობების მოღვაწეობის შედეგი, ეს გარემო, მასში მიმდინარე სოციალური პროცესები ქმნის, აყალიბებს ადამიანებს და საზოგადოებას, თავიანთი ტრადიციებით, ჩვეულებებით, რელიგიური რწმენით და ა.შ. ამ მიზნით არის ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ახალგაზრდა დარგი, სოციალური ფსიქოლოგია, რომლის შესწავლის მიზანია გაარკვიოს ადამიანისა და საზოგადოების ფსიქიკური აქტივობის ბუნება.

ამ შემთხვევაში საკითხის გააზრება სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს, რადგან, ადამიანი და საზოგადოება, ცოცხალი, ისტორიული პროცესის მემკვიდრეები არიან, სადაც განუსაზღვრელია მათი ურთიერთგავლენა, მრავალფეროვანია, ურთულესი პრობლემებია, მარად ცვალებად სოციალურ სივრცეში, სადაც ემოციების, გრძნობების, ვნებების, აზრთა, განსხვავებული რელიგიური თუ პოლიტიკური იდეოლოგიების მძაფრი ჭიდილია, ყველაფერი ურთიერთკავშირშია, პიროვნება, სოციალური ჯგუფები, განსხვავებული კულტურის ქვეყნები და ა.შ.

ადამიანთა აქტივობა მხოლოდ მათ მოთხოვნილებებზე, მიზნებზე აღარ არის დამოკიდებული. არსებით კავშირშია ,,გაადამიანურებულ“ გარემოსთან. ბავშვთა ფსიქიკის განვითარების ყველაზე ადრეულ ასაკში, ჩვილად ყოფნის პერიოდში, დედა ყველაზე მეტ მნიშვნელობას იძენს სხვათაგან განსხვავებით და ადამიანები უკვე გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას. რაც შეეხება მეცნიერების ახალ დარგში (სოციალური ფსიქოლოგიის მსგავსად), XX საუკუნის მეორე ნახევრის, გენეტიკური საკითხების კვლევას, დამტკიცდა, რომ ინდივიდები ერთმანეთზე

არსებით გავლენას ახდენენ იმ შემთხვევაშიც, როცა ობიექტივირებული არა აქვს სოციალური გავლენები.

სოციალურ ფსიქოლოგიაში ჩატარდა მრავალ-რიცხოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევა, რის შე-დეგადაც გამოვლინდა, რომ ადამიანის ზოგიერთი ქცევა შეიძლება განმტკიცდეს ან უარყოფილ იქნას არა მარტო იმიტომ თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი მის ინტერესებს, არამედ იმიტომაც, რომ სხვა ადამიანები და საზოგადოება ავლენენ კარგ ან ცუდ დამოკიდებულებას ამ ქცევების შესრულებისას. აქ, იმ მომენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როცა ადამიანების მხარდაჭერას, დახმარებას, ხე-ლის შეწყობას, აღიარებას, რაც სტიმულს აძლევს მათი ქცევის, შეხედულებების, განწყობილების ფორმირებას, ხელს შეუწყობს მათი სოციალური დამკვიდრების პროცესს და პირიქით, ხდება, როცა მათ არ ეთანხმებიან, უარყოფით რეაქციას იწვევს და განწყობაც უქვეითდებათ. ეი. ამ პროცესში ადგილი აქვს სოციალური განწყობების მკვეთრ ცვლილებებს.

სოციალური მოთხოვნები არაერთგვაროვანია და რიგ შემთხვევებში იძულებით ზეწოლის ხასიათს იღებს, ზღუდავს პიროვნების ქცევას, თავისუფლებას. ამ მხრივ, ბევრად რთულ მდგომარეობაში ვარდებიან პატარები, როცა არაადექვატურ გარემოში იზრდე-ბიან. ბავშვის აღზრდა უდიდეს ყურადღებას, მისი ფსიქოლოგიური თვისებების გათვალისწინებას მო-ითხოვს, რადგან თუ მისი სული ბავშვობაშივე შეილახა ის არასრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალ-იბდება. ეს ამბავი დამოკიდებულია საზოგადოებაზე, მით უმეტეს, რომ თანამედროვე მსოფლიოშიც, შედა-რებით მცირე სახელმწიფოებს, აქვთ ცხოვრების ნორმალური, ადამიანთათვის მიღებული საარსებო პირობები და შესაბამისად, კანონებიც. უმეტესი ქვეყნები ჩამორჩენილი არიან თავიანთი სოციალური მდგომარეობით, მართავენ თავსმოხვეული რეჟიმები, რომლებიც თვითნებურ კანონებს იღებენ და ძალადობენ საზოგადოებაზე. ცხადია, ამნაირ საზოგადოებრივ გარემოში მცხოვრები პიროვნებები ითრგუნებიან, ილახება მათი ადამიანური უფლებები, ამას ემატება ბევრი შემორჩენილი, ტრადიციული ადათ-წესების შემაფერხებელი გავლენა ადამიანთა მასაზე.

ისტორიაში, ლიტერატურაში მრავლადაა პრაქ-ტიკული მაგალითები პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების შეუთანხმებლობისა, რაც დაპირისპირე-ბას და არაიშვიათად ადამიანთა ცხოვრებაში ტრა-გედიას იწვევს. ამის ნათელ დასტურად გამოდგება, ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“, სადაც ავტორი დამაჯერებელი ოსტატობით აღწერს თემისა და პიროვნების დაპირისპირებას, რაც პიროვნების, ალუდას მორალური გამარჯვება იყო, რადგან მისი სულიერი ბუნება ამაღლდა ადამიანური ღირსების აღიარებამდე. მან დაინახა უსამართლობა ადამიანის მიმართ. კონკრეტულ შემთხვევაში მან გააცნობიერა, რომ მოსისხლე მტრის შეურაცხყოფა, სიკვდილის შემდეგ ხელის მოჭრა და ამით თავმოწონება არ შეეფერებოდა მის ადამიანურ ღირსებას, ხმამაღ-ლა გამოთქვა პროტესტი საკუთარი თემის, ანუ საზოგადოების ამ ჩამორჩენილი ჩვეულების წინააღ-მდეგ, როცა მის მიერ მოკლული ქისტი ვაჟკაცის — მუცალის სულის საცხონებლად ხატს კურატი შესწირა, რასაც შედეგად მოჰყვა ალუდასა და მისი ოჯახის მოკვეთა თემიდან, რადგან ის დაუპირისპირდა წინაპართა ტრადიციას.

ბუნებრივია, სოციალურ მოთხოვნები, პიროვნებას განსაზღვრულ ვალდებულებას აკისრებს, მაგრამ პიროვნების ცნობიერების უნარზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, თუკი ილახება მისი ფსიქიკური, სულიერი თვისებები, მას ძალუძს საკუთარი ფსიქი-კური აქტივობის ნიადაგზე, გააცნობიეროს დამა-ბრკოლებელი მოვლენები, რაც ხდება „გაადამიანურე-ბულ“ გარემოში და შეეცადოს, საზოგადოების მიერ დაწესებულ კანონებში, ადამიანის ღირსების შემლახ-ავი მომენტები გონივრული გზით გადაწყვიტოს.

აქედან გამომდინარე, ობიექტივაციის აქტს პიროვ-ნება მიმართავს, სოციალური გარემოს ზეგავლენის, ზეწოლის გამო, რათა შეძლოს გაარკვიოს სოციალური მოთხოვნების არსი თუ რამდენად არის მართებული ამ მოწოდებათა შესრულების სამართლიანობა და აგრძელებს შესაბამის ქცევას. ცხადია, სუბიექტი მოცემული სოციალურ პროცესების შემეცნების გზით იღებს შესაბამის გაგებას საზოგადოებრივი მო-თხოვნების, ღირებულებების, მიზნების შესახებ. ამ მოთხოვნათა საფუძველზე წარმოშობილი, ობიექტი-ვაციის აქტის შედეგად, ადამიანი იძენს გამოცდილებას, ცოდნას „გაადამიანურებული“ სინამდვილიდან. მოცე-მული რეალობის გაგება, შეგნება, ცხადია, სხვადასხვა სახის ინტელექტუალურ აქტივობას საჭიროებს და პიროვნება, მოვლენათა მიმართ, დანაწევრებულ (დიფერენცირებულ) ურთიერთობებს ავლენს.

„ადამიანო, შეიცან თავი შენი“, ეს ძველბერძნული იდეა დაედო სოკრატეს, ბერძენი ფილოსოფოსის მიერ გაზიარებული, ადამიანის გაგებას, მისი სულიერ ბუნების გარკვევას ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. სულიერი თვისებების გარკვევა, მრავალსაუკუნოვანი აზროვნების პროცესის გამოხატულება იყო, რაშიც პრაქტიკული წვლილი შეიტანა ფსიქოლოგიაში აღმოჩენილმა ექსპერიმენტალური კვლევის მეთოდებმა და საშუალებებმა.

მოაზროვნეთა შეხედულებებში მრავალი საყუ-რადღებო მომენტები იქნა გარკვეული. ადამიანში მოქმედი გრძნობების, ემოციების, შემეცნების პრო-ცესის თავისებურებათა შესახებ. ადამიანი შეიცნობს რა საკუთარ განცდებს, სურვილებს, ემოციებს, ამის შედეგად ქმნის საკუთარ პიროვნულ მე-ს, რისი

პრაქტიკული განხორციელება, ანაბეჭდი მისი აზრების, იდეების რეალიზების შედეგია. მისი შრომით შექმნილი „გაადამიანურებული" ბუნება, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, შესაბამისად, ისტორიული პროცესის შემადგენელი ნაწილია, სოციალურ გარემოში წარმოშობილი ტრადიციები, ადათ-წესები, მორალურ-ზნეობრივი, რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური ღირებულებები.

პიროვნება მოღვაწეობს, მოქმედებს სამყაროში, სადაც ვითარდება მისი სულიერი თვისებები, იცვლება მისი ტემპერამენტი, ხასიათი, იზრდება მისი შემეცნებითი უნარების გამოყენების სივრცე, ამის შედეგად, მისი საკუთარი მე უფრო იხვეწება და ახალ ამოცანებს და მიზნებს ისახავს.

ადამიანებს აქვთ ზნეობრივი, მორალური ღირებულებები, რაც იწვევს მათში შესაბამის განცდებს, რომელთა შორის გამორჩეულია: სინდისის ქენჯნა, სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობები, რაც ხდება მათში, როცა ისინი ჩაიდენენ მათი ბუნებისათვის შეუფერებელ საქციელს, რაც გამოისახება შესაბამის ქცევებში. ცხადია, ისინი განიცდიან ტანჯვას, შფოთვას, მაგრამ მათ შეუძლიათ, თავში ჩაუღრმავდნენ, განსაჯონ და გაიაზრონ მათი ქცევის დამაბრკოლებელი მიზეზები და ახდენენ წარმოქმნილი მდგომარეობის ობიექტივაციას.

საკუთარი „მე"-ს განხორციელებისას, ადამიანი ახდენს თავისი შემოქმედების პროდუქტებში: ქანდაკებაში, მხატვრობაში, მუსიკაში, ლიტერატურაში და ა.შ. აგრეთვე, „მე"-ს რეალიზაცია ხდება პიროვნებათა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში, სადაც ხშირად ხვდებათ, რიგი შეფერხებები, რაიმე ავიწყდებათ, ან ზედმეტ ინიციატივას იჩენენ, სადაც არაა საჭიროება. ცხადია, ისინი შემდეგ გაარკვევენ, მათი უმართებულო ქცევის მიზეზებს და მის ობიექტივაციას ახდენენ ობიექტივაციის პროცესში, ჩვენი „მე" აქტიურობს, იგი აჩერებს თავის დამაბრკოლებელ ქცევას გადაწყვეტს, განსჯის და დაგეგმავს, თუ რა ქცევა უნდა შეასრულოს მომავალში პრობლემის გადასაჭრელად.

„მე" ყოველთვის ახდენს საკუთარი მოქმედების მორალურ-ზნეობრივ შეფასებას, მიდის შესაბამის გადაწყვეტილებამდე, თუ რა არის მისთვის მისაღები და მიზანშეწონილი, რის შედეგადაც, ობიექტივაციის აქტის დახმარებით ის იქმნის, გარკვეულ წარმოდგენას, თავის თავზე ანუ მე-ზე.

ცხადია, ამნაირი სახით გააზრებული ცოდნა „მე"-ზე ხშირ შემთხვევაში, მიახლოებით ასახავს მას, როგორც სუბიექტს. ე.ი. ადექვატური ასახვა არ ხდება, რისი მიზეზიცაა გამოცდილების გაუთვალისწინებლობა. გამოცდილება აძლევს პიროვნებას საშუალებას საკუთარი მე-ს ცვლილებასა და წინსვლაში, საიდანაც გამომდინარე მისი ქცევა სინამდვილესთან მიმართებაში უფრო რაციონალურია, შემდგომ კი ეს ქცევა უფრო შესაბამისი ხდება სოციალური გარემოდან მომდინარე მოთხოვნების მიმართ.

ობიექტივაციის აქტი არის საფუძველი, ფსიქოლოგიური პირობა, ადამიანის მიერ ობიექტური რეალობის არსებითი და ადექვატური გააზრებისათვის. ამ ვითარებაში ის არის შემმეცნებელი სუბიექტი, რისი საშუალებითაც ხდება მოცემული რეალობის გარდაქმნა. ადამიანის ცნობიერება იძლევა შემოქმედების საშუალებას, რასაც ობიექტივაციის პროცესში წარმოქმნილი განწყობა უქმნის რეალურ საფუძველს, რათა მან წარმართოს თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით, სინამდვილე გამოხატული, ჩამოყალიბებული ადამიანური სახით, სწორედ ობიექტივაციის პროცესში ჩამოყალიბებული აზროვნების მეშვეობით ექმნება ადამიანს შეგნებული ქცევის განწყობა, რომელიც აკმაყოფილებს სოციალურ გარემოს, საზოგადოებისა და პიროვნების მოთხოვნებს.

**ლიტერატურა:**


1. უზნაძე დ., შრომები, ტ. VI, თბ.: „მეცნიერება", 1977;
2. ნადირაშვილი შ., განწყობის ფსიქოლოგია, თბ.: „მეცნიერება", 1985;
3. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ.: „მწიგნობარი", 2008;
4. ტალახაძე გ., ფსიქოლოგია, თბ.: „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2011.


**George Talakhadze**

**The basics of origination of the social mood**

**SUMMARY**

The act of objectivation is a basis and psychological antecedent for adequate comprehension of objective reality. The subject of cognition is doing the classification of different things, finding similarities and differences between them. By the repeating of these senses the cognitive subject is keeping the sense of identity. So, the meaning of situation is based on the logical principles of identification. Therefore, it is possible to change the reality through the objectivation and the ascending mood. These moods can change the societal environment of practical acting. Based on the concepts of objictivation and mood, it becomes possible to analyze and comprehend psychological rules of acting within the social process.

# PR-კომუნიკაციის ფსიქოლოგიური ასპექტები

*თათია ადამაშვილი, მაგისტრანტი*

დღევანდელ მსოფლიოში ინფორმაციის მიმართ მოთხოვნა განუწყვეტლივ იზრდება და ამა თუ იმ ორგანიზაციის მომავალიც დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ შეძლებს ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას და ამით კონკურენტულ ბრძოლაში პრივილეგიის მოპოვებას. ამ პრობლემის გადაჭრაში ცენტრალური ადგილი კომუნიკაციის პროცესს უჭირავს.

შეტყობინების გადაცემა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებითაა შესაძლებელი. ეს შეიძლება იყოს პირადი შეხვედრა, ელექტრონული ფოსტა, წერილი, მემორანდუმი, სატელეფონო საუბარი და სხვ. არხის არჩევას შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა ჰქონდეს კომუნიკაციის პროცესზე. ზოგჯერ ეს არხი ინდივიდუალურად ასარჩევია, ზოგჯერ კი წინასწარაა განსაზღვრული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანები ერთმანეთს ეკონტაქტებიან არა მხოლოდ ზეპირი და წერითი ფორმით. აუცილებელია არავერბალური კომუნიკაციის ფორმების არსებობის გათვალისწინება და ამ პროცესის დაუფლება, რაც გამოიხატება სახის გამომეტყველებაში, ტანის მოძრაობაში, მხედველობით კონტაქტსა თუ სხვა ჟესტებში. ფაქტობრივად, ეს არის გამოსვლა სიტყვების გამოყენების გარეშე. არავერბალურ კომუნიკაციაში შეიძლება ვიპოვოთ იმის გასაღები თუ რას ფიქრობს ადამიანი სინამდვილეში, ანდა რა აქვს მას მხედველობაში. ცნობილია, რომ სამუშაო ადგილზე წარმოდგენილი კანდიდატურიდან ერთ-ერთის შერჩევისას ინსპექტორები უფრო ხშირად მას ანიჭებენ უპირატესობას, ვინც უძლებს მხედველობით კონტაქტს, ზის მხრებში გამართული და არა მას, ვინც ნეგატიური სიგნალების დემონსტრირებას ახდენს – თანამოსაუბრეს თვალებში არ უყურებს, ცმუკავს და ასე შემდეგ. ანუ ასეთ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არავერბალურ კონტაქტს. შთაბეჭდილების მოხდენა შეიძლება საქციელითაც, ჩაცმულობითაც და, ზოგადად, ჰაბიტუსითაც.

ძალიან მნიშვნელოვანია აქტიური მოსმენა. მოსმენის უნარი ნებისმიერ ადამიანში ფასეულ ღირებულებას წარმოადგენს. კომუნიკაციაში ხომ ორი მხარეა: პირველი – შეტყობინების გაგზავნა ანუ ლაპარაკი და მეორე – შეტყობინების მიღება ანუ მოსმენა. სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი აქცენტს ლაპარაკზე იღებს და კარგი მსმენელი არ არის. ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც თანამედროვე სამუშაოს ასრულებს, უნდა გამოიმუშაოს აქტიური მოსმენის უნარი. ეს არის უნარი იმისა, რომ დავეხმაროთ წყაროს იმ შეტყობინების სწორად გადმოცემაში, რაც მას სინამდვილეში აქვს მხედველობაში მიღებული. აქტიური მოსმენის გამოსამუშავებლად გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი რეკომენდაციები:

1. მსმენელმა უნდა შეძლოს შინაარსში ჩაწვდომა ანუ უნდა ეცადოს, მოისმინოს სწორედ ის, რაც არის ნათქვამი;
2. მსმენელი უნდა ჩასწვდეს გრძნობას – შეეცადოს იმის განსაზღვრას, თუ რას გრძნობს წყარო მომხდარის მიმართ;
3. პასუხი გრძნობაზე – მსმენელმა წყარო უნდა დაარწმუნოს, რომ მისი გრძნობა მსმენელამდე მივიდა;
4. აღნიშნოს ყველა სიგნალი – გულისყურით მოეკიდოს როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ დეტალებს;
5. ჰქონდეს რეაქცია, გაიმეოროს თავისი სიტყვებით ის, თუ როგორ გაიგო მოსმენილი.

ძალიან მნიშვნელოვანია „ხმაურის" ექვსი წყაროს გათვალისწინება, რომლებიც ყველაზე ხშირად თავს იჩენს ხოლმე პიროვნებათშორისი ურთიერთობის დროს. ესენია: ფიზიკური ბარიერი, სემანტიკური პრობლემები, აღრეული შეტყობინებები, კულტურული სხვაობა, უკუკავშირის უქონლობა და სტატუსის ეფექტების ნაკლებობა.

ფიზიკური ბარიერის ნებისმიერი დოზით არსებობამ, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს კომუნიკაციის ეფექტურობაზე. მაგალითად, თუ ხელმძღვანელი თავის ხელქვეითს რაღაც პრობლემაზე ესაუბრება და პარალელურად ხან ტელეფონზე საუბრობს, ხან კი მდივნის მიერ შემოტანილ საბუთებზე აწერს ხელს, ანდა შიგადაშიგ სხვა საქმით არის დაკავებული, ეს კომუნიკაციის ეფექტურობას მნიშვნელოვანწილად ამცირებს. ხელმძღვანელი უნდა ეცადოს, რომ თანამშრომელს გულღია საუბრისათვის ყოველგვარი პირობა შეუქმნას. თუ საქმე ძალიან მნიშვნელოვანია, გათიშოს ტელეფონი, ჩაკეტოს კარი და ასე შემდეგ.

კომუნიკაციის დროს სემანტიკური ბარიერი გულისხმობს სიტყვათა არასწორ შერჩევას ან მათ

უადგილოდ გამოყენებას, ანდა შერეული ინფორმაციის გადმოცემას. განვიხილოთ ასეთი განცხადება: „ჩვენ ვთხოულობთ თქვენგან, შემოიტანოთ ნებისმიერი რეკომენდაციები, რომლებიც კი მოგესურვებათ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს თქვენი რეკომენდაციები ჩვენ მიერ გათვალისწინებული იქნება და მათ დიდი ყურადღება დაეთმობა". ასეთი რთული, ზედმეტი სიტყვებით გადაჭედილი წინადადება სულაც არ არის საჭირო, რადგან იმავე აზრის გადმოცემა შესაძლებელია უფრო სადად და გასაგებად: „მოგვაწოდეთ თქვენი რეკომენდაციები და მათ აუცილებლად გავითვალისწინებთ". გათვალისწინებული უნდა იყოს ეგრეთ წოდებული KISS-პრინციპი კომუნიკაციისა (Keep it short and simple – შეინარჩუნეთ უბრალოება და სიმარტივე).

აღრეული შეტყობინება – ეს ტერმინი შეიძლება გამოყენებული იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი სიტყვიერად ერთს გადმოსცემს, მიმიკით კი – მეორეს. ძალიან მნიშვნელოვანია ჟესტიკულაციის კონტროლი, ვინაიდან არავერბალური სიმბოლოები იძლევა გასაღებს იმასთან დაკავშირებით თუ რა ხდება სინამდვილეში და რა იმალება სიტყვებს მიღმა. მაგალითად, როდესაც საქმიანი შეხვედრის დროს ადამიანი ფრთხილად ამბობს სიტყვას – „დიახ", მაგრამ ამ დროს მისი სახის გამომეტყველება დაძაბულია, თავად ეს ადამიანი კი უკან იხევს და სკამის ზურგს ეკვრის, სავარაუდოა, რომ ეგრეთ წოდებული სხეულის ენა, სულ სხვას გვეუბნება და მისი „დიახ" მაინცდამაინც სარწმუნო არ უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია კულტურათაშორისი კომუნიკაციების თავისებურებების გათვალისწინება. ეს შეიძლება ეხებოდეს გეოგრაფიულ ადგილს, ეთნიკურ ჯგუფებს, ეროვნულ კულტურას თუ სხვა. საერთო პრობლემად გვევლინება ეთნოცენტრიზმი. ადამიანები მიდრეკილნი არიან იმისაკენ, მიიჩნიონ, რომ მათი კულტურა და ფასეულობები არის უმაღლესი. ეთნოცენტრიზმს ხშირად თან ახლავს ის მომენტი, რომ ადამიანს არ სურს, გაიგოს ალტერნატიული აზრი და სხვა ადამიანის ფასეულობებს სერიოზულად მოეკიდოს. კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემა ხშირად ენობრივ სხვაობაშიც მდგომარეობს. სარეკლამო შეტყობინებამ ერთ ქვეყანაში, შესაძლოა, უზარმაზარი შედეგი მოიტანოს, თუმცა მეორე ქვეყანაში, სადაც იგი თარგმანის სახით არის წარმოდგენილი, დიდი ეფექტი ვერ მოახდინოს. კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემა წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც, მაგალითად, სტუმრის მიღებასთან გვაქვს საქმე: ზოგიერთ აღმოსავლურ ქვეყანაში სტუმარი მასპინძლის სახლში შესვლისას ფეხსაცმელს იხდის, რაც ევროპული კულტურისთვის უცხოა; კანადაში, მაგალითად, სრულიად დასაშვებია ადამიანზე მითითება (თითის გაშვერა), რაც აზიაში ყოვლად მიუღებელია და უკულტურობად მიიჩნევა. საერთაშორისო ბიზნესის ექსპერტები, ყოველივედან გამომდინარე, იძლევიან რჩევას მინიმალური მოცულობით მაინც შეისწავლოს ადამიანმა იმ ქვეყნის ენა და კულტურა, რომლის წარმომადგენლებთანაც აპირებს საქმის დაჭერას. ეს მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს მათ წარმატებას.

პრობლემა შეიძლება შექმნას უკუკავშირის უქონლობამაც. წერილობითი სახის მემორანდუმის ანდა ჩაწერილი ხმოვანი შეტყობინების მეშვეობით ინფორმაციის გადაცემისას გამგზავნისაგან მიდის მიმღებისაკენ ცალმხრივი საკომუნიკაციო ნაკადი. ამ შემთხვევაში არაა პირდაპირი და დაუყოვნებლივი უკუკავშირი მიმღებისაგან.

ორგანიზაციებში არსებული იერარქიული საფეხურები ქმნის სხვადასხვა სტატუსს, რომელთა შორის არსებული განსხვავებები პოტენციურად კომუნიკაციური დაბრკოლების შემქმნელია. დაქვემდებარებულ პირებს უხდებათ ინფორმაციის გაფილტვრა და ისე მიწოდება თავიანთი ხელმძღვანელობისათვის, ანუ მათ უნდა მოახსენონ ის, რისი მოსმენაც სურთ უფროსებს. მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს: ცუდი ამბის მიტანის შიში, თავიანთი შეცდომის აღიარების სურვილის არქონა, უფროსისათვის თავის მოწონება. ყველა შემთხვევაში, ადამიანი, რომელსაც გარკვეული თანამდებობა უკავია, შეიძლება შეცდეს იმის გამო, რომ მას ასეთი „გაფილტრული" ინფორმაცია მიუვიდა და სინამდვილეში საქმის არსს ვერ ჩასწვდა. ეს მოვლენა MUM-ეფექტის სახელითაა ცნობილი და ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს არ სურთ ცუდი სიახლის შეტყობინება უფროსისთვის. ასეთი პრობლემის თავიდან ასაცილებლად მენეჯერებმა და ჯგუფის ხელმძღვანელებმა ისეთი ურთიერთობა უნდა დაამყარონ ჯგუფის წევრებთან, რომ მათ მეტი გულწრფელობის საშუალება მისცენ, ანუ შექმნან ისეთი გარემო, რომ ხელქვეითებს სიმართლის თქმა არ გაუჭირდეთ. ასეთ შემთხვევაში ხშირად მიმართავენ ეგრეთ წოდებული გასვლითი მენეჯმენტის მეთოდს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მენეჯერი რეგულარულად უნდა გამოდიოდეს თავისი ოფისიდან და ხვდებოდეს ადამიანებს მათ სამუშაო ადგილებზე. ეს ამცირებს დისტანციას ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის და თავისუფალი კომუნიკაციის შესაძლებლობას ზრდის.

ორგანიზაციული კომუნიკაციები – ეს არის ორგანიზაციაში ინფორმაციის გაცვლის პროცესი.

იგი სპეციფიკურ პროცესებს გულისხმობს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ორგანიზაციის შიგნით ინფორმაციის გაცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირება დამოკიდებულია ინფორმაციის რთულ ნაკადებზე: ეს არის ეგრეთ წოდებული აღმავალი კომუნიკაციები, როდესაც ინფორმაციის ნაკადი დაბალი საფეხურებიდან აღწევს მაღალი საფეხურებისკენ; ეგრეთ წოდებული დაღმავალი კომუნიკაციები, როდესაც პირიქით ინფორმაცია ზედა შრეებიდან ქვედა შრეებს მიეწოდება; ასევე ეგრეთ წოდებული ლატერალური კომუნიკაციები, როდესაც ორგანიზაციის წევრები, მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, ერთმანეთს უზიარებენ აზრებს იმის შესახებ თუ როგორი უნდა იყოს მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ანუ ამ შემთხვევაში ხდება პრობლემის „შიგნიდან დანახვა", რაც ორგანიზაციის პროდუქტიულობას უფრო ნაყოფიერს ხდის.

ორგანიზაციის შიგნით არსებული ჯგუფები უნდა ახდენდნენ ამა თუ იმ ინტერაქტიული მოდელის დემონსტრირებას. ამისათვის მათ უნდა გამოიყენონ სხვადასხვა საკომუნიკაციო ქსელი. დეცენტრალიზებული ქსელის მქონე ინტერაქტიული ჯგუფები, როგორც წესი, რთულ დავალებას კარგად ასრულებენ, ცენტრალური ქსელის მქონე ერთობლივად მოქმედი ჯგუფები კი წარმატებითართმევენ თავს მარტივ დავალებებს. შეზღუდული საკომუნიკაციო ქსელები ტიპობრივია საწინააღმდეგოდ მოქმედი ჯგუფებისათვის, რომლებიც ჯგუფს შიგნით არსებული შეუთანხმებლობის სიხშირით ხასიათდება.

რამდენადაც ახალი ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სამუშაო ადგილებზე ცვლილებებს იწვევენ, მათ მოაქვთ ბევრი უპირატესობა დიდი მოცულობის ინფორმაციის სწრაფი გადამუშავების თვალსაზრისით, თუმცა ამ ტექნოლოგიებს ერთგვარი ნაკლიც აქვს, რადგან ისინი ამცირებს კომუნიკაციის პროცესში ემოციური და პიროვნული კონტაქტის მოცულობას.

კიდევ ერთი პრობლემა ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიებისა შეიძლება გახდეს ინფორმაციული გადატვირთვა. ზოგჯერ კომუნიკაციურ ქსელსა და ელექტრონული ფოსტის სისტემაში ძალიან ბევრი ინფორმაცია შემოდის და ხდება გადატვირთვა. ინფორმაციული ტექნოლოგიის გიგანტს, Intel-საც კი აქვს პრობლემები ელექტრონულ ფოსტასთან დაკავშირებით. ფირმის მუშაკები იძულებული არიან დაამუშაონ დღეში დაახლოებით სამი მილიონი წერილი.

იმ კომუნიკაციურ სტილებს შორის, რომლებსაც ქალები და მამაკაცები ირჩევენ, პოტენციური განსხვავება არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად, დ. ტანენი თავის წიგნში „საუბრები 9-იდან 5-მდე") მიიჩნევს, რომ ქალები კომუნიკაციის მხრივ ორიენტირებულნი არიან ურთიერთობის გამოცოცხლებაზე მაშინ, როცა მამაკაცები ცდილობენ, განამტკიცონ თავიანთი სტატუსი. თანამედროვე საკომუნიკაციო პრობლემებს ორგანიზაციებში მიეკუთვნება ისიც, რომ ადამიანებმა პირადი ცხოვრება თუ პოლიტიკური კორექტულობა სამუშაო ადგილზე კომუნიკაციის პროცესში არ უნდა ჩართონ.

## ლიტერატურა:


1. დეილ კარნეგი, როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიმოქმედოთ ადამიანზე, თბ., 1992;
2. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ნ. კანკავას რედაქციით, თბ.: "განათლება" 1973;
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ი. აბაშიძის რედაქციით, ტ. 5. თბ., 1980;
4. ინგლისურ-ქართული ეკონომიკური ლექსიკონი /ENGLISH-GEORGIAN ECONOMIC DICTIONARY "განათლება", თბ. 1994;
5. Грушевицкая Т.Г., Попков В.Д. Садохин А.П., Основы межкультурной коммуникации, М. "ЮНИТИ-ДАНА", 2002;
6. Покровская Е.А., Лобанов И.Б. БИЗНЕС-КОММУНИКАЦИИ, М. 2006;
7. Marty Blalock, Why Good Communication is Good Business, B. 2002;
8. www.glossary.ru;
9. Lingvo, მე-10 ვერსია;
10. www. ipm.ge;
11. www. loi.ge.



## SUMMARY

The paper considers information transfer by the various communication channels. Demand for the information is continuously increasing and the organization's future activities are depend on the information reception and new information technology adoption since it's the guarantee to win in fierce competition at the market. The paper appreciates the central role of the communication process for the problem solution.

The approaches occurred between the hierarchical levels and the persons with different position within the organization are reviewed in a psychological point of view, since the differences among them may yield potential communicative obstacles.

The paper analyzes the semantic barrier in communication process, different communication styles, modern communication issues existing at the organizations and emphasizes, that personal life and political correctness shouldn't be included in communication process at the workplace.

# ფილოსოფიური შეხედულებანი უილიამ შექსპირის სონეტებში

*მაია ნატროშვილი, ასისტენტ-პროფესორი*

უ. შექსპირის სონეტების ფილოსოფიურობაზე დიდი ხანია კამათობენ. მიუხედავად უამრავი მცდელობისა, რომ შექსპირის სონეტებზე ესაუბრად როგორც ფუნდამეტურად დაუკავშირებელ და არათანამიმდევრულ პოეზიაზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულ საიდუმლოებებს და გაურკვევლობებს ლამაზად რითმავდა, დღეს არსებობს უამრავი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შექსპირის სონეტები ნამდვილად განსაკუთრებულად ფილოსოფიურია და მათში თანამიმდევრულად, აუჩქარებლად და დიდი ორგანიზებულობითაა წარმოდგენილი პოეტის ზოგადსაკაცობრიო მსოფლმხედველობა გრძნობებზე, იდუმალებაზე, გაურკვევლობაზე, დროის წარმავალობაზე, სიყვარულზე, სიკეთეზე, სილამაზეზე, უკვდავებაზე და აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შექსპირი ნამდვილად იყო ფილოსოფოსი პოეტი და ღრმად ფილოსოფიური პიროვნება. შექსპირის სონეტები გვიჩვენებს, რომ მათ ავტორს აქვს ფილოსოფიური ხედვა და რომ საკუთარი ლოგიკური მოსაზრებების გადმოსაცემად მან აირჩია სონეტური ფორმა, რითაც უფრო შთამბეჭდავი გახადა იგი შინაარსობრივდაც და გამომსახველოობითაც.

“I am that I am.” – „ეს ვარ, რაც ვარ“, - გვეუბნება შექსპირი ერთ-ერთ თავის სონეტში და ბუნებრივია გვებადება აზრი, რომ ყველა ის შეხედულება, გრძნობა, განცდა და ზოგადად - მსოფლმხედველობა, რომელიც მის შემოქმედებაშია, თვით მის პიროვნებაშია თავმოყრილი. რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ შექსპირს - ეპიკურ, ლირიკულ თუ დრამატულ პოეტს, დასკვნას მაინც ერთნაირს გამოვიტანთ - ის თავისთავადია და ყოველთვის ახერხებს წარმოსახვითი თუ კონკრეტული ურთიერთობების დამყარებას მის მიერ შექმნილ გმირებთან. ხშირად დაუსვამთ კითხვა: - როგორ მოიქცეოდა თავად შექსპირი ოტელო, იაგო, ჰამლეტი ან ჰენრი V რომ ყოფილიყოო და პასუხიც ყოველთვის ერთგვაროვანია - ის, ალბათ, ისევე მოიქცეოდა, როგორც მისი გმირებიო, თუმც ყოველთვის ახერხებდა იქაც კი თავისთავად - შექსპირად დარჩენილიყო. სონეტების განხილვისას შეუძლებელია ჩვენ იქ ოტელო, იაგო ან თუნდაც შექსპირი ვეძებოთ, მაგრამ ერთი რამ უდავოა - ესაა მისი, როგორც პიროვნების, პოეტისა და ფილოსოფოსის შემეცნების, ნააზრევისა და განსჯილი საკითხების ერთობლიობა.

ფილოსოფიურობა შეიძლება პოეზიაშიც ინახოს და მუსიკაშიც. ისევე რიტმულად იკითხება დანტე, პეტრარკა თუ შექსპირი, როგორი მელოდიურობითაც ისმინება ჰენდელისა და ბეთჰოვენის მუსიკალური ნაწარმოებები. მათ ერთი რამ აქვთ საერთო-გულწრფელი ემოცია, რითმებად გადმოღვრილი ჰანგები. ზოგადად, ფილოსოფიურობა სამ ეტაპს გაივლის: 1) ნაწარმოების გულწრფელობა ან რელიგიურობა; 2) მითოლოგიურობა ანდა რელიგიურობა; 3) ხალხურობა, ანუ მისი ხალხის საკუთრებად გადაქცევა.

როდესაც მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს პოეტისა და პოეზიის ფილოსოფიურობა, პეტრარკამ მათ ასეთი პასუხი გასცა: „პოეტის საქმეა არა სიყალბითა და ცრუ შეთხზვით, არამედ მთელი სიმართლით, საინტერესო აღმოჩენების თავმოყრით, ბუნებრივად, მაგრამ ამავდროულად, მხატვრული ფერებით პირდამშვენებული ამბებით წარმოდგენა შეუქმნას თავისი დროის ადამიანებს რთულად საკვლევ-საფიქრალ საკითხებზე.“ აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვიმსჯელოთ პოეტზეც და მისი პოზიის ფილოსოფიურობის ზომასა და წონაზე.

ასეთი მაღალი შეფასების გამო იტალიის უნივერსიტეტებში პოეტებს მეცნიერებად და აზრთა მეუფეებად თვლიდნენ და უსმენდნენ. ასეთები იყვნენ: დანტე, პეტრარკა, კასა და სხვა სონეტისტები, მაგრამ მე-16 საუკუნეში ლიტერატურული საზოგადოება იტალიაში დაიშალა -პატარა ასოციაციებად-აკადემიებად და ამ აკადემიებში ხდებოდა მოსმენები ახალი სონეტების და ძველად ნათქვამი შეხედულებების ახლებურად გააზრება. ამ პერიოდიდან შეიძლება გამოვარჩიოთ ტორკატო ტასოს ლექციები. ტასო მიიჩნევდა, რომ ინტელექტუალური ადამიანი ორი ტიპის იყო. ერთი- ბუნებრივად ნიჭიერი, დაბადებით გენიოსი და მეორე - შემოქმედებითი, არტისტული კულტურის. მეორე ჯგუფს ის კიდევ ყოფდა იმიტატორებად და კრიტიკოს-მკვლევრებად. მთლიანობაში მწერალს, შემოქმედს ის სამ კატეგორიად განიხილავდა-ღმერთებად, იმიტატორებად და კომენტატორებად. სწორედ ამ პერიოდიდან იტალიის აკადემიებში ისმენდნენ მხოლოდდამხოლოდ იმიტატორების და კომენტატორების ლექციებს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ნაწილი მკვლევრებისა ასკვნის, რომ ყოველივე შემდგომ გამოქვეყნებული შესაძლებელია იყოს იმიტირებული ან თუნდაც შეთხზული და ეს ტენდენცია ეხება შექსპირსაც, მის სონეტებსაც და მის ირგვლივ მოარულ უამრავ ვერსიასაც.

აკადემიის, იმიტატორების, ლექციებისა და კომენტატორების თემას აშუქებს შექსპირიც თავის დრამაში “Love’s Labour’s Lost”. ამ ნაწარმოებში მან მოქმედება განავრცო სასახლეში - ნავარეს სასახლეში (Court of Navare), რომელიც პატარა აკადემიად გადაიქცა. მისი წევრები თხზავდნენ, განიხილავდნენ და კომენტარს ურთავდნენ სონეტებს. ზუსტად ამგვარი რამ დაემართა შექსპირის სონეტებსაც. მათზე პირველად გაამახვილა ყურადღება მერემ ( Mere) 1598 წ. და მათ უწოდა შექსპირის „დაშაქრული სონეტები საკუთარი მეგობრების წრეში“, რომელიც ძალიან წააგავდა შექსპირისეულ ნავარეს აკადემიაში მიმდინარე პროცესს. ამ თემაზე საუბრისას შეუძლებელია

არ შევეხოთ იმ პიროვნების თემას, ვისაც მიეძღვნა ეს სონეტები. ეს გახლავთ Mr. W.H., რომელიც ნახსენებია თომას თორპის (Thomas Thorpe) მიერ გამოცემულ პირველ კრებულში 1609 წ. ეს მინაწერი, სავარაუდოა, რომ თვით გამომცემლის კომენტირება თუ იმიტირება ყოფილიყო. ეს ციტატა შემდეგნაირად იკითხება : "To the only begetter of these insuing sonnets Mr.W.H all happiness and that eternity promised by our ever-living poet, wisheth the well-wishing adventurer in setting forth – T.T" ქართულად ამ ტექსტის თარგმნა დაახლოებით ასე შეიძლება: „ერთადერთ შთამაგონებელს ქვემორე გამოქვეყნებული სონეტებისა ბატონ W.H . ყოველგვარ ბედნიერებას და უკვდავებას ჩვენი მარად ცოცხალი პოეტის დანაპირებს უსურვებს კეთილის მსურველი გამომცემელი T.T.

რადგანაც სონეტები ეძღვნება კაცსაც და ქალსაც, ამიტომ Mr. W.H. (ვინც უნდა იყოს ის) შეუძლებლია იყოს ერთადერთი შთაგონების წყარო და ამდენად, რჩება ალტერნატიული აზრი, რომ სიტყვა "begetter" ნიშნავს „შემგროვებელს" (collector) ან უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ შემგროვებელს და ასეთი იყო W.H. მოგვიანებით დაწერილი სონეტები კი, რომლებიც ნამდვილად არ ეძღვნება მას (W.H - მამაკაცს) აშკარად განიცდის მის გავლენას. სავარაუდოა, რომ W.H. იყო მაღალი წრის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც იმოგზაურა იტალიაში, მოისმინა ლექციები სიყვარულის ფილოსოფიაზე იმდროინდელ აკადემიაში და უკან დაბრუნებულს, პეტრარკათი მოხიბლულ და პლატონიზმით აღსავსე ახალგაზრდას ჰქონდა გარკვეული საუბარი - დისკუსია შექსპირთან და სწორედ ეს გახდა სონეტების დაწერის თუ მიძღვნის წინაპირობა.

პირადად მე, ნამდვილად შევჩერდები ამ მოსაზრებაზე, რადგან შექსპირის მიერ შექმნილი უზადო, საუკუნეებ-გამოვლილ ფილოსოფიურ სონეტებს ნამდვილად არ სჭირდება ახალი ვერსიების მიმატება და იმიტირება.

შექსპირი ნამდვილი ფილოსოფოსია. თავის ნაწარმოებებში ის უამრავ საკითხზე მსჯელობს, ხოლო მისი სონეტები სიყვარულის ფილოსოფიის უტყუარი ნიმუშია. ყველა დიდი სონეტისტი ექცეოდა ერთი დიდი, მაგრამ კონკრეტული ფილოსოფიის - პლატონიზმის გავლენის ქვეშ. სოკრატე ამბობდა: „მე ვაცხადებ, რომ ერთი პატარა რამის გარდა არაფერი ვიცი და ეს სიყვარულია"-ო. სწორედ ამიტომაც მოიხსენიებს შექსპირი სოკრატეს გენიალურად (Socrates ingenio) ეპიტაფიაში.

პლატონური ფილოსოფიის მიხედვით, ეს „პატარა რაღაც" იზრდება, ძლიერდება, სამყაროს ატრიალებს და ვისაც სიყვარული შეუძლია, მას ამქვეყნად ყველაფერი შეუძლია. პლატონური სკოლებისა და წიგნების გავლენა ყველას შეეხო: დანტეს, პეტრარკას და მე-16 საუკუნის იტალიური რენესანსის დროინდელ ლიტერატურასაც. ეს გავლენა იტალიიდან ევროპაში შემოვიდა. სარეი და სპენსერიც არ დარჩენილან გულგრილი ამ მიმართულების მიმართ, მაგრამ ვერავისთან ნახავთ ისეთ ძლიერ გავლენას, მრავალგვარობასა და სიღრმეს პლატონური ფილოსოფიისას, როგორც ეს შექსპირის სონეტებში, პოეზიასა და პიესების დიდ ნაწილშია.

შექსპირის სონეტები გამოხატავს შექსპირის რენესანსულ მსოფლაღქმასაც და მისი მთელი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივ მხატვრულ - სტილისტურ თავისებურებებსაც. მსოფლმხედველობრივ - ფილოსოფიურ პლანში ეს არის დროის ფართე, სიმბოლური გააზრება და მასთან დაკავშირებული წუთისოფლის სიმოკლისა და მარდისობის, სიმშვენიერის ფარდობითობისა და სამარადჟამო მნიშვნელობის, ვერაგობისა და სიყვარულის პერმანენტულ ურთიერთჭიდილის გააზრება. ეს მსოფლმხედველობრივი მომენტი არ არის მშრალი ფილოსოფიური აბსტრაქცია და მით უფრო, ინტელექტუალური დოგმატების რაიმე სისტემა. იგი თავადაც, სწორედ სიმბოლური განზოგადოებისა და თავისებური ბალანსირების გამო, მხატვრულ - ესთეტიკურ ფენომენად წარმოგვიდგება.

შექსპირის სონეტები - მათი თანამიმდევრულობა და შინაარსი შეიძლება მივიჩნიოთ თვით შექსპირის აზრებისა და ფილოსოფიური ხედვის გადმოცემის კონკრეტულ სისტემად.

**Maya Natroshvili**

**William Shakespeare's Sonnet Philosophy**


**SUMMARY**

The possibility of a philosophy in Shakespeare's Sonnets has long been debated. The frequently expressed sense of mystery toward the whole set has led to the belief they are fundamentally incoherent or so personal as to defy interpretation. The purpose of this article is to demonstrate that Shakespeare did have a unique philosophy and that he deliberately organized his Sonnets to give it expression.

Despite many attempts over the years to discover a philosophy in the Sonnets the understanding of their meaning has progressed no further than the commonplace that they contain no inherent philosophy. Wordsworth, Hazlitt, and Eliot held that they contain no philosophy but others such as Coleridge, Croce, and Strachey regarded them as deeply philosophical.

Shakespeare had a systematic philosophy and he used the sonnet form to give it comprehensive and consistent expression. The Sonnets articulate the logical principles for expression at a mythic depth. The logical criteria presented in the Sonnets provide the philosophic basis for the mythic achievement of his plays and other poems.

Because of the consistency of the logic, Shakespeare's Sonnets represent the underlying conditions for every possibility in the world and so for the logical relation between the world and the human mind. William Shakespeare articulated this logic and philosophy in his Sonnets 400 years ago.

# საწარმოო რესურსების დაგეგმვისა და მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიები

*მაია ოხანაშვილი,*
*ლილი პეტრიაშვილი,*
*მაკა ხართიშვილი*

ჩამოყალიბებულია საწარმოო რესურსების ეფექტურად დაგეგმვისა და მართვის ამოცანა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: კომპანიებისთვის ძალიან რთულია საქმიანობის საკუთარ სტრატეგიასა და მიზნებთან ზედმიწევნით თანხმობაში წარმართვა, საჭირო ინფორმაციაზე წვდომა რეალურ დროში, ძირითადად არ არსებობს. შესაბამისად შეუძლებელია პრობლემატური საკითხების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება. შედეგად კომპანიები ხელიდან უშვებენ და იკარგება მრავალი შესაძლებლობანი, რაც მხოლოდ მოგვიანებით ხდება ცნობილი. ამასთანავე, კორპორატიული მიზნების მიღწევა არის ძალზე რთული, როდესაც ადამიანური რესურსი ორგანიზაციულ მიზნებთან არაა თანხვედრაში. რაც შეეხება კომპანიის ხარჯების ზოგად დონეს, საოპერაციო თვალსაზრისით იგი არის მაღალი, რაც კომპანიის მოუქნელობის, პროცესების დაბალი სტანდარტიზაციით, დაბალი ეფექტიანობითა და ადაპტაციის უნარით არის გამოწვეული. აგრეთვე საინფორმაციო ფუნქციები ვერ ვრცელდება მთლიან კომპანიაზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების გარეშე, კომპანიებს არ გააჩნიათ ორგანიზაციის ხედვა, კერძოდ, ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვიანობის ფუნქციონალობა მოიკოჭლებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ბიზნეს ანალიტიკურ შესაძლებლობებზე. შედეგად, ყველაფერ ამას კომპანია მიჰყავს დაბალ შემოსავლიანობამდე, სუსტ ფინანსურ და აგრეთვე სუსტი რისკების მართვამდე. ბიზნეს-პროცესების ინტეგრაციისა და ოპტიმიზაციის გარეშე კომპანიებს აქვს მაღალი ინტეგრაციის ხარჯები და, როგორც წესი, უწევს შეიძინოს პროგრამული უზრუნველყოფა მესამე, გარე მხარისაგან, რაც ხშირად არაეფექტურია და იწვევს ფინანსური რესურსის გადაჭარბებულ ხარჯვას. რაც შეეხება ადამიანური რესურსების მართვას კომპანიაში, ძალზე რთულია ჩამოყალიბდეს კარიერისა და განვითარების გეგმები საქმის მოწინავე შემსრულებელთათვის, ადამიანებისათვის, რომლებიც მართლაც კომპანიისთვის ფასეულ რესურსს წარმოადგენს. ასეთი გეგმების არსებობის შემთხვევაშიც კი, ისინი არ არის ნათლად განსაზღვრული, ანუ არაეფექტურია. ამ მხრივ, მოწინავე შემსრულებლების საქმიანობა არ არის დაკავშირებული საკომპენსაციო პროგრამებთან. აგრეთვე თანამშრომლებისათვის რთულია მოიპოვონ კომპანიაში ინფორმაცია, რომელიც მათ სჭირდებათ ყოველდღიურ საქმიანობაში. ზემოხსენებული ამოცანების ცალკეული გადაჭრა შესაძლებელია მრავალი გზით, კომპანიები დიდ დროს უთმობს ამ ამოცანებს, თუმცა მათი ერთიანად გადაწყვეტა ინტეგრირებული გზით მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო სისტემის ERP დანერგვითაა შესაძლებელი [1].

ბოლო პერიოდის განმავლობაში მსხვილ კომპანიათა დიდი ნაწილი ტრანზაქციათა დამუშავებისას იყენებს ERP (Enterprise Resource Planning) სისტემებს. მეორეს მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა საცავებს, რომლებიც მნიშვნელოვან სამსახურს უწევს კომპანიის ხელმძღვანელებს გადაწყვეტილებათა მიღებაში. დიდი კომპანიის მიერ წარმატებული პროექტების განსახორციელებლად საჭირო გახდა, ერთი მხრივ, ERP – სისტემების და, მეორე მხრივ, მონაცემთა საცავების პარალელურად გამოყენების აუცილებლობა. ERP – სისტემის განვითარება დაიწყო 1990 წლიდან, რისი აუცილებლობაც განაპირობა სამმა ძირითადმა ტენდენციამ:

- მომდევნო წლისათვის არსებული ფინანსური პრობლემები;
- ბიზნეს-პროცესების, როგორც ძირითადი სტრატეგიის რეინჟინირება;
- ERP – სისტემის ფუნქციური და ტექნიკური მიღწევები.

კლიენტ–სერვერ არქიტექტურის ბაზაზე წარმოქმნილი ინტეგრირებული ERP სისტემა ტრანზაქციათა დამუშავებისას პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტური საშუალებაა. სისტემის ნაკლად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ არ არის გათვალისწინებული მოთხოვნათა ხარისხის განსაზღვრა, ამ დროს იგი ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის ხელმძღვანელისათვის, რათა ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებათა მიღებას.

იმისათვის, რომ ERP სისტემა იყოს სრულყოფილი სახით წარმოდგენილი, პროგრამული რესურსების მწარმოებლები აერთიანებენ ERP სისტემას მონაცემთა საცავებთან. ინტეგრირებული ანალიზი მონაცემებს აერთიანებს რამდენიმე სისტემაში: დამკვეთების მართვა ურთიერთქმედების რეჟიმში CRM –(customer

relationship management), ადამიანური რესირსების მართვა, ფინანსები, ელექტრონული კომერცია. ეს ტექნოლოგია აგრეთვე გვაძლევს შესაძლებლობას გავაფართოოთ ინფორმაციის ანალიზური დამუშავება, რის შედეგადაც კომპანიას შეეძლება სწრაფად მოახდინოს რეაგირება ბაზარზე არსებულ მუდმივად ცვალებად სიტუაციებზე. ინტეგრირებული ანალიზის ჩატარებისას შესაძლებელია მივიღოთ ასეთი შედეგები:

- აერთიანებს ინფორმაციას მთელი კომპანიის მასშტაბით;
- საშუალებას აძლევს ინდივიდუალურად შეირჩეს usiness Inteligence მეთოდი სისტემის ყოველი მომხმარებლისათვის;
- მოიცავს  ყველაზე თანამედროვე ანალიზურ მო-დელს, რომლის დანიშნულებაცაა გადაწყვეტილების მიღებაში ხელის შეწყობა.

ინტეგრირებული ანალიზი წარმოებას უზრუნველყოფს აუცილებელი ანგარიშგების სახეობით და ინსტრუმენტული საშუალებებით, რომლებიც კომპანიის ხელმძღვანელს ხელს უწყობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში. მაგალითად, ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ბევრ ERP – პროდუქტში ტრანზაქციული ფორმით, ხოლო მომხმარებელს სჭირდება სწრაფად მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა დეტალიზაციის დონეზე. ამის გარდა ტრადიციული ERP სისტემა იყენებს რელაციურ ბაზებს, რომელთა სტრუქტურაც საშუალებას გვაძლევს შემომავალი მონაცემები წარმოვადგინოთ მხოლოდ ერთი განზომილებით, ხოლო მათი მრავალგანზომილებიანი წარმოდგენა მოითხოვს მაღალტექნოლოგიურ ტექნიკურ კვალიფიკაციას, რომელთა მწარმოებლურობა ოპერატიულ რეჟიმში ხშირ შემთხვევაში დაბალია. მონაცემთა მრავალგანზომილებიანი წარმოდგენა ყველაზე უფრო შესაძლებელია მონაცემთა საცავებში. ასეთი სისტემები შედგება, როგორც წესი, სამი კომპონენტისაგან:

– მონაცემთა წარმოდგენა საცავში საჭირო ფორმატით;
– რეპოზიტორები, როგორც ინფორმაციის ოპერატიული წყარო;
– ანალიზური დონე, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს შეეძლება განსაზღვროს მონაცემთა ტიპი.

ადრე ბევრი კომპანია ქმნიდა საკუთარ ინტერფეისებს, რომელთა დახმარებითაც უკავშირდებოდა ERP სისტემას, როგორც დამოუკიდებელ ანალიზურ დანართს. ამ დროს იქმნებოდა პრობლემები იმის გამო, რომ მსხვილ მწარმოებლებს მუდმივად უნდა მოეხდინა საბაზო არქიტექტურის შევსება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონაცემთა საცავები, როგორც ERP სისტემის საინფორმაციო არქიტექტურის ცენტრალური კომპონენტი.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, მომსახურე პერსონალის, შემკვეთებზე და შემსრულებლებზე მონაცემთა ერთიანად წარმოდგენა ერთ-ერთი რთული ამოცანაა. ამ ამოცანის თავის გასართმევად შეიძლება გამოვიყენოთ რამდენიმე სხვადასხვა სახის სისტემა.

CRM – სისტემა მოიპოვებს ინფორმაციას კლიენტებთან მომსახურე თანამშრომლებზე და მათ ურთიერთკავშირზე კონკრეტულ დამკვეთთან.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში იგივე ინფორმაცია წარმოდგენილია სხვა ფორმატით, რაც აგრეთვე მეორდება ფინანსურ სისტემაში განსხვავებული ფორმატით. მონაცემთა საცავების გამოყენებისას მონაცემთა ასეთი სახით წარმოდგენა არ ხდება, რადგან მოხდება მათი სხვადასხვა დონეზე გაერთიანება, მაგალითად:

- სრული და ურთიერთშეთანხმებული ინფორმაციის წარმოდგენა ფინანსებზე, შემკვეთებსა და თანამშრომლებზე;
- წარმოების და დაგეგმვის მაჩვენებლების წარმოდგენა;
- ინსტრუმენტთა ინფრასტრუქტურათა წარმოდგენის პროგრამული უზრუნველყოფა;
- პრობლემათა გადაჭრის ეფექტურობის ამაღლება, გამოყენებულ სისტემათა და ინტეგრირებულ ინსტრუმენტთა შემცირების ხარჯზე [2].

სხვადასხვა სახის მიდგომა ფირმა-მწარმოებელზე ნაჩვენებია ნახაზ 1-ზე:




**ნახ.1. სხვადასხვა სახის მიდგომა ფირმა-მწარმოებელზე**

ERP სისტემის ახალი ვერსიის გამოჩენამ შესაძლებელი გახადა ანალიზის პროცესის ჩატარების დროს ცვლილებების შეტანა საინფორმაციო პროდუქტის კონკრეტულ დარგში. როგორც ნახაზიდან ჩანს, ანალიზის პროცესის ჩატარება ეტაპობრივად განიცდის განვითარებას სრულყოფისაკენ, რომელიც თაობებად არის წარმოდგენილი და საბოლოოდ იღებს ინტეგრირებულ სახეს. აღსანიშნავია ის გარე-

მოება, რომ ბოლო პერიოდში მსხვილმა კომპანია – მწარმოებლებმა, როგორიცაა SAP და Peoplesoft, მეორე თაობის ანალიზური სისტემის გამოყენებით მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში. ფირმა SAP ბაზარზე გამოჩნდა მონაცემთა საცავებით და ამზადებდა პროდუქტს დასახელებით Business Information Warehouse (BW). მის კომპონენტებს შორის იყო ასობით მონაცემთა ბაზა, მონაცემთა პროგრამული მართვის სქემები, ინტერაქტიული კვლევები, ეფექტურობის მაჩვენებლები და ა. შ.

ინტეგრირებული ანალიზური სისტემის გამოყენებით მან შესაძლებელი გახადა თითოეული შემადგენელი კომპონენტის ექსპლუატაციის ღირებულების შემცირება, რაც დამკვეთთათვის მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. კომპანია Peoplesoft-მა ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ დაიწყო ინტეგრირებული ანალიზური სისტემის გამოყენება. მეშვიდე ვერსიაში Peoplesoft-ის დანართის პაკეტში დამატებული იყო პროდუქტთა სია, რომელიც უზრუნველყოფდა წარმოების ეფექტურ მართვას (ERM – Enterprise Performance Management). თავიდან ERM მოდელი ინტეგრირებული იყო დანართი Peoplesoft არქიტექტურასთან, სადაც გამოყენებული იყო არქიტექტურული სტანდარტები და მონაცემთა დამუშავების ორიგინალური ინსტრუმენტები.

ფირმა მუდმივად ავითარებს ERM მოდელის შესაძლებლობებს. იგი დღეისათვის შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან: მონაცემთა გარდაქმნა და ჩატვირთვა (ETL), მონაცემთა საცავები, მონაცემთა დამუშავების ანალიზური ინსტრუმენტი, ანალიზური დანართი, რომელიც გამოიყენება დაგეგმვის, ბიუჯეტის და ბალანსის მაჩვენებლებისათვის.

ყველა ჩამოთვლილი ანალიზური კომპონენტის გამოყენება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ კომპანიის მდგომარეობა სხვადასხვა დონეზე [3]. მაგალითად, რომელიმე პროდუქტის გასაღების დონე ცალკეულ რეგიონებში, გაყიდული პროდუქტის ღირებულება და კონკრეტული სახეობა, საქონლის რეალიზაციისათვის საკომისიო გადასახადები, შემოსავლები.

ნაშრომში მოცემულია სისტემის ეფექტური შერჩევისა და დანერგვის ცნება. შემოთავაზებულია სამი ეტაპი, რომელთა გავლაც აუცილებელია სისტემის წარმატებით დანერგვის განსახორციელებლად. ეს ეტაპებია:

1. ორგანიზაციის მზადყოფნის შეფასება ERP სისტემის დასანერგად;
2. სასურველი, ოპტიმალური ERP სისტემის შერჩევა სხვადასხვა ანალიტიკური საშუალებების გამოყენებით;
3. კომპანიის შესწავლის ანუ დიაგნოსტიკის ეტაპი.
4. სისტემის რეალიზაციის საშუალებების ჩამოყალიბება.

ამგვარად, შემუშავებულ იქნა ERP სისტემის ოთხეტაპიანი დანერგვის მეთოდოლოგია, რომელიც განსხვავდება არსებული დანერგვის მეთოდოლოგიებისაგან ძირითადად იმით, რომ აქცენტი კეთდება დანერგვის წინა ეტაპებზე, რათა მოხდეს სისტემის წარმატებული დანერგვა (ნახ. 2).




**ნახ..2. ERP რეალიზაციის სტრატეგიული მოდელი**

საბოლოოდ, შეიძლება ვთქვათ, რომ ERP მოდელი არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ინტეგრირებულ მონაცემთა ანალიზისათვის. ცხადია, რომ დანართი, რომელიც მუშავდებოდა კონკრეტული მომხმარებლისათვის, წარსულს ჩაბარდა და მისი ადგილი დაიკავა მზა პროდუქტმა, რომელიც განკუთვნილია წარმოების რესურსების მართვისათვის. მსხვილ საწარმოთა ანალიზურ ERP დანართის დამკვეთები მკვეთრად განსაზღვრავენ თუ რა მიმართულებით სჭირდებათ განვითარება. ინტეგრირებული ანალიზური სისტემის რეალიზაციით ფირმებს აქვს შესაძლებლობა ოპტიმალურად განსაზღვრონ და მართონ საწარმოო რესურსები.

## ლიტერატურა:

1. სურგულაძე გ, ოხანაშვილი მ., სურგულაძე გ., მარკეტინგის ბიზნეს-პროცესების უნიფიცირებული და იმიტაციური მოდელირება, მონოგრაფია. სტუ 2009, გვ. 170;
2. პეტრიაშვილი ლ.,ოხანაშვილი მ. კორპორაციული საინფორმაციო სისტემების დაპროექტება. სტუ შრომები №1(2) 2007;
3. Surguladze g., Petriashvili l., Okhanashvili m., Kvavadze l. Construction of the multimensional analisis packet with decision cube components for commercial interprises. Georgian enginering news N4, 2005.

# საქართველო: წარსული, დღევანდელობა, მომავალი

## ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტისათვის

*ნანა ხაზარაძე, სტუ-ს სრული პროფესორი*
*ნანა ბახსოლიანი, სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა აღნიშნული, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ასპექტის წარმოსაჩენად ძირითადი საისტორიო წყაროები, არქეოლოგიურ არტეფაქტებთან ერთად, ძველაღმოსავლური (ურარტული ლურსმული წარწერები), ძველბერძენ და რომაელ ავტორთა თხზულებებში დაცული ცნობებია. სადღეისოდ ჩატარებული კვლევების შედეგად ძველი საქართველოს ქართველების ეთნოგენეზისის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური თუ სოციალური ისტორიის ცალკეული საკითხები საკმაოდაა გამოკვლეული.

ამჟამად ჩვენი მიზანია, წერილობითი პირველწყაროების [1, 58] ანალიზის საფუძველზე მეტ-ნაკლები სისრულით აღვადგინოთ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებული ქართველი ტომების დემოგრაფიული და ეკონომიკური ისტორიის პარადიგმები, მით უმეტეს, რომ ამ თვალსაზრისით, საქართველოს ამ ძირძველი მხარის ჩვენთვის საინტერესო მიმართულებები სპეციალური კვლევის ობიექტი ამ ბოლო დრომდე არ გამხდარა.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს ისტორიული ტაო-კლარჯეთის რეგიონში, ევფრატის სათავესა და მთლიანად ჭოროხის აუზში ძვ. წ. XII-VIII სს-ის ასურელ მეფეთა (თიგლათფილესერ I ძვ. წ. 1115-1077 წწ., სალმანასარ III-ის ძვ. წ. 859-824 წწ.) წერილობით ძეგლებში და ძვ. წ. IX-VIII სს-ის ურარტუელ მეფეთა (მენუა ძვ. წ. 810-786 წწ., არგიშთი I ძვ. წ. 786-764 წწ.) მატიანებში მრავალგზის მოხსენიებული დაიაენი/დიაოხი ($^{KUR}$Daiaeni, $^{m}$Diau(e)ḫi), რომელსაც, ჩვეულებრივ, ძველბერძნული წყაროების ავტორების (ქსენოფონტი ძვ. წ.V-IVსს, სოფაინეტი ძვ. წ. VIს.) თხზულებებში დამოწმებულ ტაოხებს, ქართულ პროვინცია ტაოსა და სომხურ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ტაიქს უკავშირებენ.

როგორც არგიშთი I-ის ე. წ. „ხორხორის" წარწერიდან ირკვევა, დიაოხის მსხვილი პოლიტიკური ერთეული რამდენიმე უფრო მცირე მასშტაბის „ქვეყანას" აერთიანებდა. ესენია: კადა ($^{KUR}$Qada), აშკალაში ($^{KUR}$Ašqalaši), შაშილუ ($^{KUR}$Šašilu(ni), შაშკი ($^{m}$Šaškieḫi), არდარაკიხი ($^{m}$Ardarakiḫi), ბალტულხი ($^{m}$Baltulḫi), კაბილუხი ($^{m}$Qabiluḫi) [2, 503]..

საკვლევად შერჩეული საკითხის შესწავლისათვის აღნიშნულ რეგიონში დემოგრაფიული ვითარების რეკონსტრუქციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დიაოხის ქვეყანაში ურარტუს მეფე არგიშთი I-ის ლაშქრობების აღწერისადმი მიძღვნილი დასკვნითი პასაჟები იმსახურებს, სადაც სკრუპულოზურადაა აღნუსხული დიაოხიდან ურარტუში ტყვეებად წამოყვანილი ყრმების, მამაკაცებისა და დედაკაცების ამსახველი რაოდენობრივი საკმაოდ შთამბეჭდავი მონაცემები. ირკვევა, რომ ურარტუს მეფე არგიშთი I-ს დიოხის ქვეყანა რამდენიმეგზის დაულაშქრავს. არგიშთი I-ის მეფობის მეორე წელს (ძვ. წ. 785წ.) დიაოხში განხორციელებული ლაშქრობის შედეგების შესახებ ურარტული წყარო გვამცნობს: *„არგიშთი ამბობს: შევევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის (იმის შესახებ), რაც მე მეუფის სიდიადით მსურდა (?) მომემოქმედა.*

*იმავე წელს მე კვლავ შევკრიბე მეომრები და გავემართე (სალაშქროდ) დიაუეხის ქვეყნის წინააღმდეგ... 19255 ყრმა, 10140 მეომარი ცოცხლად, 23280 დედაკაცი...”* [3, 247-248]. ურარტუს მეფის მოღვაწეობის იმავე წლის ამსახველი სურბ საჰაკის ეკლესიის სტელაზე დაცული წარწერით ისიც მოწმდება, რომ ურარტუს მეფეს დიაოხის ქვეყნაში კიდევ ერთხელ ულაშქრია. ამ ურარტული წერილობითი ძეგლის თანახმად, *„...გავემართე მე (სალაშქროდ) დიდის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას წინააღმდეგ; ქალაქი ზუა, დიაუხის (ქვეყნის) სამეფო ქალაქი, მე გადავწვი. წარწერა დავდგი ქალაქ ზუაში. წავედი მე ქვეყნის კარით აშკალაშის ქვეყნის წინააღმდეგ... (მათი) მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მივუმატე: ქვეყანა კადა, ქვეყანა აშკალაში, ქალაქ შაშილუეს ქვეყანა. 15181 ყრმა, 2734 მამაკაცი, 10604 დედაკაცი...”* [4, 77]. დიაოხიდან ურარტუში გადასახლებულ ტყვეთა რიცხობრივ მაჩვენებლებზე არგიშთი I-ის კიდევ ერთი ცნობა იუწყება. ზემომოყვანილ ჩვენთვის საინტერესო მონაცემებს, გარკვეულწილად, ყარსის ვილაიეთის ქალაქ ხანაკის მახლობლად 1985 წელს აღმოჩენილი იმავე არგიშთი I-ის სახელით ქვაზე ამოკვეთილი ურარტული წარწერაც ავსებს, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, იმავე მეფის ხორხორის წარწერის ანალოგიური ინფორმაციის შემცველია. ამ წარწერის მოწმობით: *„ხალდის ბრძანებით არგიშთი ამბობს: დიაუხის მეფე მაშინვე (?) მოვიდა ჩემთან (ქალაქ) ახურიანის ოლქში. ლაშქარი უკუვაგდე, (ქალაქი) კა... გავანადგურე, ასეთი ნადავლი მოვიპოვე იქ: 72 ათას 80 ყრმა, 7 ათასი ..., 11 ... ზოვი დავხოცე...”* [5, 127].

ჩვენი აზრით, დიაოხში ძვ. წ. VIII საუკუნეში არსებული დემოგრაფიული სურათის მეტ-ნაკლები სიზუსტით აღდგენისათვის მოყვანილ ცნობებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სხვა სახის ინფორმაცია დიაოხის ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, ობიექტურ მიზეზთა გამო, ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. თუ ჩვენ ხელთ არსებულ დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემებს შევაჯამებთ, შემდეგ შედეგს მივიღებთ. აღმოჩნდება, რომ დიაოხში არგიშთი I-ის სამი ლაშქრობის დროს მთლიანობაში 171 ათას 274 ტყვეა წაყვანილი. სავარაუდოა, რომ ეს რიცხვი გაცილებით დიდი იყო, რადგან თავად წყარო მიუთითებს, რომ მოსახლეობის ნაწილი დახოცილ იქნა. ნიშანდობლივია, რომ ტყვეთა რაოდენობის აღნუსხვისას დამრგვალებული ციფრები, მცირე გამონაკლისის გარდა, არ გვხვდება, რაც შესაძლოა იმას მეტყველებდეს, რომ წყაროში მითითებული სტატისტიკური მონაცემები რეალურ ვითარებას შეესაბამება. ტყვეთა რაოდენობის დინამიკა ურარტუელთა ლაშქრობის ქრონოლოგიის გათვალისწინებით საყურადღებო დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: პირველ, მეორე და მესამე ლაშქრობის ტყვედჩავარდნილი მამაკაცებისა და ქალების რიცხვი კლებულობს. თუ პირველი ლაშქრობისას იყო 10140 მამაკაცი და 23280 ქალი, მეორე ლაშქრობის დროს 2734 მამაკაცი და 10604 ქალია, მესამეს დროს კი 7000 მამაკაცი და 11000 დედაკაცი. განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ამავე ვითარებაში ტყვედჩავარდნილი ყრმების რაოდენობა ცვალებადია. ხაზგასასმელია, რომ I და II ლაშქრობებში ტყვედჩავარდნილ ყრმათა რაოდენობა მესამე ლაშქრობის შედეგად, ფაქტობრივად, ორჯერ აღემატება I და II ლაშქრობების შედეგებს (I – 19255, II – 15181, III – 72080 ყრმა), რაც შესაძლოა იმის მანიშნებელია, რომ დიაოხის ქვეყანაში ურარტუელთა ლაშქრობების შედეგად ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაცია მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. ვერ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ სწორედ ეს გარემოება გახდა საფუძველი იმისა, რომ სარდურ II-ის წარწერებში დიაოხის ქვეყნის სახელწოდება ქრება და მის ადგილს კულხა-კოლხა იკავებს. ჩვენ ხელთ არსებული მასალით ვერ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ საკვლევი პერიოდის დიაოხის საკმაოდ რთული ბუნებრივი რელიეფის მიუხედავად, მოსახლეობა მჭიდროდ იყო დასახლებული და არანაკლებ 900 ათას მოსახლეს ითვლიდა.

დიაოხის ქვეყანაში ურარტული სამხედრო ექსპანსიის წინა პერიოდის დემოგრაფიული ვითარების წარმოსადგენად ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ურარტუელთა ლაშქრობის დროს აქ ტიპოლოგიურად განსხვავებული დასახლებების რაოდენობა საკმაოდ მაღალია. ამავე დასკვნამდე მივყავართ დიაოხში ურარტუელების სამხედრო ოპერაციების დროს დანგრეული ქალაქების, დასახლებების, ციხე-სიმაგრეებისა და ე. წ. „ქვეყნების” რიცხობრივ მონაცემებს. უკვე ზემომოყვანილი არგიშთი I-ის მიერ შედგენილ სურბ საჰაკის ურარტულ ლურსმულ წარწერაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მეფემ დიაოხის ქვეყა-

ნაში „...*105 ციხე-სიმაგრე მე დავანგრიე, 453 ქალაქი (კი) დავწვი სამი ქვეყანა მე იქიდან მოვგლიჯე...*". დაახლოებით ასეთივე სტატისტიკას გვთავაზობს ხანაკში აღმოჩენილი ურარტული ლურსმული წარწერაც: „*ხალდის ბრძანებით არგიშთი ამბობს: ...6 ციხე დავანგრიე, 50 ქალაქი დავწვი*".

ამგვარად, ირკვევა, რომ დიაოხის ტერიტორიაზე მრავალი ქალაქი, ე. წ. „ქვეყანა", სამეფო ქალაქი, ციხე-სიმაგრე არსებობდა. თუ მოყვანილი წერილობითი ძეგლების მონაცემებს შევაჯამებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ორივე სამხედრო ოპერაციის დროს დიაოხის ქვეყანაში აღებული ორი სამეფო ქალაქი (ზუა, შაშილუ), 111 ციხე-სიმაგრე და 503 „ქალაქი" დასტურდება. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დიაოხის სამეფო ქალაქები, ქალაქები და ციხე-სიმაგრეები ისეთი მასშტაბის იყო, როგორც ურუქი, ლაგაში, ბაბილონი, ნინევია, ხათუსა, ტუშპა, ვაშუქანი, გორდიონი, სარდე ან ანტიკური ხანის ბერძნული პოლისები და რომაული ქალაქები, მაგრამ, თავისთავად, ურარტულ წარწერებში ასახული სტატისტიკა, დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია.

ურარტულ წერილობით ძეგლებში დაცული მონაცემები არანაკლებ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს დიაოხში ეკონომიკური ვითარების წარმოსაჩენად. ზემოთ უკვე მოხსენიებული წარწერების დასკვნით ნაწილებში არაერთგზისაა მითითებული დიაოხის ქვეყნიდან წამოყვანილი ცხენების, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რაოდენობრივი მაჩვენებლები. მაგალითად, ე. წ. „ხორხორის" მატიანეში არგიშთი I აცხადებს: *(დიაოხიდან – ნ.ხ.ნ.ბ.) „ხალდის ბრძანებით არგიშთი ამბობს: 4426 ცხენი, 10478 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 73770 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (მე წავიყვანე)*". დაახლოებით ასეთივე ინფორმაციას ვხვდებით იმავე მეფის სახელით ვანის კლდეზე ამოკვეთილ ურარტულ ლურსმულ წარწერაშიც: „*არგიშთი ამბობს: მე 1104 ცხენი გავდენე, (აგრეთვე) 35015 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ასიათას... ერთიათას 829 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი...*". მესაქონლეობით დიაოხის განსაკუთრებულ სიმდიდრეზე ისიც მეტყველებს, რომ ურარტუს მეფე დიაოხს ხარკის სახით, მაინცადამაინც, დიდი რაოდენობით ცხენების, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ურარტუსათვის გადაცემას ავალდებულებს. სურბ საჰაკის წარწერიდან ირკვევა, რომ დიაოხს ხარკის სახით უნდა გადაეხადა: „*1000 საჯდომი ცხენი, 300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ათი ათასი სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი...*". რაკი დიაოხელთა ხარკის აღწერისას, როგორც წესი, მიწათმოქმედების პროდუქტების მოხსენიებას არ ვხვდებით და მთელი აქცენტი ცხენებზე, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელზეა გადატანილი, ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიაოხელები, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევდნენ, რომელიც საკმაოდ მაღალი დონით ხასიათდებოდა. ამ თვალსაზრისით, ზემომოყვანილი რიცხობრივი მაჩვენებლები, რასაკვირველია, ანგარიშგასაწევია. ურარტულ წყაროებში დამოწმებული რიცხობრივი მაჩვენებლის შეჯამება, შემდეგი სურათის აღდგენის საშუალებას გვაძლევს. დიაოხში ურარტუელთა ორი ლაშქრობის დროს დამპყრობლებმა ხელთ იგდეს დიაოხელთა მიერ გამოზრდილი 5530 ცხენი, 45493 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 75599 წვრილფეხა საქონელი, რაც არა მხოლოდ ამ მხარის მეურნეობის, არამედ მოსახლეობის სპეციალიზაციის და დემოგრაფიული სიტუაციის თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი.

მაგრამ დიაოხის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისტორიის უფრო სრული დახასიათებისათვის არანაკლები მნიშვნელობა იმ გარემოებას ენიჭება, რომ ჭოროხის ხეობა უხსოვარი დროიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეტალურგიის უძლიერეს კერას წარმოადგენდა [6, 12], რაც ჩვენს შემთხვევაშიც, სხვა არტეფაქტებთან ერთად, იმავე ურარტული წყაროებითაც მოწმდება. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას არგიშთი I-ის წარწერის შემდეგი სტრიქონი იმსახურებს. სურბ საჰაკის წარწერაში იგი აცხადებს: „*დიაუხის მეფე მე დავიმორჩილე, შევიწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით... 41 მინა სუფთა (?) ოქრო, 37 მინა ვერცხლი... ათი ათასი მინა სპილენძი*". ახლა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი მინის წონა 505 გრამს შეადგენს, შემდეგ სურათს მივიღებთ. დიაოხელები იძულებული იყვნენ საკუთარ ტერიტორიაზე არსებული ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის საბადოებიდან ურარტუში ხარკის სახით

ყოველწლიურად 20705 გრამი ოქრო, 18685 გრამი ვერცხლი და 5050000 გრამი სპილენძი გაეღოთ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ურარტულ წერილობით ძეგლებში შემონახული ეს ცნობებიც დიაოხში რეალური ეკონომიკური ვითარების წარმოსაჩენად საკმაოდ ღირებული ინფორმაციის შემცველია.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული მიმართულებებით ძველაღმოსავლური წყაროების შესწავლა პერსპექტიულია და აუცილებელიც, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად წარმოვიდგინოთ ის ეთნოკულტურული სამყარო, სადაც ქართველური ტომები იყვნენ განსახლებული.

### ლიტერატურა:


1. Г. Меликишвили, Наири-Урарту, Москва, 1954.
2. Н. В. Арутюнян, Корпус урартских клинообразных надписей, Ереван, 2001.
3. Г. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, Москва, 1960.
4. ლ. გორდეზიანი, ძველი ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2009.
5. Salvini M., Geschichte und Kultur der Urartäer, Darmstadt. 1995. CTU, 2008, Roma.
6. დ. ხახუტაიშვილი, შრომები, II, ბათუმი, 2009.



*Nana Khazaradze*

*Nana Bakhsoliani*


## SOME ASPECTS OF THE HISTORY OF SOUTHWESTERN GEORGIA OF THE FIRST HALF OF THE 1ST MILLENNIUM BC

### SUMMARY


There are a number of studies on the history of the country of Diaokhi ($^{m}$Diau(e) ḫi), identified by Georgian and foreign scholars with the Georgian province Tao. The present work, in the context of the evidence of Urartian Cuneiform inscriptions, studies for the first time the demographic and economical situation of this ancient Georgian political unit in the 780s BC. Taking into account the number of hostages (children, men, women), recorded in Urartian written sources, and that of different types of settlements (royal cities, castles, fortresses, villages, settlements) on the territory of Diaokhi, the authors arrive at the correct conclusion that Diaokhi in the period under study was populated quite densely, and counted no less than 900 thousand residents. On the basis of the analysis of the same sources, the authors arrive at the conclusion that the basis of the economy of Diaokhi was horse breeding, large and small scale livestock farming, as well as gold, silver and copper metallurgy.

# ერთი ჟარგონული გამონათქვამის შესახებ თანამედროვე ქართულში (მაგარი)

*ეკა ცხადაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
*ბადრი ცხადაძე, სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

**მაგარი** ძირძველი ქართული სიტყვაა. არსებითი სახელისგან დამოუკიდებლივ, იგი, როგორც ზედსართავი სახელი, კუმშვადია (***მაგრისა, მაგრითა***), ნიშნავს „მტკიცეს“, „ძნელოვანს“ [1]. ეტიმოლოგიურად ეს ლექსემა არავის უკვლევია. ისტორიკოს თ. მიბჩუანის მოსაზრებით, სვანურად ***მეგრე*** „მსხვილს“ ნიშნავს (შდრ. ბერძნ. „მაკრო“ დიდი). მკვლევარი არ გამორიცხავს ამ ფუძიდან ეთნონიმ „მეგრელის“ მიღებას [2, 160]. მიუთითებენ იმასაც, რომ ***მეგრე***'ს გვერდით სვანურშივე ***მენგრე* ნ** განვითარებული სიტყვაფორმა გვაქვს [2, 561]. იქნებ პირიქითაა: მეგრელ // მენგრელ –> მე[ნ]გრე? ცხადია, თ. მიბჩუანის ***მეგრე – მეგრელ*** ახსნა-დაკავშირება პიპოთეზის ფარგლებს ვერ სცილდება, რადგან არავითარი ახსნა-არგუმენტაცია მას თან არ ახლავს, მით უფრო, რომ ***მეგრელ // მარგალ*** სიტყვის აღნაგობა, წარმოება და ეტიმოლოგია სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია: მეგრელი // მარგალი (<– ენგურის ხეობაში მცხოვრები), სადაც **მ**- – ***-ელ // მ-*** – ***-ალ*** აფიქსებია [4, 143-144], [5, 382]. ჩვენი აზრით, მეგრ. ***მანგარ***-ი და სვანური ***მე[ნ]გრე*** ლექსიკური ნასესხობაა **მაგარ** ქართული სიტყვისა.

ძველ ქართულშივე ***მაგარ მაგრა*** ვარიაციული ფორმით სხვადასხვა ფუნქციითაცაა აღჭურვილი (კავშირის, ზმნიზედის...): **მაგარი –> მაგრად –> მაგრა**, რაც ნიშნავს: „მაგრამ, სამაგიეროდ; მაშინ, იმ შემთხვევაში“ [1, 211], [6, 104], [7]. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ასევე იხმარება ვითარებითი ბრუნვის ფორმიანი **მაგრიად** ლექსემაც, რომელიც ისტორიულად ***მაგრივად** სიტყვაფორმისაგან მომდინარეობს. ამ ლექსემაში **–ივ** ძველისძველი სიტყვასაწარმოებელი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტია, რომელსაც სიტყვაწარმოებითი ფუნქცია დღემდის არ დაუკარგავს. შდრ. ***მარჯვენით – მარჯვენივ; მარცხნით – მარცხნივ. მაღლით – მაღლივ; მაღლივი კორპუსი*** და მისთ. როგორც ერთ ნაშრომში ვწერდით, ძველ ქართულში სუფიქსური სიტყვაწარმოების ეს ტიპი დერივაციის გზითაა წარმოქმნილი: **-ივ, -ივად**//**-იად**. „ირკვევა, რომ **-ივ** მაწარმოებელი თუმცა ზოგ შემთხვევაში სახელის ფუძესაა შეზრდილი, მაგრამ სემანტიკურ დონეზე იგი მაინც გამოიყოფა: *ქურივი, მარჩბივ*: ზოგჯერ მას ზმნისართებში ავიწროებს **-ით** მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტი (*ფრჩხივ//ფრჩხით*) ან ვითარებითი ბრუნვის ფორმა (*მაძღრივ–სიმაძღრედ, სამართლივ–სამართლად*), სხვა (მესამე) შემთხვევაში **--ივ** ბოლოსართს ერთვის ვითარებითი ბრუნვის ნიშანი, რომლის დროსაც იკარგვის **-ივ** ბოლოსართისეული თანხმოვანი და ვიღებთ რთულ **-იად** (<**ივ-ად**) მაწარმოებელს: *უნებლივ–უნებლივად, მრვულივ–მრვულიად..*). ეს უკანასკნელი წარმოება ძველ ქართულში გაბატონებული ჩანს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართული ენის განვითარების ამ საფეხურზე **-ივ** ბოლოსართი ოდინდელი ცოცხალი სუფიქსის გადმონაშთია. საინტერესოა, რომ **ივად –> იად** დაბოლოება გვხვდება როგორც ზმნურ ფუძეებთან, ისე სახელებშიც. ზმნურ ფუძეში **-ევ** წარმოშობით თემის ნიშანია, რომელიც აბლაუტის გზით **–ევ –> ივ**-ი ელემენტად ქცეულა ვითარებითი ბრუნვის **-ად**-ის წინ: გან-ა-თ-ევ-ს –> გან-ა-თ-ივ-ა –> გან-თ-ივ-ად-ი –> გან-თ-იად-ი. სახელებშიც **-ი** ძველ საწარმოებელ სუფიქსს დაერთვის **-ად** ვითარებითი ბრუნვის ნიშანი და ვიღებთ ე.წ. რთულ სუფიქსს **–ივად –> იად [8, 59]**. ძველ ქართულშივე გვაქვს ვითარებითი შინაარსის გამომხატველი ზმნიზედა <u>მაგრობით</u> (=„ძალით“) [6, 104], რაც ისტორიულად <u>მაგრობს</u> ზმნის პირიან ფორმასა და <u>მაგრობა</u> მასდარს (resp. აბსტრაქტულ სახელს) აღგვადგენინებს.

„მაგრიად“ ძველ ქართულში ნიშნავს: „ძლიერ, ღონივრად“. ე. ი. ეს სიტყვაფორმა ზედსართავი სახელისაგან წარმოქმნილი ვითარების გამომხატველი ზმნიზედაა. იგი არცთუ იშვიათად ძველ ქართულშივე წინ უძღვის სიტყვა „მოისარს“: <u>მაგრიად მოისარი</u>, რაც ძლიერად, ისრის მარჯვედ მსროლელად [1, 212], გაწაფულ მშვილდოსნად [6, 177] განიმარტება.

სანიმუშოდ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“ დავიმოწმებთ ცნობილ ადგილს: [ცქირმან] „ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და <u>*მაგრიად*</u> *მოისარსა*“ (ხანცთ. 177, 11-12);

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რვატომეული) ფუძე-კუმშვადი **მაგარ**-ი (მაგრისა) პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ნაირგვარი შინაარსისა და ფუნქციისაა: 1. მყარი, ძნელად გასა-

ტეხი; მტკიცე საპირისპ. რბილი). გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა (**რუსთაველი**). ეს ფოლადი, ეს ჯავშანი რა მკვრივი და მაგარია! (**გ. კაჭახ.**). [კრუხმა] მოუჭირა თავისი ნისკარტი, მაგრამ ვერ გატეხა, რადგან მარცვალი მაგარი გამოდგა (**ი. გოგებ.**). ‖ მკვიდრი, გამძლე. ამოასხა მაგარი და გამძლე ქალამნები (**ი. გოგებ.**). ‖ ძნელად დასანგრევი; მიუვალი, ძნელად ასაღები. მაგარი გალავანი. – ლტოლვილთ მიმართეს ქსილეთის ტყეს, ყველაზე მაგარ ადგილს იმ არეში (**ვ. ბარნ.**). ‖ მოუხეშავი, მოუდრეკელი. კაჟივით მაგარი საყელო ერთგვარ მოკრძალების გრძნობას იწვევდა... მსაჯულისადმი (**ქ. ბაქრ.** თარგმ.). 2. ძლიერი, ღონიერი. ‖ ფიგურ. „მე მგონი, ვიღაცის მაგარი ხელი ხელმძღვანელობს" (**შ. დად.**). ‖ ფიზიკურად ძლიერი, – ჯანსაღი, ამტანი. ეს იყო ჯანსაღი, მაგარი დედაკაცი (**ჭ. ლომთ.**). „ჩემი გამობრუნება გვიანდებოდა, თუმცა ახალგაზრდობას და მაგარ აგებულებას უნდა ხელი შეეწყო" (**ა. ყაზბ.**). ‖ სულიერად მტკიცე, ძლიერი. „მე მაგარი მეგონა ჩემი თავი და, ვერ უყურებთ, რომ მეც მატირეს?!" (**ვაჟა**). ‖ ბევრი სპირტის შემცველი (სასმელი...). მაგარი ღვინო. – „უუხ! რა მაგარი არაყია, კაცო, ცეცხლია პირდაპირ!" (**ა. აგლ.**). ◊ **მაგარი სიტყვა** გადატ. მკვახე, უკმეხი, უცენზურო სიტყვა. [ექიმი] შემომაჩერდა, ერთი მაგარი სიტყვა მომაძახა და გამშორდა (**ნ. ლორთქ.**). ◊ **მაგრამ... მაგარი ეს არის, რომ...** ითქმის დათმობით წინადადებაში დაპირისპირების განსამარტავად ან გასაძლიერებლად. „მართალია, ჩვენ სოფელში სიტყვა-პასუხიან კაცს მეძახიან, მაგრამ მაგარი ესაა, რომ მაინც კიდევ თქვენი საკადრისი სიტყვა-პასუხი სად მეცოდინება" (**ილია**). ◊ **მაგარზედ დგას** თავისას არ იშლის, ჯიუტობს. გ. თუმანიშვილი მაგარზედ დგას და ამბობს... (**ილია**). ◊**მაგარი გული აქვს** გადატ. გულადია, შეუდრეკელია. ჯორ-ზაქარას... არ ეშინოდა, გული სალ კლდესავით მაგარი ჰქონდა (**ს. მგალობ.**). ◊ **მაგარი ზურგი აქვს** გადატ. ძლიერი, გავლენიანი მფარველი ჰყავს; ძლიერი მოკავშირე ჰყავს. სპარსელებმა ხანგრძლივი გამოცდილებით იცოდნენ, რომ ქართველებს მთიულებითა ჰქონდათ ზურგი მაგარი (**ივ. ჯავახ.**). ◊ **მაგარი ძილი** გადატ. ღრმა ძილი. [ფშატაძეს] მაგარი, უდარდელი ძილით ეძინა (**ვაჟა**). ◊ **მაგარი სასმელები** ღვინო, არაყი და მისთ. მაგარი სასმელებით ვაჭრობა. ეჰ, რაინდო, მაგრად გძინავს, ძილში ტკბილად იღიმები! (**კ. მაყ.**)[9].

**მაგარი** ჟარგონული იერის შემცველია ილია ჭავჭავაძის გმირისეული გლახა ჭრიაშვილის სიტყვები: „მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვილი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ, პაპა-ჩემი აზნაური გზლებიათ ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ ამბავი საიდან მეცოდინება. დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ***მაგარი ესაა,*** რომ არა ვართ დიდი ხნისა. ბატონი ჩემი – აი, დალახვროს ღმერთმა, სულ არ მავიწყდება, რომ ეხლა ბატონი აღარ არის.... (ი. ჭავჭ.).

გარდა ამისა, -ა სუფიქსიანი **მაგარ (-მაგარა)** ენაში რთული ფუძის მეორე შემადგენელ ნაწილადაც გვევლინება: ***ძირმაგარა***, გვხვდება ფუძეგაორკეცებული ძირითაც: **მაგარ-მაგარ**-ი (მაგარ-მაგრისა) კარგა მაგარი („მაგარ-მაგარი სიტყვები მიახალა"). შდრ. იმერ. ***„მაგარ-მუგური" (ჩვენი მასალ.)***. სამწუხაროდ, ქართულ მწერლობასა და ქართულ ცოცხალ მეტყველებაში ამ შესანიშნავმა ატრიბუტულმა სიტყვამ ჟარგონის იერი შეიძინა. ასეთი შემთხვევები, XX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, განსაკუთრებით მოჭარბებულად გვხვდება ახალგაზრდათა მეტყველებაში [10]: მაგ., ხშირად გავიგონებთ: 1. „რა მაგარი ტორტია"; 2. „რა მაგარი ლიმონათია"; 3. „რა მაგარი გოიმია"; 4. „რა მაგარი ბანძია", 5. „რა მაგარი ჟაკეტია"; 6. „რა მაგარი სიმღერაა", 7. „რა მაგარი უთოა"; 8. „რა მაგარი წიგნია"; 9. „რა მაგარი მანქანაა"; 10. „რა მაგარი ტრაქტორია", 11. „რა მაგარი ლექსია"; 12. „რა მაგარი კბილის პასტაა"; 13. „რა მაგარი ფეხსაცმელია"; 14. „რა მაგარი ენა აქვს"; 15. „რა მაგარი ღონე აქვს"; 16. „რა მაგარი ჩანთა აქვს"; 17. „რა მაგარი ნოუთბუქი აქვს"; 18. „რა მაგრად ცეკვავს"; 19. „რა მაგრად იცის ინგლისური"; 20. „ვაიმე, რა მაგარი „ტუსოვკა" იყო"; 21. „რა მაგარი კარაქია"; „რა მაგარი გეტრი გაცვია"; 22. „რა მაგარი ბეჭედია"; 23. „აუ, მაგრად მევასება"; 24. „მაგრად მიტყდება, რა"; შდრ. „მაგრად მისწორდება"; 25. „რა მაგარი მსახიობია"; 26. „რა მაგრა თამაშობს"; 27. „რა მაგარი „პახოტკა" აქვს"; 28. „რა მაგარი ფერის თმები აქვს"; 29. „რა მაგრა უკრავს"; 30. „რა მაგარი მოქცევა აქვს" 31. მაგარი დვიჟენიაა (= კარგი სიტუაციაა) და სხვ.

თანამედროვე მწერალთა ნაწერებიდან: „– ეს ძაან მაგარი ტიპი, ვიღაც გამოშტერებული, მაგრამ ძაან საყვარელი ნადრიკუჩა ვინ ჩემი ფეხებიაო!" (ლ. ბუღ. გვ. 12); „–დღეს დეეჩემს ვეჩხუბე, – თქვა ნინჩომ, – ამერიკაში უნდა ჩემი გაშვება... ეს დებილი ნადრიკუჩა როგორ დავტოვო!.. პროსტა, მაგრა ტეხავს ნადრიკუჩას პონტში!.." (იქვე, გვ. 49); „– ეს სულიჩა, ყველა მომიკვდეს, მაგარი გასატისკი თუ არ იყოს.!.. (იქვე, გვ. 75); „და ასე დაასრულა წინადადება – ნუციკოს მაგრა გაუტყდაო" (იქვე, გვ. 75); „ისე მაგარი გარეკილია" (იქვე, გვ. 83); „პუსკამ თქვა, აქამდე სირის პონტში იყო, მაგრამ

იმ დღეს ხელები მაგრა იქნიაო" (იქვე, გვ. 90); „–ნადრიკუჩა მაგარ ძღნერშია (ნიკუშა უცენზურო სიტყვების ტრფიალი გახლდათ), უჩატისკულესია... მაგრა ცუდადაა... – კატუშას პონტში? – იკითხა ნინჩომ. – კატუშას პონტში, იასნია, თანაც..." (იქვე, გვ. 83); „ჩემი აზრით, კაწკა მაგარი დამპალია''... (იქვე, გვ. 13); ნინჩომ არ ითაკილა და სანამ ნადრიკუჩა ეტყოდა რამეს, მანამდე უთხრა, მაგრა მომწონხარო. უკვე თბილისში, საერთო ნაცნობის დაბადების დღეზე, ნინჩომ და ლელუკამ ნადრიკუჩა სამზარეულოში გაიხმეს და სიყვარული ორ ხმაში აუხსნეს, ლელუკამ – შენ ძმა, მე დაო, ხოლო ნინჩომ – ერთხელ ბათუმში გნახე და მაგრა დამევასე, იმის მერე სულ შენზე ვფიქრობო" (იქვე, გვ. 15); „აუ, აუ, აუ!. – წამოიძახა ნინჩომ, – მაგრა მენატრება!" (იქვე, გვ. 40) „– მაგრა ვიღლები, თქვა უეცრად ლელუკამ, – მაგრამ ფროიდი, პროსტა, იმდენად საყვარელია, რო აი, მაგიჟებს..." (იქვე, გვ. 50);

თანამედროვე ჟურნალ-გაზეთები, ახალგაზრდათა მეტყველება სავსეა „მაგარ-მაგარი'' ჟარგონული გამოთქმებითა და გამონათქვამებით. მაგ.,

1. „– საკუთარ თავს ვერ წარმოიდგენთ მაფიოზის როლში? – აუ, რა მაგარი ვიქნებოდი" (სპორტ. გვ. 35);

2. „– განათლებული ადამიანი ხართ? – მაგრად არა, მაგრამ ვარ'' (სპორტ. გვ. 35);

3. „...გაეპროტესტებინა, თუ მაგარი ქართველი იყო'' (ჯ. ჩარკვ., გვ. 7);

4. „[ვინმე მესხი მელექსემ] მაგარი ლექსი დაწერა, მაგარი პოემა დაწერა''...., მაღალი, უხვი..., მაღალი, უხვი და-ბა-ლიი....'' (საქართველოს ე. წ. „მოქმედი'' და ყავლგასული პრეზიდენტის [2013 წლის 20 იანვრის შემდეგ] მიხეილ სააკაშვილის სიტყვები წარმოთქმული ახალციხეში 2012 წელს „ახალი რაბათის'' საზეიმო გახსნაზე).

თუ ეს სიტყვა ილიას, ს. მგალობლიშვილის... **(მაგარი გული –> გულმაგარი)**, ვაჟას **(მაგარი თავი გადატ. მნიშვნ.)**, კ. მაყაშვილის **(მაგრად ძილი)**... ნაწერებში სტილისტურად „თავის ადგილზეა'', გრიგოლ რობაქიძის (და სხვათა..) ტექსტებში **მაგარ**'ს აშკარად ჟარგონის ელფერი აქვს შეძენილი. დღევანდელ ქართველთა მეტყველებაში კი ეს სიტყვა – შინარსობლივ დეგრადირებული – თანამედროვე ენა-მეტყველება აშკარად ენობრივი დეკულტურიზაციის ტყვეობაში იმყოფება.

სამწუხაროდ, ენობრივი სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში არასახარბიელოა – საკომუნიკაციო, ვერბალური კომუნიკაციის დონეზეც კი, ქართველი არ უფრთხილდება მშობლიური ენის ღირსებას. საჭიროა ზომების მიღება, თორემ ხელში სალიტერატურო და სახელმწიფო ენის ნაცვლად „კნინი ენა'' შეგვრჩება (ე. წ. ერთ-ერთი აფრიკული ტომის „პატუა ენა'').

***

**PS.** შეიძლება წერტილი აქ დაგვესვა, რადგან კონკრეტული საკითხის ამოწურვას მოვრჩით, მაგრამ ენის არსს, მის **ფუნქციონირებას** – სიღმისეულად გვინდა შევეხოთ:

როგორც ვიცით, ენა და მეტყველება აზროვნების შედეგია.

ენა მაშინ არის უკვდავი, როცა ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი არსებობს. არ არსებობს ენა ანუ მკვდარია იგი მაშინ, თუ ამ ენაზე არავინ მეტყველებს.

ასე რომ ენა სულიერი არსებაა – იგი ადამიანივით ცოცხლობს, სუნთქავს, იზრდება, იცვლება, მდიდრდება, იმოსება ნაირნაირი გამომსახველი ფორმითა და სიტყვით, ლხინობს, ჭირისუფლობს და გლოვობს, ჭკნება და ხმება, კვდება კიდეც. ამრიგად, ენას ორი თარიღი აქვს: დაბადებისა და გარდაცვალების. გარდაცვლილ ენებს **მკვდარი ენები** ეწოდება. ასეთი ენებია: შუმერული, ლათინური (რომაული), ძველი ბერძნული, საშუალი (ბიზანტიური) ბერძნული, ფალაური (ძველი სპარსული), ძველი სომხური და სხვ.

ენა თუ ცოცხალია, ცხადია, მას სულიც ექნება. აქვს კიდეც! უსულო და უგულო არსება ხომ ყოვლად წარმოუდგენელია. ასე რომ ენის სული ხალხის სულისაგან მომდინარეობს. სწორედ ხალხია ენის წარმოშობის სათავე (ილია ჭავჭავაძე).

მეოცე საუკუნის ერთი დიდი ქართველი კლასიკოსის, პოეტის, ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის, მოაზროვნისა და მთარგმნელის, ბრწყინვალე მამულიშვილის გრიგოლ რობაქიძის ნათქვამს მოგაგონებთ, რომელსაც მწერლის ავტორიზებულ გერმანულენოვან რომანში – „ქალღმერთის ძახილში'' (გრ. რობ. გვ. 117) ერთ-ერთი მოქმედი პირი, თავადი იულონ გელოვანი ამბობს – **თუ როდის შეიძლება მოკვდეს ხალხის სული**: პასუხი მოკლეა და სხარტი:

**„ხალხის სული მოკვდება მაშინ, თუ ღმერთს მოკლავენ"**, ღმერთი კი, ჩვენი აზრითა და შეფასებით, ჩვენი სახატე ქვეყანაა, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში, ილია მართლის სახით, ერთხელ უკვე მოვკალით.

**ზემოთქმულის საფუძველზე დაისმის კითხვა: „როდის მოკვდება ენა"?**

**პასუხი ასეთია: „როდესაც ხალხს, ერს, ხალხის სულს მოკლავენ"**.

საინტერესოა იულონის ანუ გრიგოლ რობაქიძისეული სულის ცნების განმარტება. იგი წერს:

„მინდა **სულის ცნება** ერთი მაგალითით აგიხსნა.

ჩვენ, ქართველები, ვლაპარაკობთ ქართულად. ვინ შექმნა იგი? ცხადია, ქართველებმა, მაგრამ როგორ? გამოცალკევებით არავინ, ყველამ ერთად. მაგრამ ეს „ყველა" დროის სხვადასხვა მონაკვეთებში დასცილდა ერთმანეთს. საიდუმლო აქ ძევს. მე არ ვიცი, როგორ უნდა ამოიხსნას ეს საიდუმლო, ალბათ, იქნებოდა ერთობლივი ჩანასახოვანი უჯრედი, რომელიც ყველა ქართველში ცოცხალია, წარსულის, აწმყოს, მომავლის ქართველში და, ალბათ, მას შეუქმნია ჩვენი ენა. მე ამ ჩანასახის უჯრედს **საქართველოს სულს** ვუწოდებ" (გრ. რობ. გვ. 117).

დღეს თანამედროვე მსოფლიოში, როგორც გვარწმუნებენ, ყოველწლიურად ხუთი ენა კვდება. აი, დღეს კი, სწორედ ჩვენ თვალწინ, ჩვენივე ხელით **საქართველოს სული** კვდება.

ნუ შევუწყობთ ხელს ენის კვდომის პროცესს.

ნუ მოვკლავთ ენას.

## ლიტერატურა


1. **ი. აბულაძე,** ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
2. **თ. მიბჩუანი,** დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.
3. **ვ. თოფურია, მ. ქალდანი,** სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
4. **არნ. ჩიქობავა,** სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, ***ვ. თოფურიას*** რედაქციით. თბ., 1942.
5. **ო. კახაძე,** ტერმინი „ეგრისი" კრებ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, ***გ. პაიჭაძის*** რედაქციით, თბ., 1993.
6. **ზ. სარჯველაძე,** ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995.
7. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. IX კლასი. მეორე გადამუშავებული გამოცემა. შეადგინეს და კომენტარები დაურთეს: ***მ. გიგინეიშვილმა, ლ. გრიგოლაშვილმა, ვ. როდონაიამ.*** თბ., 2003.
8. **ბ. ცხადაძე,** სიტყვაწარმოების ძირითადი ტიპები ძველ ქართულში. „ქართული ენა და ლოგიკა". სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი. II. თბ., 2005.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), ***არნ. ჩიქობავას*** საერთო რედაქციით. ტ. 5. თბ., 1958.
10. **ე. ცხადაძე, ბ. ცხადაძე,** გამოყენებითი სტილისტიკა, I. თბ., 2010.

**წყაროები:**

1. **ლ. ბულ.** – ლაშა ბულაძე, ბოლო ზარი (რომანი), პირველი გამოცემა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2003.
2. **გრ. რობ.** – გრიგოლ რობაქიძე, ქალღმერთის ძახილი (რომანი), გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ, თბ., 2012.
3. **სპორტ.** – ჟურნ. „სპორტსიახლენი" 27 ოქტომბერი - 2 ნოემბერი, №45(685), თბ., 2006.
4. **ჯ. ჩარკვ.** – ჯ. ჩარკვიანი. იხ. გაზ,. „ასავალ-დასავალი", 2011 წლის 12-16 სექტემბერი, №37(884).
5. **ჩვენი მასალ.** – ჩვენ მიერ შეკრებილი მასალები.
6. **ხანცთ.** – გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. IX კლასი. მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბ., 2003.



***Eka Tskhadaze***
***Badri Tskhadadze***


## ABOUT ONE SLANG WORD IN MODERN GEORGIAN («MAGARI» - «STRONG»)

## SUMMARY


In the article cases are discussed of the usage of a slang word **"magari"** in written and spoken language of the contemporary Georgians. In the authors' opinion such frequent usage of this word is a clear indication of the degradation of language culture of the Georgian society.

# ქართლის (იბერიის) სამეფო და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი (ძვ.წ. III-ახ.წ.VI სს.)

*თამარ ხოხობაშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციის, გურიის პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების კვლევისას გასათვალისწინებელია ის წინაპირობები, რომელიც ახასიათებდა ამ რეგიონს შორეულ წარსულში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია ათეულობით ბრინჯაოს "კოლხური" ნივთებითა და ზოდებით შედგენილი განძები [1, გვ.10-131]. როგორც ცნობილია, ეს განძები, ძირითადად, სატრანზიტო გზების სიახლოვესაა მიწაში დაფლული და იმდროინდელი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა.

არსებობს მოსაზრება, რომ განძები, განძებში დადასტურებული იარაღ-სამკაული და ზოდები გარკვეულწილად სამონეტო მიმოქცევის ფუნქციასაც ასრულებდა [2, გვ.109-115]. ეს, ჩვენი აზრით, ბუნებრივიცაა, თუ გავიხსენებთ, რომ გურიის მთიან ზოლში სპილენძის საბადოებია ცნობილი, რომლებსაც ჩვენი წინაპრები ადრებრინჯაოს ხანიდან ამუშავებდნენ, ბრინჯაოს ზოდებად ასხამდნენ, ჩამოჰქონდათ ბარში და სხვადასხვა დანიშნულების იარაღს ამზადებდნენ.

ძვ.წ. X-VIII სს. ბრინჯაოს რკინის მეტალურგია ენაცვლება. სწორედ ამ ეპოქას ეკუთვნის დიუნური ნამოსახლარები მდ. ნატანებისა და მდ. სუფსის ორმდინარეთის ზღვის სანაპირო ზოლში. იქვეა ურეკის სამაროვანიც, სადაც ქონების დაგროვებისა და სოციალურად დაწინაურების ნიშნები რეალურად ჩანს [3, გვ.6-28].

შედარებით გვიან, ადრეანტიკურ (ძვ.წ.VI-IV სს.), ელინისტურ (IV-I სს.) და გვიანანტიკურ (I-IV სს.) ხანაში სამონეტო მიმოქცევა სახეზეა. ზემოაღნიშნულის დასტურია კოლხეთში შემთხვევით აღმოჩენილი ამ ეპოქის "კოლხური" და უცხოური მონეტების განძები [5, გვ.80,81].

მათგან განსაკუთრებული ადგილი სინოპურ (ადრეული-ძვ.წ.VI ს, გვიანდელი – ძვ.წ.III ს.) მონეტებს უკავია. ფიჭვნარსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მიკვლეული სინოპური მონეტების განძები და შემთხვევითი მონაპოვარი პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ შავი ზღვის ურეკ-ქობულეთ-ბათუმის სანაპირო სინოპეს ზეგავლენის ქვეშაა მოქცეული [5, გვ. 82]. უფრო მეტიც, კოლხური ვერცხლის ნახევარდრაქმებით წარმოდგენილ განძებში, მხოლოდ მცირე აზიური (ქიზიკოსი, ლიდია, კარია, სინოპე) უცხოური მონეტებია დადასტურებული "რაც შეურყეველი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ადრეანტიკურ ხანაში (ძვ.წ.VI-IV სს.) იბერია ლაზიკის საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტაცია, ძირითადად, სწორედ მცირე აზიისკენაა მიმართული [5, გვ.83].

შედარებით მოგვიანო ელინისტურ და ადრებიზანტიურ ხანაში ივარაუდება, რომ სინოპური მონეტები ამ რეგიონში სინოპეს მიერ დაარსებულ ტრაპეზუნტიდან შემოდიოდა (6, გვ.52; 5, გვ.83). ზემოაღნიშნულს, მკვლევრები, ამ რეგიონებს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობით ხსნიან (5, გვ. 83).

გასათვალისწინებელია ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიები, რომლებიც ძვ.წ.III საუკუნის დასაწყისიდან მაინც ასახული უნდა იყოს დასახელებულ ტერიტორიაზე, იქ სადაც ფარნავაზ მეფიდან მოყოლებული, ტრადიციისამებრ, იბერიის სამეფოს ერთ-ერთი ოლქი – საპიტიახშო, შემდგომში საერისთავო იგულისხმებოდა. არიანეც ფარსმანის (II ს.) სამეფოს შემადგენელ ნაწილად შავი ზღვის სანაპიროზე ძიდრიტების საცხოვრისად მოიაზრებს [7, გვ.22].

მეფე ვახტანგ გორგასლის დროსაც, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი, ზღვის სანაპიროს ჩათვლით, ქართლის (იბერიის) შემადგენელია [8, გვ.174-176].

იგივე ტრადიცია დასტურდება შემდგომშიც... მანამ სანამ XVI ს-ის ავბედობის ჟამის ზარმა არ დაჰკრა... ასე რომ ძვ.წ. III საუკუნიდან კოლხეთ-ლაზიკეს კავშირურთიერთობა გარე სამყაროსთან იბერიის (ქართლის) სამეფოს ფაქტორის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც საუბარია იმდროინდელი კოლხეთის პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ ცი-

ვილიზებულ სამყაროსთან [5, გვ. 86], იქვე გათვალისწინებული უნდა იყოს იმდროინდელი იბერიის სამეფოს ინტერესები და მისი როლი.

ბუნებრივია, იბერიის სამეფო, რომელსაც სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისთანავე ზღვაზე გასასვლელი გააჩნდა, მერკანტელური ინტერესების გამო, საერისთაოს მეშვეობით, აქტიურად ჩაერეოდა ზღვისპირეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში. მეტიც, ადვილი დასაშვებია, რომ კოლხეთი, ხოლო შემდგომში ეგრის-ლაზიკე მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშაც მოექცა.

ჩვენი აზრით, ფაქტიურად, ამ დროიდან ივარაუდება საერთო ქართველური სახელმწიფოებრიობის შესახებ აზრის გაჩენა და მისი რეალიზებისათვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა.

ძლიერი პოლიტიკური სისტემის საპიტიახშოსაერისთაოს ჩამოყალიბების პირობებში, სავსებით კანონზომიერია, შეიქმნებოდა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები (იბერიასთან დამაკავშირებელი ნავსადგურები, სავაჭრო და სატრანზიტო გზები).

ისტორიული აღმასვლის თვალსაზრისით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ჩანს ახ.წ. II-III საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლი.

ფარსმან ქველის სიძლიერის შესახებ არსებული ინფორმაცია და ჭოროხ-რიონის ზღვისპირეთში მიკვლეული უნიკალური არქეოლოგიური ძეგლები, ამ რეგიონის ეკონომიკურ აღმასვლაზე მიგვანიშნებენ.

აშკარაა, რომ მხოლოდ მიწათმოქმედება (მევენახეობა, მეხილეობა), მესაქონლეობა და მეთევზეობამეფუტკრეობა ვერ იქნებოდა აღმავლობის კატალიზატორი.

სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული მეტალური რკინის, მაგნეტიტური ქვიშის, აგრეთვე ოქროს საბადოების მოძიება და დამუშავება, ე.წ. "კუპრის" ამოღება სამკურნალო და საწარმოო დანიშნულებისათვის, წარმოებული პროდუქტისათვის სასაქონლო სახის მიცემა, მდინარეებზე (სუფსა, ნატანები და სხვ.) მოხერხებული ნავსადგურების მშენებლობა, სატრანზიტო გზების დაცვა და მათ სიახლოვეს ქალაქების ან ქალაქური ტიპის (მოედანი, ციხისძირი, ვაშნარი, ოზურგეთი და სხვ.) დასახლებების შექმნა! აი, ის მძლავრი მამოძრავებელი ძალა, რომლის გარეშეც იბერიაქართლის ქვეყნის სრულყოფილი განვითარება ვერ მოხერხდებოდა.

ბუნებრივია ისმის კითხვა, რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ კოლხეთ-ეგრისსა და იბერიას ზღვის სანაპიროზე ქრისტეს შემდგომ პირველ საუკუნეებში?

კოლხეთ-ეგრისსა და იბერიის მჭიდრო კავშირებზე მიგვანიშნებს ფარნავაზ-ქუჯიდან მოყოლებული, ის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ინფორმაციის სახით ჟონავს ჟამთააღმწერელთა ხელნაწერებში, თუმცა ის რად ღირს, რომ ისტორიული ტრადიციისამებრ, ანდრია პირველწოდებულმა და მისმა თანამოაზრეებმა ყოველგვარი შეფერხების გარეშე კეთილად მოიარეს ეს რეგიონი.

ეპიფანე კონსტანტინოპოლელი თავის ნაშრომში, რომლის მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტმა მოაღწია ჩვენამდე, აღნიშნავდა "სულიწმინდის მოფენის შემდეგ . . . მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუსანიაში" [9, გვ.115].

ასე, რომ ფაქტიურად, რა ურთიერთობაც არ უნდა ჰქონოდათ იბერიისა და ეგრისის ხელისუფალთ, ქვეყნების ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო გზები სრული დატვირთვით ფუნქციონირებდნენ და წარმოადგენდნენ ე.წ. აბრეშუმის მაგისტრალური გზის შენაკადებს [10, გვ.382,383].

გურიაში აღმოჩენილი ანტიკური ხანის კოლხური მონეტების განძები ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ხორცს ასხამს. იქვე, ციხისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი I-VI სს. მონეტების შესწავლაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ რეგიონში პოლიტიკურ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე, რომელიც გააჩნდათ იქ მცხოვრებლებს შიდა თუ გარე სამყაროსთან [11, გვ.98-99].

როგორც კვლევებით დასტურდება, ძირითადად, I-III სს. გაბატონებულია კესარიული დრაქმები, ხოლო ანტონინიანები – III ს. იჩენენ თავს; III ს. მიწურულსა და IV ს. პირველ ნახევარში მხოლოდ სპილენძის მონეტებია გავრცელებული. შედარებით გვიან, ბიზანტიის მზარდი ზეგავლენიდან გამომდინარე, VI ს. იწყება "კონსტანტინოპოლში მოჭრილი სპილენძის მონეტების მოზღვავება" [11, გვ.102,103; დაწვრ. იხ.12, გვ.94,95].

რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური კვლევის თვალსაზრისით, არანაკლებ საყურადღებოა სოფ. ჩიბათში აღმოჩენილი, VI-VII სს. მიჯნით დათარიღე-

ბული ბიზანტიური მონეტების განძი.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. III – ახ.წ. VI სს. ქართლის სამეფო, ფლობდა რა სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირეთს, ერთი მხრივ, აკონტროლებდა კოლხეთ-ლაზიკეს, ხოლო მეორე მხრივ, რომთან და შემდგომში სპარსეთ-ბიზანტიასთან, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე დამოუკიდებელ სამხარეო პოლიტიკას აწარმოებს.

**ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:**


1. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ.,1965.
2. Лорткипанидзе Г. Колхида в VI-II вв.до н.э.,Тб.1978.
3. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ.,1979.
4. დუნდუა გ. გურიის ნუმიზმატიკური მასალა. გურია I, თბ. 1996.
5. დუნდუა გ. ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძი კოლხეთიდან (ძვ.წ.VI-IV სს.). გურია III, თბ.,1967.
6. Голенко К. Денежное обращение Колхиды в римское время. Лнинград, 1966.
7. არიანე ფ. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თბ., 1961.
8. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
9. გეორგიკა, VII, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1967.
10. ლორთქიფანიძე ოთ. ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002.
11. ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ.წ. I-IV სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ.,1993.
12. დუნდუა გ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი გვიანანტიკურ-ადრებიზანტიურ ხანაში ბიჭვინთის ნუმიზმატიკური მასალების ფონზე. გურია, III, თბ., 2001.


*Tamar Khokhobashvili*

## THE KINGDOM OF KARTLI (IBERIA) AND THE SOUTHWESTERN LITTORAL OF GEORGIA (3RD C. BC-4TH C. AD)

### SUMMARY


In the study of the political-economic processes of the historical province of southwestern Georgia, Guria, the preconditions characteristic of this region in the remote past should be taken into account.

The historical-political and economic realia should be considered which must have been reflected at least from the beginning of the 3rd century BC on the mentioned territory, where, beginning from the period of King Parnavaz, according to the tradition, one of the districts of the Kingdom of Iberia – a *sapitiakhsho*, later on –a *saeristavo* (principality) was implied. Arrian too conceptualizes as a constituent part of Parsman's (2nd c.) Kingdom the home of the Zidrites on the Black Sea littoral.

Proceeding from the above-mentioned, when speaking about the political, trade and economic relations of Colchis of that time with the civilized world, the interests and role of the Kingdom of Iberia of that period should also be taken into account.

Naturally, the Kingdom of Iberia, which from the formation of statehood had an outlet to the sea, due to mercantile interests, by means of the *saeristavo*, must have interfered actively in the political and economic relations of the littoral. Furthermore, it is most likely that Colchis, and later on Egrisi-Lazica fell under significant influence.

Thus, it may be assumed that in the 3rd c. BC-4th c. AD the Kingdom of Kartli, which owned the southwestern littoral, on the one hand, controlled Colchis-Lazica, and, on the other one, proceeding from its own interests, carried out an independent regional policy with Rome, and then with Persia-Byzantium.

# ახალი წიგნები

## რ ე ც ე ნ ზ ი ა
## ალექსანდრე სიჭინავას ლექციების კურსზე „უძრავი ქონების ეკონომიკა“, თბილისი, 2012

*დალი სეხნიაშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

უძრავი ქონების ობიექტებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, ვინაიდან მათთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია ადამიანების სამეურნეო საქმიანობა და პრიორიტეტული ურთიერთობები მათი მოღვაწეობის ყველა სფეროში.

დღეს სწორედ უძრავი ქონების ობიექტები არის ცენტრალური რგოლი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის სისტემაში. ეს გასაგებია, რადგან უძრავი ქონების ობიექტები არა მარტო განსაკუთრებული საქონელია, არამედ, იმავდროულად, არის კაპიტალი, რომელსაც შემოსავალი მოაქვს და არის საფუძველი ეფექტიანი სამეწარმეო საქმიანობის წარმართვისათვის.

უძრავი ქონების ეკონომიკა უძრავ ქონებას სწავლობს, როგორც განსაკუთრებულ ეკონომიკურ აქტივს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სხვადასხვა ხარისხით გვევლინება, კერძოდ: როგორც ეკონომიკური ბრუნვის ობიექტი, როგორც ნებისმიერი ფირმის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი და როგორც მართვისა და განვითარების დამოუკიდებელი ობიექტი.

ჩვენი აზრით, აღნიშნული დისციპლინის ცოდნა აუცილებელია თანამედროვე სპეციალისტების მომზადებისათვის, რამდენადაც დღევანდელ პირობებში ნებისმიერ პროფესიონალს პრაქტიკული საქმიანობისას უხდება იმ პროცესებთან შეხება, რაც მიმდინარეობს უძრავი ქონების ბაზარზე. უძრავი ქონების ეკონომიკა საერთოპროფესიული ეკონომიკური დისციპლინაა, რაც აუცილებელია საქართველოს თანამედროვე კადრებით უზრუნველყოფისათვის..

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მეტად დროულია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ა. სიჭინავას სრულიად ახალი ლექციების კურსის ,,უძრავი ქონების ეკონომიკის“ გამოჩენა.

ავტორმა წარმოადგინა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველი სისტემური ნაშრომი უძრავი ქონების საკითხების შესახებ. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს მცდელობა მეტად შედეგიანი აღმოჩნდა.

ცნობილია, რომ უძრავი ქონების ეკონომიკა არის თეორიული საფუძველი რიგი სპეციალური გამოყენებითი დისციპლინებისა, კერძოდ: უძრავი ქონების შეფასება, უძრავი ქონების მართვა, საინვესტიციო-სამშენებლო პროექტების მართვა და, იმავდროულად, არის თავისებური ხიდი თეორიასა და პრაქტიკას შორის.

ჩვენი აზრით, სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანია უძრავი ქონების ობიექტების არსის, სამართლებრივი ასპექტების, მისი ობიექტების შეფასების, უძრავი ქონების ბაზრის თავისებურებებისა და მასზე სამეწარმეო საქმიანობის სახეების შესახებ ცოდნის შეძენა.

ლექციების კურსში საინტერესოდაა წარმოდგენილი უძრავი ქონების არსი და კლასიფიკაცია, უძრავი ქონების ობიექტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი დახასიათება, უძრავი ქონების ბაზრის ძირითადი ელემენტები, ხელშეკრულებები უძრავი ქონების ბაზარზე, საბინაო სფეროში უძრავ ქონებაზე ჩასატარებელი ოპერაციები, უძრავი ქონების კომერციულ და საინვესტიციო კონკურსზე ჩასატარებელი ოპერაციები.

ლექციების კურსში გაანალიზებულია უძრავი ქონების იჯარის ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმები, უძრავი ქონების ცალკეული სახეობების იჯარის თავისებურებები, უძრავი ქონების დაგირავება და იპოთეკური დაკრედიტება, უძრავი ქონების ღირებულების შეფასება, უძრავი ქონების

რეგისტრირების სახელმწიფო რეგულირება.

უძრავი ქონების ბაზარი უზრუნველყოფს ეფექტური მესაკუთრეების ხელში მიწის ნაკვეთებისა და მასთან დაკავშირებული ქონების გადასვლას და ამით მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების საშუალო სოციალური ფენის ჩამოყალიბებაში, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ა. სიჭინავას ლექციების კურსი არსებით როლს შეასრულებს უძრავი ქონების ბაზრის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის მნიშვნელოვანი სფეროს ფუნქციონირების თეორიისა და პრაქტიკის შესწავლაში.

საერთო შეფასებით, ა. სიჭინავას ლექციების კურსი „უძრავი ქონების ეკონომიკა" მეტად აქტუალური, მეცნიერული თვალსაზრისით საკმაოდ ღირებული, საინტერესო და სასარგებლო ნაშრომია. იგი შესრულებულია უმაღლესი სკოლის ლექციების კურსისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ: ლექციების კურსის სტრუქტურაში დაცულია საკითხების ლოგიკური თანამიმდევრობა და ისინი წარმოდგენილია ერთიანი მეცნიერული სისტემის სახით, ასახულია თანამედროვეობის უახლესი მიღწევები. ცნებები, კატეგორიები, კანონები და წესები ფორმულირებულია მეცნიერულად ზუსტად. გარდა ამისა, თეორიულ დებულებებთან ერთად მოცემული პრაქტიკული მაგალითები თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირის დანახვაში დაეხმარება სტუდენტებს. ლექციების კურსის შინაარსი ერთიანი სტილით, გრამატიკულად დახვეწილი, მარტივი და ადვილად გასაგები ენითაა დაწერილი.

ლექციების კურსი ნათელ წარმოდგენას იძლევა უძრავი ქონების სფეროში არსებული ამოცანებისა და გადაწყვეტილებების შესახებ. იგი დაინტერესებულ მკითხველს დაეხმარება არსებულ სამართლებრივ სივრცეში უძრავი ქონების ობიექტების მართვასა და მათზე გარიგებების პრაქტიკულ რეალიზებაში, უძრავი ქონების ობიექტებზე განხორციელებული ოპერაციებიდან სასურველი კომერციული და სოციალური შედეგის მიღებაში.

სარეცენზიო ლექციების კურსი შედგენილია თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, კერძოდ:

- აგებულია ლოგიკური სისტემით, მეცნიერების უახლესი მიღწევების ბაზაზე;
- ახალი ცნებებისა და ტერმინების განმარტებებში დაცულია სიზუსტე, მეცნიერულობა, ლოგიკურ-გრამატიკული სისრულე და გამართულობა;
- თეორიული დებულებები (შეხედულებები) გამტკიცებულია პრაქტიკული მაგალითებით, ტესტებით, ჩანართებით და ა.შ.;
- შედგენილია სასწავლო გეგმისა და იმავე დასახელების კონკრეტული სასწავლო დისციპლინის სილაბუსის საფუძველზე და სრულად შეესაბამება გამოყოფილი საათების რაოდენობას;
- ფართოდ გამოყენებულია ვიზუალური საშუალებები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები), რითაც აღსაქმელი მასალა სტუდენტებისათვის, ადვილად გასაგები ხდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია წარმოდგენილი სარეცენზიო ლექციების კურსის სტამბური წესით გამოცემა.

# სიმართლე ეკონომიკურ მეტამორფოზებსა და ქვეყნის მომავალზე (ნოდარ ჭითანავას წიგნის „საქართველოს ეკონომიკური მეტამორფოზები და პერსპექტივები“ თბ., 2012)

*გიორგი მალაშხია*
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

ძირეული ცვლილებები ანუ მეტამორფიზები, საზოგადოების ცხოვრებასა და ეკონომიკაში ისტორიულ შემობრუნებებს განაპირობებს პროგრესის ან რეგრესის მიმართულებით. ბოლი ორი ათწლეულის განმავლობაში ყოფილ, ე.წ. მსოფლიო სოციალისტურ სივრცეში მიმდინარე მეტამორფოზები უპრეცედენტოა, რომელმაც განაპირობა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელი წესის ჩამოყალიბება და ხანგრძლივი მომავალი შესაბამის ქვეყნებში, ასევე მნიშვნელოვანი ძვრები მთელი მსოფლიო მასშტაბითაც. ეს მეტამორფოზები მთლიანად ეხება საქართველოს მისთვის დამახასიათებელი რიგი სპეციფიკითა და შედეგით. ეს უკანასკნელი საქართველოში გამოიხატა ამ პროცესის მეტისმეტი სიმწვავით, მძაფრი წინააღმდეგობებითა და რთული ხასიათით, ვიდრე ეს იყო სხვაგან. ამისი მიზეზი კი იყო სამოქალაქო ომი და მკვეთრი დაპირისპირება საზოგადოებაში, ეთნოკონფლიქტები, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, პოლიტიკური არასტაბილურობა, მმართველი ელიტის სუბიექტური შეცდომები, ასევე ზოგიერთი არახელსაყრელი საერთაშორისო ფაქტორი და სხვ. ამის გამო სისტემური კრიზისი და გარდაქმნები საქართველოში განსაკუთრებით მძიმე და ხანგრძლივი აღმოჩნდა.

უპრეცენდენტო იყო ისტორიული გადასვლა ამ ქვეყნებში ადრე აქ ერთხელ უკვე უარყოფილ კაპიტელისტურ სისტემაზე, ასევე საბჭოთა იმპერიის დაშლა, რამაც შესაბამის ქვეყნებს განსაკუთრებული გზა გაუხსნა დამოუკიდებელი განვითარებისაკენ. ამ ურთულეს მოვლენის პირუთვნელი მეცნიერული ანალიზი და შეფასება აუცილებელია საზოგადოებრივი შემეცნებისა და პრაქტიკისათვის. ამის შესახებ ეკონომისტთა, ფილოსოფოსთა, სოციოლოგთა, ისტორიკოსთა მრავალი გამოკვლევა დაიწერა. ეს მოვლენები ფართოდ აისახა პუბლიცისტურ და მხატვრულ ლიტერატურაში და ა.შ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემებზე შექმნილ მეცნიერულ ნაშრომებსა (წიგნების, სტატიების) და სხვა ჟანრის ნაწარმოებებს მეტწილად სუბიექტური, ზედაპირული ხედვა, ცალმხრივობა, ხშირად ზერელობა, მიკერძოებულობა, ეპიგონობა ეტყობა.

ბატონი ნოდარ ჭითანავას წიგნები ამ მხრივ გამორჩეულია. ავტორი მტკიცედ მისდევს მოვლენათა ობიექტური ასახვისა და შეფასების პრინციპს, რაც აუცილებელია ჭეშმარიტი მკვლევრისათვის და გამოხატავს მის პასუხიმგებლობას თანამედროვეთა და მომავალი თაობების, მეცნიერების წინაშე.

ბატონი ნოდარ ჭითანავა, ვინც პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ეპიცენტრში იმყოფებოდა როგორც პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, მოვლენათა ცოცხალ მემატიანედ გვევლინება. მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ე.წ. პოსტსოციალისტურ ტრანსფორმაციას - ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან თანამედროვე საბაზრო (შერეულ) ეკონომიკაზე გადასვლას, თვისებრივად ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი სამტომეული ,,გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, ,,საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები “ და სხვ.

ბატონი ნოდარის ახლად გამოცემული წიგნი ,,სა ქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერ სპექტივები “ წარმოაგენს ავტორის ადრინდელ ნაშ რომთა ერთგვარ შეჯამებას და მათში მოცემული შეხედულებების, თეორიული დებულებებისა და იდეების განვითარებას. პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას ავტორის მისწრაფებას მეცნიერული კეთილსინდისიერებით, მოვლენებში ღრმა წვდომის საფუძველზე გაანალიზოს და შეაფასოს რთული ისტორიული პროცესები. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის მიზეზები, ხასიათი, ბუნება, მიმდინარეობა და მოსალოდნელი შედეგები საზოგადოებრივი პროგრესის პოზიციებიდან. ამ მხრივ განსაკუთრებით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ავტორის მიერ ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესის გაშუქებაზე, რაც მკითხველს ხშირად სუბიექტური და დამახინჯებული ინტერპრეტაციით მიეწოდება. ავტორი პირუთვნელად, ობიექტურობის პრინციპის მკაცრი დაცვით გვიჩვენებს ქართველი კომუნისტების უდიდესი ნაწილის როლს. (თუ ახალგაზრდობასაც - კომკავშირლებს - ჩავთვლით, ეს მოზრდილი თაობების

ნახავარსაც აღწევდა, რომელიც ქვეყნის მატერიალურ და სულიერ სიმდიდეს ქმნიდა ათეული წლების განმავლობაში). ისინი იმთავითვე ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მხარეზე იდგნენ და ყოველ შესაძლო ძალისხმევას არ იშურებდნენ ამისათვის. ამ შემთხვევაში ისინი აშკარად გამოხატავდნენ ეროვნულ ინტერესს, იდგნენ მამულისა და ქვეყნის სადარაჯოზე და გამოდიოდნენ თავისი ხალხის ორგანული ნაწილისა და ავანგარდის როლშიც. ეს არ იყო უმნიშვნელო ფაქტორი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში. მისი წარმოჩენა, რაც ბატონი ნოდარის დამსახურებაა, აუცილებელია ისტორიული სიმართლისათვის, რასაც ბევრი არაკეთილსინდისიერად უვლის გვერდს, მის მიჩქმალვას ცდილობს. ეს არასასურველია ობიექტური შემეცნების, ადამიანთა სწორი წარმოდგენისათვის ისტორიაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის. იგი საზოგადოების ცნობიერების დიდ ხარვეზად დარჩება და ზიანს შეიცავს, თუ არ იქნება აღკვეთილი.

ბატონმა ნოდარმა ფაქტებზე დაყრდნობით, ნათლად და დამაჯერებლად წარმოაჩინა მოვლენათა მთელი კომპლექსი, მასში მონაწილე ძალების ადგილი და როლი დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მეტამორფოზებში, რომლებმაც კარდინალურად შეცვალა ხალხისა და ქვეყნის ცხოვრება. მათ შესახებ ობიექტური ცოდნა კი აუცილებელია. ასეთი ცოდნა, როგორც ცნობილია, პროგრესის სხვა, მატერიალურ თუ ფინანსურ რესურსზე, ნაკლები მნიშვნელობისა როდია.

ასევე ღრმა ანალიზის საფუძველზე განიხილავს ავტორი პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესის ეტაპებს, რაც უკვე ორ ათეულ წელზე მეტია მიმდინარეობს. წიგნში ლაკონიურად და ნათლადაა წარმოჩენილი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მეტამორფოზების მიზეზები და მამოძრავებელი ძალები, შინაარსი და შედეგები სხვადასხვა ეტაპზე. მრავალი ფაქტობრივი მასალისა და თეორიული განსჯის საფუძველზე ნაჩვენებია რთული ტრანსფორმაციის ყველა მხარე, გარდაქმნების სათავეში მდგომთა დამსახურება თუ შეცდომები, შინა და გარე ფაქტორების გავლენა პროცესის მიმდინარეობაზე, სოციალური დროისა თუ მატერიალური დანაკარგები მცდარი სვლებისა და ზიგ-ზაგების გამო.

ავტორი გვიჩვენებს თუ სად იმყოფებოდა ქვეყანა გარდაქმნების ცალკეულ ეტაპზე მიზნისაკენ მიმავალ გზაზე და სად იმყოფება იგი დღეს, რა მოუტანა მეტამორფოზებმა მთელ ხალხს, საზოგადოების ცალკეულ ფენებს. მკვლევარი ამ კრიტერიუმის მიხედვით აძლევს შეფასებას მთელ ამ ისტორიულ სვლას, რაც უთუოდ მართებულია.

აღსანიშნავია, რომ ავტორი არ კმაყოფილდება მოვლენათა და პროცესების ანალიზით, ახსნითა და შეფასებით. მისი მსჯელობები მიმართულია იმისკენ, თუ რა უნდა გაკეთებულიყო და გაკეთდეს დღეს და მომავალში ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნის მეტი შედეგიანობით განხორციელებისათვის, საბოლოო მიზნის - საზოგადოების საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ბატონი ნოდარი წიგნში დასაბუთებულად, ფართო ხედვით, ქვეყნის უკეთესი მომავლისათის დაუშრეტელი ზრუნვით, თავისი მდიდარი გამოცდილებისა და ცოდნის, შესაშური უნარის მეშვეობით გადმოგვცემს მოსაზრებებს ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების სტრატეგიის, მიმართულებების კონკრეტულ საკითხებზე პოლიტიკური, კულტურული თუ რალიგიური ცხოვრების პროცესების ტენდენციებთან კავშირში. მისი თვალსაზრისი შეიცავს მრავალ პრაგმატულ რეკომენდაციას პრაქტიკისა და პოლიტიკისათვის. ეს რეკომენდაციები შეიძლება საკამათოც აღმოჩნდეს ცალკეული პირებისათვის, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისინი სავსებით არგუმენტირებულია. მათი გათვალისწინება უეჭველად სასრგებლო იქნება ქვეყნისათვის.

ჩვენ წიგნის შინაარსის დეტალებზე არ შევჩერდებით, გვინდა მხოლოდ ჩვენი ეპოქის მნიშვნელოვანი მონაკვეთის მოვლენებით დაინტერესებულ მკითხველს მოვუწოდოთ თავად გაეცნოს ამ წიგნს. იგი კარგ სამსახურს გაუწევს მას თანამედროვე და მომავალი დროის მეტამორფოზების გაცნობიერებაში.

## რ ე ც ე ნ ზ ი ა

# ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის დემურ ჩომახიძის მონოგრაფიაზე: „ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები“

*ევგენი ბარათაშვილი, სტუ-ს სრული პროფესორი,*
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი*
*დემნა კვარაცხელია, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,*
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი*

საქართველოში ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბუნებრივი მონოპოლიების, კერძოდ, ენერგეტიკის სექტორის სახელმწიფო რეგულირებისა და აღნიშნულ სფეროში ფასწარმოქმნის ოპტიმალური სისტემის ფორმირების საკითხი, რასაც აქვს ობიექტური მიზეზები, რომლებიც განპირობებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებით.

ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკაში არსებული უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე, ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს წარმოადგენს:

– მოსახლეობის სოციალური დაცვის არსებული სისტემის გარდაქმნა-გაუმჯობესება და მისი ეფექტიანობის ამაღლება;
– სამეწარმეო აქტივობის ამაღლებისათვის და სამამულო წარმოების აღორძინებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

აღნიშნული პრიორიტეტების რეალურ ცხოვრებაში განხორციელება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ეფექტიანად ფუნქციონირებადი ენერგეტიკული ბაზრის ფორმირებასთან და ენერგეტიკის სექტორის მდგრადი განვითრების უზრუნველყოფასთან. როგორც მოკლევადიანი, აგრეთვე გრძელვადიანი პერიოდისათვის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების რეალიზაციისათვის და მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკურ შედეგების მისაღწევად აუცილებელია ენერგეტიკის სექტორში სამართლიანობისა და ეფექტიანობის თვლასაზრისით ოპტიმალურად დაბალანსებული ტარიფების არსებობა და შესაბამისი ფასწარმოქმნის სისტემის ჩამოყალიბება. ამასთანავე, ფასწარმოქმნის აღნიშნულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს არამხოლოდ სოციალური მიზნების მიღწევა და მთელი ქვეყნის მასშტაბით სამეწარმეო აქტივობის ამაღლების ხელშეწყობა, არამედ აგრეთვე თვით ენერგეტიკის დარგის შეუფერხებელი ფუნქციონირება და ამ სფეროში ინვესტიციების განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების აკუმულირება. ფასწარმოქმნის ასეთი ოპტიმალური მოდელის შემუშავება მოითხოვს ენერგეტიკის დარგის განვითარების სახელმწიფო რეგულირებას ცივილიზებული ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე, რომლის წყალობითაც სარგებელს მიიღებს როგორც თვით აღნიშნული სექტორი, აგრეთვე მთელი საზოგადოება.

ამგვარად, ენერგეტიკის სექტორის რეგულირება მისაღებია იმ ზომამდე, რომლის ფარგლებშიც იგი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ამ სფეროში დასაქმებული კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას, მეორე მხრივ, განაპირობებს მომხმარებლებისათვის მისაღებ ფასებში ელექტროენერგიისა და გაზის შეუფერხებელ მიწოდებას, მესამე მხრივ კი ხელს უწყობს ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრობლემური საკითხების კვლევა, კერძოდ: ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის რეგულირების აუცილებლობის დასაბუთება, ენერგეტიკის რეგულირების სტრატეგიული მიზნებისა და პრინციპების განსაზღვრა, საქართველოს ენერგეტიკაში განხორციელებული რეფორმების შეფასება, ტარიფების დადგენა–რეგულირებისას გამოყენებული სატარიფო მეთოდოლოგიების შედარებითი ანალიზი, ენერგეტიკის სფეროში საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბების კუთხით მიღწეული შედეგების შეფასება, ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება და ა. შ., წარმოადგენს მეტად აქტუალურ ამოცანას და თანამედროვე ეპოქის ერთგვარ გამოწვევას, რომელიც მოითხოვს სათანადო პასუხის გაცემას დარგის პრობლემებითა და განვითარების პერესპექტივებით დაინტერესებული ქართველი მეცნიერების მხრიდან.

აღნიშნული გამოწვევის ადეკვატური პასუხის მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებს ბატონ დემურ ჩომახიძის მიერ 2012 წელს გამოცემული მონოგრაფია: ”ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები“, რომელიც ჩვენი აზრით, კონკრეტული

დარგის განვითარების მდგომარეობის ანალიზისათვის და პერსპექტივების გამოვლენა-შეფასებისათვის ეკონომიკური მეცნიერების სფეროში ფართოდ აპრობირებული კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომი, უნდა მივიჩნიოთ ქართული ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს შენაძენად. იგი განკუთვნილია ”ენერგეტიკის პრობლემური საკითხებით დაინტერესებული სამეცნიერო და პრაქტიკოსი მოღვაწეებისათვის, უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის, აგრეთვე ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულთათვის“.

მონოგრაფიაში ლოგიკური თანამიმდევრობითაა გადმოცემული ენერგეტიკის სექტორის მდგრადი განვითარების საკვანძო საკითხები. ბუნებრივი მონოპოლიის სფეროში ფასწარმოქმნის სპეციფიკისა და ენერგეტიკის რეგულირების საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, განხილულია ენერგეტიკის სექტორის მდგრადი განვითარების სახელმწიფო რეგულირების არსი, ამოცანები, მიზნები და პრინციპები.

ავტორს სათანადოდ აქვს გააზრებული ენერგეტიკის დარგში არსებული პრობლემების (მონოპოლიის მაღალი ხარისხისა და კონკურენციის დეფიციტის კუთხით, ფასწარმოქმნის თვალსაზრისით და ა. შ.) ობიექტური ხასიათი და მათი ზემოქმედების ნეგატიური ასპექტები საზოგადოების კეთილდღეობასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე. შესაბამისად ენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირებას ავტორი მიიჩნევს დარგის მდგრადი განვითარების უმთავრეს ბერკეტად. აღნიშნული გათვალისწინებით, იგი ნაშრომის პირველ ნაწილში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ენერგეტიკის რეგულირების საერთაშორისო გამოცდილების განხილვას, კერძოდ, გაანალიზებულია ევროკავშირისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, აგრეთვე აშშ-ის ენეგეტიკის რეფორმირებისას და სახელმწიფო რეგულირებისას გამოვლენილი ტენდენციები და კანონზომიერებები.

ნაშრომის აღნიშნულ ნაწილში ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: ეფექტიანი რეგულირების პრინციპების განხილვას, ბუნებრივ მონოპოლიებად მიჩნეული დარგების პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესის გაანალიზებას, ენერგეტიკის სექტორში კონკურენციის პრინციპებისა და კონკურენციის განვითარების პირობების დახასიათებას, აგრეთვე აღნიშნულ სფეროში ფასწარმოქმნის რეგულირების ისეთი პრობლემური საკითხების განხილვას, როგორიცაა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ ტარიფების დადგენა როგორც ენერგიის მწარმოებლებისა და მიმწოდებლების, აგრეთვე მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, ტარიფში გასათვალისწინებელი კომპონენტების (მათ შორის ინვესტიციურის, ტექნიკური დანაკარგების) განსაზღვრა, ჯვარედინი სუბსიდირების შუქ-ჩრდილების შეფასება და ა. შ.

ნაშრომის მეორე ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული რეფორმები, კერძოდ, შეფასებულია დარგის საწარმოთა რესტრუქტურიზაციის ტემპები და შედეგები, აგრეთვე განხილულია შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის გენეზისის საკითხები. ამავე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ენერგეტიკის სფეროში საბაზრო ინსტიტუტების, კერძოდ, მარეგულირებელი კომისიისა და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების მიზეზებსა და მათ ფუნქციებზე. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოში ტარიფების დადგენისას გამოყენებული მეთოდოლოგიების ანალიზს, ტარიფების დონისა და დინამიკის შეფასებას მომხმარებელთა კატეგორიებისა და მოქმედების პერიოდის მიხედვით, აგრეთვე საქართველოსა და უცხოეთში არსებული ტარიფების დონეების შედარებით ანალიზს.

მონოგრაფიის ბოლო თავში განხორციელებულია საქართველოში ენერგეტიკის 15 წლიანი რეგულირების ძირითადი შედეგების, კერძოდ, აღნიშნულ სექტორში რაოდენობრივი და ხარისხობრივი ძვრებისა და გამოვლენილი საერთო ტენდენციების ანალიზი. ამასთანავე, დასაბუთებულია, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მომხმარებელთა ენერგეტიკული მომსახურების ხარისხი და უფრო კონკურენტუნარიანი და მდგრადი გახდა საქართველოს ენერგეტიკული სისტემა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ბატონ დ. ჩომახიძის მონოგრაფია საკვლევი ობიექტის აქტუალურობისა და კვლევის მეცნიერულ-მეთოდური დონის გათვალისწინებით სრულიად პასუხობს მსგავსი ტიპის ნაშრომებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. იგი სათანადო სამსახურს გაუწევს ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების საკითხებით დაინტერესებულ პირებს, მათ შორის სტუდენტ-ახალგაზრდობასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ პერსონალს.